იოსებ ომაძე

ოთხი საღამო რომანი

თბილისი, 2006 w.

Copyright: იოსებ ომაძე, 2006 წ.
ISBN 99940-68-64-4

სარჩევი

გულადი მაწანწალა 1
ვეფხია წანწალაურის საქმენი საგმირონია 75
მოიტაცეს თავისუფლების ქანდაკება 118
პეპლებზე მონადირე 169

“გულადი მაწანწალა”

ანუ
ხუთი მამაცი მოგზაურის საოცარი თავგადასავალი ცაში და წყალ-ხმელზე

სალაღობო რომანი

კარი I. გაზეთი აქვეყნებს უჩვეულო განცხადებას

გაზეთის “ტფილისის ცხელ-ცხელი ამბები” 19.. წლის 15 სექტემბრის ნომრის მთელი პირველი გვერდი ეკავა ლამაზ, მაქმანივით ჩახუჭუჭებულ ჩარჩოში ჩასმულ ასეთ უჩვეულო უზარმაზარ განცხადებას:

“მოწყალეო ქალბატონებო და ბატონებო!
დიდად პატივცემულ საზოგადოებას სიხარულითა და სიამაყით ვაუწყებთ: კავკასიის ჰაერნაოსნობის საზოგადოების, სადაზღვევო საზოგადოების “საპნის ბუშტი”, ბანკის “ნაღდი ყალთაბანდი” და საქველმოქმედო საზოგადოების “ნუგეში ნუ მოგიშალოთ” თაოსნობით, თანადგომითა და შეწევნით ამა წლის 19 სექტემბერს, კვირას, დღის 2 საათზე, დიდუბის ჰიპოდრომზე გაიმართება გრანდიოზული, ჯერ არნახული, წარმოუდგენელი, ფანტაზიური, ენით აუწერელი, გამაოგნებელი, საოცნებო, გამაყეყეჩებელი

სანახაობა!!!

საჰაერო ბურთის “გულადი მაწანწალა” გაფრენა!

და ოთხი პატივცემული გვამის, მამაცი და მოუსვენარი ჰაერნაოსნების: მამამზე შინდაუკაძის (შეფ-პილოტი, სატანვარჯიშო საზოგადოების “სტამბოლის კაჟი” საპატიო თავმჯდომარე), ჯოდორი მსუქ-

ნიშვილის (პილოტი, სააქციო საზოგადოების “კოჯრის ნიავი” წარ-
გზავნილი), მახარე კოპალაურის (პილოტი-შტურმანი, ვაჟთა

გიმნაზიის “არწივები” გეოგრაფიის მასწავლებელი) და წა-
თე წყალხმელაძის (პილოტი, გაზეთის “ტფილისის ცხელ-ცხელი
ამბები” საგანგებო კორესპონდენტი) –

გმირული საჰაერო მოგზაურობის დასაწყისი!
პირველად ჩვენს ქალაქში!
პირველად კავკასიაში!
ჩვენი დროის ყველაზე ხმაურიანი სენსაცია!
საუკუნის უდიდესი მოვლენა!
ახალი ეპოქის დასაწყისი!
ისტორიული მომენტი!
ცისა და საჰაერო სტიქიონის დაპყრობა!
უჩვეულო სეზონის უჩვეულო გახსნა!
ეს არ არის ხუმრობა!
ეს არ არის გადაჭარბება!
ეს არის სინამდვილე!
ეს არის საოცრება!
განსაცვიფრებელი ტექნიკური იდეა! ახალი ბრწყინვალე ატრაქციონი,
განსაკუთრებული, განუმეორებელი სანახაობა!
ცოცხალი შესრულებით, ყოველგვარი ცუღლუტობის გარეშე!
ამაღელვებელი, აღმაფრთოვანებელი მოვლენა!
გაუგონარი ეფექტი – ამის წარმოდგენა შეუძლებელია!
ყველაფერი უშუალოდ, საკუთარი თვალით უნდა იხილოთ!
მოვესწარით – ადამიანი ჩიტივით თავისუფალია!
კაცობრიობის ათასწლოვან ოცნებას ფრთები შეესხა!
ახალი საუკუნე 19 სექტემბერს იწყება!!!
საჰაერო მოვლენა!
მიწიდან – ღრუბლებისკენ!
გიგანტური ნახტომი სამყაროს საიდუმლოებათა შეცნობასა და ათვისებაში!
ათასი – ახალი შთაბეჭდილება, მილიონი – ახალი განცდა,
მილიარდი – ახალი აზრი!
თქვენ გელით უზომო სიხარული – ეპოქალური გამარჯვება საჰაერო
სტიქიონის უკიდეგანო და შეუცნობელ იდუმალებასთან!
თქვენ ხდებით ისტორიული მოვლენის უშუალო მოწმე და მონაწილე –
კაცობრიობის მიერ საჰაერო სტიქიონის უსაზღვრო ოკეანის დამორჩილები-
სა!
თვალნათლივ წარმოგიდგებათ თანამედროვე ადამიანის
გონების ძალმოსილება და ნების ძლევამოსილება!
ტანში ჟრუანტელი დაგივლით, სისხლი მაჭარივით აგიშუშხუნდებათ ძარღვებში!
თქვენ გელით ზიარება აღმოჩენასთან! იწყება ახალი ეპოქა – კაცობრიო-
ბა დავაუკაცდა, მის წინაშე ახალი ჰორიზონტები იშლება! ადამიანის სი-
ცოცხლეს ახლი აზრი ეძლევა, იბადება ზეადამიანი! თქვენთვის გაქრება
ნებისმიერი წინაღობა! თქვენ იდგომებით მიწაზე და ამის მიუხედავად
თქვენი სული ამაღლდება მფრინავ ბურთთან ერთად, შემოუვლის მთელ
დედამიწას! თქვენთვის გაქრება ჯაჭვი – გაწყდება ჭიპლარი, რომლითაც
კაცობრიობა მარადიულად მიბმული იყო მიწაზე, აღარ იქნებით ერთი
ადგილის მორჩილი ტყვე!
მფრინავ ბურთთან ერთად იმეფებთ ჰაერში!
ღვთაებრივი განცდა!

თქვენს თვალსაწიერში მოექცევა მთელი ქვეყნიერება!
თავისუფალი იქნებით მფრინავ ბურთთან ერთად:
წარმოიდგენთ, როგორ გადაახტებით უფსკრულებს, გადაევლებით მთათა მწვერვალებს, გადალახავთ ზღვებს! თქვენთვის მოიშლება საზღვრები, გახდებით სივრცისა და მანძილის მეუფენი!
მომავლის საჰაერო ეტლი – ყველასთვის!
ყველასთვის!!!
დღეს – ოთხი გმირისთვის, ხვალ – ნებისმიერი თქვენგანისთვის!
ნებისმიერისთვის, ვისაც გული ერჩის და შორეული მოგზაურობა იტაცებს!
ცა გახდება სტუმართმოყვარე მასპინძელი – გაიფანტება ბურუსი, გაქრება სიბნელე! ასრულდება კაცობრიობის საუკუნებრივი ნატვრა – გაიხსნება ცის კარი, ადამიანი დაუძმაკაცდება ღრუბლებს, ხელს გაუწვდის ჩამოსართმევად მზესა და მთვარეს!
უდიდესი ბედნიერება – ზიარება ამაღლებულსა და ადრე მიუწვდომელთან!
სულის აღმაფრენა!
აღფრთოვანება მომხიბლავი ჯადოქრობით!
ახდენილი ზღაპარი!
ფანტაზიური სინამდვილე!
მომავლის წიაღში ჩახედვა!
თქვენ იხილავთ გზას მომავლისკენ!
ზეიმს მთელი ქალაქი დაესწრება, ნუთუ დააკლდებით თქვენ?
ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ თქვენთვის, მობრძანდით! ჩვენ ყველანი ერთად, ერთიანი ვიქნებით – გენერალი და მეკურტნე, თავადი და თულუხჩი, პოეტი და ყასაბი! მფრინავი ბურთი დიდი მაგნიტია – მიგვიზიდავს და გაგვაერთიანებს ყველას – მოხუცსა და ახალგაზრდას, მდიდარსა და უქონელს, სწავლულსა და უწიგნურს,
ბედნიერსა და უბედურს!
მფრინავი საჰაერო ბურთი არის საოცარი ფანჯარა ახალ სამყაროში!
მოდით, მიესალმეთ ცათამპყრობელ, ფათერაკების მაძიებელ
ოთხ გმირს!
თავი სიზმარში გეგონებათ:
ჯადოსნური მოგზაურობის დასაწყისი!
აქამდე მოუხელთებელის აღმოჩენის დამათრობელი მღელვარება!
გმირი მოგზაურების გაბედულებით ტკბობა!
თქვენ გახდებით მოწმენი, როგორ გავდივართ მსოფლიო ასპარეზზე,
ფეხს ვუწყობთ ცივილიზაციის გიგანტურ ნაბიჯებს!
მოიხიბლებით ყველანი: იმედგაცრუებულნი, დაჩაგრულნი, ბედის უსამართლობით უკმაყოფილონი, ვისაც აწუხებს მარტოობა, სულიერი დაღლილობა, უდალატა შეყვარებულმა, განიცადა მარცხი, ვერ ეღირსა ოცნების ასრულებას, მოწყენამ სძლია ან ვერ არის კეთილ გუნებაზე!
ყველანი, ყველანი – იგრძნობთ შვებას, დაისვენებთ და მოისვენებთ, განიკურნებით ყოველგვარი შიშისა და სისუსტისგან, დროებით მაინც განთავისუფლდებით ყოველდღიურობის მომაბეზრებელი ტვირთისგან, უკეთესი მომავლის რწმენით დაიმუხტებით, განიწმინდებით უკეთურებისა და სიავისგან, აღივსებით ოპტიმიზმითა და სიცოცხლის სიყვარულით!
ვისაც უხარია და ბედნიერია – მობრძანდით ჩვენთან!
ვინც გულგატეხილია და სასოწარკვეთილი – გელით ჩვენთან!
საჰაერო ბურთთან ერთად თქვენი სულიც ამაღლდება! თქვენ დაგტოვებთ შური და ღვარძლი, გაუბედაობა და სიმხდალე, იმედგაცრუება და

სულიერი დაღლა, გულღრძოობა და სისასტიკე, ბოროტება და ხელ-
მრუდობა და ბევრი სხვა ნაკლი თუ ხინჯი!
მწვავე, ცინცხალი, მძაფრი განცდები – თქვენთვის!
გაბედულებისა და ვაჟკაცობის მაგალითი – თქვენი შვილებისთვის!
განუმეორებელი მოვლენა უკვდავყოფილი იქნება ფოტოგრაფიითა და
სინემატოგრაფიით!
იზრუნეთ დღევანდელობაზე და იფიქრეთ მომავალზეც!
არ გაუშვათ ხელიდან უიშვიათესი შესაძლებლობა:
გადაიღეთ სამახსოვრო ფოტოსურათი საჰაერო ბურთთან "გულადი
მაწანწალა" – სახელოვან ცათამპყრობელებთან ერთად!
და 50 წლის შემდეგ თქვენ იამაყებთ და იტრაბახებთ თქვენს
შვილთაშვილებთან: თქვენც იყავით ისტორიული მოვლენის უშუალო
მოწმე და მონაწილე!
ჩვენთან მობრძანება სასარგებლოა თქვენი განათლებისთვის და
ხელსაყრელია საქმისთვის – ესაა ნათელი გზა ახალი ცოდნისკენ,
ახალი ჭეშმარიტებისკენ, ახალი ჰორიზონტებისკენ! თქვენი დასწრებით
კიდევ უფრო ამაღლდება თქვენი კეთილი სახელი, განმტკიცდება
კრედიტუნარიანობა და მოგიმრავლდებათ კლიენტები, ამაღლდება
კეთილდღეობა, გაგეზრდებათ მოგება!
ჩვენ ვიპყრობთ სივრცეს და ვიმორჩილებთ დროს!
მომავალი ჩვენ გვეკუთვნის – იგი დიადია და მშვენიერი!
გონიერად გამოიყენეთ ბედნიერი დღე – კეთილად, სასიამოვნოდ და
სასარგებლოდ გაატარეთ დრო ჩვენთან ერთად!
დიდი სეირნობა, ჭეშმარიტად სახალხო დღესასწაული!
მოგემსახურებათ უახლესი კონსტრუქციის მრავალი მოტორი, აგრეთვე
– უამრავი ეტლი და ფაეტონი!
დღის 12 საათიდან რიგრიგობით განუწყვეტლივ დაუკრავს ორი სასუ-
ლე ორკესტრი – ქალაქის სახანძრო დაცვისა და პოლიციისა!
იმღერებს ბიჭუნათა, ქალთა, ვაჟთა და შერეული გუნდები!
მოეწყობა ზღაპრული საზეიმო ფოიერვერკი! შუშხუნები! ცეცხლოვანი
ეშმაკის ბორბალი! ვარსკვლავთა წვიმა!
კარუსელი!
თოჯინებისა და ჩრდილთა თეატრები!
პატარა სამხეცე ეგზოტიკური იშვიათი ცხოველებით!
სახალისო და გასართობი ატრაქციონები!
მხიარული ცირკი!
შეჯიბრი ქართულ ჭიდაობაში!
სიმძიმეების აწევა "გულადი მაწანწალის" ჯილდოზე!
ნაძლევი ფსონების ჩამოსვლით!
მოგემსახურებათ წაუგებელი ლატარია-ალეგრი!
ჰიპოდრომის სასადილოში უხვად იქნება მრავალფეროვანი ქართული და
ევროპული კერძები, ღვინო-არაყის ფართო არჩევანი, ნაირნაირი
გამაგრილებელი წყლები, ბურახი, ლუდი, ნაყინი, ჩაი და მრავალგვარი
ტკბილეულობა, ხილი, ნესვი და საზამთრო –
ყველაფერი დიდებისა და პატარებისთვის!
დაესწრებიან საპატიო სტუმრები: ქალაქის თავი, ბატონი ჭიჭიკო ჭიჭინობელა-
ძე, კავკასიის ჰაერნაოსნობის საზოგადოების პრეზიდენტი, საპატიო მოქალა-
ქე, ბატონი ხოხე ხახალიკაშვილი, სადაზღვევო საზოგადოების "საპნის ბუშ-
ტი" თავმჯდომარე, საპატიო მოქალაქე, ბატონი შოშიტა შუშისთვალაშვილი,
სახალხო ბანკის "ნაღდი ყალთაბანდი" თავმჯდომარის ამხანაგი, ბატონი
ბარდღა ბურდღაძე, საქველმოქმედო საზოგადოების "ნუგეში ნუ მოგიშალოთ"

თავმჯდომარე, ბატონი ქველი ქვეშქვეშაძე, აგრეთვე ქალაქის ვაჭართა გილდიის, მრეწველთა კავშირის,
ხელოსანთა ამქრების საპატიო წარმომადგენლები, სტუმრები *გორიდან, თელავიდან, ქუთაისიდან, ბათუმიდან, ფოთიდან, სოხუმიდან, ბაქოდან* და სხვა წარჩინებული პიროვნებანი მეუღლეებითურთ, ოჯახის სხვა წევრებთან ერთად.

17 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე, აქვე ჩატარდება ლექციები დაინტერესებულ პირთათვის (სინემატოგრაფიით და კითხვა-პასუხით):

1. ჰაერნაოსნობის საფუძვლები — მოგახსენებთ საგანგებოდ საფრანგეთიდან მოწვეული სპეციალისტი, დამსახურებული ინჟინერ-ჰაერნაოსანი, მესიე ჟორჟ ფრანსუა.

2. თანამედროვე ჰაერნაოსნობა — მოგახსენებთ პილოტი-ჰაერნაოსანი, ბატონი მამამზე შინდაუკაძე.

18 სექტემბერს, დღის 12 საათზე, მოხდება ფართო საზოგადოებრიობის მიერ გაფრენის ადგილისა და საჰაერო აპარატის საზოგადოებრივი დათვალიერება; ახსნა-განმარტებებს გაიღებს დამსახურებული ინჟინერ-ჰაერნაოსანი მესიე ჟორჟ ფრანსუა.

იჩქარეთ! იჩქარეთ!! იჩქარეთ!!!

19 სექტემბერს დროულად მობრძანდით კარგი ადგილების დასაკავებლად!

თქვენ მოუთმენლად გელით ოთხი გაბედული მოგზაური, რომელთა სახელებიც ოქროს ასოებით ჩაეწერება ჩვენი დროის ღირსშესანიშნავ მოვლენათა მატეანეში, და გასაფრენად გამზადებული უახლესი აგებულების თანამედროვე საჰაერო ბურთი "გულადი მაწანწალა"!

სინოპტიკოსები ბრწყინვალე ამინდს გვპირდებიან: იქნება უქარო, მზიანი ამინდი, ღრუბლიანობა — 10%, ჰაერის ტემპერატურა — 22-24 გრადუსი ცელსიუსით!

(ძლიერი ქარისა და ჭექა-ქუხილის შემთხვევაში გაფრენა გადაიდება სხვა დროისთვის).

ჰიპოდრომზე შესასვლელი ბილეთების ფასი: მოზრდილთათვის — 20 თეთრი, მოსწავლეთა და ჯარისკაცებისთვის — 5 თეთრი.

ბავშვები 6 წლის ასაკამდე დაიშვებიან უფასოდ!

შემოსავლის 20% გაიღება ქალაქის სახანძრო რაზმის სასარგებლოდ, 20% შეეწევა უპატრონო ბავშვთა თავშესაფარს, 20% დაიხარჯება მომავალი გაფრენების ხელშეწყობის საჭიროებათათვის; დანარჩენი თანხა მოხმარდება "გულადი მაწანწალის" გაფრენის ხელშეწყობას და ოთხი გმირი ჰაერნაოსნის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას უბედური შემთხვევისგან. გაფრენისთვის საჭირო ძირითადი ხარჯი გაიღო შეზღუდული პასუხისმგებლობის მრავალდარგოვანმა საზოგადოებამ "დედალოსი და იკაროსი", რისთვისაც უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

მობრძანდით, გელით!

ძაღლებიანი და შეზარხოშებული მოქალაქენი სანახაობა-დღესასწაულზე არ დაიშვებიან.

მოფამფალებული ნერვიული სისტემის მქონეთ და მძაფრი განცდების მორიდეთ, აპოპლექსური დამბლისკენ მიდრეკილთ, გულით სუსტებს, აგრეთვე მხდალთა და მშიშართა ყოველთა — გთხოვთ, თავი შეიკავოთ დასწრებისგან!

აი, ასეთი განცხადება გამოქვეყნდა გაზეთში. მსგავსი განცხადებები, ოღონდ ბევრად შეკვეცილ-შემოკლებული ტექსტით, იყო წარწერილი ქალაქის ხალხმრავალ ადგილებში განლაგებულ მრავალრიცხოვან უზარმაზარ დაფებზე. სამაგიეროდ, გაზეთებისგან განსხვავებით, მათზე ეხატა ერთი ხელოსანი მხატვრის მიერ შესრულებული შეფ-პილოტ მამამზე შინდაუკაძის პარადული პორტრეტი: არაბუნებრივად თვალებგადმოკარკლული, ზომაზე მეტად დიდულვაშიანი ბატონი ჰაერნაოსანი საჰაერო ბურთის კალათიდან დურბინდით ათვალიერებდა ქვევით განვრცობილ გარემოს: მთა-ველს, მდინარეს და ჭიაყელასავით დაკლაკნილ მატარებელს; გვერდით მისი ამხანაგებიც ჩანდნენ, მაგრამ რატომღაც მეტისმეტად პატარები — ეტყობა, მხატვარს მათთვის ადგილი აღარ ეყო და დანარჩენი სამი ჰაერნაოსანი ბატონ მამამზეს თუნდაც მარცხენა ულვაშის ტოლი არც იქნებოდა თითოეული.

კარი II. სისულელეა ჰაერში აჭრა, სადამდე გინდა იქ დაიმალო?

დიდებული დილა გათენდა 19 სექტემბერს, სწორედ რომ მშვენიერი! მზიანი, უქარო, ზომიერად თბილი დღე დადგა.

დილიდანვე ზღვა ხალხმა იწყო დენა საჰაერო ბურთის გაშვების ადგილისკენ – ადამიანთა უწყვეტმა ნიაღვარმა ჟრიამულით გაავსო ჰიპოდრომისკენ მიმავალი ერთადერთი ვიწრო და ოღროჩოღრო ქუჩა; ტრამვაი ვეღარ დადის, ეტლებს უჭირს გზის გაკვალვა. უმრავლესობა ფეხით მოდის, ენაგადმოგდებული ძაღლები დაძრწიან წინ და უკან. ჭრელი, ფერადოვანი, აზიმზიმებული ბრბო ჰიპოდრომსა და მიმდებარე ტერიტორიაზე სულ უფრო ხალხმრავალი ხდება.

ხალხი კედელივით დგას შესასვლელთან, ირგვლივ სახლების თუ რკინიგზის გასწვრივ გაჭიმული საწყობების სახურავებიც კი გადაშავებულია ბიჭბუჭობით, ხეებიც დახუნძლულია ბავშვებით. ბეღურები განცვიფრებულნი ჭყიპინებენ: "რა გააჭირეს საქმე ამ ონავრებმა, ყველა ჩვენი ხე და სახურავი რომ მიისაკუთრეს? ნამუსი დაკარგეს თუ გაგიჟდნენ ყველანი?"

დუღს, ბრუნავს ბრბო: ჯიბის ქურდები და პოლიციელები, მაწანწალები და მათხოვრები, ყალთაბანდები და დოყლაპიები, ბაზრობაზე ურმებითა და ცხენებით ჩამოსული გლეხები და ყომარბაზები; დაბორიალობენ იადონებითა და მტრედებით მოვაჭრენი (ბავშვები ნაყიდ მტრედებს მაშინვე თავისუფლებას ანიჭებენ – ყიჟინით შეაგდებენ მაღლა ჰაერში), რკინიგზის მუშები, ბოშა მკითხავები; ქუჩის ფოტოგრაფი თავს იქებს, ექაჩება და ლამის აწყვეტს ღილებს გამვლელთ – მობრძანდით, უკვდავყავით თქვენი სახეო; ფეხებში ყველას ებლანდებიან ცუღლუტთვალება ძაღლები, დაეხეტებიან მარტოობის ნაღველით სენშეპყრობილნი...

ჰიპოდრომის სავარძლები რა ხანია, გაჭედილია რჩეული საზოგადოებით.

გრიალებს ხან ერთი ორკესტრი, ხან – მეორე, გაჰკივიან და დაათრევენ უზარმაზარ დოქებს წყლის გამყიდველი ფეხშიშველა ბიჭები, ხმის ჩახლეჩამდე ღრიალებენ ცხელ-ცხელი ღვეზლების, ტკბილეულის, ნამცხვრების, ნაყინის, ფერად-ფერადი გასაბერი ბუშტების, შაქარლამის მამალოების, ჩიტ-სასტვენების, თიხის გოჭ-ყულაბების, თოჯინების, ცოცხების, ყანწების, ქალამნების, კახური ქუდების და ათასი სხვა რამის გამყიდველები.

ჰიპოდრომის სარბენი ბილიკის შიგნით მინდორზე არავის უშვებენ, – გახურებული მუშაობის ადგილი მსხვილი ბაგირებითაა შემოკავებული, – იქიდან უნდა მოხდეს საჰაერო ბურთის გამართვა და გაშვება. ახლა იქ ტრიალებენ ტექნიკოსები, იქვეა ჩანთაგადაკიდებული, თეთრხალათიანი ექიმი ველოსიპედით და კიდევ ვიღაც-ვიღაცეები, რომლებიც ცნობისმოყვარედ ათვალიერებენ მბრწყინავი, გაქონილი, ყავისფერი აბრეშუმის მსუბუქი, ნახევრად გამჭვირვალე ქსოვილისგან შეკერილ ბურთს, რომელიც თოკის ბადეშია მოთავსებული, და ამ ბადეზე სტროპებით დამაგრებულ გონდოლა-კალათს.

დაფუსფუსებენ, საქმიანი გამომეტყველებით უკვე აჩხაკუნებენ ფოტოაპარატებს დაძაბულმზერიანი ფოტოგრაფები, აწრიპინებენ კალმებს გაზეთთა კორესპონდენტები, კითხვებს იძლევიან იმ ჯურის პიროვნებანი, რომლებიც ნებისმიერ ზღუდეს და წინაღობას გადალახავენ ხოლმე, ოღონდ თავიანთი ცნობისმოყვარეობის ჭია გაახარონ.

– რა ღირს ეს აპარატი? – კითხულობს ერთი დიდცხვირა, შუახნის კაცი.

– ორი აბაზი, მაგრამ შენ იაფად დაგითმობ – სამ შაურად! – პასუხობს ახალგაზრდა ტექნიკოსი და ღიმილში თეთრ კბილებს აჩენს.

– რა თანხაა შეტანილი გირაოდ? – კითხულობს მეორე, თავმოტვლეპილი; პასუხს არავინ სცემს, ის კი თავისას განაგრძობს: – თუ ბურთი დაზიანდა ან ჩამოვარდა, ვინ უნდა ზღოს ზარალი?

– გადაირია ქვეყანა! – მჩხავანა ხმით განგაშს სტეხს აწოწილი, თბილ პალტოში და ყურებიან ქუდში გამოწყობილი მოქალაქე. – ეს არის პროგრესი? ეს არის წინსვლა? ღმერთს ეურჩები, ქერუბიმივით ჰაერში მოინდომე ნავარდი, ეს მკრეხელობა შეგრჩება? ნახე, თუ არ ჩაფლავდეთ! არ მეგონა, თუ ამგვარი უგუნურებაც არსებობდა... ცაში სასეირნოდ გაქვთ საქმე, თქვე უბედურებო? ჭკუას გადაცდენილხართ და სხვებსაც აგიჟებთ... საით მივდივართ, რომელი უფსკრულისკენ მივექანებით?

მის მოთქმა-ჩივილს დიდხანს ყურადღებას არავინ აქცევს, ბოლოს, ერთი ახალგაზრდა ვეღარ ითმენს და პასუხობს:

– რას ბრძანებთ, პატივცემულო, ცაში მიფრინავენ, ცაში, იქ უფსკრულებს რა უნდა?

– როგორ თუ რა უნდა? ჩამოვარდება ეგ შენი ნაქები გაბერილი საჰაერო ბურთი და...

– თუ წასვლა-მოსვლა გინდა, რკინიგზა რისთვის არსებობს? – გამოუჩნდა მხარდამჭერი აწოწილს – დაბალ-დაბალი, ღიპიანი მოქალაქე, სისქისგან რომ ქოშინებდა. – ჩავჯდები კოხტად ვაგონში და განრიგით მიბრძანდები, საცა გაგიხარდება... ვაგონ-რესტორანიც იქვეა.

– ნუ გეშინიათ, თქვენ ხომ არავინ გაიძულებთ, გინდა თუ არა, გაფრინდიო... – უპასუხა ახალგაზრდამ.

– მაშ, არ არის სახიფათო? შენ გაბედავდი საჰაერო ბურთით გაფრენას? – ოდნავ გაცხარდა ღიპიანი.

– რა არის საშიში! ინგლისში ყოველ შაბათ-კვირას უამრავი ხალხი ერთობა საჰაერო ბურთით, ქალებიც აღარ ჩამორჩებიან კაცებს, – ახალგაზრდა უკვე ნანობს, რომ დავაში აჰყვა და მაინც ვერ ჩერდება.

– ქალები არა, ის არ გინდა?!. – ეჭვით თვალებს წკურავს აწოწილი.

– დიახ! გაზეთებს მაინც არ კითხულობთ?

– რა დიახ?!. – ბრაზს ვეღარ იკავებს აწოწილი და ღიპიანს მიუბრუნდება: – კაცო, ეს რა დრო დაგვიდგა, ჰა? გაგიგონია, კაცი ცაში მიფრინავდეს? ღმერთი ამას დაუშვებს? ვერ დაეტევიან მიწაზე? ნეტა რა ხვითო დარჩენიათ ზეცაში?

სქელი მოქალაქე თანხმობის ნიშნად თავს უქნევს:

– აი, რკინიგზა, ჰო, მესმის, – წახვალ, მოხვალ, საქმეს გააკეთებ. ესენი საით გაუტევენ, ქარი საით გააფრენს, ისიც არ იციან.

– თვითონაც მაგრა აფრენენ, ამათ რა ჭკუა მოეკითხებათ?.. უსაქმურები!.. დავიჭერდი და ერთს გემოზე გავროზგავდი!..

აქ საუბარში ერთი ხელჯოხიანი ბებერიც ჩაერია ჩიფჩიფით:

– რას ამბობენ, ქალები მართლა მიფრინავენო? ვაჰ, როგორ შეიცვალა დროება! ვიფიქრებდი, რომ ეგეთ რამეს მოვესწრებოდი, ჰა? ჰაერში, კაცო, ცაში ადიან მაღლა! ჩიტები ხომ არ არიან ეგ ოხრები! აი, მე მახსომს ის დრო, კარგად მახსომს, პირველი ორთქლმავალი რო შემოვიდა ფოთიდანა... უნდა გეცქირნა, რა ამბავი ატყდა! ხალხი ახლო მისვლას ერიდებოდა, ემანდ ცეცხლი არ გამოუშვას გველეშაპივითა ან მდუღარე წყლით არ დაგვფუფქოსო, მაშ!.. ბევრსა მატარებელში ჩაჯდომისა ეშინოდა, ამბობდნენ, ორთქლმავალში ქაჯები და ავი სულები არიან შებმულებიო...

– ბიძაჩემო, შენ აქ ვინ შემოგიშვა, მესერზე ხომ არ გადმოძვერი? – ეხუმრება ახალგაზრდა.

– გეტყობა, გაბუქვა გიყვარს და ალბათ მოატყუე კარისკაცი, მე უნდა გავფრინდეო, – ამატებს მეორე ახალგაზრდა, რომელიც რაღაც-რაღაცეებს ამოწმებს გონდოლის აღჭურვილობაში.

– აქა, შვილებო, შემოსასვლელად რა ნებართვა მჭირდება, ამ მიდამოებს შევაბერდი. მახსომს, ძველად ამ ადგილებში კურდღელზე ვნადირობდით მწევრებითა, ჩირგვნარი იყო, პურის ყანებიცა – ზაფხულის ბოლოს მწყერი იცოდა ბლომად... ახლა კიდე ეს ანტონობილია თუ რაღაც ეშმაკი, პირველად რო გამოჩნდა ქუჩაში ფრუტუნ-ფრუტუნითა – ჯიშიანი ცხენივითა, ჰო-ჰო, რას ჰყარდა! რას თუხთუხებდა! რო გაუტია ტრახტრახითა, აბა, რომელი ბიჭები დაეწეოდნენ!.. მისდევდნენ სტვენითა, გაეკიდნენ გაგიჟებული ძაღლებიცა ღავღავითა, ცხენები ისე დაფრთხნენ, კინაღამ გადაატრიალეს ეტლები – დავიხოცენით სიცილითა, ჰი-ჰი-ჰი!..

– რა გაცინებს, შენ აქ სალაღობოდა ხარ მოსული? – რატომღაც უბრაზდება მოხუცს აწოწილი მოქალაქე. – ნახე რაღა ცირკი!

– ცირკია მა რა არი, რატომაც არ უნდა გავერთო, – აინუნშიც არ აგდებს აწოწილის გაბრაზებას მოხუცი და უდარდელად იღიმება.

– ეგ რა ცირკია, თუ ძმა ხარ! ცირკი კი არა, მამაძაღლი ყალთაბანდები არიან, დასაჭერები! ამდენი პოლიცია რომ მოხვეტილა აქა, რაღას უცქერის, ჰა?!. – ინდაურივით იფხორება აწოწილი.

– პოლიციელსაც მოვიყვან და თქვენც საკადრისად მოგივლით! – იმუქრება უკვე გაბეზრებული ახალგაზრდა. – საიდან შემოაღწიეთ, ვინ მოგიშვათ აქა? ხელს გვიშლით, წაბრძანდით აქედან!..

ახალ-ახალი ცნობისმოყვარენი მაინც დაუძვრებიან ცხენოსან პოლიციელებს, შეაღწევენ მსხვილი ბაგირებით შემოკავებული მინდვრის შიგნით და იღრიჭებიან:

– მანახვე რა, ხელი მომაკიდებინე, კაცო, რა იქნება!

– ტყუილად ხომ არ გადავიხადე ოცი თეთრი და შემოსვლისას კიდევ ჭეჭყვაში კინაღამ ნეკნებიც ჩამიმტვრიეს, მოწყვეტილ ღილებს და გაფხრეწილ ხალათს აღარ ვჩივი! ახლა შენ მეჭიდავები და მაგდებ აქედან?!.

– გაიწიეთ იქით, მოსცილდით აპარატს! – ყვირიან ბურთის მცველნი.

ცნობისმოყვარენი ყველგან და ყველაფერში ჰყოფენ ცხვირს, უამრავი კითხვებით გულს უწყალებენ ისედაც დიდად დაკავებულ და აფორიაქებულ საჰაერო ბურთის გასაფრენად მომმზა-

დებლებს, ცდილობენ, ხელით გასინჯონ აღკაზმულობა, გონდოლა, ზოგიერთები სუნავენ და გემოსაც კი უსინჯავენ – ერთმა ენაც კი გაუსვა ბურთის გარსაცმს!

– ფუი! – გადმოაფურთხა, – ეშმაკის სუნი უდის, ნაღდად საიქიოდან არის მოვლენილ-მოფრენილი!

– საიმედოა ვითომ ყველაფერი, ენდობა კაცი? – ეჭვიანობს ვიღაც სათვალიანი კირკიტა და ტუჩებს პრუწავს. – კარგი და გიღალატა, – გასკდა ბურთი, – სად მიდიხარ?

– ეს ოთხი კაცი რომ ამოურჩევიათ, ვინ არიან, რატომ მაინცდამაინც ისინი მიფრინავენ? – გულმოსული კითხულობს საოცრად ჩასუქებული მოქალაქე, წონით არანაკლებ რვა ფუთისა, შეუფერებლად წვრილი, ჭიჭყინა ხმით. – არ იქნებიან ისინი პატიოსანი ადამიანები... რომ გარბიან, რატომ გარბიან? ეს არის გამოსარკვევი!.. მოპარული ექნებათ ბლომად – ნაღდად! მიხვალ ხვალ ბანკში შენი საკუთარი ფულის გამოსატანად და დაგხვდება დაკეტილი კარები ზედ დახატული ხვიშტილაკით – ვითომ ბანკი გაკოტრდა... აგცინცლავენ ფულს და ეძებე მერე ისინი ცაში!

– სიგიჟეა ჰაერში აჭრა, სადამდე გინდა იქ დაიმალო? ბოლოს ხომ უნდა ჩამობრძანდე მიწაზე! – ენას იფხანს მის გვერდით მდგომი ჩია ტანის გაწლინკული კაცი.

– ხედავთ, რა ხდება? – მიუბრუნდა მას ჩასუქებული. – მოიცათ, მალე ყაჩაღებს ჰაერშიც ვეღარ დაემალები, იქაც მოგაგნებენ და გაგფცქვნიან!

პატარა ბიჭების ცნობისმოყვარეობა ხომ უსაზღვრო და უსამანოა.

– ბურთი რომ მაღლა წავა, სადამდე?

– ცა რომ გაიხვრიტოს, რა მოხდება?

– ჩვენ რომ წავყვეთ, არ შეიძლება?.. ცოტაზეც არა?.. რატომ?

– ამდენი მტრედი ვისია? მემტრედე მიფრინავს?

– ამას რა ჰქვია? რისთვისაა?

– ბურთის შიგნით რა არის?

კარი III. აირია მონასტერი...

ამ დროს ჰიპოდრომის შესასვლელთან ცხენოსანი პოლიციელები შეაფუცხუნა ყორანა ცხენზე ამხედრებულმა ქალაქის პოლიციის უფროსმა გულივერ ბაღდევაძემ, რომელიც პირადად ხელმძღვანელობდა წესრიგის დაცვას – ახლოვდებოდა გრუხუნი და განუწყვეტელი ზარის რეკა. მალე გამოჩნდა ჭენებით მომქროლავი მეხანძრეთა მაცნე – მხედარი, რომელიც სპილენძის საყვირს გამეტებით აჭყვირებდა. მას უკან მოსდევდა მტვრის ბუღში გახვეული სამი მძიმე სახანძრო საზიდარი; თითოეულის კოფოზე ამაყად გაჯგიმული სამი მეეტლე თავს ძლივს უჭერდა ღონიერი წაბლა ცხენების ოთხეულს. წინა საზიდარზე ფრიალებდა სახანძრო ნაწილის დროშა და ზარს განუწყვეტლივ აჟღრიალებდა დიდულვაშა მეხანძრე. ამჯერად მეხანძრეებს არ მოჰქონდათ წყლის საქაჩი ორთქლის მანქანა, კიბეები, წყლიანი კასრები, ვედროები, ჩანგლებიანი ჭოკები და სხვა, რამდენადაც ხანძრის ჩასაქრობად კი არა, ზეიმზე დასასწრებად მოიჩქაროდნენ – შემოსული თანხის ერთი მეხუთედი შემოწირული უნდა ყოფილიყო ქალაქის ხანძრისგან დაცვის საჭიროებისთვის. საზიდრებზე ყინჩად გამოებზიკათ წინ მკერდები საპარადო ფორმაში გამოწყობილ, სპილენძის მოლაპლაპე ჩაფხუტიან მეხანძრეთ; სულ უკან მეოთხე, ორცხენიანი საექიმო დახმარების ეტლი-ლანდო მოირწეოდა რბილ რეზინის საბურავებზე.

ათიოდ წუთში პოლიციელები ისევ დაფაცურდნენ – ჩახლეჩილი ხმებით წამდაუწუმ გაჰყვიროდნენ: "გაიწით, გაატარეთ!" – შორიდან ისევ მოისმა გაბმული ჭყვირილი თუ ბღავილი, ამჯერად ავტომობილის – "მოტორის" – საყვირისა. უსწორმასწორო გზაზე საშინელი ხმაურით და ნჯღრევით მომგორავ, შავად მბრწყინავ ავტომობილს უკან სტვენითა და ჟივილ-ხივილით სირბილით მოსდევდნენ აცეტებული ბავშვები, რომლებიც ძლივს ჩანდნენ მტვრისა და მყრალი გამონაბოლქვის ბუქში.

ავტო ჰიპოდრომის ჭიშკართან მიგრიალდა. პოლიციელთა მიწოლის გარეშეც შეშინებულმა ხალხმა რიდით გაიწ-გამოიწია.

გაჩერებული ავტოდან დინჯად გადმობრძანდა მედიდური შოფერი – მაღალი და გაბღენძილი, ტყავის შავ ქურთუკში გამოწყობილი. ყველას იგი ეგონა შეფ-პილოტი, ბატონი მამამზე შინდაუკაძე და ტაში გამეტებით დასცხეს. ახლომახლო ხეებზე შეხორხლილი უბილეთო ბიჭები-"ბეღურები" სხვებს აჰყვნენ და კინაღამ ძირს ჩამოცვივდნენ. ტყავის ქურთუკიანმა დიდი საშოფრო სათვალეები ტყავის ქუდზე ასწია და დიდის ამბით დაუკრა თავი ხალხს, შემდეგ შავი, მბრწყინავი კრაგებისა და გაკრიალებული, მძიმე ფეხსაცმელების საზეიმო ჭრაჭუნით აუჩქარებლად შემოუარა ავტოს წინიდან, მეორე მხარეს კარი გამოაღო და შიგ მჯდომ კაცს მიმართა:

– ბატონო მამამზე, გთხოვთ!

ზორბა ტანის ჰაერნაოსანი, შეფ-პილოტი მამამზე შინდაუკაძე დარბაისლურად გადმოვიდა ავტოდან, ხელში რომ ეჭირა, ის თოფი მხარზე გადაიკიდა, შავ, მსხვილ ულვაშებზე საჩვენებელი თითი გადაისვა და ოდნავ გადმოკარკლული ხარის თვალები ირგვლივ მყოფთ მიმოატარა.

ამასობაში მოგრიალდა კიდევ რამდენიმე ავტო, ასევე – საშინელი ტრახტრახით და მუქი ბოლის ფრქვევით. ჰაერნაოსნებს და მათ თანმხლებ პირებს პოლიციელებმა გზა გაუთავისუფლეს მოზღვავებული ხალხის კედელში და უბილეთოდ შესვლის მსურველთა შეტევაც მოიგერიეს.

ჰიპოდრომზე სასულე ორკესტრებმა ერთსულოვნად დასცხეს მისასალმებელი საზეიმო მარში.

დამსწრე პატივცემული საზოგადოება ასევე ერთსულოვნად მკვირცხლად წამოხტა სკამებიდან (ფრაკების, სერთუკების საერთო მუქ ფონზე ალაგ-ალაგ ჩართული იყო ქალთა ნაირფერადი კაბების და ქუდების ლაქები).

საპატიო ყარაულში მყოფი სამხედროები სამმაგი "ვაშას" შეძახილით შეეგებნენ ჰაერნაოსნების გამოჩენას.

წყალბადით სათანადო ზომით გავსებული საჰაერო ბურთი "გულადი მაწანწალა", გვარლებით დაბმული, ბალახიანი მოედნის შუაგულში ნელა ირწეოდა აქეთ-იქით.

გვერდიგვერდ ჩამწკრივებული, შავ კომბინეზონებში გამოწყობილი ოთხი ჰაერნაოსანი საზეიმო გაცილების ცერემონიალს შემკრთალი და აღელვებული უსმენდა (ჯოდორი მსუქნიშვილი რაღაცას ილუკმებოდა)...

გაერთიანებულმა გუნდმა სადიდებელი სიმღერა დააგუგუნა.

შემდეგ შეკრებილთ პირველმა მიმართა ქალაქის თავმა ჭიჭიკო ჭიჭინობლაძემ:

– ძვირფასო თანამოქალაქენო! დღეს ჩვენ მოხარული ვართ, დავესწროთ ოთხი მამაცი ჰაერნაოსნის – მამამზე შინდაუკაძის, ჯოდორი მსუქნიშვილის, მახარე კოპალაურისა და წათე წყალხმელაძის – გმირული მოგზაურობის დაწყებას და გზის დალოცვას. მე დიდი პატივისმცემელი გახლავართ გაბედული ადამიანებისა, სიამაყე მიპყრობს, რომ შემიძლია, მათ მივესალმო და მივულოცო ეს დიდი მოვლენა ჩვენი ქალაქისა და ქვეყნის ცხოვრებაში. წარმატებას ვუსურვებ მათ! ქვეყნიერებას ნახავენ, გამოიწრთობიან, განათლდებიან და დიდებით მოსილნი, გამარჯვებულნი დაგვიბრუნდებიან. აქამდე ვინ იცნობდა ჩვენს მტვრიან, პირდაუბანელ ქალაქს? ახლა კი მთელი მსოფლიო გაიგებს და ტაშს დაუკრავს ჩვენი მშობლიური ქალაქის სახელს, ჩვენს საქონელსაც მეტი გასავალი ექნება მსოფლიოს ბაზრებზე – მოგზაურებს თან მიაქვთ ჩვენი საწარმოების თუ სააქციო საზოგადოებათა სარეკლამო მასალები. დროა, გავიდეთ ფართო საერთაშორისო ასპარეზზე! ღმერთო მომკალი, სხვებზე ნაკლები რითი ვართ, რატომ უნდა ჩამოვრჩეთ ვინმეს? დროა, ჩვენც გავფრინდეთ და ისეთნაირად, რომ სხვებს ვაჯობოთ კიდეც! კეთილი მოგზაურობა და გამარჯვებით დაბრუნება ვუსურვოთ ჩვენს გზის გამკვალავ გმირებს, ვაშა!

საზეიმო ცერემონიალის განმკარგულებლის ნიშანზე ქალაქის პოლიციის სასულე ორკესტრმა დასცხო მქუხარე მარში "კატისა და თაგვთა ომი!"

შემდეგ შეკრებილთ ხაფი ხმით მიმართა ქალაქის სახანძრო დაცვის უფროსმა პომპეუს პომპოლიკაშვილმა:

– საჰაერო სტიქიონთან გმირულად მორკინალთ ჩვენი მეხანძრეების მგზნებარე ცეცხლოვანი სალამი! ჩვენო ლამაზო და მამაცო, ზნეკეთილო ძამიკოებო, თქვენთან ერთი სათხოვარი მაქვს და, იმედია, გაითვალისწინებთ – ქალაქის მოსახლეობის კეთილდღეობისა და უშიშროებისთვის. თქვენი სწორუპოვარი მოგზაურობა იმითაც არის ძალიან, ძალიან კარგი, რომ ძალიან, ძალიან მაღლა ახვალთ თუ აფრინდებით, ღრუბელს დაედარებით და, ცხადია, ძალიან, ძალიან გაგიფართოვდებათ ხედვის არე... ზევიდან ყველა ხანძრის კერა ძალიან, ძალიან კარგად გამოჩნდება. ჩვენი თხოვნაა: როცა მაღლა-მაღლა ახვალთ, ქალაქის თავზე რომ იქნებით, კარგად, ძალიან კარგად დაუკვირდით ზევიდან და თუ სადმე საეჭვო კვამლს ან, მით უმეტეს, ცეცხლის კერას შეამჩნევთ, საჩქაროდ დააზუსტეთ მისი ადგილმდებარეობა – განლაგება, მასშტაბი, გავრცელების მიმართულება – და მაშინვე წერილი ჩამოაგდეთ, გვაცნობეთ სახანძრო დაცვის ხელმძღვანელობას სასწრაფო ოპერაციული ღონისძიების ჩასატარებლად სტიქიური უბედურების ლოკალიზაციისა და შემდგომ სრული ლიკვიდაციის მიზნით! წარმატებას გისურვებთ თქვენი კეთილშობილური და ვაჟკაცური მოღვაწეობის ყველა მონაკვეთზე!

სახანძრო დაცვის სასულე ორკესტრმა ცეცხლოვანი ფანტაზია "ფოიერვერკი" გააჩაღა; დამსწრე საზოგადოების უკლებლივ ყველა მონაწილეს გული ძალუმად აჩქროლდა, თითქოს ისინიც აპირებდნენ ცის უნაპირო სივრცეში განავარდებას.

შემდეგ სიტყვა ითხოვა სადაზღვევო საზოგადოების "საპნის ბუშტი" თავმჯდომარემ შოშიტა შუშისთვალაშვილმა:

– ჩვენო სწორუპოვარო ლომებო! მოგესალმებით სადაზღვევო საზოგადოების "საპნის ბუშტი" გამგეობის სახელით და გამარჯვებულებს მშვიდობით დაბრუნებას გისურვებთ! მოხარული ვარ, ვაცნობო დამსწრე საზოგადოებას, რომ ოთხივე ჰაერნაოსანი დროულად და ყველა წესის სრული დაცვით საიმედოდ დაზღვეულია ჩვენს საზოგადოებაში – თითოეული ფრიად მნიშვნე-

ლოვან თანხად და, ამრიგად, ჩვენო სანაქებო ჰაერის დამპყრობო დაზღვეულო მოქალაქენო, აწი შიში ნურაფრისა გექნებათ – თუნდაც დასახიჩრდეთ ან, ღმერთმა გაშოროთ, დაიღუპოთ კიდეც, ყველა შემთხვევაში გაიცემა სოლიდური სადაზღვევო თანხა და თქვენს ოჯახებს უზრუნველყოფილი ექნებათ შესაბამისი ცხოვრების დონე. დიახ, ჩვენი ქალაქის პატივცემულო მოქალაქენო, უნდა გაცნობოთ, რომ ყოველგვარ სარისკო საქმეში ჯობს, დაიჭიროთ თადარიგი და დროულად წინასწარ დაეზღვიოთ ჩვენს საიმედო სადაზღვევო საზოგადოებაში "საპნის ბუშტი". აი, მაგალითად, მე ამას წინათ სიზმარი ვნახე, რომელიც ყველას დაგვაფიქრებს: ჩვეულებრივი, უწყინარი მოხელე შინ მიდიოდა შესვენების დროს სასაუზმოდ, – ბინა იქვე, ქუჩის მეორე მხარეზე ჰქონდა, – და იცით, რა მოხდა?!. არა, ქალბატონებო და ბატონებო, ეტლი არ დასჯახებია, არც მოტორს გაუსრესია, არც ყაჩაღები დასხმიან თავს, არც ფეხი წამოუკრავს ქვისთვის და, ცხადია, არ წაქცეულა და თავიც არაფრისთვის დაურტყამს... დიახ, არც მეხი დასცემია ანაზდეულად და არც შუადღის მზეს დაუკრავს თავში... აი, ეს კალათი, რომელიც ახლა საჰაერო ბურთზეა საიმედოდ მიმაგრებული (იმედი მაქვს, რომ ნამდვილად საიმედოდაა), მოულოდნელად მოწყდა და ჩამოვარდა, უბედურს ზევიდან მოხვდა და იქვე სული გააფრთხობინა! საწყალი, კიდევ კარგი, დაზღვეული იყო და საკუთარი ცოლ-შვილი უსახსროდ არ დაუტოვებია! – შოშიტა შუშისთვალაშვილმა მაღლა ასწია მარჯვენა ხელის სალუქი სალოკი თითი...

სიტყვის გაგრძელება და, მით უმეტეს, დასრულება არ დასცალდა, რამდენადაც გაცეცხლებული ჰაერნაოსნები გინებით მივარდნენ და მალე მათი ნავარჯიშები მუშტების გემოსაც გასინჯავდა საკუთარ ცხვირ-პირსა თუ ბეჭებზე, მაგრამ სადაზღვევო დარგის გამოცდილი მოღვაწის შეუმცდარმა ალღომ დროულად უკარნახა, რომ მაშინვე სასწრაფოდ მოეკურცხლა კურდღლის დარად; უკან მოუხედავად ისეთი სისწრაფით მოუსვა, ნამდვილად იფიქრებდით, რომ ასე იმიტომ იკლავს თავს, ალბათ თვით ვერ მოასწრო საკუთარი ძვირფასი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევა და ოჯახის ულუკმაპურად დატოვებისა ეშინიაო.

აირია მონასტერი...

მისალმების მსურველთა სიაში კიდევ ბევრი პატივსაცემი პირი ირიცხებოდა, მათ შორის – უპატრონო ბავშვთა თავშესაფრის მზრუნველი, იმ გიმნაზიის დირექტორი, რომელიც ბრწყინვალედ დაასრულა ბატონმა მამამზემ და ქალაქის პოლიციის უფროსი, მაგრამ, სამწუხაროდ, არავის მიეცა საშუალება, საკუთარი ენამზეობის თუ ოქროპირობის წარმოჩენისა და გუნებაგაფუჭებულმა შეფ-პილოტმა მამამზე შინდაუკაძემაც კი მეგობრებს სთხოვა, რომელიმე მათგანი შემენაცვლოსო. არადა, მომზადებული ჰქონდა სამადლობელი სიტყვა, მაგრამ რა სიტყვა! – ჭეშმარიტად განუმეორებელი, ბრწყინვალე სიტყვა, ბრილიანტი სიტყვა!.. ახლა კი მის მაგივრად გამოსამშვიდობებელი სიტყვის წარმოთქმა თავს იდვა პილოტმა ჯოდორი მსუქნიშვილმა.

– ტრაბახად ნუ ჩამომართმევთ და... ლიფსიტას ღლავად არ ვაქცევ – ჰაერნაოსანთა სახელით მინდა, სრული პასუხისმგებლობით და შექმნილი ნერვიული მდგომარეობის გათვალისწინებით, მოკლედ მოვჭრა: ქალაქის საზოგადოებას ერთხელ კიდევ ვწირავთ მადლობას საჰაერო ექსპედიციის მომზადების, აღჭურვისა და ყოველმხრივი დახმარებისთვის, – იქნებოდა ეს სიტყვიერი გამხნევება თუ ნივთიერი თანადგომა. გამორჩევით მსურს აღვნიშნო ღვაწლი ქალაქის თავის, ბატონ ჭიჭიკო ჭიჭინობლიძის და, განსაკუთრებით კი – სადაზღვევო საზოგადოება "საპნის ბუშტის" თავმჯდომარის, ბატონ შოშიტა შუშისთვალაშვილისა...

ეს უკანასკნელი გვარი ბოლომდე არც კი ჰქონდა წარმოთქმული, რომ ორატორს ჯიქურ მიეჭრა მამამზე შინდაუკაძე და თვალები დაუბრიალა:

– შუშისთვალაშვილს მოგცემ მე შენ, შუშის თვალი თვითონ არ დაგჭირდეს! – ჯოდორს მკლავში ჩაავლო ხელი, უხეშად ჩამოიცილა და თვით განაგრძო:

– მეგობრებო, პატივცემულო საზოგადოებავ! მოგახსენებთ, რომ ყველანი სავსებით და მთლიანად მზად ვართ, პირნათლად შევასრულოთ ჩვენზე დაკისრებული საპატიო მოვალეობა! გემშვიდობებით იმ იმედით, რომ კეთილად დასრულდება ჩვენი მოგზაურობა და დღეიდან ახალი დროება დაიწყება ჩვენი საზოგადოების ისტორიაში, მის აზროვნებასა და ფსიქოლოგიაში, გაიმარჯვებს ახალი თვალთახედვა, გადაიშლება ახალი სააზროვნო და სამოქმედო ჰორიზონტები... გემშვიდობებით რა თქვენ, ჩვენს საყვარელ ქალაქსა და ტფილისელებს, გტოვებთ სრული პასუხისმგებლობის გრძნობით და შეგნებული გვაქვს ჩვენი მოგზაურობის მსოფლიო მნიშვნელობა! ჩვენს ამბებს დროულად გაიგებთ: ჩვენთან ერთად მოემგზავრება ბატონი წათე წყალხმელაძე – პილოტი, გაზეთის "ტფილისის ცხელ-ცხელი ამბები" საკუთარი და სრულუფლებიანი კორესპონდენტი. იგი ყოველდღიურად დაწვრილებით შეგატყობინებთ ჩვენი მოგზაურობის ყველა გარემოებას. რა გზით? თქვენ ალბათ შეამჩნიეთ, რომ ჩვენ მიგვყავს ოცდაათი ფრთა მტრედი. არ გეგონოთ, რომ ეს სახორცე ჯიშის "ცოცხალი კონსერვებია" და გზაში დროდადრო მტრედის ტაბაკას მივირთმევთ. რადგან ჩვენი მოგზაურობა გათვალისწინებულია ოცდაათი დღის განმავლობაში, ბატონი წათე ყოველდღე დაწერილ კორესპონდენციას გამოუგზავნის საფოსტო მტრედის მეშვეობით "ტფილისის ცხელ-ცხელი ამბების" რედაქციას. მეტი რა მოგახსენოთ, მღელვარება თავისას შვრება, ენაც დამედალა და გამიშრა, ნება მიბოძეთ, დარჩენილი ძალები შემოვინახო უფრო მნიშვნელოვანი საქმეებისთვის, ვიდრე თქვენი ჩემი ლაყბობით დაღლაა.. ამიტომ ერთხელ კიდევ გემშვიდობებით – გამარჯვებით, გამარჯვებით, გამარჯვებით!

კარი IV. გიჟია, გაფრინდეს?!.

აირით ზომაზე სავსებით გავსებულ-გაბერილ საჰაერო ბურთს აფრენისგან მხოლოდ ბაგირებით მიწაზე დაბმა აკავებდა.

ერთხელ კიდევ შემოწმდა კლაპანების გამართული მუშაობა, კალათ-გონდოლის დამაგრების საიმედოობა სტროპებზე, ჩალაგებული სურსათ-სანოვაგის, მოწყობილობის და სხვა აუცილებელი საგნების თავ-თავის ადგილზე დაბინავება.

საჰაერო ბურთის დია ყავისფერ გარსზე უზარმაზარი ლურჯი ასოებით ეწერა: “გულადი მაწანწალა”, უფრო ქვევით კი წითლად – “ვივლით გამარჯვებით!”, მწვანედ – “საპნის ბუშტი” – დროულად დაეზღვიეთ!”, ყვითლად – “ნუგეში ნუ მოგიშალოთ!” და თეთრად – “კოჯრის ნიავი”.

ჰაერნაოსნები გადაბობღდნენ ლერწმისგან მოწნული კალათის კიდეზე: ჯერ – მამამზე შინდაუკაძე, შემდეგ – მახარე კოპალაური, წათე წყალხმელაძე და ბოლოს – ჯოდორი მსუქნიშვილიც გადახოხდა ღეჭვა-ღეჭვით.

– ხომ არაფერი დაგვრჩა? წაიკითხე სია! – აღელვებისგან ხმა ებზარება ბატონ მამამზეს; ხან გონდოლის შიგნით მიმოატარებს მზერას, ხანაც აზიმზიმებულ მაყურებლებს გადახედავს.

– ჩვენი ხელით ჩავალაგეთ გუშინ ყველაფერი და რაღად გვინდა, ავშალოთ ჩაწყობილ-ჩალაგებული ბარგი? – ამბობს გოდორი მსუქნიშვილი.

– არა, წაიკითხე მაინც! თუმცა, აქ ახლა რა უნდა იპოვო...

– პოვნით როგორ ვერ ვიპოვნით, ყოველი შემთხვევისთვის გეგმაც გვაქვს საგანგებოდ დახატული, სად რა დავდეთ.

კალათ-გონდოლის ყველა კუთხე-კუნჭულში აწყვია ყუთები, ფუთები, შეკრული ჩანთები, ჩემოდნები...

ჰაერნაოსნები გონდოლის კიდესთან შეჯგუფდნენ სამახსოვრო სურათის გადასაღებად. ფოტოგრაფმა ფოტოაპარატზე გადაფარებული შავი ქსოვილის ქვეშ ჩაყვინთა და გადასაღებ ობიექტს კიდევ ერთხელ გახედა. გაუკვირდა: გმირთა გამოსახულებას წინიდან ვიღაცის დიდი სიფათი ფარავდა... ეს გახლდათ სადაზღვევო საზოგადოების “საპნის ბუშტი” თავმჯდომარე, ბატონი შოშიტა შუშისთვალაშვილი, რომელიც გონდოლის წინ გაჯგიმულიყო და სურდა, სხვებთან ერთად საკუთარი პიროვნებაც უკვდავყოფ ფოტოზე. ჰაერნაოსნებს ცოტა ხნის წინ კინაღამ შემოელახა და ამიტომ წინდახედული ბატონი შოშიტა შუშისთვალაშვილი უფრთხოდა გონდოლასთან ახლო დგომას, წინ იყო წამოწეული ფოტოაპარატისკენ, ამიტომ მისი გამოსახულება თითქმის მთელ კადრს ფარავდა.

– გადი, მოსცილდი აქედან, არ ჩამომიყვანო მანდ! – დასჭყივლა ბატონმა მამამზემ. – უყურე ერთი, რა თავხედი ბრძანებულხარ!

– მიბრძანდით, ბატონო, ხელს ნუ უშლით! – ექაჩებოდნენ პოლიციელები, მაგრამ შოშიტას ნაპატივებ გვამს ძვრა ვერ უყვეს ადგილიდან.

– ჩვენს საზოგადოებას ზღვა თანხა აქვს შემოწირული და მე უფლება არ მაქვს, სურათში მოვხვდე? – იბრიქებოდა შოშიტა.

არაფერი ჭრიდა – არც ხვეწნა-მუდარა, არც მუქარა.

– ეს ჩემთვის კი არა, სადაზღვევო საზოგადოების სახელისთვის არის საჭირო! – ფეხი ვერ მოაცვლევინეს ბატონ შოშიტა შუშისთვალაშვილს.

ბატონმა მამამზემ უკვე თოფიც გააჩხაკუნა მის შესაშინებლად, მაგრამ, საბედნიეროდ, ჰაერში გასროლა არ გახდა საჭირო; გამოსავალი იპოვა გაფრენის პასუხისმგებელმა განმკარგულებელმა ჟორჟ ფრანსუამ.

– კეთილი, მესიე შოშიტა, თუ გსურთ ჰაერნაოსნებთან ერთად სურათის გადაღება, მაშინ გონდოლაში აბრძანდით! – მიმართა მან შოშიტას ხაზგასმულად ზრდილობიანად. – ვატყობ, გული გწყდებათ და ბარემ თქვენც ხომ არ გაფრინდებით?..

შეშინებული შოშიტა მაშინვე თოფნაკრავივით მოსცილდა იქაურობას – არც გონდოლაში შეხვდებოდნენ ხვევნა-კოცნით და საჰაერო ბურთით გაფრენაზე ხომ გაგონებაც კი ჰზარავდა.

ფოტოაპარატის წინ ჩვენმა გმირებმა ერთხელ კიდევ მიიღეს ვაჟკაცური შემართების იერი, ფოტოოსტატმა საჭირო მანიპულაციები ჩაატარა და მეორე დღეს “ტფილისის ცხელ-ცხელი ამბების” მკითხველებმა გაზეთის პირველ გვერდზე იხილეს მათი ვაჟკაცური და ერთგვარად დაძაბული სახეები.

ამ დროს ბატონმა მამამზემ თვალი მოჰკრა კალათის გვერდით მდგომ გამხდარ, მაღალ კაცს, რომელიც ნაღვლიანი თვალებით აკვირდებოდა ყველაფერს.

– ნიკალა, შენ აქ რაღა გინდა, ჩვენთან გაფრენას ხომ არ აპირებ? – გასძახა მას ბატონმა მამამზემ.

– რატომაც არა, ერთი ზემოდანაც გადავხედო ქვეყანას! – წყნარი, ბოხი ხმით გაეპასუხა ისიც.

– ეკიპაჟი ამოცანის შესასრულებლად მზად არის! – უპატაკა შეფ-პილოტმა გაფრენის პასუხისმგებელ განმკარგულებელს ჟორჟ ფრანსუას; ამ უკანასკნელმა საჰაერო ბურთის გასაფრენად სრული მზადყოფნა მოახსენა კავკასიის ჰაერნაოსნობის საზოგადოების პრეზიდენტს ბატონ ხოხე ხახალიკაშვილს.

– შეუდექით საქმეს! – ნება დართო პრეზიდენტმა.

ჟორჟ ფრანსუა საჰაერო ბურთთან დაბრუნდა, ტექნიკოსები და დამხმარე მუშები მის ბრძანებებს ელოდნენ.

– ყურადღება! – დაიყვირა განმკარგულებელმა. – გთხოვთ, დაიცვათ სრული სიჩუმე... ვაძლევ სტარტის ანათვალს: ერთი... ორი... სამი... ეკიპაჟო, აიტანეთ რკინის ღუზა!.. კარგია!.. ტექნიკოსებო, ისმინეთ ჩემი ბრძანება: ბაგირები – აუშვით! ნელ-ნელა, თითო-თითოდ!.. პირველი!.. მეხუთე!.. მესამე!.. მეშვიდე!.. მეორე!.. მეექვსე!.. მეოთხე!.. მერვე!!! აუშვით ჰაიდროპი!!! გაუშვით აპარატი!!! წავიდა!!!

რა მოხდა? ყველა ბაგირი განთავისუფლებულია, ბურთი ზომაზე გაბერილი – ზუსტად გაანგარიშების მიხედვით, გონდოლა კი ადგილიდან არც გატოკებულა...

ტექნიკოსები დარბიან წინ და უკან, ამოწმებენ, ყველა ბაგირი თავისუფალია თუ არა; ოდნავ ზევით ქაჩავენ კალათის კიდეზე ჩამოკიდებულ ქვიშიან ტომსიკებს – შედეგს მაინც ვერ აღწევენ...

აბეზარი შავი ძაღლი ებლანდებათ ფეხებში და ყეფა-წკმუტუნით გულს უწყალებს.

– მოაცილეთ ეს ეშმაკის კერძი აქედან!

– დაგვთარსა ამ შობელძაღლმა!

– გაეთრიე, ძაღლო, იქით!

ეძებენ ქვებსა და ჯოხებს...

რა მიზეზით ვერ აფრინდა საჰაერო ბურთი?.. იქნებ ბარგს ზედმეტი წონა აქვს, გაანგარიშებებში სადმე შეცდომაა გაპარული?.. ან იქნებ ბურთი ვერ გაბერეს ჯეროვნად?.. იქნებ რაიმე სხვა, გაუთვალისწინებელი მიზეზი არსებობს?..

ამაზე იმტვრევენ ახლა თავს...

ვინ არის დამნაშავე – ამის ძიება, კიდევ კარგი, არ დაუწყიათ, ჯობს, გამოსავალს მიაგნონ...

ბოლოს, მიიღეს ბრძნული გადაწყვეტილება: აუცილებელია გონდოლის წონის შემსუბუქება!

დამსწრე საზოგადოება გამხიარულებული და, ცოტა არ იყოს, გახარებულიცაა – გაუხანგრძლივდათ სანახაობა და გაფრენის გართულებამ გაუმძაფრათ სიამოვნება.

აზარტს აყოლილნი ნაძლევს დებენ:

– აფრინდება?

– ბებიაჩემივით!.. გიჟია, გაფრინდეს?..

– საერთოდ ვერ აფრინდება?

– რა თქმა უნდა! ტყუილია, გეუბნებით, ვერ გაფრინდება, ეს შეუძლებელია!

– რატომ? რატომ არის შეუძლებელი?..

– იმიტომ, რომ მსგავსი რამ ჯერ არავის უნახავს და ვერ დავიჯერებ! ვერ გაფრინდება!

– ნაძლევი, რომ ერთ საათში ამ ბურთს ვეღარ დავინახავთ!

– დაჩუტავენ და სადმე საწყობში დამალავენ – მაგას გულისხმობ?

– აგერ გაზეთში წერია: ინგლისში თითქმის ყოველ სოფელში დაფრინავენ საჰაერო ბურთებით – სეირნობენ, დროს ატარებენ, ერთობიან!

– გაზეთებს ჩემმა მტერმა დაუჯერა. თავს მოვიჭრი, თუ გაფრინდეს! ზღაპარია ეგ, ქოსატყუილების მოგონილი ხალხის გასაცუცურაკებლად!

– აგერ ნახავ, თუ არა! ოც წუთში გაფრინდება, დავნაძლევდეთ?

არიან ისეთებიც, რომლებიც უფრო შორს იყურებიან და თუ ადრე საათობით ზომავდნენ საჰაერო ბურთის სიცოცხლისუნარიანობას, ახლა:

– გაფრენით შეიძლება, გაფრინდნენ, მაგრამ დავნაძლევდეთ, თუ გინდა, რომ ნახევარ საათში ბურთი ჩამოვარდება! შენი ბედნიერი თვალებით დაინახავ!

– არა, ხუთ წუთში დაიფშუკება, დავნაძლევდეთ?

გონდოლასთან შეიკრიბა კარგა მოზრდილი ჯგრო ადამიანებისა – ბჭობენ, ჰაერნაოსნებს რაღაცას სთავაზობენ, ურჩევენ, ამხნევებენ... იქვე ტრიალებენ სეირის მაყურებელნი, მოცლილნი, პოლიციელები და ჯიბის ქურდები.

ზოგიერთი ხუმრობას ახლაც არ იშლის:

– მოდით, ბოშა მკითხავს რადას მივაკითხოთ, მაშინვე გავიგებთ, რა მოგელით!

– საცოდავი მტრედები მაინც გაუშვით, რას ერჩით, მათ მაინც შეუძლიათ გაფრენა!

– თუ დაგადგათ საშველი და მართლა გაფრინდით, ერთი კარგი მაიმუნი ჩამომიყვანეთ და ერთიც – მოლაპარაკე თუთიყუში! ამდენს მაყურყუტებთ აქ და არ მეკუთვნის? ეს პატარა თხოვნა შემისრულეთ, ჟირაფი და სპილო შემდეგი გაფრენისთვის იყოს!

ყველასგან დევნილი შავი ძაღლი ისევ გამოჩნდა, ტრიალებს გონდოლასთან და განუწყვეტლივ ყეფს.

კამათი გონდოლაშიც გრძელდება:

– ეი, ჯოდორი ბატონო, გაახილე თვალები, ჯერ არ ავფრენილვართ! – წაჰკრა ხელი მამამზე შინდაუკაძემ თვალებდახუჭულ, განაბულ მსუქნიშვილს. – ხაშლამა გესიზმრება თუ შილაფლავი?

– კი არ მძინავს, – იღრინება ჯოდორი, – ახლა რა დამაძინებს!

– ეს ქვიშიანი ტომსიკები თითო ერთ ფუთს იწონის, ხომ არ ვცადოთ მათი ნაწილის მოცილებით გონდოლის შემსუბუქება? – იკითხა წათე წყალხმელაძემ.

– ეგ შეუძლებელია! – დაიბუხუნა მამამზე შინდაუკაძემ. – კარგი და, მერე რომ დაგეჭირდეს მაღლა აწევა ბურთისა, ვთქვათ, ჭაობში ეშვები ან ტბაში, სად მიდიხარ, შვილოსა? არა, ბალასტის მარაგის გარეშე არ შეიძლება მოგზაურობის დაწყება!

– რა ამბავია ამდენი მტრედი, თან იმათი საკვებიც იანგარიშე... შესაძლოა, ჩვენმა მოგზაურობამ ერთი თვის მაგივრად ერთი-ორი კვირა გასტანოს, მტრედების ნახევარი მაინც სრულიად ზედმეტი აღმოჩნდება; მათ ნაწილს ახლავე რომ შეველიოთ? – იკითხა პილოტ-შტურმანმა მახარე კოპალაურმა.

– შენ ჩემს მტრედებს თავი დაანებე, ჯობს, ეგ წიგნებით სავსე ყუთი მოვიშოროთ თავიდან... გზაში წიგნების საკითხავად გვეცლება სწორედ!.. – იწყინა კორესპონდენტმა წათე წყალხმელაძემ.

– თუ წიგნებს გადაყრით, მაშინ მე აღარ მოვდივარ! – გაცხარდა მახარე კოპალაური. – ნუთუ რუკები და გზამკვლევები ზედმეტი ბარგი გგონიათ მოგზაურობის დროს? ან ეს ხელსაწყოები გავიმეტო? ბრმებმა უნდა ვიფრინოთ?

– ორი თოფი რად გვინდა, ერთი არ გვეყოფა? – თოფებს წაატანა ხელი წათემ. – ჰაერში როგორ უნდა ინადირო და თუნდაც მოინადირო რამე, როგორ აიყვან? ჩახტები, დაავლებ ხელს და ამოხტები? თუ ამოფრინდები?

– არა, ჰაერშივე დაიჭერს – მამამზეს გრძელი ხელი აქვს!

– მაშინ უთოფოდაც მშვენივრად დაიჭერს!

– შენ თუ სამასხროდ გცალია, აქ რა გინდა? – მიუბრუნდა თოფების პატრონი მამამზე წათეს. – რა გახდა თოფი ან რა წონა მაგას აქვს... კარგი, ბატონო, მხოლოდ ერთი თოფი დავიტოვოთ... აჰა, გვეშველა რამე? შტურმანო, ისევ ადგილზე ვართ გაყინული?

– მდგომარეობა უცვლელია! – უპატაკა მახარემ.

უცებ გონდოლასთან ჯიქურ მივარდა ვიღაც გამხდარი კაცი, რომელსაც თვალები ციებცხელებიანივით უბრწყინავდა და იყვირა:

– არავითარ შემთხვევაში არ გაფრინდეთ, ეს ეშმაკის მოგონილი საქმეა, თქვენ კი ადამიანები ხართ!..

აღგზნებულ კაცს ეცნენ და იქაურობას მოაცილეს.

– ხომ ხედავთ, უზენაეს ძალას არ სურს თქვენი ჰაერში აშვება! – შორიდანაც განაგრძობდა ყვირილს, ცდილობდა, ხელიდან გასხლტომოდა პოლიციელებს.

– ეს ნაჩუქარი ქვეყნის ვარდები რიღას მაქნისია, – ბუზღუნებს ჯოდორი, – რა ჭირად გვინდა, გადავუშვათ!

– მე შენ გადაგიშვებ! – უყვირა მამამზემ, შემდეგ თავისთვის ჩაილაპარაკა: – ეს კაცი, მგონი, მაგრად აგვირევს საქმეს...

მამაზე მუშტრის თვალით ათვალიერებს ბარგს; იბობღა, იბორგა, ყუთები და კასრები გადაალაგ-გადმოალაგა, სიმძიმე გაუსინჯა... მერე დაასკვნა:

– ნამეტანი ბევრი სურსათ-სანოვაგე ხომ არ მიგვაქვს? ერთი-ორი ყუთი კონსერვებისა უნდა დავტოვოთ, რა მძიმეა, ეგ ოხერი!..

– გაგიჟდი? შენ ალბათ გინდა ჩვენი შიმშილით დახოცვა! – აყვირდა ჯოდორი მსუქნიშვილი.

– თუ გაგვიჭირდა, დავეშვებით და მოვინადირებთ რამეს... – შეეპასუხა მამამზე, მაგრამ კონსერვებიან ყუთს ჩაფრენილი ჯოდორი ვერ დააშოშმინა.

– რაღაც გული ცუდს მიგრძნობს... – წუწუნებს ჯოდორი. – წინათგრძნობა მაქვს საძაგელი, ჯერ ვერ ავფრინდით და მერე რაღა იქნება? ქარი რომ ამოვარდეს?

– ქარი თუ არ იქნა, ეგდები ადგილზე ნეხვივით! – ეუბნება გაბრაზებული მამამზე. – რა დროს ჭამაა, არ გადამრიო! რას იღეჭები?

– ახლა ვარ მაგარი ჭამის ხასიათზე, როცა ვღელავ და რა ჩემი ბრალია? – ჭიჭყინით თავს იმართლებს ჯოდორი.

– ჯოდორი კი არა, გოდორი ხარ; რა ჭამე, შე ოხერო, ამდენი? შენი ბრალია, ადგილიდან რომ ვერ დავიძარით!

ჯოდორი უსიტყვოდ ოხრავს, მაგრამ ყბას კი ისევ ძალუმად იქნევს.

– რა ვქნათ? უნდა დავასკვნათ, რომ ვიღაც ჩვენთაგანია ზედმეტი და ის უნდა დარჩეს, სხვა გზა არ ჩანს... რომელი ხართ გმირი, რომელი გაწირავს თავს, ვინ დარჩება ნებაყოფლობით? – მამამზე მზერას მოატარებს კოლეგებს.

– მე გონდოლაში ვრჩები, უსიკვდილოდ! – იყვირა მახარე კოპალაურმა. – ჩემს მოწაფეებს რა პირით დავენახვები? გიმნაზიას ტყუილად შეველიე?

– რას მომჩერებიხარ, მამამზე ბატონო, – აცხადებს წათე წყალხმელაძეც. – მოგზაურობის შესახებ წიგნს სხვა ვინ დაწერს? თან ჩემი წონა იმდენად მცი- რეა, ბევრს ვერაფერს გიშველით... აგერ ჯოდორია ყველაზე მსუქანი...

ამ დროს გონდოლასთან მოირბინა თეთრკაბიანმა, დიდთვალება ქალმა. ხელში ვარდების უზარმაზარი თაიგული ეჭირა.

– მამამზე!.. მამამზე!.. – გაისმა მისი წკრიალა, თან ნაზი ხმა; მერე შებრუნდა და ჩქარი ნაბიჯით იქაურობას გაშორდა.

– ეგღა გვაკლდა სწორედ – კიდევ ერთი თაიგული! – ანჩხლობს ჯოდორი. – ამდენ ვარდებს რა თავში ვიხლით, ლამის მთელი გონდოლა ვარდებით გაივსოს!

– ჰო, შენი აყროლებული გვამი სჯობს! მგონი, შიშით კუჭი აგეშალა, ფუი, როგორ ყარხარ! – აწრიალდა მახარე, მაგრამ ვიწრო გონდოლაში სად უნდა გაქცეოდა.

– თუ ამ კონსერვებიან ყუთს არ დატოვებთ, მაშინ მეც მისროლეთ გონდოლიდან, უფრო დამსუბუქდებით! – აცხადებს ჯოდორი.

– არა, ძმაო, შენ თუ ახლავე ამიჯანყდი, მერე ჰაერში უარესად წავა საქმე! – შესამჩნევად გაუნელდა სიბრაზე მამამზეს; ეტყობა, გამოსავლის მიგნებამ გუნება გამოუკეთა, ხუმრობის ხასიათზეც კი დადგა: – რამდენიმე კილომეტრის სიმაღლიდან გადმოგდებას, იქნებ ახლა ჯობდეს შენი გადასვლა გონდოლიდან? მართლა დარჩები?

– დიახ, ვთქვი და ვიმეორებ: ვრჩები!

– მაშინ, შენი ჭირიმე, დროზე გადაბრძანდი, გზა დაგვილოცნია!

ზონზროხა ჯოდორი ფრთაშესხმულივით, მოულოდნელი სიმკვირცხლით გადაევლო გონდოლის კიდეს, სირბილით გაძუნძულდა ჰიპოდრომის მიყრუებული კუთხისკენ, სადაც ფიცრული ფეხსალაგი ეგულებოდა; გზა-გზა ჩურჩულებდა:

– გადავრჩი, გადავრჩი!.. რა ჭირმა შემაცდინა, სულელებს გადავეყარე!..

ტყვიასავით შევარდა ბუდრუგანაში და კარი მიიჯახუნა. იქ ახალ გასაჭირს გადაეყარა: ეს ოხერი კომბინეზონი ვინ ჭკუათმყოფელმა მოიგონა, გახდა თუ გინდა, მიუჩვეველი უცებ ვერ გაუგებ თავსა და ბოლოს, იმდენი ღილია გასახსნელი... დალახვროს ეშმაკმა!..

ახლა დროა, დავტოვოთ ბატონი ჯოდორი მსუქნიშვილი მის გასაჭირთან ერთად, რადგან მთელი ჰიპოდრომი ერთი კაცივით ფეხზე წამოხტა და ერთხმად იყვირა:

– წავიდა!..

– გაფრინდა, ვაშა!..

– რა ჩქარა მიილტვის ზევით-ზევით!..

– ჯერ არ ჩამოვარდნილა?

– მოიცა, რა გეჩქარება; აცალე მაღლა ასვლა, მისი ვარდნა უფრო ლამაზი სანახავი იქნება!

– ვაიმე, მართლა ეცემა? – გული უღონდება ვიღაც მანდილოსანს. – მიშველეთ, წყალი!..

– თავზე დაგვეცემა?.. უკვე?..

წყალი კიდევ რამდენიმე ადგილას დასჭირდათ; სხვები კი მაღლა ისვრიან ყვავილებს, ჰაერში ატყორცნილი უთვალავი მტრედი თეთრად ფარფატებს, ბავშვები აქუხებენ სათამაშო დამბაჩებს, დიდები ისვრიან რევოლვერებიდან, რამდენიმე სანადირო თოფმაც დაიგრიალა... ჰაერში აიჭრნენ შუშხუნები, თითქოს მაღლა-მაღლა მიმსწრაფი საჰაერო ბურთის დაწევას ლამობენ, შემდეგ ბრაზით სკდებიან და ინავლებიან. ფერად-ფერადი გაბერილი ბუშტებიც ნელი რწევით მიიწევენ ზევით, მათ შესახვედრად კი ქვევით მოისწრაფიან გონდოლიდან ჰიპოდრომის თავზე გადმოყრილი ვარდები...

კარი V. ფრთები რომ მომცა ახლა!

– ავფრინდით?!.

– წავჩანჩალდით!..

ჰაერნაოსანთა ამ კითხვა-პასუხში გაკვირვებაც ისმის, აღტაცებაც, ცოტა – შიშიც...

ბევრი ლაპარაკის თავი არ აქვთ, მთლად თვალებად არიან ქცეულნი – გაფითრებულნი, ნერწყვგამშრალნი, ხელებით დაძაბულად ჩაფრენიან კალათის კიდეს და ქვევით იყურებიან, სადაც ქალაქის გარეუბნის მუქ ნაგებობებს შორის სულ უფრო პატარავდება ჰიპოდრომის გადახ-

რუკული ბალახით დაფარული რუხ-ყვითელი თვალი, რომელზედაც ხალხმა იხუვლა და ახლა ჭიანჭველებივით ირევიან.

თავიდან, როცა საჰაერო ბურთმა ნიავის ტალღებში შეითამაშა, კალათიც გაქან-გამოქანდა, ცოტა დაპროწიალდა-დატრიალდა კიდეც, მგზავრებიც შეფიქრიანდნენ, – ვაითუ, ისე გაქანდეს კალათი, რომ გადმოვცვივდეთო და ყველა სტროპებს ჩააფრინდა... ახლა კი, როცა საჰაერო ბურთი სულ უფრო ზევით მიიწევს, კალათი ოდნავ ქანაობს, ჰაერნაოსნებიც თითქოს მიეჩვივნენ ახალ მდგომარეობას, თოკებს ჩაჭიდებული თითები ნელ-ნელა მოეშვათ, გაშეშებულობისა და დამუხრუჭებულობისგან მეორე უკიდურესობაში გადავარდნენ – უნაპირო სიხარულმა აიტაცათ, ყიჟინა დასცხეს:

– ვაშა, მივფრინავთ!.. მივფრინავთ!..

უაზროდ ღრიალებენ, ხტიან, ერთმანეთს ეხვევიან, ხელებს ბეჭებზე უტყაპუნებენ, იცინიან, ტრაბახითა და სიამაყით გაჰყვირიან:

– ჰეი!.. ჩვენ აქა ვართ! გავიმარჯვეთ, ვივაჟკაცეთ! ვაჰ, რა მაგრები ვართ!..

საოცარი სამყარო იშლება მათ თვალწინ: უკიდეგანო, უსაზღვრო, უსასრულო სივრცე ყოველი მხრივ... და აღფრთოვანებისა და სიხარულისგან ადგილზე ვერ ჩერდებიან, გრძნობებს ვერ იოკებენ – მღერიან და ბედნიერები არიან მზესთან, ღრუბლებთან, მთებთან, ველებთან სიახლოვით!

– წყნარად, ბიჭებო, კალათს ძირი არ გავაგდებინოთ! კიდეს ძალიან კი ნუ გადაეყუდებით, ჩიტივით არ გადაფრინდეთ! მახარე, ქუდი გააფრინე?

ერთმანეთს არ აცლიან ლაპარაკს:

– რა სილამაზეა!

– შეხედე, შეხედე, როგორ დაპატარავდა ჰიპოდრომი! მახარე, შენი ქუდი ასცდება ნამდვილად! ვის ესროლე?

– ხედავ, როგორი დაკლაკნილია მტკვარი?!.

– აი, მთავარი მოედანი! როგორ ჭიანჭველებივით დაღოღავს ხალხი!..

– უჰ, რა აგრილდა, რა კარგია!

– სიონის ეკლესია, მეტეხის ციხე!

– აგერ არსენალი!

– საით მივფრინავთ?

– ჯერ სამხრეთ-აღმოსავლეთით გავფრინდით, ახლა კი ჩრდილოეთით მივიწევთ, შეამჩნიე?

– როგორ შეიძლება, ასე შეიცვალოს ფრენის მიმართულება?

– ეტყობა, სხვადასხვა სიმაღლეზე ქარის მიმართულება სხვადასხვაა. ხედავ, ღრუბლები რა სწრაფად მიცურავს, ზოგი – მიიზლაზნება ან სულაც საწინააღმდეგო მხარეს მიდის.

– ქარის ქროლას რომ ვერ ვგრძნობ?

– ქართან ერთად მიდიხარ და იმიტომ. ან ეს რა ქარია, შეხედე, რა ნელა გადავადგილდებით.

– ისევ ზევით მივდივართ?

– არა, ალტიმეტრის ისარი ადგილზე ტოკავს – 1600 მეტრ სიმაღლეს უჩვენებს.

– ჩიტებიც ფრენენ ამ სიმაღლეზე?

– ბატონო მამამზე, თავბრუ მესხმის, ყურებშიც გამეჭედა...

– მეც, თვალთაც დამიბნელდა თითქოს წამით...

– ნერწყვი გადაყლაპეთ და არაფერი გიჭირთ, გაივლის, სიმაღლეზე სწრაფად ასვლის ბრალია.

– რაღაც ლაპარაკიც მესმის, სმენითი ჰალუცინაციებიც ამის ბრალია?

დააყურადეს: ჩვენს გმირ ჰაერნაოსნებს ვიღაცეების გახურებული დავა მოესმათ!

– არა, ეგ არ არის ჩვენი გიმნაზია, ჩვენი გიმნაზია აგერ ისაა, ეკლესიის გვერდზე! –გაჰყვიროდა ერთი წვრილი ხმით.

– არ გინდა, იქ რომ დავეშვათ ახლა? ბიჭო, რა შეხვედრას მოგიწყობენ! ჩვენი კლასელები შურით დაიხოცებიან! – ყვირილითვე პასუხობდა მეორე.

– ზევიდან რა სასაცილოები ჩანან ადამიანები! თითქოს მარტო თავი აბიათ უტანოდ.

– შეხედე, შეხედე! აი, იქით! ნახე, მატარებელი როგორ მიღოღავს! – და, ეტყობა, გრძნობათა სისავსისგან ერთმა მეორეს თავში წაუთაქა კიდეც, რადგან ამას მოჰყვა ბღლარძუნის ხმა და ჭიჭყინი.

– ხომ არ მომეჩვენა? – ჰკვირობს ბატონი მამამზე და მეგობრებს შესცქერის. – თქვენ არაფერი გაიგონეთ?

– მგონი, ორნი დავობენ რაღაცაზე, თუ კოლექტიური სმენითი ჰალუცინაციები ხომ არ დაგვეწყო? – კითხულობს მახარე. – ზედ ერთვის მხედველობითი ჰალუცინაციებიც... თქვენც ხედავთ?

– ორ ბიჭს ვხედავ, შენ?

– მეც! შენ, წათე?

– მეც ორ თმააბურძგნილ ყმაწვილს ვამჩნევ, აქვე, ახლოს, კალათის მოპირდაპირე მხარეს... სულ ჭიდაობენ, არ გადაცვივდნენ! თუმცა, მოჩვენებებს არაფერი დაემართებათ. ეს ყაჩაღები აქ საიდან ჩამოფრინდნენ? – და წათემ ზევით, ბურთისკენაც კი ეჭვით გაიხედა.

ერთი ცნობისმოყვარე ყვავი აედევნა საჰაერო ბურთს, ერთხანს კალათის გვერდზეც მიფრინავდა, მერე გაკვირვებისგან იმანაც პირი დააღო – აქ, ცისქვეშეთში, ერთმანეთში მოჩხუბარ თუ მოქიშპე ბიჭებს რა უნდაო; დააღო და პირიდან ანუ ნისკარტიდან სანუკვარი ლუკმა – ორი თვის წიწილა – გაუვარდა. ასე რომ, მოგზაურობის დასაწყისშივე ჰაერნაოსნებმა ერთი სიცოცხლე გადაარჩინეს.

სამივე ჰაერნაოსანს მყის გადაავიწყდა ქვევით, მიწისკენ ყურება და ახლა გამოუცნობ მოვლენას – საიდანღაც უცნაურად და მოულოდნელად მოვლენილ ახალ თანამგზავრებს მიაჩერდნენ. ერთი, წითური, შედარებით მაღალი იყო, გამხდარი; თეთრ სახეზე მსხვილი, ოქროსფერი ჭორფლი ეყარა. მეორე შავგვრემანი ჩანდა, ჩასკვნილი იყო, მუქთვალება.

– ბიჭებო, ვინა ხართ, აქ საიდან გაჩნდით? – იყვირა შეფ-პილოტმა მამაზე შინდაუკაძემ.

– მგონი, ეს ყმაწვილები მეცნობიან! – წარბები აძგიბა მახარე კოპალაურმა. – ბესიკი და დათუნა ხართ, ხომ?.. რამ გაგაგიჟათ, ბიჭებო?

ბიჭები ხმას არ იღებდნენ, ძიძგილაობით ცდილობდნენ, ერთმანეთს ამოფარებოდნენ.

– გიუებს ბევრნი ჩვენ გვეძახდნენ და ამათგან ეს საქციელი რა გასაკვირია, – ამბობს წათე.

– პასუხი გამეცით, თორემ გადაგყარეთ აქედან და ეგ არის! – ისევ იყვირა ბატონმა მამამზემ.

– ყუთში ვიყავით დამალული... – ამოიკნავლა უფროსმა ბიჭმა და გრძელი წამწამებით შემკობილი მონაცრისფრო-მომწვანო თვალები დაახამხამა.

– ამ პატარა ყუთში როგორ ჩაეტიეთ? არა, ეს შეუძლებელია! – უკვირს მახარეს.

– მოკუნტულები ვიყავით, ახლაც გაკავებული გვაქვს ხელ-ფეხი, ძლივს ვამოძრავებთ... – კვლავ უფროსი ბიჭი პასუხობს, ძმაზე ყოჩაღი ჩანს.

– იმიტომ ეჯიკავებოდით ერთმანეთს? – ეღიმება მახარეს. – გახურდით?

– რა გქვიათ? – გაბრაზება არ უნელდება ბატონ მამამზეს.

– მე... ეს ჩემი ძმაა – დათუნა, მე კი ბესიკი ვარ... – უპასუხა მაღალმა ბიჭმა და ცხვირს დააცემინა.

– ჯოდორის აქ მოსვლამდე არაფერი გეტკინოს! – დალოცა მახარემ.

– ერთი კაცი დაგვაკლდა, სამაგიეროდ, ორი შემოგვემატა, მოგებული დავრჩით! – ირონიით წარმოსთქვა წათემ და მოულოდნელად მანაც დააცხიკვა.

– მოგებული დავრჩით თუ წაგებული, ეს ჯერ გასარკვევია, – ისევ დუღს ბატონი მამამზე. – ერთი დიპლომიანი პილოტი დავკარგეთ და ორი თავხედი მუქთამჭამელი ზედმეტ ბარგად და თავის ტკივილად ავიკიდეთ... მაინც, როგორ გაბედეს, ჰა?

– წითური მაინც არ იყოს, კაცო, ამბობენ, სიკეთე არ მოაქვსო, – ამბობს წათე.

ბიჭები გასუსულნი არიან, თვალდახრილნი, – შეფ-პილოტის უსაშველოდ გრძელ, გაფოფრილ ულვაშებს და დიდ, გადმოკარკლულ თვალებს მზერას ვერ უსწორებენ.

– რა ვუყოთ ახლა ამათ, ჰა? – ხან მახარეს მიაჩერდა ბატონი მამამზე, ხან – წათეს, – უნდა დავსვათ აპარატი და გადმოვაბრძანოთ ვაჟბატონები.

– მაგ საქმეზე ან დრო რატომ უნდა დავკარგოთ ან აირი დავხარჯოთ? – ამბობს წათე. – რაში გვჭირდებიან აქა, პირდაპირ გადავყაროთ და მისი ჯანი. ბიჭებო, ცურვა ხომ იცით?

გატრუნული ბიჭები ხმას არ იღებენ, მოთმინებით ელიან ჭექა-ქუხილის გადაღებას.

– მაგათი ცურვა რაში გაინტერესებს? – კითხულობს თამაშში ჩართული მახარე.

– მტკვარს რომ გადავუფრენთ ან რომელიმე ტბას, გადავახტუნოთ! – პასუხობს წათე გაჯავრებული ხმით.

– კარგად თუ ვერ დაუმიზნე, მაშინ რას შვრები? – ამბობს მახარე. – მე მგონი, უკეთესი იქნება, ცოცხალ კონსერვად შევინახოთ. თუ სურსათი შემოგვაკლდება, შევახრამუნოთ!

– თუმცა... ჯერ მოგზაურობა არ დაგვიწყია და ბალასტი ვყაროთ? – განაგრძობს ხმამაღლა ფიქრს წათე. – ჯობს, საჩქაროდ მაღლა ასვლა რომ დაგვჭირდეს, იმ დროისთვის შევინახოთ...

– ჰო, ნამდვილად სამასხროდ გაქვთ საქმე! – კიდევ უფრო მოიქუფრა ბატონი მამამზე. – ორი მშიერი პირის დამატებას კი არ ვჩივი, სხვა რამ მაწუხებს... – შემდეგ ბიჭებს მიუბრუნდა: – ჩვენ წინდაწინ დავეზღვიეთ, დადებული გვაქვს ხელწერილი, რომ მოსალოდნელი უბედური შემთხვევისთვის მთელ პასუხისმგებლობას საკუთარ თავს ვაკისრებთ. თქვენ, თქვენ თუ დადეთ ასეთი ხელწერილი? თქვენ რომ ხიფათს გადაეყაროთ, ვინ აგებს პასუხს?

– მეტი რაღა შეშინება უნდათ კიდევ, ვერ ხედავ, ჯერ ბავშვებია, უჭკუობით მოუვიდათ და ახლა რაღაი... – გამოესარჩლა ბიჭებს მახარე.

– ამათი გულისთვის უნდა შევწყვიტოთ ფრენა? – იქით შეუტია შეფ-პილოტმა მახარეს. – გაფრენა საბავშვო თამაში არ არის, ძალიან ძნელი და რთული საქმეა. ზედმეტი ტვირთი, ფუჭი ბალასტი გვინდოდა კიდევ, ორი მუქთამჭამელი?

– ჩვენ ყველაფერს დაგიჯერებთ, გვითხარით, რა არის გასაკეთებელი? – საწყალობლად იბუზება დათუნა.

– გადახტით გონდოლიდან! – იკრიჭება წათე.

– ძალიან გთხოვთ, ნუ შეწყვეტთ ფრენას, ყველაფერში მოგეხმარებით... – ალუღლუღდა ნირწამხდარი ბესიკი.

– რაში, ჭამაში მოგვეხმარებით? – დაცინვით იკითხა მამამზემ.

დათუნამ საიდანღაც ცქვიტად გამოათრია მომცრო ტომარა და პატარა კასრი:

– აი, ჩვენ წამოღებული გვაქვს ორცხობილა!.. და წყალიც!..

ორ პილოტს უნებურად გაეღიმა – მამამზეს გარდა. ამ უკანასკნელმა, წარბშეკრულმა, შეათვალიერა ბიჭები:

– მერე, თქვენი ანგარიშით, რამდენ ხანს გეყოფათ?

– გვტოვებთ?!. – სიხარულით იყვირეს ბიჭებმა ერთხმად.

– ჯერ გადაწყვეტილი არ გვაქვს, როგორ მოვიქცეთ, – თქვა მამამზემ, ბიჭების მწუხარე სახეების შემყურეს, სიცხარე ოდნავ გაუნელდა. – არა, მაინც რამ გადაგაწყვეტინათ ასე თვითნებურად წამოსვლა? იცით, რამდენი ღირსეული ადამიანი მონაწილეობდა კონკურსში და ჩვენს გუნდში ვერ მოხვდა? რა მკაცრი შერჩევა იყო?

– ჯოდორი მსუქნიშვილი როგორღა შემოეკვეხა? – ჩაილაპარაკა მახარემ.

– ჯოდორი თითქმის ძალათი, ბოდიში მომითხოვია ამ სიტყვისთვის, შემოგვტენეს სადაზღვევო საზოგადოებიდან, – ისე ფულს არ იძლეოდნენ, თორემ ვინ იყო მისი გუნდში ჩამრიცხველი, – ამბობს მამამზე; შემდეგ ბიჭებს მიმართავს: – იქნებ სუსტები ხართ, ჯანმრთელობა არ უნდა შეგემოწმებინათ? იქნებ ნერვიულები ხართ და აქ აყალმაყალს აგვიტეხთ ყოველ წუთს?

– თქვენ თუ იცით, ბიჭებო, – ჩაერთო ისევ მახარე, – რომ გაფრენისთვის მზადყოფნაში როგორც საფრენი აპარატი შეამოწმა ყოველმხრივ კომისიამ, ასევე ჩვენც უფრო ადრე და დიდხანს გვსინჯავდნენ, გვაკვირდებოდნენ. ერთი კაციც რომ გამოდგეს სხვანაირი, სხვებთან შეუთავსებელი, მთელი საქმე ჩაფლავდება. მხოლოდ ნერვიული სისტემა, გული, ფილტვები, მხედველობა და სხვა და სხვა კი არ უნდა გქონდეს ჯანსაღი, თქვენ წარმოიდგინეთ, მხიარულებიც უნდა იყოთ ბუნებით, გამტანები... ხუმრობა გიყვართ?

ბიჭებმა ჩაიფხუკუნეს, თან ისევ ერთმანეთს ძიძგილაობა დაუწყეს.

– აი, მე, მაგალითად, გამომაგდეს გიმნაზიიდან, – განაგრძო მახარემ, – მითხრეს, რა დროს ხეტიალია, სწავლა იწყებაო. მე მაინც არაფრად ჩავაგდე მათი მუქარა – ასეთი შესანიშნავი შესაძლებლობა მეორედ აღარასდროს მექნებოდა. თქვენ ჯერ სწავლობთ, რატომღა ამჩატდით ასე?

– მაგათ სწავლა-განათლება რად უნდათ, ხომ ხედავთ, ისედაც ყველას აჯობეს, – ირონიულად თქვა წათემ. – ყველაფერი იციან, ყველაფერი შეუძლიათ და წინ რაღა დაუდგებათ, მაგათია ქვეყანა.

ბიჭები ჩუმად იყვნენ ან რა ეთქმოდათ. წათემ ჯიბეებში დაიწყო ხელების ფათური, რაღაცას დიდხანს ეძებდა. ბოლოს, იპოვა და საზეიმოდ ამოაძვრინა პატარა წიგნაკი; დახედა და ხმამაღლა, რიხიანად თქვა:

– ჰაერნაოსნის დიპლომის გარდა, აი კიდევ რა მაქვს: "ველოსიპედისა და მოტორის მართვის მოწმობა"! თქვენ გაქვთ ასეთი? გაცემულია 1904 წელს...

– წათე, აქ, ზეცასა და მიწას შორის გამოკიდებულს, რაში დაგჭირდება ეგ მოწმობა? – ჰკითხა ღიმილით მახარემ.

– რა ვიცი, კაცნი ვართ, ადრე თუ გვიან ხომ უნდა დავფრინდეთ მიწაზე, შინ დაბრუნება ხომ გვინდა? როცა შენ ფეხით წაბრძანდები, მე ველოსიპედით ან მოტორით წავჩანჩალდები, მაშინ რაღას იტყვი?

– მაგრად შეინახე, ვინმემ არ აგწაპნოს ან არ დაკარგო! ვის უნდა წარუდგინო? – ისევ შეკამათებას აპირებდა მახარე, მაგრამ მამამზე ჩაერია:

– სად ვართ? აქ გავერთეთ ლაქლაქში და ქარმა საით გაგვიტაცა, ღმერთმა უწყის. შტურმანო, სად არის ჩვენი ადგილი რუკაზე?

– აფრენიდან თხუთმეტი-ოცი წუთი სამხრეთ-აღმოსავლეთით მივფრინავდით, დაახლოებით ათი-თხუთმეტი კილომეტრი გავიარეთ, მერე ჩრდილო-აღმოსავლეთით წამოვედით... – მხარემ რუკა და კომპასი ამოიღო, თან ქვევით აკვირდებოდა მიწას. – ახლა წესით მლაშე ტბების თავზე უნდა ვიყოთ, რასაც ადასტურებს უშუალო ვიზუალური დაკვირვებაც – ორს კი ვხედავ და მესამე ტბა რაღა იქნა? ნუთუ დაშრა?

– დურბინდი! დურბინდი ტყუილად გვაქვს? – წათემ ამოიღო ტყავის ბუდიდან უზარმაზარი ხელსაწყო და ჯერ შორს, ჩრდილოეთით გახედა. – გავგიჟდები! ნახეთ, რა ხელისგულზე ჩანს მყინვარწვერი!

– გაგვიმართლა, ამინდმა გაგვახარა. მართალი იყვნენ, ხომ იცი, სინოპტიკოსები, შემოდგომაზე რომ გვირჩევდნენ გაფრენას – ამ დროს ნაკლებია არევ-დარევა და ჭირვეულობა ატმოსფეროში, საჰაერო ოკეანე შედარებით მშვიდიაო.

– მოიცა, კაცო, ჯერ სიხარული ნაადრევია, მოგზაურობა ახლა დაიწყო!

ბიჭებიც გადაეყუდნენ მოწნული კალათის თეჯირს.

ქვევით დინჯად მიცურავენ გორაკები, გორაკებს შორის მიიკლაკნებიან მდინარეები, ალაგ ტყეთა მუქი მწვანე ხავერდია ქედთა ფერდობებზე, ალაგ – ნაყანევთა ყვითელი, ოთხკუთხა ლაქები. დილით ლურჯ ცაზე თითო-ოროლა ღრუბელი რომ იყო, ისინიც სადღაც გაპარულან და ცასა და ხმელზე განფენილა სიმშვიდე და უშფოთველობა. გადახრილი მზე ალმაცერად გასცქერის ქვეყნიერებას, უხვად აფრქვევს მთა-ველს ოქროს სხივთა ნიაღვარს, აფერადებს, აკისკასებს, ახალისებს ყველაფერს, რასაც კი აკოცებს. ცქერა კი ჩრდილოეთით ჯობს – მზე თვალებშიც არ გიჭყიტინებს და მაღლა აზიდული კავკასიონის თოვლიან-ყინულიანი ხერხემალიც საამო საცქერია.

მიფრინავს, მინანაობს ჩამავალი მზით გასხივოსნებული "გულადი მაწანწალა", მდოვრედ ირწევა კალათი; უჩვეულო სანახაობით და ჯერ განუცდელი მდგომარეობით გაბრუებული ჰაერნაოსნები თითქოს გაითქვიფნენ საყოველთაო სიმშვიდესა და სილამაზეში, გარინდებულებმა, საუბარიც კი შეწყვიტეს.

მზე მიიჩქარის დასავლეთით – მის სხივებს მცხუნვარება აკლდება და ფერადოვნება ემატება. ცასა და მიწას შორის გამოკიდებულნი, თითქოს ზღაპრულ სამეფოში მოხვდნენ, არც კი დაესიზმრებოდათ ის ენით გამოუთქმელი, გულის ამაჩქროლებელი სიამე, რომელსაც ახლა განიცდიან.

– რა ლამაზია! – მერამდენედ აღმოხდა აღტაცებით მახარეს. – აწი, თუ გინდა, მომკალი!

– უუჰ, შენი გულისა! ერთი ფრთები რომ მომცა ახლა, როგორ გავინავარდებდი ზევით და ქვევით, ზევით და ქვევით!.. – წამოიძახა წათემაც.

– ხატვა რომელს გეხერხებათ? – კითხულობს მამამზე. – რომელი ხართ მხატვარი?..

ბიჭები გაისუსნენ.

– რა სიჩუმეა! მხოლოდ ჩვენი მტრედების ღუღუნი და ფრთების ფართქუნი ისმის, – ამბობს მახარე.

– ვიწრო გალიაში სხედან, მართალია, მაგრამ არა უშავს, არც ჩვენ ვართ ხალვათად... ძაღლის ყეფა არ გესმით? – კითხულობს შემდეგ წათე. – კარგად დააკვირდით!

– სუსტად, მაგრამ სავსებით გარკვევით ისმის! – უკვირს მახარეს. – საოცარია, აქამდე აღწევს სოფლის ხმაური.

– მოსაღამოვდა... რა სიმაღლეზე ვიმყოფებით? – კითხულობს შეფ-პილოტი.

– სიმაღლეა 1850 მეტრი, ფრენის მიმართულება – ჩრდილოეთი, სიჩქარე – უმნიშვნელო! – პასუხობს მახარე.

– აფსუს, ჯოდორი რომ გამოგვაკლდა! – ამბობს წათე. – აქამდე უკვე ნასადილევიც ვიქნებოდით... არ მოგშივდათ?

ბიჭები მაშინვე ტომარას ეცნენ, ხელად მოუხსნეს პირი და ორცხობილას ხრამუნ-ხრამუნი ატეხეს.

– მაგრად მოგშივებიათ, ალბათ დღეს არც გიჭამიათ რამე... შეხედე, როგორ გაუტიეს! – იცინის მახარე.

– თუ ასე გააგრძელეს, ეგ ტომარა რამდენიმე დღეში დაცარიელდება და მერე ალბათ მხოლოდ ჰაერით მოუწევთ კვება, ჰაერი კი ნაღდად არ შემოაკლდებათ! – სერიოზული გამომეტყველებით აცხადებს ბატონი მამამზე, ოღონდ თვალები უღიმის. – აბა, მახარე, წათე, დღეს პირველად მივირთმევთ ჰაერში, თანაც სტუმრები გვყავს, თანაც 1850 მეტრ სიმაღლეზე, თანაც ჩვენი მოგზაურობის დაწყებაც უნდა აღვნიშნოთ! გარდა ამისა, ფრენის დაწყებას ორი ნორჩი ჰაერნაოსნის დაბადებაც დაემთხვა! ხედავთ, რამდენმა საბაბმა მოიყარა ერთად თავი დღეს, 19 სექტემბერს; ეს დღე აღვნიშნოთ ლხინით! ამოალაგეთ, რაც კი ნუგბარი რამ მოგვეძევება და რაც შედარებით მალე გაფუჭდება, თუმცა საკმაოდ აგრილდა. ერთი-ორი შამპანურიც გავისროლოთ, ამ სიმაღლეზე ხმაც გვარიანი ექნება – ზარბაზანივით! ეს ყორნები რომ აგვეკიდნენ თანამგზავრებად, დაფრთხებიან, თორემ იმათაც ვუწილადებდით! ფრთხილად გახსენით, ისე აშუშხუნდება, რომ, თუ დროზე არ მივუსწარით, დასალევი თითქმის აღარაფერი დაგვრჩება... ბიჭებო, დიდო მოგზაურებო, სახატავი მოწყობილობა არ გაგხსენებიათ, თბილი ტანსაცმელი თუ წამოიღეთ? უფრო მაღლაც მოგვიწევს ალბათ ასვლა, კიდევ უფრო აცივდება და ღამე ხომ სულ გაითოშებით. ქუდები? ქუდები დაიხურეთ სასწრაფოდ. მახარე, რატომ ხარ თავშიშველი, შენი ქუდი სადღაა?

მახარემ თმაზე გადაისვა ხელისგული – აფრენისას ხომ საკუთარი ქუდი გააფრინა! რაღას იზამდა, თავზე მატყლის ნაქსოვი ყელსახვევი შემოიხვია.

– შეხედეთ მახარეს თავს, ყვავის ბუდეს არ ჰგავს? – ახარხარდა წათე.

– უფრო ზღვის მეკობრეს, – არ ეთანხმება ბატონი მამამზე...

ნება მიბოძეთ, საზეიმო ლხინის აღწერით მკითხველი არ შევაწუხო, მხოლოდ ცნობისმოყვარეთათვის აღვნიშნავ, რომ სუფრას ამშვენებდა: მოხარშული და შებრაწული ვარიები, ხაჭაპურები, ღვეზლები, სულგუნი, მოხარშული კვერცხები, შებოლილი და მოხარშული ძეხვეული, შოთის პურები, მწვანილი, პომიდორი, ნაირნაირი ხილი, ღვინო...

ბიჭებს მიართვეს აგრეთვე სპირტქურაზე მომზადებული ჰოლანდიური კაკაო, ნამცხვრები და დიდი კანფეტები, რომლებიც ლამაზნახატიან ქაღალდში იყო გახვეული – ყვავილებიან მდელოზე წითელბაფთიანი გოგონა ცისფერბაფთიან ფისოს ეალერსებოდა.

კარი VI. ჩვენ არ გადაგვიძახონ გონდოლიდან!

ახლა კი მინდა, მოგითხროთ ბესიკისა და დათუნას საჰაერო ბურთის გონდოლა-კალათში მოხვედრის უცნაური ამბავი.

ალბათ იმით უნდა დავიწყო, რომ ერთ მშვენიერ დღეს (ბოდიში, გაცვეთილი სიტყვებით ვიწყებ) გიმნაზიიდან დაბრუნებულმა ბატონმა ბესარიონმა, ფრიად აღგზნებულმა, ერთი წლით უმცროს ძმას, ბატონ დათუნას, უამბო, რომ იმ დღეს ბესიკის კლასელებს გაკვეთილები არ ჩაუტარდათ, ვინაიდან მათმა გეოგრაფიის მასწავლებელმა მახარე კოპალაურმა მოწაფეებს მოუყვა საჰაერო ბურთით მომავალი გაფრენის შესახებ, შემდეგ კი წაიყვანა ისინი დიდუბეში, ანახვა სახელოსნო, სადაც იმყოფებოდა ის ბურთიცა და დანარჩენი მოწყობილობაც. მართალია, ბურთი დაჩუტული იყო, მოწყობილობა – დაშლილი, მაგრამ მაინც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბიჭებზე, განსაკუთრებით კი – ბესარიონზე და მან უმცროს ძმას დაწვრილებით მოუთხრო ნანახგანცდილის შესახებ. რამდენადაც ძმას საჰაერო ბურთის აკაზმულობის უცხოური დასახელებები კარგად ვერ დაემახსოვრებინა და მათ დანიშნულებაზეც ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა, მეორე დღესვე, დილიდანვე, ძმები მარტონი მიტანტალდნენ სახელოსნოში – დიდუბეში, რკინიგზისპირა ერთ-ერთ საწყობში, ჰიპოდრომთან ახლოს (კარგა დიდი მანძილი ფეხით გალიეს!). იმ დღეს ვერავინ ნახეს – საწყობი დაკეტილი დაუხვდათ, მაგრამ ძმები არ მოეშვნენ იქ სიარულს და, რამდენიმე დღის შემდეგ, ბატონმა დათუნამაც იხილა საოცნებო საგანი – საჰაერო ბურთი, ყურადღებით მოისმინა ახსნა-განმარტება მისი აგებულებისა და მუშაობის შესახებ და ფიზიკის რვეულში ჩაიწერა კიდეც უცხო სიტყვები: “გონდოლა” – აეროსტატის ანუ საჰაერო ბურთის ნაწილი, “კალათი”, რომელშიც თავსდება ეკიპაჟი, აგრეთვე მოწყობილობა-ხელსაწყოები და ფრენისთვის სხვა საჭირო ტვირთი; “აპენდიქსი” – ბურთიდან მის ქვემო ნაწილში არსებული “გამონაზარდი”-მილი, რომლითაც საჭიროების კვალობაზე ხდება აირის ჩატუმბვა ან გამოშვება, “სტროპი” – თოკი, სტროპებითაა კალათი ანუ გონდოლა ჩამოკიდებული ბურთზე; “კლაპანი” – ტექნიკური მოწყობილობა ბურთიდან აირის თანდათან გამოსაშვებად; “გაიდროპი” – ბაგირი, რომელსაც გონდოლიდან ჩაუშვებენ ხოლმე დასამუხრუჭებლად; “ბალასტი” – ტვირთი, სილით ავსებული ტომსიკები; სილის გადმოყრით ხდება აეროსტატის მაღლა აფრენის სიჩქარის შერჩევა...

მახარე კოპალაურის გასაკვირვებლად, ძმებს ძალზე შეუყვარდათ გეოგრაფიის გაკვეთილები, ფიზიკის მასწავლებელიც განცვიფრებული იყო ძმების წარმატებებით მის საგანში. დედ-მამა ხომ პირდაღებულნი შესცქეროდნენ შვილების საქციელს – ბიჭებს დაავიწყდათ ეზოში მეგობარ-ამხანაგებთან თამაში, აღარც სინემატოგრაფში წაყვანას ითხოვდნენ (არც ჩუმად იპარებოდნენ!), სამაგიეროდ, კანფეტებისა და სასკოლო საუზმისთვის ფულს თხოულობდნენ წამდაუწუმ... საოცრება არ არის? საგრძნობლად რატომღა გახდნენ ბესარიონი და დათუნა?.. ისინი ოცნებობდნენ პატარა, მაგრამ ნამდვილი საჰაერო ბურთი გაეკეთებინათ და მათი საყვარელი ძაღლი მურია გაეფრინათ საცდელად (მხოლოდ წინა ორი ფეხი აქვს სანახევროდ თეთრი – თათებზე “წინდები აცვია” და მკერდსაც მცირე თეთრი ლაქა უმშვენებს, დანარჩენი ტანი ეშმაკივით შავია – ცაში რა უნდა ანგელოზებთან?). ამ მიზნით ეზოს ერთ კუთხეში, ხის ფარდულში, პატარა სახელოსნო გამართეს და იქ ჩრთიფირთობდნენ რაღაცას ყველასგან საიდუმლოდ... ერთ დღეს კი ფარდულში გაისმა გამაყრუებელი გრუხუნი, იფეთქა ალმა და რაღაც სასწაულით ბესიკმა და დათუნამ გარეთ გამოასწრეს გამძვინვარებულ სტიქიონს... მურია გაოგნებულ პატრონებს გარშემო ურბენდა და გამწარებული ყეფდა; ის კი არ იცოდა, რომ თუ ძმების მცდელობა საფრენი აპარატის აგებისა წარმატებით დასრულდებოდა, ჰაერში განავარდებაც მოუწევდა მოკლე ხანში – მისი სურვილის საწინააღმდეგოდ და თანაც მარტოდმარტოს... თან ალბათ ძაღლთა ღმერთმაც არ იცოდა, საით გაფრინდებოდა მურია და სად და როდის მოუწევდა დაბრუნება მიწაზე. ასე რომ, წესით, სიხარულის წკმუტუნითა და კუდის ქიცინით უნდა გამოეხატა მურიას თავდახსნა მომავალი ხიფათისგან.

ძმებმა კი ამჯერად უფრო დიდი მიზანი დაისახეს: თვით ისინი უეჭველად უნდა გაფრინდნენ საჰაერო ბურთით!

ბიჭები მოუსვენრობამ შეიპყრო – წარმოუდგენლად მოუნდათ ჰაერში განავარდება; გაუკრთათ ძილი და სიზმრებშიც ხშირად სიამით დასრიალებდნენ ზევით-ქვევით ფრინველებივით, დაუვლიდნენ მთა-ბარს, აიჭრებოდნენ ღრუბლებზე მაღლა, გაინავარდებდნენ უცხო მხარეებშიც...

ბოლო დროს, რაც კი ქალაქში ლექციები ტარდებოდა ჰაერნაოსნობის შესახებ, ძმები არც ერთს დაჰკლებიან, მიიღეს მონაწილეობა გაზეთ “ტფილისის ცხელ-ცხელი ამბების” მიერ გამოცხადებულ ღია კონკურსში საჰაერო ბურთის საუკეთესო სახელწოდებაზე (წარადგინეს ხუთი ვარიანტი: “მგრგვინავი ელვა”, “გამარჯვებული მოხეტიალე”, “სივრცის მპყრობელი”, “ჰაერის ვეფხვი” და “მფრინავი იმედი”) და მოუხშირეს სტუმრობას სახელოსნო-საწყობში, სადაც საჰაერო ბურთს გასაფრენად ამზადებდნენ. ბიბლიოთეკაში იქექებოდნენ ტექნიკურ ლიტერატურაში,

საგულდაგულოდ ჩაუჯდნენ გერმანული და ფრანგული ენების შესწავლას, ხოლო, როცა გაიგეს, რომ მათი გეოგრაფიის მასწავლებელი გაფრენის ერთ-ერთი სავარაუდო მონაწილე იყო, დიდად გაიხარეს – ვარაუდობდნენ, რომ გაუადვილდებოდათ სანუკვარი მიზნის მიღწევა. გადაკრულად ბევრჯერ აგრძნობინეს მახარე კოპალაურს საკუთარი გულის ზრახვანი, მაგრამ თვით გეოგრაფიის მასწავლებლის გაფრენაში მონაწილეობა სხვებს უნდა გადაეწყვიტათ და ბიჭებს რით შეეძლო დახმარებოდა? ან 13-14 წლის ყმაწვილებს ესოდენ სახიფათო და ძნელ საქმეში ვინ გარევდა? ყოველივე ეს მოსაზრება ხანგრძლივი საუბრების დროს მასწავლებელმა გაუზიარა მოუსვენარ მოწაფეებს, მაგრამ მათ განზრახვაზე ხელი ვერ ააღებინა. ბიჭებმა გადაწყვიტეს, საჰაერო ბურთის გაშვების წინა ღამეს, შეეღწიათ ჰიპოდრომზე და როგორმე საიდუმლოდ მოკალათებულიყვნენ მოწნულ კალათში.

გაფრენის წინადღეს – 18 სექტემბერს – ბიჭებმა ყველაფერი გაამზადეს, საღამოსპირს დააბეს მურია და დიდუბეში ფეხით გასწიეს – ჰიპოდრომისკენ. აუჩქარებლად მიდიოდნენ, თუმცა გული და სული წინ უსწრებდათ და უკვე სიბნელეში მიაღწიეს კიდეც ადგილს.

ჰიპოდრომი შემოკავებული იყო ფიცრული ღობით, დარაჯი ძაღლთან ერთად მიმოდიოდა და დროდადრო ჩაჰბერავდა ხოლმე სასტვენს. დაკეტილ კარებს უზარმაზარი ბოქლომი ედო.

კიდევ ცოტა ხანი მოიცადეს მოფარებულში და, როცა კარგად დაბნელდა, ჰიპოდრომის მესერში ადრევე შერჩეული, მოყანყალებული ფიცარი მოძებნეს და მისი ქვედა ბოლო გვერდზე მისწიეს. მათკენ ბოხი ყეფით გამოექანა უზარმაზარი ქართული ნაგაზი. ბიჭებმა ყოველი შემთხვევისთვის წინასწარ შეჩვეულ, ნაცნობ ნაგაზს ძეხვის მოზრდილი ნაჭერი მიართვეს, გააჩუმეს და თავზეც კი რიგრიგობით ალერსით გადაუსვეს ხელი. მერე მესერში ჯერ ბესიკი გაძვრა, მას დათუნაც მიჰყვა.

დარაჯის ჯიხურიდან უცნაური ხმა ისმოდა.

– საშინელი ხროტინია, თითქოს ვიღაცას ახრჩობენ... – წასჩურჩულა შემკრთალმა დათუნამ ძმას.

– რა ვქნათ? – შეფიქრიანდა ბესიკიც.

– უკან ხომ არ გავბრუნდეთ?

ბესიკი ყოყმანობდა.

– მოვიცადოთ, დრო საკმაოდ გვაქვს... – ბესიკმა მიაყურადა, შემდეგ გადაწყვიტა: – მოდი, ცოტა ახლოს მივჩოჩდეთ, ჰაერნაოსნები ხომ ვართ?

დასძლიეს შიში და ჯიხურს ნელ-ნელა მიუახლოვდნენ. უცებ გულს მოეშვათ – მიხვდნენ, რომ დარაჯის გმირულმა ხვრინვამ შეაცბუნა ისინი.

უკვე გონდოლასთან იყვნენ მისულები, როდესაც მურიას გახარებული ყეფა და ნაგაზთან, კარგ ნაცნობთან, მისი მხიარული ბღლარძუნი შემოესმათ.

– ვერ დააბი წესიერად, შე ბედოვლათო? – შეუტია ჩუმი ხმით ბესიკმა ძმას.

– ბედოვლათი შენ თვითონ ხარ, შენ ვერ დააბი? – შეეპასუხა დათუნა საკმაოდ ხმამაღლა.

– ერთი ჩაგცხო მაგ ტილიან თავში! – თითქმის უყვირა ბესიკმა და ჩაიკუზა: მათკენ მოემართებოდა თოფიანი კაცის აჩრდილი.

ბიჭები კალათს ამოეფარნენ და დაძაბულნი ელოდნენ, გაქცევისთვის მზად იყვნენ, მაგრამ დარაჯი ნაგაზთან მივიდა, ლუღლუღით რაღაც წაიბურტყუნა, ძაღლს თავზე გადაუსვა ხელი და ბანცალ-ბანცალითა და სტვენა-სტვენით უკანვე გაბრუნდა; ნაგაზი კუდში მიჰყვა, მურია კი წინა, "თეთრწინდებიანი", თათების მოუთმენელი "აცეკვებით" (მხოლოდ ამის გარჩევა შეიძლებოდა სიბნელეში) პატრონებთან დარჩა. ბესიკმა და დათუნამ მისი "ხვეწნა-მუდარა" არად ჩააგდეს – თვით გადაძვრნენ გონდოლაში, ძაღლი კი გარეთ დატოვეს.

– რამდენიმე სილიანი ტომსიკა რომ მოვხსნათ და მურია ჩავსვათ გონდოლაში? – ჩურჩულით ჰკითხა ბესიკს დათუნამ.

– გაგიჟდი? – ჩურჩულითვე უპასუხა ბესიკმა. – ბალასტის ტომსიკები დათვლილია, რომ დააკლდეთ, ჩვენ არ გადაგვიძახონ გონდოლიდან, მურიის დარდი გაქვს? გირჩევნია, კარგად მოვათვალიეროთ აქაურობა და ისეთი სამალავი ვიპოვოთ, სადაც ორივე დავეტევით...

მკითხველმა თვით წარმოიდგინოს შემდგომი: ღამის განცდები... შიში ყოველი გაფაჩუნებისას... შიმშილი და წყურვილი... გაფრენის მტანჯველი მოლოდინი...

კარი VII. ქვევით გორის ციხე მოჩანს...

– ჰაუ-ჰაუ!..

– აქში, შე ოხერო!..

ასეთმა ხმამაღალმა შეძახილებმა წამოახტუნეს ზეზე ბესიკი და დათუნა...

მზე უჭყიტინებდათ თვალებში, ნამძინარევნი, მუშტებით ისრესდნენ თვალებს და ჯერ კარგად ვერ გარკვეულიყვნენ, სად იყვნენ და რა ხდებოდა.

სად იყვნენ და – საჰაერო ბურთის გონდოლაში, მაღლა, ჰაერში, – ეს მალევე გაიაზრეს, მაგრამ მათ სამ თანამგზავრს, დარბაისელ პიროვნებებს, რა აყვირებდათ ამ დილაადრიან?

– აქში-აქში!..

– ჰაუ-ჰაუ, შე მუდრეგო!..

ბატონი მამამზე, ბატონი მახარე და ბატონი წათე ქარის წისქვილებივით იქნევდნენ ხელებს, ხმამაღალი შეძახილებით ცდილობდნენ, განედევნათ რაღაც დიდი ფრინველი.

– რა მოხდა? რა ამბავია? – იყვირეს თავის მხრივ ბიჭებმა.

– რა და, ქორი დაგვეცა ყაჩაღურად, ვერ ხედავთ? – უპასუხა წათემ.

– ქორი? ეგ ქორია? უყურე ერთი მაგ თავხედს, როგორ გაბედა ჩვენზე თავდასხმა? – გაუკვირდა ბესარიონს. – ალბათ მტრედები მოეწონა, ნერწყვი მოუვიდა.

– თავხედები ჩვენ ვართ, ეგ კი არა, – თქვა მახარემ. – რას ვერჩით, ჩვენ შევიჭერით მაგის საუფლოში და, აბა, დაუპატიჟებელ სტუმრებს როგორ მოექცეოდა?

– ყოჩაღ, ნახე, რა გულადი ყოფილა! – წამოიყვირა დათუნამ. – ამოდენა ბურთის არ შეეშინდა! "გულად მაწანწალას" შეუტია!

– ქორი – ქორია! ყველა ნადირ-ფრინველი საკუთარ მშობლიურ გარემოში შემოჭრილ უცხოელს არ ეპუება, თუნდაც მასზე ბევრად ძლიერს, – უპასუხა მახარემ და ყვირილი და ხელების ქნევა განაგრძო: – ჰაუ-ჰაუ!.. არა ვართ შენი მოცილე, ბოდიშს ვიხდით შენს სანადირო არეში უბოდიშოდ შემოჭრისთვის! ნუ გეშინია, სარჩოს არ წაგართმევთ!

– ჰაუ-ჰაუ, წადი, ქორო, იქით! ჰაუ-ჰაუ! – აყვირდნენ ბიჭებიც. – თოფი გვაქვს, ქორო, და გიჩვენებთ სეირს!..

აბეზარი მტაცებელი არ სცილდებოდათ: დროდადრო კალათისკენ გაალმასებული გამოექანებოდა, დაჯახებამდე ერთი წამით ადრე ფრთებით და კუდით დაამუხრუჭებდა და განზე გასხლტებოდა – კიდევ და კიდევ.

– ამ დილაადრიან რამ გააცოფა? – წამოიძახა ბესიკმა.

– თქვენ იცით, ახლა რომელი საათია, ნორჩო მოგზაურებო? – მიმართა მათ ბატონმა მამამზემ, – შუადღეს ბევრი არაფერი აკლია. თოფი რომ მესროლა, დაფეთიანდებოდით და იქნებ კალათიდანაც გადამხტარიყავით, ჰა-ჰა-ჰა!.. ისევ ყვირილი ვამჯობინეთ.

– ქორმა თავი დაგვანება, – ფრინველს მზერა შორს გაადევნა დათუნამ, – უკვე აღარც ჩანს, რა მალე დაგვეკარგა!

– ახლა მოდი აქეთ, დაბრუნდი ჩვენს ოჯახში, – ხელი მოჰკიდა დათუნას და თავისკენ მოქაჩა მამამზემ. – დიახ, ეს ადგილი, სადაც ახლა ვიმყოფებით, დროებით ჩვენი სახლი გახდა, ჩვენ კი ერთი ოჯახი ვართ. ოჯახი კი ოჯახად არ ვარგა, თუ უფროს-უმცროსობა არ იქნა, თუ არ არსებობს მოვალეობათა განაწილება, ხომ ასეა? ყველამ თავ-თავისი წილი საქმე უნდა შეასრულოს. თუ ჰაერნაოსნებში ჩაეწერეთ, უპირველესად წესრიგი და თადარიგი უნდა დაიცვათ... ბესიკ, ჩემსკენ მოიხედე, შენც გეხება, რასაც ახლა ვლაპარაკობ. აქ ახლა მე თქვენი დედაც ვარ, მამაც, კლასის დამრიგებელიც და მამაღმერთიც, ერთად აღებული. დაუყონებლივ და სიტყვის შეუბრუნებლად უნდა შესრულდეს ყოველი ჩემი განკარგულება, თქვენს მუდმივ საქმეს კი დამოუკიდებლად გააკეთებთ, ჩემგან მითითებისა თუ მოთხოვნის გარეშეც. უპირველესად უნდა დაიცვათ რეჟიმი, რე-ჟი-მი! რეჟიმი რაც არის, ხომ კარგად მოგეხსენებათ? ყველაფერი თავის დროზე, ზუსტად და კეთილსინდისიერად უნდა შესრულდეს – იქნება ეს ყოველდღიური ვარჯიში, უფროსის განკარგულება თუ განრიგით მორიგეობა. დიახ, მუქთამჭამელები "გულადი მაწანწალის" ბორტზე ჩვენ არ გვჭირდება! ღამის მორიგეობისგან თქვენ თავისუფალი იქნებით. ჩვენ განსაკუთრებულ პირობებში ვართ ჩაყენებული – განუწყვეტელი თვალთვალი ჩვენთვის ისევე აუცილებელია, როგორც ჰაერი, პური და წყალი. აი, თქვენ ხომ თვითონ თვალნათლივ დარწმუნდით, ზოგჯერ რა ხიფათი არის ჩასაფრებული, ვერც რომ წარმოიდგენ, ამიტომ, სანამ ჰაერში ვართ, ყოველ წამს ჩახმახივით უნდა ვიყოთ შემართულნი, რომ ნებისმიერმა მოულოდნელობამ არ დაგვაბნიოს, მომზადებული შევხვდეთ. ჩვენი მოგზაურობა მხოლოდ სასიამოვნო საჰაერო გასეირნება არ გეგონოთ, მძიმე შრომა მოგელით, დიდი ჯაფა და ნებისყოფის დაძაბვა – ყოველ წამს, როგორც მოგახსენეთ. დღეს არ გაგაღვიძეთ ადრე, სხვა დროს ძილისგუდობას უნდა დაემშვიდობოთ და მზესთან ერთად ან უფრო ადრეც წამოხტეთ. თქვენი ძირითადი მოვალეობა იქნება ვიზუალური დაკვირვება ანუ უნდა განუწყვეტლივ გარშემო იყუროთ, დააკვირდეთ ყველაფერს, მაგალითად, ღრუბლებს, ამინდს, განსაკუთრებით – მთებს, მიწას. რა წამსაც გკითხავთ, მაშინვე უნდა მიპასუხოთ, რა სიმაღლეზე ვიმყოფებით, ზევით მივდივართ თუ ქვევით, საშიშ მანძილზე ხომ არ ვუახლოვდებით მიწას და ასე შემდეგ...

– რომ დავინახო, აი, მაგალითად... ჩვენსკენ მოფრინავს ჩვენსავით საჰაერო ბურთი, უნდა დაგვეჯახოს, დავიყვირო, თუ რა უნდა ვქნა? – ცუდლუტურად გაიღიმა დათუნამ.

– შენ ხუმრობა გყვარებია, მომწონს! – საპასუხოდ გაუღიმა მამამზემაც, – მთელს კავკასიაში ალბათ ერთადერთი აეროსტატია ჩვენი და თუ მეორეც გამოჩნდა, რაღა მაინცდამაინც ჩვენსკენ უნდა წამოვიდეს... ჰაერის ნაკადს მიაქვს საჰაერო ბურთები და თუ ახლოს იქნებიან ერთმანეთთან, აუცილებლად ერთი მიმართულებით თანაბრად იმოძრავებენ; ასე რომ, ერთმანეთს ძნელად დაეჯახებიან, ასეთი შესაძლებლობა მცირეა. იმასაც გეტყვი: როცა უფროსი ლაპარაკობს, იცოდე, მისი შეწყვეტა არ შეიძლება. მიწაზე ეს უზრდელობაში ჩამოგერთმეოდა, აქ კი, საჰაერო ბურთის ეკიპაჟში – დანაშაულადაც კი... გაიგე?

დათუნამ ბოდიში მოუხადა.

– ეს ერთი მიპატიებია... ახლა კი ჯერ კუჭს მიაგეთ პატივი, ისაუზმეთ და თქვენს მოვალეობებს კონკრეტულად შემდეგ გაგაცნობთ. დღის ორ საათამდე წათეა მორიგე, ის დაგაპურებთ. მიდით, წათემ უკვე ყველაფერი გაგიმზადათ. ჭამა-ყლაპვისთვის გეძლევათ თხუთმეტი-ოცი წუთი. მერე – საქმე. იმედია, დაამტკიცებთ, რომ საზრიანი ვაჟკაცები და ნამდვილი ჰაერნაოსნები ხართ და არ შევცდი, როცა ჩვენს გუნდში ჩაგრიცხეთ. მე მომწონს თქვენი სურვილი, გამოსცადოთ საკუთარი თავი, საკუთარი შესაძლებლობები ძნელ საქმეში, შეიცნოთ თქვენთვის ახალი ცხოვრების სფერო, გაეცნოთ ჯერ უნახავ, შორეულ მხარეებს... რას იშმუშნებით, ღამე ხომ არ შეგცივდათ?

– ახლაც როგორ ცივა! – მხრებს იწურავს ბესიკი. მას ჯოდორი მსუქნიშვილის დანატოვარი თბილი ქურთუკი აცვია; გრძელი აქვს, თითქმის ჩაძირულია შიგ – სახელოები გადაკეცილი აქვს; დათუნასაც რაღა არ ჩაუცვამს, მაინც თავი მხრებში აქვს ჩარგული.

– რა სიმაღლეზე ვართ? – კითხულობს შეფ-პილოტი.

– 2600 მეტრი ალტიმეტრის მიხედვით! – პასუხობს მახარე.

– საშუალო სიმაღლეზე ავედით. მზე შედარებით ადრე ამოვიდა ჩვენთვის, მაგრამ მაინც ვერ გვათბობს. დათუნა, გაიმართე წელში, გინდა, ასი წლის ბებერივით მოხრილი გაიზარდო?

– დიახ, ახლა ჩვენთან ექვსი გრადუსია ცელსიუსით, – ამბობს მახარე.

– ჩვენს ქვევით, მიწაზე, რამდენი გრადუსი იქნება? – კითხულობს მამამზე.

– ცნობილია: ერთი კილომეტრით მაღლა ასვლისას ტემპერატურა კლებულობს საშუალოდ ხუთი-შვიდი გრადუსით; ამიტომ, ჩემი ვარაუდით, ქართლის ვაკეზე ანუ ორი კილომეტრით ქვევით, თექვსმეტი-ოცი გრადუსი იქნება.

– არ შეიძლება. ცოტა ქვევით დავეშვათ? – ითხოვს დათუნა, თან მადიანად ილუკმება, ლორსა და პურს მიირთმევს (ბესიკიც არ ჩამორჩება ყბების ღონივრად ქნევაში). – როგორ ავედით ამ სიმაღლეზე?

– აპარატი ნელ-ნელა მსუბუქდება: ვჭამთ, ვსვამთ, სითბურ ენერგიას ვასხივებთ, ნარჩენებს ვიშორებთ თავიდან... მართალია, სილის ბალასტი ტომსიკებიდან ჯერ არ გადაგვიყრია სიმაღლის შესანარჩუნებლად, მაგრამ ეს ნარჩენებიც ხომ ბალასტია; თან ღამე ატმოსფერო უფრო სწრაფად ცივდებოდა, ვიდრე ბურთი, ამიტომაც ავიწიეთ მაღლა, ახლა პირიქით – ნელ-ნელა ქვევით წავალთ, – უხსნის დათუნას მახარე, მერე თავს ზევით, რკინის მასიურ რგოლზე დამაგრებულ ხელსაწყოებს აკვირდება. – ბიჭებო, აი, ამ ხელსაწყოს ჰქვია სტატოსკოპი; ხომ ხედავთ, ისარი აქვს. ისარი ახლა გაჩერებულია, ესე იგი, ერთ სიმაღლეზე ვიმყოფებით. თუ აქეთ გადაიხარა, ხედავთ, ფრანგულად აწერია: "მონტე" – მაღლა ასვლას ნიშნავს; მეორე მხარეს აწერია, "დესანტ" – აპარატის ქვევით ჩასვლას გვიჩვენებს... გასაგებია?

– დიახ! – ერთხმად უპასუხეს ძმებმა.

– ერთი თქვენთაგანი მუდმივად იმორიგეევებს ამ ხელსაწყოსთან, რომ ყოველ წამს ვიცოდეთ შვეული მიმართულებით ჩვენი გადაადგილების შესახებ – ზევით მივემართებით თუ ქვევით. აქვეა ალტიმეტრი, ის სიმაღლეს გვიჩვენებს. ხელში რომ მიჭირავს – კომპასია, ამით ვარკვევთ, თარაზული მიმართულებით რა მხარეს მივფრინავთ. ამ საქმეს მე გავუძღვები, აგერ ამ რუკის დახმარებით. მადლობა ღმერთს, ღრუბლები ხელს არ გვიშლის და მიწისზედა ორიენტირების მიხედვით ადვილად შეგვიძლია ჩვენი ადგილმდებარეობის განსაზღვრა. თქვენც გასწავლით, არ არის ძნელი.

– ძროხა, ძროხა!.. შეხედე!.. – ყვირის უცებ ბესიკი.

– ძროხაა ეგ, შე ბოთე? ცხენია! – ყვირილითვე პასუხობს დათუნა.

– არა, ძროხაა!

– ძროხა კი არა, ცხენია!

მახარე ერევა მათ დავაში:

– თქვენ შინაც ასე კინკლაობდით? ხომ ხედავთ, ირგვლივ რა სიმყუდროვეა, არ ჯობს, რომ ოდნავ ხმადაბლა ველაპარაკოთ ერთმანეთს? აგერ, ერთიმეორის გვერდით არ ვდგავართ?

– ერთ ადგილზე ვართ გაჩერებული, დიდხანს ვიქნებით ასე? – წყნარად კითხულობს დათუნა.

ბესიკიც დარცხვენილია, ისიც ხმადაბლა ამბობს:

– როგორ გარკვევით ისმის ძაღლების ყეფა, სოფლის ხმაური... რაღაც დიდი სოფელია ჩვენს ქვევით; ადამიანთა ხმებსაც ვარჩევ.

– მისმინეთ, ბიჭებო, – ამბობს მახარე, – ჯერ დათუნას ვუპასუხებ. ახლა შტილია, ჰაერი არ იძვრის. იმედი მქონდა, რომ შუადღისთვის ნიავი მაინც დაიძრებოდა და ჩვენც ავმოძრავდებოდით. საერთოდ, ქარის სიჩქარე ღამით მინიმალურია და შუადღეზე – მაქსიმალური, მაგრამ, როგორც ხედავთ, ბუნებისთვის დადგენილი ზოგადი კანონზომიერებიდან გადახვევა ჩვეულებრივი ამბავია.

– დასხედით, ბიჭებო, – ბესიკსა და დათუნას მიმართა ბატონმა მამამზემ. – ახლა ერთი რამ მინდა გავიგო, სკოლაში როგორ სწავლობდით?

– გიმნაზიაში? – შეუსწორა ბესიკმა.

— დიახ, გიმნაზიაში. რა შეფასება გქონდათ ლიტერატურაში?

დაბნეული ბიჭები თავდაღუნულნი ისხდნენ და ჭამაც კი შეწყვიტეს.

— სასწავლად სად ეცალათ, გაფრენისთვის მზადების ციებ-ცხელება შეეყარათ, — იღიმება მახარე.

— რომელი წერთ უკეთესად? — მოთმინებადაკარგულმა იკითხა ბატონმა მამამზემ. — კეთილი, ასე შევთანხმდეთ: თქვენ დაწერთ მოგზაურობის დღიურს; ყოველდღე აღნიშნავთ ჩვენს ადგილმდებარეობას, ფრენის მიმართულებას, ამინდს, სხვადასხვა მოვლენებს — კარგსაც და ცუდსაც, და საერთოდ, ყველაფერს, რაც კი ღირსშესანიშნავი რამ მოხდება. გასაგებია? ერთ დღეს, ვთქვათ, კენტ რიცხვებში, ბესიკი დაწერს, ლუწ რიცხვებში — დათუნა. ამიტომ კარგად დააკვირდით ხოლმე გარემოს, არაფერი გამოგრჩეთ საყურადღებო.

ბიჭები ხმას არ იღებდნენ, შემდეგ უხალისოდ უსიტყვოდ დაუქნიეს თავები.

— რვეულები და ფანქრები თუ წამოიღეთ, დიდო მოგზაურებო? — საუბარში ჩაერთო მახარე კოპალაური. — რა თქმა უნდა, არც დაგსიზმრებიათ, გიმნაზიაშიც ალბათ საკმაოდ მოგაბეზრათ თავი... მაშ, მე მოგცემთ ერთ საერთო რვეულს დღიურისთვის; ჩემი თხოვნაა, შიგ ჩახატოთ აგრეთვე საინტერესო ან დამახასიათებელი, დასამახსოვრებელი ხედები. თუ მიხვდით, რა ბედნიერება გეწვიათ? უდიდეს მხატვრებს არ ჰქონიათ შესაძლებლობა, ასეთი ხედვის წერტილებით დამტკბარიყვნენ... აი, ახლაც, რას ვხედავთ ქვევით?.. ჩრდილოეთით?.. დასავლეთით?..

— ჩვენს ქვევით ვაკეა — ჭრელია ვეფხვის ტანივით... — დაიწყო ბესიკმა.

— ვეფხვი გინახავს? — შეაწყვეტინა მახარე მასწავლებელმა.

— წიგნში ვნახე დახატული.

— მერე? ვეფხვს ზოლები აქვს ტანზე, ქვევით კი სადაა გრძელი, პარალელური ზოლები? ხომ ხედავ, სხვადასხვა ზომისა და ფერის ლაქებია, უმეტესად — ოთხკუთხედის ფორმის, ბებიას ნაჭრის საბანივით. ყვითელი და მორუხო ოთხკუთხედები პურის ყანებია, იქ აღებულია უკვე მოსავალი. ზოგან შავად მოჩანს, ალბათ უკვე მოუხნავთ; სადაც სხვადასხვა ელფერის მწვანეა, იქ ბაღები და ბოსტნები უნდა იყოს.

— სიმაღლე? — იკითხა ბატონმა მამამზემ.

— 1700 მეტრი! — მაშინვე უპასუხა წათემ. — ისევ ვეშვებით.

— ასე მალე ჩამოვედით ქვევით? — გაუკვირდა მამამზეს.

— რატომ მივდივართ ზევით ან ქვევით? გონდოლისა და ბურთის წონა ხომ არ იცვლება? — კითხულობს ბესიკი.

— არ გვისმენდი? ამის შესახებ დათუნაც შემეკითხა. ეტყობა, შენ ყურადღებით არ იყავი, — ამბობს მახარე მასწავლებელი, — თუმცა, მე სრული პასუხი არ გავეცი, რაღაც სხვა თემამ გაგვიტყუა. მე უკვე ვთქვი, რომ აპარატი ნელ-ნელა მსუბუქდება, რადგან ნარჩენებს ვყრით, მაგრამ ეს არ არის მთავარი. აეროსტატის მაღლა ან დაბლა მოძრაობა უპირატესად მაინც დამოკიდებულია ჰაერის ტემპერატურაზე, მის სიმკვრივეზე და ნაკადების მოძრაობის სიჩქარესა და მიმართულებაზე. მინდვრის თუ ტყის, ვაკის თუ მთიანი ადგილის, წყლის თუ ნახნავის ზედაპირი სხვადასხვაგვარად თბება მზის სხივებით, ამიტომ ჰაერის აღმავალი ნაკადებიც სხვადასხვა სიძლიერისაა. ქედების კალთებზე ზოგან აღმავალი ნაკადებია, ზოგან — დაღმავალი... ეს საკითხები ჯერ თითქმის შეუსწავლელია და თქვენი კეთილსინდისიერი დაკვირვებებით შეგიძლიათ, მცირე წვლილი მაინც შეიტანოთ მეცნიერებაში...

— ჩვენ?

— რატომ გიკვირს? — იკითხა მახარემ, — რატომაც არა? თუ მონდომებასა და ყურადღებას არ დააკლებთ, ცოტა ტვინსაც გაანძრევთ, გარემოებებს და მოვლენებს ურთიერთ დააკავშირებთ... იქნებ სწორედ თქვენ შესძლოთ ისეთი ფაქტების მოპოვება, რომლებიც ჯერ მეცნიერებისთვის უცნობია!.. თუმცა... თუნდაც მეცნიერებას ვერაფერი შესძინოთ, თქვენ ხომ მაინც გამდიდრდებით ცოდნით, — არც ეს არის უმნიშვნელო რამ. მთავარია, ცნობისმოყვარენი იყოთ.

— რას ლაპარაკობ, მახარე, ცნობისმოყვარეობა ზედმეტიც აქვთ, — ჩაერია საუბარში მამამზე. — აბა, რატომ აღმოჩნდნენ აქ? მისმინეთ, ყმაწვილებო: დაკვირვება, დაკვირვება და დაკვირვება — აი თქვენი საქმე. ცოტა აზრიც დაატანეთ, დანახული გაიაზრეთ... სკოლა ტყუილად გააცდინესო, არაც ეს ათქმევინოთ.

— გიმნაზია, — ისევ შეუსწორა ბესიკმა.

— შენ ცოტა ბრექიაც ყოფილხარ! — გაუკვირდა მამამზეს. — გიმნაზია სკოლა არ არის?.. ჭამას მორჩით? მაშინ შეუდექით საქმეს. ჩვენი საჰაერო ბურთი — სფერული თავისუფალი აეროსტატი — თქვენი მოღვაწეობის ასპარეზია ამჟამად. სიმაღლე?

— 1800 მეტრი! კურსი — ჩრდილო-დასავლეთი, დაახლოებით 290 გრადუსი, სიჩქარე — დაახლოებით სამი-ხუთი კილომეტრი საათში! — უპატაკა წათემ,

— აგაშენა ღმერთმა, ცოტა დავიძარით ადგილიდან, მგონია, — ჩაილაპარაკა მამამზემ. — დილიდან წავალთ-წამოვალთ, წავალთ-წამოვალთ და თითქმის ერთ ადგილზე კი ვტრიალებთ. ახლა სად ვიმყოფებით?

— ეგერ გორი ჩანს, — უპასუხა მახარემ. — ხედავთ, ბიჭებო?

– გორში ნამყოფები ვართ, – გაუხარდა დათუნას. იქ ჩვენი პაპა ცხოვრობს, იმასაც დავითი ჰქვია.

– და დიდედა მათიკო, – დაამატა ბესიკმა.

– და ბიძია ბიძინა, – გააგრძელა დათუნამ.

– კიდევ, კიდევ? – შეჰღიმილა ბიჭებს მახარემ.

– კიდევ ბიძაშვილები: თანდილა, პაპუნა, სანდალა და კესანე.

– თუ გორს თავზე გადავუფრინეთ, ბარათს არ გაუგზავნით? წერილისგან გააკეთეთ ქაღალდის ჩიტი, დააწერეთ მისამართი და თხოვნა, რომ მპოვნელმა პაპა დავითს მიჰგვაროს საკუთარ ხელში; თქვენც გავარჯიშდებით წერაში და პაპასაც გაახარებთ, – შეაგულიანა მახარემ ბიჭები, მაგრამ ამ უკანასკნელებს დიდი აღფრთოვანება არ გამოუხატავთ.

– აი, თქვე ზარმაცუნებო, თქვენა! გაინძერით! ჯერ ბარათი დაწერეთ, რომ 20 სექტემბერს, დღის პირველ საათზე, საჰაერო ბურთი "გულადი მაწანწალა" და მისი ეკიპაჟი იმყოფებოდნენ ქალაქ გორის თავზე... მოგზაურობა კარგად დაიწყო, ჯერჯერობით საგანგაშო და გაუთვალისწინებელი არაფერი მომხდარა, გარდა იმისა, რომ მოულოდნელად ეკიპაჟში აღმოჩნდნენ დაუპატიჟებელი მგზავრები – ორი გაიძვერა ყმაწვილი, რომლებმაც რაღაც მანქანებით ყოვლად თავხედურად და უტიფრად მოახერხეს გონდოლაში ჩუმად შეძრომა!..

ბატონ მამამზეს უნდოდა, ამგვარადვე კიდევ გაეგრძელებინა, მაგრამ შეხედა ბიჭების ჩამჟავებულ, უგუნებო სახეებს და ხუმრობას შეეშვა.

– წათე, დროულად დაწერე შენი უსტარი, რომ მტრედმა საღამომდე მოასწროს ადრესატამდე მისვლა. ამ ბიჭების ამბავიც არ გამოგრჩეს, ბიჭებმა კი დღიურის შევსება დაიწყონ. დღეს რომელი დაწერს, აბა, რომელია უფრო ყოჩაღი?

ბესიკი გაისუსა, დათუნაც.

– თქვენ მშიშარები ყოფილხართ... ენები გადაყლაპეთ? – შეუტია მათ ბატონმა მამამზემ.

– დათუნამ დაწეროს... – ამოილუღლუღა ბესიკმა.

– მე რატომ? პირველმა ბესიკმა დაწეროს, – ხმა ამოიღო დათუნამაც.

– მე პირველმა ვთქვი! – იყვირა ბესიკმა.

– აბა, აბა, ეგეთები არ იყოს! – გაუმკაცრდა ხმა ბატონ მამამზეს. – ერთმანეთს შინ ეკინკლავებით, აქ კი მე დამიჯერეთ. ბესიკ, ისმინე ჩემი ბრძანება: ამ საღამოსვე შეუდექი დღიურის წერას, უმცროს ძმას მაგალითი მიეცი. გუშინდელი დღეც არ დაგავიწყდეს, ბევრი რამ გექნება დასაწერი. გორისა და მისი სანახების ხედებს თუ ჩაიხატავ – მთლად კარგი. გუშინ ხომ მოგწონდა ბევრი რამ, არ გწყდება გული, რომ არ ჩაიხატე? იმ დროს, სამწუხაროდ, ვედარ დაიბრუნებ... ხედავ, დღეს გასაკეთებელ საქმეს რომ ხვალისთვის გადადებ, ადვილი შესაძლებელი ყოფილა, ის საქმე საერთოდ გაუკეთებელი დაგრჩეს... შენ კი, დათუნა, ხვალ ივაჟკაცე, უფროს ძმას უნდა აჯობო მონდომებით და ამბების დაწვრილებითი თხრობით.

მახარემ საიდანღაც გამოაძვრინა სქელი რვეული და ფანქარი და ბესიკს დიდის ამბით გაუწოდა:

– აჰა, ბატონო მწერალო და მხატვარო!.. ისტორიული მნიშვნელობის წუთი დადგა – უნდა გვასახელო ჩვენც და შენი თავიც. გილოცავ დიდი და სასახელო შრომის დაწყებას, აბა შენ იცი!

– ფანქარი რომ წაუთლელია?

– შენ ისეთი ყოჩაღი ბიჭი ჩანხარ, წაუთლელი ფანქრითაც შეძლებ დაწერას! – გაეხუმრა მახარე.

მამაზე კი გაუწყრა:

– ბიჭი არ ხარ, ჯიბეში ჯაყვა არ გაქვს?

– წერე და თალე ფანქარი, თალე და წერე! – დაამატა მახარემ.

– დღეში – სულ ცოტა, ერთი გვერდი! – დაადასტურა მახარეს სიტყვები ბატონმა მამამზემ.

– მოგზაურობის ბოლოსთვის წიგნის მასალაც გექნებათ და შევეჯიბროთ, ვინ უკეთესს დაწერს, მე თუ თქვენ! – ხუმრობს წათე წყალხმელაძე. – წესით, თქვენ უნდა მაჯობოთ, თქვენი წიგნი სურათებით იქნება დამშვენებული!

– გარდა ამისა, – განაგრძო ბატონმა მამამზემ, – უნდა გამოისყიდოთ კიდევ ერთი დანაშაული... როგორც ვატყობ, წერილი არ დაგიტოვებიათ მშობლებისთვის თქვენი განზრახვის შესახებ – სად დაიკარგეთ? წარმომიდგენია, როგორ ღამეს გაათევდნენ... რით გაიმართლებთ თავს, ამდენი მღელვარება და შიში რომ გადაატანინეთ? თუმცა, ჯერ კიდევ ტანჯავთ ფიქრი... ახლავე უპირველესად მონანიების წერილი მისწერეთ მშობლებს და თქვენი ამბავი შეატყობინეთ, დღესვე გავაგზავნით მტრედით. გრძნობთ თუ არა თავს დამნაშავედ?

ბესიკი ცხვირჩამოშვებული იდგა და ხმას არ იღებდა.

– ენა ისევ გადაყლაპე? – შემდეგ მამამზე მახარეს მიუბრუნდა: – რაღა ვქნათ, მგონი, დამუნჯდა!

— მაგას ადვილად მოვუვლით, ბატონო მამამზე: შეხედეთ, აგერ, ჩვენს ქვევითაა გორისჯვარი — ციხე-გალავანი და მცირე ეკლესია. გორისჯვრის სასწაულმოქმედ წმინდა გიორგის შევავედროთ განკურნება მონისა ღვთისა ბესარიონისა მძიმე სენისგან...

ჯერ დათუნამ ჩაიფხუკუნა, შემდეგ ბესიკმაც ვერ შეიკავა სიცილი.

— ასე უცებ მორჩი? — გაეღიმა მახარეს. — ხედავთ, ბიჭებო, რამდენი მდინარე იყრის თავს გორთან? მტკვარი, ლიახვი, მეჯუდა... დააკვირდით: რუხ-მოწითალო და ნაცრისფერია ქალაქი; ვერხვნარის მწვანე ჭალა ლიახვის შესართავთან ზოგან უკვე სიყვითლეშეპარულია, ალბათ ცივი ზამთარი გვიკაკუნებს კარს. დროულად მოვათავოთ ასე კეთილად დაწყებული მოგზაურობა და მოვემზადოთ ჩვენი თავგადასავლების საამბობლად ტკბილად მოგუზგუზე ბუხართან...

— რომ გაგვიგრძელდეს ფრენა? — ცქვიტად გამოეხმაურა დათუნა. — გადავიფრინოთ ხმელთაშუა ზღვაზე და გავისეირნოთ აფრიკაში — იქ ხომ არასდროს ცივა! მერე გადავკვეთოთ ეკვატორი...

— ყოჩაღ, დათუნა, გეოგრაფიაში ფრიადს გიწერ, — გაეცინა მახარე მასწავლებელს. — ერთი რამ ვერ გაითვალისწინე მხოლოდ — ეკვატორს რომ გამოვედოთ, არ გეშინია?

— ხუმრობა იქით იყოს და, ბიჭებო, შეენაცვლეთ წათეს, მან კორესპონდენცია უნდა დაწეროს, — ბრძანა შეფ-პილოტმა. — სიმაღლე?

— 1800 მეტრი! — უპასუხა წათემ. — მივფრინავთ დასავლეთის მიმართულებით, მცირე სიჩქარით!

ბიჭებმა და წათემ ადგილები გაცვალეს. წათემ ყუთზე მოიკალათა და წერას შეუდგა, ბესიკისა და დათუნასთვის დადგა პირველი მორიგეობის ჟამი.

ამ დღეს განსაკუთრებული არაფერი მომხდარა; ბურთი კარგა ხანს იდგა ერთ ადგილზე, გაიწევდა ცოტ-ცოტას აქეთ ან იქით, ზევით-ქვევით, მაგრამ საბოლოოდ გორს დიდად არ გასცილებია.

კარი VIII. შინ მჯდარიყავი, არ გერჩია?

— კარგი საყურებელია, დიდებული საცქერია გორი ზევიდან, მაგრამ წინსვლაც საჭიროა, აქ ხომ არ დავმწინლდებით, — წუხდა ბატონი მამამზე მეორე დილით.

— ერთი გორელებსაც ჰკითხე! გუშინდლიდან საიდანღაც გამომტყვრალი რაღაც დიდი ბურთი საეჭვოდ დასტრიალებს ქალაქს თავზე და ახლა ქალაქელებმა აღარ იციან, რა იფიქრონ — მეორედ მოსვლაა ალბათ სწორედო! — ამბობს მახარე. — მთელი დღე თავაწეულები იყვნენ, საწყლები, კისრები გაუკავდებოდათ და ჭორი რამდენი აგორდებოდა!.. წათე, რამდენიმე ფურცელი მაინც დაგეწერა და ჩაგვეყარა, გაგვაგებინა ამ პატიოსანი ხალხისთვის, რომ ჩვენც პატიოსანი მოქალაქენი ვართ, მოგზაურები, და ავი ზრახვა არაფერი გვიდევს გულში.

— კარგი რა უნდა იფიქრონ, ცით მოვლენილი ქაჯების მეტი რა უნდა იყოს ამ სიმაღლეზე! — ხუმრობს წათე. — როგორც ჩანს, ზარბაზანი არ აქვთ, თორემ აქამდე ჩამოგვაგდებდნენ, ვითარცა ჩიტს — შურდულითა. დავიჯერო, შურდული მაინც არ აქვთ?

— ჩვენ გვაქვს ორი შურდული, ოღონდ შინ დავტოვეთ! — წამოიძახა სახეგაბრწყინებულმა დათუნამ.

— აბა აწი ეგ შეცდომა აღარ გაიმეორო და შურდული ყოველთვის ჯიბეში გედოს! — ეუბნება წათე.

— აქ რაში უნდა გამოვიყენო?

— ქორი, მისი შემოტევა დაგავიწყდა?

— ნუ გეშინიათ, გორელები ტფილისის გაზეთებს მიიღებდნენ და ეცოდინებათ "გულადი მაწანწალის" ამბავი, — ამბობს შეფ-პილოტი. — მატარებელი ჩვენზე ბევრად სწრაფად მიდის, თან გზიდან გადახვევა არ სჩვევია.

საათი საათს მისდევდა, ვარვარა მზე დინჯად და მოზომილად მოგზაურობდა უღრუბლო ცაზე, საჰაერო ბურთი კი მიბმულივით არ სცილდებოდა გორის ციხეს და არც სიმაღლეს იცვლიდა დიდად.

— გორისჯვრის წმინდა გიორგი ხომ არ გავანაწყენეთ? — კითხულობს ბესიკი.

— პირიქით, ალბათ შევუყვარდით და არ სურს თავისი მოწყალე კალთიდან ჩვენი მოშორება — ემანდ რაიმე ხიფათს არ გადაეყარონ გრძელ გზაზეო, — პასუხობს მახარე.

— სიმაღლე? — ხაფი ხმით იკითხა ბატონმა მამამზემ.

— 1550 მეტრი! — უპასუხა წათემ.

— დაახლოებით ერთი კილომეტრი გვაშორებს მიწის ზედაპირს, — ამბობს მახარე.

— დაცალეთ ბალასტის ერთი ტომარა! — ბრძანა შეფ-პილოტმა. — შუადღე გადავიდა, სადამდე ვიყოთ ასე გაჩერებული; მაღლა ავიწიოთ, იქნებ პატარა ნიავს მაინც წავაწყდეთ და გვეშველოს.

ლოდინით გულგაწყალებული ჰაერნაოსნები დაფაცურდნენ.

“გულადი მაწანწალა” შესამჩნევად მიიწევდა მაღლა, წავიდა და წავიდა!

– რა მოხდა? – იკითხა წათემ. – ალტიმეტრი თითქოს გადაირია!

– რა მოხდა და სამმა ბედოვლათმა ერთდროულად დაცალა სამი ტომარა, თითოში კი თითო ფუთი სილაა! – უპასუხა ბატონმა მამამზემ. – ასე ხელგაშლილად თუ ვხარჯეთ ბალასტი, კარგი დახლი დაგვიდგება, სულ ცხრა ტომარაღა დაგვრჩა.

– ჩემი რა ბრალია, ბრძანება შევასრულე, თანაც სწრაფად, – თავი იმართლა ბესიკმა.

– მეც! – აჰყვა დათუნაც.

– მე რაღა დამემართა, – სინანულით თავი გააქნია მახარე მასწავლებელმა, – ხომ ვიცოდი, რომ სილა ნელ-ნელა უნდა გადამეყარა ტომრიდან...

– ბოდიშს ვიხდი, მე ვარ ყველაზე დიდი ბედოვლათი, – შეაწყვეტინა ბატონმა მამამზემ, – ჩემი ბრალია ყველაფერი, მეტი არავისი. ბალასტი მხოლოდ ზედმეტი კი არა, მეტისმეტიც გადავყარეთ და წათეც შევაფიქრიანეთ... სიმაღლე?

– 1700 მეტრი! – უპატაკა წათემ. – და ისევ ვიწევთ მაღლა!

– ეჰ, – ამოიოხრა შეფ-პილოტმა, – აი, რა მოსდევს ურთიერთ შეუთანხმებელ მოქმედებას: მე რომ დამეზუსტებინა, ვის უნდა გადაეყარა ბალასტი, თანაც ნელ-ნელა, სამი კაცი ერთდროულად არ იმოქმედებდა და სასურველ სიმაღლეზეც გავჩერდებოდით.

– ჩვენი გონდოლა სამი ფუთით შემსუბუქდა, მეც დაახლოებით მაგდენს ვიწონი; გამოდის, თითქოს მე გადავხტი უცებ გონდოლიდან, – იხუმრა ბესიკმა.

– ასე ლამაზად და კოხტად რომ ვყრით სილას ქვევით, ვინმეს რომ თავზე დაეყაროს, არ გაუკვირდება, საიდან მოვიდა სილის წვიმაო? – იცინის დათუნა.

– ვინმე გაპრანჭულ ქალბატონს თუ დაეფრქვევა კინკრიხოზე, გაგიჟდება! ეს რა ღვთის რისხვააო, იყვირებს, – აიტაცა ძმის ხუმრობა ბესიკმა.

– აიხედავს მაღლა და რას დაინახავს? ჩვენს საჰაერო ბურთს, რომელიც თანდათან პატარავდება, – თქვა მახარე მასწავლებელმა.

– დავიძარით, დავიძარით! – იყვირა წათემ. – კურსი დასავლეთით, უფრო ზუსტად – დასავლეთ-ჩრდილო-დასავლეთით ავიღეთ!

– სიმაღლე?

– 1900 მეტრი! მაღლა სვლას ვაგრძელებთ.

– მზესთან ახლა უფრო ახლოს ვართ? – იკითხა დათუნამ.

– მაშ! – უპასუხა მახარემ. – გაიწვდინე მკლავი და ხელისგულზე დაისვი, როგორც კვერცხის გული! მასავით მოთახთახე, მბრწყინავი, შინაგანი სასიცოცხლო ძალით მფეთქავი!

დათუნა იცინის:

– მე რომ ვერ ვუყურებ?

– რად გინდა მზის ყურება? მზე იმიტომ კი არ გიზგიზებს, მე შემხედეთ, ნახეთ, რა კარგი ბიჭი ვარო... არა, ის თავისი სხივებით სხვების გასათბობად და გასანათებლად იღვწის. შენც აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედეო, გეუბნება, ნახე, რამდენი რამ დაატკბობს შენს მზერასო... ბიჭებო, ხომ გაქვთ თვალები ფართოდ გახელილი?.. შეხედეთ, სამხრეთით თრიალეთის ლურჯი ქედია, მეორე, საწინააღმდეგო მხარეს კი თითქმის მთელი კავკასიონი გაწოლილა. ხომ არის განსაცვიფრებლად ლამაზი? თეთრი მწვერვალები თითქოს ცაში არიან გამოკიდებულნი, მზეზე ბრწყინავენ ალმასებივით. ეგერ მყინვარწვერის სპეტაკი შუბლიც ამართულა... აქეთ, უფრო ახლოს, გერმუხის ქედია. თითქმის ჩვენს გვერდით რომ ჩანს, მთა ორბოძალია, მოგწონთ?

– უფრო დასავლეთით რომ აწოწილა ვარდისფერი წვერი? – იკითხა ბესიკმა.

– ის ლებეურის მთა უნდა იყოს, – უპასუხა მახარემ, თან დროდადრო რუკას დაჰყურებდა.

– უჰ, თვალები მეტკინა, – თვალებს ჭუტავს დათუნა, – მეტისმეტად ბრწყინავს, ძლიერ ანათებს მზე.

– დახუჭე თვალები, დაასვენე, – პასუხობს მახარე. – გაირინდე, ნახე, მზე როგორ მოგეფეროს, რა თბილია მისი ხელები.

– თბილი კი არა, სულ უფრო აცივდა, – ამბობს ბესიკი, – ტყუილად მივუახლოვდით მზეს?

– სამაგიეროდ, ჰაერის ნაკადში მოვხვდით, – ჩაერთო საუბარში ბატონი მამამზე, – ნახეთ, გორი სად დაგვრჩა.

შუადღეზე ღრუბლების ფარა შეესია კავკასიონს, სამხრეთითაც გაჩნდა თითო-ოროლა მოხეტიალე ღრუბელი, რომლებსაც მზე დროდადრო აიფარებდა შუბლზე და მაშინ უფრო საგრძნობი ხდებოდა სიცივე.

გვიან ისადილეს, შემდეგ ისევ გარშემო თვალთვალი განაგრძეს.

– როგორი უსწორმასწორო ყოფილა მიწა! – უკვირს ბესიკს. – საითაც გაიხედავ, ყველგან – მთები, მთები და მთები! თანაც ზოგიერთები როგორი წვეტიანია, ფანქარივით.

– სიმაღლე? – შიგადაშიგ კითხულობს შეფ-პილოტი.

– 2000 მეტრი!.. 2100 მეტრი!.. 2150 მეტრი!.. – პასუხობს მორიგე.

მიმართულება ფრენისა იცვლება: ხან ჩრდილოეთით გაუტევენ, შემდეგ – დასავლეთით, სამხრეთ-დასავლეთით, ისევ დასავლეთით, ჩრდილოეთით...

ღუღუნებდნენ გალიაში მტრედები (ერთმა მტრედმა წათეს პირველი კორესპონდენცია და წერილები წაიღო, მათ შორის – ბიჭებისაც), სხვა მხრივ საოცარი სიწყნარე სუფევდა გარშემო, რასაც უკვე შეეჩვივნენ მოგზაურები. მიწა წყნარად და თითქმის უძრავად გაწოლილიყო ქვევით, ჩრდილოეთით ზოგი მწვერვალი, ღრუბლებში გამომკრთალი, მაინც "გულად მაწანწალაზე" მაღლა იყო ამაყად აშვერილი; დაბალი მთაგრეხილების ამოზნექილი ზურგები შედარებით ახლოს იყვნენ, უფრო მუქი, ჩავარდნილი ხეობები კი – ჩაწეულები.

ბიჭებს აღარ სჭირდებოდათ ხშირ-ხშირად დავალების შეხსენება – მიეჩვივნენ, მუდმივად ჰორიზონტს უთვალთვალებდნენ კურსზე, ან რა საჭირო იყო – გარშემო ისეთი სილამაზე იყო განფენილი!

– შტურმანო, მალე ვიქნებით იმერეთში? – იკითხა შეფ-პილოტმა.

– ღამეს ალბათ იქ შევხვდებით, – უპასუხა მახარემ, – ოღონდ ახლა ზუსტად სად ვართ, ვერ მოგახსენებთ... ქვევით იმდენი ქედია დახორხლილი, იმდენი ხევხუვები ერთმანეთის მსგავსი... თუ მე მეჩვენება ასე? ჯერ ვერ ავითვისე ჯეროვნად ჰაერში ორიენტაციის ხელოვნება.

– ვერც იმას გვეტყვი, აზიაში ვართ თუ აფრიკაში? – ეხუმრება ბატონი მამამზე.

– ნაღდია, რომ ლიხის ქედს მივადექით და მოვაჯექით კიდეც ზურგზე, მერე საით გავწევთ, წინდაწინ მარჩიელობას ჰგავს, – რუკას დასცქერის მახარე. – აქ საერთოდ დასავლეთის ქარი ჰქრის თითქმის მუდმივად და ჩემთვის ჩვენი გადაადგილების მიმართულება მოულოდნელია. თუ ახლანდელი კურსით ვიარეთ, საღამოსპირს იმერული მჭადის, ყველისა და ცოლიკოურის სურნელს ვიგრძნობთ, მეტი რა ვთქვა.

– რაღაც ვერ ლაპარაკობ შენ დარწმუნებით, – თავს აქნევს ბატონი მამამზე, შემდეგ ბესიკსა და დათუნას მიმართავს: – ბიჭებო, დაეხმარეთ თქვენს მასწავლებელს, დავაზუსტოთ, სად ვიმყოფებით. ისედაც ცასა და მიწას შორის ვართ გამოკიდებულნი და ახლა სულ მთლად ნუ დავიკარგებით.

– მალე დაბინდდება, ბატონო მამამზე, – ორ ყუთს შორის მოყუჩებული წათე გარეთ ჰყოფს ცხვირს, – თუ ცოტა ქვევით არ დავიწიეთ, ღამით გავიყინებით და დილით ჩვენი ყინულის ძეგლები იქნება დადგმული ეკიპაჟის წევრების მაგივრად. ჩვენი ძეგლებად დადგმის პატივი ნაადრევად მიმაჩნია, ეს ჯერ არაფრით დაგვიმსახურებია.

– სიმაღლე?

– 2200 მეტრი! – უპასუხა შეფ-პილოტს ბესიკმა.

– არა, ამაზე ქვევით დაშვება გაუმართლებელია, – დაფიქრებულია ბატონი მამამზე. – შტურმანო, რა სიმაღლის რელიეფია ქვემოთ?

– ლიხის ქედის საშუალო სიმაღლე აქ 1000-1200 მეტრია, ჩრდილოეთით მაღლდება 2000-2400 მეტრამდე. ჯერ საშიში არაფერია, ლებეურის მთასაც ავცდებით, მაგრამ თუ უფრო ჩრდილოეთით წავიდა ბურთი... – ეჭვით დასცქერის რუკას მახარე, – იქით ხიფათი ნამდვილად მოგველის.

– ხედავთ, ღრუბლები საღამოს ისევ გაქრა! – გახარებულია ბატონი მამამზე. – თვალთვალის საშუალება გვექნება და თუ მთვარეც მოგვეხმარება, ფათერაკს ავიცილებთ.

– ხვალაც დარი იქნება, – დარწმუნებით ამბობს მახარე, – ამიტომ ღამით მეტი აცივებისთვის უნდა მოვემზადოთ, განსაკუთრებით გამთენიისას.

ქვევით აღმოსავლეთისკენ დინჯად, თითქმის შეუმჩნევლად მიცურავდნენ მთაგრეხილები, დაჩრდილული ხეობები ღრმა ბინდს მოეცვა; დასავლეთით დაღლილი მზის წითელი ბურთი იძირებოდა, თვალდათვალ ჩანდა, როგორ სწრაფად ცდილობდა, გასცლოდა არემარეს, ასპარეზი დაეთმო ღამისთვის და თვით კი დაესვენა.

ჰაერნაოსნებს კი დასვენება არ ეწერათ.

– ერთი კაცი არ არის საკმარისი ღამით სამორიგეოდ, – ბრძანა შეფ-პილოტმა, – სახიფათო ადგილას ვიმყოფებით, მაღალი ქედების მისადგომებთან და მორიგეს რომ წაეძინოს, რას შვრები მერე?

– ჩვენ ორნი ვიმორიგევებთ! – წამოიყვირა ბესიკმა, – მე და დათუნა!

ბატონმა მამამზემ ცერად გახედა:

– მამლაყინწობა ვერ მოიშალე? წყნარად ილაპარაკე, ჯერ არ დავყრუებულვართ. ჯერ ეს მიბრძანე, დღიურში ჩაწერე რამე?

– დღეს დათუნას ჯერი იყო.

– არაფერი მომხდარა საინტერესო, სულ ერთ ადგილზე ვიყავით გაყინული და რა უნდა დამეწერა? – თავს იმართლებს დათუნა.

– აი, თუნდაც ეგ უნდა აღგენიშნა, – ასწავლის მახარე დათუნას, – რომ ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა, რადგან უქარობის გამო გადაადგილება შეუძლებელი იყო... უნდა ჩაწერო აგრეთვე ჩვენი სიმაღლეზე მდებარეობა, ადგილსამყოფელი, ამინდი, რას ვხედავთ გარშემო, რაზე ვსაუბრობთ, რა გუნება-განწყობილებაზე ვართ და ასე შემდეგ. ცოტა ტვინი თუ გაანძრიე, რამდენიმე გვერდს შეავსებ.

– მორიგეებად მე და მახარე ვიქნებით, – ამბობს ბატონი მამამზე.

ბიჭებმა ცხვირი ჩამოუშვეს ანუ ყურები ჩამოყარეს.

– კეთილი, დღეს გამონაკლისი დავუშვათ და ცოტა გვიან დაიძინეთ, – დასძენს ბატონი მამამზე. – მართლაც ჯაჭვით დაბმულ ძროხას ვგავდით, ირგვლივ რომ მოიბალახა, ყველაფერი გადაძოვა და მისი ახალ ადგილზე გადაბმა კი დააგვიანეს.

სწრაფად დაბნელდა. მანამდე ვახშმობა მოასწრეს და ყველანი დაძაბულნი იცქირებოდნენ ჩრდილოეთით – იქ მაღალი, დაკბილული ქედები ინაკვთებოდნენ.

– ყმაწვილებს არ აწყენთ, თუ ცოტას გავანათლებთ ნავიგაციაში, – წამოიწყო მახარე მასწავლებელმა. – მიწის ორიენტირებით ვერ ვიხელმძღვანელებთ – ბნელა, არაფერი ჩანს, ვერც – კომპასით, რუკით, სიჩქარისა და სიმაღლის მაჩვენებლებით... რაღა დარჩა? ერთი გამოსავალი გვაქვს – ასტრონავიგაცია, ვარსკვლავებით ორიენტირება. არა უშავს რა, ერთი ღამე გატეხეთ, ბიჭებო; შესაძლებელია, ცაზე დაკვირვება ამ სიმაღლეზე, ასეთ მშვენიერ ამინდში, გამჭვირვალე ცაზე სხვა დროს ვეღარ შევძლოთ. ახლა გასწავლით, როგორ უნდა გაიგოთ მიახლოებით დრო ცაზე თანავარსკვლავედთა განლაგებით. ახლა შემოდგომაა და ყველაზე მოსახერხებელია დროის განსაზღვრა დიდი დათვის თანავარსკვლავედის მიხედვით. 23 სექტემბერს, შემოდგომის ბუნიობის დღეს, შუაღამის თორმეტ საათზე დიდი დათვის თანავარსკვლავედის ორი კიდურა ვარსკვლავი – ალფა და ბეტა – მდებარეობს პოლარული ვარსკვლავიდან ზუსტად ქვევით. პოლარული ვარსკვლავი, ალბათ იცით, ჩრდილოეთის მიმართულებას გვიჩვენებს; იგი მდებარეობს თითქმის სამყაროს პოლუსში, მასთან ძალიან ახლოს. ექვს საათში ანუ დილის ექვს საათზე ალფა და ბეტა მოექცევიან პოლარული ვარსკვლავიდან ზუსტად მარჯვნივ...

– რა დროს ნავიგაციაა, თუ ძმა ხარ! – შეაწყვეტინა ბატონმა მამამზემ. – შეხედე, რა სილამაზეა!

ბატონ მამამზესგან მოულოდნელი იყო ამგვარი გამონათქვამი, მაგრამ მოგზაურების თვალწინ ჩრდილოეთით გადაშლილი ხედი მართლაც განსაცვიფრებელი იყო.

– მხოლოდ ზღაპრულ სიზმარში შეიძლება ნახო: სავსე მთვარე და მით განათებული კავკასიონი! – ვერ დაფარა აღტაცება მახარემაც, სიტყვებს ამაოდ ეძებდა შთაბეჭდილების გადმოსაცემად, – ამას რომელი მხატვარი დახატავს... თეთრი მწვერვალების ქარავანი ჯადოსნური შუქით ბრწყინავს მუქ-ლურჯი ცის ფონზე... ვარსკვლავები? ასეთი მსხვილი და ელვარე ვარსკვლავები ჩემს სიცოცხლეში პირველად ვიხილე!

დიდხანს გაჰყურებდნენ გარინდებულნი, მდუმარენი – სიტყვები მართლაც ზედმეტი იყო და უხეშ ჩარევად გამოჩნდებოდა ამ საყოველთაო სიმყუდროვეში. თუმცა მთვარის ჯადოსნური შუქით განათებული მთაგრეხილები და დაჩრდილული ხევხუვები მშვენივრად ჩანდა, ქვევით არავინ იყურებოდა და ამიტომ მიწას მხოლოდ ჩამუქებულ რაღაც უსწორმასწორობად თუ შეიგრძნობდნენ – მძიმე, უფორმო მასად აღიქვამდნენ, მაშინ, როდესაც კავკასიონის ვერცხლისფრად ელვარებული მწვერვალები თითქოს ცაში იყვნენ გამოკიდებულნი და მხოლოდ ერთი სულის შებერვა იყო საჭირო, რათა ეს ზღაპრული, მსუბუქი ზმანება მაშინვე გამქრალიყო...

– სიმაღლე? – ზარის რეკვასავით გაისმა შეფ-პილოტის ხმა.

მახარემ ნავთის ლამპარი "ღამურა" მიანათა ხელსაწყოებს:

– 2200! ერთ სიმაღლეზე ვართ კარგა ხანია, ნელ-ნელა დასავლეთისკენ ვინაცვლებთ... – შემდეგ მახარემ განაგრძო უფრო ხმადაბლა: – ასეთ ღამეს ძილი ალბათ დანაშაულია ჩვენთვის!.. ხომ, ბიჭებო? რას ფიქრობთ ვარსკვლავიანი ცის ცქერისას?

– ლამაზია! – თქვა ბესიკმა.

– აი, რაღაც... მ-მ... – ვეღარ გამოთქვა ნაგრძნობი დათუნამ.

– ვიცი, ვიცი, რისი თქმაც გინდა! – თქვა მახარემ. – ამ დროს ხომ ყველა ფილოსოფოსი ხდება, ყველას რაღაც საიდუმლო აწუხებს ამ წარმოუდგენელი სიღრმის ცქერისას: ვინ ვარ მე? რა ვარ? ამ უნაპირო ქვეყნიერებაში რას წარმოვადგენ და რის გამკეთებელი ვარ? რა აზრი აქვს საერთოდ ჩემს არსებობას ერთი უმცირესი ქვიშის მარცვალზე – დედამიწაზე – სამყაროს უკიდეგანო უდაბურობაში?!.

ბიჭები უსმენდნენ მასწავლებელს, წათე და მამამზეც არ იღებდნენ ხმას. მახარე თითქოს თავისთვის ლაპარაკს განაგრძობდა:

– მთვარე, ვარსკვლავები, თანავარსკვლავედები, ზეცის გუმბათის ტრიალი... ხან აქ, ხან იქ ვარდება ვარსკვლავი – თითქოს ასანთი გაჰკრეს ცის გუმბათზე და ვერ აანთეს... ყველა და ყველაფერი ადგილზე ვერ ჩერდება, საითკენღაც გადაადგილდება – დედამიწა, მზე, მთვარე, ვარსკვლავები; ჩვენც ვმოგზაურობთ, გინდაც ერთ ადგილზე ვიყოთ გამოკიდებულნი – უძრავად გაჩერება შეუძლებელია... თუმცა, რა აზრი აქვს ამ გაუთავებელ საყოველთაო წოწიალს? რა შინაგანი, სიღრმისეული მნიშვნელობა?

– სიმაღლე?

– 2100! – ისევ მიანათა ლამპარი ალტიმეტრს მახარემ.

– ესე იგი, შენი შეხედულებით, არავითარი აზრი არ აქვს ჩვენს მოგზაურობასაც... აბა რატომ წამოხვედი, შინ მჯდარიყავი, არ გერჩია? – ჰკითხა მახარეს ბატონმა მამამზემ.

– შინ? არ მეყოფა ყოველდღე ერთისა და იგივეს ყურება, ერთისა და იგივეს კეთება? არა, შინ დარჩენა უარესი იქნებოდა. ასეთ კაშკაშა ვარსკვლავებს შინ არავინ მოგართმევს ლანგრით...

– სამაგიეროდ, ლანგრით მოგართმევენ ცხელ-ცხელ ხინკლებს! – მოულოდნელად ყველაზე ბნელი კუთხიდან გაისმა წათეს ხრინწიანი ხმა. – ზედ ცეცხლივით არაყსაც დავაყოლებდი შიგადაშიგ და ისეთი ვარსკვლავები დაიხატებოდა ჩემს წინ, რომ შენი მოწონებული! თან ეს ოხერი გაცივებაც გამივლიდა ხუთ წუთში და თბილ და რბილ ლოგინშიც გემოზე გამოვიძინებდი!

– ცივა! – წამოიკნავლა დათუნამ.

– ღამეა, ცივა, ვარსკვლავი ცვივა... – წაიმღერა მახარემ. – აბა, მითხარით, ბიჭებო, ვისი ლექსია?

– ლექსები არ მიყვარს, – განაცხადა ბესიკმა.

– არც მე, – მხარი აუბა ძმას დათუნამ.

– ხეტიალი, მოგზაურობა გიყვართ და ლექსები არა? – გაუკვირდა მახარეს. – მე მგონი, არ იცნობთ პოეზიას და იმიტომ, თორემ, როგორ შეიძლება, ადამიანს პოეზია ეჯავრებოდეს? ეგ სტრიქონი კი ლექსის დასაწყისია, რომელიც ამ წამს წამოტივტივდა ჩემს გონებაში. თუ გნებავთ, მისი შეთხზვა ერთად გავაგრძელოთ... დათუნა, აბა, თუ შეძლებ გაგრძელებას!

– წათე ბიძიას კუთხეში სძინავს! – გახარებულმა წამოიძახა დათუნამ – მართლაც, მკაფიოდ ისმოდა გემრიელი ხვრინვა.

– ახლა არ გველაპარაკებოდა? – გაუკვირდა მახარეს. – დროა, თქვენც მიბაძოთ და ძილის საუფლოს ესტუმროთ – ვხედავ, როგორ გეყვინთებათ.

– ლექსის გაგრძელება? – უკმაყოფილოდ იკითხა დათუნამ.

– ეგეც და ასტრონომიული დაკვირვებებიც სხვა დროს, ახლა – ძილი!

– ხვრინვაშიც მივბაძოთ?..

– ყველაფერში მიბაძეთ, განსაკუთრებით – წერა ნუ გეზარებათ! ხატვაში კი უნდა აჯობოთ!..

კარი IX. სად ისურვებდით ბურთის დაშვებას?

– რა ღვთის რისხვაა, ბარშიც – შტილი, მთებშიც – შტილი... – ბურტყუნებს ბატონი მამამზე და ხან ჩრდილოეთით გასცქერის კავკასიონს, ხან დასავლეთით – რაჭა-ლეჩხუმის მთაგრეხილებს, ხანაც, გონდოლის ქვევით, – ზემო იმერეთის გორაკებსა და ხეობებს.

– რა არის შტილი? – კითხულობს დათუნა. გვიან გაიღვიძა, ახლა დილის საუზმეს მიირთმევს და მაინც ძილისკენ სძლევს.

– გერმანული რომ იცოდე, ასეთ კითხვას არ მომცემდი... აი, ასეთ დამყაყებულ ამინდს ჰქვია შტილი, როცა ქარის ნატამალიც არ არის, – გაღიზიანებული პასუხობს ბატონი მამამზე. – რა უბედურება გვჭირს, რა ხდება, არ ვიცი, გაგონილა ამდენ ხანს ასეთი უძრაობა? ჩვენს ჯინაზე ახლა მოუნდა ყველაფერს დაწყნარება და დაძინება... შენც გეყვინთება, ფაფაში ცხვირი არ ჩაჰკრა!

– კარგი ამინდია, ბატონო მამამზე, ბუნებასთან რა გვაქვს სასაყვედურო! – ეუბნება მახარე. – გლეხკაცმა ახლა უნდა მოიწიოს ჭირნახული, სადაცაა აქეთ რთველიც დაიწყება. ჩვენ, ოთხი-ხუთი ადამიანი, როგორმე გადავიტანთ წყნარ ამინდებს, სამაგიეროდ, რამდენი ათასი თვალი გახარებული შეჰყურებს ყოველ დილით გადაკრიალებულ ზეცას – დღესაც გემრიელი, მზიანი დღე გაგვითენდაო.

– სწორი ბრძანდები, მაგრამ... – პასუხობს ბატონი მამამზე და აღარ აგრძელებს, ისედაც ცხადია, რას გულისხმობს ამ “მაგრამ”-ში: დარი ჩვენც გვესალბუნება, ოღონდ პატარა ნიავიც არ იქნება ურიგოო.

კაცმა რომ სთქვას, საჰაერო ბურთი არც მთლად უძრავად იყო გამოკიდებული ერთ ადგილას – ნელა გადაადგილდებოდა კიდეც წინ-უკან, მაგრამ ფრიად უმნიშვნელოდ, ასე რომ, საბოლოოდ თითქოს ამ ადგილების სილამაზით დატყვევებული “გულადი მაწანწალა” არ ჩქარობდა სხვაგან წასვლას.

– როგორი დაკლაკნილი გზებია, თანაც თეთრი გზები, – ამბობს ბესიკი. მან ძმაზე ადრე გაიღვიძა და წასაუზმებაც მოასწრო.

– კირქვიანი ადგილებია და იმიტომ, – აზუსტებს მახარე, თან დურბინდით ზვერავს მიდამოს.

– აგერ, რამდენი ძროხაა! – ყვირის ჩვეულებისამებრ დათუნა. – ერთი კიდევ მოშორებითაა!

– არა, ეგ ცხენია! – ყვირილში აჰყვა ბესიკი.

– დიახ, ცხენია! – ადასტურებს დურბინდიანი მახარე. – სად ვართ გაჩხერილი, ეს მაინტერესებს... აი, ეს ჭიათურა უნდა იყოს, ეს – კაცხი, კაცხის ეკლესიას ხედავთ? იმდენად ქვევით დავეშვით, მგონი, კაცხის სვეტიც გავარჩიე... კი, ნამდვილად! აბა, ბიჭებო, დურბინდს მოგცემთ და რიგრიგობით შეხედეთ – კაცხის სვეტის თავზე პატარა სალოცავი ჩანს.

– იქით? – თავი გააქნია დათუნამ, – იქით რა არის?

– ჩრდილოეთით? ეს მთა საწალიკეა, მარჯვნივ – ხიხათა, ორივე რაჭის ქედის მწვერვალებია; მათ იქით კი – რიონის ხეობაა, რაჭა.

– გადავალთ რაჭისკენ?

– ან გადავალთ, ან არა, ბატონი ქარი რასაც გვიბრძანებს და საითკენაც გაგვდენის, ჩვენც მისი ნების უსიტყვო ამსრულებლები ვიქნებით, – პასუხობს მახარე.

– თქვენ რომ ამბობდით, ყველაფერი მოძრაობს ამ ქვეყნადო, ჩვენს ბურთს რაღა დამბლა დაემართა? გავშეშდით, გავჩიჩინდით... – ეშმაკურად იღიმება დათუნა.

– ნეტავი ჩვენს ბურთს ჰქონდეს იმის უნარი, რომ საითაც გვინდა, იქით წავიდეთ, ჩვენს ნება-სურვილზე გვატაროს! – ამბობს ბესიკი.

– ასეთ უმისამართო მოგზაურობასაც აქვს თავისი ხიბლი, – პასუხობს მახარე, – წინასწარ არ იცი, სად მოხვდები, მოულოდნელობა ცნობისმოყვარეობას აცხოველებს და მოგზაურობა თავისებურად საინტერესო ხდება. რასაკვირველია, მიმართული გადაადგილების უნარი რომ ჰქონდეს ჩვენს "გულად მაწანწალას", უკეთესი იქნებოდა, მოგზაურობას უფრო ზუსტად დავგეგმავდით და თავისუფალი არჩევანის საშუალება გვექნებოდა. თქვენ საით გაუტევდით, ბიჭებო?.. აფრიკაში?

– მე? – პირველი გამოეხმაურა მასწავლებელს ბესიკი, – მე ვისურვებდი, მაგალითად... ნეაპოლში დაგვსვა! ნეაპოლის ყურეს ვნახავდი, ვეზუვის ვულკანს, სულ რომ ბოლავს...

– მერე, შიგ რომ ჩავარდე, ვულკანის კრატერში, შე სულელო? – აბიაბრუებს ძმას დათუნა. – მაგას არ სჯობს, ჰავაის კუნძულებზე რომ მოხვდე? იქ გემრიელად ვიცხოვრებდი. შორს კი არის, სამაგიეროდ, სულ თბილა, მთელი წლის განმავლობაში შეგიძლია, ზღვაში იბანაო, ხილი მიირთვა ნაირ-ნაირი!

– სულელი შენ თვითონ ხარ, ჰავაის კუნძულებზე მეტი ვულკანია! – გახარებული ყვირის ბესიკი. – ბევრი ვულკანია და დიდი კრატერებიც აქვთ, უფრო ადვილად მოადენ ტყაპანს შიგ!

– მერე, შენ ჩემთან ერთად არ იქნები? – ღრიალით პასუხობს დათუნაც.

– უჰ, უჰ, რა გაყვირებთ, ბიჭებო, რამდენჯერ გაგაფრთხილეთ? – ამბობს ბატონი მამამზე. – მაგდენი ძალ-ღონე თუ გაქვთ, ჩვენს ბურთს შეუბერეთ, მადლი მოისხით!

– თქვენ სად ისურვებდით ბურთის დაშვებას? – ხმადაბლა ეკითხება დათუნა შეფ-პილოტს, – რიო დე ჟანეიროში?.. ნიუ იორკში?.. ბომბეიში?..

– აფრიკაში ურჩევნია, – ამბობს წათე, – თოფი გამზადებული აქვს სანადიროდ.

– აფრიკის ტრამალებს პარიზი არ სჯობს? – პასუხობს ბატონი მამამზე. – ამბობენ, მთელი ცხოვრება რომ გაატარო პარიზში, მოწყენას ვერ იგრძნობო. შენ რას იტყვი, მახარე ბატონო?

– მე კი, გულახდილად მოგახსენებთ, ნუ გაგიკვირდებათ და ჩემს ქვეყანაში მივარდნილ, მიყრუებულ სოფელში მირჩევნია ვიწვალო, ვიტანჯო კიდეც და გავიხარო კიდეც, ვიდრე ცხრა მთას იქით, უცხო მხარეში, უცხო ხალხში გალაღებული ვიყო, თუნდაც ის ქვეყანა მშვენიერი იყოს. ჩემთვის ჩემი სოფლის განაპირას პატარა გორაკი, სადაც ბავშვობისას მითამაშია, ალპების სახელგანთქმულ მწვერვალებზე მაღალია; ლუკლუკა, მოჩხრიალე ღელე, ჩემს ეზოს რომ გვერდზე ჩაუვლის – და ხანდახან ბოსტნის ნაწილს წაგვართმევს ადიდებისას – ამაზონსა და მისისიპიზე დიდები და წყალუხვებია... რა ვქნა? ქალაქში ხშირად მესიზმრება ჩემი სოფელი, ახლა კი, როცა ვინ უწყის, სად გავირიყებით უცხო მხარეში, ჩემთვის ყველაზე დიდი ჯილდო იქნებოდა, რომ "გულადი მაწანწალა" ჩემი სოფლის თუნდაც სასაფლაოზე დაშვებულიყო...

– სასაფლაოზე რა გინდა, სხვა ვერაფერი ინატრე? – ამბობს წათე. – თუმცა... მეც არ ვიქნებოდი წინააღმდეგი, ჩემი სოფლის სასაფლაოზე დავმსხდარიყავით. მაღლობზეა სასაფლაო, მშვენიერი გადასახედია ყოველ მხარეს, გვერდით კი ისეთი ბაღ-ვენახებია! რა ხილი, რა ყურძენი! ბალღობისას რამდენჯერ გადავპარულვარ ღობეზე ბანაობისა და თევზაობის შემდეგ ძმაბიჭებთან ერთად და პირი ჩაგვიტკბარუნებია!

– სასაფლაოზე დაეშვი და პირველად წინაპრების საფლავების მაგივრად შენი სტომაქის გასახარელი გაგახსენდა? – საყვედურობს წათეს ბატონი მამამზე.

– აქ ბავშვებია და არ მინდოდა, საფლავზე მელაპარაკა, – თავს იმართლებს წათე. – ბავშვებს არ უყვართ სიკვდილზე და მსგავს რამეზე საუბარი...

– მე კი მგონია, რომ ჩვენ ბავშვები კი არა, ნამდვილი ვაჟკაცები გვიდგანან გვერდში, – არ ეთანხმება მახარე. – საჰაერო მოგზაურობა, უკვე ათასჯერ ვთქვით, მხიარული და სასიამოვნო გასეირნება არ არის, ძნელი და სახიფათოა... მე მგონია, ჩვენს ბიჭებს სასაფლაოებზე საუბრით ვერ შევაშინებთ.

– თქვენ ღამით სასაფლაოზე გავლა არ შეგეშინდებათ? – ცოცხალ, ცნობისმოყვარე თვალებს შეანათებს დათუნა მახარე მასწავლებელს.

მახარე იღიმება:

– ღამე სასაფლაოზე რა მინდა, შე კაცო. დღე კი დროდადრო ყველა უნდა მივდიოდეთ იქ – მოვიგონებთ ჩვენს გარდაცვლილ წინაპრებს, ნათესავებს, ნაცნობ-მეგობრებს... უცხო სასაფლაოზეც კი რომ მიხვიდე, თითქოს ცხოვრებისეული ყოველდღიურობისგან ამოვარდები – თუნდაც დროებით; რაღაცაზე დაფიქრდები, დაწყნარდები, წვრილმანი უსიამოვნებები უკვე აღარად მიგაჩ-

ნია და მათზე გულის მოსვლა სისულელედ გეჩვენება... დამშვიდდები, წყნარი ნაღველი დაგეუფლება... თუ შეძლება გაქვს, რაღაც დიდ საქმეზეც გაგიწევს გული – გადაწყვეტ, არ გადადო კეთილი ჩანაფიქრის აღსრულება, საქმედ ქცევა, რადგან დროის სრბოლა ულმობელია, წამითაც არ ჩერდება... ბევრი რომ არ გავაგრძელო, ფილოსოფოსი ხდები და სიბრძნე გემატება. ამიტომ სასარგებლოა ხანდახან სასაფლაოზე გავლა, დაფიქრება წარსულსა და მომავალზე, ბოლოს კი – აწმყოზეც... საქმისთვის, მოქმედებისთვის დამუხტული გამოდიხარ სასაფლაოს ჭიშკრიდან, თითქოს სხვა ადამიანიც – ოდნავ უფრო კეთილი, უფრო ბრძენი, უფრო წინდახედული და გაწონასწორებული...

– ბავშვი არ ვარ, მაგრამ არც მე მიყვარს ასეთ რამეზე ლაპარაკი! – ამბობს გაღიზიანებული ბატონი მამამზე. – სიმაღლე?

ხმას არავის სცემს.

– ვინ მორიგეობს?

ისევ სიჩუმე, ჰაერნაოსნები ერთმანეთს მისჩერებიან, ბატონ მამამზეს მზერას არიდებენ.

– კინაღამ დავღუპეთ საქმე და ჩვენც მივყევით უკან! – ხვნეშით ამბობს ბატონი მამამზე, მაგრამ ალბათ მახარეს ნაამბობმა იმოქმედა და მის სიტყვებს სიმწვავე დაუკარგა. – ამ ერთხელ გაგვიმართლა და აწი ვიყოთ ფხიზლად და ფრთხილად! ამიერიდან არავითარი გამონაკლისი განრიგიდან არ დაიშვება. ყველამ ერთდროულად გავტეხეთ ღამე და მერე ერთადვე ჩაგვეძინა, ეს დაუშვებელია! დღეიდან ასეთი წესი გვექნება: დილიდან იმორიგევებს ბესიკი – ექვსიდან ცხრა საათამდე, მის შემდეგ ასევე სამ საათს იმორიგევებს დათუნა – ცხრიდან თორმეტ საათამდე. დარჩენილი თვრამეტი საათი – შუადღიდან დილის ექვს საათამდე – უნდა გავინაწილოთ მე, მახარემ და წათემ, ექვსსაათიანი მორიგეობა გვერგება თითოეულს. შეიძლება, ეს ექვსსაათიანი მორიგეობა ორ ნაწილად გავყოთ: ოთხი საათი – დღე და ორი საათიც – ღამღამობით.

– როგორ? კარგად ვერ გავიგე, – თქვა წათემ.

– როგორ და ასე: შენ ყოველდღე იმორიგევებ, პირველად – დღის თორმეტი საათიდან ოთხ საათამდე, მერე – შუაღამიდან ორ საათამდე; მახარე შეგენაცვლება დღის ოთხი საათიდან საღამოს რვა საათამდე და ღამე ორიდან ოთხ საათამდე; მე დამრჩება მორიგეობა საღამოს რვა საათიდან შუაღამემდე და ღამე – ოთხიდან ექვს საათამდე.

– თანახმა ვარ, – თქვა მახარემ.

არც სხვები იყვნენ წინააღმდეგნი.

– ახლა თერთმეტი საათია, ესე იგი, დათუნას მორიგეობის დროა; აბა, დაიკავე სათვალთვალო ადგილი, შეუდექი დაკვირვებას! – ბრძანა ბატონმა მამამზემ, შემდეგ დასძინა: – ბედმა გაგიღიმა, ერთი საათის შემდეგ წათე შეგენაცვლება.

– მე კი არა, ბესიკს ჰქონია ძაღლის ბედი, დღეს მას სულ არ უწევს მორიგეობა! – ფიცხლად შეეპასუხა დათუნა.

– სიმაღლე?

– 1900 მეტრი! – ომახიანად უპატაკა დათუნამ.

– აი ასე! – შეაქო ბატონმა მამამზემ და განაგრძო: – ჯერ ვერ ჩავდექით კალაპოტში, ვერ მივაღწიეთ ისეთ მდგომარეობას, რომ ჩვეულებრივად, საღად ვიაზროვნოთ და კარგად ვიმუშაოთ. ამიტომ ხშირია შეუთანხმებლობა, უწესრიგობა, დაუხვეწაობა ჩვენს საქმიანობაში, გამოცდილება გვაკლია. იმედია, სულ მალე შევეჩვევით ახალ პირობებს, გამოვიმუშავებთ მუშაობის თუ დასვენების საუკეთესო რიტმს და ჩვენი შრომაც უფრო მიზანსწრაფული და შედეგიანი გახდება. იმის თქმა კი არ მინდა, რომ დავკარგოთ სიახლის გემო და მონოტონურ ერთფეროვნებაში ჩავეფლოთ, ჩავიხრჩოთ როგორც ჭაობში – არა, სიხარული და სიხალისე უნდა შევინარჩუნოთ. ერთხელ ვცხოვრობთ ამ ქვეყანაზე და შევეცადოთ, კეთილად განზრახული ყველაფერი მოვასწროთ – ბევრი ვნახოთ, მრავალი შევიგრძნოთ, ცოდნის სალარო გავიმდიდროთ, ნაყოფიერად ვიშრომოთ... ამას, ბიჭებო, თქვენს გასაგონად ვამბობ. ახლა ერთი ტომრიდან ხომ არ დავცალოთ სილა? ოდნავ ავმაღლდეთ... ბესიკ, შენ...

– ბატონო მამამზე, საჰაერო ბურთი ამოძრავდა! – იყვირა უცებ დათუნამ. – ხედავთ, ჩვენს ქვევით ხეობა იყო, ახლა რაღაც ქედის თავზე ვიმყოფებით!

– შტურმანო! – გამოცოცხლდა შეფ-პილოტი, – დააზუსტე, საით მივეშურებით?

– კურსია დასავლეთ-ჩრდილო-დასავლეთი, – უპატაკა მახარემ. – ან რაჭას ვესტუმრებით, ან ოკრიბაში ამოვყოფთ თავს.

– მე მგონი, უფრო ქუთაისისკენ გვაქვს გეზი, – ამბობს წათე.

– ალბათ ეგ უფრო მართებული აზრია, – უდასტურებს მახარე, – აღმოსავლეთის ქარია, ქარი კი არა, ნიავია და ის მიგვაფრენს.

– მერე, მადლობა არ უნდა ვუთხრათ? – ამბობს დათუნა, – მუქთად მივყავართ. შეხედეთ, ქვევით შეხედეთ! "გულად მაწანწალას" მიწაზე მოსდევს რაღაც მრგვალი, მუქი ლაქა; არც გვცილდება და არც ჩამოგვრჩება, ფინიასავით უკან მოგვდევს!

– ეგ ისეთი ოხერია, მზიან ამინდში მოგზაურობის დასასრულამდე არ მოგვცილდება, – იღიმება მახარე. – მიხვდი, დათუნა, რატომ?

– ჩვენი საჰაერო ბურთის ჩრდილი მოცოცავს! – ჰყვირის ბესიკი.

– მართლა კუდივით თან მოგვყვება, – ამბობს ბატონი მამამზე.

– მისთვის არ არსებობს წინაღობა, – აგრძელებს მახარე, – თავისუფლად გადაევლება გორაკებს და მთებსაც კი, გადაირბენს ხშირ ტყეებს, გადაცურავს მდინარეებს და ზღვაზედაც ერთი წამით არ შეფერხდება, ამასთანავე არც სველდება, არც იძირება, არც ფეხს წაიკრავს წინაღობაზე – ქვევით ვერაფერი აჩერებს და ერთად ერთს მხოლოდ მაღლა-მაღლა, ღრუბელს შეუძლია მისი გაფერმკრთალება და სულ დაკარგვაც. თუმცა, ყოველთვის არა – თუ ღრუბელი ჩვენს ქვევით მოექცა, მასზეც შეიძლება შეცოცდეს.

– თუ მზის დაბნელება მოხდა? – კითხულობს დათუნა.

– მაშინ გაქრება, თუკი სრული დაბნელება იქნა.

– ღამე?

– ღამე ხომ თავისთავად, სიბნელეში ჩრდილიც ქრება.

– თუ მთვარიანი ღამე იქნა? – არ ჩერდება დათუნა.

– მოვუცადოთ მთვარიან ღამეს და ვნახოთ.

– რომ მერე ისევ ჩაგვეშალოს მორიგეობა დღევანდელივით? – ჩაერია საუბარში ბატონი მამამზე. – არა, ჩემო კარგებო, დავადგინეთ, რომ ყოველგვარ ჩვენს საქმიანობას განრიგის მიხედვით წარვმართავთ და მორჩა! სიმაღლე?

– 2700 მეტრი! – უპატაკა დათუნამ.

– ყოჩაღი ბიჭი ხარ! – შეაქო ბატონმა მამამზემ. – ახლა თავისუფალი ხარ, შეგიძლია, წათეს გადააბარო მორიგეობა. რასაკვირველია, სულ მთლად განთავისუფლებულიც არ ხარ, რადგან ტუსაღივით მისჯილი გაქვს ჩვენთან ერთად გონდოლაში ყოფნა და სად წახვალ! მეორეც, ყველა ყოველ წამს გაფაციცებული უნდა იყოს, ყურადღებით აკვირდებოდეს ბურთს, გონდოლას, ჩვენს მდგომარეობას სივრცეში დედამიწასთან მიმართებით და ასე შემდეგ. აგერ, ხომ ხედავ, მახარეს, თუ არ სძინავს, სულ რუკა უჭირავს ხელში და წამდაუწუმ მიწისკენ იცქირება... აბა, ჩემო მახარე, რით გაგვახარებ? სად ვართ, საით მივემგზავრებით?

– როგორც ჩანს, უფრო სამხრეთით გადმოვინაცვლეთ, ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარია. თუ ასეთი მიმართულებით განვაგრძეთ ფრენა, კოლხეთის დაბლობზე გავალთ. ჩრდილოეთით რომ წავსულიყავით, საშიში მდგომარეობა არ იქნებოდა გამორიცხული – მაღალ მთებს ეხუმრები? მათზე მაღლა ასვლა მოგვიწევდა და სულ გავიყინებოდით...

საღამოსპირს ნიავი ქარად იქცა, რაც გადაადგილების სიჩქარის მატებით დაადგინეს.

– სიმაღლე?

– 2200 მეტრი! – უპატაკა შეფ-პილოტს წათემ. – კიდევ უფრო ქვევით ჩავდივართ, ეტყობა, წნევა ეცემა.

– სად ვიმყოფებით?

– კოლხეთის ვაკეზე გავედით, – დურბინდი მოიმარჯვა მახარემ. – აქეთ, ხედავთ, დაკლაკნილ, ფართო მდინარეს? ეს რიონია. კარგი იყო, გელათის მონასტრისთვის მოგვეკრა თვალი... როდის გამოვცდით ქუთაისს, არ ვიცი, მე ვერ შევამჩნიე.

– ბიჭებო, რომელი წერთ დღეს დღიურს? – იკითხა ბატონმა მამამზემ. – დათუნა? მშვენიერია. მაშ, ჩემო კარგო, წესად დადეთ, რომ ამ დროს ჩაწერთ დღიურში, რაც საჭიროა. შეამჩნიეთ, დღე როგორ დამოკლდა? ამიტომ დროულად მოათავეთ ხოლმე ეგ საქმე, თორემ სიბნელე მოგისწრებთ.

– მზე ნახევარ საათში ჩავა. ხედავთ, როგორი ფერისაა? კვერცხის გულს ჰგავს და აღარც გვიშლის, რომ პირდაპირ მის თვალს თვალი გავუსწოროთ, – ამბობს მახარე და დურბინდით დასავლეთის მხარეს აკვირდება. – აბა ერთი, ზღვა მოჩანს თუ არა?

ბიჭები მყისვე შტურმანთან გაჩნდნენ.

– ზღვა? სად არის ზღვა?

– დაგვანახვეთ რა! აბა, როგორია?

– ზღვა ჯერ არ გინახავთ? – ღიმილით ამბობს მახარე. – მართალი მოგახსენოთ, არც მე მქონია ადრე ზღვის ხილვის ბედნიერება და თქვენ რაღა გითხრათ? ბევრი, ბევრი წყალი იქნება, ცისფერი ან ცისფერ-მომწვანო ფერისა... კიდევ? კიდევ... თუ ზღვა უკეთ გამოგვეცხადა, თვით ნახავთ. ახლა კი ვერც გაარჩევთ, რა ფერისაა ჩამავალი მზის სხივებში.

– რას ამბობ, კაცო! – შეშფოთებით წამოიძახა წათემ. – ზღვაში რა გვინდა, ღმერთმა დაგვიფაროს! ცურვა არ ვიცი, მთაში გაზრდილი კაცი ვარ და იმიტომ ხომ არ წამოვედი, რომ სადღაც უგზო-უკვლოდ დავიკარგო და საფლავიც არ მეღირსოს?

– ეგ როგორ დაგვემართა! – ამბობს შეფ-პილოტი. – ცურვა არ იცი და სამოგზაუროდ როგორ დაგიშვა კომისიამ? დამალე, შე ყურუმსაღო? სად მოჩერჩეტობდი, ჭკუა სად დათესე?

– ვაი ჩემს თავს!.. რაღა მეშველება! – შიშით მოიკუნტა წათე.

– ცურვა თქვენ თუ იცით? – მიუბრუნდა შეფ-პილოტი ბიჭებს.

– მტკვარზე ვბანაობთ მთელი ზაფხული, – უპასუხა ბესიკმა. – არ დამითვლია, დღეში ალბათ ოცჯერ მაინც გადავცურავთ-გადმოვცურავთ ვერის ბორანთან. ხანდახან მდინარეს დავუყვებით ცურვა-ცურვით და ნაპირზე მუხრანის ხიდთან ამოვდივართ ან მეტეხის ხიდს ქვემოთ.

— იქამდე იშვიათად ჩავდივართ, უკან ფეხით ვბრუნდებით და შორსაა, — აზუსტებს ძმის ნათქვამს დათუნა.

— ამიტომ იყავით ჩვენთან შედარებით მზისგან ასე გარუჯულები, — ამბობს მახარე, — ამ რამდენიმე დღეში კი ყველანი ერთნაირად გავშავდით. სექტემბერი ძალიან მზიანი გამოდგა, წყნარი და უშფოთველი, სინოპტიკოსებმა არ მოგვატყუეს და არც ჩვენ შევცდით, მათ რომ დავუჯერეთ და ამ დროისთვის დავგეგმეთ საჰაერო ბურთით მოგზაურობა.

— საით მივფრინავთ? ზღვაში ვართ უკვე? — ისევ გაისმა წათეს შეშინებული ხმა.

— რამ დაგაფრთხო ვაჟკაცი კაცი, შიშმა დაგაბრმავა? გადაიხედე და ყველაფერს შენი თვალებით დაინახავ, — ამშვიდებს მახარე. — თუმცა, დასავლეთით უკვე აღარაფერი ჩანს, ისეა ათქვეფილი ჰორიზონტი ჩამავალი მზის სხივებით, თან იქით დაბალი ღრუბლიანობაც დაერთო... გინდაც ზღვა გეგულებოდეს, ბევრს ვერაფერს გაარჩევ. ქარი კი არა, ნიავიც აღარ ქრის, ერთ ადგილზე ვართ გაჩერებული. გუშინ ალბათ შეგვეძლო ზღვის დანახვა, საკმაოდ დიდ სიმაღლეზე ვიყავით.

— მართლა? — სინანულით აღმოხდა დათუნას.

— ჰო, — დაუდასტურა მახარემ, — ჭიათურაში ორი კილომეტრის სიმაღლეზე ვიყავით, კარგი ხედვის არე რომ გვქონოდა, ესე იგი, უღრუბლო, ამ სიმაღლიდან დაახლოებით 170 კილომეტრით დაშორებულ ადგილებსაც დავინახავდით, ჭიათურიდან კი ზღვა ბევრად უფრო ახლოსაა.

— მერე, რატომ არ დაგვანახვეთ?

— ღამე იყო, დათუნა ბატონო, მერე კიდევ...

— სიმაღლე? — შეაწყვეტინა მახარეს შეფ-პილოტმა.

— 1300 მეტრი! — უპასუხა მახარემ. — მაღლა წავედით ოდნავ.

დათუნა ერთ ყუთთან მოკალათდა და დღიური გადაშალა; შუბლი შეიჭმუხნა — მისთვის ფრიად უგემური საქმე ჰქონდა გასაკეთებელი...

— არ ვიცი, რა დავწერო... — ამოიხვნეშა ბოლოს, — ყოველდღე ერთი და იგივე: ძილი, ჭამა, ირგვლივ ყურება...

— მოგეწყინა განა? — მხარზე ხელი დაადო ბატონმა მამამზემ. — როგორ ფიქრობ, ჩვენ, — მე, წათე და მახარე, — მოცლილები ვართ? რატომ მივატოვეთ ოჯახები, მეგობრები, ჩვეული საქმიანობა და, ბედს მინდობილნი, მივფრინავთ ღმერთმა უწყის საით, იქნებ დასაღუპავადაც?

— ჩვენ გვეგონა, სადმე უცხო ქვეყანაში მოვხვდებოდით, — ძლივს შებედა წამით თვალი გაესწორებინა შეფ-პილოტისთვის დათუნამ.

— იქ რა ხვითოს დაიჭერდით ვითომ? — ცოტა არ იყოს, უხეშად მოუჭრა ბატონმა მამამზემ. — ჯერ შენი მშობლიური ქვეყანა თუ მოიარე, მის მხარეებს თუ გაეცანი, შენს ხალხში თუ იტრიალე? დამიჯერე: მთელი შენი სიცოცხლე რომ საქართველოს გაცნობას მოახმარო, ასი და ათასი იმდენი კიდევ უნახავი და შეუცნობელი დაგრჩება... კახეთი მოვლილი გაქვს? ქართლი? არა... აღარაფერს ვამბობ ფშავ-ხევსურეთზე, თუშეთზე ან სამცხე-ჯავახეთზე... მერე — დასავლეთი საქართველო... ბოდიში, წერაში ხელი შეგიშალე, ჰოდა, ამ თემაზე ხვალ გავაგრძელოთ საუბარი — ახლა უკვე ბნელდება და იჩქარე, ვახშმობაც მოვასწროთ... აბა, ყველა ერთად დავფაცურდეთ!

ცას ნელ-ნელა მელნისფერი შეერია, ჩამუქდა და მალე პირველი ვარსკვლავიც მორცხვად აჭიატდა-აციმციმდა.

კარი X. ღრუბლებს როგორ დავუსხლტეთ?

დილით ბესიკს ცხრა საათზე გაეღვიძა.

— წამოახტუნე დათუნა-ძილისგუდა, დილის საუზმე დაუგვიანდა, — უთხრა ბატონმა მამამზემ.

— რატომ ექვს საათზე არ გამაღვიძეთ? — უკმაყოფილება გამოთქვა ბესიკმა.

ბატონმა მამამზემ ხელი ჩაიქნია:

— მართალი ბრძანდები! წესით ასეც უნდა მოვქცეულიყავი, მაგრამ ისე ტკბილად გეძინა, შემეცოდე.

— ზღვა არ ჩანს?

— მოესწრები ზღვის ნახვას, შეხედე, როგორი ღრუბლიანი ამინდია.

— პირდაპირ ღრუბლებში შევცურდებით მალე, უკვე მხოლოდ აქა-იქ თუ ჭიატობს მიწა, — ამბობს მახარე. — ახლა გადასაწყვეტი გვაქვს შემდეგი ამოცანა: ღრუბლებს როგორ გავექცეთ — ზევით ავიდეთ და მათ თავზე მოვექცეთ თუ დაბლა დავიწიოთ და ქვევიდან დავუსხლტეთ?

— რომელი სჯობს? — იკითხა ბატონმა მამამზემ.

— ღრუბლებზევით ასვლა იმით არის კარგი, რომ თუ გაწვიმდა, არ დავსველდებით, ოღონდ მიწას ვეღარ დავინახავთ და ორიენტაცია გაგვიჭირდება, თანაც ბალასტს დავხარჯავთ; ღრუბლებქვევით ჩასვლა საშიშია, რადგან, თუ ფხიზლად არ ვიქნებით, შესაძლოა, რაიმეს წამოვედოთ; ამასთანავე, მოგვიწევს ბურთიდან აირის ნაწილის გამოშვება...

— ერთი სიტყვით, საითაც გავიქეცი, იქით წავიქეცი, — ჩაიბურტყუნა ბატონმა მამამზემ და ულვაშები გაბრაზებულ კატასავით გაეფხორა. — სიმაღლე?

— ადე, დათუნა, საქმეს ეწიე! — ანჯღრევდა ძმას ბესიკი. — წამოხტი, შე ძილისგუდა... შენი მორიგეობის დროა, ადექი!

— სიმაღლე?!. — იგრგვინა ბატონმა მამამზემ და თვალებიდან ნაპერწკლები გადმოყარა.

— 1500 მეტრი! — უპატაკა მახარემ.

— ადგილმდებარეობა?!. — კიდევ უფრო მოიქუფრა ბატონი მამამზე.

— ღამით საით წავედ-წამოვედით, ვინ იცის... — რუკას დაბნეული დასცქეროდა მახარე. — ქვევით შიგადაშიგ ღრუბლის ფთილებს შორის მოჩანს გორაკებიც, ვაკეებიც... ერთი მდინარე მაინც გამოჩნდებოდეს დამახასიათებელი კალაპოტით...

— დავიკარგეთ? — იკითხა დაზაფრულმა წათემ. — ხომ არ სჯობს, დავეშვათ მიწაზე და გავიგოთ, სად ვიმყოფებით?

— ჯერ სამაგისო გასაჭირი არ დაგვდგომია, — ამშვიდებს მახარე, — ყოველ შემთხვევაში, ზღვა ნამდვილად არ გვემუქრება. რა დაგვემართა, არ ვიცი — ზოგი ყვირის, ზოგი შიშით კანკალებს... ჩვენი ამგვარი გუნება-განწყობილება ალბათ ამინდის ბრალია.

— აბა, ასე ვიხეტიალოთ უგზო-უკვლოდ? — შფოთავს წათე.

— წათე ჩემო, მატარებლის ბილეთი რატომ არ აიღე, ის დადის გზაზე! — ეუბნება გაღიზიანებული ბატონი მამამზე.

— პირველი კლასის ვაგონის სჯობს, ხომ იცი... — უკმაყოფილოა მახარეც. — ხან ასე იქნება და ხან ისე, ეს არის მოგზაურობის ხიბლი... თუ ასე შეფიქრიანდი, წათე, ჩამოგსვამთ სადმე, ოღონდ ჯერ რომ არ ვიცით, სად ვართ?

— საშიშ ღრუბლებში ვიმყოფებით? — იმედის თვალით შეაცქერდა წათე მახარეს და სტროპებს კიდევ უფრო მაგრად ჩააფრინდა.

— ხომ მოგახსენე, ჩემო წათე, ეს არის მოგზაურობის რომანტიკა! არ გინდა, საინტერესოდ საკითხავი წიგნის დაწერა? ამისთვის არ წამოხვედი? ჩვენი მეზობლები მხოლოდ ღრუბლები არიან — ჩვენი თანამგზავრები, ჩვენსავით მაწანწალები.

— გამარჯობა, ღრუბელო! — მკლავი გაიწვდინა ბესიკმა, თითქოს უნდოდა, ვიღაცას შორეულს ხელი ჩამოართვასო.

წათე აქანავებული გონდოლის კიდეს მოსცილდა, ყუთებს შორის ჩაჯდა და წამოიძახა:

— აკი ქარს ვერ ვიგრძნობთო?

პასუხი არავინ გასცა.

— ღრუბლები ჩვენი მეგობრებია? — ჰკითხა ბესიკმა მახარეს. — შეიძლება, დაველაპარაკო?

— ღრუბლებს ჭექა-ქუხილის მეტი სხვა სიტყვები არ აქვთ, მაგრამ მაინც გვესაუბრებიან: ფერით, მოხაზულობით, განლაგებით, გადაადგილების მიმართულებით, სიჩქარით... ვუყუროთ და ვისწავლოთ მათთან საუბარი, გამოვიცნოთ მათი ფიქრი და განზრახვა, ვუცქიროთ მათ ჩრდილებს, ხან — ერთმანეთზე, უფრო ხშირად — მიწაზე: მარდად გარბიან ან ერთ ადგილს ამუქებენ, მხოლოდ გვაგრილებენ ან წვიმას გვაფრქვევენ...

— ჩვენც ერთ-ერთი მოხეტიალე ღრუბელი ვართ! — ხმამაღლა გამოუვიდა ნათქვამი ბესიკს. — ჩვენ არწივებს ვეჯიბრებით, ჩვენ ღრუბლებსაც ვექიშპებით! ჩვენ ხომ ვაჯობებთ ღრუბლებს? უფრო მაღლაც შეგვიძლია ავიდეთ!

შორს დაიგრგვინა, შემდეგ იგორა, იგორა ყრუდ პირქუშმა გუგუნმა, — ხან შესუსტდა, ხან გაძლიერდა, მუქარით მოახლოვდა, ბოლოს გადაიგრიალა და მიყუჩდა.

— ბიჭოს! ნახე, რა შავი ღრუბელი გვეღრიჯება?!. — თვალებს იფშვნეტს როგორც იქნა ძილისგან გამოფხიზლებული დათუნა.

— იღრიჯება და იღრინება კიდეც, პირიდან ცეცხლსა ჰყრის გაბრაზებული, დაუღია შავი ხახა, სადაცაა გადაგვყლაპავს, — ამბობს მახარე და წათესკენ იყურება. — როგორ გინდა, გადაურჩე?

— უბედურად გავილუმპებით, ჩაიცვით სასწრაფოდ ლაბადები! — ბრძანებს ბატონი მამამზე. — მახარე, იქნებ მოვასწროთ გაქცევა?

— რა უცებ დაბნელდა! საავდრო ღრუბელში მოვხვდით!.. — უკვე ყვირის მახარე, რომ ჭექა-ქუხილის განუწყვეტელ გრუხუნში სხვებს გააგონოს. — საჩქაროდ მაღლა ავიწიოთ, შესაძლოა, ხანძარიც მოხდეს ელვისგან და დავიღუპებით!

— თმები ყალყზე დამიდგა! — ყვირის დათუნა. — ნაპერწკლებს ტკაცატკუცი გაუდის!

— სიმაღლე?

— 1900 მეტრი! — მსწრაფლ ღრიალით პასუხობს ბესიკი.

— წათე, მახარე!.. — ხმის ჩახლეჩამდე ჰყვირის ბატონი მამამზე. — სასწრაფოდ გახსენით ტომარა და ჩაუშვით ბალასტი! ბიჭებო, ცოცხლად, ცოცხლად!

ორი ტომსიკიდან იწყო დენა სილამ, წვიმისგან დასველებულმა ბურთმა და გონდოლამ ჯერ შეანელეს ვარდნა, შემდეგ ნელ-ნელა ზევით იწყეს სვლა. ქარისა და წვიმის მკვეთრი ჭავლები ეხეთქებოდნენ გონდოლას და შიგ მყოფთ; გალუმპულ ჰაერნაოსნებს დროდადრო ელვა აბრმავებდათ.

ღრუბლებში გაეხვივნენ – ყომრალ, სქელ ღრუბლებში; ძლიერ ჩამობნელდა; ხან აქ იელვებდა, ხან – იქ; გრუხუნი გრუხუნს ემატებოდა.

– მახარე, წათე, უფრო სწრაფად გაუშვით სილა! – კვლავ ბრძანებს ბატონი მამამზე.

– საკუთარი ზედმეტი სითხის გადაღვრა არ შეიძლება? შევმსუბუქდებით ცოტა, თანაც მაწუხებს, – ხუმრობს მახარე.

– მასეთი წვიმა მამაზეციერს არ აქვს გათვალისწინებული, – პასუხობს ბატონი მამამზე და მორიგი გაელვების შემდეგ ჰყვირის: – დათუნა, შე მამაძაღლო, ისევ თავშიშველი ხარ?

დათუნამ საჩქაროდ ჩამოიფხატა ყურებიანი ქუდი სველ თავზე.

გონდოლა ქანაობს, დაპროწიალობს აქეთ-იქით, დროდადრო ლამის გადმოყირავდეს და გადმოცვივდეს შიგნიდან ყველაფერი.

– გაგვიბრაზდა ღრუბელთ გამგებელი, რა დავუშავეთ? – ამბობს მახარე. – გრუხუნითა და ჭექა-ქუხილით გამოგვიცხადა ომი, ელვის შუბებით გვაშინებს და ღმერთმა დაგვიფაროს, ჩვენს საჰაერო ბურთს შეეხოს ცეცხლოვანი წვეტი!

უცებ სეტყვამ წამოუშინა: მსხვილი, თეთრი ბურთულები აცეკვდნენ ყუთებზე, ჩემოდნებზე, ჰაერნაოსანთა თავებსა და მხრებზე – ყველაფერი თეთრი ხოშკაკალით მოიფინა. ბიჭები მუჭით იტენიან პირში ყინულის მარცვლებს, მხიარულად ჭყლოპინობენ.

– მახარე, წათე, კიდევ ორი ტომარა გახსენით!.. – ჰყვირის ბატონი მამამზე. – უცებ გადაუშვით!

გონდოლა ბიძგით აიჭრა ზევით-ზევით; ისე დაბურუსდა, ერთმანეთს ძლივს არჩევდნენ; მერე განათდა, განათდა და უცებ მზის კაშკაშა სხივებმა თვალი მოსჭრათ.

– ვაშა!..

ზევიდან დაჰყურებდნენ უზარმაზარი თეთრი თუ ლეგა ქულების ოკეანეს, მათ ბორგვას, წეწვა-ჩახვევას, ელვათა განუწყვეტელ გაკვესებას და გრუხუნ-გრიალს.

– სიმაღლე!

– 3200 მეტრი! – უპასუხა ბატონ მამამზეს დათუნამ.

– წათე? წათე რა იქნა? – შეშფოთდა ბატონი მამამზე. – წათე!!!

– ჰო, აქა ვარ... – მოისმა ყრუ ხმა, შემდეგ გაიწ-გამოიწია ყუთები და საიდანღაც გამოძვრა წათე, სრულიად მშრალი; ჩაჯდა და თვალმოჭუტვით მიაჩერდა თხემით ტერფამდე გალუმპულ, სიცივისგან აძაგძაგებულ ჰაერნაოსნებს.

– წათე, მორიგე ხარ და გაჭირვების ჟამს ასე უნდა შეძვრე სოროში თაგვივით? – უსაყვედურა ბატონმა მამამზემ.

– მე მეგონა, ცოცხლები აღარ გადავრჩებოდით... – ნაცემი ძაღლის თვალებით იცქირება წათე. – ეს რა ღვთის რისხვა იყო, ყურებში თითები დავიცე, თორემ დავყრუვდებოდი. თითქოს ზარბაზნებს ჩემს ცხვირწინ ცლიდნენ...

– თვალებიც დახუჭე? – დაუფარავი დაცინვით ეკითხება მახარე.

– თვალები შენ გაქვს დახუჭული, – გამომწვევად პასუხობს წათე. – იქნებ მოგვახსენო, სად ვართ? ამოიღე შენი რუკა, თუ არ დაგილბა, რასაკვირველია, და გვანახვე ერთი ჩვენი მდებარეობა.

– ახლა ვერაფერს გაჩვენებ, მიწა გამოჩნდება და ორიენტაციაში მოვალთ...

– ღრუბლების გაფანტვას ვუცადოთ? იქნებ მთელი კვირა...

– სიმაღლე?!. – განგებ აწყვეტინებს წათეს ბატონი მამამზე, რომ კამათი შეწყვიტოს.

– 3300 მეტრი! – პასუხობს დათუნა.

– წათემ უნდა მიპატაკოს! – ამბობს ბატონი მამამზე, – გაცვალეთ ადგილები! წათეს ვსჯი და ორი საათით ვუხანგრძლივებ მორიგეობას!

წათე წამოიზლაზნა, ხელსაწყოებთან დაიკავა ადგილი.

– ბიჭებო, თქვენც ჰყრიდით სილას? – იკითხა ბატონმა მამამზემ, – როგორ მოერიეთ ფუთიან ტომრებს?

– ორივე ერთ ტომსიკას ვწევდით! – უპასუხა ბესიკმა.

– კარგი, ახლა ტანზე გამოიცვალეთ, ისაუზმეთ, მერე კი საქმე გაიჩინეთ, – მზრუნველად უთხრა ბატონმა მამამზემ. – ყოჩაღ, გამოცდა მშვენივრად ჩააბარეთ! ყველა დავალება კარგად შეასრულეთ და, მართალი გითხრათ, უთქვენოდ გაგვიჭირდებოდა ფრიად. აი, ასეთი დაუზარელნი და მარდები უნდა იყოთ მარად, თან საქმეს აზრიც დაატანეთ და ყოველთვის გამარჯვებულნი დარჩებით. ახლა, ბიჭებო, ყველანი დავფაცურდეთ და უპირველესად სეტყვის კვალი მოვსპოთ, ეს ხოშკაკალა გადავყაროთ. მახარე, შენ მზვერავ-დამკვირვებლად დარჩი, იქნებ ღრუბლებშორის მიწა დალანდო და ჩვენი ადგილსამყოფელი გაარკვიო – ღრუბლები ისეთი სქელი აღარაა და აღარც ერთიანია – ფთილა-ფთილად იშლება.

– თუ ვერ განვსაზღვრეთ, სად ვიმყოფებით? – კითხულობს წათე.

– მაშინ?.. – ყოყმანობს ბატონი მამამზე. – ცოტა ქვევით უნდა დავიწიოთ, თორემ უკვე ახლა სიცივისგან ვითოშებით... მაგრამ მიწაზე ვერ დავეშვებით, აირს უნდა გავუფრთხილდეთ... ბალასტიც ბლომად დაგვეხარჯა, ხუთი ტომარაღა დაგვრჩა.

– ეგ საშიშია? – კითხულობს წათე.

მას არავინ პასუხობს.

– იქნებ როგორმე გაგვეძლო და ღამემდე არ დავეშვათ ღრუბლებზე დაბლა? – ამბობს მახარე. – ვარსკვლავებით შევეცდებოდით ჩვენი ბურთის მდებარეობის გარკვევას.

– უპირველესად თბილი ტანსაცმელი ჩაიცვით! – ბრძანებს ბატონი მამამზე. – სწრაფად, სწრაფად! ღამემდე კაი დროა დარჩენილი და დიდ სიმაღლეზე მოგვიწევს ყოფნა, ექიმიც არ გვყავს და თავს გაუფრთხილდით!

– ვარსკვლავებით როგორ უნდა გავიგოთ, სად ვართ? – დაინტერესდა ბესიკი.

– ყველაზე ადვილია ჩვენს თავზე ზენიტში მყოფი ვარსკვლავის ციური კოორდინატებისა და ქრონომეტრის დროის მიხედვით ჩვენი ადგილმდებარეობის განსაზღვრა, მაგრამ, როგორც ხედავ, საჰაერო ბურთი ჩვენს თავზევითაა და ზენიტის დაკვირვების საშუალებას არ გვაძლევს. განედის განსაზღვრა იოლად შეგვიძლია: პოლარული ვარსკვლავის ჰორიზონტიდან ათვლილი სიმაღლე პირდაპირ მოგვცემს განედს, ხოლო გრძედის გამოთვლა უფრო ძნელია – ჯერ უნდა განვსაზღვროთ მერიდიანი პოლარული ვარსკვლავის მიხედვით, შემდეგ შევარჩიოთ ვარსკვლავი, რომელიც კულმინაციას აღწევს ანუ ჩვენს მერიდიანს ჰკვეთს და უკვე ამ ვარსკვლავის პირდაპირი აღვლენით და დახრილობით ანუ მისი ციური კოორდინატებით და ქრონომეტრის დროის მიხედვით გავიგებთ დაკვირვების წერტილის ანუ ჩვენი ადგილმდებარეობის გრძედსაც...

– ვერაფერი გავიგე... – თქვა ბესიკმა.

ზედმეტი გამოდგა ყოველგვარი ახსნა-განმარტება, რადგან საღამოსპირს ღრუბლები არათუ გაიფანტა, საჰაერო ბურთის ზევითაც მჭიდროდ გადაფარა ცა: საითაც გაიხედავდი, ყველგან თეთრი ფერი ბატონობდა და სულ ახლოსაც კი ცივი, ნესტიანი ქულები სულ უფრო ზღუდავდნენ ხედვის არეს. მხოლოდ სიმაღლე იცოდნენ – 3200 მეტრი, მაგრამ ისე შესცივდათ, რომ შეფ-პილოტმა გადაწყვიტა, ქვევით დაშვებულიყვნენ, უფრო თბილი ჰაერის ფენებში.

– წათე, მოქაჩე საჰაერო ბურთის კლაპანის თოკს! – უბრძანა ბატონმა მამამზემ. – ნუ ჩქარობ, ნელ-ნელა გამოუშვი აირი; მახარე, შენ სიმაღლის ათვლა გევალება; ბიჭებო, ყურადღებით იყურეთ ქვევით და როგორც კი რამე გამოჩნდება, მაშინვე მიპატაკეთ!

1000 მეტრით ჩამოვიდნენ ქვევით, შემდეგ კიდევ უფრო ფრთხილად – დამატებით 500 მეტრით, მაგრამ ღრუბლების ტყვეობას მაინც ვერ დააღწიეს თავი. ეტყობა, ცვარმა დაასველა და დაამძიმა ბურთი, აირს აღარ უშვებდნენ ბურთიდან და გონდოლა მაინც ნელ-ნელა სიმაღლეს ჰკარგავდა. სიცივეს მაინც არაფერი ეშველა, ისევ გათოშილები იყვნენ.

– აბა, ბიჭებო, თქვენ ყველაზე მეტად გაძიგძიგებთ, დაეჭიდეთ ერთმანეთს, გავარჯიშდით! – ბრძანა ბატონმა მამამზემ.

დათუნასა და ბესიკს ბევრი ხვეწნა არ დასჭირვებიათ, ისე ეძგერნენ ერთმანეთს, რომ მალე მათი დაშოშმინებაც კი გახდა საჭირო.

– ნელა, არ გადაცვივდეთ, თქვე მაიმუნებო!.. ფრთხილად, თავი არაფერს მიარტყათ!.. – გაიძახოდა ბატონი მამამზე.

– გეყოფათ, გეყოფათ, ორივე გამარჯვებული ხართ! – აშველებდა გაფიცხებულ მებრძოლებს მახარე, – ხომ გახურდით? გაჩერდით ახლა!..

– ჩვენც არ გვაწყენდა ვარჯიში, თორემ ჩვენმა უმოძრაო ცხოვრებამ, შესაძლოა, დაგვაუძლუროს, – თქვა სატანვარჯიშო საზოგადოება "სტამბოლის კაჟის" საპატიო თავმჯდომარემ მამამზე შინდაუკაძემ. – მოდით, ჩვენც, დანარჩენებმაც წავიჭიდაოთ.

– რა დროს ვარჯიშია, თუ ძმა ხარ, ისედაც სულს ვდაფავ! – წამოიძახა წათემ, – გავსავათდი კაცი, გავიფიჩხე, ყინულივით ვარ...

– თხა უნდა წამოგვეყვანა ჯოდორის მაგივრად, მოვწველიდით და ცხელ რძეს დაგალევინებდით! – ეხუმრება წათეს მახარე.

– კარგი იქნებოდა, ჩემმა მზემ, მაგრამ რას ვაჭმევდით? ღრუბლებს მოვაბალახებინებდით? მაგის მეტს აქ ვერაფერს ვხედავთ! – აჰყვა წათეც. – რომ მოშივდებოდა, ერთს გაგვკრავდა რქებს ფერდში და სათითაოდ წაგვაყირავებდა გონდოლიდან.

– ნეტა ჩვენი მურია წამოგვეყვანა! – ინატრა დათუნამ.

– ბევრ რძეს იწველის? თხას აჯობებს? – ისევ ხუმრობს მახარე.

– რად გვინდა ძაღლი, როგორ უნდა მოუარო, სად უნდა გაასეირნო დილა-საღამოს? – კითხულობს წათე. – რა ფეხებად გინდა, ვერ გავიგე, მისი ყეფითა და წკმუტუნით დავტკბეთ?

– მართალია, შენი წკმუტუნი არ გვეყოფა? – პასუხობს წათეს შეფ-პილოტი.

– მურიკოს მოვეფერებოდი, ჩავიხუტებდი და გავათბობდით ერთმანეთს! – თავისას არ იშლის დათუნა.

– ადგილი არ იყო, თორემ ხომ წამოვიყვანდით? – ჩაერთო ბესიკიც. – გავეთამაშებოდით, იცით, როგორი ჭკვიანია? გაგვართობდა.

– რაო, კარგი ზღაპრების მოყოლა იცის თქვენმა მურიამ? – ეკითხება წათე.

– სიმაღლეს უფრო კატაა შეჩვეული, – ამბობს ბატონი მამამზე, – თვითონაც პატარაა და ადგილიც ცოტა ჰყოფნის, ეს ერთი რამ გამოგვრჩა. ჰო, ბეწვიც უფრო თბილი აქვს, თუ ჩახუტებაზე მიდგა საქმე. მომავალში თუ კიდევ მოგვიწია მოგზაურობა, კატის წამოყვანა არ დაგვავიწყდეს. ამ საქმის მოგვარებას უეჭველად ბატონ წათეს დავავალებთ... რას იტყვი, წათე?

– ერთი-ორი თაგვიც დავამატოთ ბარემ, ფისუნიაც გაერთობა, თან გახურდება კიდეც მათ დაჭერაში, თან ცოცხლი კონსერვებიც ექნება, – ამბობს წათე.

– მტრედები რომ შეჭამოს? – კითხულობს დათუნა.

– არ შევუშვებთ გალიაში და ეგ იქნება. იფ, შემწვარ მტრედზე ახლა არც მე ვიტყოდი უარს, ზედ ერთ ბოთლ ღვინოსაც დავაყოლებდი, – ხელებს იფშვნეტს წათე.

– რომელი გირჩევნია: წინანდალი, ნაფარეული თუ მუკუზანი? – ეკითხება ბატონი მამამზე.

– ჩვენ რომელი გვაქვს? ყველაზე თანახმა ვარ.

– მე ატენურს ვარჩევ, – ამბობს მახარე.

– სადღაა ღვინო, ცოტა არაყი გვაქვს შემონახული გაჭირვების დღისთვის, – პასუხობს ბატონი მამამზე, – საჭმელიც შემოგვაკლდა. მართალია, ორცხობილა და კონსერვები ჯერ საკმარისად გვაქვს.

– ეს რა ოხრობაა: ხან მზემ შეგვჭამა, ქაჯებივით დავიხრუკეთ, ახლა კიდევ ამ ღრუბლიანობამ მოგვსპო, თვალში ვეღარ ვიხედებით... – წუწუნებს წათე. – მე მგონი, ჯობს, ქვევით დავეშვათ; სად ვართ, იმას მაინც გავიგებთ... ცხელი კერძი არ მოგენატრათ? გემრიელად ფეხგამართულად დაძინება? გამოდარებას მოვუცდიდით და გავაგრძელებდით ჩვენს გზას.

– შენ პირდაპირ შინისკენ ხომ არ გირჩევნია აიღო გეზი? – ეკითხება წათეს ბატონი მამამზე. – ჯოდორი გელის, ერთი სული აქვს, რა საინტერესო ამბებს დაუხვავებ შენი გმირული მოგზაურობის შესახებ.

წათე გაჩუმდა და სადღაც ყუთებშორის შეიმალა.

– სიმაღლე?!. – გრგვინვასავით გაისმა შეფ-პილოტის ხმა.

შეშინებული წათე იმ წამსვე გამოძვრა სამალავიდან და მორიგის ადგილი დაიკავა.

– 2000 მეტრი!..

– კარგია! – ამბობს ბატონი მამამზე.

– რა არის კარგი? – არ ეთანხმება წათე. – თითქოს თვალებზე ლიბრი გვქონდეს გადაკრული – ვერაფერს ვარჩევთ, საითაც გაიხედავ, ღრუბლებია. ამ ზევით-ქვევით უთავბოლო პროწიალმა თავი ამატკივა, ლამის გამისკდეს...

– ჩემო წათე, მართალია, ვერ ხარ გუნებაზე, მაგრამ შენი ჭიჭყინი რას გვიშველის, რაში წაადგება საქმეს?

– იმაში, რომ დავეშვათ მიწაზე, გავიგოთ სად ვართ, პატარა სული მოვითქვათ... ცუდი წინათგრძნობა მაქვს, დროზე დამიჯერეთ.

– მერე, არ გაგვეპარები, წათე ბატონო? – ეხუმრება მახარე. – შენი ველოსიპედის და მოტორის მართვის მოწმობა ძალიან გამოგადგება, თუ, რასაკვირველია, ტყის ჯურღმულში ან უდაბურ უდაბნოში არ მოვხვდით.

– არ არის გამორიცხული, რომ ზღვაშიც დავეშვებით, – დინჯად ამბობს ბატონი მამამზე. – წათეს გარდა, ყველანი ხვდებიან, რომ ისიც ხუმრობის გუნებაზე დადგა.

ბიჭებმა კიდევ რამდენჯერმე წაიჭიდავეს, უფროსებმა საქილიკო ათასგვარი ენის მოსაფხანი მოიგონეს, ცოტა არაყიც გადახუხეს გასათბობად და ეს დღე როგორღაც მოახრჩეს ხვალინდელი უკეთესი ამინდის მოლოდინში.

კარი XI. რატომ გვესროლეს?

აჰა, ეს ღამეც გადააგორეს და კიდევ ერთი დილა გათენდა!.. მაგრამ ისიც სათქმელია, როგორი დღეა? უარეს ბურუსში მიცურავენ... თუმცა, მიცურავენ კი? თუ ერთ ადგილზე მიწას ტკეპნიან ანუ ტრიალებენ? მოკლედ, როგორც გინდა თქვი, გაურკვევლობის გულისგამაწვრილებელ და შემაშფოთებელ გრძნობას არიან აყოლილნი თუ დამორჩილებულნი.

აღარც ხუმრობა ისმის და ლაპარაკსაც მოუკლეს.

დრო უბედურად ზანტად მიიზლაზნება, ნუთუ ბოლო არ მოეღება ამ ერთფეროვან ყოფას? ოჰ, ეს ბურუსი საშინელებაა! მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ დაკარგული ხარ სადღაც სივრცეში, ვერ კი გაგიგია – სად, და არც ის იცი, საით მიექანები... გზის დაბნევას ვინ ჩივის, არ არის გამორიცხული, რომ თუნდაც კლდის შვერილს ან მაღალ ხეს წამოედოს უცებ გონდოლა და კალათიდან ყველანი პანტაპუნტით გადაცვივდნენ... შიშის გარდა, ჩვეული გარემოსა და საქმიანობისგან მოშორება, – ჰაერში ხანგრძლივად გამოკიდება ცასა და მიწას შუა, – გარიყვის, დაკარგვის, ობლობის, მარტოობის გრძნობებს ბადებს... ჰოდა, კიდევ ირგვლივ ბურუსის ფარდის ჩამოფარება, ხილული სამყაროსგან მოწყვეტა უნდოდათ? ყოველი მხრივ – დაუსრულებელი ბლანტი ფარდა, რომელსაც ვერ გასწევ გვერდზე... როგორი უძრაობაა, გარინდებულა ირგვლივ ყოველივე და ყველაფერი; უსასრულობაში, უსასრულო ერთფეროვნებაში არიან ჩაფლულნი, ნაცრისფერი მონოტონურობის ტყვეობაში. სად არიან? ჰგონიათ, რომ დროც გაჩერდა, აღარ ექნება დასასრული ამ სიცოცხლეშივე სიკვდილს. ნისლი ჰკლავს ფანტაზიას, სასიცოცხლო ენერგიასა და საზრდოს უსპობს... თუ პირიქით, აცხოველებს? და უკვე აღარაფერზე ოცნებობ ერთი რამის გარდა: ოღონდ ბურუსი გაიფანტოს, დადნეს, გაქრეს! ოღონდ მიწა ისევ დაიბადოს, მისი მცირედი ნაგლეჯი მაინც დაგანახა, თუნდაც უდაბური, უფერული ადგილი იყოს! ნეტავ მზის თბილ სხივს

წამით მაინც მოჰკრა თვალი! ყველაზე ცუდი და აუტანელი ის არის, რომ სრულიად უმწეო ხარ... არაფრის გაკეთება შეგიძლია – იხტუნე, იყვირე, იბღავლე რამდენიც გინდა! (ბატონი მამამზე ამისკენ მოუწოდებს სხვებს და თვითონ ცდილობს, მაგალითი მისცეს) – ვერაფერს შეცვლი... ისევ – მოთმინება, მოთმინება და მოთმინება... ირგვლივ ისეთი სიწყნარეა – შენც დაშოშმინდი...

მოწყდნენ დედამიწას, ფეხქვეშ ფეხის ადგმიდან მოუცილებელი საყრდენი – მიწა – გამოეცალათ, რომელსაც აფრენის შემდეგ მზერით მაინც უკავშირდებოდნენ... ყველაფერს ყოველდღიურობისას მოსცილდნენ – ჩვეულ საქმიანობას, ტკივილსაც და სიხარულსაც და გაურკვევლობის წინაშე მტანჯველ ფიქრთან ეულად დარჩენილთ ისევ და ისევ მხოლოდ გარემოს ხილული მრავალფეროვნება აძლებინებდათ... და ახლა ესეც მოაკლდათ.

– სიმაღლე? – დროდადრო კითხულობს შეფ-პილოტი.

– 2100 მეტრი!.. – პასუხობს მორიგე; ხან ოდნავ მეტს ასახელებს, ხან – ოდნავ ნაკლებს.

ნისლის ბლანტ დინებას კი, თავბრუხვევას ან თვლემას რომ იწვევს, ბოლო არ უჩანს.

– მთელი დედამიწა ნისლეულის ეპოქაში ხომ არ შევიდა? – ამბობს ხუმრობანარევი წუხილით მახარე.

– საით მივფრინავთ? – მეასედ კითხულობს წათე. – ძალიან მაღლა ხომ არ ვართ? მეტისმეტად ცივა!

– ზევით-ქვევით წოწიალს აზრი არ აქვს, აირისა და ბალასტის მარაგს უნდა გავუფრთხილდეთ, – მეასედვე პასუხობს ბატონი მამამზე, თან ცდილობს, გაღიზიანება არ გამოამჟღავნოს.

– ცოტა დაბლა ვერ ჩავალთ?

– ხომ აგიხსენი... როგორ უნდა ჩავიდეთ?

– როგორ? ეგ შენ უნდა იცოდე! – მოულოდნელად ყვირის წვრილი ხმით წათე.

– რა გაყვირებს, ბიჭები არ გააღვიძო! – აჩუმებს წათეს მამამზე.

– წათე, რით ვერ გაიგე, რომ დაბლა ჩასვლა არ არის მიზანშეწონილი, – ცუდი ამინდია, ხილვადობა ნოლის ტოლია და შეიძლება, ეს გახდეს კატასტროფის მიზეზი, – მამამზეს ეხმარება მახარე.

– კიდევ რამ შეიძლება გამოიწვიოს კატასტროფა? – კითხულობს წათე.

“შენისთანა რეგვენებმა” – სურს უპასუხოს შეფ-პილოტმა, მაგრამ თავს იკავებს.

– მიზეზებს რა გამოლევს და რა ჩამოთვლის... – ამბობს მახარე, – რატომ გაინტერესებს ასე მაინცდამაინც ცუდი, რატომ წამლავ ჩვენს გუნება-განწყობილებას?..

– მაინც, მაინც, მიზეზები მითხარი! – დაჟინებით მოითხოვს წათე.

– ეგ შენც ხომ კარგად იცი, წათე, კორესპონდენტი კაცი ხარ, განათლებული, მრავლის მცოდნე და მნახველი, რაღას მეკითხები? თუ ასე ძლიერ გსურს, მოგახსენებ: ცუდი ამინდი უკვე დავასახელე, კატასტროფის მიზეზი ასევე შეიძლება გახდეს ჰაერის ჭავლების უცნაური უეცარი გადაადგილება, გონდოლას მოწყვეტა, საჰაერო ბურთის პერფორაცია ანუ გახვრეტა, ხანძარი სხვადასხვა მიზეზის გამო, უფრო – ელვისგან, დაუდევრობით... კიდევ: პანიკური შიში და ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების უნარის დაკარგვა ეკიპაჟის მიერ... საკმარისია, თუ კიდევ გითხრა მეტი? – ოდნავი ათვალწუნებით პასუხობს წათეს მახარე.

– მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს, ძილი გამიკრთა, – ჩივის წათე.

– წათე ბატონო, დღეს მტრედის ფოსტა თუ გააგზავნე? – ეკითხება შეფ-პილოტი. – მისწერე გაზეთს, რომ ჩვენს შორის გამოჩნდა სულმოკლე წევრი, რომლის მოქმედებაც ემუქრება მოგზაურობის წარმატებით გაგრძელებას...

– და, საქმის წარმატებით დასრულებიდან გამომდინარე, შესაძლოა, იძულებულნი გავხდეთ, ზემოხსენებული ეკიპაჟის ატმოსფეროს მომწამლავი პიროვნება თავიდან მოვიშოროთ, ვითარცა ბალასტი...

– არ დაგავიწყდეს პირადად შენგან ბატონ ჯოდორისთვის დიდი მოკითხვის შეთვლა, – ამატებს შეფ-პილოტი.

– რას მერჩით, დავაშავე რამე? – ჯუჯღუნებს წათე.

გაძაღლებული დღე როგორღაც მიილია.

საღამოსპირს წათემ დაიჯინა, ქვევით დავეშვათ, ხალხს ვხედავო.

– სად ხედავ, წათე, ადამიანებს? – გაუკვირდა შეფ-პილოტს, შემდეგ მახარეს შეხედა, იქნებ მხოლოდ მე დავბრმავდიო.

მახარემ მხრები აიჩეჩა:

– ნისლია და მეტი არაფერი.

– ცხენებსაც ვხედავ! – არ ჩერდებოდა წათე. – მათ ზურგებზე ვიღაცეები სხედან და მიაჭენებენ!

– კაცო, შენ კარგად ხარ? – შეშფოთებით ჰკითხა მახარემ. – ღრუბლებში რა უნდა ცხენებს! ილუზიებს აჰყოლიხარ, მაგრად გააჭენე, აი!

– რომ ვხედავ და ხვიხვინიც მესმის? მე მგონი, ქვევით ქალაქი თუ არა, დიდი სოფელი მაინც არის და ჩვენ გველიან.

– რა იცი, რომ გველიან? – ჰკითხა ბატონმა მამამზემ.

– ჩემი თვალით დავინახე: ხალხია შეკრებილი, ხელში ყვავილები უჭირავთ.

– კიდევ, კიდევ?

– ეჰ, გავცილდით! – ამოიოხრა წათემ. – ვერ შეამჩნიეთ, როგორი გრძელი სუფრა იყო გაშლილი ჩვენთვის მთავარ მოედანზე?

– სასულე ორკესტრი თუ უკრავდა? – გაიღიმა მახარემ. – მუსიკის გარეშე არ ვარ თანახმა მათთან სტუმრობისა!

– ალბათ დიდი ასოებით გამოყვანილი ჩვენი გმირობის საქებარი და მოსალოცი სიტყვებიც წაიკითხე! – ამატებს ბატონი მამამზე.

– ჩავიწიოთ ცოტა ქვევით და თქვენ თვითონ დარწმუნდებით, რომ მე მართალს გეუბნებით...

– ცამდე მართალი ხარ, ჩემო წათე, და თუ გავითვალისწინებთ ჩვენს ამჟამინდელ მდგომარეობას და ადგილსამყოფელს, ცაზე უფრო მაღლაც დაფრინავს შენი სიმართლე. დიდად მადლობელი ვარ, რომ ასე გაგვამხიარულე! – მართლაც ხალისი დაეტყო ბატონ მამამზეს სიტყვებს.

– კაცი ცუდად ვარ, მომჩვარული, დაღლილ-დატანჯული, თავის ტკივილი არ მაძინებს და თქვენი დასაცინიც გავხდი? – აღშფოთდა წათე.

– შენ დაძინება რად გინდა, სიზმრებს ისედაც მშვენივრად ხედავ! – ეუბნება მახარე, ცდილობს დააწყნაროს: – ძილ-ღვიძილის მორიგეობა აგერია, ჩვენს განრიგს ვერ შეეჩვიე, ნევროზი გაგინვითარდა, ჩვენ რაღა ვქნათ, რით გიშველოთ?

– ამიტომ ვხუმრობთ, წათე, ხუმრობა კარგი წამალია, ჰოდა, სანამ გვეხუმრება, რაც შეიძლება ხშირად ვიხუმროთ, თორემ დავმყაყდებით, მოვიშლებით და მაშინ კი – ვაი ჩვენი ბრალი! – მხარი აუბა მახარეს შეფ-პილოტმა.

წათეზე სასიკეთოდ არაფერი მოქმედებს, აჩემებულ აზრს არ ეშვება:

– როდის მივაღწევთ მიზანს? როდის დავეშვებით? გველიან!

– ისევ შენსას გაიძახი? – ხმაში გაბრაზება გამოერია ბატონ მამამზეს. – რა ვიცი, რა გითხრა? გააჩნია, სად ვართ, რა მიმართულებით და რა სიჩქარით წარგვიტაცებს ქარი, სურსათი რამდენ ხანს გვეყოფა, აგრეთვე, აირისა და ბალასტის მარაგი როგორი გვექნება და ათასი რამ კიდევ, მათ შორის, ჩვენ როგორ გუნებაზე ვიქნებით, ავად ხომ არ გავხდებით...

– ავად ვარ, აბა კარგად ვარ?!. – ყვირის წათე. – მე მინდა, ახლავე მითხრათ, როდის დამთავრდება ჩვენი მოგზაურობა, როდის, როდის, როდის?!.

– მოითმინე, ბატონო, ყველაფერი კეთილად დამთავრდება, ოღონდ მოიცადე ცოტა, ეს ოხერი ბურუსი სულ კი არ იქნება, – აშოშმინებს მხარე.

– არ მინდა მოცდა! ახლავე მინდა, ვიცოდე! – ცხარობს წათე. – თუ არ მეტყვით, გადავხტები!

– კარგი, ბატონო, ნება შენია – გადახტი! – ბრაზობს შეფ-პილოტი. – შენ რისი გადამხტომი ხარ, კალათის კიდესთან მისვლის გეშინია, კარგა ხანია, შევნიშნე ეს! თუ დაწყნარებული ცხოვრება გიზიდავს, აქ რა გინდოდა?

– დაუშვი ბურთი ქვევით და მე ჩემს საქმეს ვეწევი! – ჯიუტობს წათე.

– რა საჩქარო საქმე გამოგიჩნდა ნეტა ისეთი, რომ სასიკვდილოდ იმეტებ თავს? – ეკითხება წათეს მახარე, – და ჩვენს სიცოცხლესაც საფრთხეში აგდებ!

– თქვენ რატომ?

– იმიტომ, რომ იქნებ ქვევით ზღვაში ჩავეშვათ ან კლდეს გამოვედოთ... რა ვიცი, ათასგვარი ხიფათია მოსალოდნელი, ხომ ხედავ, სამ ნაბიჯზე უკვე აღარაფერი ჩანს.

– შენ გგონია, ჩვენ არ ამოგვივიდა ყელში ბურუსში ბოდიალი? – ამბობს ბატონი მამამზე.

– მე არ ვიცი, თქვენ რა ამოგდით ყელში, მე კი მეტის მოთმენა აღარ შემიძლია! – თითქმის ყვირის წათე.

– რა არის, კაცო, ცოტა თავი შეიკავე, ბიჭებს დააფრთხობ! ბატონო მამამზე, ბოდიში კი მომითხოვია და, თქვენც ზედმეტად ხმამაღლა გამოგდით საუბარი, – ამბობს მახარე.

– ეს ოხერი, ხმადაბლა ლაპარაკი ვერ ვისწავლე, – ჩივის ბატონი მამამზე. – შინაურებიც სულ მეჩხუბებიან, ნამეტანს როხროხებო.

– სიტყვას ბანზე ნუ მიგდებთ, მიპასუხეთ, დავეშვებით მიწაზე თუ არა? – გაკაპასდა წათე.

– ვაჰ, კაცო! – გაბრაზებით იბრაგუნებს მუშტს მკერდზე ბატონი მამამზე. – რა ვქნა, ჩემი ხელით გადავაგდო ეგ შობელძაღლი?!.

წათე მოიკუნტა და უცებ გაუჩინარდა, სადღაც შეძვრა, მაგრამ ცოტა ხანში ისევ გამოჩნდა, როცა მახარემ იყვირა:

– ნისლი იფანტება!.. ალაგ-ალაგ მიწაც გამოჩნდა!

– ქვევით არც ზღვაა და არც ტყე ან კლდე, დავეშვათ! – აღიჭინდა ისევ წათე.

მამამზემ ჯერ ხმა არ გასცა, თუმცა ცოტა ხანში კბილებშუა გამოსცრა:

– კარგი, გამოუშვი აირი!

წათე იმ წამსვე ბურთის გამომშვები კლაპანისკენ მიმავალ თოკს მივარდა.

– მოიცა! – გააჩერა წათე მამამზემ, – სიმაღლე?

– 1800 მეტრი! – უპატაკა მახარემ.

— ნელ-ნელა დავეშვათ, აუჩქარებლად... მიდი!

წათემ ყური არ უგდო მამამზეს გაფრთხილებას და ფიცხლად მოქაჩა თოკს. ბურთმა სწრაფად იწყო სიმაღლის კარგვა.

— მიწა სულ ახლოსაა! გაუშვი თოკს ხელი! — უყვირა წათეს ბატონმა მამამზემ. მახარე მიიჭრა წათესთან და ერთი ისეთი მუშტი უთავაზა, რომ ყბა მოუნგრია — წათე ადგილზე ჩაიკეცა. ბატონი მამამზე ამ დროს ტომრიდან სილას უშვებდა ქვევით.

და დროულადაც...

მიწაზე, რუხ ბორცვებს შორის, პატარა დასახლებასავით რაღაც გამოჩნდა. ადამიანები გარბი-გამორბოდნენ, რაც გონდოლიდან მაყურებელთათვის ჭიანჭველების გაღიზიანებულ ბუდესავით ჩანდა. ისმოდა გაურკვეველი ლაპარაკიც.

მცირე ნიავზე ბურთი და გონდოლა ნელ-ნელა გადაადგილდებოდა მიწის ზედაპირიდან საკმაოდ ახლოს.

უცებ ქვევით დაიქუხა, გონდოლასთან გაიშხუილა რაღაცამ.

— ქვემეხს გვესვრიან! — იყვირა შეფ-პილოტმა, — გადავყაროთ ბალასტი, ჩქარა!

ისევ დაიგრგვინა, ისევ გაიწუილა სულ ახლოს.

წათემ მარდად მოხსნა კალათის კიდეზე გადაკიდებული ფუთიანი ტომსიკა, თვალის დახამხამებაში მოუხსნა თავი და ქვევით გადაუშვა სილა; შემდეგ ეცა მეორე ტომსიკას...

საჰაერო ბურთი სწრაფად იკრებდა სიმაღლეს, მიწაზე ყველაფერი პატარავდებოდა. მალე ღრუბლებში გაეხვივნენ, ერთი-ორი ყრუ ბათქი კიდევ შემოესმათ, მაგრამ უკვე აღარაფრისა ეშინოდათ.

წათე აპირებდა მესამე ტომსიკის დაცლასაც, მაგრამ მამამზემ არ დაანება, ისედაც სწრაფად განაგრძობდნენ ზევით სვლას.

— შენს გამო ხან აირს ვუშვებთ, ხან ბალასტისგან ვთავისუფლდებით, ხომ არ აჯობებდა, შენგან განვთავისუფლებულიყავით?.. სიმაღლე?!.

— 1700 მეტრი!.. 1900 მეტრი!.. 2200 მეტრი!.. 2500 მეტრი!.. — დროდადრო უპატაკებდა მახარე უკვე ბრძანების გარეშეც.

და აი ღრუბლებში გამოკრთა ნათელი ლაქა, მერე ისევ დაბურუსდა ირგვლივ კიდევ უფრო სქლად და უცებ მზის თვალი აფეთქდა!.. თვალის მომჭრელად აენთო!..

ქვევით თითქოს ბამბის ქულების ოკეანეა, ზევით კი მზე მეფობს, თუმცა ცივა, საკმაოდ ცივა!

— სიმაღლე?

— 3200 მეტრი! — პასუხობს მახარე.

მხოლოდ ახლა შეამჩნიეს, რომ ბესიკი და დათუნა, კიდევ უფრო მოკუნტულნი, თვალებდაჭყეტილნი მისჩერებიან ბატონ მამამზეს; შემდეგ წამოხტნენ და ქვევით გადაიხედეს — მიწისკენ.

— რა ბათქები იყო! ისევ ჭექა-ქუხილს გამოვექეცით ზევით? — იკითხა ბესიკმა.

— ჰო, პატარა აურზაური გამოვიარეთ, — უპასუხა ბატონმა მამამზემ. — ახლა გავცდით საშიშროებას და საკმაოდ სწრაფად მივფრინავთ კიდეც, ოღონდ საით, მახარე ბატონო?

— ეტყობა, ქარი გაძლიერდა სიმაღლესთან ერთად, — პასუხობს მახარე, — ღრუბლიანობა მცირდება და თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა, მიწაზე ორიენტირები მოვძებნოთ და ჩვენი ადგილსამყოფელიც განვსაზღვროთ.

— მანამდე თუ არ გავიყინეთ! — ბურტყუნებს წათე, რომელიც სადღაც ყუთებს შორის შეყუჟულა და ზევიდან თავისი საბანიც გადაუფარებია.

— ხომ არ გინდა, წათე ჩემო, ისევ ქვევით ჩავიდეთ? — იღიმება ბატონი მამამზე. — სუფრა უკვე გაშლილია და სტუმართმოყვარე მასპინძლებიც მზად არიან ჩვენს სადღესასწაულოდ დასახვედრად! ორკესტრიც მზად არის საზეიმო მარშის დასაგუგუნებლად, ყვავილებიც ბლომად დაუკრეფიათ და გვირგვინებიც მოუწნავთ, რომ ჩვენი გმირული თავები საკუთარი ხელით შეამკონ! საინტერესოა მხოლოდ, ამ შემოდგომის დროს ასეთი ლამაზი და ამდენი ყვავილი სად იშოვეს?

— ალბათ ძალიან სამხრეთით მოვხვდით, რომელიღაც თბილ ქვეყანაში და ამიტომ გვიწყობენ ასეთ თბილ შეხვედრას — ბათქაბუთქით და ილუმინაციით! ვაშა! — ამბობს მახარე.

— არაბეთში ვართ?.. თუ ინდოეთში? — გულაფანცქალებულნი, კითხვებს აყრიან ბიჭები მახარეს.

— ოსმალეთი ხელს არ გაძლევთ? — იცინის მახარე.

— დავეშვათ, ვნახოთ! — აცმუკდნენ ბიჭები.

— დავეშვით კიდეც და ვნახეთ კიდეც! — იბღვირება წათე. — კინაღამ თავიც წავაგეთ.

ბატონ მამამზესა და მახარეს სიტყვაც არ დასცდენიათ, ვისი მიზეზით მოხდა, რომ კინაღამ დროზე ბევრად ადრე დასრულდა მათი მოგზაურობაც და საერთოდ ამქვეყნად სტუმრობაც კი. ის კი არა, მახარე გაეხუმრა კიდეც წათეს:

— წათე, შე ძველო, შენ იმათზე უკეთესი დამიზნება გცოდნია, ეტყობა, პირდაპირ თვალებში ჩააყარე სილა და ამან გადაგვარჩინა!

– წათე თუ ასეთი ცქვიტი იქნებოდა, არ მეგონა! – როხროხებს ბატონი მამამზე.

გადატანილი საფრთხის შემდეგ მხიარული განწყობა ეუფლებათ.

ბიჭები პირდაღებულნი უსმენენ უფროსთა საუბარს და ვერაფერს ხვდებიან. როცა მახარემ მოკლედ მოუთხრო მათ მომხდარი ამბის შესახებ, ბიჭებმა ვერაფრით დაიჯერეს.

– წათე, კორესპონდენცია დღეს უკვე გააგზავნე? – ეკითხება მახარე. – რას მისწერ გაზეთს, რომელმა სახელმწიფომ გამოგვიცხადა ომი?

წათე რაღაცას ბურტყუნებს ჩვეულებისამებრ და თავის "სოროში" იმალება.

– რაო, წათე, აღარ გინდა განა მიწაზე დაშვება? – ეკითხება ბატონი მამამზე.

"სოროდან" ჩამიჩუმი არ ისმის.

– რატომ გვესროლეს? – კითხულობს დათუნა.

– რა ვიცი, ალბათ მტრად ჩაგვთვალეს, – პასუხობს მახარე. – ეტყობა, პირველად ნახეს აეროსტატი და დაფრთხნენ, ცით მოვლენილი ავი სულები ვეგონეთ.

– ჩვენ გვაქვს უცხო ქვეყნებში ფრენის უფლება? – ახლა ბესიკი დაინტერესდა.

– ასეთ ნებართვებს ჯერჯერობით მსოფლიოში არავინ გასცემს, სხვა ქვეყნებში შესაძლო მოხვედრის შესახებ კი იმ საკონსულოებს ვაცნობეთ, რომლებიც ტფილისში არსებობს.

საჰაერო ბურთი "გულადი მაწანწალა" იშვიათი ღრუბლების თავზე მიფრინავს.

– ხედავთ, როგორ სწრაფად გადაადგილდებიან მიწაზე ღრუბელთა ჩრდილები? – მიმართავს მახარე ბიჭებს. – რა შეიძლება აქედან დავასკვნათ?

– ალბათ ჩვენც არანაკლები სისწრაფით მივფრინავთ, – ამბობს ბესიკი.

– ყოჩაღ, სწორია, – აქებს მახარე. – ჩვენ უფრო მაღლა ვართ და, შესაძლოა, ვივარაუდოთ, რომ ჩვენი სიჩქარე ღრუბლებისაზე უფრო მეტიც იქნება. აი, ზოგჯერ ჩვენი ჩრდილი ეცემა ღრუბელს და თუ დაუკვირდებით, გადაირბენს ხოლმე მათ "ზურგზე".

– ეს ძალიან კარგი, მაგრამ ის უფრო მაინტერესებს, საით მივფრინავთ? – კითხულობს ბატონი მამამზე.

– ახლა მოსაღამოვდა, მზე სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებითაა, ჩვენ დაახლოებით ჩრდილოეთის მიმართულებით გადავადგილდებით.

– სად ვართ? – ბატონ მამამზეს კითხვა მკვეთრად და მომთხოვნად ჟღერს.

– მიჭირს გარკვეული პასუხის გაცემა, – ჭოჭმანობს მახარე. – თუ მზის სიმაღლეს და დროს გავითვალისწინებთ, შემიძლია ვივარაუდო, რომ გაფრენის ადგილიდან, ესე იგი, ტფილისიდან, სადღაც სამხრეთ-დასავლეთით ვართ გადანაცვლებულნი... უფრო ზუსტად ღამით ვარსკვლავებზე ხელსაწყოთი დაკვირვების შემდეგ შეეძლებ ადგილის დადგენას.

– გავიყინე! – გაისმა წათეს სასომიხდილი ხმა.

– სიმაღლე?

– თითქმის 4000 მეტრია! – პასუხობს მახარე.

– გაგილურჯდა ცხვირი? – ეკითხება წათეს ბატონი მამამზე. – მეორე ტომარა რაღას გადაუშვი ბრძანების გარეშე?

სხვებიც კბილს კბილზე აცემინებენ, გათოშილნი, ცმუკავენ ადგილზე. დაბლა დაშვებაზე მაინც არავის დასცდენია სიტყვა, თანაც საკმაოდ სწრაფად მიფრინავდნენ.

ღრუბელთა შორის საკმაო შუალედი არ გამოჩნდა, რომ მიწაზე რუკის შესაბამისი გარკვეული მიდამო შეეცნოთ; მახარე ხან სულ რუკას ჩასცქერის, ხან – მიწას. ქვევით ალაგ რაღაც ქედის ნაწილი გამოჩნდებოდა მცირე ხნით, გარკვეული დროის შემდეგ – რომელიღაც ხეობა, ზოგჯერ სოფლებიც დალანდეს, ერთხელ – ქალაქიც, მაგრამ დანამდვილებით ვერ განსაზღვრეს, სად იყვნენ იმ დროს. ასე რომ, წათეს მორიგი, ამჯერად ძალიან მოკლე, კორესპონდენცია მთავრდებოდა სიტყვებით: "ჩვენი მდგომარეობა გაურკვეველია – როგორც გეოგრაფიული თვალსაზრისით, ასევე მოგზაურობის შემდგომი ბედის მხრივაც".

კარი XII. ვირზე პირუკუღმა უნდა შევსვათ ესენი!

პატივცემულო მკითხველო!

დღეს, 1994 წლის 12 ოქტომბერს, ვიწყებ ჩვენი მართალი და უჩვეულო ამბის მეთორმეტე თავის წერას.

გაუმარჯოს მეთორმეტე თავს!

ყოჩაღ მე! უკვე თითქმის ერთი დუჟინი კარი მომიხლაფორთებია – ხელით ნაწერი 67 მოზრდილი ფურცელი! და ჯერ კიდევ ჰაერში ვაპროწიალებ საწყალ პერსონაჟებს, არ ვიცი, რას ვერჩი?!. სიცივეში ვაძიგძიგებ, მშრალ ულუფაზე დავსვი, ისიც კი არ ვაღირსე, რომ სად არიან, ის მაინც იცოდნენ... ცოტაც უნდა მომითმინონ, სხვა რა გზაა; ასე მნებავს მე, მათ შემქმნელსა და ბედის გამგებელს. ერთ სიკეთეს მაინც არ მოვაკლებ – დროზე დავაბრუნებ სამშობლოში. რასაკვირველია, შემეძლო, "გულადი მაწანწალა" სადმე ეგზოტიკურ ქვეყანაში გადამესროლა (მათი ფათერაკებიანი თავგადასავლის აღწერას ალბათ კაი სქელი ტომი დასჭირდებოდა!), მაგ-

რამ ცალკერძ ისედაც გატანჯული პერსონაჟები მეცოდება, ცალკერძ – მკითხველი... თანაც წერაც კი ჩვენს დროში ფრიად ძვირფასი ფუფუნებაა – უბრალო საწერ ქაღალდს ჩემი ჯიბე ვერ წვდება (ამიტომ ძველი, ნახმარი ფურცლების მეორე მხარეს ვიყენებ საწერად), ერთი უბრალო პასტის კალმისტრის ღირებულებამ ზღაპრულ ფასს – ნახევარ მილიონ კუპონს – მიაღწია! ასე რომ, ყველა ამ გარემოებათა გათვალისწინებით, ჩვენი გმირები ისევ საქართველოში უნდა დავაბრუნო, თანაც – სასწრაფოდ!..

ღამე უღრუბლო იყო, მთვარემ კლება იწყო; მახარემ მოახერხა რამდენიმე ვარსკვლავის ინსტრუმენტით დაკვირვება.

– აბა, ჩვენო ვარსკვლავთმრიცხველო, ისევ და ისევ ძველ კითხვას გისვამ: სად ვართ? – მიმართა ბატონმა მამამზემ მახარეს, რომელიც კარგა ხანს ჩაჰკირკიტებდა წიგნებში ტაბულებს, ცხრილებს, რაღაცას ანგარიშობდა.

– ჩვენ ვიმყოფებით დაახლოებით 41 გრადუსზე ჩრდილოეთის განედისა და 43 გრადუსზე აღმოსავლეთის გრძედისა! – საზეიმოდ გამოაცხადა მახარემ.

– რას ნიშნავს "დაახლოებით"? – არ გაიზიარა მახარეს აღფრთოვანება ბატონმა მამამზემ.

– ასე, ნახევარი გრადუსის სიზუსტით მოხდა დაკვირვება, ადგილმდებარეობის განსაზღვრა ვიანგარიშე ერთი გრადუსის ანუ დაახლოებით 100 კილომეტრის სიზუსტით...

– მოკლედ მოგვახსენე: სად ვართ? – მკვეთრად გაისმა ბატონ მამამზეს კითხვა.

– სადღაც არტაანის მიდამოებში, – არცთუ თავდაჯერებით უპასუხა მახარემ.

– ესე იგი, საქართველოში ვართ?

– გახლავართ, ჩემო ბატონო.

ამ იმედით დაიძინეს, რომ სამშობლოში იყვნენ.

დილით ბოლოს და ბოლოს ბედმაც გაუღიმათ – მშვენიერი ამინდი იყო და მახარემ მზის ბრწყინვალე სხივებში გაარჩია სამსარის ქედი. ჯავახეთის უტყეო ვულკანურ ზეგანზე ამოზიდული ამ ქედის მწვერვალები – დიდი აბული, პატარა აბული და სამსარი – თითქოს ხელისგულზე ედოთ, შეუძლებელი იყო, ისინი სხვა მწვერვალებში შეშლოდათ!

ჯერ ნელ-ნელა ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ მიფრინავდნენ, შემდეგ ღრუბლებში შეცურდნენ. ბატონმა მამამზემ გადაწყვიტა, ცოტა ქვევით დაშვებულიყვნენ; დაახლოებით ათასი მეტრით დაიწიეს, მაგრამ ღრუბლებს თავი მაინც ვერ დააღწიეს. არც მაინცდამაინც სიცივის შემცირება იგრძნეს, რისი იმედიც ჰქონდათ.

– კიდევ უფრო ქვევით ხომ არ ჯობს ჩასვლა? – თანამგზავრებს რჩევა ჰკითხა ბატონმა მამამზემ შუადღის პურის ჭამის შემდეგ. – მართალია, აირი დაგვეხარჯება, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ წყალი თითქმის აღარ გვაქვს, სასმელადაც კი. რამდენიმე დღეა, დილით ხელ-პირს აღარ ვიბანთ და მაინც წყლის დიდი ხარჯი გვაქვს.

– ეტყობა, მშრალ საჭმელებზე რომ ვართ გადასული, ბევრ წყალს ვაყოლებთ, – თქვა მახარემ.

– გადაწყდა – ქვევით ვეშვებით. თან ახალ პურს, ხილს, მწვანილს და კიდევ რაღაც-რაღაცეებს გავკრავთ კბილს... წინააღმდეგი ხომ არავინ არის?

– წათე უნდა იყოს უკმაყოფილო, – ხუმრობს მახარე.

– რაზე მატყობ? – მართლაც ჯიჯღინა ხმით ეხმაურება წათე.

– რა ვიცი, ყველას სახეები გაგვინათდა და შენ კი მოგეღრუბლა, ღრუბლიანობა გვაკლია აქ? – პასუხობს მახარე.

– ბიჭებო, მორჩით ძიძგილაობას, – ეუბნება ბატონი მამამზე ბესიკსა და დათუნას. – მიწაზე იჭიდავეთ, თუ მაინცდამაინც მაგის ჟინმა მოგიარათ. ქვევით ვეშვებით, მალე გავთბებით ყველანი, სულ ცოტა ხანში... აბა, წათე, შენ ხარ დაოსტატებული აირის გამოშვებაში, დაგვდე პატივი და მოქაჩე თოკს. ბიჭებო, გაფაციცებით დააკვირდით მიწას; თუ ქვევით რაიმე საგანგაშო შეამჩნიოთ, მაშინვე იყვირეთ. მახარე, შენ ალტიმეტრს დააკვირდი. სიმაღლე?

– 2500 მეტრი!

– ათასი მეტრით როცა დავიწევთ, მაშინვე მომახსენე. წათე, განსაკუთრებით ყურადღებით იყავი, ფრთხილად გამოუშვი აირი და მე თუ დაგიყვირებ, მაშინვე შეწყვიტე თოკის მოქაჩვა. ბიჭებო, თქვენ ტომრებთან იყავით, იქნებ საჩქაროდ ზევით ასვლა დაგვჭირდეს... აბა, ხომ ხართ ყველანი მზად?

– მზად გახლავართ!

– წათე, დავიწყოთ დაშვება!

ცოტა ხანში ბატონმა მამამზემ იკითხა:

– სიმაღლე?

– 2200 მეტრი! – უპატაკა მახარემ.

– ყოველი ასი მეტრის დაშვებისას, მომახსენე!

– 2100!.. 2000!.. 1900!.. – გაჰყვიროდა დროდადრო მახარე.

– მიწა გამოჩნდა! – წამოიძახა უცებ დათუნამ.

– სიმაღლე?

– 1500 მეტრი!

– რა უტყეო ადგილია! – აღმოხდა ბატონ მამამზეს.

– აღმოსავლეთით, ახლოს, რადაც სოფელი უნდა იყოს, ხედავთ? – ამბობს მახარე. – მართლა ხრიოკია, თითო-ოროლა ხე თუ ჩანს მთელ სოფელში.

– ჩვენ საით მივემართებით, სოფლიდან შორს ხომ არ მოვხვდებით? – დაინტერესდა ბატონი მამამზე.

– ქარი თითქმის არ არის, სოფელთან ახლოს დავეშვებით ალბათ, – პასუხობს მახარე.

– მიწა, მიწა!.. სოფელი, სოფელი!.. – ჟივჟივებდნენ გახარებული ბიჭები.

წათეც გაბადრულია; სიფხიზლეს მაინც არ ჰკარგავს, ფრთხილობს, ჩქარი დაშვება საშიშია.

– როცა აპარატის გონდოლა მიწას შეეხება, ყველანი თქვენ-თქვენ ადგილებზე დარჩით! – ბრძანებს ბატონი მამამზე. – ჯერ მხოლოდ მახარე გადავა, მოუხმობს ხალხს, რომ გონდოლას დამაგრებაზე მიეხმარონ. კარგი იქნება, რკინის ღუზით რაიმეს მოვეჭიდოთ, თორემ მახარე რომ გადავა გონდოლიდან, "გულადი მაწანწალა" მაშინვე ზევით აიჭრება. ამ დროს შენ, წათე, ცოტა აირს გამოუშვებ, ოღონდ ზედმეტი არ მოგივიდეს. ყველას ისევ გაფრთხილებთ: ფხიზლად იყავით!

– თუ მოვდეთ ღუზა რომელიმე სახლს და წავაჩოჩიალეთ! – ხუმრობს ბესიკი.

– ღუზა შენ უნდა მოგდო ლაყუჩში, რომ ზედმეტი არ ილაპარაკო ასეთ პასუხსაგებ დროს! – აწყვეტინებს ბატონი მამამზე.

რომ ეგონათ, ნელა მივფრინავთო, რაც უფრო დაბლა ეშვებოდნენ, მით უფრო ცხადად ჩანდა, რომ "გულადი მაწანწალა" არც ისეთი ზოზინა ყოფილა. ისე მოხდა, რომ სულ ქვევით დაწეული საჰაერო ბურთი შუაგულ სოფლისკენ მოძრაობდა.

ბატონი მამამზე შეშფოთდა:

– გეყოფა, წათე, რამეს არ წამოვედოთ, სოფელში დაშვება საშიშია!.

– მე აირს აღარ ვუშვებ კარგა ხანია! – წამოიძახა წათემ.

– ბიჭებო, ბალასტის გადასაშვებად მზად იყავით!

მაგრამ შეფ-პილოტის ბრძანება უკვე დაგვიანებული იყო – საჰაერო ბურთი ისე დაბლა დაეშვა, რომ ლამის იყო, გონდოლა ქოხთა სახურავებს დასჯახებოდა. კიდევ კარგი, თითქმის ყველა სახლი ბრტყელბანიანი იყო.

– წათე, მე რა გიბრძანე?!. მახარე, ისროლე ღუზა! – იყვირა ბატონმა მამამზემ, თუმცა თვითონვე ისკუპა, ღუზასთან მიიჭრა და ქვევით გადაუშვა.

ღუზა მისთრევდა მიწაზე, გაგლიჯა რამდენიმე მესერი თუ ღობე, მოანგრია ერთი საქათმე, ორი საღორე (განთავისუფლებული ღორები მხიარული ღრუტუნით მოედვნენ ბაღ-ბოსტნებს), ასევე – ფეხსალაგებიც არ დაინდო და წამოაქცია (შიგ მყოფთა სიხარულზე კი – რა მოგახსენოთ) და საოცარი შემთხვევითობის წყალობით თითქოს საგანგებოდ გაეჩხირა მომცრო მოედანზე გვერდიგვერდ ამოსულ ორ ალვის ხეს შორის; ღუზის თოკი დაიჭიმა და შეჩერებული კალათი ბიძგმა შეარყია.

იმ წამსვე წათემ თოკს მოქაჩა და საჰაერო ბურთიდან გამოუშვა საკმარისი რაოდენობის აირი, კალათი მიწას შეეხო და მახარემ ფიცხლად გადმოუშვა სამაგრი თოკები, თან უხმო იქვე მყოფ გასაქცევად გამზადებულ რამდენიმე დამფრთხალ სოფლელს:

– აბა, ძმებო, მიაბით თოკები რამეს! სწრაფად და საიმედოდ!

კაცები ჯერ შეშინდნენ, მერე მახარეს ხმა რომ გაიგონეს, დაფაცურდნენ, – ორი გაპარსული, სამი გასაპარსავი და ერთიც სანახევროდ გაპარსული, – სოფლის ამ მოედანს, ტყუპი ალვისხეების გარდა, სადალაქოც ამშვენებდა, აგრეთვე – რამდენიმე დუქანი და მაღაზია, რის გამოც უმალვე საკმაოდ მოზრდილი, ჭრელი და მოყაყანე ბრბო შეიკრიბა ცნობისმოყვარეთა თუ უსაქმურთა; იქვე დასეირნობდნენ თხები და დაუღლელი ღორები, დაცუნცულებდნენ ცუღლუტ-თვლება მაწანწალა ძაღლები...

ჰოდა, როცა სადალაქოს, იგივე სალაყბოს, წინ ზეციდან მოულოდნელი სტუმრები მოევლინნენ ძილქუშში ჩავარდნილ მიყრუებულ სოფელს, რა გასაკვირია, რომ დიდ-პატარა მოედნისკენ გამორბოდა: ერი და ბერი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ქალი თუ კაცი.

ჩვენი გმირი ჰაერნაოსნები აზიმზიმებულმა ბრბომ კი არა, სულ სხვა რამემ დაზაფრა: უჰ, ახალგამომცხვარი პურის რა ნერწყვისმომგვრელი სურნელი ეცათ ნესტოებში! ეს სურნელი სადალაქოს გვერდით მდებარე ფურნეს ღია კარებიდან ხაბაზებზე ადრე გამოსულიყო გარეთ...

– რა ბედად მივეტმასნეთ ამ ალვისხეებს! – წამოიძახა ბატონმა მამამზემ. – ეტყობა, აქ მოხეტიალე ღორებს უყვართ ხოლმე მათზე გვერდების ფხანა და ჩვენი საჰაერო ბურთიც ხომ მაწანწალაა, იგივე ხომ არ მოესურვილა?

გონდოლასთან შეგროვილი წვერგაუპარსავებიცა და ახლად გალამაზებულებიც ფრიად გაკვირვებულნი იყვნენ სამი წვერგაბურძგნილი და ორი უწვერული ჰაერნაოსნის უჩვეულო გამოჩენით შუაგულ სოფელში.

– ციდან ჩამოფრინდით?

– ღმერთმა გამოგგზავნათ?

ერთი ვიღაც ახლადგაპარსული ახმახი მუხლებზეც კი დაეცა და, შეშინებულმა, მათ თაყვანი სცა, მიწას ეხლებოდა თავით. სხვები გაირინდნენ და ხმის ამოღებასაც კი ვერ ბედავდნენ. განსაკუთრებით მახარეს უცნაურ თავსაბურველს მიაჩერდნენ და თვალს ვერ აშორებდნენ.

– ჰო, ცით ვართ მოვლენილნი! – გაიჯგიმა წათე. – აბა, ერთი ათიოდე ცხელ-ცხელი შოთი მოგვირბენინე – ცოცხლად!

ახმახმა თვალის დახამხამებაში აასრულა თხოვნა თუ ბრძანება.

ჰაერნაოსნები მეუფისგან მაღლით მოვლენილთათვის ფრიად შეუფერებელი სიმკვირცხლით ეცნენ პურებს – ფიცხლად ებდღვნენ, კინაღამ პირები დაიწვეს.

ახლა მახარე ჩაერთო ახმახთან საუბარში:

– ეს ოხერი, ხელადით ცივ წყალს ხომ ვერ მოგვიტან? ხმელი ლუკმა არ გადადის ყელში!

– ახლავე, შენი ჭირიმე! – ქუდი მოიშვლიპა ახმახმა.

– მოიცა, შორს ცხოვრობ? – გააჩერა იგი წათემ. – ღვინო გვირჩევნია, ცოლს ხაჭაპურებიც გამოაცხობინე!.. ღვთის ნებაა, აღასრულე!.. ერთი-ორი დედალიც მოახარშვინე! ოციოდ კვერცხიც!.. კვერები, ქუმელი წამოიღე!.. ყველიც!.. – დაადევნა გაქცეულს; ჩამოთვლის კიდევ გაგრძელება უნდოდა, მაგრამ ახმახი თვალს მიეფარა.

– რას შვრები, კაცო, უნდა დააქცევინო საწყალს ოჯახი? – უსაყვედურა წათეს ბატონმა მამამზემ. – ვერ ნახე, რა ჩამოხეული ჩოხა ეცვა?

– ეგ ისეთი ჭკვიანი ჩანს, მის ოჯახს არაფერი გაუჭირდება! – წათეს მაგივრად უპასუხა მახარემ. – ვატყობ, ამ ღარიბ სოფელში კარგ პურღვინოს მაინც უნდა ველოდეთ. ისე კი, მართალი მოგახსენოთ, ვენახები ამ არე-მიდამოში მე არ შემინიშნავს და ღვინო საიდან ექნებათ?

სულ მალე ჰაერნაოსნებს სახუმაროდ სულ არ ჰქონდათ საქმე. კიდევ კარგი, დასასვენებლად კი არა, ფეხის გასამართავადაც ვერ მოასწრეს გადასვლა გონდოლიდან...

– ციდან ანტიქრისტე მოგვევლინა! – იყვირა ვიღაცამ, – მთლად შავადაა გამურული!..

ბრბო აჩოჩქოლდა, ბატონ მამამზეს ერთი კვირის შავი წვერი თუ არ მოეწონათ.

რამდენიმე გაბრაზებისგან სახეშეშლილი კალათთან მივარდა.

– თუ თქვენ პატიოსანი ხალხი ხართ, რა გინდოდათ მაღლა ჰაერში? – ხმას იხლეჩდა ერთი. – სად გაგონილა, ვის უნახავს ასეთი რამ?

– უწმინდურ ძალებს დაუმმობილდით? – თვალებს აბრიალებდა მეორე. – ციდან ეშმაკის დახმარებით ჩამოეთესლეთ და უბედურება გინდათ ჩამოიტანოთ!

– დაიჭით, არ გაუშვათ!..

– ვირზე პირუკუღმა უნდა შევსვათ ესენი!..

– მაგათი ბრალია, ზაფხულში გვალვამ რომ მოგვსპო და მერე სეტყვამ გაგვაუბედურა!

– რას დაეხეტებით ანგელოზების საბრძანებელში, ახალი ჭირი უნდა დაგვმართოთ კიდევ?!.

ქვებმა და ჯოხებმა გაიზუზუნა ჰაერნოსნების თავზევით...

– გაგიჟებულან ეს ოხრები! – წამოიძახა ბატონმა მამამზემ; სხვა გზა არ იყო, თოფს დასტაცა ხელი, ჯერ ერთი ლულიდან დააქუხა ჰაერში, შემდეგ – მეორიდან, მერე გრძელი დანა დაამრო: – გადავჭრათ გაიდროპი! სამაგრი თოკებიც! სწრაფად, სწრაფად! სანამ გონს მოვიდოდნენ, თავს ვუშველოთ!

შეშინებული ბრბო თავქუდმოგლეჯილი გარბოდა, ერთმანეთს ასწრებდნენ, ეცემოდნენ, ზედახორას ჰქმნიდნენ, მიფორთხავდნენ, გაჰკიოდნენ, უკანები წინ დავარდნილებს თელავდნენ... მათი შემხედვარე ძაღლებიც შეშინდნენ, წინ-წინ გარბოდნენ და მათი ყეფა-წკმუტუნი, დაფეთებული ღორების ჭყვირილი და შეშფოთებული ვირების ყროყინი აგვირგვინებდა სურათს.

– გადაყარეთ ბალასტი, თორემ სადაცაა სანადირო თოფებით დაგვესხმიან თავს ყველა მხრიდან! ერთი რომ ბუთქონ საჰაერო ბურთს, გათავებული იქნება ჩვენი საქმე, მარგილებზე წამოგვაგებენ! – ისევ გაჰყვიროდა აღელვებული ბატონი მამამზე

– ერთი ტომარაღა იყო დარჩენილი და უკვე დავცალე! – უპატაკა მახარემ.

– მერე?

– ისევ მიწაზე ვართ!

– სამაგრი თოკები ყველა გადაჭრილია?

– ყველა!

– რაღა გვეშველება, საით გავიქცეთ?!. – აწრიალდა წათე.

– გადაყარეთ ზედმეტი ბარგი!.. – იღრიალა ბატონმა მამამზემ.

და პირველმა იწყო კალათიდან ყველაფრის გადაგდება, რაც კი ხელთ მოხვდებოდა. – აბა, დროზე, დროზე, დატრიალდით!

მიწაზე ცვიოდა წვრილმანიცა და მსხვილმანიც, კალათი კი თითქოს ჯინაზე არ აპირებდა გატოკებასაც კი.

– მტრედების გალია! – იყვირა წათემ, რკინის რგოლზე სამაგრები მოაძრო...

– კარი გააღე! – არ აცალა სხვას და ბატონმა მამამზემ სამტრედის კარი წინასწარ გააღო, შემდეგ წათესთან ერთად გადააგდო გალია ძირს.

აფრთხიალდნენ მტრედები, გამოდიოდნენ აყირავებული გალიიდან, ფარფატით აიჭრნენ ჰაერში და მალე ყველანი გაუჩინარდნენ.

როგორც იქნა, გონდოლამ შემსუბუქება იგრძნო, ოდნავღა ეხებოდა მიწას, პატარა ბიძგი იყო საჭირო და ისიც ჰაერში გამოეკიდებოდა.

– წათე, მეტი არაფერია გადასაგდები? – ლომივით ბდღვინავს ბატონი მამამზე.

– მე თუ გადამაგდებთ, არ ვიცი! – ყოველი შემთხვევისთვის სტროპებს მაგრად ეჭიდება წათე.

– ტანზე ხომ არ გავიხადოთ? – ხუმრობას არ იშლის მახარე.

– აბა, ჩემო კარგო "გულადო მაწანწალავ", არ გვიღალატო! – ლოცვასავით მიმართავს ბატონი მამამზე.

და თითქოს ამ ღაღადისს ყური ათხოვა და შეისმინაო, კალათი ოდნავ ასცილდა მიწას, ნიავს აყოლილმა ბურთმა გვერდზე გაიწია, გონდოლას გაქაჩა და პროწიალ-პროწიალით დაიძრნენ ადგილიდან.

– ჰე, რაღას უცდით, გადაყარეთ კიდევ რამე... დროზე, დროზე, სადაცაა სახურავებს წამოვედებით! – ისევ აყვირდა ბატონი მამამზე. – ბიჭებო, სტროპებს ჩაეჭიდეთ!

– წათე, შარვალი გაიხადე სასწრაფოდ და გადააგდე, თორემ უთავოდ დარჩები! – ისევ ხუმრობს მახარე. – თუ გაცივების გეშინია, მაშინ ჯიბეები ამოატრიალე, თავშენახული კაცი ხარ, ბევრი რამ გექნება იქ!

დათუნამ საიდანღაც თავისი ჩანთა გამოაძვრინა, რაღაც ხარახურით გამოტენილი; ჩუმად წამოეღო შინიდან და არ იტყვით, შიგ რა ეყარა? კოჭები, რაღაც რკინები, სხვადასხვა ზომის ჭანჭიკები, სამი შურდული და ბლომად სასროლი კენჭებიც! აგრეთვე, სათამაშო ორთქლმავალი ვაგონებიანად და სხვა წვრილმანი, ყველაფერს აღარ ჩამოვთვლი – გზაში გავერთობი თამაშითო!

– ხომ გაგიჟდებიან სოფელში, ეს "წვიმა" რომ მოვა? – ამბობს დათუნა და ამოოხვრით ჰყრის ქვევით აქამდე შემონახულ სიმდიდრეს.

ბატონ მამამზეს დათუნაზე გასაბრაზებლად არ სცალია, შეშფოთებით ადევნებს მზერას ქვევით კალათიდან თითქმის ერთი მტკაველის დაშორებით ჩაქროლებულ სახურავებს თუ ხეებს.

წათე გაფაციცებით იქექავს ჯიბეებს და ქვევით ყრის ყველაფერს, რაც კი ხელს ამოყვება.

– დათუნა, გადააგდე ჩანთაც, რაღაში გამოგადგება! – უყვირის ბატონი მამამზე.

– მოიცათ, აი იმ ეზოს უნდა დავუმიზნო, სადაც პატარა ბავშვები დარბიან... მიიღეთ საჩუქარი ციდან – სათამაშო რკინიგზა! და ჩანთა!

ნიავი გაძლიერდა, საჰაერო ბურთი მაღლა აიჭრა, სოფლის განაპირას გორაკებს გადაუარა.

– კიდევ კარგი, ცოტა ზევით ავიწიეთ, თორემ წათე დედიშობილა დარჩებოდა! – იცინის მახარე.

– რა დროს ხუმრობაა! – ცოტა არ იყოს მახარეზე გაბრაზებულია ბატონი მამამზე. – ახლა კი გადავურჩით ხიფათს და თუ ასე განვაგრძეთ მაღლა სვლა, გაყინვა არ აგვცდება.

– რა ვიცი, ჯერ კი უბედურად დამცხა, ოხშივარი ამდის! – ოხრავს მახარე. – ჭირის ოფლმა დამასხა!

– სათამაშოები ვიღაცის ეზოში რომ ჩავარდა, ბავშვებს როგორ გაუხარდებოდათ! – აღტაცებით ამბობს დათუნა.

ბატონმა მამამზემ ცერად გახედა, მაგრამ არაფერი უთხრა.

– ვერც საჭმელი ვიშოვეთ... – ბურტყუნებს მახარე.

– რამდენიმე შოთი გვაქვს ჯერჯერობით, ორცხობილაც დაგვრჩა, რამდენიმე დღეს გავძლებთ, – ამბობს ხის კასრზე ჩამომჯდარი ბატონი მამამზე. – წყალი უნდა აგვეღო უპირველესად, ასე როგორ შევცდით?!. ეს ცარიელი ხის კასრები რაღად გვინდა, ერთი დავიტოვოთ და მეორე გადავუძახოთ, ასე დაბლა ფრენა საშიშია.

– ერთიღა დარჩა, მეორე კასრი სოფელში უკვე გადავუძახეთ, ვიღაც გლეხი გავახარეთ, – პასუხობს მახარე, – ახალთახალი მშვენიერი კასრი საჩუქრად ჩამოუფრინდა ციდან. წათე, არ დაგცალდა, თორემ ვიღაცას უშარვლოს შენც ძალიან გაახარებდი.

– კომბინეზონი ეცვა და გაუჭირდა უცებ გაძრობა, – ვითომ დაიცვა ბატონმა მამამზემ წათე.

– თოფით რომ ბურთი გაგეხვრიტათ? – ეკითხება წათე ბატონ მამამზეს, შემდეგ მახარეს მიმართა: – არ გიკითხავს, რა სოფელი იყო? მაგ ყაბალახით რომ წაგიკრავს თავი, შენი შეხედვა როგორ არ შეშინდებოდათ?

– რა სოფელი იყო და ჯანდაბეთი! – გაბრაზებით იფურთხება ქვევით ბატონი მამამზე. – როგორ აგვეწეწა საქმე, ჰა? წინ რაღაც ცუდი გორაკები გამოჩნდა, მახარე, გახედე ერთი, თუ კაცი ხარ... ზევით უნდა ავიწიოთ, არადა, ბალასტი გამოგველია... დაჯდომით აქ სად უნდა დაეშვა, აღარც ღუზა გვაქვს და არც ხე ჩანს მოსაჭიდი. მცირე ქარის დროსაც კი კალათი ოდნავ შეეხება თუ არა მიწას, მაშინვე ამოვყირავდებით.

– ცუდადაა საქმე ნამდვილად... – წუწუნებს წათე. – რას იფიქრებენ რედაქციაში, ამდენი მტრედი ერთად რომ მიფრინდება და არც ერთს წერილი არ ექნება? დროზე შეგვეჭამა მაინც...

— ჩაიხედე ქვევით, წათე ბატონო, იქნებ ის შენი ახმახი მოგვდევს, ცალ ხელში ღვინიანი სველი ხელადა უჭირავს, მეორეში კიდევ — კალათი, კალათში კიდევ — რა გინდა სულო და გულო: ხაჭაპურები, შებრაწული დედალი...

კიდევ რა დაბარე?

— ოხრობა და ჯანდაბა! — იღრინება წათე და უნდა, თავის "სოროში" შეძვრეს, მაგრამ სადღაა მისი სამალავი! ისეა არეულ-დარეული ყველაფერი, თანაც თითქმის ყველა საგანს ადგილი შეეცვალა ამასწინდელი ორომტრიალის დროს, ნახევარზე მეტი კი სოფლელებს მიართვეს საჩუქრად, თანაც სოფლის სახელიც კი არ იკითხეს!

მახარე კი ისევ თავისას განაგრძობს:

— ეჰ, ცოტა მოგვეცადა, ჩემო წათე: კარგად გამოძღებოდი, ღვინო კარგა ხანია, არ გაგისინჯია, მთელ ხელადას გამოსცლიდი,ჰ თუ ცოტას ჩვენც გვიწილადებდი? მერე იმ კაცს ზღაპარს მოაყოლებდი, თან ფეხისგულსაც მოაფხანიებდი და ამასობაში ტკბილ სიზმრებშიც შეცურდებოდი... მაინც მშვენივრად ვართ, ჯერჯერობით, რასაკვირველია; რაც მთავარია, გადავრჩით.

— მთავარია, რომ საქართველოში ვართ, ერთი ეს ნიავი ჩადგებოდეს და მაშინვე დავსხდებოდით მიწაზე და მერე არაფერი გვიჭირს, — ბუხუნებს ბატონი მამამზე. — სად ვართ, ამაზე, ცხადია, მახარე ვერაფერს მოგვახსენებს, როგორც ყოველთვის. მე ის მიკვირს, მთელ სოფელში ალბათ ორად-ორი ალვის ხე იდგა და მაინცდამაინც იქ გავეჩხირეთ... ბედი გვქონია, ნუ გეშინიათ, ხალხო!

— მე მგონია, თრიალეთის ქედს ვკვეთთ, — მახარე ნაწყენია ბატონ მამამზეს ნათქვამით, მაგრამ ცდილობს, არ შეიმჩნიოს. — კიდევ კარგი, საკმაოდ მაღლა ავედით, თუმცა, აქ ისეთი ხევხუვებია, ჩვენი ბურთის დაჯდომა სახიფათოა. ტყეც გამოჩნდა, ხედავთ?

საღამოსპირს ნიავმა მიმართულება იცვალა, ჩრდილო-დასავლეთით და ხანაც ჩრდილოეთით გადაადგილდებოდნენ, შემდეგ — სამხრეთ-დასალეთით — ზევით ასასვლელად გადასაყრელი ბალასტი აღარ შერჩათ, ქვევით დაწევა კი სახიფათო იყო.

— სიმაღლე?

— 2100 მეტრი! — უპატაკა მახარემ. — ძალიან დაბლა ვართ, თითქმის მიწას ვეხებით.

— ამ სიმაღლეზე თუ ვართ, მიწას როგორღა ვეხებით თითქმის? — კითხულობს დათუნა.

— ჩვენი სიმაღლე ზღვის დონიდან იგულისხმება, მთების სიმაღლე კი აქ 1800-2400 მეტრს აღწევს და ზოგან უფრო მეტსაც, — უხსნის მახარე.

— მზად ვიყოთ მიწაზე იძულებითი დაშვებისთვის! — ბრძანა შეფ-პილოტმა. — კასრთან დადექით მახარე და წათე, მაშინვე გადააგდეთ ბორტს იქით, თუ უხერხული ადგილი იქნა. ბიჭებო, თქვენ ფრთხილად იყავით, სტროპებს ჩაეჭიდეთ, მაგარი ბიძგია მოსალოდნელი.

— წყალგამყოფი გადავლახეთ, ახლა ქვევით ვეშვებით, ეტყობა, ჰაერის აღმავალი დინამიკური ჭავლები ახლა დაღმავალით შეიცვალა, — ამბობს მახარე. — ტყის თავზე ვიმყოფებით, ყველაზე საშიშ ადგილას...

ნელ-ნელა ფრენის სიმაღლემ იკლო, ეს ძალიან გაუხარდათ. ისეთმა სიწყნარემ დაისადგურა, რომ მიწაზე დაშვებაც შეიძლებოდა, მაგრამ მოულოდნელად სქელი ნისლი ჩამოწვა. მალე ერთმანეთს ძლივს ხედავდნენ.

— დაშვება არ ვცადოთ? — იკითხა წათემ.

— უკვე ღამდება, ეს ნისლი ალბათ დილამდე არ გაიფანტება და ჯობს, მოვიცადოთ, — გადაწყვიტა ბატონმა მამამზემ.

ბინდი ჩამოწვა, სწრაფად იწყო დაბნელება.

— ახლა რა უნდა ვქნათ? — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა ბესიკმა.

— რა და, მივირთვათ გემრიელად, თუკი რამე საჭმელი შემოგვრჩა, — უპასუხა ბატონმა მამამზემ, — ზედ კარგი არაკები დავაყოლოთ, რომ არ დაგვეძინოს; ყოველ წუთს მზად უნდა ვიყოთ ავარიული დაშვებისთვის — გამოვედებით ხეს ან გორაკს და გადმოვიცლებით გონდოლიდან ერთბაშად, როგორც კალათიდან გადმოყრიან ვაშლს ან... რას?

— რას და ღვეზლებს! — ცქვიტად უპასუხა დათუნამ.

— ჩურჩხელებს! — წამოიძახა ბესიკმა.

— ჩურჩხელებს კალათში რა უნდა, შენ, გეტყობა, ჩურჩხელები გიყვარს ნამეტანი, — გაეღიმა ბატონ მამამზეს. — შენ რა გიყვარს, დათუნა?

— მე ყველაფერი მიყვარს! ხაჭაპურები, ნაზუქები, ნამცხვრები, ლობიანები, ხლოვანები, ხინკლები...

— ნუ დამზაფრეთ, ნერწყვი მახრჩობს, შემიცოდეთ! — წამოიძახა მახარემ. — გახსენი ჩქარა შენი ორცხობილებიანი ტომარა, დათუნა, მაგის რიგიც მოვიდა!

გარშემო წყვდიადში გამეფებული სიმყუდროვე მალე ხუთი ადამიანის მიერ ყბების ფრიად საქმიანად და მხნედ ამუშავების გამო ატეხილმა ხრამუნმა დაარღვია. ისხდნენ გონდოლას ძირზე დაგებულ ლეიბზე ერთმანეთს მიხუტებულნი და შიგადაშიგ გაიწვდიდნენ ხოლმე შემცივნულ ხელს ორცხობილებიანი ტომრისკენ.

კარი XIII. ნანატრ მიწაზე

ბესიკის გამოღვიძება დილის 6 საათზე, რათა მორიგეობს შესდგომოდა, არ გახდა საჭირო – ჯერ აღმოსავლეთით მტრედისფრად იყო მხოლოდ შემღვრეული ცის კიდე, რომ მისი ხმა გაისმა:

– მწყურია!

მორიგემ, ბატონმა მამამზემ, ყველგან მოაფათურა ხელი, სადაც კი წყალი ეგულებოდა, მაგრამ არცერთ ჭურჭელს შეჯანჯღარებისას ჩქამი არ გაუღია – ყველა ცარიელი გამოდგა.

– რაც წყალი შემოგვრჩა, ეტყობა, გუშინ საღამოს დავამღერეთ, როცა ორცხობილებს ვაკნატუნებდით.

როგორც გამოირკვა, არც სხვებს ეძინათ, დათუნასაც კი, – ყველას წყურვილი აწუხებდა.

– სოფლის მოედანზე წყარო იყო, – თქვა დათუნამ, – ნეტა იქ გამაჩინა ახლა! დიდი ქვებით იყო ამოშენებული კედელივით და შიგ წყლის მსხვილი მილი ჰქონდა დატანებული.

– წყარო კი არა, ის არ გინდა? – არ დაიჯერა დათუნას ნათქვამი ბესიკმა. – ღამე ხომ არ დაგესიზმრა?

ცხარე კამათში, – იყო თუ არა მართლაც წყარო იმ სოფლის მოედანზე, საიდანაც ასე სასწრაფოდ მოუწიათ აბარგება, – ყველამ მიიღო მონაწილეობა, ამასთან აღმოჩნდა, რომ დათუნას გარდა ის წყარო სხვას არავის შეუმჩნევია.

– დათუნა მართალია, – დაასკვნა ბოლოს მახარემ, – ამ მხარეში ხშირია ნაკადულები და თითქმის ყოველ სოფელს მთავარ მოედანზე ლამაზად მოწყობილი წყარო აქვს გამართული.

– დროზე ვერ დავიჭირეთ თადარიგი, შეგვეძლო წვიმის დროს წყალი შეგვეგროვებინა, მაგრამ მაშინ ეს ვერ მოვიფიქრეთ, – დანანებით თქვა ბატონმა მამამზემ, – შევცდით!

ამის შემდგომ დავა აღარ გაუგრძელებიათ, საუბარი გადაერთო იმაზე, თუ ვინ რას დალევდა ახლა დიდი სიამოვნებით.

– მე სელტერის წყალს მივირთმევდი! – გამოაცხადა დათუნამ, – ორ, არა, სამ ბოთლს!

– მე ლიმონათი მირჩევნია! – იყვირა ბესიკმა, თითქოს ვინმე ედავებოდა განიერი მდინარის მეორე ნაპირიდან.

– მე ბურახს ან ლუდს დავლევდი, ორ დიდ კათხას, – თქვა წათემ.

– თუ დალევაა, კახურს გადავყლურწავდი ორ-სამ ჭიქას, იქნებ მეტსაც; გავხურდებოდი კიდეც! – გალურჯებული ხელები მოიფშვნიტა ბატონმა მამამზემ და ქურთუკის ჯიბეებში ღრმად შეიჩურთა; თან ქვევით იყურებოდა, იქნებ დილის ბინდბუნდში რამე გავარჩიოო.

– ატენურზე უარს იტყოდით? – შეეხმიანა მახარე. – ისე კი, წყაროს წყალს არაფერი სჯობს.

– ამ ცარიელ კუჭს კარგად გამოვირეცხავდით, – თქვა წათემ, შემდეგ უცებ გამოცოცხლდა: – მართლა, კონსერვები გვაქვს ბლომად, ყუთი გავხსნათ!

– იმ კონსერვებს ახლა ვიღაც იღბლიანი მიირთმევს სოფელ ჯანდაბეთში! – პასუხობს ბატონი მამამზე. – წათე ბატონო, მგონი, შენ დაეჯაჯგურე იმ ყუთს და ისროლე ქვევით, ჯანიანი ყოფილხარ!

– დიახ, ბატონო მამამზე, თქვენც არ გაკლიათ ძალ-ღონე, ერთად არ დავეჭიდეთ იმ ყუთს? მე მარტოს გამიჭირდებოდა.

– ეჰ, ძმებო, ახლა ილოცეთ, იქნებ წყნარი ამინდი გვაჩუქოს განგებამ, თორემ ჩვენი საქმე წასულია, – ამოიოხრა ბატონმა მამამზემ.

ამოგორდა დიდებული მზე და საოცრად ლამაზი ხედი გადაიშალა ჰაერნაოსნების წინაშე: ცისფერ მთაგრეხილთა ქარავნები გადაჭიმულიყვნენ სამხრეთისკენაც და შორს, ჩრდილოეთისკენაც; დათოვლილი მწვერვალები არ ჩანდა; ქვევით ტყიანი თუ უტყეო ქედები და გორაკები ენაცვლებოდნენ რუხ ხევხუვებსა და ხეობებს. ახლა მიზნად ჰქონდათ: ნელ-ნელა ჩასულიყვნენ ქვევით-ქვევით და ხელსაყრელ ადგილას მიწაზე დამსხდარიყვნენ.

– სიმაღლე?

– 2000 მეტრი! – უპატაკა ბესიკმა.

– წათე! აბა, მიდი, შენებურად გამოუშვი აირი! ბესიკ! ყოველი ასი მეტრით დაწევა მომახსენე!

წათე გამოძვრა "ბუნაგიდან", რომელიც მოახერხა და ახლაც გაიჩინა და საჰაერო ბურთის აირის გამომშვები კლაპანისკენ მიმავალ თოკს ნელა მოქაჩა. ცოტა ხანს უშვებდა აირს, შემდეგ ახალ ბრძანებას დაელოდა.

– სიმაღლე? – წათემ იკითხა ბატონ მამამზეს მაგივრად.

– ჯერ თითქმის იგივე სიმაღლეზე ვართ! – უპასუხა ბესიკმა.

ძალიან ნელა ეშვებოდნენ ქვევით და წათემ უფრო გაბედულად გამოუშვა აირის ახალი რაოდენობა.

– 1900 მეტრი! – თხუთმეტი წუთის შემდეგ იყვირა ბესიკმა.

საჰაერო ბურთი ნელ-ნელა ეშვებოდა ქვევით და ასევე დინჯად გადაადგილდებოდა ჩრდილოეთისკენაც.

წათე გათამამდა და კარგა ხნით მოქაჩა თოკს, რამდენადაც ქვევით მათი ფრენის მიმართულებით ფართო ველი გამოჩნდა.

— ქართლის ვაკეზე გავდივართ! — იყვირა მახარემ, თითქოს ბესიკი ან დათუნა ყოფილიყოს, იმდენად იყო გახარებული.

— ნამდვილად? — დაეჭვდა ბატონი მამამზე.

— სხვა ასეთი დიდი ვაკე აქეთ მე არ მეგულება, — დარწმუნებით განაცხადა მახარემ. — აგერ — მტკვარიც!

ბატონ მამამზეს არ დასცალდა ახალი კითხვის მიცემა, რადგან საჰაერო ბურთმა უცებ დაიწყო უცნაური თამაში — ერთხანს შესწყვიტა ძირს დაშვება და ორასი მეტრით მაღლა აიწია კიდეც; შეფ-პილოტის ბრძანებით წათემ ისევ გამოუშვა აირი და ამჯერად სწრაფად დაიწყეს ქვევით დაშვება.

— სიმაღლე? — წამდაუწუმ შეშფოთებული კითხულობდა შეფ-პილოტი.

— 1500!.. 1300!. 900!.. 800!.. — უპატაკებდა ბესიკი.

— წათე! — იყვირა შეფ-პილოტმა, — შე ოხერო, მეტისმეტი ხომ არ მოგივიდა? ისე სწრაფად ვეშვებით ქვევით, ჩავარდნა არ გამოგვივიდეს.!

— ყველაზე კარგი იქნება, თუ პირდაპირ მტკვარში ჩავდგაფუნდებით, — ამბობს მახარე. — რაღა დარჩა, ჰა და ჰა, ორმოცდაათი მეტრი იქნება იქამდე დარჩენილი.

— გავჩერდით, მგონია! — შვებით ამოისუნთქა წათემ.

— გაჩერებისა რა მოგახსენო და ძალიან კი შევანელეთ ქვევით სვლა, — თქვა იმედმიცემულმა ბატონმა მამამზემ უკვე დაწყნარებით.

— თუ ასე განვაგრძეთ ფრენა, უსათუოდ მდინარეში მოვადენთ ტყაპანს, — იყვირა ისევ მახარემ. — სანამ ეგ სიკეთე მოგვსვლია, ხომ არ აჯობებს, კიდევ გამოვუშვათ აირი? იქნებ მოვასწროთ მიწაზე უფრო ადრე დაშვება...

— თუ ჯობს, გამოუშვი აირი, თოკს დროზე მოქაჩე! — იყვირა ბატონმა მამამზემაც.

წათეს ბევრი ხვეწნა არ დასჭირვებია ბრძანების შესასრულებლად და ბედად წყლის კიდიდან ოციოდ მეტრში კალათი ქვიშა-სილით დაფარულ მდინარის დაბალ ნაპირს შეეხო. საჰაერო ბურთი აპირებდა, კიდევ განეგრძო ნიავის ტალღებში ცურვა, რითაც გონდოლას ამოყირავება არ ასცდებოდა, მაგრამ წათემ იმარჯვა და, ყოველგვარი ბრძანების გარეშე, საგანგებო თოკს უცებ გამოჰკრა, საჰაერო ბურთის გარსში აირის სწრაფი გამოშვებისთვის დატანებული ქსოვილი მაშინვე გაიხა და ბურთი წამიერად დაიჩუტა; მისი მომჩვარული გარსი მომცრო ვერხვის ტოტებს მიეფინა.

— ესეც ასე! — წარმოსთქვა ბატონმა მამამზემ და ძნელი იყო განსაზღვრა, კმაყოფილება გამოთქვა მშვიდობით დაშვებით თუ გულისტკივილი მოგზაურობის ესოდენ უდროო დასრულების გამო.

თუმცა, მოგზაურობა გრძელდებოდა, ოღონდ ამჯერად მიწაზე, ვინაიდან შინიდან საკმაოდ მოშორებულნი იყვნენ, არ კი იცოდნენ, რამდენად.

ამრიგად, ბატონი მამამზე სტროპებს შორის გამოძვრა და მყარ მიწაზე დადგა ფეხი.

დანარჩენებმაც მას მიბაძეს; მიჰყვნენ და აჩქარების გამო კინაღამ გადმოცვივდნენ გონდოლიდან ნანატრ მიწაზე.

ბიჭებმა ყიჟინა დასცხეს, გიჟებივით დარბოდნენ, შემოდგომის მოკრძალებულ ყვავილებს კრეფდნენ, კაცებიც ლამის ეფერებოდნენ ბუჩქებსა და ხეებს, ხელს უტყაპუნებდნენ ქვებს... თითქოს ყველაფერს პირველად ხედავდნენ, — შეიპყროთ აღგზნებამ, მოუსვენრობამ, ვერ ჩერდებოდნენ ერთ ადგილზე და ხმამაღალი წამოძახილებით ცდილობდნენ, გამოეხატათ აღტაცება ყოველივე ხილულით და ხელშესახებით... გადადიოდნენ ადგილიდან ადგილზე, ხიდან დიდი ქვებისკენ, გადაკოტრიალდებოდნენ სილაზე; ყურს ესალბუნებოდა მდინარის დუდუნით დინება, ხან კი — მდინარიდან ჰაერში ამომხტარი თევზის გასხმარტალება და უკანვე წყალში ჩადგაფუნება...

— გადავრჩით?

— გადავრჩით!..

— რა კარგია მიწაზე ფეხის დადგმა! გავლა-გამოვლა! თურმე ესეც კი უდიდესი სიამოვნების მომტანი შეიძლება იყოს!

— შეხედე, გინახავს ასეთი მშვენიერი ყვავილი?

— როგორ ესალბუნება სმენას ხეთა შრიალი!

— ჭალის ვერხვი, რა ლამაზად შეივერცხლება მისი რტოები ნიავის დაქროლებაზე!

— დიდებული დღეა, ჭეშმარიტად დიდებული! უჰ, თითქოს მეორედ დავიბადე!

— აბა რა! ბუნებაც კი დღესასწაულობს ჩვენს გამარჯვებას!

ასეთი გამოძახილი ჰქონდა ფრენის ერთფეროვნების შემდეგ შთაბეჭდილებათა მოზღვავებას — სიამოვნებდათ თავიანთი გრძნობების ხმამაღალი გამომზეურება, თითქოს რაღაც მძიმე ტვირთი მოიშორეს მხრებიდანო. ამ ერთ კვირაში საოცრად მოენატრათ ყოვლად ჩვეულებრივი საგნები და მხოლოდ ახლა იგრძნეს: თურმე რაოდენი სიმდიდრე ერტყათ გარშემო — ყოვლად

უჩინარი, მცირე ბალახიც რა მომხიბვლელი ყოფილა და ნაპირზე მიმოფანტული უთვალავი ქვარგვალიც კი თითოეული განსაკუთრებული და გამორჩეული იყო. არცთუ ისე შორს, სამხრეთით, ამართულიყვნენ მთები, რომლებიც მათ გადმოიარეს – ზევიდან გადაუარეს! ზევიდან დაჰყურებდნენ! არ არის ეს საამაყო? მათ კალთებს შეჰფენოდა წიწვოვანი ტყე – და უკვე ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ სულ ცოტა ხნის წინ ზევიდან დასცქეროდნენ ხევხუვებსა და პატარა მდინარეების ხეობებსაც, ამ ბალახებსა და ქვებს კი ვერ არჩევდნენ; ვერ ხედავდნენ ვერც ამ ნიავით ათამაშებულ ფოთლებს, მდინარის ზედაპირის დატალღვას, თითო-ოროლა შემორჩენილი პეპლის ფარფატს, მობზუილე მწერებს...

ყველაზე მთავარი ახალ გარემოში მდინარე იყო, რომელიც მძლავრად მიაქანებდა ზვირთებს, ირეკლავდა თავის ზედაპირზე ცის ფირუზსა და ნაპირების სიმწვანეს.

– წყალი, წყალი!

და ყველანი მტკვრის ნაპირს მივარდნენ.

ცოტა კი გაუჭირდათ გაძუნძულება, რაც იმდენად რიყნარის უსწორმასწორობას არ მიეწერებოდა, რამდენადაც ხანგრძლივი უძრაობისგან სირბილის გადაჩვევას.

მდინარის კიდესთან მლოცველებივით მუხლებზე დაეცნენ, დაიხარნენ, ხელისგულებს დაეყრდნენ და გრილ, არცთუ მთლად გამჭვირვალე წყალს დაეწაფნენ.

დიდხანს, დიდხანს სვამდნენ ტუჩმოუცილებლად; ხანდახან მხოლოდ ცხვირს კი არა, მთელ სახესაც ჩაყოფდნენ წყალში, თვალდახუჭულნი სუნთქვის შეკვრამდე ნთქავდნენ მაცოცხლებელ სითხეს; შემდეგ სწევდნენ თავს, ამოისუნთ-ჩაისუნთქავდნენ რამდენჯერმე ღრმად და ისევ წყლის სარკეს ეამბორებოდნენ.

– რა გემრიელია! – დროდადრო იმეორებდა მახარე.

მერე, მუცელდაბერილნი, მიეყარნენ ნაპირის სილაზე და თვალმოჭუტვით გასცქეროდნენ საკმაოდ ჩქარი მდინარებით ატალღებულ წყლის ზედაპირს. შუადღის მზე დასცქეროდათ; თბილად ჩაცმულებს, მრავალი დღის განმავლობაში მუდმივად დაძაბულებს, ახლა ტკბილმა ნეტარებამ დაუარათ ტანში; მოითენთნენ, რული მოეკიდათ. მალე ჯერ ქუდები მოიხადეს (მახარემ თავსახვევი მოიხსნა), მერე – ჯუბები, ქურთუკები, – ვისაც რა ეცვა, – ყველაფერი ერთმანეთის მიყოლებით იყრებოდა ქვიშაზე. ყოფილი ჰაერნაოსნები თანდათან თავისუფლდებოდნენ ტანსაცმლისგან (ბესიკი და დათუნა უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ – კომბინეზონები არ ეცვათ), განბორკილი სხეულის კანს გრილმა ჰაერმა დაუარა, შვება იგრძნეს. ბიჭები თითქმის სრულიად გატიტვლდნენ, შემდეგ მდინარეში შევიდნენ მუხლებამდე; ერთმანეთს წყალს ასხამდნენ, კისკისებდნენ, შემდეგ დგაფუნით ჩაწვნენ წყალში ისე, რომ მხოლოდ გაცინებული სახეები მოუჩანდათ.

– ეს არის ჩვენი დედამდინარე – მტკვარი! – გამოაცხადა მახარემ. – ვატყობ, ბორჯომის ხეობას კი გამოვცდით, მაგრამ რამდენად დავშორდით ტაშისკარს, ძნელი სათქმელია – დასავლეთით ბურუსია ჩამოწოლილი. ბედი გვქონია, აქეთ რომ წამოგვიღო ჰაერის ნაკადმა. შესაძლო იყო, სადმე მიყრუებულ მთის ხეობაში დავშვებულიყავით... შეხედეთ, შეხედეთ! მთებშიც მოიღრუბლა, დროზე გამოვასწარით.

– აქ რა, ვითომ კარგ ადგილას მოვხვდით? – ეჭვით კითხულობს ბატონი მამამზე; ამ ბოლო დროს მახარეს შეხედულებებს სულ ასე უკირკიტებს.

– ბატონო მამამზე, წავიდეთ ჩრდილოეთით და თუ დიდი-დიდი ერთ-ორ საათში რკინიგზის ლიანდაგს არ მივადგეთ, თქვენი ხმალი და ჩემი კისერი! გზად ალბათ რომელიმე სოფელიც შეგვხვდება, – პურსაც ვიყიდით, რძეს, ხორცს, კვერცხებს, ხილს...

– ნერწყვი დამახრჩობს, აღარ შემიძლია! – წამოიძახა წათემ და მდინარეს მიაშურა.

დანარჩენი კაცებიც მდინარეში მუხლებამდე ჩადგნენ და პეშვებით გულმოდგინედ ისხამდნენ საკმაოდ გრილ წყალს თავზე, მკლავებზე, მკერდზე.

– ბიჭებო, – დაუძახა მამამზემ ბესიკსა და დათუნას, – მტკვარი ოხერია, ბევრი კარგი ვაჟკაცი დაუხრჩია, ფრთხილად იყავით, ნუ გაუთამამდებით – ცივია წყალი... გეყოფათ ახლა, ზედმეტი არ მოგივიდეთ, გამოდით მზეზე.

აძაგძაგებული ბიჭები ამოიჭრნენ ნაპირზე და თბილ ქვიშაზე წამოგორდნენ, მათ კაცებმაც მიბაძეს.

– ბედი არ გინდა? – სინანულით გააქნია თავი ბატონმა მამამზემ, – რაღა მარჯვენა ნაპირზე დავეშვით, ცოტაც და გასული ვიქნებოდით გაღმა.

– სულ რომ იძახოდით, ბედი გვწყალობს, ბედი გვწყალობსო, მაგის ბრალია, – საყვედურობს შეფ-პილოტს წათე.

– საკმარისად ვერ ვივარჯიშეთ წინდაწინ... – პასუხობს ბატონი მამამზე.

– აბა, ჯობდა, ცოტა იქით დავშვებულიყავით პირდაპირ მდინარეში? – ამბობს მახარე. – ბედმა ნაღდად გაგვიღიმა, თორემ ახლა მტკვარს უკვე გორში ვეყოლებოდით ჩაყვანილნი.

– რომელმა უწმინდურმა გაგვთვალა ავი თვალით და ამ უდაბურ ადგილზე დაგვსვა? – წუხს წათე. – იქნებ უვარგისი დღე იყო, ნაკლიანი? დღეს რა დღეა?

– დღეს კვირაა, ერთი კვირის წინ, დღეის სწორს დაიწყო ჩვენი მოგზაურობა, – პასუხობს მახარე.

– ახლა რაღა ვქნათ? – საკითხავი არ ელევა წათეს.

– გადავცუროთ მტკვარი, სხვა რაღა დაგვრჩენია! – გადაწყვიტა ბატონმა მამამზემ.

– მე რომ ცურვა არ ვიცი? – შეშინდა წათე.

– შენ? – წამით დაფიქრდა ბატონი მამამზე. – შენ გადაგიყვანთ როგორმე. ტვირთიც გადასატანი გვაქვს... ამისთვის პატარა ტივს შევაკოწიწებთ, დავაწყობთ ზედ ყველაფერს, დაგსვამთ შენც სულ წინ კოხტად...

– ტივით თქვენ გადაბრძანდით, ბატონო! – შეაწყვეტინა გულმოსულმა წათემ. – ცოცხალი თავით იმაზე ფეხს ვერ შევდგამ... რომ ამოტრიალდეს თქვენი ნახლაფორთები ტივი ან გაგექცეთ და წამიღოს წყალმა, ვინ იქნება მაშინ ჩემი მშველელი? შეხედეთ, რა ჩქარი მდინარეაა!

– ეჰ, წათე ბატონო, ველოსიპედისა და მოტორის მართვის მოწმობის მაგივრად, არ ჯობდა, ტივის მართვის მოწმობა გქონოდა? – ეხუმრება მახარე.

– მოგცლია შენც ერთი! – პასუხად უღრენს წათე.

– მაშინ აბა სამხრეთით წავიდეთ, რომელიმე სოფელში ამბავს გავიგებთ, საჭმელს ვიშოვით... – დაასკვნა ბოლოს ბატონმა მამამზემ.

რამდენადაც კაცებს შორის კარგა ხნით სიჩუმემ დაისადგურა, სწორედ დროა, რომ ბიჭების შთაბეჭდილებას მივაპყროთ ყურადღება: ახლა პირველად მიეცათ შესაძლებლობა, მათი უფროსი მეგობრების გარეგნობა თვალსაჩინოდ დაენახათ.

დიახ, ჩვენს გმირებს, ტანსაცმლიდან განძარცვის მიუხედავად, მართლაც გმირულ შეხედულებას აძლევდათ ერთი კვირის წვერი (ბატონ მამამზესი – ნახშირივით შავი, მახარესი – წაბლისფერი და წათესი კი – ქერა!); მზისგან დამწვარი ცხვირებისა და ლოყების ფონზე მკვეთრად გამოჩნდა კისრების, მკლავების და სხეულის დანარჩენი ნაწილების პირველყოფილი სითეთრე. გარდა ამისა, ბატონი მამამზე გამოირჩეოდა მართლაც რომ ვაჟკაცური, გრძელი გაფანჩული ულვაშებით და... მზეზე მხიარულად მბრწყინავი მელოტი თავით! მახარეს გარეგნობა ბიჭებისთვის ადრეც იყო ნაცნობი გიმნაზიიდან, ხოლო წათეს იერსახეში ისინი გააკვირვა ქერა წვერულვაშის მკვეთრმა გადასვლამ წითურ თმაში – თითქოს წათეს თავზე კაშკაშა კოცონი გიზგიზებდა!

საკმაოდ თბილოდა; გორაობდნენ ქვიშაზე, დიდხანს ეფიცხებოდნენ მზეს.

– არ მოგშივდათ, ბიჭებო? – იკითხა მახარემ.

– დათუნა, დრო ხომ არ დადგა, ჩავყოთ თათი შენს ორცხობილებიან ტომარაში? მიდი, მოარბენინე! – ბრძანა ბატონმა მამამზემ.

ტომარა სანახევროდ დაცარიელებული იყო.

– ეს ორცხობილა ორ-სამ ჭამაზე თუ გვეყოფა, მერე რაღა ვქნათ? – დაფიქრებულია ბატონი მამამზე. – უნდა სათითაოდ დავთვალოთ ორცხობილა და გავანაწილოთ რამდენიმე დღეზე, თითომ თავთავისი ულუფა უნდა მიიღოს თითო ჯერზე, ასე აჯობებს. სამაგიეროდ, მტკვრის წყალი სვით, რამდენიც გინდათ! მთლად გამჭვირვალეაო, ვერ იტყვი, მაგრამ გემრიელი კია!

– თოფი ხომ გვაქვს? – თვალები გაუბრწყინდა ბესიკს. – ვინადირებთ! კურდღელს მოვკლავთ და შევწვავთ!

– კიდევ – ირემს, შველს, გარეულ ღორს! – დაამატა დათუნამ.

– ზღაპრების მოყოლას, ჯობს, სოფელი მოვიძიოთ... იქნებ ორ ნაბიჯზეა და ჩვენ კი აქ ვწუწუნებთ, შეშინებულები. დუქანი იქნება და ყველაფერს ვიყიდით, – ბატონი მამამზე ტანსაცმელს იცვამს და ჩვეულ იერს იღებს, ოღონდ თბილ ქუდს აღარ იფხატავს თავზე.; შემდეგ თოფს გადაიკიდებს მხარზე: – წავალ, გავივლი-გამოვივლი, ქედნებს მოვკარი თვალი ჭალაში.

– ჩვენც წამოვალთ რა! – ეხვეწებიან დათუნა და ბესიკი.

– არა, არა, ბიჭებო, სანადიროდ ჯგროდ არ დადიან, – უარობს ბატონი მამამზე.

– თქვენ ცალკე გაისეირნეთ, იქნებ რაიმეს წააწყდეთ, საჭმელად რომ ივარგოს, – ეუბნება ბიჭებს მახარე.

– აქ რა იქნება? – დაეჭვებულია დათუნა.

– რა ვიცი – ასკილი, სოკო, ტყის ხილი... ეძიეთ და იპოვითო, ნათქვამია.

ნახევარ საათში ბატონი მამამზე დაბრუნდა, ძალიან შეწუხებული ჩანდა.

მახარე და წათე ისევ ქვიშაზე ნებივრობდნენ.

– გაიხარე, წათე, – კუნძულზე ვართ! – თოფის გასროლასავით მიახალა ბატონმა მამამზემ.

გაოგნებული წათე ფეხზე წამოხტა.

– აწი ერთი გზაღა დაგვრჩენია, – თქვა მახარემ, – ისევ საჰაერო ბურთს უნდა მივენდოთ, მაგრამ უაიროდ როგორ უნდა გავფრინდეთ? თან მხოლოდ ჰაერი გვექნება საგზლად...

– რა მაგარი ხუმარა ხარ! – წათეს სახეზე წითელი ლაქებიც კი გამოაჩნდა გაბრაზებისგან და საჩქაროდ დაიწყო ჩაცმა, თითქოს სადმე ძალიან აგვიანდებოდა. – ესე იგი, ვერც სამხრეთით წავალთ? თქვენ ხომ თქვით, იქითაც იქნება სოფელიო.

– ყოველი მხრიდან წყლით ვართ შემოსაზღვრული, ჩემო წათე, და მოგვიწევს აქ, კუნძულზე, ველოდოთ ჩვენს აღსასრულს – შიშით, შიმშილით ან წყალდიდობით... – გაამუქა ფერები ბატონმა მამამზემ; შემდეგ შენიშნა, რომ წათემ მეტისმეტად დაიჯერა მისი ნათქვამი და დაამა-

ტა: – არც ისეთი უსაშველოა ჩვენი მდგომარეობა, გამოსავალი ყოველთვის მოიძებნება. სხვა თუ არაფერი, შეიძლება, ერთ-ერთი ჩვენთაგანი გავიდეს გაღმა ნაპირზე – იქით ან აქეთ, სულერთია, – და სოფლიდან ნავიანი ვინმე მოიყვანოს საგანგებოდ ბატონ წათესთვის...

ამ დროს ბესიკი და დათუნაც გამოჩნდნენ.

– ჩვენ ვერაფერი ვნახეთ, თქვენ რა მოინადირეთ?

– ვერაფერი, ბიჭებო, – უპასუხა დათუნას ბატონმა მამაზემ. – ამ კუნძულზე ვერხვისა და მურყნის მეტი არაფერი იზრდება, ეტყობა, წყალდიდობას სხვა მცენარეულობა ვერ ეგუება. ქედნებისა თუ გარეული მტრედების გუნდი კი დავინახე ვერხვნარში, მაგრამ მარჯვენა ნაპირზე გადაფრინდნენ, ვერ მივყევი.

– აბა, ჩვენ რომელ ნაპირზე ვართ? – გაოცებით იკითხა ბესიკმა და მდინარისკენ მიიხედა.

– სწორედ ეგ არის უბედურება, რომ არცერთზე – კუნძულზე ვართ გამომწყვდეულები.

– მართლა? რა კარგია! – აღტაცება ვერ დამალა დათუნამ.

– რა არის, ბიჭო, კარგი? – შეუბღვირა წათემ.

– კუნძულზე ვართ! მარტონი ვართ, ჩვენია ეს კუნძული, ჩვენ გვეკუთვნის!

– მერე, ეგ გიხარია, შე უბედურო? სრულ ჭკუაზე ხარ? თუმცა... რომელი ხართ აქ ჭკვიანი... – ჩაიბურდღუნა წათემ და ჩაიქნია ხელი.

– ჩვენს კუნძულს სახელი აქვს? – სიხარული არ განელებია დათუნას.

– დათუნა-ჭკვიანის სახელი ჰქვია, – უპასუხა მახარემ.

– დათუნასი რატომ? – მაშინვე ჩაეძია ბესიკი.

– იმიტომ, რომ მას ყველაზე მეტად გაუხარდა აქ დაშვება... – მერე მახარემ ბატონ მამამზეს მიმართა: – ქედნები ბევრი ნახეთ?

– ბლომად. დიდი გუნდი იყო, თეთრ ღრუბელივით აფარფატდნენ ჰაერში, – უპასუხა ბატონმა მამამზემ.

– მერე, შორიდანვე გესროლათ, რამდენიმეს მაინც ჩამოაგდებდით.

– ტყუილად დავხარჯავდი წამალს: ქედანი შედარებით მაგარი აგებულების ფრინველია, მწყერს კი არ ჰგავს, წვრილი საფანტი ვერაფერს დააკლებს, თანაც – შორიდან ნასროლი. ახლოს არ მიგიშვებს, მეტისმეტად ფრთხილი ფრინველია.

– ქუდი უნდა დაგეხურათ, თქვენი მელოტის მზეზე ბრწყინვა ლომსაც დააფრთხობდა!.. – გაიცინა მახარემ, შემდეგ ნერწყვის ყლაპვით გააგრძელა: – უჰ, რა ქედნის ტაბაკას გადავურჩით! წათე, შენი მტრედებიდან რამდენიმე ფრთა მაინც გადაგენარჩუნებინა, ჰა? გემრიელად შევახრამუნებდით!

– ევრიკა! – წამოიძახა ამ დროს ბატონმა მამამზემ ისეთი ხაფი ხმით, რომ შორიახლო ჭალაკში დაბრუნებული ქედნები კვლავ ჰაერში აიჭრნენ. – წათე ბატონო, რას აჭმევდი იმ შენს ფოსტალიონ მტრედებს?

– ძირითადად ფეტვს ვუყრიდი და ხანდახან – რაც მოგვრჩებოდა ჭამის შემდეგ, ნაფხვენს... – წათე ვერ მიმხვდარიყო, რატომ დაინტერესდა ბატონი მამამზე ამ საკითხით.

– ბევრი დაგრჩა ეგ საკენკი? ხომ არ გადაგიყრია, ბალასტად ხომ არ გამოიყენე?

– ბალასტი... ბოდიში, საკენკი... ფეტვი ერთ ფუთამდე იქნება ალბათ.

– მერე, ეგ ფეტვი ჩვენ გვაწყენს, თუ იცი? – გახარებული აროხროხდა შეფ-პილოტი. – ერთი ქვაბიც გვაქვს... მიხვდი? აბა, ახლავე დავტრიალდეთ ყველანი, ფიჩხი მოვაგროვოთ!

დაფაცურდნენ, ფიჩხიც ბლომად მოზიდეს და ნარიყი ტოტები და მთელი ხეებიც კი, ხოლო ბესიკმა და დათუნამ ჭაპანწყვეტით მოაგორეს მოზრდილი მორიც.

– ყოჩაღ, ბიჭებო, ეგ მთელ ხარს ეყოფა მოსახარშად! – ისევ აროხროხდა ბატონი მამამზე.

– იქ კიდევ არის, უფრო დიდები! – გახარებულებმა მიუგეს ბიჭებმა.

– ეტყობა, გაზაფხულზე წყალდიდობისას არის მოტაცებული და აქ ხეებს შორის გარჩენილი, – ამბობს მახარე. – კუნძულზე რომ არის, იმან გადაარჩინა, ვერავინ აღმოაჩინა.

საგანგებოდ შერჩეულ ორ დიდ ქვას შორის დაყარეს ფიჩხი და ზედ წყლიანი ქვაბი შემოდგეს.

– რომელს გაქვთ ასანთი? – იკითხა ბატონმა მამამზემ და ბიჭებს მიუბრუნდა: – მეგობრებო, თქვენ თამბაქოს არ ეწევით?

ბესიკმა და დათუნამ ჩაიფხუკუნეს.

– რა გაცინებთ? ჩვენ არცერთი არ ვეწევით: ჰაერნაოსნებში მწეველებს არ აჩერებენ ან ფრენის დროს იკრძალება მოწევა. ასანთი კი ყოველი შემთხვევისთვის წამოღებული გვაქვს, წადით და მოძებნეთ, თუმცა ძნელი კი იქნება.

– არ შეიძლება, საქმე გავიიოლოთ? – თქვა მახარემ. – აგერ წათეს კულულები რისი მაქნისია, იქიდან მოვუკიდოთ.

ასანთის ძებნას თითქმის საღამომდე მოუნდნენ.

მერე, როცა კოცონი მხიარულად ატკაცუნდა, აბრიალდა, ყველანი ჩამოსხდნენ ბიჭების მიერ მოტანილ მორზე და ქვებზე და ალის თამაშს მიაჩერდნენ.

წათემ ფეტვიანი ტომარა მოიტანა, გახსნეს – რაღაც წვრილი, ყავისფერი და შავი თესლიც ერია ოქროსფერ ფეტვში, საჩქაროდ დაიწყეს მათი გადარჩევა, რომ დაბნელებამდე მოესწროთ.

მალე ათუხთუხდა ქვაბი, ჩაყარეს შიგ გარეცხილი ფეტვი, დროდადრო ურევდნენ და ნახევარ საათში ფაფა მზად იყო. ბოლოს მარილის დამატებაც არ დავიწყებიათ და შეფ-მზარეულად გარდაქმნილი შეფ-პილოტი, დიდი კოვზით შეიარაღებული, თეფშებზე ფაფის ჩამორიგებას შეუდგა.

– ამ გემრიელ ფაფას ცხელი სურნელოვანი ჩაიც დავაყოლოთ! ერთი კვირაა, სულ მშრალ ულუფას მივირთმევთ, ეს ორცხობილა ხომ ამოგვივიდა ყელში! – ბატონი მამამზე მარდად მუშაობდა კოვზით და მისი დიდი ულვაშები ასევე ცოცხლად მოძრაობდნენ ყბების ქნევასთან ერთად. დანარჩენი ჰაერნაოსნებიც არ ჩამორჩებოდნენ შეფ-პილოტს, თუმცა...

– შენ რას მოგვჩერებიხარ მოწმესავით, არ გშია? – ჰკითხა მახარემ დათუნას, რომელიც მოწყენილი იჯდა და ხელუხლებელი ფაფიანი თეფში გვერდზე გადაედგა. – ტყუილად მოიწყვიტე წელი შეშის თრევით?

– არ მინდა... – ზარმაცი კაცის იერით მიუგო დათუნამ.

– რატომ, კაცო, რას უწუნებ, გასინჯე, რა გემრიელია! არც დაღეჭვა უნდა!

– არ მინდა, – ისევ გაიმეორა დათუნამ.

– დაანებეთ თავი, მასწავლებელო, ეგ ისეთი ჯინიანია, ერთხელ თუ თქვა უარი, რომ გადაყვეთ, არასგზით გადათქვამს, – თქვა ბესიკმა, – ქვა და რკინაა!

– შემ ხომ რბილი ხარ ფაფასავით! – გაეპასუხა დათუნა.

ბესოს ხმა არ გაუცია, სად ეცალა პაექრობისთვის!

– კიდევ მინდა, დამიმატეთ!

სხვებიც მხოლოდ ამ სიტყვისთვის იცლიდნენ. რამდენიმე წუთში გამოასუფთავეს ქვაბი, ისე, რომ ფაფას წესიერად გაგრილებაც არ აცალეს; შემდეგ ტკბილ ჩაის ხვრეპდნენ დიდი ჭიქებით და მოთენთილნი, მხოლოდ კოცონისთვის შეშის დასამატებლად თუ გაატოკებდნენ ხელს.

კარი XIV. მე ახლა სად უნდა ვიყო?

ო!.. ახლა კი ფრიად მნიშვნელოვანი ამბავი უნდა გაუწყოთ და ახალ თავსაც ვიწყებ.

– მე ვვარაუდობდი, რომ ფაფა დილისთვისაც დაგვრჩებოდა, ბლომად გავაკეთე, – ამბობს ბატონი მამამზე. – ხომ დააბით ჯორი, ახლა რომელი ხართ მორიგე, ჭურჭელს ვინ დარეცხავს?

– მე დღიურში ჩაწერა უნდა მოვასწრო დაბინდებამდე, – ამბობს დათუნა.

– მეც დასაწერი მაქვს, – სქელი რვეული და ფანქარი ამოიღო წათემ.

– მტრედები აღარ გვყავს და მტკვარს ხომ არ გაატან შენს კორესპონდენციას? – ეკითხება მახარე.

– წიგნი უნდა დავწერო.

– რის შესახებ, შენს გმირულ თავგადასავალს აღწერ? ის არ გამოგრჩეს, იცოდე, ჯიბეებიდან რომ ყველაფერს ჰყრიდი შეშინებული და ის შენი ნაქები მოტორისა და ველოსიპედის მართვის მოწმობაც ვიღაცას სხვას უდევს ახლა ჯიბეში!

წათე არ პასუხობს, მახარე და ბესიკი აგროვებენ ჯამ-ჭურჭელს და კოვზებს. ძლივს მოძრაობენ, ისე გამოძღნენ ყველანი, რასაკვირველია, დათუნას გარდა; მისი ხელუხლებელი ფაფიანი თეფში გვერდზე უდევს.

– დაგვიანდა, თორემ შეიძლებოდა კარგი ბუდრუგანის ან ქოხის გაკეთება ღამის გასათევად, – ამბობს ბატონი მამამზე, – ანდა საჰაერო ბურთისგან მშვენიერი კარავი გამოვიდოდა. "გულადი მაწანწალა" ერთგულად გვემსახურა და არ არის ღირსი დაჭრისა, მაგრამ...

ბატონ მამამზეს აზრი აღარ დაუმთავრებია, რადგან... რადგან ამ დროს მოესმათ გახარებული წკმუტუნი!..

შავი ძაღლიც მალე გამოჩნდა – მურია!.. სულ ტანს იფერთხავდა, წყლის წინწკლები ბიჭებს შეეშხეფა – ხან დათუნასთან მივარდებოდა კუდის ქიცინით, ხან – ბესიკთან.

– ფუი, გაიწიე, ძაღლო, იქით! – აიმრიზა წათე.

ბიჭები ერთმანეთს არ აცლიდნენ მურიას ჩახუტებას, ის კი მხიარულად ყეფდა, კუდს აქიცინებდა და გრძნობათა სისავსისგან ხან ბიჭების წინ წაწვებოდა ზურგზე, ხან კოცონის გარშემო გადარეულივით დარბოდა.

– ეს ჩვენი ძაღლია, ჩვენი მურიაა! – თვალგაბრწყინებული დათუნას აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. – წამოყვანა გვინდოდა, მაგრამ შეგვეშინდა, ყეფა არ დაეწყო!

– საჭმელი ისედაც არ გვაქვს და ეგ ძაღლი გვაკლდა ახლა ჩვენ! – ბურდღუნებს წათე.

– წათე, ვერ ხედავ, ღმერთმა გადმოგვხედა მოწყალე თვალით, ნახე, რა პუტკუნა მურიკელაა; თუ გაგვიჭირდა, მშვენიერ მწვადებს ავაშიშხინებთ! – ამბობს მახარე.

– ან ერთიანად შევბრაწოთ! – კვერს უკრავს ბატონი მამამზე ღიმილით.

ბიჭებს მართალი ჰგონიათ, მურიას გადაეფარნენ.

– ნუ დაახრჩვეთ საბრალო, – ამბობს მახარე, – ვერ ხედავთ, სული ძლივს უდგას, ცარიელი ძვალი და ტყავია. ეტყობა, ჩვენზე დიდი გაჭირვება გამოიარა, სანამ აქამდე მოაღწევდა... ალბათ ჩვენი ბურთის ჩრდილს მოსდევდა თქვენი ერთგული მურია; საჰაერო ბურთმა გადაიარა

მთები, ხეობები, ველები და მურიამაც გადალახა ტყე-ღრეები, გადაცურა მდინარეები, გლიჯინ-გლიჯინით გაძვრა ბუჩქნარ-ჯაგიანებში და აგერ წამოგეწიათ... წათე, შენი კი არა, გმირი მურიას ამბავი უნდა აღწერო, ბევრად საინტერესო იქნება!

ბატონი მამამზე ისევ კეთილად იღიმება:

– არავინ დაიჯერებს ამ ძაღლის ამბავს, ზღაპარი ეგონება!

დათუნა თავის ფაფიან თეფშს უდგამს მურიას, რომელიც, მისი პატრონისგან განსხვავებით, დიდი თავპატიჟი არ დასჭირვებია, მაშინვე ეცა, თქლაფათქლუფით წამში გადასანსლა საჭმელი და თეფშიც ენით ისე მოლოკა-მოაკრიალა, გარეცხილზე უკეთესს დაამგვანა.

მალე სიბნელეც ჩამოწვა, აციმციმდნენ ვარსკვლავები, თვალებს მხიარულად ჭუტავდნენ – ალბათ მშიერ დათუნას დასცინოდნენ.

დათუნა კი მაინც ბედნიერი იყო.

– დათუნა, გულმა გიგრძნო, რომ მურია გვესტუმრებოდა და ამიტომ აღარ ჭამე ფაფა? – ეხუმრება მახარე.

კოცონს იმდენი გამხმარი ტოტი და ფიჩხი დააყარეს, რომ მაღლა ავარდნილი ალი ცას წვდებოდა – წყალდიდობისას გამონარიყი ტოტები და მთელი ხეებიც კი კუნძულზე ბლომად იყო, აგრეთვე – ნაძვის რამდენიმე მსხვილი მორიც.

– ვინ ღონიერმა ასწია ეს მორები და წყლიდან ამ სიშორეზე მოათრია? – კითხულობს დათუნა და ამაოდ ეჯაჯგურება კოცონთან ახლოს დაგდებული ერთი მორის ცალ ბოლოს, ვითომ ასწიოს უნდა, მაგრამ უშედეგოდ.

– დღეს ფაფა არ გიჭამია? – დასცინის მახარე. – აწევა კი არა, გადაგორება უნდა.

კარგი იყო გიზგიზა კოცონთან ჯდომა, მისი მოთამაშე ალისთვის თვალის გაშტერება, დინჯი საუბარი, ღამის იდუმალი ხმებისა და მდინარის უწყვეტი შრიალ-დუდუნის ყურისგდება... თუმც დაღლილები იყვნენ, ძილი არ ახსენდებოდათ; ჰყვებოდნენ ათასგვარ ამბებს, ფიქრობდნენ და ლაპარაკობდნენ უმთავრესად ორი რამის შესახებ: როგორ გამოივსონ კუჭი და როგორ გააღწიონ კუნძულიდან?

– მორიგეობა უნდა გავაგრძელოთ, – ამბობს ბატონი მამამზე. – რა ვიცით, იქნებ ძლიერი წვიმა მოვიდეს, წყლის დონემ უცებ აიწიოს მდინარეში და მძინარენი გაგვიტაცოს?..

– მართლა შეიძლება, დიდი წყალი მოვარდეს და კუნძული დაფაროს? – შეწუხებული ხმით იკითხა წათემ.

– ყველაფერია მოსალოდნელი, ჩემო წათე, – პასუხობს ბატონი მამამზე. – ჩვენ ყოველი შემთხვევისთვის გონდოლა ახლავე გადავიტანოთ შედარებით მომაღლო ადგილზე.

– დიდი წყალდიდობა უფრო გაზაფხულზეა მოსალოდნელი, – ამბობს მახარე.

კალათი ძირითადად ლერწმისგან იყო მოწნული, მაგრამ საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა და ტვირთის ნაწილის გადმოღება მოუწიათ, რომ თრევა-თრევით მდინარის ნაპირისგან საკმაოდ დაეცილებინათ. ოთხი კაცი მიათრევდა, დათუნა ჩირაღდნით მათ გზას უნათებდა და გზიდან ქვებს აცლიდა.

ძილი არ ეკარებოდათ და მალე ისევ კოცონთან მოიყარეს თავი.

– თქვენს დედ-მამას ჰგონია, რომ საჰაერო ბურთით გმირულად ლაშქრავთ საჰაერო სტიქიონს, თქვენ კი აქ ნაცარში იქექებით, – ეუბნება წათე ბიჭებს, რომლებიც კოცონს წკირებსა და ტოტებს დაუზარელად უმატებენ დროდადრო. – ახლა შინ უნდა ისხდეთ მაგიდასთან და გაკვეთილებს ამზადებდეთ.

– ან მურაბიან ცხელ ჩაის მიირთმევდეთ, – ამატებს მახარე.

– წათე, შენ ახლა ალბათ ლუდხანაში უნდა იყო და ახალ-ახალ ჭორებს ისმენდე შენი მეგაზეთე მეგობრებისგან, – ეუბნება ბატონი მამამზე. – მე კი, შენ ხარ ჩემი ბატონი, ახლა სად უნდა ვიყო? ვერაფრით მიხვდებით!

– ალპინისტებთან, სადღაც მთებში, მწვერვალის დასაპყრობად წასული, თოვლის თუ ყინულის გამოქვაბულში შეფარებული უნდა ძიგძიგებდე, – შენობით მიმართავს ბატონ მამამზეს მახარე.

– ზაფხული რომ იყოს, კიდევ ჰო, შესაძლებელია, მაგრამ ამჟამად არა.

– ერთ გემრიელ სუფრასთან "სიმპათიაში" ან "არარატში"! – ვარაუდობს წათე.

– იქნებ, იქნებ... მაგრამ არა, უფრო – არა, – ამჯერადაც უარობს ბატონი მამამზე.

– სათევზაოდ წასული! – წამოიყვირა დათუნამ.

– სათევზაოდ? სხვა დროს – კი, ბატონო, ახლა – არა.

– მაშ სად? – ვერ ითმენს ბესიკი.

– გამოიცანით! – უღიმის ბატონი მამამზე და კოცონის ალით განათებული მისი კბილები თეთრად გამოკრთა.

– ცირკში!.. – სეზონის გახსნაა, მე თვითონ ვნახე ჭიდაობის აფიშები, – ამბობს ბესიკი. – მოჭიდავეებს თქვენსავით ულვაშები ჰქონდათ დახატული.

– შე-ი-ძლე-ბა!.. – დამარცვლით წარმოსთქვამს ბატონი მამამზე. – ოღონდ არა მონაწილედ, რაღა დროს ჩემი ჭიდაობაა, არამედ – მაყურებლად... გვერდზე ვინ მეყოლება?

– ძმაკაცები, რაღა თქმა უნდა! – მაშინვე პასუხობს მახარე.

– შვილები! – სხვა ვარაუდს გამოთქვამს ბესიკი.

– ცოლ-შვილი რომ არ მყავს? – ისევ ეღიმება ბატონ მამამზეს.

– აბა ვინ? – ვეღარ ითმენს მახარე, – ვინმე უცნობი?

– ერთი ქალბატონი! – საზეიმოდ აცხადებს ბატონი მამამზე. – საკმაოდ კარგად ვიცნობთ ერთმანეთს და, გულახდილად რომ გითხრათ, ამ საოცარ ქალს უძღვის ლომის წილი იმაში, რომ მე ახლა აქ თქვენთან ვზივარ ამ კუნძულზე გარიყული, მშიერი და წინ რა მელის კიდევ, კაცმა არ იცის...

– ვიღაც ქალმა გაიძულათ, გაფრენილიყავით ცაში? – გაკვირვებულია მახარე. – რა ძალა აქვს ასეთი?

– ეეჰ, – ამოიოხრა ბატონმა მამამზემ, – სუსტი არსებანი ხშირად ისეთ ძალას ფლობენ... სიმართლე თუ გინდათ, სიყვარულს გავექეცი ცაში... მინდოდა, იმ ქალბატონისთვის დამემტკიცებინა, რომ ვარ... რომ რაღაცას...

– რომ ვაჟკაცი ბრძანდებით, შეუპოვარი, მტკიცე, საიმედო რაინდი! – წაეხმარა მახარე.

– ჰო, რაღაც მაგის მსგავსი... მას ვუძღვენი ამ გაფრენაში მონაწილეობა.

– შემახედა ერთი თქვენი გულის რჩეულისთვის! – ამბობს მახარე. – ალბათ ესწრებოდა "გულადი მაწანწალის" ცაში გაშვებას.

– მე სულ ვიყურებოდი, მოვიდოდა თუ არა, თვალებად ვიყავი ქცეული და სხვას ვერაფერს ვამჩნევდი. ცოტა აღრენილიც ვიყავი...

– ცოტა კი არა, კინაღამ შეგვჭამეთ, – ამბობს სიცილით წათე.

– ამას კიდევ აფრენის სიძნელეები დაერთო და თვალი ბოლომდე ვეღარ მივადევნე... – აგრძელებს ბატონი მამაზე, – მაინც ყველაფერი კეთილად დასრულდა.

– დასრულდა კი? – სარკაზმით კითხულობს წათე. – ვსხედვართ აგერ ცეცხლთან თბილად, ტკბილად ვმუსაიფობთ, თან ორცხობილას ვაკნატუნებთ... რამდენიმე დღეს უნდა გვეყოსო, რომ ბრძანეთ, ბატონო მამამზე, ტომარა უკვე თითქმის ცარიელია.

– არა უშავს რა, ფეტვი გვაქვს, შეგვიძლია, სოფელშიც გავიდეთ, შიმშილით არ დავიხოცებით.

– სულ ფაფა უნდა ვჭამოთ? – წამოიყვირა დათუნამ; ამჟამად მხოლოდ ის მიირთმევდა ორცხობილას.

– არა, შენთვის საგანგებოდ მოვამზადებთ ხინკლებს, ღვეზლებს და კიდევ რა გიყვარს? – პასუხობს წათე.

– რამ შეგაწუხა, ჩემო დათუნა, ყველანი ფაფით არ ვართ დაზრდილნი? – ღიმილით მიმართავს დათუნას ბატონი მამამზე, შემდეგ დინჯად აგრძელებს: – ჩვენს ქრონომეტრს თუ დავუჯერებთ, კარგა დრო გასულა... აბა, წამოვიშალოთ, დროულად დავიძინოთ, გუმანით ვგრძნობ, რომ ხვალ რაღაც კარგი, მოულოდნელი ამბავი გველის, გემრიელი საჭმელებიც!.. წადით ყველანი, მე კოცონთან ვრჩები, შუაღამემდე ვარ მორიგე. ჭურჭელსაც მე მოვუვლი.

კარი XV. გამარჯობა თქვენი!

დილით ასეთი სურათი იხილეს: დაბლა ჩამოწეული, სქელი ღრუბლები ზანტად იზმორეებოდნენ ცაზე; აშკარად ჩანდა, რომ დედამიწაზე წვიმით თავდასხმისთვის ემზადებოდნენ.

ბატონმა მამამზემ ისევ ფეტვის ფაფა მოხარშა. ამჯერად გუშინდელივით ეშხით აღარ შეუტიეს ფაფას, მხოლოდ დათუნა გამოირჩეოდა, გამგელებული ებდღვნა და წუთში შესანსლა, მურიასაც კი დაასწრო. "იფ, რა გემრიელია!" – იძახდა გულში.

სხვათა შორის, ფაფა ექვს ტოლ ნაწილად გაიყო; შეფ-პილოტმა საზეიმოდ გამოაცხადა:

– რამდენადაც მურია ჩვენი მოგზაურთა ჯგუფის სრულუფლებიანი წევრი გახდა, ვაცხადებ, რომ ეკუთვნის ერთი კაცის ულუფა ყოველგვარი საჭმელი, რაც კი მისი ჯიშისა და ჯილაგისთვის შესარგოა!

– რა მოვალეობა აკისრია ჩვენი საზოგადოების ახალ წევრს? – იკითხა მახარემ.

– ჩვენი დაცვა; ავი სულების დაფრთხობა, განსაკუთრებით – ღამღამობით; ჩვენი გართობა და კარგი გუნება-განწყობილების შექმნა, როცა ღამე მარტო ვრჩებით მორიგეობისას... დანარჩენი მურიას ჰკითხეთ, მან უკეთ იცის. სანადიროდ თუ ვარგა, არ ვიცი, უჯიშო უნდა ბრძანდებოდეს.

– მე მგონი, ჩვენი მურია მალე მოფერიანდება, მოსუქდება. სხვებისა ვერაფერს მოგახსენებთ და თუ შუადღეზე ისევ ფაფის ჭამა მომიწია, ჩემს წილს მურიას ვუძღვნი, – ამბობს მახარე.

– რა საჭმელია ეს? დაბმული ღორიც არ ჭამს, – მხარს უჭერს წათე.

– რა ვიცი, კარგად კი მოაკრიალეთ გუშინ თქვენი თეფშები, – პასუხობს ბატონი მამამზე. – იცოცხლე, შემწვარ-მოხრაკულები არ გვაწყენდა. თუ თქვენ სხვა რამის მშოვნელები ხართ, დიდი სიამოვნებით გეახლებით მეც.

– ერთ კარგ ჩახოხბილს მივირთმევდი ახლა, – ამცნო მეგობრებს მახარემ, – ანდა შემწვარ ვარიას ტყემლის საწებლით... ან, ჯანდაბას, თუნდაც კახური ხაშლამა იყოს, არ დავიწუ-

ნებდი – მსხვილ-მსხვილ ნაჭრებად დაჭრილს, მარილმოყრილს, მსუყე ოხშივარი რომ ასდის... ზედ კახურსაც თუ დავაყოლებ...

– შენ სადაური ბრძანდები, ბიძიკო? – ეკითხება მახარეს ბატონი მამამზე. – პირის გემო არა გცოდნია, მწვადი მაინც გენატრა. თუ ნატვრაა, ნატვრა იყოს: ერთი ბარაქიანი ინდაურის საცივი, იმერული ხაჭაპური და ღვინო, სადაურიც გინდა იყოს...

– ნუ გადამრიეთ! სარგებლობთ იმით, რომ გაქცევა არსაით შემიძლია? – წუწუნებს წათე. – თითქოს სხვა გასაჭირი გვაკლია, ახლა ნერწყვის ყლაპვით მომკლათ უნდა... ჩემდათავად, გემრიელად შემზადებულ ლოქოს არ დავიწუნებდი...

– შეხედეთ, რამდენი ღრმა ადგილებია, აქ ჭანარიც იქნება და ლოქოც, ჩქერებზე სხვა თევზსაც დაიჭერ, – ამბობს ბატონი მამამზე.

– სხვა რომელია? – გამოცოცხლდა წათე, ეტყობა თევზეულობის დიდი მოყვარულია.

– კაპუეტი, ნაფოტა, ლურჯი, მურწა, გოჭა... შესაძლოა, ორაგულიც შეგხვდეს და ზოგი სხვაც... ქაშაპი, ფიჩხული, თართი, წვერა...

– ამდენნაირი თევზით ვართ გარშემორტყმულნი და ჩიტების საკენკით გინდათ მომიღოთ ბოლო?

– როგორ ყველა შენს მოსაკლავად იცლის, წათე ბატონო, – იცინის ბატონი მამამზე. – ეგ ფეტვი შენი წამოღებული ხომ არის? მადლობელი გახლავართ, ნეტავ კიდევ ერთი ფუთი გვქონდეს... საკვირველია, სწორედ საკვირველი: შენისთანა თევზის მოყვარულმა კაცმა ცურვა როგორ ვერ ისწავლე? აგერაა მტკვარი, არსაით გაქცევას არ აპირებს, ჰოდა, დაიჭირე, ჭირიმე, რომელი თევზიც გაგიხარდება და გინდ ნიორწყალში ჩააწყვე, გინდ ნიგვზით და სხვა რამერუმით შეკმაზე და გინდ უბრალოდ მოხარშე – მე წილში არ ჩაგიდგები! დაყვინთე, ჩემო წათე, დაერიე თევზებს და ამასობაში ცურვასაც ისწავლი. მანამდე კი წარმოიდგინე, ვითომ ფაფას თან ატან იმ შენს ნუგბარ საჭმელებს!

– მასე გაუჭირდება ცურვის სწავლა, ჯობს, ამ ჩვენმა ყოჩაღმა ბიჭებმა ასწავლონ, მზად ხართ, ბესიკ და დათუნა? – ამბობს მახარე.

– მურიამაც იცის კარგი ცურვა! – ამატებს დათუნა.

საუზმის შემდეგ ბატონი მამამზე გადაიკიდებს თოფს მხარზე და სანამ წავიდოდეს, იბარებს:

– ამ დილით მე მოგემსახურეთ, ბატონებო, ახლა სანადიროდ გავწევ, ფეხს გავმართავ, იქნებ სადილად ქედნის ტაბაკა მოვახერხო. თქვენ კი მიხედეთ აქაურობას: თეფშები დარეცხეთ, კარავი გამართეთ, ხომ ხედავთ, გაწვიმებას აპირებს. წათე, ვახშმად შენს დაჭერილ თევზს მოვამზადებ ჩემი ხელით, მდოვრე ადგილი ამოარჩიე, იქ უფრო დიდი თევზი იცის... აბა შენ იცი!

დარჩენილნი ერთხანს აქეთ-იქით დაბორიალობდნენ. საკმაოდ დიდი კუნძული აღმოჩნდა, ქვიშიან-სილიანი და ალაგ-ალაგ ნიადაგიც კი წარმოშობილა შედარებით ამაღლებულ ადგილებში, სადაც ბუჩქნარი და ხეები ხარობდა; პატარა მწვანე მდელოებზე მაღალი ბალახი ამოსულა, შემოდგომის ყვავილები ჰყვაოდა.

წათე და ბესიკი საჰაერო ბურთთან ტრიალებდნენ. მისი დაჩუტული გარსი ვერხვის ახალგაზრდა ამონაყარზე იყო მიფენილი. წათემ დანა ამოიღო...

– აუჰ, დანა როგორ უნდა დავუსვათ? – დაიღმიჭა ბესიკი. – ბურთი ჩვენი ერთგული მეგობარი იყო...

– რა ვქნათ, იგი სიკვდილის შემდეგაც მოგვემსახურება.

სანამ წათე და ბესიკი ბურთის გარსისგან, ბადისა და თოკებისგან კარავს აკოწიწებდნენ, მახარე და დათუნა თევზის საჭერი გოდორყურის მოწვნით იყვნენ დაკავებულნი. მურიაც შეძლებისდაგვარად შრომობდა: ხან ბესიკთან წრიალებდა, ხან დათუნასკენ გარბოდა კუდის მხიარული ქნევით, შემდეგ ისევ ბესიკისკენ მიჰქროდა.

შუადღეს გადასცილდა, როდესაც ბესიკი დაადგა თავს მომავალ მეთევზეებს:

– აბა, როგორია გოდორყური?

– აგერაა და შეხედე, – უპასუხა მახარემ, შემდეგ ახსნას შეუდგა: – ჯერ გოდორი გავაკეთეთ, ერთ თავში ძაბრივით აქვს დატანებული, თევზი შევა შიგ და უკან ვეღარ გამოვა; მეორე, ვიწრო ბოლოს ნოშოთი გამოვტენით, იქიდან გამოვიყვანთ თევზს.

– მე გამომაყვანინეთ, რა! – შეეხვეწა ბესიკი.

ამ დროს უცხო შეძახილები მოესმათ:

– ჰეი-ჰეი!..

გაიხედეს და რას ხედავენ: ჯერ ერთმა გრძელმა ტივმა ჩაიარა, ცოტა ხანში – მეორემაც; ერთზეც და მეორეზეც ორ-ორი კაცი იდგა, – მეწინავე და მობოლოვე, – რომლებიც მარდად უსვამდნენ ორთაყვირებს, რადგან ამ ადგილას ტოტზე პატარა მოსახვევი იყო და წყალიც აჩქარებული მიედინებოდა.

ყველანი ნაპირთან მიცვივდნენ, მოჰყვნენ ხელების ქნევას და ყვირილს, მაგრამ ტივებმა უკვე ჩაიქროლეს და, ეტყობა, მეტივეებიც მეტად ჩქარობდნენ, ნაპირთან მიდგომა არ უფიქრიათ, თუმცა ცოტა ქვევით საამისოდ მოსახერხებელი მდოვრე ადგილი გამოიძებნებოდა.

კაცებიცა და ბიჭებიც გულდაწყვეტილნი გაბრუნდნენ და დაინახეს მათ უკან მდგომი ბატონი მამამზე.

– დაღამებამდე უნდათ, გორში ჩააღწიონ, – თქვა მახარემ. – შესაძლოა, იქაც არ გაჩერდნენ. არა, ვტყუი, ღამე გზას არ გააგრძელებენ.

– შეჩერებულიყვნენ აქ, დიდი ამბავი იქნებოდა? – ბუზღუნებს წათე.

– მერე, მოგეხადა ქუდი სასწრაფოდ და შენს ცეცხლისფერ კულულებს რომ დაინახავდნენ, შენს სურვილს უეჭველად შეასრულებდნენ! – ეუბნება მახარე.

– გაიხედე იქით, – წათეს დასავლეთით მიუთითა ბატონმა მამამზემ, – ხედავ, რა სქელი ნისლი გვიახლოვდება? ღრუბლები სადღა წავიდნენ?

საოცრება ის იყო, რომ ნისლს ზევით ცა მოკრიალებული იყო, ნისლი დაბლა-დაბლა მოღოღავდა-მოიპარებოდა, სინამდვილეში კი საკმაოდ სწრაფად უახლოვდებოდა მათ.

– ყოჩაღ, კარგი გოდორყური მოგიწნავთ, – შეაქო ოსტატები ბატონმა მამამზემ. – ეს მასალა სად იშოვეთ?

– გონდოლის ლერწამი გამოვიყენეთ, – უპასუხა მახარემ, – აქედან გამფრენები მაინც აღარ ვართ და არც – გონდოლის წამღებნი.

– ერთი დაგექუხებინა ეგ თოფი დროზე, იქნებ მოესწროთ და გაჩერებულიყვნენ ის მეტივეები? – თქვა წათემ.

– ჩვენთვის არ სცხელოდათ... მეტივეები რას გვიშველიდნენ?

– საჭმელი ექნებოდათ რამე...

– დროზე ჩავდგათ ეს გოდორყური და დილას ვნახავთ, რა ბედი გვეწევა.

– დილამდე უნდა ვიცადოთ? – გულდაწყვეტილია წათე. – საღამოს ისევ ფაფა უნდა ვთქვლიფოთ?

– შესაძლოა, ეგეც სანატრელი გაგიხდეს, თუ დროზე არ მოვაგროვებთ ფიჩხს. ისეთი უბედური ბურუსი ჩამოწვება, ორ ნაბიჯზე ვეღარაფერს დაინახავ, – ეუბნება ბატონი მამამზე. – აბა, კაცები დავტრიალდეთ, სასწრაფოდ შეშა მოვიმარაგოთ და კოცონი გავაჩაღოთ! შორს არ წახვიდეთ, ბურუსმა არ მოგისწროთ...

– კოცონი წყალთან დავანთოთ, – სთავაზობს მახარე მოულოდნელ მოსაზრებას, – ღამე სინათლეზე თევზები აიღებენ გეზს და ჩვენს მახეში კი მოხვდებიან.

შედარებით მდოვრე, ღრმა ყურე მოძებნეს, ნაპირზე გოდორყურში რამდენიმე რიყის ქვა ჩადეს, მის კედელზე შიგნიდან წვრილი თოკით მიაბეს წინდაწინ საგანგებოდ ცეცხლზე შეტრუსული უკანასკნელი ორი ორცხობილის ნაჭრები; შემდეგ ბიჭებმა გოდორყური ყურეში ჩაძირეს და ამიგმიგებულნი ნაპირზე გამოვიდნენ. მაშინვე აგიზგიზდა კოცონი ბიჭების გასათბობად და გასაშრობად, ამასობაში ბურუსში გაეხვია გარემო და ნესტიანი სიცივე გამეფდა ირგვლივ. ეფიცხებოდნენ ჩვენი გმირები მაცოცხლებელ სითბოს, ბატონი მამამზე ისევ ფაფის მომზადებით იყო დაკავებული, მურია კი იქვე გაწოლილიყო, თათებზე დაედო თავი და მბრწყინავ შავ თვალებს, რომლებშიც მოცეკვავე ალი ირეკლებოდა, მოთუხთუხე ქვაბს არ აშორებდა.

– მაგ ფეტვით დილა-საღამოს ვიტენით ჩიჩახვს და არ შეიძლება, მტრედებად გადავიქცეთ? – ამბობს მახარე. – ხელად გავფრინდებოდით, საითაც გვინდა.

– ხანდახან რა უცნაური აზრები მომდის თავში, – ეხმიანება წათე. – აგერ ქორია თუ ძერა დილიდან რომ დაგვტრიალებდა თავზევით, შენ, სამყაროს მეფეს, ადამიანს, რატომ არ შეგიძლია, ასევე გაფრინდე, გაინავარდო? ბუზი რომ დაგბზუის ან ახლა გულს რომ გიწყალებს რაღაც ქინქლა, ძლივს რომ ჩანს, სისხლს გწოვს, ისიც კი გჯობნის ამაში, – შეუძლია, თავისუფლად გადაფრინდეს მეორე ნაპირზე.

– წათე ბატონო, შენ რომ დროულად გესწავლა ცურვა, ეგეთი ფილოსოფიური იდეები აღარ შეგაწუხებდა. ახლა ყველანი ვისხდებოდით თბილად და ტკბილად სადმე ჭერქვეშ, გაშლილ სუფრასთან, და ჰარიჰარალეს დავძახებდით... – მახარეს ხმაში იგრძნობა სინანულიც და ოდნავი დაცინვაც – ერთად.

მხარზე თოფგადაკიდებული ბატონი მამამზე კოცონთან მიმოდის, წათე ერთხანს ადევნებს თვალს მის სიარულს, შემდეგ მიმართავს:

– ეგ თოფი მაინც ისროლე, იქნებ ვინმემ გაიგონოს და გვიშველოს!

– მეტი არაა ჩემი მტერი, – დინჯად პასუხობს ბატონი მამამზე და თოფს მხრიდან ჩამოიღებს, – მაგრამ შენი ხათრით მაინც დავაქუხებ.

ბესიკი და დათუნა მყისვე წამოხტნენ შეძახილებით:

– მე მასროლინე!..

– მე ვისვრი რა!..

– პირველმა მე ვთქვი!

– არა, მე!

– კარგი, ბატონო, გასროლინებთ, – დაეთანხმა ბიჭებს ბატონი მამამზე, – მაგრამ ჯერ კოცონი კარგად გავაჩაღოთ, ვინიცობაა, მართლაც გამოჩნდა ჩვენი მშველელი, სად გვეძებოს ამ ბურუსში? დასაწვავი თითქმის აღარაფერი დარჩენილა, ხომ გითხარით, შეშა ბლომად მოაგროვეთ-მეთქი, რატომ არ შეასრულეთ ბრძანება? გადაჰყევით კარვის და გოდორყურის კეთებას...

– წავალთ, მოვძებნით...

– ასეთ ბურუსში?

– კალათის ლერწამი დარჩა ბლომად, – ამბობს მახარე, – უკეთესი საწვავი რაღა გინდა, ალი ანგელოზებსაც მისწვდება და შეუტრუსავს ფრთებს.

ბატონ მამამზეს გარდა ყველანი კალათის ნარჩენების მოსატანად გაეშურნენ, მერე ბღუჯა-ბღუჯა ჰყრიდნენ ლერწამს კოცონში და მალე ისეთი მხურვალე ალი ავარდა, რომ მოუწიათ საკმაოდ უკან დაწევა, თუ არ უნდოდათ, საახალწლო გოჭებივით შებრაწულიყვნენ. ბესიკი და დათუნა ბატონ მამამზესთან წრიალებდნენ, თქმით კი ვერაფერს უბედავდნენ. იმანაც ვეღარ აიტანა ბიჭების მუდარით აღსავსე თვალების მზერა, ჯერ ბესიკს გაასროლინა, შემდეგ კი დათუნასაც გადასცა თოფი:

– აჰა, შე ფაფაჭამიავ! თვალებს ხომ არ დახუჭავ?

არ გასულა რამდენიმე წუთი მეორე ბათქიდან, რომ გაიგონეს ორი კაცის გაბმული ძახილი:

– ჰეი-ჰეი-ი!.. ჰეი-ჰეი-ი!..

– ის მეტივეები ხომ არ დაბრუნდნენ? – იკითხა წათემ.

ამ გულუბრყვილო კითხვას არავინ უპასუხა. წყლისპირას მივიდნენ და მალე ბურუსიდან გამოინაკვთა ტივი და ორთაყვირებით მარდად მომსმელი ორი კაცი მასზე.

ტივი ნაპირთან მოაცურეს, ერთი მეტივე მარდად გადმოხტა მუხლამდე წყალში, თან თოკი გადმოიყოლა.

– გამარჯობა თქვენი! – მშრალზე გამოსული მიესალმა მოგზაურებს და სირბილით გასწია ნაპირის გასწვრივ თოკის მისაბმელი ხის მოსაძებნად.

მალე ტივი საიმედოდ იყო დამაგრებული, მეტივეები კი ცეცხლს ეფიცხებოდნენ და თავიანთ ამბავს ჰყვებოდნენ. შუახნის ძმები იყვნენ, ერთს გოლა ერქვა, მეორეს – გუცა.

– შეგვაგვიანდა დღესა, კამეჩები გვიან მოვიდნენ ტივის წყალში ჩასატანად, – ჰყვებოდა უფროსო ძმა გოლა. – მერე უცებ ბურუსში მოვხვდით, გაჩერება გადავწყვიტეთ და თქვენმა კოცონმა გვიშველა, მდოვრე ადგილას მოვხვდით, კარგ ადგილასა...

– თოფის სროლის ხმა? – აწყვეტინებს ბესიკი.

– ჰო, ეგეცა... თქვენ რაღამ მოგიყვანათ აქა?

ბატონი მამამზე დაწვრილებით უამბობს ძმებს ჰაერნაოსნების მოგზაურობის ამბავს. მეტივეები ტფილის-ქალაქში ხშირად დადიან, ხალხში გამოსულები ეთქმით, მაგრამ მაინც ვერ ფარავენ გაკვირვებას და მონათხრობისადმი ერთგვარ უნდობლობასაც კი გამოხატავენ...

– ჯერ – ჯაფა, მერე – ფაფა! – გამოაცხადა ბატონმა მამამზემ.

სტუმრებმა დიდის სიამოვნებით ჩამოართვეს ბატონ მამამზეს შეთავაზებული ცხელი ფაფით სავსე თეფშები, თვითონ კი აბგებიდან ამოალაგეს ხმიადები, ყველი და ნიორის კბილები. ფაფის მირთმევის შემდეგ მეტივეები ნეტარებით ხვრეპდნენ ცხელ ჩაის, ატანდნენ კვნიტ შაქარს და გაკვირვებით უყურებდნენ, როგორ დაესივნენ ჰაერნაოსნები მათ უკვე გაქვავებულ ხმიადებს...

– ღვინოზე კი ცოტა უკაცრავადა ვართ... – მოუბოდიშა სტუმრებს ბატონმა მამამზემ.

– თავკვერი ან ჩინური ახლა კარგად მოგვფხანდა გულებსა, მაგრამა, შენი ჭირიმე, არც ჩაი გახლავთ ნაკლები, – უკვე მესამე ჭიქას სვამდა გოლა. – ჩვენა, შენი ჭირიმე, ავადმყოფის მოსარჩენადა ვხმარობთ ხოლმე ჩაისა, თუ ვიშოვით.

– რა ადგილას ვართ ახლა, ალბათ გეცოდინებათ, – ჰკითხა ძმებს შეფ-პილოტმა.

– ამა მტკვარზედა ყოველი მოსახვევი ვიცით, შენი ჭირიმე, რამდენი წელია, ტივებს ვაცურებთ... ეს კუნძული უნდა იყოს. აქ რამდენიმე ასეთი ადგილია, დიდი კუნძულებიც არის, უფრო პატარებიცა, – პასუხობს გოლა.

– ჰოდა, აი ეს ჩვენი კუნძული რომელ სოფელთანაა ახლოს?

– აი აქეთ, ზემო მხარეს, მარჯვენა ნაპირზე თაგვეთია... – დაიწყო გოლამ, მაგრამ შეჩერდა, რადგან ბიჭებმა ჩაიფხუკუნეს და უფროსებმაც ღიმილი ვერ შეიკავეს.

– იქითა, ქვევით, ხცისია, მერე – წრომი, კეხიჯვარი, ქარელი...

– მარცხენა ნაპირზე? – იკითხა მახარემ.

– მარცხნივა?.. ცხრამუხა, მერე, მოშორებითა – გომი... ბებნისი, ურბნისი და ეგრევე – გორია.

– რკინიგზამდე აქედან შორია?

– რატო არი შორი, ერთ საათში მიხვალ.

შემდეგ საუბარში ბატონი მამამზე ჩაერთო და დიდხანს ბჭობდნენ, რა გზას დასდგომოდნენ ხვალ.

წათეს რკინიგზით შინ დაბრუნება ერჩივნა, დანარჩენები კი...

– წაგვიყვანთ ქალაქამდე? კიდევ ხუთ კაცს ზიდავს ტივი? – ჰკითხა ძმებს ბატონმა მამამზემ.

– მა არ ზიდავს? – გაუკვირდა გოლას. – ოცი მორია, თითო სისქითა ნახევარ მეტრამდეა, სიგრძითა – ათ მეტრამდე... თქვენცა გზიდავთ და თქვენს მურიასაც... ვიმგზავრებთ მხიარულათა.

– საიდან მიხვდით, რომ მურია ჰქვია? – გაუხარდა დათუნას.

– მა თოლია ერქმეოდა? გამურულ პირზე კი არ აწერია? – გაეღიმა გოლას.

– თუ მოგზაურობაა, მოგზაურობა იყოს! – დაასკვნა ბატონმა მამამზემ. – წათე, შენ შეგიძლია, რკინიგზითაც წახვიდე, მაგრამ წარმოიდგინე, რამდენი საინტერესო ფურცელი დააკლდება შენს მომავალ წიგნს? ხვალამდე ფიქრის დრო გაქვს...

კარი XVI. ეს ჩემი მდგომარეობა არ აღნიშნოთ დღიურში...

სისხამ დილით, სანამ ბატონი მამამზე ფაფას მოხარშავდა, ნისლიც აიკრიფა და, სახელდახელოდ წასაუზმების შემდეგ, მდინარეზე ტივით მგზავრობის თადარიგს შეუდგნენ.

უპირველესად ბესიკმა და დათუნამ თევზის საჭერი გოდორყური ამოათრიეს ნაპირზე. სამწუხაროდ, შიგ ვერაფერი აღმოაჩნეს – გაცრუებული იმედის გარდა.

კარავი დაკეცეს და დააგეს ტივის მორებზე – საჰაერო ბურთის გარსის ნარჩენებთან ერთად.

– რამსიმძიმე ყოფილა, ამან როგორ გვზიდა ჰაერში? – უკვირდათ ბესიკსა და დათუნას.

შემდეგ ტივზე გადაიტანეს მცირე ტვირთი, თუკი რამ შერჩათ: ტანსაცმელი, ჭურჭელი, ხელსაწყოები და სხვა.

დადგა დრო, რომ ადგილიდან დაძრულიყვნენ...

ყველანი ტივზე გადავიდნენ, გუცას გარდა.

– წათე სადღაა? – იკითხა ბატონმა მამამზემ. – ხომ არ გაგვეპარა?

– ამ კუნძულზე აპირებს დარჩენას, – უპასუხა მახარემ. – ალბათ ეწყინა, რომ კუნძულს დათუნას სახელი დავანათლეთ, ახლა უნდა, აქ გაატაროს სიცოცხლის დარჩენილი წლები და ხალხი მის ბოლო საყუდელს წათეს სახელს დაარქმევს.

დაკარგული რომ გამოჩნდა, ჰაერნაოსნებმა პირი დააღეს – წათე უზარმაზარ გამხმარ ხეს ქოშინით მოათრევდა.

– წათე, ეგ ხე თბილისში მოგაქვს? – სიცილი ვერ შეიკავა მახარემ. – შეხედე, რამხელა ტივია: ოცი მორია, არ გეყოფა? თუკი აქ დარჩენას ფიქრობ, მაშინ ეგ შეშა ნამდვილად გამოგადგება.

– მიდი, წათე, ნუ გეშინია, გადააჯექი მაგ შენს ხეს ცხენივით და მტკვარი სულ ჭენებ-ჭენებით ჩაგიყვანს თბილისში! – ახარხარდა ბატონი მამამზეც.

– არა უშავს რა, – უხერხული მდგომარეობიდან გამოიყვანა წათე გუცამ, – დავჩეხოთ და თან წავიღოთ. თუ აცივდა, ტივზეც შეიძლება ცეცხლი დანთება. ხანძრის ფიქრი ნუ გექნებათ, ქვეშ თუნუქის ნაჭერს დავუფენთ. გოლა, აბა ერთი ცული მომაწოდე!

მოკლე ხანში გუცამ აუშვა ხიდან თოკი, რომლითაც ტივი დაბმული იყო, გოლამ მოიმარჯვა კარგა დიდი კეტი ნაპირიდან ტივის დაძვრისთვის, წათე კი ისევ ნაპირზე იდგა.

– წათე, დროზე გადმოდი, კაცო! – შეუძახა ბატონმა მამამზემ. – ცოტა თუ ფეხი დაგისველდება, ეგ არაფერი.

– ჰეი-ჰეი!.. – შესძახეს მეტივეებმაც.

წათე ისევ სარგადაყლაპულივით გაშეშებულიყო ერთ ადგილზე.

– უმძრახათ რათა ხარ, კაცო, ხმა გაგვეც! – გუცამ მკლავზე შეახო ხელი წათეს.

– ხომ არ დაიძირება? – ეკითხება წათე.

– აგე, იმოდენა ხალხი დგა ზედა, ერთი შენ აკლიხარ და მაშინ კი ნამდვილად წყალი წაგვიღებს!

– რაც გინდა მოგვიდეს, მტკვარი მაინც ქალაქში ჩაგიტანს! იქ არ მოდიხარ შენცა? – "ამხნევებს" მახარე.

– კაცო, მურია თავისი ფეხით ამოხტა აქა და შენ რაღა დაგემართა! – გაბრაზება გაერია ხმაში ბატონ მამამზეს. – ძაღლმა უნდა გაჯობოს? თუ არ მოდიხარ, ბატონი ბრძანდები, თქვი და დაგტოვებთ აქა!

ამ მუქარამ გაჭრა თუ მეტივეებისა შერცხვა, ცოტაოდენი ჭოჭმანის შემდეგ წათემ ფეხთ გიხადა, წინდებიც გაიძრო და წყალში გამოტოპა ტივამდე.

გუცა ხელებით მიაწვა ტივს, გოლაც კეტით დაეხმარა და ტივი ნელ-ნელა მდინარის ტალღებში შეცურდა.

მეტივე ძმებმა ორთოყვირები მოუსვეს – გოლა მეწინავე იყო, გუცა – მებოლოვე; ტივი აქანავდა, ნაპირები ამოძრავდნენ. ჰაერნაოსნები გახალისდნენ, სულიან-ხორციანად მიეცნენ ახალ, უჩვეულო მდგომარეობას – გაახსენდათ ჰიპოდრომიდან "გულადი მაწანწალის" აფრენის პირველი წუთები...

იწყებოდა ახალი მოგზაურობა.

კარგი იყო ფეხზე დგომა – ტივი თითქოს ცოცხალივით სუნთქავდა; ხან მდინარის ტალღებზე ადიოდ-ჩადიოდა, ათამაშდებოდა ჩქერებზე თავნება რაშივით და ფრთხილად უნდა ყოფილიყავი, რომ შემოდგაფუნებული წყლისგან ფეხი არ დაგსველებოდა; ხან ნელა ირწეოდა მდოვ-

რე ადგილებში... მიუჩვეველ ჰაერნაოსნებს დასხდომა უწევდათ და ასეც კარგი იყო, აგრეთვე – დაწოლაც კი: ცას შესცქეროდი, თითო-ოროლა თეთრი ღრუბელი გაწოლილიყო ლურჯ ცაზე და ისინიც მოგზაურობდნენ, მწვანე ნაპირებსაც ფეხი აედგათ და მიილტვოდნენ უკან-უკან...

ბესიკმა და დათუნამ ყოველნაირი მდგომარეობა მოსინჯეს, გემო გაუსინჯეს; წათესთანაც დასხდნენ ჭოლოკთან, მეტივეებთანაც მივიდნენ და აკვირდებოდნენ, როგორ მარჯვედ, ჩვეულად, შეთანხმებულად უსვამდნენ ორთაყვირებს ძმები: ხან – ძლიერ, ხანაც – ოდნავ; ხან – ორივე, ზოგჯერ – მხოლოდ ერთი; დროდადრო მდინარის სწორ და მდოვრე მონაკვეთებზე უქმადაც იდგნენ, მაგრამ მაინც ფხიზლად იყვნენ, რადგან ერთი შეხედვით უსაფრთხო ადგილას, შესაძლოა, წყალმარჩხ მონაკვეთს გადაჰყროდნენ და ტივი დაირიყებოდა – გაეხირებოდა, გადაიჩაჩხებოდა ქვებზე. მწვანე ნაპირებიო, რომ ავღნიშნეთ, მთლად ასეც არ იყო: ჭალის ტყეებს ენაცვლებოდა შიშველი ფლატეები, ზაფხულში გადამხმარი და ახლა ისევ ოდნავ ამწვანებული ხვლიკისფერი გორაკები; ზოგან ხრიოკი სერები თითქმის წყლამდე ჩამორბოდნენ.

მოგზაურები ხარბად ნთქავდნენ მზერით მდინარესაც, ნაპირებსაც და, უფრო შორს, ტყით შემოსილ ჩრდილოეთის ფერდობებს თრიალეთის ქედისა.

– დროშა? – წამოიძახა უცებ დათუნამ.

– რა დროშა? – მაშინვე იკითხა ბესიკმა.

– დროშა არ უნდა აღვმართოთ? ჩვენი ტივით მგზავრობის აღსანიშნავად! დროშა ან ალამი!

– ყოჩაღ დათუნა! ვაცხადებ კონკურსს ჩვენი გემის დროშაზე! – საზეიმოდ გამოაცხადა ბატონმა მამამზემ.

– ვაჰ, გაგონილა ყველაფერზე კონკურსი? – აბუზღუნდა წათე. – გამომივიდნენ დიდი მოგზაურები... ერთი დროშა არ გეყოფათ, ორი გააკეთეთ: ერთი ცხვირზე აღმართეთ, მეორე – კიჩოზე!.. პატაკს მიიღებს ადმირალი გოლა! ჭიჭყინები და ლოქოები სიცილით დაიხოცებიან.

– დაიხოცებიან და შენც ხომ ეს გინდა? – იცინის მახარე. – თევზი გიყვარს და არც ჩვენ ვიტყვით უარს ახალ თევზზე.

– ეჰ, გარშემო ამდენი თევზი იყოს და ჩვენ კი პირში ჩალაგამოვლებულები უნდა ვიყოთ? – წუხს წათე.

– ნუ დარდობ, წათე, სამაგიეროდ, ტფილისში უეჭველად მივირთმევთ ნაირ-ნაირ თევზეულს! – ამხნევებს ბატონი მამამზე. – მოგზაურობის დასრულებას აღვნიშნავთ – იქაც ტივზე უნდა ვიქეიფოთ, ორთაჭალაში, საზანდრით! გარშემო წმინდა სანთლებს დავანთებთ, ვიცეკვებთ, ვიმღერებთ...

– მოიცათ, ეს ტივი ტფილისამდე ისე ამოგვივა ყელში, რომ ვინატრებთ, ნეტა...

– წათე ჩემო, – არ დააცადა აზრის დამთავრება ბატონმა მამამზემ, – ამ მდინარეზე ტივით ვის არ უმოგზაურია – მწერლებს, მხატვრებს, ძველად ქართველ მეფეებსაც უყვარდათ ტივით მოგზაურობა... რამდენი ქორწილია ტივზე გადახდილი და რამდენი ლხინია გამართული! ამაზე ტკბილი პურისჭამა კიდევ სად შეიძლება? ან ახლა რათა ხარ ეგეთ მჟავე გუნებაზე? გაიხედე, გინდ იქით, გინდ აქეთ, რა სილამაზეა!..

ჰაერნაოსნები ნელ-ნელა ეჩვეოდნენ ტივს, ირგვლივ ყოველ წუთს ხედების ცვალებადობას, წყლის ნაირფერ სიმღერას: ხან – შრიალივით ხმას, ხან – დუდუნს, ხანაც – გაბმულ ბანს... სიამოვნებდათ მდინარის თავისებური სუნი, დატალღული ზედაპირიდან არეკლილი ნათელი სხივების თამაში, ნაპირების მუქი ანარეკლი... მდინარე ცოცხალი იყო – მოძრავი, მოუსვენარი, მარად წინ და წინ მსწრაფველი; მირბოდა მდინარე და მიაქანებდა მის ზურგზე მოჯირითე ტივსაც.

ტივზე კი ისხდნენ ჰაერნაოსნები და, მდინარის ხიბლით დადუმებულნი, მის მონანავე ტალღებს მინდობილნი, ერთგვარად შიშსაც გრძნობდნენ, რომ ასე თავხედურად მოაჯდნენ ქედზე ამ უტეხ და დაუღალავ ბედაურს, რომელსაც არაფრად უღირდა უზარმაზარი ხეების ძირფესვიანად მოგლეჯა, კლდოვანი ქანების ხერხივით ჩაჭრა, სახლის ოდენა ქვების ატაცება და შორს გადაგორება... ყოველივე ამას კარგად ამჩნევდა მახარეს დაკვირვებული თვალი და ბიჭებსაც მიუთითებდა ხოლმე მდინარის მოქმედების კვალზე. ბესიკი და დათუნა კი ვერ ისვენებდნენ ერთ ადგილზე. გონდოლასთან შედარებით ბევრად თავისუფლად გრძნობდნენ თავს, მაგრამ ტივზეც მაინცდამაინც ვერ გაინავარდებდი და იძულებულნი იყვნენ, შეეზღუდათ თავიანთი მოქმედების არე – მეტივეებთან თუ მივიდოდნენ, მათ მოქმედებას აკვირდებოდნენ. გოლას და გუცას სალაპარაკოდ ნაკლებ ეცალათ: მოუსვენარი იყო მდინარე, ხასიათი ყოველ ნაბიჯზე ეცვლებოდა და მუდმივად ფრთხილად უნდა ყოფილიყავი: იშვიათი არ იყო კალაპოტის მკვეთრი მოსახვევები, მდინარის სიჩქარის ნახტომისებური ცვლილებები.

– მოდი, ბიჯო, ორაყვირების მოსმაში მომეხმარე! – თეთრად გამოკრთა კბილები გოლას გაღიმებულ, მზისგან დამწვარ სახეზე. – დაიჭი ტარმუჭი!

დათუნა მოულოდნელობისგან წამით შეცბუნდა, მაგრამ მაშინვე ორივე ხელი მაგრად ჩასჭიდა ორთაყვირის ბოლოს.

– რას ჰქვია ტარმუჭი? – ჰკითხა გოლას იქვე მდგომმა ბესიკმა.

– აი, ესა, ორთაყვირის ტარია, მუჭშიც მოაქცევ და ალბათ იმიტომა, – გოლა მთლად არ უშვებდა ხელს ორთაყვირს, ასე რომ, დათუნა და ის ორივენი უსვამდნენ. – გავაჩეროთ ეგრე,

სწორე მივცურავთ... ახლა ცოტა აქეთ მოვუსვათ, მივდრიჯოთ მდინარის შუისკენა... გავჩერდეთ, შევისვენოთ... კარგა მივდივართ. ახლა გუცას ვაცალოთ...

მიდიან, მიცურავენ, დათუნა მონდომებით ასრულებს გოლას ყველა მითითებას. ცოტა ხანში გოლა ეუბნება:

— ჰო, გეყოფა, ბესიკსაც დავაჭერინოთ... მოდი, ბიჯო!..

— რა მძიმე ყოფილა! — ამბობს დათუნა, გვერდზე დგება და ადგილს ბესიკს უთმობს.

— ნელ-ნელა მიეჩვევი. აბა, ბესიკ, მოვუსვათ ყოჩაღად!.. ეგრე, ეგრე, შენ გენაცვალე!.. ახლა გაჩერდი... ჰო, კარგია!.. ცოტა ხანს სახალისოა, მაგრამა ერთი ბორჯომიდან ქალაქამდე სცადე! აბა, ნახე, ხელისგულები კამეჩის ტყავივითა მაქვს!..

— გოლა, კარგა უნდა ასწავლო, — გამოხედა ტივის მეორე მხრიდან გუცამ, — იქნება მემრე დავლოცოთ მეტივეებად.

— დავლოცამთ კიდევაცა და ქალაქში კარგ პურსაც ვჭამთ, — პასუხობს გოლა.

— ერთი თხა მაინც უნდა გვყვანდეს ან ცხვარი...

— ქაღალდსაც მისცემთ? — კითხულობს მახარე.

— რა ქაღალდსა?

— აი, საბუთსა, რომ მეტივეებად ვარგან. ბეჭედიც უნდა.

— არა, ეგრე უცებ როგორ იქნება! — აგრძელებს საუბარს გოლა, — ერთი გავლა არა კმარა. ჯერა ხის არჩევა უნდა იცოდნენ — ფიჭვია, ნაძვია, წიფელია, — მისი მოჭრაც, სატივეზე ჩამოზიდვაც წყალთანა, მემრე ორი-სამი თვე გამოშრობას უნდა ხისა... მემრე ტივის შეკვრა უნდა ისწავლონ, დედა ხეზე ჭოლოკინის დადგმა, ორთაყვირების გათლა და დაყენება, წინ და უკან — მარქაფის ხე... წყალში ტივის ჩაშვებასაც ცოდნა უნდა, აშვებასაც, ნაპირთან მიყენებასაც...

— შეგირდებად მიიღე ჯერა, დალოცვა შემდეგ იყოს, — ამბობს მახარე. — ხომ დალოცავთ?

— დავლოცავთ მა რა, აი ასე, — პასუხობს გოლა: "მარჯვენაში ბარაქა მოგცეს, კარგი კაცი იყავ, როგორც ერთი და ორი დაბერებულა, შენც სინდის-ნამუსიანად იცხოვრე ამ ქვეყანაზე... წადი, შვილო, გაიხარე და გაგვახარე!" შეიძლება, ყბაზეც მოვუნაცვლოთ ხელი, არკი უნდა გაგვინაწყენდნენ და პატარა პურ-მარილიც უნდა იკისრონ.

— ჩვენ ჰაერნაოსნებად რომ არ დავლოცეთ ბიჭები? — ბატონ მამამზეს მიმართავს მახარე. — ერთი ალიყური კი ეკუთვნოდათ, სუფრის გაშლას კი ტფილისში ველით.

გვერდით მჯდომი ბატონი მამამზე ხმას არ იღებს, გაფითრებულს თვალები დაუხუჭავს და პირი დაუღია, ლაპარაკის თავი სად აქვს.

— წათე, ბატონი მამამზე რაღაც... — წაჰკრა იდაყვი წათეს მახარემ.

— რა მოუვიდა? რამემ ხომ არ აწყინა?

— აბა, რა ვიცი... ბატონო მამამზე, რა გაწუხებთ?

ბატონი მამამზე ამღვრეულ თვალებს მიაპყრობს მახარეს და ხელს მუცელზე იდებს:

— თავბრუ მეხვევა... გულიც მერევა...

ტივზე მყოფნი აჩოჩქოლდნენ, აღარ იციან, რა ქნან. მახარე წამლებიან პატარა ყუთში იქექება, ცდილობს, რამე მოიფიქროს... მანამდე კი ბატონ მამამზეს დაწოლას ურჩევს.

— ტყუილად დაამთავრე სამედიცინო კურსები? — ეჯიჯღინება წათე მახარეს. — მიდი, უშველე რამე. შენს იმედად ჩემი მტერი იყოს... ესეც შენი "სტამბოლის კაჟი"!..

ბატონ მამამზეს პირღებინება დაეწყო.

როცა გამოჩნდა შესაფერისი მდოვრე ადგილი, ტივი ნაპირთან მიაყენეს. ბატონ მამამზეს აქეთ-იქიდან მხრებში შეუდგნენ და ნაპირზე გაიყვანეს.

როგორც კი ნაპირის ქვიშაზე ფეხი დადგა და მყარი საყრდენი იგრძნო, ბატონ მამამზეს მაშინვე მომჯობინება დაეტყო. ბრტყელ ქვაზე ჩამოჯდა, თანდათან თავბრუხვევამ გაუარა, ფერიც მოუვიდა და გუნება-განწყობილებაც გამოუკეთდა.

— მაგრად შეგაშინეთ? გადავრჩი, მგონია...

ცეცხლი დაანთეს და ბატონ მამამზეს მითითებით ფაფა მოხარშეს.

მადა ყველას სანაქებო ჰქონდა, — მოკლე ხანში თეფშებს კრიალი დააწყებინეს, მხოლოდ შეფ-პილოტმა თქვა უარი საჭმელზე.

ბესიკი და დათუნა ცოტა ხნით სადღაც გაქრნენ. როცა დაბრუნდნენ, ბესიკს ორი დიდი გოგრა ძლივს ეჭირა ხელში, დათუნას კი ხალათის აწეული კალთა ვაშლებით ჰქონდა სავსე.

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს! — იყვირა წათემ, დასწვდა ერთ ვაშლს და ხარბად ჩაკბიჩა. არც დანარჩენებს დაუხანებიათ, ბატონ მამამზეს გარდა, და ყველანი პირგამოტენილნი იღეჭებოდნენ, სახეზე სიამე დაფენილნი.

ბატონ მამამზეს უგუნებობა დაუბრუნდა.

— ბიჭებო, სად იყავით? — გოგრებსა და ვაშლზე მიუთითა.

— იქ, ზევით, დიდი ბაღია, — უპასუხა ბესიკმა.

— მერე, შეიძლება განა დაუკითხავად სხვის ბაღში შესვლა და, მით უმეტეს, იქ ყაჩაღობა?!. — კიდევ უფრო მოიღუშა ბატონი მამამზე. — აიღეთ ახლავე ყველაფერი ეგა და უკანვე დააბრუნეთ!

ბიჭები მდუმარედ იდგნენ და უგემურად იღეჭებოდნენ მხოლოდ.

– რაღას უყურებთ, შეასრულეთ ბრძანება! წათე, ნულარ იღებ ვაშლს!

– შენ იქ მბრძანებლობდი, ჰაერში, გათავდა შენი უფროსობა! – შეედავა წათე და მორიგი ვაშლი მადიანად გააქანა პირისკენ. – ახლა ტივზე ვართ და წესით ჩვენი უფროსი გუცაა.

– ვაშლები უკვე გავათავეთ, მაგას რაღა ეშველება, – თქვა გუცამ, – ეგ გოგრები კი წაიღეთ, ბიჭებო, უკან. თუ ბატონი მამამზე მომჯობინდა, დროულად დავიძრათ, დაღამებამდე გორში უნდა ვიყოთ...

– აჰა, გითმობ, ეს ბოლო ვაშლი მიირთვი! – გაუწოდა ვაშლი წათემ ბატონ მამამზეს, მაგრამ ამ უკანასკნელმა ზედაც არ შეხედა.

როცა მდინარეში შეცურდნენ, ცოტა ხნის შემდეგ ბატონ მამამზეს ისევ ცუდი დღე დაადგა – რაც კი კუჭში რამე კიდევ შერჩენოდა, იძულებული გახდა, საჩუქრად თევზებისთვის მიერთმია.

– მე ვიცი, რაც გჭირთ, ბატონო მამამზე! – წამოიძახა მახარემ. – მივხვდი: თქვენ ზღვის ავადმყოფობა დაგემართათ!.

– ზღვის ავადმყოფობა? – დაცინვით გაიღიმა წათემ, – აქ ზღვას რა უნდა? აღმოაჩინა ამერიკა!..

– ჰო, კარგი, მაშინ ტივის ავადმყოფობა იყოს... – აღარ დაუწყო წათეს დავა მახარემ და ბატონ მამამზეს მიუბრუნდა: – დაწექით, დაწექით, ოდნავ მაინც იგრძნობთ შვებას... ადრე არასდროს დაგმართნიათ მსგავსი რამ?

ბატონ მამამზეს საუბრის თავი არ ჰქონდა, მაგრამ მაინც უპასუხა:

– რა ვიცი... მფრინავ ბურთზე რომ ვიყავით, ხანდახან კი წამომივლიდა, მაგრამ ასე ძლიერად არა... თავს ვიკავებდი... იშვიათად...

– წამალი მიეცი, წამალი! – ატყდა წათე, რამდენჯერმე გაუმეორა მახარეს.

– ამას, ჩემო წათე, მხოლოდ ერთი წამალი შველის – ნაპირზე უნდა გადახვიდე, – პასუხობს მახარე. – რა ვქნათ, ბატონო მამამზე, მივადგეთ ნაპირს?

ბატონმა მამამზემ მილულული თვალები გააღო:

– ჩემი გულისთვის არ გაჩერდეთ, მოვითმენ, არაფერი მიჭირს... ვგონებ, ცოტა მომეშვა... თუ ძალიან ცუდად შევიქენი, გადამსვით ნაპირზე და თქვენ კი გზა განაგრძეთ...

– მარტო დაგტოვოთ?.. ეგ როგორ იფიქრეთ?.. – წამოიძახა მახარემ.

– მარტო რათა, წათეს დატოვებთ ჩემთან ერთად, მაგაზე კარგად ვინ მომივლის...

წათეს ფერი ეცვალა, უნდოდა ეყვირა, მე რა დავაშავე, რომ ასეთი სასჯელი დამეკისრაო, მაგრამ შეხედა გაღიმებულ სახეებს და მიხვდა, რომ ბატონი მამამზე ხუმრობდა.

– დღეს რა რიცხვია? – იკითხა ბატონმა მამამზემ.

– ოცდაშვიდი უნდა იყოს... – უპასუხა მახარემ.

– დღეს ოცდაცხრა სექტემბერია! – განაცხადა წათემ.

– ბიჭებო, დღეს რა რიცხვია? – ახლა ბესიკსა და დათუნას მიმართა ბატონმა მამამზემ.

– დღესა?.. – ღეჭვა დაიწყო ბესიკმა, – არ ვიცი.

– ოცდარვაა, ოცდარვა! – იყვირა დათუნამ. – გუშინ საღამოს ხომ ჩავწერე იმ დღის ამბები და რიცხვიც მიწერია – ოცდაშვიდი სექტემბერი!

ბატონ მამამზეს რაღაც უნდა ეთქვა სასაყვედურო, მაგრამ მხოლოდ დაიღმიჭა და თვალები მილულა, ეტყობა, ისევ წამოუარა უგუნებობამ.

– დღეც კი დავკარგეთ... – წაიდუდუნა ოდნავ გასაგონად. – ეს ჩემი მდგომარეობა არ აღნიშნოთ დღიურში... არ არის საჭირო...

ბატონ მამამზეს მდგომარეობა სამწუხარო კი გახლდათ, მაგრამ სიცოცხლისთვის არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენდა და განაგრძეს მოგზაურობა: უცქერდნენ ჩავლილ ნაპირებს, სამხრეთით ამართულ თრიალეთის მთაგრეხილს, რომლის მტკვრისკენ მიმართული მხარეც დასერილი იყო ხევხუვებით და მტკვრის შენაკადთა ღრმა ხეობებით. მარცხენა ნაპირი ალაგ-ალაგ მიუდგომელ მაღალ ფლატეს წარმოადგენდა.

– აქ, მარცხენა ნაპირზე, დიდი სოფელია – ურბნისი, – ამბობს მახარე. – იქ დგას დიდებული ტაძარი, უძველესი – ურბნისის სიონი. სამწუხაროდ, მაღალი ფლატეა და ვერ დავინახეთ. აფსუს, ძამას შესართავთან სამწევრისის ციხე გამოგვრჩა, იქვეა წმინდა გიორგის ეკლესიაც... არც ისე დიდია, მაგრამ გამორჩეულია თავისი სიძველითა და სინატიფით.

– გორამდე შორსაა? – იკითხა მიკნავებული ხმით ბატონმა მამამზემ.

– დაახლოებით ათი კილომეტრი იქნება დარჩენილი, რამდენიმე საათი დაგვჭირდება იქამდე მიღწევას, – პასუხობს მახარე.

ბიჭები სხვებთან ერთად სხედან ტივის შუა ადგილას და გასცქერიან ნაპირებს. შემოდგომის ფერები მიუღია მთასაც და ბარსაც, ჭალის ტყეებიღა ხასხასებენ ჯერ მწვანედ – ვერხვები გადმომდგარან ზედ წყლის პირთან და ტოტები გადმოუშლიათ მდინარის დინების თავზე, გადმომხობილან მწვანე კარვად. იშვიათად თუ გამოჩნდება რაიმე სულდგმული: ერთხელ ცხენოსანი წამოეწიათ და ცოტა ხანს თითქმის თანაბრად მიიწევდნენ წინ, სანამ საურმე გზა არ დასცილდა მდინარეს; აქა-იქ ბაღებში და სიმინდის ყანებში მომუშავეთა ტანსაცმელი გამოკრთებოდა და სიცილისა და ლაპარაკის ხმა მოაღწევდა ტივამდე. ყვავი ზანტად გადაფრინდა ერთი ნაპირიდან მეორეზე, ყრანტალით შემოჯდა კლდის ქიმზე; კაჭკაჭები ავიშვიშდებიან ჭალასთან მიახლოები-

სას, მათი ჭრელად აფართქუნება ჰაერში, მკვეთრი ხმები აცოცხლებენ ერთფეროვან დინებას ნაპირებისა – რუხი, გამოხუნებული ფერები გაბატონებულა გამოფიტულ ქვიშაქვებშიც, მათ მონაცვლე ჩამორეცხილ თიხოვან შვეულ კედლებშიც, გადამხმარი ბალახით დაფარულ სერებზეც და მტკვრის მღვრიე ტალღებზეც. დადგენილ გზას კეთილსინდისიერად ვლის იშვიათი თეთრი ბატკან-ღრუბლებით დამშვენებულ ლურჯ მინდორ-ცაზე ბარჯღალა მზე: ჯერ ხომ დილიდან პირში შესციცინებდა მოგზაურთ, მერე გვერდიდან, მარჯვნიდან ეფერებოდა და ახლა კი, საღამოსპირს, ზურგს უთბობს...

მისი ბრწყინვალება მზე დასასვენებლად აპირებდა წაბრძანებას და უკანასკნელ გამოსამშვიდობებელ სხივებს უგზავნიდა ყოველივე სულდგმულს, მთა-ველს, მდინარეს, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ამართულ გორისჯვრის მთას და მის წვერზე – ეკლესიას; მალე კი მარცხენა მხრიდან ლიახვის სწრაფი შენაკადი შემოვარდა მდინარებაში – გორს მიაღწიეს!..

პატარა, კოხტა ქალაქი წყნარად განაბულიყო გორაკზე აბობღებული ციხე-გალავნის ძირში. უნებური ღიმილი ნეტარებით გადაგეფინებოდა სახეზე, როცა წარმოიდგენდი, რომ აქ სუფევდა გამოზომილი, გაწონასწორებული ყოფაცხოვრება: დროზე – შრომა, დროზე – სადილ-ვახშამი, დროზე – რბილი და თბილი საწოლი...

მოშივებულ და ჭერმონატრებულ ჩვენს გმირებს აუჩქროლდათ გულები და მისავათებული ბატონი მამამზეც კი გამოცოცხლდა – წამოჯდომა ისურვა, რათა საკუთარი თვალით ეხილა საოცნებო ნაპირი...

კარი XVII. "შენი მამიდის დუქანი"

ესეც გორი!..

როცა ჩვენმა გმირებმა ფეხი დაადგეს ქალაქის მიწაზე, თითქოს რაღაც ძალიან ძველი, მივიწყებული გაახსენდათ, რაც ადრე მათ წარსულში არსებობდა, შემდეგ მას მოსწყდნენ არცთუ დიდი ხნით, მაგრამ ამ მოცილებამ ერთგვარი კვალი მაინც დაამჩნია მათ ცხოვრებას.

ეუცხოვებოდათ კიდეც ქუჩა – ვიწრო, მოუკირწყლავი, ორმხრივ ჩარიგებული დაბალი, უსახური სახლებით – და იმავდროულად ნაცნობიც, ჩვეულიც იყო მათთვის ზევით-ქვევით მოსიარულე ადამიანები, ეზოთა ჭიშკრების წინ წამოწოლილი ძაღლები, ჟივილ-ხივილით ერთმანეთს გამოდევნებული გოგო-ბიჭები... რა ხანია, არ უსუნთქიათ ქალაქის ჰაერით, არ უყნოსიათ მტვრისა და ჩონჩორიკის სუნით შეზავებული სურნელი...

სულ წინ მურია მიცუნცულებდა; დროდადრო უკან მიიხედავდა და ბიჭებისკენ გაბრუნდებოდა კიდეც, თუ წინ რაიმე საფრთხეს დაინახავდა, უმთავრესად – არასტუმართმოყვარედ განწყობილ ძაღლებს.

ერთგან ძაღლთა ჯგროს ისეთი შემოტევა აზვირთდა, რომ საწყალი მურია წკავწკავით გაებლანდათ ფეხებში მხიარულად მიმავალ ჰაერნაოსნებს და ბესიკი იძულებული გახდა, ხელში აეყვანა ერთგული მეგობარი, დათუნამ კი საკმაოდ გრძელი ჯოხი მოიმარჯვა.

თუმცა, მათი გზა არც ისე ხანგრძლივი გამოდგა – პირველსავე დუქანს მიადგნენ კითხვა-კითხვით, რომლის შესასვლელსაც ამშვენებდა ფირნიში უზარმაზარრქებიანი, შეშინებულთვალებიანი თეთრი ყოჩის გამოსახულებით, მის ქვევით კი მუქ ფონზე გაუწაფავი ხელით ყვითელი საღებავით იყო გამოყვანილი:

"შენი მამიდის დუქანი".

ჩვენი მრავალხიფათგამოვლილი ჰაერნაოსნები ვერ დააფრთხო ზემოაღნიშნული ცხვრის საშინელმა რქებმა და სათითაოდ ჩაძვრნენ საკმაოდ ვიწრო და ციცაბო, აგურით ამოშენებული კიბით ნახევარსარდაფში, სადაც საჭმელ-სასმელის ისეთი მსუყე და მძაფრი სურნელი დაეძგერათ, რომ პირველად კინაღამ სული შეუგუბდათ და ოდნავ შებარბაცდნენ კიდეც (ეს არ ეხებოდა მხოლოდ მურიას, და არა იმიტომ, რომ, დანარჩენებისგან განსხვავებით, ოთხფეხი გახლდათ, არამედ იმ მიზეზის გამო, რომ ჯერ კიდევ ბესიკის მკლავებში ნებივრად განისვენებდა).

შეფ-პილოტის წინამძღოლობით ალყა შემოარტყეს კუთხეში მდგომ მაგიდას. პირმოპარსული, გაახალგაზრდავებული ჰაერნაოსნები და ბიჭები ამაყად გაიჯგიმნენ, მხოლოდ მურიას მოუწია მაგიდის ქვეშ დაბანაკება, რაზედაც მას უკმაყოფილება არ გამოუთქვამს, მით უმეტეს, რომ მოკლე ხანში ნაირ-ნაირი ძვლებისა და ხორცის ნაჭრების ნამდვილი თავსხმა წვიმა მოევლინა.

სამაგიეროდ, ხორაგით უზომოდ დაზვინული მაგიდა ჭრიალ-ჭრაჭუნით აშკარად გამოხატავდა უკმაყოფილებას, თუმცა მალევე მოითქვა სული – ჩვენმა გმირებმა ისეთი სისწრაფით იწყეს მაგიდის ტვირთის შემსუბუქება, რომ პირველი სადღეგრძელოს წარმოთქმა საკმაოდ დაგვიანდა. თამადა, რა თქმა უნდა, არ აურჩევიათ – ბატონმა მამამზემ სუფრის სადავე თავიდანვე ხელთ იგდო. მისი მელოტი მხიარულად ირეკლავდა ლამპის შუქს, ამაყად გაფშეკილ-გაფანჩული ულვაშები კი არა მხოლოდ სუფრაზე ფიცხელი იერიშის მიტანას გამოხატავდა, არამედ აგრეთვე ხასიათის ფოლადივით სიმტკიცეს და მიზანსწრაფული ქმედების ურყევ გადაწყვეტილებას.

როცა კუჭს ოდნავი პატივი მიაგეს, ბატონი მამამზე წამოდგა, ღვინით სავსე ჭიქას შუქზე თვალმოჭუტვით გახედა და შემდეგი ბრძანა:

— დიდი ხანია, არ გვქონია ბედნიერება, მეგობრებისთვის ტკბილი, თბილი სიტყვა გვეთქვა, მოვფერებოდით ერთმანეთს; მოგვენატრა სუფრასთან კაცურად ჯდომა, ათას წვრილმან თუ მსხვილმან ფიქრთაგან განთავისუფლება და უზრუნველობის ტბაში შეცურება მხიარულების ნავით... მაპატიეთ ასეთი ჭარბი სიტყვაკაზმულობა, მაგრამ დღეს ეს გვეპატიება, მით უმეტეს, როცა სუფრას უზიხარ, ბედნიერ სახეებს უყურებ... განსაკუთრებით ჩვენი გაბედული პილოტის, "ტფილისის ცხელ-ცხელი ამბების" კორესპონდენტის ბატონ წათე წყალხმელაძის ღიმილი დიახაც დამშვენდებოდა ამ სუფრას, ის კი რატომღაც ჩვენი საზოგადოებისგან გარიყულია, გარდასულ ამბებს ვეღარ მოსცილებია, რაღაცას გამწარებით წერს და, მგონი, ჩემი სიტყვები არც ესმის...

— მესმის, მესმის, ბატონო მამამზე! — თავი ასწია წათემ, — ეს-ესაა, დავასრულე კორესპონდენციის წერა გაზეთისთვის. ტივზე ნელ-ნელა ვწერდი ბოლო დროის ამბებს და ახლა ბებერ ქალაქ გორს ჩვენი მშვიდობით მობრძანება მივუმატე. მერე მომიხდა ნაწერის სხვაგვარად დალაგება, ძლიერ შემოკლება და თავიდან გადაწერაც მომიწია, ამის გამო გამოვეთიშე ჩვენს პატივცემულ საკრებულოს. მინდა, დღესვე მოვახერხო მისი ტფილისში გაგზავნა...

— წაგვაკითხე ერთი, ჩვენს გმირობაზე რას წერ! — სთხოვა მახარემ.

წათემ ბატონ მამამზეს შეხედა, მისგან თავის დაქნევით დასტურის მიღების შემდეგ დაიწყო კითხვა:

"თქვენი საკუთარი კორესპონდენტი წათე წყალხმელაძე მორიგ კორესპონდენციას გიგზავნით სახელოვან ქალაქ გორიდან 28 სექტემბერს. მსურს, თავიდანვე დაგაწყნაროთ და მოხარული ვარ, გაცნობოთ, რომ ყველანი ჯანმრთელად გახლავართ. იკითხავთ: რა მოხდა, რატომ და რა მანქანებით აღმოჩნდით ისევ გორში, რომელიც დატოვეთ 21 სექტემბერსო?

თქვენთვის ჩვენი, 24 სექტემბერს გამოგზავნილი, ბოლო შეტყობინებიდან ცნობილია, რომ ამ დღეს ვიმყოფებოდით არტაანის ახლომახლო მიდამოებში. 25 სექტემბერს დავეშვით მიწაზე რომელიღაც სოფელში, სადაც ვვარაუდობდით სურსათ-სანოვაგისა და, განსაკუთრებით, სასმელი წყლის მარაგის აღდგენა-შევსებას. დაფრენისთანავე იქ ჩვენ თავს დაგვესხა მტრულად განწყობილი ბრბო, მაგრამ ეკიპაჟის საზრიანი და სწრაფი მოქმედების წყალობით თავი მშვიდობით დავაღწიეთ მოსალოდნელ ხიფათს — ჰაერში ავიჭერით, რისთვისაც, სხვა ტვირთთან ერთად, მომიხდა გალიის გადაგდებაც კი. ამის გამო დავკარგეთ მტრედები, შეწყდა საფოსტო კავშირიც. მეორე დღეს, შიმშილით და წყურვილით შეწუხებულები, მშვიდობიანად დავეშვით, როგორც შემდგომ გამოირკვა, მტკვრის სრულიად უკაცრიელ კუნძულზე. აბობოქრებული მდინარე ყოვლად შეუძლებელს ხდიდა მისი ტყვეობიდან თავის დაღწევას. საბედნიეროდ, 28 სექტემბერს დილით მოვახერხეთ ტივით გამომგზავრება მდინარე მტკვარზე მეტივეების გოლა და გუცა ტივტივაძეების გულისხმიერების წყალობით. გზად საჰაერო ბურთის შეფ-პილოტის, სატანვარჯიშო საზოგადოება "სტამბოლის კაჟის" საპატიო თავმჯდომარის, დიდად პატივცემული ბატონის მამამზე შინდაუკაძის რკინის ორგანიზმმა ვერ გაუძლო ფათერაკებით აღსავსე, მძიმე, დამღლელი მოგზაურობის სიძნელეებს, რის გამოც იძულებული გავხდით, ნაპირს მივდგომოდით ქალაქ გორში, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ლიახვის შესართავს ქვემოთ. ამჟამად ძალაუნებურად ამ მოკლე ინფორმაციით შემოვიფარგლები, დაწვრილებით — შემდგომ წერილებში".

— სულ ეს არის? — იკითხა მახარემ. — ის რატომ გამოგრჩა, შენი ძვირფასი გვამი მეტისმეტად მძიმედ რომ მიგაჩნია და კუნძულზე დარჩენას აპირებდი, ტივის დაძირვისა შეგეშინდა.

— მეჩქარება, ტფილისისკენ გამავალ მატარებელს მინდა, მივუსწრო. ამიტომ გტოვებთ, ბოდიში!

წათე ფიცხლად წამოხტა და სანამ ვინმე რაიმეს ეტყოდა, უკვე კიბეზე არბოდა.

— წავიდა წათე, წავიდა და წავიდა! — თქვა მახარემ. — დღესვე შინ იქნება, მერე დაჯდება და ფერადოვნად აღწერს საკუთარ გმირულ თავგადასავალს...

— გააქციე ხომ წათე, — ამბობს ბატონი მამამზე, — ვეღარ აიტანა შენი ხუმრობები და გაიპარა კიდეც!

— არც თქვენ მიგიძღვით მცირე წვლილი, — პასუხობს მახარე, — იცით, რას გიწოდებთ წათე ზურგსუკან? ჯაჯღანას!

— მართალი უნდა ითქვას: ვერც ჩვენ გამოვიჩინეთ დიდი გმირობა — ერთი თვის მაგივრად ერთი კვირა ძლივს ვიფრინეთ. რაც შეეხება ჩემს ჯაჯღანს, რას ერჩი წათეს, მართალია ის კაცი... ისე კი, ჩემო მახარე, არც ის არის ლამაზი, როცა ვიღაცა რაღაცას ამბობს ჩემზე და მე რომ მეტყვიან... ახლა მაცალეთ ბოლოს და ბოლოს პირველი სადღეგრძელოს დამთავრება... თუმცა, დაწყებით დავიწყე რო? ჰო, სმენა იყოს და გაგონება: გთხოვ, ჩემო მახარე, ერთად დავლიოთ ჩვენი საჰაერო მოგზაურობის ბედნიერად დასრულების სადღეგრძელო!.. ბიჭებო, თქვენ ლიმონათი დალიეთ.

პატივცემულო მკითხველო, გავაგრძელო ლხინის აღწერა? რაღა საჭიროა, ისედაც ხომ ვიცით, რომ სუფრას მონატრებული ქართველი კაცები — ბატონი მამამზე და მახარე — რიგრიგობით დალევდნენ ლამაზ სადღეგრძელოებს: საქართველოსი, ოჯახის წევრების, მშობლების, წინაპრების, დედმამიშვილებისა და ასე შემდეგ...

ჩემო მკითხველო, უკვე მეორედ მოგმართავ ასე პირდაპირ და უშუალოდ, ამჟამად ამას გაჭირვება მაიძულებს... ჩვენი გმირები კი დავსვი მშვიდობიანად, გორამდე ტივითაც უხიფათოდ გა-

მოვასეირნე, მაგრამ ახლა მათსავით გზაჯვარედინზე ვარ: რა ვუყო მათ, საით წარვმართო მათი გზები? მატარებელში ხომ არ ჩავსვა გორის სადგურში და სულ რიხინ-რიხინით ბედნიერად და მოსვენებით ჩავაბრძანო ტფილის-ქალაქში?.. ან იქნებ ახლა ურემზე ან ეტლზე ავაბღოტო? არც ეს არის ურიგო აზრი, ბატონ მამამზეს, ჩვენს მამაც ჰაერნაოსანს, შეფ-პილოტსა და სატანვარჯიშო საზოგადოება "სტამბოლის კაჟის" საპატიო თავმჯდომარეს რაღას ვერჩი, აღარ უნდა ვაკმარო ტივით მოგზაურობისას გადატანილი ტანჯვა?

თუმცა, მივუშვათ ჩვენი გმირები ნებაზე და საითაც გული გაუწევთ, ჩვენც ის გზა დავულოცოთ!

ჯერჯერობით კი ახალ ამბავს მოგახსენებთ: უკვე საკმაოდ შუბლგახურებულ მოლხინეთ დაინახეს... სარდაფში კიბეზე ჩამომავალი წათე!

— ეს შენა ხარ, კაცო? — გაკვირვებისგან პირი დააღო ბატონმა მამამზემ.

— არა, ეს მე არ ვარ! — უპასუხა წათემ, — მოჩვენება ვარ!

— მატარებელი არ იყო?.. თუ გაგასწრო? — ჰკითხა მახარემ.

— იყო, მაშ არ იყო? დაბარებულივით მიცდიდა. ათი წუთით რომ დამეგვიანა, კორესპონდენციას ვერ გავატანდი — საფოსტო ვაგონში ჩავაბარე პირდაპირ.

— რაღამც ისევ გამოგვეცხადე, ახლა ნელ-ნელა უნდა დაგვეწიო — დაიჭი ჭიქა! — გაუწოდა გალიცლიცებული სასმისი ბატონმა მამამზემ.

— კეთილი... ამ ერთ ჭიქას ვიკმარებ ჯერჯერობით. მიხარია, ასე რომ გაგიხარდათ ჩემი დანახვა! რა ვქნა, დიდი ხანია, ერთმანეთი არ გვინახავს?.. კარგი, ჩვენს საქმიანობას გაუმარჯოს, მის კეთილად დაგვირგვინებას და ჩვენს მშვიდობით დაბრუნებას ჩვენ-ჩვენ ბუდეებში! — წათემ სულმოუთქმელად გამოსცალა ჭიქა და მაგიდას მიუჯდა. — ბიჭოს! ასეთი ღვინო ჩემს დღეში არ დამილევია, შამპანურს მირჩევნია, ნაღდად!

— მოგწონს განა ატენური? — ნიშნის მოგებით უთხრა ბატონმა მამამზემ.

— ეჰ, ბევრი რამ არის ამქვეყნად მოსაწონი, — დაფიქრდა წათე, — ბევრიც — დასანანებელი და სამწუხაროც... დამისხი!

— რაღაც გაწუხებს, ჩემო წათე, ბარემ ერთი ჭიქაც დაგვილიე და შენი სულის მოქუფრულ ცაზე ყველა ღრუბელი გაიფანტება, მზეც გამოანათებს და გულს გაგითბობს! — ბატონი მამამზე აშკარად ამაღლებულ განწყობილებას აეტაცებინა.

— ბატონებო! არ გაინტერესებთ, რას წერენ ჩვენი მოგზაურობის შესახებ? — ააფრიალა გაზეთის ფურცელი წათემ.

— ვაშა! — იყვირეს დათუნამ და ბესიკმა ერთდროულად. — ჩვენც ვართ მოხსენიებული?

— ბიჭებო, ნუ ჩქარობთ ისტორიაში მოკალათებას! — აროხროხდა ბატონი მამამზე. — გაგვახარე ერთი, წათე, ბარემ და ხმამაღლა წაგვიკითხე!

— სასიხარულო ერთი ისაა, რომ ბედად ცოცხლები გადავრჩით, — ამოიოხრა წათემ. — მოუსმინეთ, რას წერს ვინმე ჯიქა ჯამფილაშვილი გაზეთში "კუს ნახტომი და ვეფხვის ნაბიჯი"... ჯერ სათაური დაგზაფრავს: "უმეცრება თუ დანაშაული?.."

ბატონ მამამზეს და მახარეს ელდა ეცათ, სულ არ მოელოდნენ საქმის ასეთ შეტრიალებას.

— უყურე შენ! — აღმოხდა ბატონ მამამზეს; გამამხნევებლად მოუთმენლად მიაჩერდა წათეს: — აბა, აბა, წაიკითხე, გაგვანათლე!..

— ვიწყებ... ჰო, სათაურია "უმეცრება თუ დანაშაული?", შემდეგ ნათქვამია: "19 სექტემბერს დიდი ზარ-ზეიმით გაცილებული ჩვენი ჰაერნაოსნები 24 სექტემბრის შემდეგ დაიკარგნენ — არავინ იცის მათი ასავალ-დასავალი, უცნობია, ცამ ჩაყლაპა ისინი თუ მიწამ. თუმცა, ეს სრულებით არ არის გასაკვირი: მოგზაურები განწირულნი იყვნენ და შეეწირნენ გაუაზრებელ, უკიდურესად დაბალ დონეზე მომზადებულ, უკეთესი იქნება, ვთქვათ, — სავსებით მოუმზადებელ ავანტიურისტულ წამოწყებას. ნუთუ ძნელი იყო იმის მიხვედრა, რომ აირისა და ბალასტის განსაზღვრული, შეზღუდული რაოდენობის გამო საჰაერო ბურთის შვეული მანევრი საჭირო მიმართულების საჰაერო დინების დასაჭერად დიდად შეიზღუდებოდა და ფრენა გასტანდა დიდი-დიდი რამდენიმე დღეს, თანაც გაუთვალისწინებელი მიმართულებით და სავალალო შედეგით? ამ ყოვლად უგუნური და სახიფათო მოგზაურობის სულისჩამდგმელებსა და განმახორციელებლებს, ეტყობა, წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ არა მარტო თანამედროვე ჰაერნაოსნობის უახლეს ტექნიკურ მიღწევებზე, არამედ ნახევარი საუკუნის წინათ და უფრო ადრეც ევროპაში უკვე კარგად ცნობილ საჰაერო ბურთის ტემპერატურულ მართვაზე. ბურთის შემავსებლად ჰელიუმის მაგივრად კი წყალბადის გამოყენება ხანძრის გაჩენის დიდ საშიშროებას ჰქმნიდა... ფრიად, ფრიად სამწუხაროა, რომ ამ გაბედულსა და კეთილშობილურ საქმეს მიეტმასნენ უმეცარი, ანგარებიანი ადამიანები და დიდებული იდეა ასე სავალალოდ ჩაფუშვამდე მიიყვანეს. იმედია, რომ ყველაფერს უახლოეს ხანში აეხდება ფარადა, ყველას დამსახურებისამებრ საკადრისი მიეზღვება, მაგრამ რაღა ეშველება მსხვერპლად განწირულ მართლაცდა გულად ჰაერნაოსნებს?"

— სულ ეგ წერია? — იკითხა ბატონმა მამამზემ.

— დიახ... როგორ მოგწონთ? — უპასუხა წათემ.

— აწი აღარაფერი გვიჭირს, — თქვა მახარემ, — კიდევ კარგი, სადღაც ზღვაში არ დავეშვით...

— უკაცრიელ კუნძულზე? — თვალები გაუბრწყინდა დათუნას.

— ეჰ, ნეტავ შენ... — თავი გააქნია მახარემ. — ისევ ბავშვურ ოცნებებში დაცურავ? ვერ ხედავ, რა წინდაუხედავად მოიქეცით?

— არც ჩვენ გამოვდექით მთლად ჭკუადალაგებულები, — ჩაერია დათუნას დასაცავად ბატონი მამამზე, — ცხვრებივით მივყევით ჩვენს წინამძღოლებს და ის კი აღარ გავარკვიეთ, საით მივდიოდით...

— მე და დათუნამ ვიცოდით, რომ მოგზაურობა ხანმოკლე გამოდგებოდა, — მოულოდნელად ებმება საუბარში ბესიკი.

— არა, მართლა? — დამცინავად გაიკვირვა წათემ.

ბატონი მამამზე და მახარე უტყვად მიაჩერდნენ ბიჭებს.

— მე და დათუნა რამდენიმე თვე სულ ჰაერნაოსნობის საკითხებს ვეცნობოდით ბიბლიოთეკაში; მაშინვე მივხვდით, რომ საწვავისა და თბილი ჰაერის გარეშე საჰაერო ბურთის მართვა მხოლოდ ბალასტის გადაყრით და აირის გამოშვებით მოხდებოდა, რაც გამოიწვევდა რამდენიმე დღეში ფრენის დასრულებას: ამოიწურებოდა ბალასტისა და აირის მარაგი და ფრენაც მაშინვე დამთავრდებოდა. ამიტომ ორცხობილის მარაგიც ერთი კვირისა წამოვიღეთ.

— რატომ მაშინვე არ მომახსენეთ, თუკი სასიკეთო შედეგს არ ელოდით? — ცოტა არ იყოს, გაღიზიანებით მიმართა ბიჭებს ბატონმა მამამზემ.

— ვინ ვართ ჩვენ? არავინ, ვიღაც ღლაპები, თქვენ კი დიპლომიანი პილოტები ხართ; თქვენ, ბატონო მამამზე, საფრანგეთში რამდენიმე გაფრენაც გაქვთ შესრულებული აეროსტატით, ფრანგი გაფრენის საჰაერო განმკარგულებელიც გყავდათ, ბატონ წათეს კიდევ მოტორისა და ველოსიპედის მართვის მოწმობაც კი აქვს... რა წონა ექნებოდა ჩვენს ნათქვამს თქვენთვის? არავითარი — ქოსატყუილებად, მეტიჩრებად და რა ვიცი, კიდევ რად მოგვნათლავდით და საბრძოლო სულისკვეთების ძირის გამოთხრაშიც კი დაგვდებდით ბრალს... — თავი იმართლა ბესიკმა.

— თქვენ მაინც თქვენი აზრი უნდა გეთქვათ, არ დაგეფარათ, — დამოძღვრა ბატონმა მამამზემ ბიჭები. — ჩვენი განაწყენება რა ანგარიშში ჩასაგდები იყო, როცა საქმე ეხებოდა მოგზაურობის წარმატებით ჩატარებას და ადამიანთა უსაფრთხოებას... კეთილი, რაც იყო — იყო, ახლა სხვა რამ გვაწუხებს, აწი რა ვქნათ? ჩვენ გვეგონა, რომ ბატონი წათე მატარებელს გაჰყვებოდა ტფილის-ქალაქისკენ...

— რატომ გეგონათ? — გაცხარდა წათე, და სარდაფის ლამპების შუქზეც კი დაემჩნა გაწითლება. — ხომ წაგიკითხეთ კორესპონდენცია? მე გადავწყვიტე, ბოლომდე თქვენთან ვიყო. წიგნს ბოლოში ხომ არ მივაწერ, ყველანი ჩუმად მივატოვე და გავიპარეო?

— ბოდიშს ვიხდი, ჩემო წათე, მაპატიე, მოუზომავი ნათქვამი გამომივიდა ჩემდა უნებურად... შენ ჩვენი მხსნელი იყავი ხშირად და ახლაც შენი იმედი გვაქვს. მოდი, ერთად მოვითათბიროთ, შემდგომ რა გზა ავირჩიოთ?

— ბატონო მამამზე, ნუთუ მოგზაურობის განგრძობას აპირებთ? — გაოცებით იკითხა მახარემ.

— ერთი კვირა რა ბედენაა, წესიერად ვერც კი მოვასწარით ჰაერს მიჩვევა და იძულებული გავხდით, ტივზე გადავსკუპებულიყავით!..

— კარგი ნახტომი კი გამოგვივიდა, მე და ჩემმა ღმერთმა! — წამოიძახა მახარემ.

— ბატონო მამამზე, ტივზე მოგზაურობის მიჩვევას რამდენი ხანი სჭირდება? — ვითომ სერიოზულად ჰკითხა წათემ.

შეფ-პილოტმა გაიღიმა, სულ არ შეიმჩნია წათეს ირონია და ისე ძლიერად დაჰკრა დათვის ტორი მხარზე, რომ წათე უნებურად დაიღრიჯა.

— თუ საქმეში ჩამოგრჩე, ჩემო წათე, აი ეს ცალი ულვაში მომპარსე ძირში!

— მოკლედ მოვჭრათ: რა გზას დავადგეთ? — მოუთმენლობა დაეწყო მახარეს. — მე არსად მეჩქარება, თუნდაც ფეხით გავეშურები შინისკენ

— მე ტივი მირჩევნია, — ღიმილით შეხედა წათემ ბატონ მამამზეს.

— მეც! — მოულოდნელად დაიბუხუნა ბატონმა მამამზემ და წათეს კიდევ უფრო მძლავრად დაჰკრა ხელი მხარზე. — სუფთა ჰაერს მივეჩვიეთ, ბატონებო; სურსათ-სანოვაგეს ბლომად წავიღებთ, თუნდაც ერთი თვის სამყოფს, ტივი ხომ საჰაერო ბურთი არაა. რა სჯობს ტივზე ქეიფს! ხომ, წათე? — უნდოდა, კიდევ დაეკრა წათესთვის მხარზე მეგობრულად, მაგრამ წათემ მოასწრო და თოფნაკრავივით გაეცალა:

— ჭეშმარიტად, ბატონო მამამზე, ჭეშმარიტად! — თან თავისი სკამიც წაიყოლია და ბესიკსა და დათუნას შორის ჩადგა. — ბიჭებო, თქვენ გორში ნათესავები გყოლიათ, ალბათ მათთან დარჩებით...

— არა, ჩვენ თქვენთან გვინდა! — ერთხმად წამოიძახეს ძმებმა.

— სანახავადაც არ წახვალთ? — იხუმრა ბატონმა მამამზემაც.

— რომ გაგვეპაროთ?

— უთქვენოდ ჩვენ არაფრად ვარგივართ, ეგ როგორ იფიქრეთ! — დაიროხროხა ბატონმა მამამზემ. — კეთილი, ახლა სჯობს, დროულად, დაბნელებამდე დავბრუნდეთ ტივზე, გოლასა და გუცასთან განვაგრძოთ ჩვენი პურის ჭამა.

– აქ რომ ყოფილიყვნენ, არ აჯობებდა? – თქვა მახარემ. – რამდენი ვეხვეწეთ და ვერაფრით დავითანხმეთ წამოსვლაზე, ტივს ვერ მივატოვებთო.

– მეტისმეტად მორიდებულნი არიან... – ბატონ მამამზეს შემდეგმა სიტყვებმა კი დარბაზის ხმაური დაფარა: – ჩვენი მამიდისთვის დიდი მადლობა მოგვიხსენებია, ჩინებული კერძები სცოდნია და ღვინო ხომ – რად გინდა ლაპარაკი!.. მურია, შე ძველო, შენც ხომ ხარ კმაყოფილი? გაგვიძეხ წინ, უშენოდ გაგვიჭირდება ტივისკენ გზის გაგნება, ატენურს გაუმარჯოს!.. სიმღერა არ გეხერხება, მაგრამ ჩვენს მრავალჟამიერს შენი ყეფით მოძახილი მაინც შეაწიე!..

კარი XVIII. ცოტაც, მეგობრებო, ცოტაც მოვითმინოთ...

დილაადრიან ჯერ ხეირიანად არც კი ჩანდა მდინარის მარცხენა ნაპირის გასწვრივ ჭალის ტყე, – უზარმაზარი, თეთრტანიანი, ლამაზვარჯიანი ვერხვები, – რომ მეტივე ძმებმა ტივი აუშვეს. ღია ცის ქვეშ გატარებულმა ღამემ გამოუნელათ ღვინით გუშინდელი თავის შექცევა (გოლა და გუცაც ეზიარნენ ატენურის ხიბლს – დუქნიდან წამოღებული სასმელ-საჭმელით ტივზე გაგრძელდა ლხინი). ბიჭებს ცოტა კი გაუჭირდათ ალიონზე წამოხტომა, მაგრამ შემდეგ გახალისდნენ.

გათენდა, თუმცა შემოდგომის ზარმაცი მზე აგვიანებდა მტკვრის ტალღებიდან არეკვლას. გრილოდა, ჩვენი მოგზაურები უკვე მიჩვეულნი იყვნენ სიცივეს; ბიჭები ორთაყვირებთან ეხმარებოდნენ მეტივეებს. მდინარის დუდუნ-ჩხრიალი ახალისებდა გარინდებულ ნაპირებს.

დარი იქნებოდა დღესაც, მოკრიალებულ ცაზე ღრუბლის ნაფლეთიც კი არ ჩანდა. მალე განათდა და გახალისდა ნაპირები; დილის გრილმა ნიავმა გამოიღვიძა და ლამაზად შეევრცხლავდა და ააშრიალებდა ჭალის ვერხვნარს, აქერცლავდა წყლის ზედაპირს. ხანდახან ფოლადისფერი წყლის ზედაპირიდან აჭრილი, ჰაერში ასხმარტალებული თევზი უკანვე ჩადგაფუნდებოდა მდინარეში; ჩიტები ჟივილ-ხივილით გადაუფრენდნენ მდინარეს, ნაპირის ბუჩქნარში კაჭკაჭის ჩხავილი აფრთხილებდა ნადირ-ფრინველთ – უცხო ხალხი გამოჩნდა, გაყუჩდით ან გაეცალეთ, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო.

– მშვენიერი ამინდია, კარგი ვქენით, რომ მატარებელში არ დავიხუთეთ, – ამბობს ბატონი მამამზე.

– ვაითუ მოკლე ხანში ნაპირზე თქვენი გაყვანა მოგვიწიოს, მაშინ რაღას იტყვით? – ქირქილებს წათე.

– რაღად გინდოდათ თავის გაწვალება, საქმეგამოლეულები ჩანხართ, – გულწრფელად უკვირს გოლას, გულახდილად ხმამაღლა გამოსთქვამს საკუთარ შეხედულებას.

– ჩვენ, რასაკვირველია, ახირებულ ხალხს ვგავართ და იქნებ ვართ კიდეც ასეთები, – ებმება საუბარში მახარე, – თქვენთვის მთავარია, ოჯახს შეეხიდოთ, ეტყობა, ღარიბი სოფლიდან ხართ და მოწეული ჭირნახული არ გყოფნით თავის გასატანად, საშოვარზეც ამიტომ დადიხართ... მაგრამ ჩვენც მართლები ვართ.

გუცამ ღონივრად მოუსვა ორთაყვირი, ტივი თავთხელს ააცილა და მხოლოდ შემდეგ შეეპასუხა:

– რათა ხართ მართალი, რა სარგებელი თქვენა გაქვთ ამ წანწალითა? ამოტელა ხალხის ტყუილად მოცდენა იქნება?

– აბა, ერთი მეც მომისმინე... – ბატონ მამამზეს მძლავრმა ბანმა ყველა მისკენ მიახედა. – უფრო ამ ყმაწვილებისთვის ვამბობ, თქვენთვის კი არა... რა შეიძლება იყოს მოგზაურობაზე მიმზიდველი? აგერ უფლისციხე გამოჩნდა, ჩვენი წინაპრების მიერ კლდეში რუდუნებით ნაკვეთი ქალაქი; შეხედეთ, როგორ ოქროსფრად არის განათებული დილის მზით... ყოფილხართ იქა, დაგივლიათ მისი ქუჩები, დარბაზები, გაგიაზრებიათ, რა შრომა, ნიჭი, დრო დასჭირდებოდა ყველაფრის გაკეთებას?

– რა არის იქ სანახავი! – წამოიძახა გუცამ. – ჩვენ სხვა რამ გვადარდებს, ვეშურებით, დღესვე ჩავაღწიოთ ქალაქსა, ამიტომ ავუშვით ტივი დილაუთენია, ირიჟრაჟა თუ არა.

– წასაუზმებაც ვერ მოვასწარით, – ბუზღუნებს წათე.

– საჭმელ-სასმელი არ გვაკლია, მადასაც არ ვუჩივით, – აბუბუნდა ბატონი მამამზე, – მივაყენოთ ტივი, უფლისციხეც მოვინახულოთ და წავიხემსოთ კიდეც.

– უკვე დაგეწყოთ? ბატონო მამამზე, როგორ ბრძანდებით? – იქედნურად გადმოხედა წათემ.

– შენ რომ გგონია, იმაზე ბევრად უკეთესად! – მოუჭრა ბატონმა მამამზემ და ულვაშები კატასავით გაეფხორა.

– ჩვენ რომ ჩვენს გემოზე მივადგეთ ნაპირს და როგორც გაგვეხარდება, ისე მოვიქცეთ, ჩვენი მასპინძლები რას იტყვიან? – შეწყვიტა ბატონ მამამზესა და წათეს პაექრობა მახარემ. – ისინი ჩვენ ანგარიშს გვიწევენ და ჩვენც ნუ ვიზამთ იმას, რომ გოლასა და გუცას გეგმა ჩავშალოთ.

– გოლა!.. გუცა!.. – დაიბუბუნა ბატონმა მამამზემ. – თქვენ თუ დაგაგვიანებთ, ზარალში ჩაგაგდებთ, გულს ნუ გაიტეხთ – აგინაზღაურებთ, ფულს გადაგიხდით... ყაბულსა ხართ?

— ბატონი ბრძანდები, — თავი დაუქნიეს ძმებმა.

— უკან როგორ დაბრუნდებით? — შეეკითხა მეტივეებს ბესიკი.

— ქალაქში ამ ტივს გავყიდით, — უპასუხა გოლამ, — მერე გადავიგდებთ მხარზე ტივების შესაკრავ თოკსა — მსუბუქი არ გეგონოს, ორ ფუთს იწონის, — და ნელ-ნელა გამოვწევთ ტიმოთესუბნისკენა...

— ნელ-ნელა?..

— მაშა... გზა-გზა ყველა დუქანში შევჩერდებით მე და ჩემი ამფსონი — მცხეთაში, შავშვებში, გორში... მოვითხოვთ თითო ჩარექა ღვინოსა, ცოტას წავიხემსებთ და მეორე დილით ისევ ფეხით განვაგრძობთ გზასა...

— ფეხით? — გაუკვირდა ბესიკს.

— მა ფაეტონით?

— მერე, არ დაგაგვიანდებათ?

გოლამ მხოლოდ გაიღიმა.

— ჩვენც ერთი-ორი დღე თუ შეგვაგვიანდება, მერე რა? — როხროხებს ბატონი მამამზე. — ვიყოთ რამდენიმე დღე თავისუფლები, თუნდაც ტივზე! გავიხანგრძლივოთ თავისუფლება, ლაღი ფიქრი და ოცნება! შიგადაშიგ შევჩერდეთ, ვითევზაოთ, დავისვენოთ, ვინადიროთ!

— მშვენიერი რამ არის, მშვენიერი, რა თქმა უნდა, — ეთანხმება მახარე, — მაგრამ ერთი გარემოება რატომ არ გაითვალისწინეთ? დავუშვათ, ფულს მივცემთ ჩვენს მასპინძლებს, ამით განა ყველაფერი მოგვარდება?

— ვითომ რატომ არა? — შეაწყვეტინა ბატონმა მამამზემ.

— იმიტომ, გენაცვალე, რომ ახლა შემოდგომაა, გლეხის საქმეს რა გამოლევს: ჭირნახული დასაბინავებელია, შეშის მომარაგება გინდა ზამთრისთვის, მოსახნავია, ზოგი რამის დათესვა ახლავე უნდა მოასწრო... ხომ ასეა?

გოლამ და გუცამ ახლაც თავი დაუქნიეს თანხმობის ნიშნად.

— გოლას ფური ჰყავ საყიდელი, მე კიდე — ცხენი, — ამბობს გუცა. — იმერეთში უნდა გადავიდეთ, სანამ თოვლს დადებს.

— აი, ხომ ხედავთ, ყველაფერი ფულით არ იზომება, — გახარებულია საკუთარი აზრის ჭეშმარიტების დადასტურებით მახარე. — ჩვენ სხვა რაღაც გვიტაცებს თუ გვახარებს, სხვას კი თავისი საზრუნავი აწუხებს.

— ეს ბალღები რაღამ გადარია ან პატრონი არა ჰყავთ? როგორ გაუშვეს შინიდან საწოწიალოდა, ჰა? — კითხულობს გუცა.

— ესენი, ბატონო ჩემო, დიდად დაბრძენებულნი გახლავან და თავად წყვეტენ, რა მოიმოქმედონ, — პასუხობს წათე. — მშობლების დარდი და გულის ხეთქვა რა ანგარიშში ჩასაგდებია.

— ხომ გაიგეს ჩვენი ასავალ-დასავალი... — თავს იმართლებს ბესიკი.

— რომ ცოცხლები ხართ? — არ ეშვება ირონიას წათე.

— წათე, კორესპონდენციებს რომ ვეღარ აგზავნი? — ეკითხება მახარე, რომ უხერხულად მდუმარე ბიჭებისაგან ყურადღება სხვა თემაზე გადაანაცვლოს. — მოდი, ბოთლში ჩავდოთ შენი უსტარი, ჩვენზე ადრე არ ჩავა ტფილისს?

— არ ღირს, — სერიოზულად მიიჩნია მახარეს წინადადება წათემ, — დღეს-ხვალ ხომ მაინც ჩავაღწევთ ქალაქს. ასე მგონია, ასი წელია, რაც სახლს დავემშვიდობე... მაინც, რა უდროოდ შეწყდა ჩვენი საჰაერო მოგზაურობა, არც კი მჯერა, რომ აღარაფერი დაგვრჩა გასაკეთებელი.

— რაღა დაგვრჩა საქმე? — ამბობს მახარე. — თითქმის არავითარი... უყურე ამ ნაპირებს, გორაკებს, სერებს, ჭალებს, უსმინე მდინარის ბურტყუნს, რას შემაჯექით მხრებზე მაგ ტივით და მიჭენაობთო... წარმოიდგინე, როგორ შეგვხვდებიან შინაურები — აი მთელი დარჩენილი ჩვენი საქმე!

— კიდევ: ჭამა და სმა, ამბების მოყოლა და სიმღერა... — ამატებს წათე.

— ჰო, ჭამაში მაგარი ხარ, სიმღერაზე — რა მოგახსენო, კარგ ამბებს კი ალბათ შენი წიგნისთვის ინახავ, — ჩაუნისკარტა მახარემ.

— ჩემს წიგნს თავი დაანებე, თვითონ რისი გამკეთებელი ხარ?

— რა ჭირი გეტაკათ? — აბუხუნდა ბატონი მამამზე. — თქვენც პატარა ბიჭები ხომ არა ხართ, რა გაჭიდავებთ ერთმანეთთან?! გადაგიშვებდით გასაგრილებლად წყალში, მაგრამ წათემ ცურვა არ იცის...

— ჩვენა ვართ პატარები? — ეწყინა ბესიკს და ხელი უშვა დათუნას, რომელთანაც მართლაც ვერ გაიყო რაღაც.

— ჭეშმარიტებას ბრძანებდით: საქმე აღარაფერი გაქვთ და ეს არის მიზეზი ყოველთა უსაქმურთა მომრავლებისა ტივზე და უკეთურ გასართობთა ძიებისა, — მაღალფარდოვნად წარმოსთქვა ბატონმა მამამზემ. — მიდით, გოლასა და გუცას შეენაცვლეთ, ერთმანეთისთვის საღრენად ვეღარ მოიცლით.

— მართლაც ცუდადაა საქმე, რაღა ვქნათ ახლა? — შუბლში ხელი შემოირტყა წათემ. — ტივი ზოგიერთის გონებაზე ვერ მოქმედებს მთლად კეთილის მყოფელად და უცნაურად ალაპარაკებს...

– ცოტაც, მეგობრებო, ცოტაც მოვითმინოთ, მალე დავემშვიდობებით ერთმანეთს, მანამდე კი ნუ დავჭამთ ერთმანეთს, – შემრიგებლურად განაგრძობს ბატონი მამამზე, წათეს არ პასუხობს. – ერთი თვე რომ გაგრძელებულიყო ჩვენი მოგზაურობა, მაშინ რაღა გვეშველებოდა?

– წათეს ჩამოვსვამდით სადმე უდაბურ კუნძულზე და მაშინვე მშვენივრად აეწყობოდა ყველაფერი, – იღიმება მახარე. – ჩვენც დავისვენებდით და წათე ხომ სულ მთლად აშენდებოდა!

– ისე აშენდი შენ! – პასუხობს წათე.

– ახალ "რობინზონ კრუზოს" დაწერდი, ჭირიმე, მეტი რაღა გინდა, სახელსაც იშოვიდი და სახრავსაც! – როხროხებს ბატონი მამამზე.

– არა, ეგ საქმე მასე მშვიდობიანად არ დასრულდებოდა: ან წათე შეჭამდა პარასკევას ან პარასკევა შეჭამდა წათეს! – შეფ-პილოტს აჰყვა სიცილში მახარე.

– ჩვენ გვინდა უდაბურ კუნძულზე, ჩვენ დაგვტოვეთ! ჩვენ დავრჩებით – მე და დათუნა! – უცებ ყვირის ბესიკი.

– ოღონდ თოფი დაგვიტოვეთ და საჭმელი! – ყვირილითვე ამატებს დათუნა.

– უყურეთ ამ ვირისთავებს! – უკვირს ბატონ მამამზეს. – კარგი, ბატონი ბრძანდებით, თუ შეგვხვდა გზაში მოზრდილი დაუსახლებელი კუნძული, მოემზადეთ გადასაბრძანებლად! ოღონდ, თუ თოფი გექნათ, საჭმელს ისედაც იშოვით, თქვენი გმირობის იმედი მაქვს! უმი ხორცის ჭამასაც შეეჩვევით!

– მტკვარზე? არა, აქ არა, ჩვენ შორს, სადმე ოკეანეში, თბილ წყლებში მდებარე კუნძულზე გვინდა! – აზუსტებს დათუნა.

– მართლა? – ამბობს წათე. – ხეები რომ დახუნძლული იყოს ბანანებით და ზღვა კი სავსე ნაირ-ნაირი თევზით, – დაცინვით ამბობს წათე. – მთელი დღე იჭყუმპალავებდით, მერე ბანანს ან ქოქოსს მიირთმევდით, წაითევზავებდით... რად გინდათ წიგნი, წერა და კითხვა, – რა კარგია!

ბიჭები გაჩუმებულნი იყვნენ.

– ხედავთ, ბიჭებო, გორს ქვემოთ მტკვარი უფრო წყალუხვი გახდა – ლიახვი და მეჯუდა, მერე ტანაც ჩაეხუტნენ მტკვრის ტალღებს. ბატონო მამამზე, ატენის ხეობა ხომ არ მოვინახულოთ?

– ოჰ-ოჰ-ოჰ!.. – აღმოხდა ბატონ მამამზეს, – ატენურ ღვინოს ნუღარ მახსენებ, ღმერთების სასმელია, ჩვენ არა ვართ ღირსი! ჯობს, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ, რამდენი რამ გვაქვს გასახსენებელი – ერთი კვირის... არა, უკვე ათი დღის თავგადასავალი, დღეს ხომ უკვე ოცდაცხრა სექტემბერია.

– რა უნდა გავიხსენოთ? ბევრი არაფერი... – ოხრავს წათე. – მეგონა, თავგადასავლები თავზე საყრელად გვექნებოდა, ვნანობდი, ოცდაათი მტრედი რას მეყოფა-მეთქი... ვაგლახ!

– ნანობ, წათე ბატონო, ჩვენისთანა უღირს გვამებთან რომ წამოხვედი? – მხარზე დაჰკრავს ხელს ბატონი მამამზე. – სულ ტყუილად... მატარებლით წაბრძანებულიყავი, ვინ დაგიშალა? თუ დროის დაკარგვად მიგაჩნია, რომ დედა მდინარე მკერდზე მიხუტებულს სულ რწევით მიგასრიალებს, შენი სამშობლოს გულს საკუთარი თვალით იხილავ...

– რას ვიხილავ, ამ გადახრიოკებულ გორმახებს?

– რათა, კაცო, გახედე ერთი: გორაკი არ არის, რომ ეკლესია არ იდგეს მის წვერზე ან პატარა სალოცავი მაინც. შეხედე, ამ თალხ, ნაღვლიან ფერებში რაოდენი მომხიბვლელობაა... – მხარს უჭერს ბატონ მამამზეს მახარე.

– მაინცდამაინც ტროპიკული ტყეებით უნდა იყოს შემოსილი ეს მთები, რომ შენ თვალი მოგჭრას? – განაგრძობს ბატონი მამამზე. – რაღა – დათუნა და ბესიკი და რაღა – შენ, ანანასები გელანდება. არა, ძმაო და მეგობარო, მე დიდად კმაყოფილი გახლავარ და სხვებისა – რა მოგახსენოთ...

– ახლა რომ ვუკვირდები, სისულელე იყო ჩვენი წამოსვლა, – ისევ თავისას გაიძახის წათე. – ჩვენი საუბარი და კამათიც სისულელეა, უაზრობაა.

– სხვა საქმე მაინც არ გაგვაჩნია, წათე ჩემო, – ისევ შემრიგებლურად უღიმის ბატონი მამამზე. – ისე კი, ხანდახან გვაქვს უფლება სისულელეების თქმისაც და უწყინარი შტერობის ქმნისაც... რა ვუყოთ მერე, ჩვენ არც ძველი ფილოსოფოსები ვართ და არც შიო მღვიმის სენაკში დაყუდებული ბერები. ხანდახან თუ არცთუ მთლად ჭკვიანური სურვილები თუ ოცნებები გაგვიტაცებს, არც ეს არის დიდი ცოდვა, – რა ვქნათ, ყველანი ადამის შვილები ვართ.

– მე შენი ვერაფერი გავიგე, წათე... – იწყებს მახარე, მაგრამ ბატონი მამამზე აწყვეტინებს:

– არაფერია, მახარე, არაფერი, წათეს მისი ნალაპარაკევი ხუმრობაში ჩამოვართვათ, ჩვენ კი ყოველთვის ბრძნულად ვმსჯელობთ ან ვიქცევით? აგერ ბესიკი და დათუნაც ხუმრობით ძიძგილაობენ, თორემ რა აქვთ გასაყოფი ამ ერთი ხელის დადება ტივზე, გაგონილა ტივზე ჭიდაობა?

– ბიჭებო, თქვენც ნახეთ რაღა საჭიდაო ადგილი, – წამოდგა ფეხზე მათ გასაშველებლად მახარე. – ისე ვატყობ, მეტისმეტად დაგცხათ და მტკვარში აპირებთ გაგრილებას, აბა, ვინ ვის!..

– არა, კაცო, ესენი კი არ ჭიდაობენ, ცეკვავენ! – ხუმრობს ბატონი მამამზე. – მოსწყინდათ ყმაწვილებს უქმად ყოფნა და ცხელი სისხლი არ აჩერებთ ადგილზე წყნარად.

– ფრთხილად, ბიჭებო, არ გადაცვივდეთ ტივიდან! – ისევ წუხს და ვერ ისვენებს მახარე. – ხომ ხედავთ, ნაპირ-ნაპირ აქ ვერ დაეწევით ტივს.

– ნუ გეშინიათ, რაც გინდა მოგივიდეთ, მტკვარი ბოლოს მაინც ქალაქში ჩაგიყვანთ! – მერამდენედ ისმის ტივზე ჩვეული ხუმრობა, ამჯერად ბატონ მამამზეს მიერ როხროხით გამეორებული.

– დაუჯერეთ მახარეს, ჭკვიანი კაცია, – ამბობს წათეც, – ხომ იცით, ექიმობა დაიბრალა და თუ მართლა მკურნალი დაგჭირდეთ, ვაი თქვენი ბრალი!

– მიდით, მიდით, თქვენ გენაცვალეთ, ტაში, ტაში! – ცმუკავს ბატონი მამამზე და ხელისგულებს არ ინდობს, მთლად ღიმილად არის ქცეული და თვალებიც სიამოვნებით უჟუჟუნებს.

ბესიკი და დათუნა, დარცხვენილები, შორდებიან ერთმანეთს. მართლაც, საჭიდაოდ თუ საცეკვაოდ ტივზე უფრო მოუხერხებელი ადგილი ძნელი მოსაძებნი იქნებოდა.

კარი XIX. ჩემისთანა მოლექსისგან გეკუთვნის კარგი პანღური!

უცებ ბესიკი სხაპასხუპით ამბობს:

– ჭიდაობას რომ მიპირებ,
მუხლი აგკანკალებია, –
შენისთანა ბიჭბუჭები
ბევრი მიჭანჭყარებია!

– დიდი ვერაფერი შვილი შაირია, მაგრამ დასაწყისისთვის არა უშავს... აბა, დავით ბატონო, ებმები პაექრობაში? – აქეზებს მახარე.

დათუნას არ დაუხანებია, მაშინვე გასცა პასუხი:

– ეგრე რატომ შემაშინე,
დამაკარგვინე ფერიო,
პილპილა სიტყვა ამოგცხო,
იგლიჯო თმა და წვერიო!

– ყოჩაღ, დათუნა!.. – ღიმილით ამბობს ბატონი მამამზე. – ვატყობ, ორივენი მაგრები ხართ. ხშირად პაექრობთ ერთმანეთში?

– რა ვიცი, როცა მოგვეხასიათება, – პასუხობს ბესიკი.

– აბა ჰე, ბესიკ, რაღას უცდი?

ბესიკმა – დათუნას პასუხად:

– ბიჭო, რას მეჭიდავები,
ჭკუა სად დაგითესია,
თუ არ შემეშვი, მიგტყეპავ,
როგორც რიგი და წესია!

დათუნამ უპასუხა:

– ბაღჩაშია გადვიხედე,
დავინახე შენი დინგი,
ყურებით რომ დაგიჭირე,
ტყუპ-ტყუპადა ჰყარე ტლინკი!

– კარგი ხარ, დათუნა! – გაამხნევა ბატონმა მამამზემ.

– ბესიკი უკეთესს მიართმევს! – ცეცხლს უნთებს პაექრობას მახარე.

ბესიკი პასუხობს:

– ბიჭო, თუ არ დაჭკვიანდი,
გამომტყუებ კარგ სილაქსა,
ისე გაგიხდი საქმესა,
კბილებით სცრიდე სილასა!

– ხომ ვიყავი მართალი! – გახარებულია მახარე.

– მოიცა, მოიცა, ახლა დათუნას ვაცალოთ, – აწყვეტინებს ბატონი მამამზე.

დათუნაც არ აგვიანებს პასუხს:

– ოჩან ჩოჩრით მიჩაქჩაქობ,
გგონია – ბედაურიო,
რა მაგარი მოლექსე ხარ,
იცოდე, მომკლავს შურიო!

ბატონმა მამამზემ ვერ მოითმინა და ტაში დასცხო.

– ბესიკ, აბა ერთი შენებურად! – წამოიძახა მახარემ.

– ბიჭო, თავი დამანებე,
ვეფხვთან რა გინდა კატასა,
შენ რომ ერთ შაირს მაღირსებ,

პასუხად გესვრი ათასსა!

ბოლო სიტყვებზე ბესიკმა ხელი გაიქნია დათუნასკენ, თითქოს მართლაც რაღაცა ესროლა. დათუნამ უპასუხა:

– სამი სიტყვა გუშინ გითხარ,
სამიც დღესა – გახდა ექვსი.
შენთან ვერა გავყიდე რა,
ვერც შაირი, ვერცა ლექსი.

– დახე ამ ვირისთავებს, რამდენი შაირი სცოდნიათ! – ამბობს მახარე. – აბა, ბესიკ, შენებურად დასცხე!

– რამ გაგხადა კომშის ფერი,
ეგრე შენ რამ შეგაშინა?
ერთნაირად აღავღავდით,
მურა – გარეთ, შენ კი – შინა!

– აბა, დავით, არ გაჯობოს, ბიჭო! – შეუძახა ბატონმა მამამზემ.

დათუნა ცოტა შეყოვნდა:

– ახლავე, ახლავე...

– ჰა, რას დადექი, გამოგელია საგზალი? – უთხრა დათუნას მახარემ.

ბესიკმა კი არ აცალა დათუნას პასუხის გაცემა და ისევ სტყორცნა შაირი:

– გაგჭირვებია, დათაო,
შენი შემყურე ტირისა.
შენს სიტყვა-პასუხს აქებენ,
როგორც რო ყროყინს ვირისა!

ყველამ გადაიხარხარა, რასაკვირველია, დათუნას გარდა.

– მაცალეთ!.. ხელს მიშლით!.. – აწყნარებდა მათ დათუნა, მერე ბესიკს უპასუხა:

– ჩემს მოქიშპეს შევუკაზმე
კუზიანი, კოჭლი ტურა.
შევაჯინე, გააჭენა, –
ცხენი თუ ეგონა ურა,
შეღმართში ვეღარ ივარგა,
თავდაღმართში გაახურა!

ახლა ბესიკს წამით შეაგვიანდა პასუხი და დათუნამ არ აცალა, მეორე შაირიც მიაყოლა:

– ბეჩავო, ეს რა მოგსვლია:
მადანი გამოგელია,
ისე მოგიკუპრავ პირსა,
როგორც რო ცხვარსა მგელია!

– ბარაქალა, დათუნა! – ტაში დაუკრა ბატონმა მამამზემ.

ბესიკმა, იმის ნიშნად, რომ ფარ-ხმლის დაყრას არ აპირებდა, თითქმის ყვირილით დაიწყო:

– ვირსა, ბიჭო, რით სჯობიხარ,
მე თუ მკითხავ, არაფრითა,
ორთავ გიყვართ ტლინკთა ყრაი
და ყროყინი დიდი ხმითა!

დათუნამაც აუწია ხმას:

– ღმერთმა შენთვის გაიმეტა
ცოტა ჭკუა, დიდი ყური.
ხიდისთავს შაირი გტყორცნე, –
მცხეთას მოგივიდა გული!

– დათუნა, რითმა არ გივარგა, – ჩაერია პაექრობაში წათე.

– მაცალეთ, ორთავ ბეჭზე უნდა დავცე! – გაცხარდა ბესიკი:

– ლიახვი ადიდებულა,
მოაქანებს ტალღებსაო,
შენი ქეციანი თავი
არ გივარგა სალექსაოდ!

დათუნამ უპასუხა ბესიკს:

– ბაღჩაშია გადვიხედე,
დასდევდი ხარაბუზასა,
ტვინი როგორ გაგიწყალდა, –
ვერ არჩევ კარგს და ცუდასა!

ბესიკმა დათუნას უპასუხა:

– ეგ შაირი ვინ გასწავლა,
ვინ მოგცა ხელში ფანდური,
ჩემისთანა მოლექსისგან

გეკუთვნის კარგი პანღური!

დათუნამ:

– ყვავო, ყვავო, ყვანჩალაო,
რათა ხარ მაჩანჩალაო,
რა გაშაირებს, გეკუთვნის
პურის მაგივრად – ჩალაო!

პასუხად ბესიკმა:

– შენ ლექსის რა გაგეგება,
მაინც ამბობ, კარგი ვარო!
გიჯობს, თავი დამანებო,
თუ არ გინდა, ჩაისვარო!

– ბესიკ, მყრალ სიტყვებს ერიდე! – ურჩია ბატონმა მამამზემ.

– რათა, კაცო, ეგ არაფერია, შაირს უხდება, – გამოესარჩლა ბესიკს მახარე. – ზოგჯერ უწმაწური სიტყვებიც თუ გამოერევა, არც ეგ არის დიდი ცოდვა, აბა ისე რა შაირია!

– ესეც შენი მასწავლებელი!.. – გაიცინა წათემ. – აღმზრდელი!..

დათუნამ ბესიკს უპასუხა:

– ყველაფერი მიდი-მოდის,
ერთხელ კაციც დაბერდება.
შენს გახვრეტილ გოგრაშია
ტვინი როგორ გაჩერდება!

ბესიკმა უპასუხა:

– საცრით წყალი გიზიდია,
ჭკვაზედ იყავი ავადა.
ნეტავი რა გელექსება –
საქმე მიგიდის შავადა!

დათუნამ:

– შაირობა ვინ გასწავლა,
ვინ ჩადგა ცოდვაში ფეხი.
ჩემთან ქიშპობას გერჩივნოს
ფეხსალაგში სტუცო ფეხი!

– არა, ეგ არ ვარგა, რა რითმაააა: "ფეხი" – "ფეხი"! – რატომღაც გაცხარდა მახარე.

ბესიკმა უპასუხა დათუნას:

– აქამდე რომ ღავღავებდი,
თურმე ღვინო გწყურებია,
შენნაირი მეშაირე
ბევრი გამიცურებია.

– ბიჭებო, ბიჭებო, საკმარისია, ვხედავთ ცხადად, რომ ტფილისამდე არ მოგვაწყენთ, მაგრამ ყველაფერს ზომიერება უხდება, – შეაწყვეტინა პაექრობა ძმებს ბატონმა მამამზემ. – ტფილისში წაივარჯიშეთ კიდევ, დახვეწეთ თქვენი ნიჭი და ცოტა ხანში ერთმანეთს რომ შევხვდებით სალხინოდ, მაშინ გააგრძელეთ.

– კიდევ უნდა შევხვდეთ? – იკითხა წათემ.

– დიახ, წათე ბატონო, რამ შეგაშინა? – გაეცინა ბატონ მამამზეს. – უნდა შევხვდეთ და ვიქეიფოთ, აბა რა, ხომ უნდა აღვნიშნოთ მეგობრებთან ერთად ჩვენი მოგზაურობის დასრულება! ჰოდა, ამიტომ ახლა არ გეტყვით, რომელმა გაიმარჯვა, ეს ჯერ ადრეა, ორივენი კარგები ხართ. თუ ასეთი ნიჭი გქონდათ, აქამდე რატომ ვერაფერი შეგამჩნიეთ?

– ერთიც, ერთიც უნდა ვთქვა! – თხოვნით ყელი გამოუწია ბატონ მამამზეს დათუნამ და დასტურს არ დაუცადა:

– შენს შაირზე მეცინება ძალიან,
შენ განაგრძე, მე კი არა მცალია!

ბოლო სიტყვა მაინც ჩემი იყო!

ბესიკი განაწყენდა, გავაგრძელოთ შაირობაო, მაგრამ ვერაფერს გახდა. მალე ბიჭებმა ახალი გართობა-თამაშობა მოიგონეს: ორივენი ერთ მორზე დადგნენ პირისპირ და ჯიკავ-ხელისკვრით ცდილობდნენ, ერთიმეორის მორიდან გადაგდებას. აქ ბესიკმა აჯობა და დაშოშმინდა.

– როგორ დაიკლაკნა აქ მტკვარი, ზოგჯერ თითქოს უკან ვბრუნდებით, – ამბობს მახარე. – ცოტაც და გაღუნვის თუ მოხრის ადგილები შეერთდება და აქ კუნძული გაჩნდება.

– გზაც შემოკლდება, – უმატებს წათე.

– არ ჯობს, გასწორდეს მდინარის კალაპოტი? ტივებიც უფრო სწრაფად ჩავიდოდნენ ქალაქში, – ამბობს დათუნა.

– მდინარეს შენ უკარნახებ რამეს? – როხროხებს ბატონი მამამზე. – როგორც მოუნდება და მოესურვილება, ისე და იქით წავა, საითაც უნდა, იქით გაუხევს. აგე, რა სახნავი აქვს წაღებული, თითქოს დანით ჩამოუთლიაო.

– უფრო ლამაზიც ხომ იქნება? – თავის აზრს ავითარებს დათუნა.

– ვითომ? – ეჭვით შეხედა დათუნას მახარემ. – დადექი და სახაზავით გაასწორე კალაპოტი, რა გამოვა? ერთფეროვნება, ერთფეროვნება კი მოსაწყენია. რა საჭიროა მაშინ ტივით მოგზაურობა? მიდი ერთ ადგილას, ახედ-დახედე და მეტი ხეტიალი აღარ დაგჭირდება, უკვე ყოველმხრივ გეცოდინება მდინარის ასავალ-დასავალიც, ფერიცა და გემოც... საბედნიეროდ, ბუნება ვერ იგუებს ერთფეროვნებას. აგერ, მორევში შევცურდით, ნახე, როგორ ტრიალებს წყალი!

– აბა, ბიჭებო, აქ დაგჭირდებათ ორთაყვირების მაგრად მოსმა, – ბუხუნებს ბატონი მამამზე. – არიქა, ბიჭებო, თორემ დაატრიალებს ტივს და თავბრუს დასხმა მაკლია მე?

წათეს ეღიმება, რაღაცის თქმას აპირებს, მაგრამ ბოლოს თავს იკავებს.

– რაღაც ერთმანეთის ჭამის ხასიათზე დავდექით, ხომ არ მოგშივდათ? – კითხულობს შემდეგ ბატონი მამამზე და იწყებს ფათურს გვერდით მდგარ ყუთში; ჯერ ერთი ბოთლი ამოიღო, შემდეგ – კიდევ რამდენიმე. – ვენაცვალე ამის დამწურავს, ატენური თუ შეგვარიგებს, შენ რას იტყვი, წათე ბატონო?

– მე, რა ხანია, ვთქვი, დილით საუზმე არ მიგვირთმევია-მეთქი და ყური არავინ შეიპარტყუნა. – აბუზღუნდა წათე და მაშინვე მივიდა ბატონ მამამზესთან სუფრის გაშლისას დასახმარებლად. – ზოგიერთებივით უმადობას კი არ ვუჩივი... ლამის შუადღემ მოაწია, კიდევ კარგი, ახლა მაინც გაგახსენდათ ჩვენი თავი...

დანარჩენებიც წაესივნენ საერთო სახალისო საქმეს, მხოლოდ მეტივე ძმებს წამითაც არ გაუშვიათ ხელიდან ორთაყვირები.

კარი XX. "ვივლით გამარჯვებით!"

– აბა, ყველანი დალაგდით? – იკითხა ბატონმა მამამზემ და სავსე ჭიქა ასწია: – უპირველესად დავლოცოთ ეს კურთხეული ადგილი, დავლოცოთ ეს მზიანი, თბილი დღე, ეს ჩვენი ტივიც და მისი პატრონებიც – გოლა და გუცაც დავლოცოთ!.. თქვენს მარჯვენას გაუმარჯოს!..

– ვითომ რატომ არის კურთხეული ეს ადგილი? – თითქოს თავისთვის ჩაიბურტყუნა წათემ, მაგრამ ისე, რომ სხვებსაც გაეგონათ.

– რანაირი წესია ეს: ჩვენ ვლხინობთ, მეტივეებს ვადღეგრძელებთ, ისინი კი შრომობენ! – უკმაყოფილება გამოთქვა მახარემ. – მოდით, მასპინძლებო, გვერდი დაგვიმშვენეთ!

გოლამ და გუცამ მდოვრე ადგილი შეარჩიეს, ტივი ნაპირს მიაყენეს და თოკით ხეს მიაბეს; დასვენება სჭირდებოდათ ორივეს.

მზესაც უხაროდა რაღაცა, ისეთი გამეტებით აკაშკაშებდა ბრიალა თვალს, ისე ჰფენდა არემარეს მაცოცხლებელ სხივებს, ისეთ თბილ ჟრუანტელად დაუვლიდა ყოველ სულდგმულს...

მეტივეებმა სამადლობელი დალიეს და ბატონმა მამამზემ მორიგი სადღეგრძელო წამოიწყო:

– ახლა, როცა ჩვენი მოგზაურობის დასასრულამდე სულ რამდენიმე საათიღა დარჩა, მე მინდა, გავიხსენო ჩვენი საჰაერო ბურთი "გულადი მაწანწალა"... მადლობა შევწიროთ მას ყველაფრისთვის და უპირველესად კი იმისთვის, რომ ბევრ რამეზე აგვიხილა თვალი, მრავალი რამ ახალი და უჩვეულო დაგვანახა იმ სიმაღლიდან; ამ მოგზაურობით ჭკუაც მოგვემატა და გამოცდილებაც. ჩვენთვის "გულადი მაწანწალა" არ იყო მხოლოდ ჩვენი დროებითი სახლი და იმავდროულად – საჰაერო ეტლიც, ის ჩვენთვის ცოცხალი, სულიერი არსება იყო, რომელმაც ჩვენთან ერთად ბევრი იხეტიალა, მრავალი ხიფათიც გადაიტანა და ბოლოს, ვაჟკაცურად ჩვენს ხელში დალია სული... რაც შეეძლო, ყველაფერი გააკეთა, პირნათლად მოიხადა თავისი ვალი და, რაც მთავარია, "გულადმა მაწანწალამ" ჩვენს საკუთარ არსზე ბევრი რამ გვამცნო და ამით გაგვამდიდრა საკუთარი შესაძლებლობისადმი რწმენით, ოცნების ახდენის რწმენით... ის ხალხიც ვადღეგრძელოთ, ვინც "გულადი მაწანწალა" შექმნა და ისინიც, ვინც ამაგი დასდო ჩვენს მოგზაურობას...

დანარჩენები რას იტყოდნენ ბატონ მამამზეს შემდეგ, ამას თქვენც მიხვდებით.

გაუტკბათ გემრიელი პურისჭამა მდინარის შრიალ-ბუტბუტში, ადგილიდან დაძვრა უძნელდებოდათ. ნაპირთან წყალი რაღაცას ჭუჭყუნებდა თავისთვის აკვნის ბავშვივით, წყალი ცოცხალი იყო, მოუსვენარი და დროდადრო – ცელქიც, როცა ნელი ბიძგით ააქანავებდა-დაარწევდა ტივს, მაგრამ ისე ნაზად, რომ პირთან მიტანილი ჭიქა ტუჩებს მაინც არ ასცდებოდა...

შემდეგ აუშვეს ისევ ტივი, ისიც, ნებიერად გაწოლილი მდინარის ზურგზე, აჰყვა-დაჰყვა ჩქერათა სრბოლას, ხანაც დინჯად გასრიალდებოდა მყუდრო ადგილებში – თამაშობდა, თითქოს მანაც მიირთვა ატენური და ახლა, გახალისებული, აგრძელებდა გზას... თითქოს მანაც იცოდა, რომ ცოტაღა დარჩა წყალზე საბუქნავი და სალაღობო, მალე ქალაქს მიაღწევდნენ და იქ დამთავრდებოდა ტივის მოგზაურობაც... მაგრამ არა – მორების! იქ ტივს დაშლიდნენ და ან ბითუმად იყიდდა ვინმე, ან სათითაოდ ამოათრევდნენ ხმელზე და ისე ცალ-ცალკე გაუყენებდნენ გზას – ვის საით და ვის კიდევ საით... ამჟამად ტივის ზურგზე მოკალათებული მხედრებიც დათითოვდებოდნენ და თავ-თავიანთ საქმეს ეწეოდნენ – მათი გზა-სავალიც გაიყრებოდა, მაგრამ ერთი შეღავათი ის იყო, რომ მოგზაურები ცხოვრების ტალღებში ცურვისას, შესაძლოა, ისევ შეხვედ-

როდნენ ერთმანეთს – ერთიმეორის მონატრების მაგნიტით მიზიდულნი ან შემთხვევითობის წყალობით...

ჯერჯერობით კი გორიდან წამოყოლილ საგზალს ინელებდნენ და თვალს აყოლებდნენ ციცაბო ნაპირზე გამოჭენებულ პატარა, ჯერაც მწვანე კორომს, ზედ კიდესთან რომ შემდგარიყო და წყალში იცქირებოდა, ან აკვირდებოდნენ მკვეთრ მოსახვევთან ქვიშაქვების დანაოჭებულ წყებას, ან ურო ბალახითა და ვაციწვერათი გადაყვითლებულ, ხრიოკ ბორცვებზე ძეძვის ბუჩქების ჟანგისფერ ლაქებს... ხანდახან გამოჩნდებოდა აღებული ყანაც აჩალული სიმინდის ზვინებით, მესრით შემორაგული მსხმოიარე ვაშლის ბაღი, აკაციების შავტანიანი ჯარი, აქა-იქ კი, უფრო სოფლებში, მოჩანდა ცისკენ ღონივრად წასული ჭადრების მსხვილი ტანები, ალვების ჩარიგებული თითისტარები; ზოგჯერ, ძალიან შორს, თრიალეთის ღრმა ნაოჭებში, შეამჩნევდნენ მუქ მწვანე ნაბადს ნაძვნარისა; მეორე მხარეს, მტკვრის მარცხენა ნაპირის გაყოლებით, კვერნაქის ქედის უსიცოცხლო, ღრანტეებით დასახიჩრებული უზარმაზარი ჯოჯო გაწოლილიყო; მერე აშურიანის უდაბნოსავით უდაბური და ნაღვლიანი ველი გამოჩნდა – ქედსა და მდინარეს შორის გაშლილი, მარჯვენა ნაპირზე კი მოჩანდა სოფლების მწვანეთ მოკაზმული სახლ-კარები, ცისკენ აწოწილ-აზიდული ეკლესიათა გუმბათები, ალაგ კი – გორაკთა კორტოხებსა და ფერდობებზე სასაფლაოთა ოთხმხრივ გათლილი მუქი ქვები გაფანტულიყო...

ნაღველი გამოკრთოდა ჩვენს მოგზაურთა თითქოსდა ღვინით გამხიარულებულ სახეებშიც.

– აგე, ბიჭებო, მდინარე თეძამი შემოგვიერთდა, – ეუბნება ბესიკსა და დათუნას მახარე. – ზევით თუ აუყვებით მის ხეობას ცხენით ან, უმჯობესია, ფეხით, რამდენ რამეს ნახავთ საინტერესოს! ჯერ ჯავახაანთ ციხე – ქაჯეთის ციხე – გაგახსენდებათ, რკონის დიდებული ტაძარი, იქვე – ერთმალიანი კუზიანი ხიდი, ჩვენი წინაპრების სამშენებლო ხელოვნების შესანიშნავი ნიმუში... სულ ახლოს თეძამის ხეობიდან, შავწყალას ხეობაში, იკვის კოხტა, ფრესკებით დამშვენებული ეკლესიაა... ახლა – თვით ხეობის სილამაზე!.. თუმცა საქართველოში რომელი ხეობაა ისეთი, იქ ხეტიალი არ ღირდეს! ამ ჩვენს დალოცვილ მამა-პაპათ რამდენი უშრომიათ, რამდენი ოფლი უღვრიათ, რომ ჩვენ რიხითა და სიამაყით შევხედოთ მათ ნაღვაწს და სხვებსაც დავანახოთ!..

– შენ ისა თქვი, ჩვენ რომ წავალთ იმ ქვეყანას, რას დავტოვებთ, ჩვენგან რა დარჩება? – შეეპასუხა-შეეპაექრა წათე. – ამ წყალს გატანებული ცარიელი ატენურის ბოთლები?

ატენურისა და გემრიელი საჭმლის მირთმევის შემდეგ მახარე მშვენიერ გუნებაზე იყო (თუმცა ცუდ განწყობილებაზე უმეტესად არც სხვა დროს ბრძანდებოდა), ამიტომ შემწყნარებლური ხმით მიუგო წათეს:

– შენგან ერთი ავი თუ კარგი წიგნი მაინც დარჩება ჩვენი მოგზაურობის შესახებ, ხომ კი? ესეც ხომ საქმეა! ეს ბიჭები ცოტათი გავანათლეთ, გაიხედ-გამოიხედეს, ზოგი რამ ჩვენც დავანახვეთ, ზოგზე დავაფიქრეთ, მათ კაცებად ჩამოყალიბებაში ცოტ-ცოტა წვლილი ყველამ გავიღეთ, უფრო კი – ამ დიდებულმა მდინარემ, ამ ლამაზმა გარემომ... აგერ სოფელი მეტეხი; გეცოდინებათ: იქაური ღვთისმშობლის საყდარი XIII საუკუნისაა... ზევით, ფერდობზე, ფავნისის ეკლესიაა ძველი, კეთილშობილური ჩამქრალფერებიანი მოხატულობით; უფრო მაღლა კი – ერთაწმინდის წმინდა ესტატეს დიდი ტაძარია, სადაც გიორგი სააკაძის ვაჟის – პაატას – თავია დაკრძალული... ახლა ამას ყველაფერს ვერ ნახავენ ბესიკი და დათუნა, მაგრამ ეცოდინებათ, რომ როდისმე სანახავი აქვთ და აუცილებლად მოინახულებენ კიდეც, ამაში ეჭვი არ მეპარება. არც იმაში მეპარება ეჭვი, რომ, თუ ჩვენ ვერაფერი შევმატეთ დიდად ღირსშესანიშნავი ჩვენს ერს, ეს ბიჭები შეეცდებიან, ჩვენზე უკეთ გაისარჯონ და ამ მხრივ გვაჯობონ; ესენი თუ ვერ შესძლებენ ამას, მათი შვილები და შვილიშვილები მაინც არ დააკლებენ ხელს...

– ეჰ-ეჰ, საით გაუტიე! – შეაწყვეტინა წათემ. – ისე გამოდის, რომ თუ რამე არ გაგიკეთებია დიდი და საქვეყნო, ტყუილად გიცხოვრია?

– რათა, კაცო, მასეთი არაფერი მითქვამს! – ცოტა გაცხარდა მახარე. – ცხოვრება ცხოვრებაა, თუკი პატიოსნად განვლე, თუკი მცირეოდენი სიკეთე მაინც დათესე, უკვე შეიძლება, ჩათვალო, რომ უქმად არ გიტკეპნია მიწა, ერთი აგური მაინც დაგიდვია ერის წინსვლაში... ცოტა სიხარული თუ მიგინიჭებია სხვებისთვის, მადლის მოსხმა ხომ არის? აი, ჩვენ რომ ხანდახან ვჯიჯღინებთ ერთმანეთში, უაზრობა არ არის განა? ბიჭებსაც ცუდ მაგალითს ვაჩვენებთ...

– მართლაც, ძალიან გაუტიე, ჩემო მახარე! – აბუხუნდა უცებ ბატონი მამამზე. – აბა, როგორ გინდა, სულ მზე ჩახჩახებდეს, მუდამ დარი იყოს? ბუნებაში ასეთი რამ არ ხდება და ადამიანთა ურთიერთობაშიც შეუძლებელია, მარად სიამტკბილობა სუფევდეს. კარგიც უნდა ნახონ და ნაკლებ მიმზიდველიც, შენ არა სთქვი, ცხოვრება ცხოვრებააო? ყველაფერს უნდა გაუგონ გემო.

– ნამეტანი როხროხით ლაპარაკიც რომ არ არის მოსაწონი? – იცინის წათე.

– რა ვქნა, ეს ოხერი, ასე ვარ მომართული, ასეთი გავჩნდი ქვეყანაზე! – უარესად აროხროხდა ბატონი მამამზე და თან ისეთი ხმამაღალი ხარხარი მიაყოლა, რომ უნებურად ყველა სიცილით აჰყვა – ბიჭებიც, მეტივეებიც, მახარეც და წათეც; ვგონებ, ტივიც კი თახთახებდა სიცილისგან და ტალღები ხომ ღიმილით დანაოჭებულიყვნენ; მზეც კისკისებდა, კისკისებდა – გაიხარეთ ყველამო!

– ბესიკი და დათუნა ძმებია, ერთი დედ-მამის შვილები, – განაგრძო ბატონმა მამამზემ, – მაგრამ მაინც სულ კინკლაობენ. გინდაც ტყუპი ძმები იყვნენ, მაინც ბოლომდე ვერ გაუგებენ,

ვერ შეეთვისებიან ერთმანეთს. აგე, წათე რომ გვეჯიჯღინება მუდამ, ვერ არის მოსაწონი, თუმც კი გასაგებია ჩემთვის – რაღაცას ყოველთვის მოძებნი სხვის მოქმედება-ქცევაში, აზრში, გამოხედვაში, სიცილის ყაიდაშიც კი, რაც შენში იწვევს უარყოფით დამოკიდებულებას, არ მოგდის თვალში... ერთი სიტყვით, რა ვქნათ, ასეთები გავჩენილვართ ამ ცოდვილ მიწაზე – ერთმანეთს არ ვგავართ და ამას უნდა შევეგუოთ, შევეჩვიოთ. ის კი არა და, ეს არის სწორედ კარგი და მიმზიდველი, ორ ერთნაირ პიროვნებას რომ ვერ ნახავ; აბა, რას ემგვანებოდა ქალაქ-სოფელი, ყველა რომ თუნდაც ჯარისკაცებივით ერთნაირად ჩაცმულ-დახურული დადიოდეს? დაღონდებოდი მოწყენილობისგან, ასე არ არის, წათე ბატონო?

წათეს კი მიმართა ბატონმა მამამზემ, მაგრამ მზერა კი ბესიკსა და დათუნას მიაპყრო.

– რა ბრძანე ვითომ ახალი და განსაკუთრებული? – უპასუხა წათემ.

– არაფერი, მაგრამ ბიჭებისთვის, შესაძლოა, ახალიც იყოს და სასარგებლოც!..

ბიჭები წყნარად ისხდნენ – არც ძიძგილაობდნენ და არც ხმას იღებდნენ, მხოლოდ იღიმებოდნენ.

– აი, წათე ბატონი ამიჯანყდა, ტივზე აღარ ხარ უფროსიო, – განაგრძო ბატონმა მამამზემ. – მართალია, რას ერჩი... მე ყოველთვის ვერ ვიქცეოდი დინჯად, როგორც უფროსს შეეფერება, ზოგჯერ საერთო ნერვიულობას ავყვებოდი და თავს ვერ ვიკავებდი, ვუხეშობდი. როგორც ყოველ საჰაერო ბურთს გააჩნია სიმაღლის საზღვარი, – "ჭერი", – ისევე ყოველი ადამიანის შესაძლებლობებიც შეზღუდულია... ალბათ არ ვარგივარ უფროსად, ჰა, რას იტყვი, წათე ბატონო? სხვა უფროსი აგერჩიათ – უფროსი ტივზეც აუცილებელია...

– წათე, – ჩაერთო უცებ მახარე, – აი, ბატონმა მამამზემ ბიჭების სურვილს ანგარიში გაუწია და ჩვენთან სამოგზაუროდ დატოვა, შენ იკისრებდი ასეთ პასუხისმგებლობას?.. გეყოფოდა ვაჟკაცობა?

წათემ გაჩუმება არჩია.

– ზოგჯერ ადამიანის ქცევაც ისევე წინასწარ გაუთვალისწინებელი და მოულოდნელია, როგორც საჰაერო ბურთის ფრენის მიმართულება, – განაგრძო ბატონმა მამამზემ. – ახლა, ჩვენი მოგზაურობის დასასრულს, მინდა, ბოდიში მოვუხადო ყველას, ვისაც ჩემდა უნებურად რამით ვაწყენინე, შევზღუდე მისი ნება... ასეა, როცა ერთად ვართ და საერთო საქმეს ვემსახურებით, საჭიროა და აუცილებელიც ჩვენ-ჩვენი სურვილები მოვთოკოთ, რათა საზოგადო საქმე არ დაზარალდეს...

– სამაგიეროდ, ახლა, ტივის ცურვას მინდობილებმა, ზუსტად ვიცით ჩვენი მგზავრობის მიმართულება, მაგრამ მაინც ვერსად გავისეირნებთ ჩვენს გემოზე, – ამბობს მახარე. – დიდი-დიდი, რამდენიმე ნაბიჯს გადადგამ აქეთ-იქით ტივის კიდემდე, თუ, რასაკვირველია, ჭყუმპალაობა არ მოგენატრა.

– რაღა ციხე და რაღა ჩვენი მდგომარეობა, – ვითომ მახარეს აზრს ავითარებს წათე, მაგრამ მახარე არ ეთანხმება:

– არა, რას ამბობ, კაცო! აქ ჩვენ წინ ვმოძრაობთ, ათას რამეს ვხედავთ... ნეტა ყოველ წელს მასეირნა ტივით!

– კარგი ერთი და! – ხელი აიქნია გაღიზიანებულმა წათემ, – რას ვხედავთ, ამ ხრიოკ ბორცვებს და ქედებს?

– ჯერ ერთი, არც ისეთი ხრიოკია, შენ რომ ბრძანებ, ჩემო წათე, – დინჯად უპასუხა მახარემ, – მეორეც, რამდენი თუნდაც შესართავი ვნახეთ... აი, კავთურას შესართავი ჰგავდა, ქსნის შესართავს რომ შევადაროთ? ან ამ მდინარეთა ხეობები ჰგავს ერთმანეთს? ანდა, ეს ალესილები რომ დაუგვირგვინებია წვერზე ქსნის ციხეს, სხვაგან ასეთი სად გეგულება? შე დალოცვილო, თუ ბუნებაში ამოუწურავი მრავალფეროვნების დანახვის უნარი არ გაქვს და არც გიტაცებს, რაღა სამოგზაუროდ ატყდი, რას იწვალებ თავს? ან იმ შენს წიგნში რა უნდა დაწერო? ჩვენი ჭიჭყინი და ჯუჯღუნი?

– სადაცაა მცხეთასაც მივაღწევთ, კიდევ ცოტაც – და ტფილისიც გამოჩნდება და ბარემ მოითავეთ, თუკი რამე საჩხუბარი გაქვთ ერთმანეთში, მერე გულს არ დაგაკლდეთ! – იცინის ბატონი მამამზე. – აწი რაღას ნახავ შენთვის თვალგასახარს, წათე, არც რაიმე საგანგებო თუ საგანგაშო ფათერაკი მოგველის... მოკლედ, ტყუილად წამოსულხარ ჩვენთან და ეგ არი!

– ფათერაკი შორს ჩვენგან და ახლა რომ ლამაზი ადგილები ჩაგვივლის, მხოლოდ მაგისთვის ღირდა წამოსვლა, – უკვე ბესიკისა და დათუნას მიმართავს მახარე. – ბიჭებო, შეხედეთ, შიო მღვიმის მონასტერი როგორ არის შეყუჟული უზარმაზარი ფლატეს ძირში! მოგწონთ?

– იმ მღვიმეებში ვინმე ცხოვრობს? – იკითხა დათუნამ.

– ახლა არავინ, შეგიძლია, ბერად დაეყუდო! – უპასუხა მახარემ. – გეხუმრები, დათუნა, ბერები დაბლა არიან, ეკლესიასთან ახლოს, სენაკებში... ახლა ნახეთ, ბიჭებო, რა ვიწრო ადგილს ვუახლოვდებით... ხომ ლამაზია ეს კლდოვანი გორები? გვალვაგამძლე ბუჩქნარს მაინც მოუკიდებია ფეხი მის ციცაბო ფერდობებზე, ზოგი, შედარებით წამოზრდილი ძეძვი თუ ღვია, პირდაპირ მდინარისკენ გადმოხრილა, თითქოს წყლის სარკეში საკუთარი სილამაზის ცქერით უნდა დასტკბესო.

– იქიდან მდინარეში თავით ჩახტომა იქნება კარგი! – იცინის ბესიკი. – ეტყობა, იქ ღრმა ადგილებია.

– მარჯვენა მხარეს რა არის?.. რა ჰქვია ამ ადგილს? – კითხულობს მახარე და თვითონვე პასუხობს: – არმაზი! ვინ იყო არმაზი, თუ იცით?

– არმაზი იყო ქართველთა წარმართული ღმერთი! – იყვირა დათუნამ.

– უფრო ზუსტად – ქართლის უზენაესი წარმართული ღვთაება.

ვიწრო, კლდოვან ხეობაში მტკვარი შედარებით პირდაპირ, მიხვევ-მოხვევის გარეშე მიედინებოდა და მალე, როგორც კი მარცხენა ნაპირის მუქი კლდეები გაქრა, მცხეთის ხურდა-ხურდა სახლებიდან ამოზიდული სვეტიცხოვლის დიდებული ტაძარი გამოჩნდა, პირდაპირ კი – ციცაბო-კალთებიანი გორაკის ქიმზე წამომჯდარი ჯვარის მონასტერი.

– მცხეთა, მცხეთა, ძველი იბერიის დედაქალაქი! – ახლა უკვე ბესიკი ჰყვირის.

აქ შედარებით ნელა მიედინება მტკვარი, თითქოს მასაც უნდა, უფრო ხანგრძლივად და დაგემოვნებით უცქიროს პატარა, კოხტა ქალაქის ხედსო.

ნარნარად მიირწეოდნენ დამდოვრებულ მდინარეზე, სანამ მარცხნიდან შმაგი არაგვის ცინცხალი ჭავლების შემოჭრამ არ წარიტაცა ტივი, ჩვენი მოგზაურები კი თავაღერილნი მზერით მიაცილებდნენ გორაკის წვერზე უკვე გადახრილი მზით ოქროსფრად განათებულ ჯვრის მონასტერს.

მედგარი არაგვის ცივი ნაკადის დარტყმით გაგულისებულმა მტკვარმა მკვეთრად და გადაწყვეტით მოუხვია მარჯვნივ – სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ, კიდევ უფრო მშრალი ქვემო ქართლის ველებისკენ.

– ერთი ამ მაიმუნს დამიხედეთ! – გაიცინა უცებ მახარემ.

ყველანი მოგზაურობის დასასრულის მოლოდინით იყვნენ შეპყრობილნი, ერთდროულად სიხარულსაც განიცდიდნენ და სევდასაც, ამიტომ მდუმარედ გასცქეროდნენ მტკვრის გაფართოებულ ხეობას წინ, მახარეს წამოძახილმა კი ისინი შეაკრთო და მისკენ მიახედა.

– რა იყო, მახარე, ჩვენზე უკან დგახარ და ჩვენზე ადრე ხომ არ დაინახე დიდუბე? – იკითხა ბატონმა მამამზემ.

– ჯერ ავჭალა ბოლომდე არ ჩაგვივლია და მურიას შეხედეთ, მურიას, რა ამბავშია, როგორ ცქმუტავს!

ყველა მიაჩერდა უჩვეულოდ აწრიალებულ მურიას, რომელიც ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა და მის მბრწყინავ თვალებში და მოუსვენრად მოთახთახე კუდში იოლი იყო ძაღლის მოლოდინის ამოცნობა – მალე შინ იქნება! დაირბენს ეზოს მოფარებულ კუთხე-კუნჭულებს, ჩვეულებისამებრ გავარდება ჭიშკრისკენ ვინმე უცნობის გამოჩენისას და ჩვეული ჯამიდან მირთმეული სალაფავიც ათასჯერ უფრო გემრიელი მოეჩვენება!

მტკვრის რამდენიმე მიხვევ-მოხვევა, ფართო კალაპოტში დატოტვა, წნორებითა და ვერხვნარით დაბურული კუნძულები და – აჰა! – რუხ სერებსა და გადატრუსულ-გადაყვითლებულ დაბალ გორაკებს იქით ამართული მამადავითის მთაც გამოჩნდა!

მარჯვნივ, დიღმის ველს იქით, თრიალეთის ქედს იქითაც – დამაშვრალი მზე ემზადება მოსასვენებლად წასაბრძანებლად; მარცხენა ნაპირზე დიდუბის მუქი ქოხმახები ცურავენ ცერად დაღვრილი ოქროსფერი სხივების ნიაღვარში...

მიირწევა ტივი და, ბატონ მამამზეს ყაიდაზე რომ ვთქვათ, ჩვენი გარინდებული მოგზაურების მოლოდინით აღსავსე სახეებზე ღიმილის ვარდი გაშლილ-გაფურჩქნილა... მხოლოდ გოლა და გუცა ისევ ისე მკლავმოუღლელად დარაჯობენ ტივის "ქცევას" და მხოლოდ დროდადრო თუ შეასვენებენ ორთაყვირებს...

სულ მალე ქალაქი გაწვება მარჯვენა ნაპირის გასწვრივაც, ტივის მოგზაურობა დასრულდება – მიაყენებენ ტივს სატივეზე ვერეს შესართავთან, ბორანს ქვევით, – დაისვენებენ მეტივეებიც და დაისვენებ შენც, მოწყალეო მკითხველო!

მანამდე კი:

ბატონმა მამამზემ რაღაც ფაფხურზე უკან მოიხედა და ჩვეულებისამებრ დაიბუხუნ-დაიბუბუნა:

– ყოჩაღ, ბიჭებო! ამართეთ!!!

ტივის აქეთ-იქეთა კიდეებთან იდგნენ ბესიკი და დათუნა და მაღლა ამართულ ჯოხებზე გაჭიმული ჰქონდათ საჰაერო ბურთის გარსიდან ამოჭრილი ის ნაწილი, რომელზეც დიდი ასოებით ეწერა:

"გულადი მაწანწალა",

ცოტა ქვევით კი – უფრო მომცროდ:

"ვივლით გამარჯვებით!"

მართლაც, მარად გამარჯვებით ევლოს ყველა ცოდნის წადილით შეპყრობილ მოხეტიალეს!

1994-1995 წწ.

ვეფხია წანწალაურის საქმენი საგმირონია

სალაღობო რომანი

მეგობრებო, ქალბატონებო და ბატონებო, ხალხო და ჯამაათო, პატივცემულო საზოგადოებავ!

ვეფხია წანწალაურის ამბავი თუ გაგიგონიათ?

მინდა, ბატონი ვეფხია გაგაცნოთ და მის საოცარ თავგადასავალზეც გიამბოთ.

სანამ ჩვენი ნამდვილი ამბავის სათაურში გამოჭენებული პიროვნება ჩვენს ყოვლად პირუთვნელ, მიუკერძოებელ თხრობაში უშუალოდ ჯიქურ შემოგლიჯინდება (ბოდიშს ვიხდი, ხასიათი აქვს ასეთი – მოუხეშავი, მოუთოკავი, მაგრამ უშუალო, მიამიტური და რა ქნას,)! მანამდე მცირე ინტროდუქციას შემოგთავაზებთ; თუ გნებავთ, პატარა შესავალი ან თუნდაც ინტერესის გაღვივების მიზნით დროის გაყვანის ტაქტიკა უწოდეთ.

იმასაც პირდაპირ, მიკიბ-მოკიბვის გარეშე გეტყვით: არის რამდენიმე პიროვნება, აქ მოთხრობილი ამბების გამო ჰონორარიდან წილს რომ მომთხოვს, უპირველესად კი – დიდად პატივსაცემი ბატონი გოგია და ფრიად პატივცემული ბატონი ზურიკო მყავს მხედველობაში. თქვენ, ჩემო საყვარელო გოგია და ჩემო ძვირფასო ზურიკო, და ზოგიერთ სხვასაც, ასევე პირდაპირ და ყოველგვარი მორიდების გარეშე, გეუბნებით საჯაროდ და გულწრფელად: ვერაფერსაც ვერ მიიღებთ! გარდა, რა თქმა უნდა, ამ ჩემი წიგნისა, თუ მის დაბეჭდვას ვეღირსე, რასაკვირველია, და, რაღა თქმა უნდა, არც გულთბილ წარწერას დაგზარდებით: "ჩემს ძმასა და მეგობარს ამასა და ამას – მადლიერების გრძნობითა და კეთილი სურვილებით"!

ახლა კი გადავიწერ პირჯვარს და სალტო მორტალეთი ვხტები თხრობის ხან – ამღვრეულ, ხან – გამჭვირვალე, ხან – მეჩეჩიან-ჩანჩქერიან, ხან – ტრიალამორევიან, ხანაც – გიჟურად მსრბოლავ მდინარებაში!..

ვინძლო გაღმა გავცურო!

ალე ჰოპ!..

ჩანჩქერი I. ეს კაცი მომგვარეთ!.. უსიკვდილოდ!..

გამოჩენილ კინორეჟისორს, მფლობელს მრავალი ორდენისა და მედლისა, საპატიო წოდებების მთელი კოლექციისა, ნაირ-ნაირი კინოფესტივალების ჯილდოებისა და სხვათა და სხვათა, აგრეთვე – უზომო პატივმოყვარეობისა, მძლავრი, გუგუნა ბანისა და შავი, ძვირფასი (როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით) საზღვარგარეთული სათვალისა, ბატონ პოლიაქტორს, ყველანი რომ სიყვარულით ბატონ პალიკოს ეძახდნენ, უცნაური და საკმაოდ გრძელი გვარი ჰქონდა – კაიდედმამიშვილი; ჩემი მხრივ, ისიც შემიძლია აღვნიშნო, რომ, ახირებით და გადასაღებ მოედანზე ხშირი და მოუთოკავი ყვირილით რიგითი რეჟისორების დონეზე იმყოფებოდა – არც მეტი და, ნურას უკაცრავად, მაგრამ – არც ნაკლები.

ამიტომ არავის გაკვირვებია, როდესაც...

ერთ მშვენიერ დილას (როგორი ორიგინალური დაწყებაა ამბისა, ხომ კი? – ყოჩაღ მე!), – ზაფხული გახლდათ, 19 ივლისი, – როდესაც ფილმის გადასაღებ პავილიონში ბრძანდებოდა, შესვენებისას, შავი სათვალე მოიხსნა და ჩვეულებისამებრ იყვირა:

– გუჯას დამიძახეთ!.. გასაყეყეჩებელია!.. სადაა გუჯა?!. – და ისევ შეაჯირითა-შეახტუნა შავი სათვალე არისტოკრატიულად ნატიფ ცხვირზე.

გუჯა, კინორეჟისორის ერთ-ერთი ასისტენტი, თურმე იქვე, მის გვერდით იდგა:

– აქ გახლავართ, ბატონო!

ბატონმა პალიკომ ისევ მოიხსნა შავი სათვალე, კვლავ გაიკეთა და რესპუბლიკური გაზეთი "საქართველოს აშენება-დამშვენება და საზღვარგარეთის ცუდ-ცუდი ამბები" აუფრიალა ცხვირწინ:

– გასაყეყეჩებელია!..

– რა მოხდა, ბატონო?

– ეს კაცი მჭირდება!.. აქ მომგვარეთ, უსიკვდილოდ!.. ხვალვე!.. არა, დღესვე!.. ახლავე გაფრინდი და ეს ყმაწვილი აქ გააჩინე!.. გასაყეყეჩებელია!..

რეჟისორის ასისტენტი რის რეჟისორის ასისტენტია, თუ ოდნავი დაბნევაც კი გაივლო გუნებაში. მაშინვე გაზეთს სტაცა ხელი და თვალებით ბურღვა დაუწყო, რათა ბატონ პალიკოს ჩანაფიქრის ჩამალულ განძს ჩასწვდომოდა.

ერთხანს ფუჭ ქანს ბურღავდა.

პირველ გვერდზე ვიღაც შუახნის შავგვრემანი კაცი იკრიჭებოდა ყველის ვაჭარივით და ვითომ რაღაც დეტალს ჩარხავდა, სინამდვილეში კი, აშკარად ჩანდა, ფოტოაპარატის ობიექტივს იყო მიშტერებული. ეს ნოვატორი ხარატი ამჯერად ნამდვილად არ განეკუთვნებოდა ბატონ პალიკოს ინტერესთა სფეროს, რადგან ახლა ღვაწლმოსილი რეჟისორი სასურსათო პროგრამის უმოკლეს ვადაში წარმატებით და დიდი გადაჭარბებით გადაჭრისადმი მიძღვნილი დიდმასშტაბიანი ეპოქალური ფილმის შექმნით იყო გატაცებული. ცოტა ქვევით მოწინავე მქსოველის ფოტო იყო დაბეჭდილი. ფეიქარიც გაღიმებულ-გაცინებული იყო; ეტყობა, ან იმ დღეს კვარტალური პრემია უნდა აეღო, ან გვერდით მდგომი კოლეგა (რომლის მხოლოდ ხელი მოჩანდა) უყვებოდა ძალიან სასაცილო ანეკდოტს (შესაძლოა, შემომედავოთ: რას ნიშნავს ამგვარი უხეირო სიტყვათ დაწყვილება? ან უნდა იღიმებოდეს ის დალოცვილი, ან იცინოდეს, სად გაგონილა ეს "გაღიმებულ-გაცინებული"? თავის გამართლება იმით შემიძლია, რომ გაცინებულისთვის პირი არ ჰქონდა საკმარისად გაღებული, გაღიმებულისთვის კი კბილები მეტისმეტად მოუჩანდა).

გუჯა გუჯეჯაშვილმა მოუთმენლად ახლა შუაზე გადაშალა გაზეთი და, საბედნიეროდ, პირდაპირ მადანს მიადგა – მაშინვე თვალში ეცა შესანიშნავი, დაუვიწყარი, ბრწყინვალე, ეფექტური ფოტო: ვაუკაცური გარეგნობის ახალგაზრდა მწყემსს (ისიც, რაღა თქმა უნდა, ყურებამდე პირგახეულ-გაღიმებულია; შეიძლება, უფრო თამამადაც ითქვას – გაცინებულია), – ბროლისკბილას, შავულვაშას, შავბოხოხიანს, შავნაბდიანს, – ხელში აუტაცებია თეთრი ბატკანი...

ფოტოს ქვეშ ეწერა: "წანწალაურიანთკარის კოლმეურნეობა "კომუნიზმის განთიადის" მოწინავე მწყემსი ვეფხია წანწალაური". იქვე წერილიც იყო დასტამბული, რომელშიც კორესპონდენტი ფერადოვანად აღწერდა მწყემსთა მძიმე, ფათერაკიან, მაგრამ კეთილშობილურ, ვაუკაცურ შრომას და პათოსით ღაღადებდა, რომ ვეფხვია წანწალაურის ბრიგადამ გაზაფხულზე ას ნერბზე მიიღო 88 ბატკანი, გეგმით გათვალისწინებულზე ორით მეტი.

გუჯას წერილი ბოლომდე არ წაუკითხავს, მაშინვე გაზეთის რედაქციაში დარეკა, მაგრამ ვეფხია წანწალაურის ადგილსამყოფელი იქ არ იცოდნენ, კორესპონდენტი კი მივლინებით იყო წასული.

გუჯამ წანწალაურიანთკარის გზა მაინც გაიგო – მწიფეს მიაკითხა. ეს მეტსახელი შეარქვეს კინოსტუდიის ერთ შოფერს: შუახანს გადაცილებულს, შემოსულ ნესვს მიუგავდა მელოტი თავი – ფერითაც და მოყვანილობითაც. მწიფეს ქვეყანა ჰქონდა შემოვლილი ორმოცწლიანი საშოფრო სტაჟის წყალობით და გუჯას დაწვრილებით აუხსნა მაღლა, კავკასიონის მთებში შეყუჟული სოფლისკენ მიმავალი გზა.

ერთი საათის შემდეგ გუჯა უკვე მიჰქროდა კინოგადამღები ჯგუფის მანქანით არაგვის ხეობაში, ისე, რომ შინაც კი არ გაუვლია, მხოლოდ ტელეფონით შეატყობინა სასწრაფოდ გამგზავრების შესახებ; შემდეგ კი სასწრაფოდ ბაზარს ესტუმრა. ცნობილია: თუ საქმეს გინდა სცე პატივი, საქმის დაწყებამდე ჯერ საკუთარ (და ხშირად, ასევე – სხვის) სტომაქს უნდა სცე სათანადო პატივი.

ჩანჩქერი II. კინოვარსკვლავი

გულახდილად უნდა ვაღიარო, მეგობრებო, რომ ახლაც, ამ წუთს, არ ვიცი, რა მოგახსენოთ გუჯა გუჯეჯაშვილისა და შოფრის წანწალაურიანთკარში მგზავრობის შესახებ. იქნებ სხვა დროს მოვახერხო ამის მოყოლა, ახლა კი ნება მიბოძეთ, ოთხი დღით წინ გადავხტე და პირდაპირ 23 ივლისს ამოვყო ჩანჩქერში თავი. უფრო სწორედ, ამ დღეს ამოჰყო თავი ქალაქ თბილისს ვეფხია წანწალაურმა; მისი მოძებნა საზაფხულო იალაღებზე მოუწია გუჯას და ამიტომ შეაგვიანდათ. არც ბატონ პოლიაქტორის გამოხმაურებას შევეხებით დაგვიანების გამო. ისე კი სულ საყვარელ სიტყვას იძახდა: "გასაყეყეჩებელია! გასაყეყეჩებელია!" ბატონი პოლიაქტორი ამ სიტყვას თითქმის ყოველ წარმოთქმულ სიტყვას ურთავდა ხოლმე და გადამღები ჯგუფის წევრები ინტონაციით, რომლითაც ეს სიტყვა წარმოითქმოდა, შეუცდომლად ხვდებოდნენ, რისი თქმაც სურდა – ბრაზობდა თუ ხარობდა, მოსწონდა თუ აღშფოთებული იყო.

როცა ვეფხია რეჟისორს წარუდგინეს, ბატონი პალიკო ფრიად კმაყოფილი დარჩა (სულ "გასაყეყეჩებელია!"-ს იძახდა). იმედი არ გაუცრუვდა: მართალია, ვეფხიას კეხიანი ცხვირი კოხტად კი ჰქონდა გამოქანდაკებული, მაგრამ, პირუთვნელად რომ მოგახსენოთ, საშუალო ზომას ოდნავ სჭარბობდა; სამაგიეროდ, თავზე ბუჩქად ადგა შავი ხვეული თმა (ფოტოში ბოხოხი რომ უფარავდა), აბრიალებდა ორბისებრ თაფლისფერ თვალებს, პირსაც მარად ღიმილის ვარდი უმშვენებდა – ტუჩებს თავს ვერ უყრიდა და თეთრად ჩაწიკწიკებული კბილები მარგალიტებივით უელავდა შავი ულვაშების ჩრდილში (ბოდიშს ვიხდი, რომ ოდნავ გადავუხვიე ორნამენტული პროზის ბაღში და ეპითეტის ყვავილიც მოვწყვიტე). ბატონ პოლიაქტორისთვის მოულოდნელი იყო, რომ ვეფხია ასეთი მაღალი და გამხდარი იქნებოდა, ფართო მხარ-ბეჭს კოხტად მორგებული პიჯაკი უმშვენებდა; ქცევითაც გააკვირვა – მთის მიყრუებულ სოფელში გაზრდილი ახალგაზრდა ხაზგასმულად ზრდილობიანად ელაპარაკებოდა რეჟისორს, ამავე დროს მის ქცევაში

იგრძნობოდა სრული თავისუფლება, საკუთარი თავის ღირსების გრძნობა, ერთგვარი სიამაყე და თავდაჯერულობაც კი. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ბატონ პოლიაქტორს რომ როლისთვის მწყემსი სჭირდებოდა, უკეთესს ვერც ინატრებდა.

ვეფხია ბიძასთან – ტარასისთან – დაბინავდა, რომელიც ჯერ კიდევ ომის წინ ჩამოვიდა ქალაქს, ქუთაისელი ქალი შეირთო, ტერეზა, და ორი შვილიც ეყოლა – მზექალა და ნოდარი.

ცოტა ხანში ეპოქალურ ფილმში ვეფხიას მონაწილეობა წარმატებით დაგვირგვინდა (ეპიზოდური, უკეთ რომ ვთქვათ, მცირე როლი ჰქონდა), მას განუცხადეს, რომ თავისუფალი იყო და შეიძლებოდა, დაბრუნებოდა საკუთარ ოჯახს (ჯერ სრულიად ახალგაზრდა უკვე ორი შვილის მამა იყო) და თავის ცხვრებს... მაგრამ ახალგამოჩეკილ "კინოვარსკვლავს" ეძნელებოდა თბილისთან განშორება. გადაწყვიტა, ფილმის ეკრანზე გამოსვლამდე თბილისს დარჩენილიყო (როგორც ხშირად ხდება ხოლმე, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ფილმის შექმნის რთული პროცესი გაჭიანურდა და მხოლოდ ერთი წლის შემდეგ დასრულდა მისი გადაღება, გახმოვანება და მონტაჟი); იმის იმედიც ჰქონდა, იქნებ ახლა სხვა ფილმში მიმიწვიონო. ვეფხია საოცრად მალე და იოლად მოერგო ქალაქურ ცხოვრებას: თმები თითქმის მხრებამდე მოუშვა, ქალაქელ ბიჭებსაც კი გადააჭარბა მოდურად ჩაცმა-დახურვაში, ისწავლა სიგარეტის ხაზგასმულად "ელეგანტური" მოწევა (როგორც ფილმებში ენახა), ჟიპიტაურის ნაცვლად ახლა კონიაკსა და შამპანურს სვამდა... ძმაბიჭები ბლომად იშოვა და არც მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა თაყვანისცემა აკლდა მაღალ, მოხდენილ ყმაწვილკაცს. სიტყვა-პასუხიც არ დაეწუნებოდა; არ ერიდებოდა მაღალფარდოვნად ელაქლაქა კინოს ამბებზე და, საერთოდ, ხელოვნების შესახებ... მის ფართო, გულღია ღიმილს და განუწყვეტელ ოხუნჯობას საკმაო დივიდენდები მოჰქონდა. ხუთ წუთში ახალგაცნობილ კაცს ისე დაუახლოვდებოდა, ბავშვობიდან შეზრდილი გეგონებოდათ. უწმაწურ ანეკდოტსაც კი ისეთი ეშხითა და ლაზათით მოჰყვებოდა ქალთა საზოგადოების თანდასწრებით, რომ არავის უჩნდებოდა უხერხულობის გრძნობა; ხანდახან საუბარში ჩართული მისი გინებაც კი უწყინარი ჩანდა და უფრო ემოციურ სარჩულად აღიქმებოდა საუბრისა, ვიდრე ბილწსიტყვაობად. ჰოდა, ყოველგვარ საზოგადოებაში თავისიანად ჩანდა; კინოსტუდიის შოფრებს შორის, გინდაც ინტელექტუალთა თავყრილობაზე ბატონ პოლიაქტორის ოჯახში – ყველგან შინაურულად გრძნობდა თავს. მართლაც თვალში საცემი ყმაწვილი იყო, ყველას მოსწონდა, ახალ როლს კი ფილმებში რატომღაც არავინ სთავაზობდა...

წადი ასეთ საზოგადოებაში ტრიალის შემდეგ და, რუსთაველის გამზირზე სეირნობის მაგივრად, მთაში იალაღებზე ცხვრის ბილიკები ტკეპნე! რა ელოდა სოფელში, ცხვარში? მეცხვარეობა რა დიდი შესაშური საქმე იყო: დილიდან დაღამებამდე – ნაბადი წვივებამდე, ბოხოხი, კომბალი მხარზე, შინდის კავიანი ჯოხით ცხვრის გამოტრიალება, ხანაც, წყალზე გადახტომისას – დასაბჯენად... უამინდობისას თუ ცხვარი მოსხლტებოდა – მისი ძებნა ნისლით დაბურულ ღრანტეებში... საღამოს, მთელი დღის ხეტიალის შემდეგ – ღარიბული ვახშამი, ზოგჯერ – ჟიპიტაურით გაჭყიპა... არ არის გამორიცხული ქურდ-ავაზაკნიც დაგეცნენ, ფარის ნაწილი გალალონ; მშობლიურ მიწაზე ნაბდით წოლისგან გახევებული ხელ-ფეხის გახურება სანამ მოესწრება, მდევარი ძაღლების ღავღავი თითქმის აღარც ისმის შორეთში...

თბილისი კი დიდი ქალაქია და დიდი შესაძლებლობებიც არსებობს ნაირ-ნაირი დროსტარებისა. ხან თვით უჭყიოდა ჯიბეში ორიოდ თუმანი მასობრივ სცენებში მონაწილეობისთვის, ხან ძმაკაცების ხარჯზე გადიოდა იოლას, შინაც ხშირ-ხშირად აფრენდა დეპეშებს – ფული გამომელია და შემაშველეთო. როცა საყვედურის წერილი მიიღო, ვეღარ მორჩი მანდ "არტისტობას", ოჯახს მიხედეო, საპასუხო წერილში სამსახიობო სინჯების დროს გადაღებული თავისი ფოტოები ჩადო და დაჰპირდა, მალე ფილმის პრემიერა იქნება, შეგატყობინებთ და ჩამოდითო (ის ფოტოები ბლომად გაამრავლებინა, ყოველთვის დასტა-დასტად ედო ჯიბეში და ახალგაცნობილ ხალხს უშურველად ასაჩუქრებდა, რასაკვირველია, ავტოგრაფით დამშვენებულს).

ვეფხიამ ბიძის ოჯახში დიდხანს ვეღარ გაძლო – საშინელი წუწურაქები გამოდგნენ ყველანი; ვერც ბიძაშვილებთან გამონახა საერთო ენა – ხნით მასზე ბევრად უფროსები იყვნენ; ორ თვეში გადავიდა მათგან და კერძო სახლში პატარა ოთახი იქირავა.

ჩანჩქერი III. სად ვართ? საით მივდივართ?

როგორც იქნა, ვეფხიას თბილისში ჩამოსვლიდან წლინახევრის შემდეგ, ახალი ფილმის გასინჯვის ბედნიერი დღეც დადგა.

კინოს სახლის მყუდრო დარბაზი გაიჭედა კინემატოგრაფის მოყვარულებით თუ პროფესიონალებით – ბატონ პოლიაქტორის კოლეგებით, ხელოვნებათმცოდნეებითა და კრიტიკოსებით, ჟურნალისტებით. როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, დამსწრეთა უმრავლესობას ის ხალხი შეადგენდა, რომელიც კინოს მხოლოდ ტელევიზორით უყურებს, თანაც თუ გემრიელად ისადილა და კარგ გუნებაზეა: ფილმის დამდგმელი ჯგუფის თანამშრომელთა ნათესავ-ახლობელნი, ეგრეთწოდებული მაღალი საზოგადოების გადაპრანჭული, ფუყე წარმომადგენლები და აგრეთვე იმ გამოუცნობი, საკმაოდ მრავალრიცხოვანი ხროვის წევრები, რომელთაც ხელოვნების ინჩიბინჩი

არ გაეგებათ და რაღაც მანქანებით არც ერთ “პრესტიჟულ” ღონისძიებას არ აკლდებიან. და, რა თქმა უნდა, ამ შეკრებას ამშვენებდნენ ვეფხიას დედა, ცოლი, დეიდაშვილ-მამიდაშვილ-ბიძაშვილები და მეგობარ-ამხანაგები, – ყველა, ვინც კი საგანგებოდ დაქირავებულ ავტობუსში ჩაეტია (მამა ცხვარში იყო და კინოსთვის არ სცხელოდა; კარგი კი იყო, ჩამოსულიყო, ისე იყო გაბრაზებული “არტისტი” შვილის გადაკარგვით, ალბათ კომბალსაც თან წამოიღებდა!). რა სირბილის, ჩხუბისა და “დიპლომატიის” ფასად დაუჯდა ვეფხიას ოცდაათი მოსაწვევი ბარათის ხელში ჩაგდება, ცალკე მხიარული მოთხრობის თემაა და ახლა მაგისთვის არ გვცალია.

მაყურებელთა ტაშის გრიალში სცენაზე წარსდგნენ დამდგმელი ჯგუფის წევრები, მსახიობები, ოპერატორი, მხატვრები, კომპოზიტორი... წინ მდგომი ბატონი პოლიაქტორი რატომღაც სულ იბღვირებოდა, თავისთვის ბუზღუნებდა: “გასაყეყეჩებელია, გასაყეყეჩებელია!” და შავ სათვალეს იხსნიდა და ისევ იკეთებდა, იხსნიდა და იკეთებდა... ვეფხიაც გარიეს მარაქაში; სულ უკან კი იდგა, მაგრამ მისი ბუჩქათმიანი თავი მაინც ყველაზე მაღლა აისვეტა, თვალებს ყოჩივით აბრიალებდა.

მისალმებებისა და შემოქმედებითი პროცესის სირთულისა და სიძნელის, მაგრამ, აგრეთვე, კეთილშობილური დანიშნულებისა და ხელოვნების საგანძურში შეტანილი ახალი, ფრიად მნიშვნელოვანი წვლილის შესახებ ქაქანის შემდეგ, როგორც იქნა, დარბაზში ჩაქრა სინათლე და ფილმის ჩვენება დაიწყო.

კინოხელოვნების ახალი შედევრის შესახებ საუბარი ზედმეტად მიმაჩნია, ალბათ რამდენიმე “სასოფლო” ფილმი მაინც გინახავთ, და იმათზე უკეთესი ან უარესი არც ეს ფილმი გახლდათ, ბევრად უფრო საინტერესო მაყურებელთა გამოხმაურებაზე დაკვირვება იყო.

როგორც კი რომელიმე მსახიობი პირველად გამოჩნდებოდა ეკრანზე, ამ მსახიობის ნათესაობა თუ ნაცნობ-მეგობრები ერთსულოვანი ტაშით ხვდებოდნენ, ასეთივე რეაქციას იწვევდა ამ პერსონაჟის მოსწრებული სიტყვა-პასუხი თუ ქცევა. ვეფხიას “დასი” მოუთმენლად ელოდა მის ეკრანზე გამოჩენას, გული გაუწყალეს კიდეც, როდისღა გავიხარებთო, და, როცა საკმაოდ გვიან მის სახეს თვალი ჰკიდეს სადღაც მასაში გარეულს, ახალი კაშკაშა ვარსკვლავის თაყვანისმცემელთა უხეში ხელისგულებით დაკრულმა ტაშის ქარიშხალმა დარბაზი კინაღამ დააქცია. დანარჩენებს ეგონათ, ეგ არის, როგორც იქნა, მთავარი გმირის გამოჩენის ბედნიერება ვიხილეთო – ასეთი ცეცხლოვანი ყიჟინა და შეძახილები სხვას არავის ღირსებია... მაგრამ დრო გადიოდა, ვეფხია ეკრანზე მეტი აღარ გამოჩენილა.

როცა დარბაზში სინათლე აინთო, მრავალი თვალი კითხვით მიაჩერდა ვეფხიას, სადღა დაიკარგეო? დარცხვენილი ვეფხია იხტიბარს არ იტეხდა, მარჯვენით ულვაშს იწიწკნიდა და ღიმილის ნიღაბსაც კი ირგებდა სახეზე – ბევრი გადამიღეს, მაგრამ, ეტყობა, მონტაჟის დროს ამოუჭრიათო...

ახალი კინოვარსკვლავის დაბადება, რასაკვირველია, რესტორანში ქეიფით აღინიშნა. ვეფხიას გადამღებ ჯგუფთან უნდოდა დროსტარება, მაგრამ თანასოფლელებმა თითქმის ძალით წაბრძანეს ქალაქგარეთ რესტორანში მცხეთის გზაზე. რაც იქ მოხდა, იმასაც ნუ გამოვედევნებით, – მკითხველი ადვილად მიხვდება, – მთავარია, რომ იმღამინდელი “გრიალის” შემდეგ ზომაზე მეტად ღვინომოკიდებულ ვეფხიას სუფრაზე ჩაეძინა...

გვიან გაეღვიძა და ძალიან გაუკვირდა, როცა აღმართში მობღუილე ავტობუსში აღმოჩნდა... მოკუნტულია სკამზე მოუხერხებლად, თავი ფანჯარასთან მჯდომი ცოლის კალთაში უსვენია, ბოდიში – დევს, კიდევ ბოდიში – არც დევს, ყანყალებს, რაღა თქმა უნდა. ერთხანს კი უცქერდა ჩვენი გმირი ჭერს გამოთაყვანებული მზერით, მერე კი ინება, თავის მიტრიალ-მოტრიალება ვითარებაში გასარკვევად და, სავსებით გამოფხიზლებულმა, ბრძანა:

– სად ვარ? სად მივდივართ?

– საცა ხარ, კარგად ხედავ, სადაც მივდივართ, იმასაც ხვდები! – უხეშად მოუჭრა ცოლისძმამ ავთანდილმა, ბულას რომ ჰგავდა ჯან-ღონით (ავთანდილს, დედმამიშვილებში ყველაზე უფროსს, მაროს გარდა, კიდევ ოთხი და ჰყავდა; საოცარი ის იყო, რომ, ძმისგან განსხვავდებით, დები ყველანი ფრიად ტანმორჩილები იყვნენ – დედას დაემგვანნენ.)

ვეფხია წამოჯდა, გაიზმორა და ფანჯარაში დაიწყო უგუნებოდ ყურება.

– გააჩერე, გააჩერე! – იყვირა უცებ ვეფხიამ.

ავტობუსი გაჩერდა. თითო-ოროლა კაცი თუ ქალი ცოტა ხნით ჩავიდა ფეხის გასამართავად, მაგრამ ვეფხია კი არ ჩაუშვეს, როცა მისი ზრახვა გაიგეს:

– ტანსაცმელი უნდა წამოვიღო, ჩემოდანიც! – ამტკიცებდა ვეფხია; ცალ ხელში ცოლი ჩაფრენოდა, მეორეში – დედა.

– აქ არის, აქ, შენი ყველაფერი! – მიუგო ავთანდილმა ისეთი გამომეტყველებით, ეს სიტყვები გინებადაც შეიძლებოდა ჩაეთვალა ვეფხიას. მართლაც, ყველაფერი წამოეღოთ და ვეფხიამ გაჩუმება არჩია – ნეტა ქალთაგან მოწერილი წერილები და მათი ფოტოები თუ ნახესო, შეშინებული ფიქრობდა... ცხადი იყო, რომ შეთქმულების მსხვერპლი გახდა: სასმელს კარგად იტანდა, ეტყობა, საძილე წამალი გაურიეს ღვინოში. ამჯერად საკუთარი ნება-სურვილის შესასრულებლად ვერაფერს გააწყობდა...

დიდხანს უგუნებობა საერთოდ არ სჩვეოდა ვეფხიას, და მალე გახალისდა, ნათესავ-მეგობრებთან საუბარში ჩაერთო; თან – ირგვლივ გვიანი შემოდგომით აფერადებული არაგვის წარმტაცი ხეობა მოჩანდა, თან – მშობლიურ წანწალაურიანთკარს უახლოვდებოდა, სადაც კარგა ხნის უნახავი შვილები ელოდნენ – უკვე ოთხი წლის ლადო და ხუთი წლის ნატო...

ჩანჩქერი IV. აქ არა ვარ, გენაცვალე?

ვეფხიას შინ მშვიდობით დაბრუნება და მისი მამის, დიდი ლადოს, მობრძანება ერთი იყო. ლადო წანწალაური ძველი ყაიდის კაცი იყო – გამრჯე, ამაყი და შვილისგან უსიტყვო მორჩილების მომთხოვნი. და როცა მამის ქორისებრი თვალები შვილის ორბის მზერას შეეჯახა, ვეფხიამ დახარა თვალები, თუმცა ბრგე მამაზე კიდევ უფრო მაღალი იყო.

მამის ბრძანებით უკვე მეორე დღესვე ვეფხია ცხვართან ერთად უნდა დასდგომოდა ყიზლარის გზას საზამთრო საძოვრებისკენ, მაგრამ ცალკერძ – ცოლი შეუჩნდა ლადოს, ცალკერძ – რძალი შეეხვეწა და ვეფხია დროებით, ერთი კვირით დარჩა შინ, რათა მონატრებული ოჯახი მისი ცქერით გამძღარიყო. ვეფხიაც თავის შვილებს გადაყვა: ხან ერთი ჰყავდა მხრებზე შესმული, ხან – მეორე და მთელი სოფლის სანახებს შემოატარებდა.

გავიდა კვირა, გავიდა მეორეც, დედა და ცოლი გასუსულები იყვნენ. არც ვეფხიას მოუკლავს თავი ცხვარში წასვლაზე. საზამთროდ შეშას იმარაგებდა, ჟიპიტაურს ხდიდა, თივა ჩამოზიდა სათიბიდან და დააბინავა, გრძელი ზამთრისთვის საჭირო ათას წვრილმან თუ მსხვილმან საქმეს აგვარებდა.

ამასობაში ჩამოთოვა კიდეც. გზები ჩაიკეტა. სოფელს დასვენების ხანა დაუდგა და არც ვეფხია ჩამორჩებოდა სხვებს – სადაც ცხვარი დაიკვლებოდა და სუფრა გაიშლებოდა, ისიც იქ იყო. საახალწლოდ დიდი ღორი დაკლეს და თითქმის მთელი სოფელი, ყველა წანწალაური, ვეფხიას სახლის ჭერქვეშ შეიკრიბა.

გაზაფხულდა თუ არა და თოვლისგან თავდახსნილი სოფლის გზა გაიხსნა, ვეფხია მახლობელ დაბას გაემგზავრა ოჯახის საყიდლებზე და, იქიდან საკმაოდ გვიან დაბრუნებულმა, განაცხადა, სამსახურში დავდექიო. კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან ამ საკითხზე პატარა წალაპარაკებაც მოუხდა, მაგრამ თავმჯდომარე, კოსტა, რას გააწყობდა: ჯერ ერთი, ვეფხიას ბიძა იყო მკვიდრი და მეორეც, მისი ვაჟი ფარნაც უფრო ადრე გაუდგა იგივე გზას (და ვეფხიასაც გაუკვალა!).

ახალი საქმიანობა ვეფხიას ფრიად მიმზიდველი ეჩვენა: ტურისტებს დაჰყვები, უყვები გაზეპირებულ ამბებს საქართველოს ისტორიაზე, მისი ციხე-ტაძრების სიძველესა და მშვენიერებაზე, უმდიდრეს კულტურასა და საინტერესო ტრადიციებზე... მთელი დღე სუფთა ჰაერზე დასეირნობ, საღამოს – ცეკვა-სიმღერა და დროსტარება... კვირაში ერთხელ ან უფრო იშვიათადაც ააკითხავდა წანწალაურიანთკარში ოჯახს, ბავშვებს ერთ-ორ კანფეტს ჩაუდებდა ხელში, დედასა და ცოლს საჩუქრად რაიმე წვრილმანს მიუტანდა – თავსაფარს, წინდებს, იაფფასიან კაბას, ერთს გემრიელად გამოიძინებდა და დილაადრიან ისევ ტურისტულ ბაზას უბრუნდებოდა.

ბოლოს და ბოლოს, ოჯახს ხმები მიუვიდა, ვეფხია მაგარ დროსტარებაშია, ქალების დევნას გადაყოლილიაო. ცოლმა და დედამაც ერთი ამბავი დააწიეს, დაანებე თავი კახპებში თრევასო, მაგრამ ვეფხიასთან ვერას გახდნენ – იფიცებოდა, ტყუილი ხმებია, სამსახურს რატომ მაკარგვინებთო; მერე კი ოჯახისთვის დაიკარგა, სოფელში საერთოდ აღარ მიდიოდა (ამ დროს ლადო დაბრუნდა ყიზლარიდან და მასთან შეხვედრასაც ერიდებოდა).

მხოლოდ ზაფხულის მიწურულს კუდამოძუებული მიადგა საკუთარი სახლის კარებს... ყველაზე უფრო იმის ეშინოდა, მამა არ დამხვდეს შინო.

შინ არაფერი უთქვამთ ვეფხიასთვის, არ ჩასძიებიან, რად გამოგაძუნძულეს სამსახურიდანო. ცოლმა მოკლედ მოუჭრა: დაიფიცე, რომ მოეშვები აღვირახსნილ ცხოვრებას, თორემ დღესვე ვბრუნდები მშობლებთან და ბავშვებიც თან მიმყავსო. ამქვეყნად რა დაფარულა და მშვენივრად შეიტყვეს ყველაფერი, რაც ვეფხიას თავს გადახდა. თუ გაინტერესებთ, მოკლედ მოგახსენებთ.

ერთხელ ვეფხიას ტურისტული ჯგუფი მიჰყავდა არცთუ მაღალი, მაგრამ ლამაზი მთის დასალაშქრავად და უკვე უკანა გზობაზე ერთმა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ტურისტმა ქალმა, – ვერამ, ჩაპუტკუნებულმა, მხიარულმა და თამამთვალებამ, – ვეფხიას ხუმრობით შესჩივლა:

– მე აქეთ მოვემგზავრებოდი და მეგონა, რომ მოქეიფე, ვაჟკაცი, ტემპერამენტიანი კაცები დამხვდებოდნენ; იმის იმედიც კი მქონდა, ვინმე თავზე ხელაღებული მომიტაცებდა და მთაში წამიყვანდა... სად არიან ისინი სინამდვილეში?

– აქ არა ვარ, გენაცვალე? – მაშინვე შეაგება პასუხად ვეფხიამ (შევთანხმდეთ: ახლაც და შემდგომაც ვეფხიას ტურისტულ ბაზაში ნასწავლი რუსულის სიტყვასიტყვით გადმოცემისგან თავს შევიკავებ – საკმარისია, რაც მან თანამოსაუბრეები ტანჯა, მკითხველს რაღას ვერჩი?).

რამდენიმე დღის შემდეგ ტურისტები წაიყვანეს ბუნების საკვირველების სანახავად – ქარისა და წყლის მიერ არაერთგვაროვანი ქვიშაქვების გამოფიტვის შედეგად მიღებულ "ქანდაკებათა" – ქვაკაცების, "ირმების", "დათვების" და სხვათა – "გამოფენის" სანახავად. იქ ტურისტები

შიშვლდებოდნენ და, საბანაო კოსტიუმებში გამოწყობილნი, ფოტოსურათებს იღებდნენ – "ცოცხალი" და "მკვდარი" "ქანდაკებები" გვერდიგვერდ. ბუნების საოცრებათა ხილვის შემდგომ ვეფხია და ვერა განცალკევდნენ, იალაღების გზას დაადგნენ და საღამოსპირს უკვე მწყემსებთან იყვნენ მთაში. ის ღამე ვეფხიამ ვერასთან გაატარა, დილით კი მარტო დაბრუნდა ტურისტულ ბაზაში. რამდენიმე დღეში ვერაც დაბრუნდა და აღტაცებით, დაუზარებლად, გაუთავებლად უყვებოდა მეგობრებს, როგორი ტემპერამენტიანი ჯიგიტები სახლობენ თურმე აქ და რა გემრიელი ცხვრის ხინკლის კეთება სცოდნიათ, რომელიც საოცრად კარგად "მიდის" ეიპიტაურთან ერთად.

საუბედუროდ, მეორე დღეს ვერას მეუღლე ჩამოვიდა მოულოდნელად და ვერას დაბოღმილმა "მეგობრებმა" ყოველივე წვრილად ჩაუკაკლეს. მანაც არ დაახანა და ცოლს ეჩხუბა, თუმცა ამ კონფლიქტში დამარცხდა – ცოლმა თვალი დაულილავა. ქმარმა მაშინვე განცხადება გააშანშალა – ხუთი მისამართით დაგზავნა, თანაც დეპეშით, ფული არ დაინანა...

წამხდარ საქმეს რაღა ეშველებოდა, ვეფხია სამსახურიდან საჩქაროდ დაითხოვეს "საკუთარი განცხადების თანახმად" (კარგი ბიჭი იყო და არ დაწერდა!).

ჩანჩქერი V. ჰო-ჰო, სად არ ამოყვეს თავი!

ერთხანს ვეფხია წანწალაურიანთკარში დაყიალობდა აღმა-დაღმა, მერე ბიძამისმა კოსტამ სარფიან საქმეზე დააყენა – მატყლის დამამზადებლის ადგილი უშოვა...

ათას ჭრელ ხალხში უხდება ტრიალი ვეფხიას და აქაც ისე გრძნობს თავს, როგორც თევზი წყალში. ისევ ის ვეფხიაა: გზაზე ვინც გინდა შეხვდეს – ნაცნობ-უცნობი, ქალი თუ კაცი და თუგინდ მანქანაც კი! – ყველას ორი-სამი სიტყვა მაინც უნდა უთხრას; თუკი ვინმე გაუჩერდა, საუბრის გორგლიდან უსასრულოდ შეუძლია, ასოციაციური ძაფი ამოახვიოს და კითხვა-პასუხიდან საუბრის ჭრელი ფარდაგი მოქსოვოს.

ვეფხიას ფული გაუჩნდა, მაგრამ რას გაუჩერდება ჯიბეში! ჰარი-ჰარალესა და დიმპიტაური-დამპიტაურში მალე მხარი დაუმშვენა ფარნამაც – იმასაც აუკრეს გუდა-ნაბადი ტურბაზიდან. მამამისმა "დაჩაგრულ" შვილიკოს გულის მოსაფონად ვეფხიასავით "კარგი ადგილი" უშოვა – საწყობის გამგეობა ჩააბარა; თუმცა რა – იმ საწყობის კარს თითქმის ყოველთვის დაჟანგული ბოქლომი ამშვენებდა. თან მამიკომ ფარნას ახალთახალი ავტომანქანა "ვოლგაც" უყიდა – ოღონდ შენ ცოლი ითხოვე, დროა, ოჯახს მოეკიდოო. (ეს მანქანა მოწინავე მწყემსის წახალისებისთვის იყო გამოყოფილი, იმან კი ფარნას მამას "დაუთმო" შესაბამისი ანაზღაურების ფასად – მაინც სულ ცხვარში ვარ და მანქანისთვის სად მცალიაო). ფარნა დიდი გულმოდგინებით ცდილობდა მამის სურვილის შესრულებას და სულ "ეძებდა" საცოლეს, – მანქანით ხან სად ამოყოფდა თავს და ხან – სად... და ყველგან და ყოველთვის ამ ძნელ საქმეში შემწედ და გულშემატკივრად მხარს უმშვენებდა მისი ბიძაშვილი ვეფხია: მთა და ბარი გასწორებული ჰქონდათ, ოხოხოია, სად არ უქეიფიათ, რომელ სასაუზმესა თუ რესტორანში არ უგრიალიათ – მთელი საქართველოს მთა-ბარი გასწორებული ჰქონდათ!

ერთხელ, ტურისტი გოგონების ხათრით, უკრაინაშიც კი ამოყვეს თავი, ზაპოროჟიეს მიაღწიეს!

ამ სწორუპოვარი მოგზაურობის შესახებ ცალკე რომანის დაწერა შეიძლება, მე კი მოკრძალებულ რეზიუმეს შემოგთავაზებთ. ორი ქალბატონი ჯერ თბილისამდე მანქანით ჩამოიყვანეს გასამგზავრებლად, მაგრამ საჭირო მატარებელმა სულ ცოტათი გაასწროთ, მერე ამ მატარებელს დაედევნნენ მცხეთამდე, მერე – გორამდე... აქ ადრეც კი მივიდნენ და, რასაკვირველია, რესტორანს მიაშურეს დროის გასაყვანად. რესტორანში იმდენად გაერთნენ, რომ გაუძნელდათ მაშინვე სუფრის მიტოვება – არა, უშავს, მშვიდობით მგზავრობა ვუსურვოთ, სად წავა, ადრე თუ გვიან სამტრედიაში ხომ მაინც ჩავა და იქ ჩავუსწრებთ უეჭველადო, – დაიმედეს გოგოები... სამტრედიიდან ზღვა ორი ფეხის ნაბიჯზე არ იყო? ოჩამჩირეში ორი დღე იხრუკებოდნენ პლაჟზე, მერე ნელ-ნელა აუყვნენ სანაპიროს და დიდის სიამოვნებით მოინახულეს სოხუმის, ბიჭვინტის, გაგრის, სოჭის მშვენიერი პლაჟები, აგრეთვე – არც რესტორანებს დასწყვიტეს გული და დაამშვენეს თავიანთი პერსონებით...

როცა ჩრდილო კავკასიის გავლით დაბრუნდნენ შინ, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ კოსტამ ორი კვირით დაკარგული შვილი დატუქსა, საწყობის გასაღები მაინც დაგეტოვებინაო და ფარნას მიერ ცოლის თხოვნამდე ავტომანქანის გასაღებსაც საკუთარ ჯიბეში მიუჩინა ადგილი.

ფრიად სამწუხარო და უხერხული მდგომარეობის გამო, – ძველებურად აქეთ-იქით წანწალი აღარ შეეძლოთ, – თითქოს ფრთაშეჭრილ ვეფხიას გულსა და სულს ერთი მოუსვენრად მღრღნელი ჭია შეუჩნდა: საკუთარი მანქანის ყოლის ეშხში ჩავარდა! წარმოიდგენდა, როგორ აგრიალდებოდა წანწალაურიანთკარში ახალთახალი ავტოთი და გული სიამით უჩქროლდებოდა! ამ ცისფერი ოცნების ხათრით ქეიფ-დროსტარებასაც დროებით შეეშვა და ზევით-ქვევით ხეტიალსაც, ფულის მოქუჩება დაისახა მიზნად.

ოჯახი სიხარულით აღარ იყო.

ასე გავიდა წელი.

ფარნამ, როგორც იყო, ცოლი მოიყვანა, ყადაღადადებული მანქანა დაიბრუნა, გაიხსენა ადრინდელი "გრიალი" და ძველებურად გაშალა ფრთები. შიგადაშიგ ვეფხია ვერ სძლევდა ცდუნებას და აჰყვებოდა ბიძაშვილს. და ერთ-ერთი ასეთი გასეირნების დროს ნაბახუსევმა ფარნამ მანქანა ხევში გადააფრინა...

ბედად მანქანაში მყოფთაგან მნიშვნელოვნად არავინ დაშავებულა (სულ ოთხნი ისხდნენ), მაგრამ მანქანა კი გვარიანად შეილანძღა – მის შეკეთებას კარგა ბლომად ფული დასჭირდებოდა. ფარნა არც ამაზე დაიხევდა უკან, მაგრამ შეკეთებული მანქანით სეირნობა ითაკილა, თავმოყვარეობის შელახვად მიიჩნია და ნაავარიევი მანქანა მაშინვე გაჰყიდა – ფულს დავამატებ და ახლით ვისრიალებო.

ჩანჩქერი VI. რასაც ახლა გეტყვი, კაციშვილმა არ უნდა გაიგოს...

და აი, ამ დროს წანწალაურიანთკარში უცხო ჩიტი შემოფრინდა – მზექალა წანწალაური!

გვიანი შემოდგომა იდგა. ფოთოლცვენა თავდებოდა, ხეობის კალთები ოქროსფრად ელვარებდა; მზექალა შემცივნული იწურავდა მხრებს და იძახდა:

– რა კარგია, რა კარგია!

ფართო აივანზე მის გვერდით იდგა ბიცოლამისი, ასაკით მისი ტოლი, მანანა და კვერს უკრავდა:

– კარგია, მაშ! ისე მოგწონს აქაურობა, ქალაქს აღარ გაგიშვებ, აქ უნდა გაგათხოვო უეჭველად!

თითქმის ორმოცდაათ წელს მიტანებული მზექალა მორცხვად იცინის და მსხვილ, ყვითელ კბილებს გადმოყრის (შიგადაშიგ – ოქროსიც უბრწყინავს).

– ნოდარია რაღას უყურებს? რამდენი წლისაა? – კითხულობს მანანა და თან სტუმრის საპატივცემულოდ დაკლულ ქათამს პუტავს.

– ეჰ, აღარც ისაა ბავშვი, ნოემბრის ბოლოს ორმოცდაერთის შესრულდება... – ოხრავს მზექალა.

– კაცია, რაღას უყურებს, ქალი კი არ მოიტაცებს, თვითონ უნდა გაანძრიოს ხელი! – ფილოსოფოსობს მანანა და ერთი სული აქვს, პირდაპირ ჰკითხოს, რამ ამოიყვანა ეს ფრიად იშვიათი სტუმარი ამ სიშორეზე; მთების სილამაზე და ჰაერის სიჯანსაღე აქ ნამდვილად არაფერ შუაში იყო.

მზექალას სხვა სოფელში წასული ვეფხიას ნახვა უნდოდა – ერთ პატარა საქმეში მისი დახმარება მჭირდებაო; გავიგე, მოსკოვში აპირებს წასვლას და რაღაც საყიდლები მინდა დავაბარო, თბილისში მეძვირა გადამყიდველებთანო.

ვეფხია გვიან ღამით დაბრუნდა შინ და მზექალამ საუბარი მეორე დღისთვის გადადო.

როგორი საოცარიც უნდა გეჩვენოთ, ვეფხიას სამიჯნურო თავგადასავლებით სახელის გავარდნა გახდა მზექალას მიერ ბიძაშვილით დაინტერესების მიზეზი.

და როდესაც დილის საუზმის შემდეგ მზექალამ სთხოვა ვეფხიას, საყორნიას გორაკიდან მინდა, გადავხედო ხეობას და გამაცილეო, გზაში საუბარი ძირითადად ვეფხიას ტურისტულ ბაზაში მოღვაწეობის დროს ეხებოდა. ვეფხია ფრიად განცვიფრებული იყო, როგორ წვრილად სცოდნია მზექალას მისი სატრფიალო ამბები – ეტყობა, დედაქალაქამდე მიაღწია ხმებმა! ბიძაშვილებს შორის ასაკში ოც წელზე მეტი იყო განსხვავება და მზექალასთან ასეთ თემაზე საუბარი ვეფხიას მეტად ეხამუშებოდა. ვერაფრით მიმხვდარიყო, რატომ წამოიწყო მზექალამ ამგვარ დელიკატურ თემაზე საუბარი...

და როდესაც საყორნიასაც მიაღწიეს და მის მომრგვალებულ თავზე მწვანე ბალახზე დასხდნენ, მიზეზი ნელ-ნელა გამოიკვეთა.

– ჩემო ვეფხია, რასაც ახლა გეტყვი, კაციშვილმა არ უნდა გაიგოს... იცი, რატომ ვლაპარაკობ ამდენს ან რატომ ვარ აქ საერთოდ? შენი დამთხვეული, ბედოვლათი ბიძაშვილის ნოდარიას გამო... რა ვქნა, აღარ ვიცი... უკვე ორმოცდაერთი წლისაა ჩემი ძმა, ცოლს კი არ თხოულობს, არც ფიქრობს ამაზე. დღედაღამ ვეჩიჩინები: "შე ოხერო, რას ფიქრობ, ასე უშვილძიროდ უნდა გადაშენდე? ან დედ-მამა არ გეცოდება, ან შენი და? ხომ ხედავ, – ვეუბნები, – აღარა ვართ შენი დარდით..." შეაყარე კედელს ცერცვი – ქვა და რკინაა, ქვა და რკინა!.. უარს კი არ ამბობს, მაგრამ ვერაფრით დავიყოლიეთ, მაგის მოსაწონი ქალი აღარ გამოჩნდა... არც გარეგარე დასეირნობს, გოგოსთან გავლილი არავის უნახავს... რა ვქნა, არ ვიცი... – მზექალა მუდარის თვალებით შეაცქერდა ვეფხიას. – რაღაც სხვა მიზეზი ხომ არ არის...

– ალბათ ჯერ ვერ შეხვდა მის შესაფერს, სხვა რა უნდა იყოს მიზეზი?

– იმის შიშიც კი დამჩემდა, კაცობა ხომ არ აქვს დაკარგული-მეთქი! – როგორც იქნა, ამოღერღა ბოლოს ქალმა.

ვეფხიას გაეცინა, თავი გააქნია უარყოფის ნიშნად, რა სისულელეს ამბობო.

– სასაცილოდაა საქმე?.. მიშველე! – ისეთი ხმით შეღაღადა მზექალამ, რომ ვეფხიას შეეცოდა და მაშინვე დადინჯდა.

– მე რით გიშველო? აქ, წანწალაურიანთკარში, ხომ არ გინდა, საცოლე მოვუძებნო?

– საცოლეს მე გამოვუნახავ, შენ ოღონდ ეს გამიგე... თუ შეძლებ... თუ შეგიძლია, ისე მოაწყო საქმე, რომ ტურისტულ ბაზაში ვინმე ქალთან გაასეირნო?.. მიხვდი?.. გამიგე, თუ აქვს ქალის თავი და პატივისცემა ჩემზე იყოს!

ეს შესაძლებლობა ვეფხიამ შორს დაიჭირა:

– რას ამბობ, მზექალავ, თუ ცოლმა ტურბაზაში წანწალი შემატყო, ამიჯანყდება! ან მე გამაგდებს სახლიდან ან თვითონ წავა, დაფიცებული აქვს! რაც მთავარია, ახლა ტურისტული სეზონი იქ არ არის, მაისამდე ისვენებენ.

– გავიგე, მოსკოვს მიდიხარ მანქანის საყიდლად, როდისთვის აპირებ? – ახლა სხვა მხრივ მოუარა მზექალამ.

– პატარა საქმეები დამრჩა მოსაგვარებელი – შეშა, თივა, საჭმელ-სასმელის მომარაგება ზამთრისთვის... დეკემბრის დასაწყისში მოვიცლი ალბათ.

მზექალამ პატარა ჩანთა გახსნა, იქიდან ქაღალდში მჭიდროდ შეხვეული და რეზინით შეკრული პატარა შეკვრა ამოიღო და ვეფხიას ჩაუდო ხელში:

– აქ ათასი მანეთია. თბილისში რომ ჩამოხვალ, ჩვენთან გამოიარე და შენ და ნოდარია ერთად წადით მოსკოვში. გაიარ-გამოიარეთ, დრო გაატარეთ... და მე რომ საკითხი მაინტერესებს, ის უნდა გამიგო უსიკვდილოდ...

ვეფხიას უნდოდა, ეთქვა, შენ რომ ქალები გაინტერესებს, მაგეთებს თბილისშიც საკმარისად იშოვნიო (საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდა), თანაც მოსკოვში მარტო არ მივდივარ, ფარნას მივყვებიო, მაგრამ გაჩუმდა, – მიხვდა, ზედმეტი იყო ყოველგვარი ახსნა-განმარტება, – მზექალას ხასიათი იცოდა და მის ნებას უნდა დამორჩილებოდა. წუწურაქების ხელმწიფე თუ დედოფალი რომ ათას მანეთს გაიმეტებს, ხუმრობა საქმე აღარ არის! თანაც ისეთი გამწარებულია, რომ ფული აქ ამოუტანა, ვითომ თბილისში ვერ მისცემდა?

ვეფხიამ მზექალა დააიმედა, ყველაფერს "მაღალ დონეზე" მოვაგვარებ (ამგვარი საუბარიც თბილისში ისწავლა ვეფხიამ) – დეკემბრის დასაწყისისთვის ნოდარია მზად იყოს წამოსასვლელადო.

იმავე დღეს გახალისებული მზექალა დაბრუნდა თბილისში, ხოლო საღამოს ვეფხია ბიძასთან, კოსტასთან, გადავიდა და საიდუმლოდ გააცნო მზექალასთან საუბრის შინაარსი.

– ფარნას ნურაფერს გააგებინებ! – გააფრთხილა კოსტამ, – ჩემი შვილი კია, მაგრამ მაინც ასე აჯობებს... ნოდარიამ თუ იცის რამე?

– ოჰ, მზექალა როგორ ეტყოდა! არაფრის გულისთვის აღარ წამომყვებოდა მოსკოვს! – წამოიძახა ვეფხიამ.

– სწორია. ქალებში უნდა ისეირნოთ, ხომ? ნოდარია დამთხვეულის გამოსაცდელად! რა სჭირს, ბიჭო, ტარასის შვილს საამისო! – გაბრაზებულმა დაირტყა ხელი მუხლზე კოსტამ, შემდეგ ამოიხვნეშა. – აქ მომიცადე ერთ წუთს...

დაბრუნებულმა, ვეფხიას ხელში ჩაუდო ფულის დასტა:

– დაგჭირდება!.. ათასი მანეთია, ფარნას არც ამაზე უთხრა რამე...

ჩანჩქერი VII. ნოდარს ეჟვანი შეაბეს

მაშ, გავუტიოთ კიდევ და კიდევ – წინ და წინ!

მანამდე ერთი მცირე შეფერხება.

მცირე ჩვენი ამბისთვის, თორემ ფარნასთვის ფრიად დიდი და მტკივნეული გახლდათ – მან ფეხი მოიტეხა...

დიახ, დეკემბერი დადგა და სწორედ ამ დროს, როცა თბილისს და იქიდან კი მოსკოვს გასამგზავრებლად გახურებულ სამზადისში იყვნენ, – გეგმებს აწყობდნენ, თორემ სხვა მხრივ რა ჰქონდათ მოსამზადებელი, – ფარნას ნაბახუსევზე ფეხი დაუსხლტა, ხევში ჩაგორდა და, როგორც მოგახსენეთ, დუშეთს გააცუნცულეს საავადმყოფოში.

ამგვარად, ფარნამ გადაულოცა ვეფხიას მანქანისა და საოჯახო რაღაც-რაღაცეების ფული (დაახლოებით ოცდათხუთმეტი ათასი მანეთი შექუჩდა), მასვე გადასცა სია შინაურთა და ნათესავ-მეზობელთა თხოვნებით (იქ ერთს სამოვარიც კი ჩაეწერა – ათლიტრიანი! ნაკლებზე, ეტყობა, თანახმა არ იყო – სასადილოსთვის ხომ არ სჭირდებოდა?). ზედმეტია იმაზე საუბარი, რომ ფარნა ემუდარა ვეფხიას, გაზაფხულამდე გადავდოთ გამგზავრებაო, მაგრამ, ჯერ ერთი, გაზაფხულზე ვეფხიას მამა ლადო დაბრუნდებოდა ყიზლარის ზამთრის საძოვრებიდან, მერე – ცხვრის პარსვა, მატყლის დამზადება, იალაღებზე ცხვრის გაყვანა და... მეორეც, რაც მთავარია, ვეფხია თუკი დათქმულ დროს არ ჩავიდოდა თბილისს, იქიდან გამძვინვარებული ძუ ლომი მზექალა ამოვარდებოდა, თოვლიან-ყინულიან გზებს არ შეუშინდებოდა – ნამდვილად!

ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს, საბურთალოს დასახლების სტანდარტული ხუთსართულიანი სახლის სამოთახიანი ბინის ნაცნობ კარზე ვეფხიამ ელექტროზარის ღილაკს რამდენჯერმე მიაჭირა თითი; მერე ყოველი შემთხვევისთვის მუშტით ძლიერად დააბრახუნა კიდეც. ვეფხია ჯერ

სამზერი ჭუჭრუტანიდან გულდაგულ დაზვერა მზექალამ, მერე ხმამაღლა იკითხა, რომელი ხარო, მერე კი, ვეფხიას საპასუხო ბანის გაგონების შემდეგ, თანმიმდევრობით ოთხი გასაღები, ურდული თუ საკეტი გახსნა, კარი გამოაღო და გახარებულმა იყვირა, ეს ვინ მოსულაო.

ნოდარს ეჟვანი მალე შეაბეს, მოსკოვს უზრუნველად გასეირნება ჭკუაში დაუჯდა, ოღონდ მის დედ-მამას – ტერეზასა და ტარასის – დიდხანს ეომნენ ვეფხია და მზექალა – "ჩვენ ბავშვს იმ უცხო ქალაქში როგორ გავუშვებთ მარტოს, თან გადასაყრელი ფული სად გვაქვსო".

მზექალას ქმრის შოვნა გაუჭირდა, თორემ ისეთი სხვა რა საქმე უნდა ყოფილიყო, რომ მის გემოზე არ მოეკვარახჭინებინა! "შვებულების ფული აიღო, მეც მივცემ ხუთას მანეთს! – განუცხადა მშობლებს, – რაღაც საყიდლებს წამომიღებს".

დიდთავა ნოდარი ცდილობდა, გარკვეულიყო, რა ხდებოდა და ხან ვეფხიას შეხედავდა, ხან – მშობლებს. "ბავშვი" ნოდარი, თუმცა სიმაღლით ვერ დაიკვეხნიდა, სამაგიეროდ ოთხმოც კილოგრამს იწონიდა, ჭამა უყვარდა! პატარა ღიპიკოც წამოეპარა, ცოტა ჭაღარაც გამოერია საფეთქლებთან და საკმაოდ გამელოტდა კიდეც; ამ უკანასკნელს მოხერხებულად ფარავდა კეფიდან წამოღებული ნასესხები თმით, რომელიც შუბლზევით საგულდაგულოდ ჰქონდა დახვეული და რაღაც მანქანებით დამაგრებული – წებოთი თუ სხვა ხერხით, ეს საიდუმლო ჩემთვის უცნობია.

მოდით, ეს არცთუ მხიარული მეშვიდე ჩანჩქერი მსწრაფლ განვვლოთ – მოკლეზე მოვჭრათ და გიგანტური ნახტომით მოსკოვს ამოვყოთ თავი. ჩვენს ატომურ-კოსმოსურ საუკუნეში ნეტავ სხვა რამეც იყოს ასე ადვილი გასაკეთებელი!

ჩანჩქერი (თუ მეჩეჩი?) VIII. მეც მოსკოვში მოვდივარ, ვაშა!

ჩვენ, ავტორსა და პერსონაჟებს, თვითმფრინავებისა და ავტოს საუკუნის ადამიანებს, დიდი სურვილი გვქონდა, მოკლეზე გადავსულიყავით, ქაღალდის, მელნისა და მკითხველის დროის დაზოგვაც არ არის ცუდი საქმე, მაგრამ...

"იფრინეთ თვითმფრინავებით – დაზოგეთ დრო!" – დიდებული მოწოდებაა შინაარსობრივად, მშვენიერი სანახავიც გახლავთ, განსაკუთრებით ღამით, როცა ნეონის რეკლამა დახტის, ტრიალებს, თრთის, ფერს იცვლის, მოკლედ – ღრიალიღა აკლია, რომ ჩვენი ყურადღება მიიპყროს, მაგრამ, როცა ბილეთი გიდევს ჯიბეში, მოსკოვში კი ნისლია და ფრენა არ არის, როგორ გუნებაზე იქნები? ფრიად ნისლიანზე, რაღა თქმა უნდა...

გავიდა ერთი დღე – მოსკოვში ნისლია განფენილი, მეორე დღე – ისევ ნისლი, მოუკვდა მომგონი... არადა, არ გიშვებენ აეროპორტიდან: "გაფრენა გადადებულია ორი საათით!", – აცხადებენ მოსაცდელ დარბაზში; ორი საათის შემდეგ: "გაფრენა გადადებულია სამი საათით!" და ასე დაუსრულებლივ... მოთმინება გელევა და ლანძღავ საკუთარ თავს, რატომ მატარებელს არ ენდე – უღალატოს, ნაღდს, უკვე რომ მოსკოვში ამოგაყოფინებდა თავს ყოველგვარი ნერვების წეწვის გარეშე, იაფად და... სწრაფადაც!..

"იფრინეთ თვითმფრინავებით – დაზოგეთ დრო!" – იმას ნატრობ, ახლა ერთი დიდი ურო მოგცა, მიადგე და დედა უტირო ძირფესვიანად ამ რეკლამას, შეუკურთხო გემრიელად მის მომგონსაც და საერთოდ ყველაფერს...

ცალი ხელით დაათრევ მომცრო ჩემოდანს, მეორეთი იღლიაში ამოგიჩრია და ნაზად იხუტებ ტიკჭორა-ძმობილს – სამოსკოვოდ გამზადებულს, მაგრამ, როცა ბოღმა გახრჩობს, მიჯდები დარბაზის მოფარებულ კუთხეში, ხან ნოდარა წრუპავს, ხან – შენ, ვეფხია წანწალაური, და ვინ გაგამტყუნებთ?..

აგერ გამოიდარა მოსკოვში, თვითმფრინავში ჩასხდომაც გამოაცხადეს, მაგრამ რაღაც ჭირად ტექნიკური უწესივრობა აღმოაჩინეს და იმის შეკეთებას გადაჰყვნენ სამი საათი... მანამდე რაღას უყურებდნენ? დრო აქ ჰქონდათ?

უწესივრობა აღმოფხვრეს, ამასობაში კი ამინდი გაფუჭდა ისევ.

მერე ამინდი გამოკეთდა და გაბეზრებული მფრინავები, ზოგიერთი მგზავრისა არ იყოს, დათვრნენ...

სანამ სხვა ეკიპაჟს გამოძებნიდნენ, ბურუსმა ისევ იმძლავრა მოსკოვში.

სხედან ასე და ელიან ღვთის წყალობას, ტიკჭორა-ძმობილი თითქმის გაქრა და მის მაგივრად ხელთ შეგრჩა ტყავის მყრალი ტიკი, რომელშიც თითო-ოროლა ჭიქა ჟიპიტაურიღა თუ ჭყაპუნობს...

და ამ დროს, გამოსავათებულებს, თავს წაადგათ შავგვრემანი ვაჟკაცი:

– ნოდარია არ ხარ შენ? ეს ვეფხიაა, ხომ? გამარჯობა თქვენი! რა მოგივიდათ, სატირალში ხომ არ მიდიხართ, წვერი რომ ასე მოგიშვიათ?

ჩვენი ახალი პერსონაჟი ბატონი ამბერკი გახლავთ, ქუთაისელი ამბერკი, ნოდარის დეიდაშვილი.

– მოსკოვში მივდივართ, გადაშენდა მისი მომგონი... სამი დღეა, ასე ვყრივართ, ფრენას ველოდებით...

– სამი კი არა, ოთხი! – გაუსწორა ვეფხიამ. – შენ, მგონია, ჟიპიტაური მოგეკიდა, მეტს ადარ დაგალევინებ, სასმელს მიუჩვეველი ხარ!

ამბერკის თვალები აუჟუჟუნდა:

– დამისხი ერთი, თუ კაცი ხარ; ქუთეისამდე გამოძინებას თუ ვერ მოვასწრებ, გემრიელად მაინც ვიფრენ!

– რაღა დარჩა, ბარემ გამოცალე და ტიკიც თან წაიღე, მოსკოვში სად ვათრიო! – ვეფხიამ დაჩუტული ტიკჭორა და შემორჩენილი ხაჭაპურის ნაჭერი მიაწოდა.

ამბერკიმ ორ წუთში საფუძვლიანად გამოწურა ტიკჭორა, მერე ხაჭაპური დააყოლა, მერე გემრიელად დააბოყინა... მერე სასმელი ეცოტავა:

– ბიჭებო, თქვენ რამდენ ხანს მოგიწევთ აქ ყურყუტი, კაცმა არ იცის, აგერ რესტორანში ხომ არ შეგვეხედა, ტკბილად გვეჭუკჭუკა?

სწორედ ამ დროს გამოაცხადეს მათი რეისის მორიგი გადადების შესახებ ორი საათით.

ვეფხიას დაყოლიებას დიდი დრო არ დასჭირვებია, მით უმეტეს, ნოდარი პირველი წამოხტა – გემრიელად მოილხენდა, თანაც სხვის ხარჯზე!

პატარა სუფრა გაიშალა, ვეფხია წამდაუწუმ საათს შესცქეროდა მოპირდაპირე კედელზე.

როცა ცოტა შეჭიკჭიკდნენ, მოულოდნელი რამ მოხდა – ფრიად!

თვალებაჟუჟუნებულმა ამბერკიმ მეგობრები გაახარა:

– მეც მოსკოვში მოვდივარ, ვაშა!

– რა დაგიკარგია მოსკოვში, რას ეძებ? – არ ეპიტნავა ამბერკის განცხადება ვეფხიას.

– ფული გაქვს? – ჰკითხა ნოდარმა, მერე კი ვეფხიას მიუბრუნდა: – წამოვიდეს, რა გენაღ-ვლება, მოსკოვში ჭიპი აქვს მოჭრილი. იცი, რა დროს გაგვატარებინებს?

– ჩვენ საქმეზე მივდივართ, რა დროს დროსტარებაა! – არ თმობდა ვეფხია.

– რა ქვეყნის ამშენებლები თქვენა ხართ, მე კი – ქვეყნის დამაქცევარი! ფულიცა მაქვს და სულიც, აბა ისე რესტორანში დაგპატიჟებდით? – დაიტყაპუნა ამბერკიმ ხელი ჯიბეზე. – მაინც, რა საქმე აგიტყდათ ამ ზამთარში, მითხარით, უცხოეთის აგენტი არ ვარ, არ გაგცემთ.

– მანქანას ვყიდულობთ... ორს... – უხალისოდ მიუგო ვეფხიამ.

– იფ, კარგი საქმეა! – გაუხარდა ამბერკის. უცებ წამოხტა და დარბაზიდან გავარდა.

– გაგვეპარა ეგ უნამუსო! – წამოიძახა ნოდარმა და გაფითრდა – დანახარჯი ალბათ მას უნდა გადაეხადა!

– ახია შენზე, რას ამკიდე ეგ ამბერკია თუ ქუთაისელი აფერისტი! – უსაყვედურა ვეფხიამ.

ნოდარმაც მკვახედ უპასუხა და მათი პაექრობა ცხარე ხასიათს მიიღებდა, მაგრამ ამბერ-კი დაბრუნდა – ყურებამდე პირგახეული იღიმებოდა და მათაც ახარა:

– ბიჭებო, თქვენი თვითმფრინავი – ფა-ა-ფუ!.. ათი წუთის წინ გაფრინდა!

ვეფხიასა და ამბერკის გულს შემოეყარათ.

ვეფხიამ კედლის საათს შეხედა და შეიგინა – თვითმფრინავი დათქმულ დროზე ადრე გაფ-რენილიყო.

გაანჩხლებული ვეფხია ხან აქ მივარდა, ხან – იქ, დააწიოკა ფრენის განმკარგულებელი თუ მოსაცდელი დარბაზის ადმინისტრატორი, დიქტორთანაც კი მიიჭრა, რომელიც გაფრენის შესახებ ცნობებს გადასცემდა, შეაღწია აეროპორტის უფროსთან, – თქვენ მე ვინ გგონივართ, რომ ასე აბუჩად მიგდებთო, – აუფრიალა თავისი ფოტოები, მწყემსის როლში რომ იყო გადაღე-ბული, დაემუქრა, დავახსნევინებ აქ ყველასო...

ვეფხია, როგორც იქნა, დააწყნარეს – ბევრი მგზავრი დაგროვდა, ამიტომ საღამოს კიდევ ერთი რეისი იქნება მოსკოვს და თქვენი ბილეთებით გაგამგზავრებთო.

ისხდნენ მოსაცდელ დარბაზში ვეფხია და ნოდარი, ამბერკი კი ისევ გადაიკარგა და გვიან გამოჩნდა:

– ა, ბილეთი!.. – ზევით ასწია ხელი შორიდანვე. – სამი თუმანი ზედმეტი მივეცი და ჯავ-შანი გავტეხე!

– რას იკლავდი თავს ან ზედმეტს რას აძლევდი... – ვეფხია უგუნებოდ იყო, მაგრამ მაინც შეეხუმრა: – მე დაგითმობდი ჩემს ბილეთს, თანაც უფასოდ – ილაჯი გამიწყდა. იჯექი ახლა ჩვენთან ერთად და თვალე ბუზები!

– ბუზი რომ იყოს, რა გვიჭირდა, ცოტა გავერთობოდით. ხომ გითხარი, მატარებლით წავი-დეთ-მეთქი, ახლა კაი ხნის ჩასულები ვიქნებოდით უკვე, – ჯიჯღინებს ნოდარი.

– მოსკოვს ახლაც ვიქნებოდით ჩასულები, მაგრამ ამბერკიას მაგვარმა მამაძაღლებმა და-ითრიეს ჩვენი ადგილები... – ბუზღუნებს ვეფხიაც, იქვე მყოფ ამბერკის არ ერიდება.

სასაუბრო თემები მალე შემოელიათ, ხან – ყვინთავენ, ხან – წაიძინებენ კიდეც.

ერთხელაც გამოიღვიძა ვეფხიამ, გემრიელად დაამთქნარა და თქვა:

– დამესიზმრა, მდინარეში ვიდექი...

– წყალი როგორი იყო, მღვრიე თუ წმინდა? – გამოცოცხლდა ამბერკი.

– წმინდა.

– მაშ, კარგად იქნება ჩვენი საქმე!

თითქოს ამ სიტყვებს ელოდაო, დარბაზს მოეფინა დიქტორი ქალის მარსიდან ჩამოფრენილის არაბუნებრივი ხმა:

– ყურადღება! იწყება ჩასხდომის წინა რეგისტრაცია რეისზე ნომერი ესა და ეს თბილისი – მოსკოვი!

– აქამდე სად იყავი, დროზე ვერ ნახე ეგ სიზმარი? – ხუმრობს გახარებული ნოდარი, მისგან ამას არ ველოდი!

აგაშენა ღმერთმა, მეც არ დავისვენე?!. გავწვალდი კაცი, – სანამ ჩემი თხრობის პერსონაჟები ადგილიდან არ დაიძვრნენ, მეც გავსავათდი მოლოდინით!

ჩანჩქერი IX. დავიღუპეთ და მერე რისთვის?

ნება მიბოძე, მოწყალეო მკითხველო, შენც რომ ზედმეტად არ დაგღალო, თვითმფრინავის ორსაათიან ფრენას მხოლოდ ორი-სამი წინადადება ეუძღვნა:

1. როცა აფრენის წინ ძრავებს ახურებდნენ, ნოდარი წყნარად იჯდა (შედარებით!), მაგრამ როცა ძრავები ფორსირებული რეჟიმით აღრიალდა-აძაგძაგდა და თვითმფრინავმა აფრენა დაიწყო, წახდა კაცი – ბატონი ნოდარი ჯერ გაფითრდა, მერე გაწითლდა, პირი გაუშრა და სახელურებს ჩააფრინდა; სამაგიეროდ, თვალები დახუჭა და გულის წასვლასაც აპირებდა, მაგრამ გვერდით მჯდარმა ვეფხიამ ლოყაში გვარიანად გაულაწუნა, რა თქმა უნდა, მოფერებით, გონს მოიყვანა და პირში პიტნის კანფეტი ჩასჩარა:

– რამ გაგაფუჭა, ბიჭო, შეხედე, რა ანგელოზივით სტიუარდი გოგო მოგოგმანებს ჩვენსკენ, არ შერცხვე ახლა!

2. თვითმფრინავის დაჯდომისას იგივე განმეორდა, ოღონდ ბატონ ნოდარს ამჯერად პირი მტკიცედ ჰქონდა მოკუმული და თვალები დაჭყეტილი – გადმოცვენამდე.

ჭეშმარიტებას რომ არ ვუღალატო, თავდაპირველ დანაპირებს უნდა გადავუხვიო და რამდენიმე წინადადება დამატებით დავხარჯო...

არ ვიცი, ოდნავმა ბურუსმა შეუშალა ეკიპაჟს ხელი თუ ხუთდღიანი უქმად ყოფნისგან ერთგვარი დისკვალიფიკაცია დაემართა, როცა თვითმფრინავი საფრენ ზოლს უშუალოდ მიუახლოვდა, ნარნარად დაჯდომის მაგივრად, ძრავები აღრიალდა, თვითმფრინავმა ცხვირი ასწია და ისევ სიმაღლეში წავიდა.

ნოდარმა იდაყვი გაჰკრა ვეფხიას:

– რა ამბავია ჩვენს თავს? შასი ვერ გამოუშვა?

ვეფხიაც, ცოტა არ იყოს, შეფიქრიანდა, მაგრამ მაინც სცადა ნოდარის დაწყნარება:

– არაფერია, შენ რაღა დაგემართა!

– ნეტა ფეხი მომტყდომოდა და შინ დავრჩენილიყავი! – ბუტბუტებდა ნოდარი. – ამ ყიამეთში რა სეირნობა აგვიტყდა, ვგდებულიყავით შინ! დავიღუპეთ და მერე რისთვის?

– აი, ახლა დავენარცხებით და ჩვენს ბურდღას ვერ ნახავს კაციშვილი! – დაქადნებით უპასუხა გაბრაზებულმა ვეფხიამ. – ამ ხნის უშვილძირო კაცს სიკვდილი კიდეც მოგიხდება!

შიშნაჭამ ნოდარს ენა ჩაუვარდა მუცელში, ხმა წაერთვა.

ამასობაში თვითმფრინავმა წრე დაარტყა და მეორე ცდაზე, ვერც კი შენიშნეს, ისე რბილად დაჯდა. როცა თვითმფრინავი ბეტონზე რბილი ბიძგებით მიგორავდა და თან ნელ-ნელა უკლებდა სიჩქარეს, მხოლოდ მაშინ გაახილა თვალები ნოდარმა და ილუმინატორში გახედვაც კი გაბედა.

მადლობა ღმერთს, ტაქსში ბატონი ნოდარი ცოტა მოფერიანდა; თვალები ფართოდ ჰქონდა გახელილი და პირიც საკმაოზე მეტადაც გაღებული, თითქოს რაღაცის გადაყლაპვა უნდაო... დიახ, ის მზერით ყლაპავდა მისთვის ახალ გარემოს, უცნობ ხედებს, თითქმის გაფრენილი მანქანიდან რომ აკვირდებოდა; ენაწყლიანი ტაქსის შოფრის საუბარი კი მისი ყურადღების მიღმა დარჩა და ამიტომ ფრიად გაუკვირდა, როცა მანქანამ მოსკოვის ცენტრს კი მიაღწია, მაგრამ იქ აღარ შეჩერებულა რომელიმე სასტუმროსთან, რაღაც ვიწრო ქუჩებში იბოდიალა კარგა ხანს (აქა-იქ ძველთაძველი, გამუქებული ხის სახლებიც კი იდგა) და, ბოლოს, ვიწრო გასაძრომით ყოველმხრივ სახლებით შემორტყმულ პატარა ეზოში შეძვრა. აღმოჩნდა, რომ ტაქსის შოფერს ისინი თავის ნაცნობთან მიუყვანია ბინაზე – აქ თავისუფლად იქნებით, ტელეფონიც აქვს, არც შორსაა ცენტრიდან და არც ძვირი დაგიჯდებათო.

შოფერი აუყვა სადარბაზოს ფართო კიბეს – ახლა ასეთებს აღარ აკეთებენ – და მეორე სართულზე ერთ-ერთ კარს მიადგა. ზარის ხმაზე მათ გამოეგებათ სამოციოდე წლის სანდომიანი ჭაღარა ქალი, რომელიც გრძელ მუნდშტუკში გარჭობილ სიგარეტს ეწეოდა. ჩვენმა გმირებმა ცოტა არ იყოს მორიდებულად იგრძნეს თავი: ჯერ იყო და მასპინძლის არისტოკრატიულმა გარეგნობამ და დიდებულმა მიხრა-მოხრამ, მერე კი ოროთახიანი ბინის მდიდრულმა იერმა დააბნია ისინი. ქალს სადად, მაგრამ გემოვნებით ეცვა, ძველებური მოელვარე საყურეები ლამის მხრებამდე სწვდებოდა; ძალიან სიტყვაძვირი ჩანდა (თითქმის მხოლოდ შოფერი ლაპარაკობდა) და მკაცრ, გამხდარ სახეზე, რომელსაც დაუკვირვებელი თვალიც შეამჩნევდა ადრინდელი სილა-

მაზის კვალს, ერთი კუნთიც არ შეტოკებულა – იდგა შუა ოთახში ერთ ადგილზე გაშეშებულივით, შალმოხურული. ოთახები ძველებური, ძვირფასი, თუმც უკვე პეწდაკარგული ავეჯით იყო გაწყობილი; კედლებზე ოქროვარაყიან ჩარჩოებში ჩასმული სურათები ეკიდა.

ისედაც გადატვირთულ ოთახებს კაცებმა თავიანთი გაუხსნელი ჩემოდნებიც მიუმატეს და, ვინაიდან ჯერ საკმაოდ ადრე იყო, ქალაქში გავლა განიზრახეს.

ჩანჩქერი X. ბიჭო, ხომ არ გადაირიე, რაში აძლევ ამდენ ფულს?

კაცებმა საგულდაგულოდ დაიმახსოვრეს სახლი და ეზოში შესასვლელი (ნოდარმა მისამართიც ჩაიწერა ყოველი შემთხვევისთვის), შემდეგ თვალების ცეცებით ქუჩას დაუყვნენ; გაუხვიეს, გამოუხვიეს, იარეს, იარეს, – და ფრიად ხმაურიან გამზირზე ამოყვეს უცებ თავი.

თოვლიან-ყინულიან ასფალტზე ფეთიანებივით მიჰქროდნენ რამდენიმე რიგად ჩამწკრივებული მანქანები, ჩვენი გმირები კი იდგნენ, ცალკერძ – ორომტრიალით თავგზააბნეულნი, ცალკერძ – ვერ გადაეწყვიტათ, რომელ მხარეს აეღოთ გეზი. თითქმის სირბილით მიმავალ გამვლელთა მიმღელვარე ტალღებმა სანამ ფერდები არ შეულეწა სამივეს, მანამდე ვერ მოიფიქრეს, მორიდებოდნენ, უზარმაზარი შენობის კედელთან მიმდგარიყვნენ.

– სად ეჩქარებათ ამ შობელძაღლებს, თუ ხანძარს გაურბიან? – ბუზღუნებდა ვეფხია.

– რა ვიცი, სტადიონზეც ფეხბურთი ამ დროის არ უნდა იყოს... – გაეპასუხა ნოდარი.

– სრულ ჭკუაზე არ არიან, ყველა ერთად რამ გადარია? – ბუზღუნებდა ამბერკი, – ხელს ისე მკრავენ, თითქოს მაგათი პატარა ბიჭი ვიყო...

იდგნენ და გაყინულ ჰაერში სიგარეტების კვამლს თვალს აყოლებდნენ, ვითომდა ჩვენს გარშემო ქალაქის დუღილი ჩვენთვის ჩვეულებრივი ამბავია, არაფერი გვიკვირსო.

სხვა რამ გაუკვირდათ, გვიან მოისაზრეს ერთი რამ.

– ორი ოთახი კია, მაგრამ მოცუცქნული, მეორე ოთახი სამზარეულოდაც გამოუყენებია, ყველანი ერთ ოთახში უნდა ვიყოთ? – პირველი ნოდარი მოვიდა გონს. – შენს გემოზე ვერც წახვალ-მოხვალ, ვერც დაიგვიანებ...

– არც მე ვარ მანდ გამჩერებელი! – ხელებს იქნევდა ამბერკი, – იქნება მინდა, ვინმე სტუმარი მოვიყვანო, ჰა? თვითონ მაინც ყოფილიყო ერთი ოცდაათი წლით ახალგაზრდა.

– რა გინდათ, წესიერი ქალი ჩანს, ძველებური ყაიდის, ახლა ალბათ უჭირს და მდგმურებს აყენებს; პირი ვუტეხოთ, არ იქნება ლამაზი... – ვეფხია ამას ამბობდა, თუმცა თვითონაც შეფიქრიანდა – ვერ მოეწყვნენ რიგიანად.

კარგა ხნის ბჭობის შემდეგ, საბოლოოდ გადაწყდა, სასტუმროში დაბინავებულიყვნენ. ტაქსში მოკალათდნენ და შოფერს სთხოვეს, რომელიმე ახლო სასტუმროსთან მიეყვანა ისინი.

ჯერ არც ისე გვიანი იყო, მაგრამ დეკემბრის ბინდი ეფინებოდა უკვე ქუჩებს, როცა ვეფხია, ნოდარი და ამბერკი სასტუმრო "როდინას" გრანიტის ფართო კიბეებზე ავიდნენ.

გაჩირაღდნებულ ვესტიბიულში მაშინვე თვალში ეცათ წითელი დიდი ასოებით ლამაზად გამოყვანილი განცხადება: "adgil ebi ar aris!"

ძახილის ნიშანიც არ დავიწყებიათ, თავის ადგილზე იყო დასმული. რამდენიმე კაცი იქვე სავარძლებში მოკალათებულიყო და თვლემდა, ალბათ ნომრის განთავისუფლებას თუ ელოდნენ.

ჩვენმა გმირებმა მაინც რეგისტრატორის სარკმელს მიაშურეს.

ამბერკი და ნოდარი განზე გადგნენ, რათა ვეფხიასთვის ხელი არ შეეშალათ დიპლომატიურ მოლაპარაკებაში. ერთი თავისუფალი სავარძელი აღმოჩნდა და იმაში ნოდარი ჩაეფლო, თვალები მილულა.

ცოტა ხანში კუდამოძუებული ვეფხია გამობრუნდა რეგისტრატორი ქალისგან და ახლა მედიდურ კარისკაცს მიაშურა, გადამდგარ გენერალს რომ ჰგავდა. შორიდან მოუარა, ჯერ ისე, ზოგადი საუბარი წამოიწყო და ძალიან გაუხარდა, როცა შეიტყო, რომ ორივენი თბილისის "დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის თაყვანისმცემლები აღმოჩნდნენ. ევრიკა! იქნებ ამ გზით მოინადიროს მისი გული? გააბეს ლაპარაკი ყიფიანზე, დარასელიაზე, შენგელიაზე, გუცაევზე, სულაქველიძეზე, ჩივაძეზე, გაბელიაზე... ბევრი იქაქანეს, მაგრამ, როცა ვეფხიამ დახმარება სთხოვა, "გენერალმა" შორს დაიჭირა, მე პატარა კაცი ვარო.

მოსაუბრეებს ამბერკი მიუახლოვდათ.

– რა ქენი? – ჰკითხა ვეფხიას.

– რა უნდა მექნა! – ხელები გაშალა ვეფხიამ. – იმ შობელძაღლმა ეგრევე შემომიღრინა, კითხვა თუ იციო, და გამოკიდებულ განცხადებაზე მიმითითა. როცა ღიჭინი დავუწყე, შუბლზე მიიკაკუნა თითი, კარგად ხარო. კლდესავით ქალია.

– ფული შეაძლიე?

– კი, კაცო, არ აიღო... არ გვაქვს ადგილები, თუ გინდა, ყელი გამომაჭერიო, გადამიწურა წყალი.

– რამდენი?

– რა რამდენი?

– რამდენი აძლიე?

– ოცი მანეთი.

– ორმოცდაათი მიეცი, ნახე, თუ არ აიღოს!

– რომ არ აიღოს?

– მაშინ ასი შეაძლიე! კაცი არ არსებობს, ვინც ქრთამს არ აიღებს! ოღონდ გააჩნია – ზოგი ნაკლებს ყაბულდება, ზოგი მეძვირეა! მიდი!.. – გასამხნევებლად ხელი მსუბუქად წაჰკრა მხარში ამბერკიმ ვეფხიას.

ვეფხია ერთხანს ისევ ეჩურჩულა შუახნის ფერუმარილიან-ჩაპომადებულ რეგისტრატორ ქალს, ჩადო ორი ხუთთუმნიანი პასპორტებში და უკვე აწვდიდა, როცა უცებ თვალებგაფართოებული ნოდარი ეცა ხელში და გაგიჟებულმა შეჰყვირა:

– ბიჭო, ხომ არ გადაირიე, რაში აძლევ ამდენ ფულს? შენ მოკალი ლადო, ასე რომ აფრიალებ ხუთთუმნიანებს!..

– დამანებე თავი, შენი სიძუნწით დავრჩებით ამაღამ გარეთ! – იქით შეუტია ვეფხიამ, მაგრამ მოულოდნელად გამოჩენილი მეტოქე ვერ მოიშორა.

ამათ ძიძგილაობაში მესამე პირიც ჩაერია, თუმცა თეჯირს იქითა მხრიდან: რეგისტრატორმა ქალმა იფიქრა, ესენი ვიღაცა პროვოკატორები ხომ არ არიანო და ახლა ის აყვირდა:

– გაბრძანდით გარეთ, ქუჩაში იჩხუბეთ, ადგილები არ გვაქვს! – და სადღაც უკანა ოთახში გავიდა.

დარჩნენ ხახამშრალნი...

გაიძურწნენ გარეთ და კიბეებზე შეჩერდნენ, სიცივით შუბლგაგრილებულნი, თუმცა არცთუ სავსებით: აქეთ – ვეფხია უბღვერს ნოდარს, იქით – ნოდარი ქაჩავს თვალებს... ამბერკიც დაბოღმილია, ამ ჩერჩეტი ნოდარას გულისთვის ჩაიშალა უკვე მოკვარახჭინებული საქმე...

ვეფხია შებრუნდა შენობაში, იმ მედიდურ კარისკაცს, თბილისის "დინამოს" თაყვანისმცემელს, გადამდგარ გენერალს რომ ჰგავდა, გამოელაპარაკა.; მეორე სასტუმრო "დიადი განთიადი" თურმე ასიოდე მეტრში, განიერი გამზირის მეორე მხარეს ყოფილა...

იქ ფეხით გასწიეს, მაგრამ სანამ მიწისქვეშა გადასასვლელს მიაღწევდნენ, ალბათ კილომეტრზე მეტი იარეს, მერე უკან დაბრუნდნენ, უკვე ქუჩის მეორე მხარეზე, და ისევ აიარეს ფართო კიბეები, ოღონდ ამჯერად სასტუმროსი "დიადი განთიადი".

უზარმაზარ ვესტიბიულში თბილოდა; ზამთრის ბაღი იყო გაშენებული, ჩიტები გალობდნენ გალიებში და მარმარილოს სვეტები ბრწყინავდნენ გაჩირაღდნებული დიდებული ჭაღების შუქზე – წასვლა არ მოგინდებოდა აქედან, სითბოსა და სიმყუდროვეს მონატრებულს...

ოღონდ აქაც ლამაზად და დიდი ასოებით ეწერა: "adgil ebi ar ar i s!"

აქაც მედიდური კარისკაცი-"გენერალი" გაჯგიმული იდგა ან მხედართმთავარივით ამაყად მიმოდიოდა ზურგს უკან ხელებშემოწყობილი, აქაც ისხდნენ დივანებსა და სავარძლებში აპათიური ადამიანები...

აქაც შუახნის რეგისტრატორი ქალი იყო, ამ ლამაზმანსაც თვალ-წარბი და ტუჩები დახატულ-შეფერილი ჰქონდა, ოღონდ განსხვავებაც იყო – შეღებილი ღია ქერა თმა ისე აეჩეჩა, რომ ოქროსფერ ბულულად ადგა თავზე.

ვეფხია თეჯირზე დაიხარა მისკენ და ჩურჩული გაუბა. ამჯერად დაბღვერილი ნოდარი მოშორებით იდგა და ხმას არ იღებდა.

ვეფხია სულ ღიმილად დადნა. გაუბა მუსაიფი უსაქმობისგან გულგაწყალებულ ქალს. ქალიც გამოცოცხლდა, წამდაუწუმ ისწორებდა მბრწყინავ საყურეებს, იჭყიტებოდა სარკეში, ააელვარა ღიმილში კბილები (ნახევარი მაინც ოქროსი ჰქონდა).

– ო, რა მშვენიერი სახელია – პოლინა! – ჭიკჭიკებდა ვეფხია, თან ნახშირით დახატულ წარბებქვეშიდან ცისფრად აციმციმებულ ქალის თვალებს საპასუხო მომნუსხველი მზერით აშტერდებოდა. – ასეთ ქალს არ შეიძლება ქვის გული ედოს ლამაზ მკერდში, რაღაცით დაეხმარება სამ გასაჭირში ჩავარდნილ უბინაოს, რომელთაც ამოდენა ქალაქში ერთი უბრალო ნაცნობიც კი არ ჰყავთ!

ვეფხიას პასპორტები ისე ეჭირა ხელში, რომ იქიდან ყურგამოჩენილი მწვანე ასიგნაცია რეგისტრატორს კარგად დაენახა.

უცებ გაღიმებული ქალი წამოიწია სკამიდან, სახე ვეფხიას მიუახლოვა და უჩურჩულა:

– ფული არ მინდა, მაგით, ჯობს, კონიაკი და რამერუმე იყიდე და მომიტანე! – მერე მარცხენა ხელით პასპორტები გამოართვა, მარჯვენათი კი ვეფხიას გაღეღილ მკერდზე ამობუჩქულ თმას მიუალერსა: – ეს რა ტყე ამოგსვლია, ალბათ მგლები ბუდობენ შიგ!

შორიახლოს მდგომი ამბერკი გახარებული აცუნცრუკდა; ვეფხიას ჩასჩურჩულა:

– ბიჭო, მგონი გაიჩარხა საქმე! მოეწონე, ნაღდად მოეწონე! იკისრე რამე, გაეთომარე!

სულ მალე ორადგილიან ნომერში გამოიჭიმნენ, ერთი გასაშლელი სკამლოგინიც ჩაუდგეს და სანეტაროდ განეწყვნენ! ერთი ეგ იყო, ბარგი ჰქონდათ მოსატანი. ვეფხიამ გადაჭრით თქვა უარი "არისტოკრატ" ქალთან წასვლაზე ბარგის წამოსაღებად, რატომღაც ძალიან ერცხვინებოდა იქ მისვლა.

– მე, ჯობს, მაღაზიაში გავივლი, იმ ქალს რამდენიმე ბოთლ კონიაკს და შოკოლადს ვუყიდი.

– ვიცით, ვიცით, რაც გიდევს გუნებაში! – გაიკრიჭა ამბერკი. – კარგად მოვლილი ტურფაა, მომილოცავს! ნომერში შემოიპატიჟე.

– რას ამბობ, დედის ტოლა ქალია! – ხელი აიქნია ვეფხიამ.

ამბერკი მაინც თავისას გაიძახოდა, მაშინ გაწიწმატებულმა ვეფხიამ მიახალა:

– ბებიაჩემის ხნის იქნება, რა გამიწყალე გული! თუ ეგრე მოგწონს, შენთვის დამი- თმია!

– კარგი ერთი, დიდი-დიდი ორმოცდახუთი წლის იქნება! – არ ცხრებოდა ამბერკი. – გინდაც მეტის იყოს, რა გაახურე საქმე!

ცოტა არ იყოს, უკმაყოფილონი, ამრეზილნი წავიდნენ თავთავიანთი გზით, ნოდარი და ამბერკი – ბარგის მოსატანად, ვეფხია – სასურსათო მაღაზიაში.

ჩანჩქერი XI. ნებით მომეცით ეს პირსაბანი, სანამ მილიციისთვის დამიძახებია!

მეორე დილით (თუმცაღა, რაღა დილა იყო – თორმეტი საათი სრულდებოდა) პირველმა ვეფხიამ გაიღვიძა. ძალიან ეუცხოვა, რომ დივანზე იყო მიგდებული გაუხდელად, მის გვერდით ასევე ჩაცმული ამბერკი ხვრინავდა, იატაკზე კი ხალიჩაზე ნებიერად გაშოტილიყო ნოდარი, რა თქმა უნდა, ისიც ჩაცმული, ამბერკიზე უარესად მხვრინავი.

მალე ამბერკისა და ნოდარსაც გაეღვიძათ. ერთხანს გემრიელად იზმორებოდნენ, მერე გაკრიალებულ სააბაზანოსა და საპირფარეშოს ესტუმრნენ.

– იფ, აი, ასეთი ცისფერი პირსაბანი მინდა! – წამოიძახა ამბერკიმ. – მე კაცი არ ვიყო, თუ ცისფერი პირსაბანი არ ვიშოვო! მთელ ქუთაისში ამნაირი არავის ექნება! ძვირი იქნება ნეტავი?

ნოდარი ჯიბეში იქექებოდა ჩუმ-ჩუმად, ამოწმებდა, გუშინ მაგრად ვყლაპე და მე ხომ არ გადავიხადე რესტორანში დანახარჯიო. როცა დარწმუნდა, რომ არც სიმთვრალეში უდალატია თავისი ბუნებისთვის, მინდოდა მეთქვა, ღიმილმა გაუნათა-მეთქი პირისახე, მაგრამ სინამდვილეს ვერ დავმალავ და დაუფარავად მოგახსენებთ – ნოდარმა კი გაიღიმა, მაგრამ ერთი მისხალითაც არ მომატებია არც სინათლე სახეზე და არც მიმზიდველობა; შესაძლოა, უფრო დაუშნოვდა კიდეც.

– ვიღაც დილით აკაკუნებდა კარებზე და შემეზარა ადგომა! – თქვა ნოდარმა.

– პოლინა იქნებოდა, სხვა ვინ! – ვეფხიას შეხედა ამბერკიმ. – დილით მორიგეობა დაუმთავრდებოდა. ბიჭო, ცოტა ყურადღება მიაქციე: პატივი გცა, შენც ეცი პატივი!

– კარგი ერთი, მორჩი, თუ კაცი ხარ! – უსიამოვნოდ გაიღმიჭა ვეფხია.

ამ დროს აჩხაკუნდა გასაღები კარებში და ნომერში უბოდიშოდ შემოიჭრა შუახნის დამლაგებელი ქალი. ისეთი დამჟავებული სახე ჰქონდა, თითქოს მილიონის ვალი ჰქონდა დღესვე გადასახდელი.

– აბა ჩქარა, უნდა დავალაგო, გაბრძანდით ახლავე აქედან! – უბოდიშოდ დაუტატანა მდგმურებს, არც მისალმებია.

მხოლოდ პირი დაიბანეს და ჩავიდნენ სასტუმროს რესტორანში.

რამდენიმე დღე გავიდა ამგვარად: დილით, წამოდგებოდნენ თუ არა, მაშინვე რესტორანს მიაკითხავდნენ მთელი დღით.

რატომაც არა!

გარეთ ციოდა უბედურად, აქ კი:

არ აწვიმდათ და –

არ ათოვდათ და –

არ შიოდათ და –

არ სწყუროდათ, ღვთის მადლით!

ერთ დილას კი, რესტორანში მაგიდას შემოუსხდნენ თუ არა, ამბერკის გაახსენდა:

– თეთრი პირსაბანი უნდა ვიშოვო!

– თეთრი კი არა, ცისფერი გინდოდა, ამბერკი ბატონო! – შეუსწორა ვეფხიამ.

– მით უკეთესი! – ამოიჩემა ამბერკიმ, – წავიდეთ, ლამის თავი გამისკდეს ცალკერძ სმისა და ცალკერძ რესტორანის მემუსიკეთა ბრახაბრუხის გამო...

რა დიდი ჩაცმა-დახურვა მათ სჭირდებოდათ: პალტოებში ხელები გაუყარეს, თავზე ქუდები თვალებამდე ჩამოიფხატეს და გამოვიდნენ გარეთ – ქუჩის ხმაურში და ყინვაში. მზიანი დღე კი იყო, მაგრამ საკმაოდ გაითოშნენ, სანამ ტაქსს დაიჭერდნენ.

ვეფხიამ,. როგორც ყოველთვის, ხნიერ შოფერს გაუბა ლაქლაქი დამტვრეული რუსულით, მერე ჰკითხა:

– მეგობარო, გამოცდილი კაცი ჩანხარ და ცისფერ პირსაბანს ვეძებთ, რომელ მაღაზიაში ვიშოვით?

– მაღაზიაში ნუ ეძებთ, ტყუილად იწოწიალებთ, ახლა არ არის; გირჩევნიათ, რომელიმე მშენებლობაზე წაგიყვანთ, იაფადაც გამოხვალთ! – უპასუხა შოფერმა.

უსაშველოდ დიდხანს იარეს და, ბოლოს, მიგრიალდნენ კიდეც დიდ მშენებლობაზე.

– აქ, ოლიმპიური სოფელი შენდება და ნაღდად იშოვით! – დააიმედა შოფერმა.

შევიდნენ ერთი სახლის სადარბაზოში, ვიღაც ქურთუკიანი ახმახი კაცი ჩალიჩობდა.

– გამარჯობა! პირსაბანი გვინდა, ცისფერი!

– წამოდით! – მაშინვე უპასუხა ქურთუკიანმა.

ავიდნენ ერთ-ერთ სართულზე; ქურთუკიანი შევიდა ბინაში, სააბაზანოში დაიწყო პირსაბანის მოხსნა. ცოტა ვერ იოსტატა – გაებზარა.

გადავიდნენ სხვა ბინაში – იქაც გაუტყდა...

– არ მომწონს ეს სიტუაცია! – თქვა ვეფხიამ. – მოდით, ქვევით ჩავიდეთ, იქ მოვუცადოთ.

ჩავიდნენ, ფეხების ბაკუნით მიმოდიან – ცივა!

ნახევარ საათში გამოვიდა ახმახი ცისფერი პირსაბანით.

ამბერკიმ მისცა თორმეტი მანეთი – რამდენიც იმან მოითხოვა.

– კიდევ ხომ არ გინდათ? – იკითხა ახმახმა.

– არა, დიდი მადლობა! – უპასუხა ვეფხიამ და კიდევ სამი მანეთი დაუმატა.

არ ჰქონდათ ორმოცდაათი მეტრი გავლილი, დაეწიათ ვიღაც კაცი, ისიც ქურთუკიანი, ოღონდ ბევრად დაბალი, ჩასხმული.

– ეს პირსაბანი საიდან მოგაქვთ?! – ქორივით დააცხრათ თავზე.

– ვიყიდეთ!

– ვიცი მე თქვენი ყიდვა! სანამ მილიციისთვის დამიძახებია, ნებით მომეცით! – ეცა ამბერკის, გამოღლიტა პირსაბანი ხელიდან (საკმაოდ ღონიერი გამოდგა!) და წაიღო.

დარჩნენ ხახამშრალნი...

დგანან, ერთმანეთს შესცქერიან.

– ფუი, ამის დედა ვატირე, ახლა რაღა ვქნათ? – გულაღრენილმა გადააფურთხა ამბერკიმ.

– ხარჯი ხარჯია, აქ მშენებლობების მეტი რაა! – თქვა ვეფხიამ.

გვერდზე მშენებლობას მიადგნენ, ცისფერი გადასატანი ვაგონი იდგა. დააკაკუნეს კარებზე.

კარები გაიღო, ვეფხია ვაგონში შევიდა. ხუთი-ექვსი კაცი გაღუღუნებულ ღუმელთან ისხდნენ და არაყს სვამდნენ.

– გამარჯობა, უფროსებო! ერთი ცისფერი პირსაბანი გვინდა, ვერ მოგვიხერხებთ?

შუახნის კაცმა შეუბღვირა:

– მე აქ მთავარი ინჟინერი ვარ, როგორ ბედავ ასეთ რამეს! მილიცია ხომ არ მოგნატრებია?

ერთი მოხუცი კაცი წამოდგა, პიჯაკზე ორდენ-მედლების ზონრები ჰქონდა გაკეთებული, ეტყობა, ნაფრონტალი კაცი იყო. ვეფხია შეათვალიერა:

– შენ რუსი არ უნდა იყო, სადაური ხარ?

– ქართველი ვარ, საქართველოდან!

მოხუცი მიუბრუნდა უფროსს:

– Hflb Cifkbyf – lflbv!

ბოდიშს ვიხდი, რომ აქ უცხო ტექსტი ჩავრთე – მხოლოდ ასოთამწყობთან კი არა, საქმე რომ გავურთულე, მკითხველთანაც...

უფროსი დაჰყაბულდა, კარგიო, უხმოდ დაუქნია თავი. ამბერკიმ ახლა თხუთმეტი მანეთი გაიღო, მოხუცმა მანეთიც დაამატა და ერთი კაცი არაყის მოსატანად გაიქცა, მეორე – ცისფერი პირსაბანისა.

არაყიანი მალე დაბრუნდა; სანამ პირსაბანიანი მოვიდოდა, სამი სტუმარიც არყის მსმელებს შეუერთდა.

ჯერ ვეფხია შებორკილად გრძნობდა თავს რუსულის "ბრწყინვალე" ცოდნის გამო; ორი ჭიქის გადახუხვის შემდეგ გათამამდა, ნელ-ნელა ხელთ ჩაიგდო სუფრის სადავეები. ვაგონის კუთხეში მიყუდებული, მკვრივ ქაღალდში საგულდაგულოდ გახვეული ცისფერი პირსაბანი, კარგა ხანია, ელოდა ბატონ ამბერკისთან ჩახუტებას, სამი მეგობარი კი ვერა და ვერ ელეოდა კამპანიის თბილ ატმოსფეროს. ახლად მოვლენილი თამადის, ვეფხიას, ინიციატივით კიდევ ორჯერ გააგზავნეს კაცი არაყისა და სასუნსავის მოსატანად, ამბერკისა და ნოდარისთვის კი რამდენიმე ბოთლი ღვინოც მოაყოლეს... მერე სამმა თანამესუფრემ ქართულად წაუღიღინა კიდეც, თანდათან ეშხში შევიდნენ და რამდენიმე სიმღერა მთელი ხმით დააგუგუნეს; მათ დანარჩენებიც აჰყვნენ – ისინიც ცდილობდნენ "ქართულად" ემღერათ...

ბოლოს, გამომშვიდობების შემდგომ, მასპინძელთაგან ყველაზე ახალგაზრდამ და ყველაზე ფხიზელმა, ამოიიღლიავა ცისფერი პირსაბანი და მანამდე არ დაანება ამბერკის, სანამ სასტუმროს ნომერში არ შეუტანა.

ვეფხიამ ორი ბოთლი არაყის ფული ჩაუკუჭა ქურთუკის ჯიბეში.

ჩანჩქერი XII. დიდ ბოდიშს ვიხდი, რომელ ნომერ ლიფს ატარებთ?

– რა დაგიჯდა, ამბერკია, ერთი ცისფერი პირსაბანი? – დაცინვით ჰკითხა მეორე დღეს ახალგაღვიძებულ ამბერკის ნოდარმა; ქვედა ყბა კიდევ უფრო წინ გამოქაჩა და ამით ხაზი გაუსვა სიტყვა "ცისფერს". – სამოცი მანეთი იაფი უნდა იყოს, ჰა-ჰა-ჰა!..Ა ნამეტნავად იაფი!..

– შენ რა კუჭი გეწვის, შენი ჯიბიდან ხომ არ წასულა? სამაგიეროდ, დღეს შენ იკისრებ ხარჯს რესტორანში! – ჩაუნისკარტა ამბერკიმ.

ნოდარს ხმა არ ამოუღია – აქამდე კაპიკი არაფერში დაუხარჯავს და რესტორანში გახსნა, როგორც იქნა, თავისი ქისა. ისე, მართალი ითქვას, სულ ერთი საათი თუ ისხდნენ იქ, ნოდარმა ააჩქარა ამბერკი და ვეფხია – თქვენ თუ თქვენს საქმეებს აკვარახჭინებთ, მეც დამაბარეს რაღაც-რაღაცეები და დღეს მინდა მისი შეძენაო.

– მაინც, რის ყიდვა დაგაბარეს? – ჩაეძია ვეფხია.

ნოდარი აიწურა, არ უნდოდა გამხელა, ბოლოს, გამოტყდა – მზექალამ ლიფის ყიდვა მთხოვაო.

ვეფხიასა და ამბერკის ხარხარზე რესტორანის ხალხით გატენილ უზარმაზარ დარბაზში ყველა თავი მათი მაგიდისკენ მოტრიალდა...

კარგა მოშუადღევდა, როცა სახელმწიფო უნივერსალურ მაღაზიას ესტუმრნენ წითელ მოედანზე – ყველანი რომ "გუმ"-ს უწოდებდნენ. სართულებსა და უზარმაზარ გრძელ დარბაზებში კინაღამ დაიკარგნენ, როგორც იქნა, კითხვა-კითხვით ქალთა განყოფილებას მიაკვლიეს (კითხვაზე ათიდან ერთი თუ უპასუხებდათ, დანარჩენები კი შეუბღვერდნენ, თქვენთვის არ გვცალიაო).

ცოტა არ იყოს, შეფიქრიანდნენ: ქალთა ჯარი ირეოდა მშვენიერი სქესის ტუალეტის ინტიმური საგნების, ჩასაცმელ-დასახურავისა და სხვათა სექციებში – ყველგან კილომეტრიანი რიგები იყო გაჭიმული... ნოდარს სხვა საფიქრალიც გაუჩნდა – ლიფის ზომა ვერ გაიხსენა, ჩანაწერებიანი ქაღალდი კი ვერ იპოვა.

დაბოდიალობდნენ ასე წინ და უკან ვეფხია და ამბერკი, ქალთა ცნობისმოყვარე მზერას ვითომ ვერ ამჩნევდნენ, სანამ ნოდარმა ყველა ჯიბე მოიქექა ჩაწერილი ინფორმაციის ამაო ძიებაში (ის ფურცელი ფულთან ერთად ჰქონდა შენახული და არ უნდოდა ამხანაგებთან სამალავის გამომზეურება), მერე კარგა ხანი ლიფის ზომის გახსენებას ამაოდ მოანდომა.

– ე, ბიჭო, ასე ვისეირნოთ აქ მაღაზიის დაკეტვამდე? – აუხირდა ამბერკი ნოდარს. – შეხედე შენი ბრუციანი თვალებით, რამხელა რიგებია!

ამ ბოლო დროს ვერ რიგდებოდნენ ერთმანეთში, სულ აქილიკებდა ამბერკი ნოდარს და ეს უკანასკნელიც არ რჩებოდა ვალში. ვეფხიას საკმაო დიპლომატიური ნიჭისა და მოთმინების გაღება სჭირდებოდა მათი ჯერჯერობით მიკროკონფლიქტების ჩასაქრობად, ახლა კი ბიძაშვილს შესთავაზა:

– ნოდარ ჩემო, სხვა გზა არ გვაქვს: ან უნდა ულიფოდ ჩახვიდე თბილისში, ან შეარჩიო ვინმე ლამაზმანი, დაახლოებით მზექალას აღნაგობისა, და ჰკითხო, რა ნომერ ლიფს ხმარობს...

კარგად დამთავრებულიც არ ჰქონდა ეს ნახევრად დაცინვით ნათქვამი სიბრძნე, რომ ნოდარი თოფნაკრავივით შედგა, თვალებგადმოკარკლულმა ჰკითხა:

– რას მერჩი, ვეფხო, გინდა, თვალები ამომჩიჩქნონ?

ამბერკი ცბიერად იღიმება:

– პატივცემულო ნოდარია, დღეს ხომ შენს კმაყოფაზე ვართ, თუ ამ საქმეს მოგიკვარახჭინებ, ხვალაც გაიკრავ ჯიბეზე ხელს – გეყო, რაც საგულდაგულოდ ამოკერებული გქონდა! ყაბულსა ხარ?

ნოდარს სახე ჩაუმუავდა, მაგრამ მაინც თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

– მაშინ, აბა, დაცქვიტე ყურები, უფრო სწორედ, თვალები დაამჭყირე! ფართოდ გაახილე, ფართოდ; ნუ გეშინია, არ გაგისკდება, წვრილზე წვრილი თვალები გაქვს. ჰოდა, ჩემო ძამია, შეარჩიე ქალი, შენი დის მსგავსი აგებულება რომ ჰქონდეს, დამანახე და დანარჩენი ჩემზე იყოს!

ნოდარმა კარგა ხანს ათვალიერა ქალების ჯგრო, ბუზივით რომ ირეოდა გარშემო; ზოგს პალტო ეცვა, უმრავლესობას – ქურქი და ეს გარემოება საკმაოდ უშლიდა ხელს ამბერკის მიერ დასახული ამოცანის გადაჭრაში. ბოლოს, მართლაც ღვთიური სილამაზის ქალიშვილზე მიუთითა – აი, ამას ჰგავსო.

– ისემც შენ რა გითხარი, – მოურიდებლად დასცინა ამბერკიმ, – შეადარე ცარცი ნახშირს! კარგი, თუ შენ ეს ტურფა ასული შესაფერისად მიგაჩნია, ეგრე იყოს...

მოგოგმანებდა ქერა, ცისფერთვალება ანგელოზი, ცისფერ გაღეღილ ხალათში გამოკვართული, ეტყობა, ამ მაღაზიის გამყიდველი იყო.

ამბერკი წინ გადაუდგა და ოდნავ შემცბარ ქალს დამტვრეული რუსულით ჯიქურ მიაყარა:

– იცით, დიდ ბოდიშს ვიხდი, უნდა მიშველოთ... ასეთი საქმეა: დამ დამავალა ბიუსტჰალტერის ყიდვა და დაახლოებით თქვენი კომპლექციისაა, რომელ ნომერ ლიფს ატარებთ?

– მართლა? – ირონიულად გაუღიმა გოგომ.

ამბერკიმ ვეფხიას და ნოდარს დაუძახა:

– ბიჭებო, მოდით აქ, მომეხმარეთ!

ნოდარმა მეგობრებზე ბევრად უკეთესი რუსული იცოდა, მაგრამ ამბერკის გასაჭირიდან გამოყვანა არც უფიქრია, აზიმზიმებულ ბრბოში მიიმალა. ვეფხია კი უმალ იქ გაჩნდა, დაუწყო ქალიშვილს აქეთური-იქეთური, ცამდე აიყვანა ქება-დიდებით (რასაც იგი ნამდვილად იმსახურებდა!)...

ხოტბამაც ვერ უშველათ, მაინც ვერ დაიყოლიეს.

ამბერკის სიტყვათა მარაგი რომ საბოლოოდ გამოელია, ქალს მკერდზე მოჰკიდა ხელი, მოამრგვალასავით ხელისგული და უთხრა:

– აი, ასეთი ზომის ლიფი გვჭირდება!

– სანამ ხელი არ მოჰკიდე, ისე ვერ მიხვდი ზომას? – ჰკითხა დაბნეულმა ვეფხიამ; უყურებდა ქალს, მოელოდა, ახლა კი ერთს გემრიელად გაულაწუნებს თავხედს ყბაში და თუ ამით გადავრჩით, კარგი იქნებაო, მაგრამ... შეცდა!..

ქალიშვილმა გაიღიმა (ღიმილი ძალიან უხდებოდა!):

– რამდენი ლიფი გინდათ?

– ახლავე!..

ვეფხია გავარდა, მოძებნა სადღაც შემძვრალი ნოდარი, გამოართვა ფული; ჰკითხა, რამდენი ლიფი დაგაბარეს, ის მაინც თუ გახსოვს, შე ჩერჩეტოო, – ეჩქარებოდა, თორემ ერთს წაუთაქებდა კიდეც...

ქალიშვილმა უზარმაზარი რიგის გვერდის ავლით ერთ წუთში შეუსრულა ამბერკის თხოვნა.

– სულ ერთი ცალისთვის გაისარჯეთ? – გაუკვირდასავით, მერე გატრიალდა, მაგრამ ორიოდე ნაბიჯის შემდეგ მოხედა მათ და ღიმილით დაამატა: – ოთხი ნომერი ხელს გაძლევთ?

– შენ კი გენაცვალე, უბე ბარაქიანო ქალო! – აღტაცებული მზერა დაადევნა ვეფხიამ.

– ღმერთივით გოგოა! – აღფრთოვანებით წამოიძახა ამბერკიმ, მერე ნოდარს მიუბრუნდა: – რა სულ ჩამოგტირის ცხვირ-პირი, ლიფი ხომ არ გეძვირა? მზესავით ქალმა გიშოვა! გავარდი ახლა და რამდენიმე ფილა შოკოლადი მიართვი!

ნოდარმა არაფერი უპასუხა, რატომღაც სახე კიდევ უფრო მოეჟამა, მაგრამ მაინც შეასრულა ამბერკის მითითება.

დაბრუნდა ნოდარი და – ძლივს არ ნახეს გაღიმებული?!.

– ე, ბიჭო, ნოდარია, რა დაგემართა, გზაში ფული ხომ არ იპოვნე? – გაეხუმრა ვეფხია. – ნახევარი მაინც გვარგუნე მე და ამბერკის.

– ერთი მაკოცა და თქვენ ორსაც როგორ გაგიყოთ?

– უყურე შენ ამ ქვეშქვეშას! – გაეცინა ვეფხიას. – შენი ამბავი რომ ვიცი, პაემანსაც დაუნიშნავდი!

– მე ვიჩალიჩე, კოცნა კი ნოდარიამ უნდა მიიღოს? შეხედე ერთი, რას ჰგავს! – წამოიძახა ამბერკიმ. – არა, ძმაო, ეგ გოგო მე უნდა მოვჩანგლო! ნოდარია უბედურო, მითხარი, რა ადგილას მუშაობს?

ვეფხიამ და ნოდარმა ამბერკის ახირებული სურვილი ძლივს გადაათქმევინეს, მერე კაცთა განყოფილებისკენ გაისეირნეს. შეეგებათ უზარმაზარი წარწერა: "ყველაფერი kacebi sTvis!" და ყველგან – უზარმაზარი რიგები... ერთგან იკითხეს, რაზე დგახართო; თურმე ჯერ იმაზე იდგნენ, რომ გაეგოთ, რა იყიდებოდა; მერე სალაროსთან ჩეკის ასაღებად უნდა გეყურყუტა და, ბოლოს, მყიდველთა რიგი კიდევ სხვა იყო. ერთი წყვილი წინდა რომ შეგეძინა, რამდენიმე საათი დაგჭირდებოდა.

– ეგენი, ძმაო, აქ რიგობიას თამაშობენ, სპორტის ეროვნული სახეობაა, ჩვენ ვერ შევეჯიბრებით, აქ გამჩერებლები ვართ? – თქვა ამბერკიმ.

წამოსვლა დააპირეს, მაგრამ სწორედ ამ დროს ამბერკიმ დალანდა, რომ ერთ ადგილას ვიღაც ახალგაზრდა კაცი უცხოურ ფეხსაცმელს იზომებდა, უკვე ნაყიდს.

– აი გმირი! – გაეცინა ვეფხიას. – შეხედე, როგორი ბედნიერი სახე აქვს! სულ ოფლად არის გახვითქული, ოხშივარი ასდის – სამი რიგი გაიარა და სამი საათი გაძლო რიგებში, ხუმრობაა?

– ბოტასები! მოდური! ჩავდგეთ რიგში?!. – აენთო ამბერკი, არადა, აქაც უზარმაზარი რიგია გაჭიმული, არის ერთი ჭიჭყინი, ყაყანი, ვაიუშველებელი.

– ახლა მე გიშველით! – დაიქადნა ვეფხიამ.

მივიდა იქვე მდგომ წესრიგის დამცველ მილიციონერთან, მკლავზე ხელი მოჰკიდა, გაუღიმა:

– მეგობარო, თუ შეგიძლია, მიშველე...

მაღალმა, ჯანიანმა, ახალგაზრდა, მაგრამ ძალზე სერიოზულ სახიანმა მილიციონერმა ქუდთან ხელი მიიტანა და გაიჭიმა:

– გისმენთ! რაშია საქმე?

– იცით რა, ორი ბოთლი კარგი ღვინო მაქვს... დრო კი არ მაქვს, ვერ შევძლებ ამ გრძელ რიგში დგომას, მატარებელზე დამაგვიანდება... ისე კი მაქვს დაკავებული რიგში ადგილი, რასაკვირველია, მაგრამ, ვგონებ, ბოტასები ვერ მომიწევს... თქვენ ხომ გეკუთვნით, ვერ ამიღებთ?.. ძა-

ლიან გთხოვთ... თუ არ შეწუხდებით... ჩემს მეგობრებსაც უნდათ... ორი ბოთლი საუკეთესო ღვინო მაქვს...

მილიციონერი დახლთან მივიდა, გამყიდველი გოგონებისკენ დაიხარა:

– 41 და 42 ნომრები დარჩა? გადამინახეთ ერთი წყვილი 41 ნომერი და ორი წყვილი 42 ნომერი!

რამდენიმე წუთის შემდეგ ვეფხია, ნოდარი და ამბერკი უკვე იზომებდნენ ახალთახალ ფეხსაცმელებს.

– აბა, ჩემო ნოდარია, დღეს შენი დღეა – ბედი გწყალობს! – ეუბნება ვეფხია. – გაიქეცი და ამ პატიოსან კაცს ჩვენი პატივისცემისთვის ორი ბოთლი ღვინო მოურბენინე! მაღაზია ახლოსაა, რაც იყოს, ის იყიდე, მაგისთვის მაინც სულ ერთია! მოიცა, ვკითხო, იქნებ ერთი ბოთლი არაყი ურჩევნია!

ჩანჩქერი XIII. სეზამ, გაიღე!

სასტუმროში დაბრუნებულებმა ამ დღის მომმარაგებლური ტრიუმფის აღსანიშნავად მაშინვე რესტორანისკენ აიღეს გეზი, მაგრამ ნოდარმა არ ქნა – ჯერ ნომერში ავიდეთ, ტანსაცმელი გამოვიცვალოთ, თან ამ კოლოფებით რა გვინდა რესტორანის დარბაზშიო.

საკვირველი კაცი იყო ბატონი ნოდარი – ამბერკი და ვეფხია ვერაფრით შეეჩვივნენ, რომ დღეში რამდენჯერმე იცვლიდა ტანსაცმელს; გამონახა ვიღაც ქალი იქვე სართულზე, რომელიც რეგულარულად ურეცხავდა და უუთოებდა, რაც საჭირო იყო. არადა, ბატონ ნოდარს სასიკეთოდ მაინც არაფერი ადგებოდა: ხომ გაუთოებულ-გაკრიალებული ეცვა მარად, პირიც მუდამ წმინდად გაპარსული ჰქონდა, მაინც ისე ჩანდა, თითქოს ვეფხიასაც და ამბერკისაც (რომლებიც არც ჩაცმა-დახურვაზე იწუხებდნენ თავს მაინცდამაინც და პირის გაპარსვაც ყოველთვის არც აგონდებოდათ) ბევრად უფრო პეწიანი და შნოიანი იერი ჰქონდათ.

ამჯერად ბატონ ნოდარს განზრახვა ჩაეშალა – როცა ნომრის გასაღები მოითხოვეს, მათ განუცხადეს, თქვენ გამოსახლებული ხართ, თქვენი ნომერი სხვებს აქვთ უკვე დაკავებულიო... თან ისეთი მშვიდი, გულგრილი, ოდნავ ღიმილმორეული სახით აუწყა პორტიემ მათ ეს სასიამოვნო ამბავი, რომ ფიცხ ამბერკის კინაღამ ხელი წასცდა მისი სახიდან ირონიის წასაშლელად.

– შეეშვი, საქმეს მივხედოთ! – ხელი მოჰკიდა ვეფხიამ და ლიფტიკენ გაქაჩა. – ჯობს, თქვენ ბარგს მიხედოთ, მე აქ ვიჩალიჩებ! – მერე იქვე მყოფ ნოდარს მიუტრიალდა: – შენ, მოწმესავით რომ აყუდებულხარ აქ, წაყევი და მიეხმარე!

ამბერკი და ნოდარი თავიანთ სართულზე ავიდნენ, მათი ნომრის კართან დერეფანში კოხტად დაეწყოთ ორი მომცრო ჩემოდანი – ვეფხიასი და ამბერკის – და ერთი უშველებელი – ნოდარისა. იქვე ტრიალებდა სქელი სართულის მორიგე და ლანძღვით იკლებდა იქაურობას, მე თქვენი ხარახურის დარაჯი კი არ ვარო. მხოლოდ იქვე მიდგმული ათიოდე ცარიელი ბოთლი რომ აჩუქეს, ოდნავ მოლბა.

ვესტიბიულში ჩამოსულებს ვეფხია სავარძელში ნებიერად ჩასვენებული დახვდათ, თან მარჯვენა საჩვენებელი თითით გასაღებს ატრიალებდა.

– ლუქსი დავითრიე! ეგ რეგისტრატორები ყველა ერთ თარგზეა გამოჭრილი, – ფული და მისი ჯანი, – სეზამ, გაიღე! – მარცხენა ხელისგული ჯიბეზე დაიტყაპუნა.

ათ წუთში რესტორანში ამოჩემებულ მაგიდას მიუსხდნენ.

– აბა, ზინა, ჩემო ძვირფასო, მოგვხედე ერთი, ვიხოცებით შიმშილით! – ხელებს იფშვნეტს ვეფხია.

დაძახება რად უნდოდა, იმ წამსვე ოფიციანტი ზინა თავს დასტრიალებთ.

ოჰ, ზინა, ზინა! საოცარი ოფიციანტი იყო, საოცარი! ძალიან გამხდარი, წერწეტა და წითური – ლამაზი არ ეთქმოდა, მაგრამ ისეთი ტკბილი ლაპარაკი იცოდა! ნიავივით დაჰქროდა მაგიდებს შორის და ყველგან ოჯახურ, მყუდრო განწყობას ქმნიდა. ჩვენი გმირები სულ მის მაგიდასთან სხდებოდნენ. შემთვრალი ამბერკია უბედური არასდროს გაუშვებდა ხელიდან შემთხვევას – მაგიდის გვერდით ჩავლილ ოფიციანტ ქალს არც ქათინაურს დაამადლიდა და ხელსაც თავხედურად მოუსვამდა საჯდომზე, მხოლოდ ზინა იყო გამონაკლისი – მისთვის არაფერი უკადრებია. ერთი-ორჯერ დააპირა ვითომ თავისებურად გაარშიყება, მაგრამ ვეფხიამ ისეთნაირად შეუბღვირა, რომ ამბერკის ასეთი რამ მეტი აღარ გაუბედავს.

ზინა ხუთ მაგიდას ემსახურებოდა, ოცზე მეტ შეკვეთას იღებდა – ყველას ზეპირად. "გისმენთ!" – იტყოდა და არასდროს არაფერი შეშლია. სხვა ოფიციანტებს ხშირად ერეოდათ, მიუხედავად იმისა, რომ შეკვეთებს წიგნაკში იწერდნენ; ისმოდა პრეტენზიები: "მე ეს არ შემიკვეთავს, ჩემი არ არის!" – იძახდა კლიენტი და იწყებოდა გადაძახილ-გადმოძახილი შემკვეთის მოსაძებნად.

– ჩვენმა ზინიკომ უკვე კარგა ხანია, ზეპირად იცის, რასაც შევუკვეთავთ, მაგრამ მაინც გვეცი პატივი, ნოდარია, და შენი სირინოზის ხმა გვასმინე, უკარნახე! – ამ სიტყვებთან ერთად ამბერკი წამოდგა სკამიდან, ნოდართან მივიდა და კოხტად გამოსკვნილი ჰალსტუხი ვითომ

მზრუნველობით გაუსწორა, მერე ზინას მოხვია წელზე ხელი: – ზინავ, ძვირფასო! ხომ ხედავ, რა სასიძო გვყავს! რა გემოვნებით იცვამს, იუგოსლავური ჟილეტი და პიჯაკი როგორ ჰარმონიულად ეხამებიან გერმანულ ჰალსტუხს! ან რა მშვენიერი, ახალთახალი ბოტასები აცვია! ნუ გრცხვენია, გამოყავი, ბიჭო, ფეხი!

ზინამ გაიცინა, ნოდარს მელოტ თავზე მსუბუქად გადაუსვა ხელისგული (თუმცა, მელოტზე კი არა, კეფიდან გადმოვარცხნილ თმაზე):

– ნოდარი კარგი ბიჭია! არ აწყენინოთ! – და მსწრაფლ გაეშურა შეკვეთის შესასრულებლად.

– ამბერკია მაიმუნო, უფროს-უმცროსი მე უნდა გასწავლო? ათი წლით მაინც ვარ შენზე უფროსი! – ვითომ ეწყინა ნოდარს. – ერთი ნომერში მყავდე ახლა, გაჩვენებდი სეირს!

– თქვენ, ბატონო ნოდარია, ბოდიში, ბატონო კამბეჩო, ჭკუა მთლად მკლავებში გაქვთ წასული! – ამბერკიმ უნებურად კინკრიხოზე მოისვა ხელი, სადაც მოზრდილი კოპი აჯდა – დილით ის და ნოდარი წაკინკლავდნენ, პატარა ბიჭებივით წაიჭიდავეს და ხუმრობა-ხუმრობაში კინაღამ კარადა და ტელევიზორი დალეწეს. ნოდარი ამბერკიზე ბევრად დაბალი იყო, მაგრამ ღონით აშკარად სჯაბნიდა; მაგარი, კვერცხივით ბიჭი იყო, თუმცა, ბოდიშს ვიხდი, რაღა დროს მისი ბიჭობაა – სიმელოტის გარდა, საფეთქლებზე ჭაღარაც გასჩენია და პატარა კოხტა ღიპიკოც ამშვენებს!

– კამეჩი ხარ, აბა რა, ქალი გეალერსება, შენ კი ზედაც არ შეხედე! რა ქალია, რა ქალი! ცეცხლია, ცეცხლი! – მხარზე დაჰკრა ხელი ვეფხიამ ნოდარს.

– თქვენთვის დაგვითმია, მაგისთვის ჭიდაობას არ დაგიწყებთ! – არ აჰყვა ნოდარი.

– ნოდარს რომ საყვედურობ, პოლინას ვინ ჰკრა ხელი? – შეუტია ამბერკიმ ვეფხიას. – რა კაცი ხარ შენ ამის მერე!

– ჰო, რომ შემოვდიოდით სასტუმროში, თუ გახსოვთ, პოლინა მაშინ გადიოდა კარებში. რაღაც ცივად გვიპასუხა სალამზე, ცივად კი არა – დაცინვით... ვიფიქრე, მომეჩვენა-მეთქი, დასაცინი რა გვჭირდა – ქალის ლიფი ვიშოვეთ გემრიელად და სამი წყვილი კიდევ მამაკაცის ბოტასები საოცნებო!

– ჰო, შენ იქილიკე შენებურად და კი გვითავაზა გემრიელი ჭიტლაყი და გამოგვაპანღურა ნომრიდან! – ხმა ამოიღო ნოდარმაც.

– თორემ უკეთეს აპარტამენტებში არ გამოვიჭიმეთ! – გაიჯგიმა ამბერკი, ვითომ მისი დამსახურება იყო რამე.

– აწი ჭიდაობა თუ მოგინდეთ, უკეთესი პირობები გაქვთ, იჭიდავეთ, რამდენიც გინდათ და ასვით ერთმანეთს კოპები! იმ გრაფინს და ორ ჭიქას რაღას ერჩოდით, იატაკზე რომ დაფშვნით?!. ახალ აპარტამენტებში ფრთებს გაშლით, იჭიდავეთ და ამტვრიეთ, რაც კი მოგეწონებათ, მერე კი აზღვიეთ ზარალი და იხადეთ ჯარიმები! – იღიმებოდა ვეფხია.

აპარტამენტები კი მართლაც ბედაური ჰქონდათ – უმაღლესი კატეგორიის ლუქსი ორ სართულად: პირველ სართულზე – ჰოლი, მისაღები კაბინეტი (ერთ კუთხეში დიდეკრანიანი ფერადი ტელევიზორით და მეორეში – ფორტეპიანოთი); სასადილო ოთახი მაცივრით და ელექტროღუმელით; მეორე სართულზე – საძინებელი ოთახი, საბაზანო და საპირფარეშო (საპირფარეშო ქვედა სართულზეც იყო).

გულახდილად უნდა ვაღიარო: იმ საღამოს მეორე სართულზე არ (უფრო – ვერ) ავიდნენ, მისაღები ოთახის დივანზე მიეყარნენ და დილამდე არ გატოკებულან... ბოდიში, ერთი შესწორება: ნოდარისთვის, სამწუხაროდ საკმაოდ ფართო დივანზე ადგილი აღარ დარჩა სამყოფი და, როგორც ყოველთვის, კოხტად გამოწყობილი ბატონი ნოდარი იატაკზეც მშვენივრად მოეწყო – მშვენიერ ხალიჩაზე მშვენივრად წამოგორდა და მშვენიერი ხვრინვაც გამოაცხო, რა თქმა უნდა, მშვენიერ დილამდე.

ჩანჩქერი XIV. კარგი ხალხი ჩანხართ, სანდო, მოვრიგდებით!

როგორც მოგეხსენებათ, მეორე დღესაც ჩვენი გმირების ჭამა-სმა ბატონ ნოდარს აწვა კისერზე და ამიტომ არ გაგიკვირდებათ, რომ ის-ის იყო დილით რესტორანში შეჩვეულ მაგიდას მიუსხდნენ, როცა ბატონმა ნოდარმა ამოშაქრა:

– დროზე ვეწიოთ საქმეს! შენ, ვეფხია, ავეჯი რომ დაგაბარეს საყიდლად, როგორ ფიქრობ, რესტორანში მოგართმევენ? ჯერ საქმე მოვითავოთ და მერე ვიქეიფოთ, რესტორანი სად გაგვეჭცევა! ავტომანქანების ბაზარშიც რომ გვინდოდა გავლა?

ამბერკიმ და ვეფხიამ იცოდნენ, რომ ნოდართან ჭიდაობა არ წაადგებოდათ და ამიტომ ერთი საათის შემდეგ უკვე ტაქსით მიჰქროდნენ ავეჯის საყიდლად.

მოსკოვი საახალწლოდ ზიმზიმებდა – ქუჩებში ხომ მანქანები მდინარესავით უწყვეტად მიედინებოდა, ხალხის ღვარი ავსებდა ტროტუარებს, მაღაზიებშიც არ შეისვლებოდა – კილომეტრიანი რიგები იდგა, თუნდაც ასანთი გქონოდა საყიდელი.

“ავეჯის სალშიც” იყო ერთი ვაიუშველებელი, თუმცადა მყიდველი თითქმის ყველა პირში ჩალაგამოვლებული გამოდიოდა – ნაირ-ნაირი იმპორტული ავეჯის გარნიტურების ნიმუშები მიჯრით კი ეწყო, მაგრამ ყველას ეწერა: “დღეს არ გვაქვს გასაყიდად”, ან – “გადაცემულია განაწილებით ამა და ამ ორგანიზაციაზე”, ან – “ნიმუში” და სხვა ამგვარი.

ერთხანს იტრიალეს, კარგ გამოფენასავით დაათვალიერეს; ფასები ეძვირათ, მაგრამ მაინც ვერ იყიდდნენ და ერთგვარი შვება იგრძნეს.

– მაგის რჯულიც არ იყოს, შინ ხომ მაინც შევძლებ თქმას, თქვენ რაც დამაბარეთ, ის არ იყო გასაყიდად-მეთქი, – ცოტა არ იყოს გახარებულმა წამოიძახა ვეფხიამ, რომ ხათაბალას გადაურჩა. – ძვირფასი მოწმეებიც აგერ ხართ!

ამ დროს გვერდით ტკიპასავით მიეწებათ ვიღაც შუახნის წვრილთვალება კაცი – ჩლახუნა, კოჭლი, ცხვირში დუდღუნით დაუწყო მათ ლაპარაკი:

– გატყობთ, ჩამოსულები ხართ... ავეჯი გინდათ? ავეჯი ყველას სჭირდება, ხომ ასეა? აი, ამას აწერია: “დღეს არ გვაქვს გასაყიდად”, იმასაც, იმასაც... ნიმუშია და ვერ იყიდი. ხედავ, დგას ავეჯი, ფასიც აწერია, მაგრამ მაინც ვერ მოგართვეს... ისე, ხათრით, ხომ იცით, ყველაფერი შეიძლება, მოვახერხოთ...ჰჩამოსული ხალხი ხართ, შორიდან მოსულები, როგორ არ უნდა გაუმართო ხელი...

შეჰყვნენ საწყობში. არც ეგონათ, თუ ასეთი უზარმაზარი საწყობები არსებობდა; როგორც ტყეში, თავისუფლად დაიკარგებოდა იქ უცხო კაცი, ისე იყო ავეჯით გაჭედილ-ჩახერგილი.

– აგერ იუგოსლავური “მარსელი”, – დუდღუნებდა მეგზური და საწყობის სიღრმეში მიუძღვებოდა მათ, – 3000 მანეთი ღირს... ნიმუშია, ხომ ხედავთ, მოხსნას დამატებით უნდა 500 მანეთი, 300 – გაგზავნას, 200 მანეთი მე აღარ უნდა დამრჩეს? აგერ ბულგარული “რადოსტი”, 2000 მანეთია თავისი ფასი... იქნებ სხვა ამოირჩიეთ? კარგი ხალხი ჩანხართ, სანდო – მოვრიგდებით! – მან გაიღიმა და პირი საოქრომჭედლო მაღაზიის ვიტრინასავით აუბრჭყვიალდა.

დიდხანს იარეს, ათვალიერეს ავეჯი – ფინური, რუმინული, გერმანული და რომელი აღარ – გაკრიალებული და მქრქალი, ნაირ-ნაირი ფერის, იმპორტული და ადგილობრივი წარმოებისაც... ლაქ-საღებავების სუნმა თავი აატკივათ, ხეტიალი მობეზრდათ და ვეფხია აპირებდა რომელიმე საძილე გარნიტურის ყიდვას, მაგრამ ნოდარმა არ დაანება; იმდენი იძახა: “ძვირია, ძალიან ძვირია!”, რომ ავეჯის შეძენა სხვა დროისთვის გადადეს. ვეფხიამ ჩლახუნა მეგზურს გული მაინც არ დასწყვიტა, დაჰპირდა, როცა უკეთესი რამე გექნებათ, აუცილებლად გამოგივლით, მით უმეტეს, უკვე კარგი ნაცნობი გვეგულება საწყობშიო.

ჩანჩქერი XV. ტურფა ქალის ხელით სიკვდილი – ნეტერებაა!

რაღა თქმა უნდა, ერთ საათში ისევ რესტორანში ჩაუშვეს ღუზა ჩვენმა მოგზაურებმა. მართალია, ზინა იმ დღეს ისვენებდა, მის შემცვლელ ოფიციანტ ქალს ირასაც მშვენივრად შეეწყობოდნენ ხოლმე – არასდროს არსად ეჩქარებოდათ, გულუხვადაც ასაჩუქრებდნენ.

უზარმაზარი დარბაზის ერთ კუთხეში, სადაც საღამოობით ორკესტრი უკრავდა და რამდენიმე წყვილი ცეკვავდა, ახლა უბედური ორომტრიალი ამტყდარიყო – სუფრებს თითქმის არავინ უჯდა, ყველას ცეკვა მოსურვებოდა. ახალი წელი ახლოვდებოდა, რატომღაც ყველას რაღაც უჩვეულოს მოლოდინით გვავსებს, აგვიტაცებს უმიზეზო სიხარულით და აგვაცეტებს კიდეც... საღამომდე ჯერ შორს იყო, ორკესტრი კი უკვე გრიალებდა, ბევრად გაფართოებული საცეკვაო მოედანი მოცეკვავეთ მაინც ვერ იტევდა, ყველაფერი საზეიმოდ ელავდა და ბრჭყვიალებდა საახალწლოდ ზიზილ-პიპილებით მორთულ დარბაზში.

ჩვენი სამი გმირი ერთხანს ჭამა-სმის ღმერთს სწირავდა მსხვერპლს, შემდეგ ვეფხიამ ძველი, ტურბაზის დროინდელი დღეები გაიხსენა და საცეკვაოდ გავიდა.

– კაცო, თავგზა ამებნა, ამდენ ლამაზ ქალს რომ ვუყურებ ერთად! – წამოიწყო ამბერკიმ. – სულ თვალებად ვარ ქცეული, რა ჯურის და ფერის ქალი აღარ ირევა, მაგათ კი ვენაცვალე, რამდენი ჯიშიანი, ზოგი კი ისე დაგაფეთებს, იტყვი, ნეტავ ახლა ან გულში ჩამახუტა ან გულში ხანჯალი ჩამცესო! მეტი ცქერა აღარ შემიძლია... დიახ, ტურფა ქალის ხელით სიკვდილი – ნეტარებაა!

– წინდაწინ რას იკლავ თავს, ბიჭო! – სუფრასთან მობრუნებულმა ვეფხიამ მხოლოდ რამდენიმე წუთი დაჰყო მათთან, ისევ წამოხტა და მოცეკვავეებს მიაშურა.

საოცარია, ნოდარის სახეზე ღიმილმა გამოანათა! ალბათ დროებით გადაავიწყდა, რომ სუფრის დანახარჯი მას უნდა ეკისრა.

– ღუტუშა, ბიჭო! – მიხვდით ალბათ, ამბერკი მიმართავს ბატონ ნოდარს, უთუოდ რაღაც მნიშვნელოვანი აქვს სათქმელი. – ნახე, რა გოგო დაითრია ვეფხიამ! ცოტა მაღალი კია, თითქმის ჩემ სიმაღლეა, მაგრამ მე მიყვარს ჯიშიანი ქალები; ნახე, თუ ვეფხიას არ წავართვა! ჩემი საქმე გაკეთებულია, შენს თავს მიხედე, გაიხედ-გამოიხედე!

ნოდარი უცებ წამოხტა და ვეფხიას და მაღალ გოგოს მიეჭრა. ამბერკიმ განცვიფრებისგან პირი დააღო; კიდევ უფრო გაუკვირდა, როცა ვეფხიამ მაშინვე დაუთმო ნოდარს თავისი “დამა”

და, სუფრას დაბრუნებული, კმაყოფილი ღიმილით ადევნებდა თვალს ნოდარის კავალრობას. ქალი თითქმის მთელი თავით მაღალი იყო ნოდარზე, მაგრამ ეს უკანასკნელი ამას დიდად არ ნაღვლობდა და სახეზე გადაფენილი სიამე არ შორდებოდა.

მცირე შესვენება გამოაცხადეს. მაგიდასთან დაბრუნებული ნოდარი კიდევ უფრო შეაგულიანა ვეფხიამ: სახეზე ვატყობ, იმ გოგოს მოეწონე და მიდი, ნოდარია, არ მოეშვაო.

– მიდი, შე კრუხის პალო, ხომ ხედავ, შენსკენ ცქერით კისერი მოეღრიცა! – დასცინა ამბერკიმ.

ამბერკის ჯინაზე იყო თუ ნოდარს გაუტკბა მაღალ ქალთან ცეკვა, მართლაც აღარ მოშორებია, ათჯერ მაინც ეცეკვა და, ბოლოს, სუფრაზეც კი მიიპატიჟა.

– როგორაა საქმე? – ჰკითხა ვეფხიამ.

– კარგად! – უპასუხა ნოდარმა, ფრიად კმაყოფილმა.

ქალი ნამდვილად მოსაწონი იყო, ჟენია ერქვა. მხიარული ბუნებისა ჩანდა, სულ კისკისებდა; შავთმიანს, ოდნავ ელამი მუქი თვალები ძალზე უხდებოდა.

როცა შესვენება გამოცხადდა, ვეფხიამ ნოდარს ჯიკავი დაუწყო, ჟენია ჩვენს ნომერში დაპატიჟეო. ნოდარი კარგად გაერთო, ამითაც სავსებით კმაყოფილი იყო და, როგორც ჩანდა, მეტზე არაფერზე ფიქრობდა, მაგრამ ვეფხია არ მოეშვა.

– კარგი, აქ ანგარიშს მე გავასწორებ, რამდენიმე ბოთლ შამპანურს და კონიაკსაც ამოვიტან ნომერში, ოღონდ შენ ივაჟკაცე!

მართალი ითქვას, ქალს დიდი თავპატიჟი არ გაუღია და ნოდარს სულ არ გასჭირვებია მისი აყვანა ნომერში. იქ უკვე ამბერკი და ვეფხია პატარა, მაგრამ კოხტა სუფრას აწყობდნენ.

როცა ჭამა-სმა მობეზრდათ, ბანქოს თამაშს მიჰყვეს ხელი – ერთხელ ვეფხია დატოვეს "დურაკად", ერთი ათჯერ – ბატონი ამბერკი.

ჟენიას ცალ მხარეს ამბერკი იჯდა, მეორე მხარეს – ნოდარი, ნოდარის იქით – ვეფხია მოკალათდა. როგორც კარგი მზვერავი, ისე აკვირდებოდა სამივეს... მერე, სანამ ტელევიზორში საცეკვაო მუსიკას გადმოსცემდნენ, ჟენიას ხან ამბერკი ეცეკვებოდა, ხან – ნოდარი; ნოდარს ვეფხია სულ მუჯლუგუნებით ააგდებდა ხოლმე ზეზე – მიდი, წაართვი ამბერკის, ხომ ხედავ, ამ თავხედმა სულ არ იცის ცეკვა, ტყუილად ამტვრევს საწყალ ჟენიას ფეხებსო... მიდი, ბიჭო, ადექი დროზე, უშველე ქალს, შეხედე, როგორ საწყალობლად გადმოგხედავს ხოლმე!

თვითონ ქალმა რამდენჯერმე ვეფხიაც გაიწვია საცეკვაოდ, მაგრამ კაცმა მოიმიზეზა, ბევრი დავლიე, ცეკვის თავი არ მაქვსო; სინამდვილეში ფხიზელი იყო, ფხიზლადაც ადევნებდა თვალს საქმის მდგომარეობას და ამბერკიზე გული მოსდიოდა. ნოდარის დოყლაპიობაზეც სკდებოდა გულზე და იჯდა დაბოღმილი, აღარ იცოდა, რა მოემოქმედებინა. "ეს რა ჭირად აგვეკიდა ეს უტიფარი ამბერკია, როგორ მოვიცილო თავიდან?" – სულ ეს კითხვა უბურღავდა ტვინს და ათასგვარ გეგმას აწყობდა, არცერთი კი არ მოსწონდა.

– ბიჭო, აცალე მაგ კაცს, მისი წამოყვანილია ეგ ქალი! – ნამუსზე შეაგდო ამბერკი.

– მე ძალას კი არ ვატან, ვისთანაც უნდა, იმასთან ცეკვავს! – უპასუხა ამბერკიმ.

ვეფხიამ ვერ მოითმინა და რამდენჯერმე საკმაოდ ხმამაღლა შეუღრინა ნოდარსაც:

– შე ბოთე, რაღას უცდი, წაიყვანე ზევით, საძინებელში! დროზე ქენი საქმე! – ერთი-ორჯერ მუჯლუგუნიც კი უთავაზა საბრალო ნოდარს, მაგრამ გადამწყვეტი ნაბიჯი ვერაფრით გადაადგმევინა – ნოდარი ისედაც ყველაფრით კმაყოფილი იყო.

ამასობაში კარგად მოგვიანდა კიდეც. ამბერკიმ უჩურჩულა გოგოს, ზევით ავიდეთ საძინებელში, რაღაც უნდა გაჩვენოო. ავიდნენ და კარგა ხანს გაერთნენ კიდეც იქ... მერე დაბრუნდნენ დანარჩენებთან, ფრიად კმაყოფილნი.

ქალი მალე დაემშვიდობა მათ, მხოლოდ ერთი ჭიქა შამპანური შესვა ზეზეურად და წავიდა; გაცილებაზე უარი თქვა, თუმცა არც არავინ იკლავდა თავს მაინცდამაინც.

ჩანჩქერი XVI. უჰ, მეტი აღარ შემიძლია!

აქამდე ნელა მივაჭენებდით ჩვენი ძალგულოვანი ფალავნის სადევგმირო თუ ნაკლებად საქები საქმეების დინებას, ახლა კი, მოწყალეო მკითხველო, ნება მიბოძე, მივუშვა სადავეები და დეზებიც ვკრა!

ეეეჰ, თვითმფრინავით მგზავრობისა არ იყოს, მე და შენ, ჩემო მკითხველო, დიდი სურვილი კი გვაქვს, მეოცე საუკუნის დასასრულის შესაფერის დონეზე გავაჭენოთ ჩვენი მართალი ამბავის მერანი, მაგრამ ბატონ ნოდარს რა ვუყოთ? უფრო სწორედ, მის გულის გამაწყალებელ დოყლაპიობას, გულის ამრევ გაუბედაობასა და ყოვლად ჩერჩეტობას, სრულიად ჭკუანაკლებობის უმაღლეს ხარისხს რით ვუშველოთ? (ასე ფიქრობს ვეფხია წანწალაური, ავტორი კი არა).

თვით განსაჯეთ: მეორე დღეს მთელი დღე ისხდნენ ჩვენი გმირები საახალწლოდ მორთულ-მოკაზმული რესტორანის უზარმაზარ დარბაზში და, მართალი მოგახსენოთ, მოზიმზიმე-მოცეკვავე ბრბოს ჭვრეტისას, ფრიად უკვირდათ – ამ დალოცვილებს ამდენი ტლინკაობა როგორ არ

მოსწყინდებათო (ბარემ ისიც ვიკითხოთ, თვით როგორ უძლებდნენ დილიდან საღამომდე სუფრასთან ჯდომას?!.).

მოკლედ მოვჭრა? იყოს ნება თქვენი!

და იყო ისევ საღამო, და იყო მათი სუფრის მშვენება – ტურფა მხიარული, შავთვალწარბა, ბიჭურად კოხტად თმაშეკრეჭილი; სოფა ერქვა სახელად...

და შემდეგ ისხდნენ გვიანობამდე ნომერში, ლხინობდნენ, ცეკვავდნენ მასთან: ხან – ამბერკი, ხან – ნოდარი; ამ უკანასკნელს კი ფერდები ქიმუნჯებით ლამის დაულილავა ბატონმა ვეფხიამ – მიდი, მიხედე, ნახე, რა გოგოა, გაშალე ნაოჭი, უთხარი ერთი-ორი ტკბილი სიტყვა, ხომ ხედავ, მშვენიერ გუნებაზეა; ყველაფერზე თანახმა იქნება, მიიპატიჟე საძინებელშიო...

და იყო ყურში ჩაღვრილი დათაფლული სიტყვები თმაქოჩორა ბატონ ამბერკისა...

და ბოლოს, – აიყვანა მან ტურფა იგი სოფა საძინებელსა შინა, რაღაცას საინტერესოს გიჩვენებო, დაჰპირდა საჩუქარსა.

ალბათ შეუსრულა კიდეც დანაპირები, რადგან დაბრუნდნენ სასტუმრო ოთახში ორივენი ფრიად კმაყოფილნი...

და იყო ვეფხია ვითარცა ვეფხი აღგზნებული, მბორგავი ფრიად, თათხავდა მწარედა ბატონ ნოდარს, ასაკით მასზე ბევრად უფროს ბიძაშვილსა; გაბრაზებული, ხან იხსნიდა პიჯაკის ღილებს, ხან კიდევა – ისევ იკრავდა ნერვიულადა...

და იყო ისევ საღამო, და იყვნენ ნომერსა შინა – ვეფხიას, ამბერკისა და ნოდარს გარდა – კიდევ ორნი ტურფანი უკვე, – სვეტა და ნატაშა; ახლა მაინც გვეშველებაო, ივარაუდა ვეფხიამ; ორივენი – ტანწერწეტნი, თვალწამწამშეღებილ-დახატულნი... სიცილსა და ღლაბუცში განვლო ფრიადმა დრომ მხიარულადა და, ბოლოს, მიიპატიჟა საძინებელში სვეტა ამბერკიმ – რაღაც უნდა გაჩუქოო, დაჰპირდა...

და დაბრუნდნენ ისევ ქვევით გაშლილ სუფრასთან ორივენი დიაღ კმაყოფილნი და განაგრძეს დროსტარება ფრიად მხიარულადა.

ბატონი ნოდარი ზის კუნძივითა – ბატონ ვეფხიას გულის გასახეთქადა: ამ ჩემი ცოდვით სავსეს, დონდლოს, უფხოს, უხერხემლო ბაიყუშს რაღა ვუყო კიდევო; ბატონი ნოდარი კი ცეკვითაც სრულებით კმაყოფილია...

და გავიდა კიდევ ხანი და ახლა ნატაშას უჩურჩულებს ლამაზ ტურში რაღაცას ამბერკია უბედური – ააცუნცულა ისიცა ზევით საძინებელში და დაუკმაყოფილა იმასაც ცნობისმოყვარეობა...

ვეფხია ბრდღვინავს, ვეფხია დორბლებს ჰყრის, გააფთრებული, – ამბერკი კი ბაიბურში არ არის, როგორ უფუჭებს საქმეს.

ნოდარი კი ცეკვავს მორიგეობით სვეტასთან და ნატაშასთან და ფრიად კმაყოფილია.

და იყო კიდევ რამდენიმე დღე და, რასაკვირველია, რამდენიმე ღამეცა...

ამბერკი ნამდვილად არ ემდუროდა ბედს, ვეფხია ლამის გაგიჟებულიყო, ნოდარი კი – ყველაფრით კმაყოფილი გახლდათ.

ახალი წლის ღამეც დადგა.

უკვე სამი გოგო ჰყავთ ნომერში – მანია, ჟანა და კლავა.

შამპანურის ბათქაბუთქი ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ არც ბევრი აკლია – ჰა და ჰა!

ქალები დიასახლისობენ, ნოდარი კი ხან ერთთან ცეკვავს, ხან – მეორესთან, ხანაც – მესამესთან: მაგრად დაოსტატდა! მაგრამ რად გინდა!

კუთხეში ამბერკი მიუყუჟია ვეფხიას: იძულებულია, გაანდოს საიდუმლო – ნოდარია მოსკოვში რისთვის წამოიყვანა მზექალას თხოვნით...

– ახლა მაინც ქენი სიკეთე... საახალწლო განწყობილებას ნუ ჩამიშხამებ, დღეს მაინც ნუ გადამიხტები წინ, უფრო სწორედ, ნოდარია ბოთეს...

– ვერ თქვი დროზე?!. დღეს კი, ბატონი ბრძანდები, ხვალ კი, ესე იგი, ახალი წლის დადგომის შემდეგ, ვეღარაფერს დაგპირდები!

ვეფხია გაბრაზდა და მუშტიც კი მოუღერა:

– ჯობს, ჭკვიანად იყავი, თორემ ნოდარიამ რომ კოპი დაგასვა, ის მოფერებად მოგეჩვენება, ისე დაგჭმუჭნი!

– ხუმრობა არ გესმის? – ნაძალადევი ღიმილით უთხრა ამბერკიმ.

სხვა მხრივ კი – ოჰ, რა მშვენიერი საახალწლო ღამე იყო!

ჟანა ფორტეპიანოს მიუჯდა – საცეკვაოების დიდოსტატი გამოდგა. ახალი წლის მიჯნაზე ტელევიზორი ჩართეს.

ჩამოჰკრა კრემლის კურანტებმა, იქვე – ფორტეპიანოსთან მიუჭახუნეს ჭიქები ერთმანეთს, მოწრუპეს შამპანური და ამ დროს ფანჯარასთან მდგომმა მანიამ დაიძახა:

– უყურეთ, უყურეთ!.. გაიფხრიწები სიცილით!

დანარჩენები მიცვივდნენ ფანჯარასთან – რა დაინახა ნეტავ ასეთი საოცარი ახალწლის ღამეს?

ჩაიხედეს მესამე სართულიდან ქვევით...

ფანჯრის ქვეშ ვიღაც ახალგაზრდა ხის ტანს ჩაჰბღაუჭებია ორივე ხელით – კარგად ჩანს გამომთვრალი.

– ნეტავ სად მოასწრო? – გაიცინა ვეფხიამ, – ახალი წლის დადგომიდან სულ ერთი წუთია გასული!

– ეტყობა, ჩემპიონია! – იხუმრა ნოდარმა, რითაც ბიჭები ძალიან გააკვირვა, გოგოებმა კი გადაიკისკისეს.

ჩაჰფრენია იმ ხის ტანს მთვრალი, გაუშვებს ხელს, რამდენიმე ნაბიჯზე წაბანცალდება, შემდეგ შედგება, უკან გამოეშურება "შეყვარებული" ხისკენ და ისევ ჩაეკვრება... კვლავ დაიძვრის ხიდან, გადადგამს რამდენიმე ნაბიჯს, შეუძლია, უკვე კედელსაც მიეყრდნოს, რომელიც ხეზე ახლოსაა, და კედელ-კედელ წავიდეს, მაგრამ გაუბედავია, მოტრიალდება, წაბანცალდება "შეჩვეული" ხისკენ და შვებით ჩაეხუტება...

– ამ ხეზეა შეყვარებული! – კვლავ ხუმრობის ხასიათზეა ნოდარი.

ასე უყურებენ ამ თავისებურ სახალისო პანტომიმას...

მხოლოდ თხუთმეტი წუთის შემდეგ მიაშურეს სუფრას.

ტელევიზორში სულ ცეკვებს აჩვენებენ, სამი წყვილი თითქმის განუწყვეტლივ ცეკვავდა; ხანდახან ერთი წყვილი გამოაკლდებოდათ, სუფრასთან წაიხემსებდა, თან ცოტას დალევდა და – ისევ ცეკვა!

– ნეტავ ახალი წლის დილა მალე გათენდეს! – რატომღაც ინატრა ნოდარმა.

– ყიყლიყო! – არ დაახანა ამბერკიმ, – ყიყლიყო!!!

ვითომ რა ქნა ისეთი – მაგრამ ყველანი ჩაბჟირდნენ სიცილით.

– შარშან პირველ იანვარს ავედი თითქმის ცარიელ ავტობუსში, – დაიწყო მოყოლა თვალებზე სიცილისგან ცრემლმორეულმა კლავამ. – ამ დროს სულ უკანა სავარძლის ქვეშიდან გამოძვრა ვიღაც ინტელიგენტური შესახედაობის მოქალაქე. ძლივს გასწორდა წელში, გაიჭიმა, შეისწორა ჰალსტუხი და შლაპის მოხდით მოგვესალმა და – "ყიყლიყო!" – დააყოლა. შემდეგ დაიხურა შლაპა, წკიპურტით მოიცილა ძვირფასი პალტოს საყელოდან რაღაც ბეწვი და... ისევ უკანა სკამის ქვეშ შეძვრა!.. არ ვიცი, როგორ შეეტია იქ. ერთხელაც იქ დაიყივლა და მკლავზე მიდო თავი, დაიძინა.

მთვრალთა შესახებ თითო-ოროლა ამბავი სხვებმაც გაიხსენეს, შემდეგ ისევ ცეკვავდნენ. ამ დროს უკვე ამბერკი ეჩურჩულება ჟანასთან მოცეკვავე ნოდარს:

– მიდი, ნოდარია უშნო, გახსენი საახალწლო სეზონი! ყველაზე გემრიელი გოგო შენ დაგითმეთ, წააცუნცულე ზევით დროზე! უთხარი, საჩუქარი მაქვს შენთვის-თქო!..

მერე ვეფხია გადავიდა შეტევაზე, ბატონი ნოდარი კი, გაღიმებული, არც არაფერს ეუბნებოდა ქალს...

დრო კი მიდიოდა...

ნოდარის გარდა ცეკვა ყველას მობეზრდა.

ვეფხიამ მანია გაასეირნა ზევით, საძინებელში, იქნებ ნოდარი გათამამდეს და ჩემს მაგალითს მიბაძოსო...

ახლა მხოლოდ ნოდარი და ჟანა ცეკვავდნენ, დანარჩენები სუფრასთან ისხდნენ და ტელევიზორში მხიარულ კონცერტს უყურებდნენ.

– რა ვქნა, ამ დამთხვეულს რამდენ ხანს ვუყურო? – გადაულაპარაკა ამბერკიმ ვეფხიას.

ვეფხიამ ხელით საძინებლისკენ ანიშნა, ნუ უყურებ მაგ ბოთეს, შენს საქმეს მიხედეო.

ამბერკიმ და კლავამ გაისეირნეს ზედა სართულზე, დაბრუნდნენ კიდეც, ნოდარი კი ისევ ცეკვავდა.

– უფ, აღარ შემიძლია! – გაიღიმა ჟანამ, – მოდი, ცოტა კიდევ დავლიოთ!

მიატოვა ნოდარი და სავარძელში ჩაესვენა.

დალიეს. ვეფხია რაღაცას ეჩურჩულა ჟანას, ისე აცინა, რომ სხვებსაც გადაედოთ სიცილი, თუმცა მიზეზი არ იცოდნენ. ქალების გაჩერება არ იქნა – ჩვენც გვითხარი, რაზე იცინოდითო, – აუხირდნენ ჟანას.

– არაფერი ისეთი, – დააშოშმინა ისინი ვეფხიამ, – ჟანას ვუთხარი, რომ ნოდარს საინტერესო საახალწლო საჩუქარი აქვს მისთვის საძინებელ ოთახში და სთხოვოს, ანახოს...

ყველამ ისევ გაიცინა, გარდა ნოდარისა, რომელიც ყურადღებით უყურებდა ტელევიზორს.

ამბერკიმ ტელევიზორი გამორთო:

– რა დროს ეგ არის, მოდი, სმაში გამეჯიბრე! – ჭიქა მიაწოდა ნოდარს; ჩვენ თუ ვერას გავხდით, იქნებ ღვინომ მაინც გაიტანოს თავისიო.

დიახ, ღვინომ თითქოს არ გაუცრუა იმედი – საბოლოოდ ნამდვილად გაიტანა თავისი.

როგორც იქნა, ჟანა და ნოდარი გაისტუმრეს საძინებელში, მაგრამ ჟანა რამდენიმე წუთში უკანვე დაბრუნდა.

– რა მოხდა? – გაოცებით იკითხა ვეფხიამ.

აშკარად ნაწყენმა ჟანამ პირდაპირ პასუხს თავი აარიდა, სიცილით მხოლოდ ეს უპასუხა:

– თვითონ ნახე!

ვეფხია და ამბერკი, შეშფოთებულნი, ავარდნენ საძინებელში...

ბატონი ნოდარი გაუხდელად მიგდებულიყო საწოლზე და გემრიელად ხვრინავდა.

ჩანჩქერი XVII. მაგარი ბიჭია!

კიდევ რამდენიმე დღე გადაგორდა.

ვეფხიას მზექალას თხოვნა ჯერაც შეუსრულებელი ჰქონდა.

ამბერკის სასაცილოდ არ ჰყოფნიდა ეს ამბავი, მაგრამ აბა ერთი ვეფხიასთვისაც ეკითხა...

რა ექნათ?

ეტყობა, ნოდარს მობეზრდა სულ რესტორანში ტრიალი – შიგადაშიგ თვითონაც უხდებოდა დანახარჯის გასტუმრება. ერთ დღეს განაცხადა:

– დავბრუნდეთ თბილისში, გვეყოფა!..

– რა დროს წასვლაა, ახლა შევდივართ ეშხში! – მაშინვე პირში ეცა ვეფხია.

– რა ვიცი, დედიკოს შეეშინდება! – პასუხად სხვა ვერაფერი მოისაზრა ნოდარმა.

– რის შეეშინდება? ორმოც წელს გადაცილებული "ბიჭიკო" არ დამეკარგოსო? – ჩაუნისკარტა ამბერკიმ.

მაგრამ იგივე ამბერკიმ იპოვა თითქოს გამოსავალი.

უნდა ითქვას, რომ ნოდარ ბატონი ცეკვებით ფრიად გატაცებული გახლდათ, მეგობრების გასაკვირვებლად, თუმცა, რად გინდა მერე... ჰოდა, ბატონ ნოდარის მორიგი ბუქნა-ტრიალის დროს ამბერკის ერთი იდეა მოუმწიფდა თავში.

კვირა დღე იყო.

– ვეფხია, შენ თენგიზას თუ იცნობ?

– ვინ თენგიზას, რომელს? ნაცნობი თენგიზა ორმოცი მაინც მყავს.

– აქაურია, დიდი ხანია, მოსკოვში ცხოვრობს, კაკაურაშვილი.

– მერე, ააშენა ქვეყანა?

– შენ ნუ ხუმრობ, ცნობილი გინეკოლოგია.

– გინეკოლოგი?

– ჰო, შორეულ ნათესავად მერგება, ეგება შენც კი შეგხვედრია ქუთაისში ან თბილისში.

– რაღაც მახსენდება... მაგი ის ხომ არ არის – დიდცხვირა, დაბალ-დაბალი, მელოტი...

– აგაშენა ღმერთმა! გცოდნია.

– ჰო, კიდევ, ანეკდოტების კარგი მოყოლა იცის, ბიძაჩემთან შემხვედრია, დაგვხოცა სიცილით ხალხი.

ამბერკიმ მაშინვე დაურეკა შინ, რესტორანში მოიპატიჟა.

საღამოს თენგიზი მოვიდა – გემოზე მოილხინა, უამრავი ანეკდოტი მოჰყვა.

ნოდარისგან მალულად გააცნეს თავიანთი გასაჭირი.

ერთი კი ჩაიცინა, მერე კი თქვა, ნაღდად ბედი გქონიათ, ჩემი ცოლ-შვილი ზამთრის არდადეგებზე აგარაკზე გაილალნენ, ხვალ-ზეგ დაგირეკავთ და მზად იყავითო.

სხვა რამ ღირსშესანიშნავი შემდგომ ორ დღეს არაფერი მომხდარა, ამიტომ პირდაპირ გადავხტეთ იმ მომენტზე, როცა ოთხშაბათს, საღამოსპირს, რესტორანში მაგიდაზე თავს დაადგათ თენგიზი. მას თან ახლდა ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ნამდვილად მზეთუნახავი გოგო – თვალებბრიალა ელა, ოდესიდან მოსკოვში დროის გასატარებლად ჩამოხეტებული.

გემრიელად იპურმარილეს, შემდეგ ჩასხდნენ ხუთივენი ორ ტაქსში და თენგიზის ბინისკენ გასწიეს. გზაში ელა სულ შოფრის გვერდით მჯდომ ვეფხიასკენ იქაჩებოდა – თენგიზს ეჩურჩულებოდა, ის ხომ არ არისო? თენგიზი პასუხობდა, არა, ის მეორე მანქანაში ზის, გაჩვენებო.

როცა ადგილზე მივიდნენ და მანქანებიდან გადმოვიდნენ, თენგიზმა დაანახა ნოდარი:

– აი, ის არის, დაბალი, ჩასკვნილი, ბეწვის ქუდი რომ ხურავს...

– ფი, ნიანგს ჰგავს!.. – გული დასწყდა ელას.

– იმიტომაც გაძლევ ორმოცდაათ მანეთს, ძვირფასო!

გოგო გაჩუმდა.

ავიდნენ თენგიზის ბინაში მეოთხე სართულზე. აქაც მცირე სუფრა დახვდათ გაშლილი და მიუსხდნენ, თუმც რესტორანიდან მოვიდნენ.

ვეფხია მიუჯდა გოგოს და ჩუმად აუხსნა, როგორ უნდა მოქცეულიყო – ნოდარი ძალიან მორიდებულია და რამენაირად ხელი შეუწყვეო, აბა, შენ იცი და შენმა ქალობამო.

ნოდარი ბაიბურში არ იყო, რა საქმეს უწყობდნენ, გემრიელად მიირთმევდა, თითქოს ერთი კვირა არაფერი უჭამიაო.

ცოტა კიდევ დალიეს. ვეფხია ახლა ნოდარისთან გადაჯდა, უჯიკავებს, შეხედე, ნოდარია, შეხედე, რა მარწყვივით გოგოაო! ნოდარსაც მოეწონა და, ვეფხიას წაქეზებით, ცოტა გაეარშიყა კიდეც, როცა მასთან ცეკვავდა.

– აბა, მეგობრებო, ნოდარიას დავულოცოთ წარმატება! – წამოდგა ვეფხია, დანარჩენებიც ადგნენ, გოგოს გარდა. – შენ დაჯექი, ნოდარია, ჩვენ ახლა პატარა საქმეზე ვართ წასასვლელები და თქვენ აქ არ მოიწყინოთ! ამ გოგოს გიტოვებთ და აბა შენ იცი, როგორ მოუვლი!

ნოდარი, ცოტა არ იყოს, დაიბნა, ისიც ეპოტინებოდა პალტოს ჩასაცმელად, სანამ ვეფხიამ კაი გემრიელი მუჯლუგუნი არ უთავაზა:

– დაეტიე, სადაც გტოვებენ!..

...სამი კაცი დასეირნობს ღამის ქუჩაში თენგიზის სახლის წინ.

ყინავს, ყინავს მაგრად, უბედურად.

წამდაუწუმ იცქირებიან მეოთხე სართულის ფანჯრებისკენ – ჩაქრა სინათლე?

ხან მოკრიალებულ ცაზე ვარსკვლავებს ითვლიან, ხან ფეხებს აბაკუნებენ, ლაპარაკობენ ათას რამეზე. დრო მიიზლაზნება, მატულობს სიცივე და მატულობს ნოდარის მიმართ "თბილი" სიტყვები; ელიან "ოპერაციის" შედეგს. თენგიზი ნანობს, ერთი ბოთლი არაყი როგორ არ წამოვიღეთო.

თითქმის გათენებამ უწია, როცა გათოშილები აბობღდნენ ბინაში.

ნოდარი და ელა უკვე სუფრას უსხდნენ.

ვეფხია მაშინვე ნოდარს მივარდა:

– რა ქენი?

გაკვირვებული ნოდარი ჯერ შეჰყურებდა ვეფხიას, რა დაემართაო, მერე, როცა ვეფხიამ დაუზუსტა კითხვა, გაიღიმა და ოთხი თითი ასწია ზევით – ოთხჯერ ვასიამოვნეო.

ვეფხიამ ცოტა ეჭვით შეხედა, ახლა გოგოსთან მივიდა, წამოაყენა სკამიდან და გვერდზე გაიყვანა:

– ძვირფასო, როგორაა საქმე?

ელამ გაიღიმა:

– მაგარი ბიჭია!

– მაინც, კონკრეტულად? – ჩაეძია ვეფხია.

– სამჯერ! სამჯერ ჩამეხუტუნა!

გახარებულმა ვეფხიამ ხუთთუმნიანი ამოაძვრინა ჯიბიდან, კოხტად გაკეცა და ლიფში ჩაუცურა, თან ორ, მომხიბლავად ამობურცულ ნაწილებს შორის აკოცა.

იცოდა, ნოდარი ტრაბახში იყო მაგარი და არა ფულის გადახდაში.

ვეფხია მაშინვე ფოსტაში გავარდა და მზექალას სახელზე სასწრაფო დეპეშა აფრინა: "ყველაფერი წესრიგშია მალე ჩამოვალთ ვეფხია".

საღამოს, დაწოლის წინ, ვეფხიამ ვერ მოითმინა და ნოდარს უთხრა:

– ნოდარია მაიმუნო! როგორ დამემართა, მე თვითონ არ ვიცი, მიკვირს! ამას რა მიხვედრა უნდოდა: სილამაზით შენ არ ბრწყინავ და წუწურაქების კონკურსში საპრიზო ადგილს ნაღდად დაიკავებ, ჰოდა, რომელი ქალი შემოგხედავდა!

ჩანჩქერი XVIII. ვეფხიას რამე გაუჭირდებოდა?

რაღა თქმა უნდა, იმ დღეს რესტორანში დააღამდათ.

თენგიზი და ელა საღამოსპირს წავიდნენ, დანარჩენები კი, უკვე კარგად შეზარხოშებულნი, ისხდნენ, ზანტად საუბრობდნენ და მოცეკვავეებს ათვალიერებდნენ.

– წაიღო ტვინი ამ ჭყვიტინმა და ამ საჭმელებმაც! – სკამზე გადაესვენა ვეფხია. – ახლა ერთი ფასანაურის სასადილოში დამსვა, ბლომად ხინკალი სინზე, ორთქლი რომ ასდის და შავ პილპილს მოაყრი!

– აღარ ვარგა! – დაიწუნა ამბერკიმ. – გააფუჭეს!

– ახლა კი, მე ადრინდელზე გეუბნები! – დაეთანხმა ვეფხია. – ხელს რომ დაავლებდი და ცხვრის ქონი წვეთავდა ქარვისფრად... აღარ შემიძლია, ძმაო! ზინა, ძვირფასო!

ზინა იმავ წამს მაგიდასთან გაჩნდა.

ვეფხია რაღაცას ყურში ეჩურჩულა, მერე ზინას გაჰყვა და კარგა ხნით დაიკარგა...

როცა დაბრუნდა, კმაყოფილ სახეზე თვალები ეშმაკურად უბრწყინავდა.

რამდენიმე ხანში დიდ ლანგარზე კოხტად დაწყობილი ცხელ-ცხელი ხინკლები მოიტანა ზინამ.

შავი წიწაკა ბლომად მოაყარეს და გაცივება არ აცალეს, ისე მოუღეს ბოლო. შიგადაშიგ არაყსა და ლუდს აყოლებდნენ.

რაღამც ვეფხიამ სამზარეულოს გზა გაიკვლია, გინდაც ზინა არ ყოფილიყო იმ დღეს, მაინც საგანგებოდ დაუკვეთავდა ხოლმე – სამზარეულოში მაღალი კვალიფიკაციის მზარეულები საქმიანობდნენ და ვეფხიას გაკვეთილი სწრაფად აითვისეს.

კიდევ ერთი კვირა გადააგორეს...

მუდმივ მუშტრებს რესტორანში ისე შეეჩვივნენ, რომ უკვე შეკვეთაც აღარ იყო საჭირო – დაინახავდნენ მათ თუ არა, მაშინვე ცხელ-ცხელი ხინკალი მაგიდაზე იდგა.

მათ სუფრაზე ახალგაცნობილი პირები გახშირდნენ. ჯერ ფეხბურთის მოყვარული კარისკაცი (როცა არ მორიგეობდა), მერე ვიღაც-ვიღაცეები, უფრო – ქალები, რომელთა ვინაობა ვეფხიამ ხეირიანად არც იცოდა.

ერთ დღეს ბატონი ნოდარი აჯანყდა.

– მოვკვდი ამდენი ჭამით, ერთი თვეა, სუფრის მეტი არაფერი მინახავს, მოსკოვში საჭმელად ჩამოვედით? გავიარ-გამოვიაროთ, გავიხედ-გამოვიხედოთ, დავიხრჩვე ამ დახუთულ დარბაზში! რა ამბავია, სულ ხინკალი და ხინკალი!

ვეფხია დაეთანხმა, ტაქსი გამოიძახა.

– სად მივდივართ? – იკითხა ნოდარმა.

– მოსკოვის სანახავად! – უპასუხა ვეფხიამ.

ავიდნენ ერთ-ერთი მაღლივი შენობის სახურავზე მოწყობილ რესტორანში.

– ა, ბატონო, უყურე, რამდენიც გინდა, აქედან მოსკოვს! – და ვეფხია სუფრას მიუჯდა.

– აქ ხინკალი არ ექნებათ! – ანუგეშა ნოდარი ვეფხიამ, – თუ გინდა, ციმბირულ პელმენს მოგართმევენ!

იმ საღამოსაც, როგორც ბევრჯერ სხვა დროს, სასტუმროში ნომრის პირველ სართულზე დაიძინეს გაუხდელად, მეორე სართულის საძინებელ ოთახში აღწევის თავი სად ჰქონდათ.

დილით ნოდარი ახლა იმაზე აჭიჭყინდა, თუ საძინებელს ვერ ვიყენებთ, რად გვინდა ლუქსი, ჩვეულებრივ ნომერში გადავბარგდეთ, უფრო იაფად გამოვალთო.

– შენი არ ვიცი, ჩემო ნოდარია, და ჩვენ კი იმ საძინებელს კარგად ვიყენებთ! – შეეპაექრა ამბერკი. – სულ კაპიკებს რომ დაჰკანკალებ, ქალი აქეთ კი არ მოგცემს ფულს.

როცა რესტორანში ჩავიდნენ, ახლა ამბერკი აჯანყდა:

– სულ ხინკალი და ხინკალი, რა გახდა, კაცო, ამომივიდა ყელში!

– შენ ნოდარიას დასცინე თუ მართალს ამბობ? – იქით შეუტია ვეფხიამ. – შენ თუ ხინკალი არ მოგწონს, ვინ გაძალებს, სხვა რამერუმე არ გაკლია! აგერ ტაბაკა მიირთვი, გენაცვალე!

– არა, ეს პრინციპის საქმეა! – გაჯიუტდა ამბერკი. – რატომ იმერული საჭმელი არ შეუკვეთე, ვითომ რით არის ნაკლები! ბოლოს და ბოლოს, ახალი წელი აგერ გუშინ იყო, ბაჟე ან საცივი გვაწყენდა ვითომ?

– ხინკალი რა, ყელზე დაგადგა, ჭირიმე? გემრიელად მიირთმევდი! – ვეფხიაც არანაკლებ გაფიცხდა. – ვინ გიშლის, შეუკვეთე, რაც გაგიხარდება, მე რას მომჩერებიხარ პატარა ბავშვივით!

მოკლედ რომ მოვჭრათ, ფიცხელი დავა გაიმართა. საკვირველი ის იყო, რომ ყველაზე მაგარი მჭამელი, უხეშად რომ ვთქვათ, ღორმუცელა, – ბატონი ნოდარი, – ამ პაექრობაში არ ჩაბმულა; სრულიად მართებულად დაასკვნა, რომ მთავარია, გემრიელი საჭმელი ყოფილიყო და აღმოსავლურად იქნებოდა გაკეთებული თუ დასავლურად შეკმაზული, დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

– დამიწყეთ ახლა, ბოზბაში სჯობს თუ ჩიხირთმაო! – მხოლოდ ეს ამოშაქრა.

დავამ კი, კანცელარული ენით რომ ვთქვათ, მწვავე ფორმა მიიღო და ირონიას, ქილიკს, ისტორიულ პარალელებს რომ არ დასჯერდნენ, დანაძლევდნენ. ნაძლევი თუ შეჯიბრი, მართალი მოგახსენოთ, ფრიად უცნაური გახლდათ, იმდენად უცნაური, რომ რას დავაბრალო, არ ვიცი და არც ის ვიცი – ვის... იქნებ – დავის ხანგრძლივობას, და აქედან გამომდინარე, დალეულის რაოდენობასა და შეჭიკჭიკების დონეს თუ ტემპერამენტის სიმხურვალეს.

რაღა ბევრი გავაგრძელო, მიზანში ბატონი ნოდარი ამოიღეს. და ზუსტად მოარტყეს კიდეც – შენ, ჩვენო ძმაო და მეგობარო ნოდარია, უნდა დაგვდო პატივი, წაბრძანდე საქართველოში – როგორც დასავლეთში (დედა გყავს, ბატონო, იმერელი, ღმერთმა დიდხანს გიცოცხლოს), ისე აღმოსავლეთში (თუ არ ვცდებით, შენი ვაჟკაცი მამა – მთიულია, ღმერთმა შენი შვილიშვილების ქორწილში თამადად ამყოფოს და ცეკვით კიდევ ყველა დაღალოს!).

ნოდარი კარგა შექეიფიანებული კი იყო, მაგრამ ვეფხიასა და ამბერკის დიდად ჩამოუვარდებოდა სიმთვრალის ხარისხით და იფიქრა, დილამდე ეს უცნაური ახირება გაუვლითო, მაგრამ...

როცა გვიან დილით რესტორანში ჩასულ ჩვენს გმირებს სუფრაზე დიდი სინით ჩვეულებისამებრ ხინკლების მთა მოართვეს, მოპაექრეებს გუშინდელი დავა გაახსენდათ!

სადღა გინდა წახვიდე! ბატონმა ნოდარიმ თავს იმით უშველა, რომ ოფიციალურად განაცხადა: მეყო ამდენი კუნტრუში, სამსახურიდან გამაგდებენ, თან ფულიც შემომელიაო... სამსახურიდან დათხოვნაზე ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ ფულის დეფიციტის შესახებ ბატონ ნოდარის განცხადება, დიპლომატებისთვის დამახასიათებელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, არ შეესაბამებოდა სინამდვილეს, და ამიტომ მისი მეგობრების ფრიად არადიპლომატიური სიცილი გამოიწვია.

მეორე დღესვე ბატონმა ნოდარმა დატოვა მოსკოვი, დაიობლა დიდი ქალაქი. რაღა თქმა უნდა, მატარებლით გაემგზავრა; თვენახევარში ერთ ფუთამდე მოიმატა წონით და თვითმფრინავის გადატვირთვისა თუ შეეშინდა, თან იაფადაც გამოვიდა.

ამბერკის უფულობა დიდად არ აწუხებდა, ვეფხია გვერდით არ ჰყავდა?

ჰო, ნაძლევს რაღა ბედი ეწია?

ვეფხიას რამე გაუჭირდებოდა? ერთი-ორჯერ გაიარ-გამოიარდა დედაქალაქის მთავარ გამზირზე და იმდენი ქართველი შეხვდებოდა, მთელი ბატალიონის შედგენა შეეძლო. უფრო სხვა გზა არჩია – ერთ-ერთ უნივერმაღში სულ ერთი საათი დასჭირდა, რომ საყიდლებზე ჩამოსული ორი ქართველი ენახა, მას რომ სჭირდებოდა, ისეთი: ერთი აღმოსავლეთიდან იყო, მეორე – და-

სავლეთიდან; თან ორივე დღეს ან ხვალ უნდა დაბრუნებულიყვნენ საქართველოში... მერე რა? – იკითხავს ცნობისმოყვარე მკითხველი. ისა, რომ ვეფხიამ ორი ნაცნობი გააყოლა რესტორანის სამზარეულოდან, რომლებიც საქართველოდან ჩამოიტანდნენ ნუგბარ საჭმელებს: ერთი – დასავლეთ საქართველოს რჩეული სამზარეულოსი, მეორე – აღმოსავლეთისა... არა გჯერათ?.. მეც მიჭირს დაჯერება, მაგრამ ასე იყო!

რაღა თქმა უნდა, ეს წამოწყება გვარიან თანხად დაჯდა, სამაგიეროდ, სამი დღის შემდეგ – ო-ჰო-ჰო! – რა სუფრა გაიშალა, რა ლხინი გაიმართა! დავაზუსტებ: ორი სუფრა გაიშალა! ერთი – ქუთაისიდან ჩამოტანილი პურღვინოთი, მეორე – თბილისიდან! ჩიტის რძეც არ აკლდა! ჩამოვთვალო? მეცოდებით – ნერწყვის ყლაპვით დაიხრჩობით და თანაც – სულ ტყუილუბრალოდ, რას გერჩით?.. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ბატონმა ამბერკიმ საყვედური გამოთქვა, რატომ ალადასტურიც არ ჩამოიტანეს, ხვანჭკარას და ცოლიკოურს შევუნაცვლებდითო... მერე მისი საკუთარი ხელი დაწერილი სია აჩვენეს და ხმა ჩაიწყვიტა.

ერთი ათიოდე ახალშეძენილი მეგობარი ჟიურის წარმოადგენდა და საბოლოო გადაწყვეტილებას ვეფხიაცა და ამბერკიც გულის ფანცქალით ელოდნენ.

მოგეხსენებათ, აქ აჩქარება უადგილო იყო და ღრეობამ კარგა ხანს გასტანა. ორ სუფრას რიგრიგობით მიუსხდებოდნენ ხოლმე და სანამ ყველა საჭმელ-სასმელი არ გამოლიეს (ყოველი სუფრიდან მორიგი ადგომის შემდეგ იწერებოდა ქულები შეფასებისა: კერძი ესა და ეს – ამდენი ქულა, ღვინო – ამდენი, ტკბილეული ჩაროზად – ამდენი).

ბოლოს, საბჭომ თუ ჟიურიმ გამოიტანა საბოლოო პირუთვნელი განაჩენი, რომელიც გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა: "ყველაფერს ჯობს: დამარილებული ქაშაყი, შავი პური და არაყი!.. რაც მთავარია, არაყი უნდა იყოს ბლომად!"

ვეფხიამ უნებურად გაიფიქრა, ნოდარია ყოფილიყო მსაჯული, კარგი იქნებოდაო...

ჩანჩქერი XIX. ვეფხია ჩვენი სუფრის მშვენებაა!

დიახ, ნოდარის არყოფნა იგრძნეს...

ხომ თითქოს უცხო სხეულად იყო ბატონი ნოდარი მათთან, განსაკუთრებით ამბერკი ვერ ეგუებოდა, მაგრამ ახლა საოცარი სიცარიელე იგრძნეს, ძლიერ დააკლდათ ბატონი ნოდარია, – მათი მეობის რაღაც ნაწილი გამხდარიყო...

სამაგიეროდ, საკმაოდ ბევრი ახალი პიროვნება დატრიალდა ვეფხიას გარშემო (ალბათ უფრო ზუსტი იქნებოდა, გვეთქვა, რომ მისი ჯიბის ანუ ქისის მიზიდულობის ძალას ემორჩილებოდნენ ორბიტის განსაზღვრისას).

რესტორანის მომსახურე პერსონალი ვეფხიას უკვე სახელით და მამის სახელით მიმართავდა, თვითონაც ყველა ოფიციანტის, მებუფეტის თუ მზარეულის სახელი იცოდა. სამზარეულოში ისე დაოსტატდნენ ზოგიერთი ქართული კერძის კეთებაში, – აქ ამბერკის დამსახურებაც აღნიშვნის ღირსია, – რომ მენიუში ოფიციალურად შეიტანეს, მიუხედავად იმისა, აღმოსავლეთ საქართველოს კუთვნილება იყო თუ დასავლეთისა. მუსიკოსები ვეფხიას დაკვეთით გაუთავებლად უკრავდნენ ქართულ ჰანგებს და ორკესტრის სოლისტებიც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, რათა "ქართულად" ემღერათ...

ნოდარიას ხატი ნელ-ნელა სადღაც ჰორიზონტს იქით გადაიკარგა, სამაგიეროდ, ორი ახალი ვარსკვლავი ამობრწყინდა!

ერთხელ ამბერკი და ვეფხია უკვე წასვლას აპირებდნენ რესტორანიდან, როცა ვეფხიამ დაინახა: გარდერობთან წასასვლელად ემზადებოდა ორი ქალიშვილი, მეგარდერობე უკვე მათ პალტოებს აწვდიდა. ვეფხიამ მხოლოდ იმის გაფიქრება მოასწრო, რატომ აქამდე ვერ შევამჩნიე ასეთი ლამაზი ქალიშვილები, რა დამემართაო, და მაშინვე მათთან გაჩნდა. გამოელაპარაკა, გოგონებიც აჰყვნენ... თვალებდახატულები, მუქ პომადაწასმულები, კინოვარსკვლავ დებს ჰგავდნენ – ორივე ჩამოქნილი, წერწეტი, თითქმის იდეალურად სწორი ნაკვთებით; ოღონდ ეს იყო, რომ ერთი ქერა გახლდათ, ცისფერ ტანსაცმელში გამოწყობილი; მეორე – შავგვრემანი, მუქთვალება, ხასხასა წითელ კაბაში გამოკვართული. ვეფხიას ორივეზე დარჩა თვალი, ვერ გადაეწყვიტა, რომელი სჯობდა. მეგარდერობეს უთხრა, ქალიშვილებმა გადაიფიქრეს, ჯერ არ მიდიან, უკანვე გამოართვით პალტოებიო.

ვეფხიამ ქალიშვილები სუფრასთან მიიპატიჟა, ისინიც ხალისით გაჰყვნენ რესტორანის დარბაზის მყუდრო კუთხეში. მაგიდასთან ფეხზე წამომხტარი ამბერკი შეეგებათ.

დასხდნენ ყველანი, ჭამეს, სვეს, ისაუბრეს – გაიცნეს ერთმანეთი. ქალიშვილებს სკოლა ახალი დამთავრებული ჰქონიათ, ვიღაცას, ზაფხულში ზღვაზე გაცნობილს, მიუწვევია მოსკოვში სტუმრად, ისინიც ჩამოვიდნენ იალტიდან, სადგურზე კი არავინ დახვდათ! ახლა აპირებენ უკან დაბრუნებას.

– რა გეჩქარებათ, დარჩით ცოტა ხანს; გავიარ-გამოვიაროთ, გავერთოთ და მერე აგიღებთ ბილეთებს და გაგამგზავრებთ! – შესთავაზა ვეფხიამ ქალიშვილებს...

შექეიფიანებულნი, ღამის გასათევად ავიდნენ ნომერში. იქაც იჭუკჭუკეს ერთხანს, მერე ქერა გოგო, – ალა ერქვა, – ვეფხიასთან დარჩა დივანზე, ამბერკი და შავგვრემანი ქალიშვილი, – რადა, – საძინებელში ავიდნენ.

შემდეგ – ყოველდღე გადაბმული ლხინი დილიდან საღამომდე...

ვეფხია ორკესტრს წინდაწინ აძლევდა ას მანეთს. მოვიდოდა ვინმე, ხუთმანეთიანს გაუწვდიდა მუსიკოსებს – დაუკარით ესა და ესო, ისინი კი ზედაც არ შეხედავდნენ: "არა, ვეფხია ვლადიმიროვიჩმა ბრძანა, სხვა დავუკრათო"; მხოლოდ, როცა ვეფხია ხელით დათქმულ ნიშანს მისცემდა (ჩვეულებრივ, მორიგი სადღეგრძელოს დასრულების შემდეგ), მაშინ დასცხებდნენ სიმღერა-მუსიკას.

გოგონებს სასტუმრო "დიადი განთიადის" რესტორანი რომ მობეზრდებოდათ ხოლმე, რომელიმე სხვა რესტორანში წავიდოდნენ; მანქანა ყოველთვის სასტუმროს წინ უცდიდათ – ერთ ხანშესულ კაცს გაურიგდნენ და ვეფხია დღიურად ორმოცდაათ მანეთს უხდიდა ვიქტორ-შოფერს. ვეფხიას მიპატიჟებით ვიქტორი დროდადრო მათ სუფრაზეც ამოჰყოფდა ხოლმე თავს, მაგრამ სასმელს არაფრით დალევდა, ამით მოხიბლა ვეფხია.

– მე ძველი შოფერი ვარ! – ტრაბახობდა ვიქტორი. – ავტორბოლებში ვმონაწილეობდი! – და აჩვენებდა პიჯაკის ღილკილოზე დამაგრებულ სპორტის ოსტატის ნიშანს.

როგორც აღვნიშნე, მათთან ერთად არასდროს დაულევია, სამაგიეროდ, ყოველ საღამოს ვეფხია თავისი ხელით ატანდა შინ ერთ ბოთლ არაყს, რომელსაც ვიქტორი იმავე საღამოს წირვას გამოუყვანდა – ცოლთან ერთად.

ზოგჯერ პატარა საქმეზეც ხალისით ემსახურებოდა ვიქტორი. ერთხელ, მაგალითად, ვიღაც ლოთი გადაეკიდათ ქუჩაში (სიგარეტის საყიდლად გადმოვიდა ვეფხია მანქანიდან ერთი წუთით), – გინდა თუ არა, შენთან სტუმრად წამიყვანეო... ვერაფრით მოიცილა: ხან ეუბნებოდა, ახლა შინ არ მივდივარო, ხან ჰპირდებოდა – ხუთ წუთში პატარა საქმეს მოვითავებ, შენ აქ, ამ კუთხეში მომიცადე და მერე ერთად წავიდეთო, ხან – დაემუქრა კიდეც, მილიციონერს დავუძახებო, – ყველაფერი ამაო იყო; ებღაუჭებოდა, ტკიპასავით მიეკრა. ამ დროს მის გასაჭირს ვიქტორმა უშველა – გადმოხტა მანქანიდან, უცერემონიოდ მოჰკიდა ხელი საყელოში ლოთს, მიატრიალა, ერთი გემრიელი პანღური უთავაზა და ლაზათიანი გინებაც მიაყოლა.

– ასეთებს ამგვარი მოპყრობა უყვართ, ვერ მიართვი დროზე? – ცოტა არ იყოს, მწყრალად იკითხა.

მაგრამ "ტკიპები" მათ სუფრას "დიადი განთიადის" რესტორანში იმდენი დაესია, რომ რამდენიმე ვიქტორიც ვერ უშველიდა.

გავარდა ვეფხიას ხელგაშლილობის ამბავი, მაგრამ რა გავარდა!

გამოჩნდნენ ნაირ-ნაირი "კომერსანტები": ერთმა ძვირფასი ქვების კოლექცია შესთავაზა, მეორემ – ნებისმიერი სპეციალობის უმაღლესი განათლების დიპლომი ან თუნდაც სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი საბუთი, მესამემ – უნიკალური უცხოური ჭაღი, მეოთხემ...

ერთხელ პირდაპირ სუფრასთან თავს დაადგა მაღალი, გამხდარი, წვერმოშვებული, თმაგაჩეჩილი ახალგაზრდა, რომელსაც გაზინთული, საღებავებით აჭრელებული ხალათი თუ პიჯაკი ეცვა და ხელში ეჭირა საშუალო ზომის ჩარჩო ზედ გადაკრული ტილოთი. ახალგაზრდამ შესთავაზა, შენს პორტრეტს დავხატავო, გინდ – ცხენზე ამხედრებულს, გინდ – ვეფხვთან შეჭიდებულსო. რა თქმა უნდა, ვეფხიამ ახალგაზრდა სუფრასთან მიიწვია; ანახვა მისი მწყემსის როლისთვის გადაღებული კინოსინჯების ფოტოები (რომელთა ულევი მარაგიც ჰქონდა და რამდენიმეს მუდმივად ატარებდა ჯიბით) – ასე თუ შესძლებ ჩემს დახატვასო, რაზეც დამარწმუნებელი პასუხი მიიღო: "უმაღლეს დონეზე გავაკეთებ, მაგის მეტი რა ვიცი!". შემდგომ ახალგაზრდა უზომოდ დათვრა, მაგრამ მანამდე, არ დავიწყებია, წინდაწინ მომავალი სურათის საფასურში ბედ მოზრდილი თანხის გამორთმევა ვეფხიასთვის, მისი თქმით, "საღებავებისა და ფუნჯების შესაძენად"... მას მერე ვეფხიას მისთვის თვალი არ მოუკრავს.

შემდეგ გაეცნო სუფთად წვერგაპარსული, კოხტად თმაგადავარცხნილი, სათვალიანი, ჰალსტუხიანი, ინტელიგენტური შესახედაობის შუახნის კაცი, რომელმაც ცნობილ მწერლად და კინოდრამატურგად გააცნო თავი, წიგნებად გამოცემული საკუთარი რომანებიც ანახვა და გაუზიარა მორიგი შემოქმედებითი ჩანაფიქრი – ერთობლივად შექმნიდნენ მწყემსთა გმირული შრომის შესახებ ეპოსურ რომანს... ვეფხია და ამბერკი ამჯერად ცოტა უნდობლად უყურებდნენ მის მონათხრობს; მაშინ მწერალმა დაურთო, რომ რომანის ეკრანიზაციის უფლებას სარფიანად მიყიდდნენ კინოსტუდიას, თანაც იმ პირობით, რომ მთავარი როლი მომავალ ფილმში უსათუოდ ვეფხიას უნდა ეთამაშა... ვეფხიამ ცდუნებას ვერ გაუძლო და დაჰყაბულდა, ოღონდ ამბერკისთვისაც უნდა გაეთვალისწინებიათ ეპიზოდური როლი მაინც. ინტელიგენტი მწერალიც ახალგაზრდა მხატვარზე არანაკლებ მსმელი აღმოჩნდა და არც მას დავიწყებია ბეს აღება იმპორტული მაგნიტოფონის შესაძენად – მისი თქმით, სისულელე იქნებოდა, წერაში დრო დაეკარგათ, როცა შეეძლოთ, პირდაპირ მიკროფონში ელაპარაკათ... დრო მაინც დაიკარგა, იმ საღამოს შემდეგ ვეფხიას "თანაავტორი" აღარ გამოჩენილა.

ერთხელ ვეფხიას ახალმა ძმაკაცებმა მასთან საქეიფოდ მსოფლიო სახელის მქონე უცხოელებიც კი მოიყვანეს. ორი კაცი იყო, ეგრევე შეეტყოთ, რომ ლხინი მომეტებულად ემარჯვებო-

დათ და სადღეგრძელოების ფასიც კარგად იცოდნენ – დამტვრეული რუსულით მშვენივრად ლაპარაკობდნენ. ერთ-ერთმა, შავულვაშიანმა აყლაყუდამ, საკმაოდ გრძელი სადღეგრძელოც კი წარმოსთქვა და, ბოლოს, გულაჩუყებულმა ვეფხიას სტუმართმოყვარეობით, დაასკვნა:

– მე მინდა, მივულოცო ჩვენს კოლექტივს! ვეფხია ჩვენი სუფრის მშვენებაა, უმაღლესი კვალიფიკაციის თამადა, საერთაშორისო კატეგორიის თამადაა!

ვეფხია დაეჭვდა, უცხოელი ნაცნობი კილოთი რატომ ლაპარაკობს რუსულადო და მისი ეჭვი დადასტურდა – ქეიფის ბოლოს სტუმრები გამოტყდნენ, ქართველები ვართო!

ჩანჩქერი XX. der ef anSi mi si xvr i nva aRar Segawuxebs!

– მიყიდე ბეჭედი! ოქროსი, თვლიანი! – ერთხელ ძილის წინ შეეხვეწა ალა ვეფხიას.

ვეფხია გაეხუმრა:

– ცოლად გამომყვები?

– მიყიდე ბეჭედი! მიყიდე, მიყიდე, მიყიდე! – დაიჟინა ქერათმიანმა მზეთუნახავმა და გამობუსხა მარწყვის ტუჩები.

ტურფას მასირებულმა იერიშებმა არ იკლო შემდეგ დღეებშიც და ის შედეგი გამოიღო, რომ ერთ საღამოს, როცა გოგო არ მოეშვა, მოთმინებადაკარგულმა, გაბრაზებულმა ვეფხიამ ალას მკლავში ხელი მოჰკიდა, გარეთ, დერეფანში გაისტუმრა და კარი ჩაუკეტა. ალას მოუწია არცთუ კომფორტულ პირობებში ღამის გათევა.

შემდგომ დამდამობით ალა ამბერკისთან იყო, ვეფხიასთან კი რადა გადმობარგდა.

ერთხელაც საღამოს საძინებელი ოთახიდან ალა ჩამობრძანდა:

– მე ძილი მინდა, შენი ამხანაგი კი საშინლად ხვრინავს, მისი გაძლება არ შემიძლია!

ვეფხიამ შეხედა – ალას თითზე ახალი ბეჭედი აქვს წამოცმული.

– შე ასეთო-ისეთო, ჭამა-სმა და გართობა გინდა, ბეჭედიც უყიდია შენთვის, ხვრინვის მოთმენა კი არ გნებავს? – უყვირა ვეფხიამ. – იცი, რომ ღამე ნომერში უცხო პირთა ყოფნა აკრძალულია? ხვრინვა გაწუხებს, ხომ? კეთილი, დერეფანში მისი ხვრინვა აღარ შეგაწუხებს!

ერთ წამში ქალბატონი ალა ისევ დერეფანში აღმოჩნდა გაბრძანებული.

ვეფხიას გამოწერილი წამალი უებარი აღმოჩნდა – ალა დაჭკვიანდა.

საოცარია, ახლა ამ ამბების ცოცხალი მოწმე – რადა – შეუჩნდა ვეფხიას:

– მიყიდე ბეჭედი, ოქროსი! ამბერკიმ ალას ხომ უყიდა?!.

– ბეწვის პალტოც ხომ არ გინდა დასაწყვილებლად? – გაექილიკა ვეფხია.

– ჰო, მინდა! – გაუხარდა რადას და მუქ თვალებში სიხარულის ნაპერწკლები აუკიაფდნენ.

ვეფხიამ კარი გააღო და რადა დერეფანში გააგდო, ღამე იქ, სკამზე მოკუნტულს, გაათენებინა.

წამალი რადასაც მოუხდებოდა უეჭველად, ვეფხიას ამბერკისთვის მეორე დღეს რომ არ ეთქვა:

– ესენი ნერვებს მოგვიშლიან, ჯობს, დროულად მოვიცილოთ თავიდან! გავამგზავროთ იალტაში, რადას იქ არ დასჭირდება ბეწვის პალტო, მე რომ მთხოვს!

ამბერკიმ მაშინვე მხარი აუბა:

– კაცო, ალამაც გული შემიჭამა, გინდა თუ არა, ბეწვის პალტო მიყიდეო...

– ესენი, ჩემო ამბერკი, ისე ვატყობ, მეტი არაა ჩემი მტერი, იალტიდან იყვნენ, იქ ბეწვის პალტო რად. უნდათ.. არც გუშინ სკოლადამთავრებულებს ჰგვანან. უფრო, მგონია, გასტროლებზე დაეხეტებიან ქალაქ-ქალაქ, კაცების გამოჭერაში და გატყავებაში დაოსტატდნენ. ალბათ პალტოების ყიდვის იმედი აჩერებდათ, თორემ აქამდე გაგვეცლებოდნენ და სამახსოვროდ ჩვენს ჩემოდნებსაც გაიყოლებდნენ...

– ბიჭო! – ამბერკიმ მხარზე ხელი დაჰკრა ვეფხიას, – შოფერი ძმა მყავს, რუსთავში მუშაობს, მოდი, იმას გავუგზავნოთ გოგოები, შოფრები კარგ დროს გაატარებინებენ!

მოითათბირეს და ქალიშვილებს დაუძახეს.

– აბა, ლამაზებო, გასეირნება ხომ არ მოგენატრათ? – ჰკითხა მათ ვეფხიამ.

– ძალიან, ძალიან! – აცუნცრუკდნენ რადა და ალა. – სად მივდივართ?

– საქართველოში! თბილისში ყოფილხართ?

– რა კარგია! როდის მივდივართ?

– ჩვენ აქ კიდევ ცოტა ხანს დავრჩებით, საქმეებს მოვაგვარებთ და მალე ჩამოვალთ... ჩვენს ნაცნობებთან წერილს გაგატანთ! – ამცნო ამბერკიმ.

– თუ გვპატიჟებენ, რატომაც არა, სიამოვნებით წავალთ! – ტაშს შემოჰკრეს ქალიშვილებმა.

ვეფხიამ მათ თვითმფრინავის ბილეთები აუღო და დიდი პატივით გააცილა კიდეც.

რადას გული რომ არ დასწყვეტოდა, გამოსამშვიდობებლად მასაც უყიდა ოქროს ბეჭედი.

ჩანჩქერი XXI. მე რამეს მოვახერხებ!

იშვიათი ამბავია – ქუჩაში ფეხით მიდიან.

მოღრუბლული დღეა, ისე აღარ ყინავს.

ამბერკი ჩივის:

– კაცო, მოსკოვში რომ ჩამოვდივარ, ცხვირი უცებ მეზრდება; დავბრუნდები ქუთაისში და ისევ ნორმალური მიხდება.

ვეფხიას გაეცინა, ულვაში მოიწიწკნა:

– შენი ცხვირი თუ მოსკოვში დიდდება, აბა ჩემი ხორთუმად გადაიქცევა!

ცხვირებით მათ არავინ იწუნებდა, ის კი არა, ქუჩაში რომ მიდიოდნენ, ხალხი მაინცდამაინც უფრო დიდცხვირა ვეფხიას გაუღიმებდა ხოლმე.

– რა არის, ამბერკი, თითქმის ყველა შემხვედრი რომ მესალმება, ნუთუ ამდენი ნაცნობი გავიჩინე მოსკოვში?

– არა, ჩემო ვეფხია, კარგად გაიხედ-გამოიხედე, დააკვირდი! ხედავ, ყველა, თითქმის ყველა, დაბღვერილი დადის, ბოდიში, დადის რომელია, დარბის, ასწრებენ ერთიმეორეს, ნაღდი დოღია გამართული... შეგხედავენ შენ, სულ რომ ღიმილი დაგთამაშებს პირზე და თუ შეხედე, იფიქრებენ, ნაცნობს შევხვდითო, ღიმილით გვესალმებაო და ისინიც გესალმებიან... სულ ესაა მთელი საიდუმლო!

აფიშებით აჭრელებულ დაფასთან შეჩერდნენ, რამე გასართობს ეძებდნენ. საინტერესო ვერაფერი ნახეს. უცებ ამბერკიმ წამოიძახა:

– ბიჭო, შეხედე, დღეს დიდ თეატრში ზურიკო მღერის!

– მარტო დღეს მღერის თუ? – ვითომ იხუმრა ვეფხიამ.

– არა, როგორ იქნება, დღეს ზურიკო მღერის და არ დავესწრო? – წამოიძახა ამბერკიმ.

– ჰო, ჯერ ერთი წარმოდგენაც არ გაგიცდენია მისი მონაწილეობით! – გაატრიზავა ვეფხიამ, შემდეგ შეარბილა ნათქვამი: – თუ დიდი თეატრის ასეთი ტრფიალი ბრძანდები, ბილეთს აღარ უნდა შოვნა?

მოკლედ, მათი პაექრობა კარგა ხანს გაგრძელდა; მისი შედეგი კი ის იყო, რომ იმავე საღამოს რესტორანის მაგივრად დიდი თეატრის წინ აზიმზიმებულ ხალხში იდგნენ და გამვლელ-გამომვლელს აწუხებდნენ – ზედმეტი ბილეთი ხომ არ მოგეძევებათო.

ხვავრიელად თოვდა და ქუდებიდან და პალტოებიდან მალ-მალე იფერთხავდნენ თოვლს, აბაკუნებდნენ ფეხებს, თუმცა არც ისე ციოდა.

– საქეიფო ამინდია, – გაუცინა ვეფხიამ ამბერკის, – რა დიდი თეატრი აგიტყდა!

– ეჰ, შევცდით! – უპასუხა ამბერკიმ, – ვიქტორისთვის უნდა დაგვევალებინა ბილეთის შოვნა, ახლა დარბაზში ვიქნებოდით უკვე თბილად მოყუჩებულები!

წარმოდგენის დაწყებას თხუთმეტი წუთი აკლდა, როცა ერთი ბილეთი ძლივს იშოვეს, ისიც – ქანდარაზე.

– შენ შედი, მე რამეს მოვახერხებ! – დააიმედა ვეფხიამ ამბერკი. – თუ არა და, მე თუ დღეს ზურიკოს არ მოვუსმინე, არ დაიქცევა ქვეყანა.

ვეფხია ამბერკის უკან დაედევნა, ხალხის ნაკადს მიჰყვა, იქნება ამ ორომტრიალში როგორმე მეც გავძვრეო. ჯიბეში საგანგებოდ ათმანეთიანი ჩაიდო, როცა მეკარე ბილეთს მომთხოვს, ხელში ჩავუკუჭავ და გამიშვებსო. ასე ცირკში შევიდნენ რამდენჯერმე – თუმანს მისცემდნენ შესასვლელში და პატივსაცემ სტუმრებს ლოჟაში გამოჭიმავდნენ... მართალია, ერთხელ არ გაუღიმათ ბედმა – ბილეთი მოსთხოვეს და ლოჟიდან სამარცხვინოდ გამოაპანღურეს...

ამბერკი ხანში შესულ, თეთრულვაშა მებილეთეს რომ გასცდა, ამ უკანასკნელმა ახლა ვეფხიას შეუბღვირა:

– თქვენი ბილეთი?!.

ვეფხია არ მოელოდა, თუ ასეთი ბრაზიანი ვინმე შეხვდებოდა, თავისი გეგმა სულ გადაავიწყდა, დაიბნა – ჩაიყო ხელი სულ სხვა ჯიბეში; მოაფათურა და ამოიღო... ტრამვაის ბილეთი!

ანგარიშმიუცემლად მიაწოდა ეს ბილეთი მეკარეს და იმანაც გამოართვა, დახედა და იმდენად გაოგნდა, რომ გაკვირვებისგან მხოლოდ პირი დააღო, ვეღარაფერი წარმოსთქვა. ამით ისარგებლა ვეფხიამ, მადლობა გადაუხადა, გვერდი აუქცია და დინჯად გაიარა...

ერთხანს ყვირილს მოელოდა, მერე ხალხს შეერია.

ქანდარაზე ამბერკი მოძებნა.

– ბიჭო, ამბერკია, ამ ბოლო დროს მეტისმეტს ხომ არ ვლოთობთ?

– რა იყო, რა დაგემართა?

– რა და, ტრამვაის ბილეთით შემოვედი, როდის ვისხედით, ბიჭო, ტრამვაიში მოსკოვში?

– მოგცლია შენც, სხვა სადარდებელი ვერაფერი ნახე? – გაიცინა ამბერკიმ.

ერთი ის იყო გულდასაწყვეტი, რომ წინ უშნოდ ასვეტილი დიდი ბოძი ეფარებოდათ, სანახევროდაც ვერაფერს ხედავდნენ, თან ქანდარა მაყურებლებით იყო გაჭედილი, მათ თავებს შორის "ჭუჭრუტანებში" ხან ხედავდნენ წარმოდგენის ფრაგმენტებს, ხან – არა...

როგორც იქნა, გასძლეს ანტრაქტამდე.

– დაიქცეს ამის ამშენებელი, გავთავდი კაცი, კისერზე თავი კინაღამ მომძვრა აქეთ-იქით ტრიალით! – ჩიოდა ამბერკი.

– ფეხზე ერთი ათჯერ მაინც დამაბიჯეს, ფერდებიც დამებეგვა ამდენი მიწევ-მოწევითა და მუჯლუგუნებით; წამოდი, თუ ძმა ხარ, შევეშვეთ, ოპერა არ ყოფილა ჩვენი საქმე. ჩავიდეთ ბუფეტში, ერთი-ორი ბოთლი ლუდი დავურტყათ, ბუტერბროდები დავაყოლოთ და მოვუსვათ შინისკენ!

– აწი, ქუდი რომ შემომიგდო, აქ მომსვლელი ვარ? – ამბერკი ვეფხიაზე წინ-წინ გარბოდა. – კინოში არ ჯობდა წასვლა? დავიჯერო, ამხელა ქალაქში ერთი ხეირიანი ფილმი არსად გადის?

დაიჭირეს ტაქსი და შოფრის დახმარებით კაი ერთი საათი იბოდიალეს ქალაქში სრულიად უშედეგოდ – ყველგან უზარმაზარი რიგები იყო გაჭიმული საბილეთო სალაროებთან.

ვეფხია, "ძველი კინემატოგრაფისტი", აღშფოთდა:

– როგორ, კინოში უნდა გამიჭირდეს შესვლა?

დააღირა თავი და ერთ-ერთ კინოთეატრში თვით დირექტორთან შეაღწია. თავი გააცნო ახალგაზრდა კინორეჟისორად და მსახიობად. ძალიან გაიკვირვა, რომ მისი ფილმები ჯერ არ ყოფილა ამ კინოთეატრის ეკრანზე და დაჰპირდა, როცა ასეთი რამ იქნება, სიამოვნებით მოვალ მაყურებლებთან შემოქმედებით შეხვედრაზეო. დასასრულ, ორი ბილეთის შოვნაში შემწეობა სთხოვა.

– თქვენ ურიგოდაც შეგიშვებდით, მაგრამ ხომ ხედავთ, რამდენი ხალხია, აყაყანდებიან და საჩივარს დამიწერენ! – ხელები გაშალა დირექტორმა.

ვეფხიამ თავისი ფოტო ამოიღო (რამდენიმე კიდევ ჰქონდა შემორჩენილი), სწორედ ის, ბოხოხიან მწყემსს რომ თამაშობდა პოლიაქტორ კაიდედმამიშვილის სახელგანთქმულ ფილმში და გულთბილი წარწერით დირექტორს აჩუქა.

– მაშინ ხვალისთვის თუ შეიძლება თქვენთან კოლექტიური სვლა მოვაწყოთ ჩვენი კინოჯგუფისთვის? – ჰკითხა ვეფხიამ.

– დიდი სიამოვნებით! რომელ სეანსზე გნებავთ? – უღიმოდა დირექტორი.

შეთანხმდნენ, რომ ხვალინდელი სეანსი, რომელიც იწყებოდა საღამოს რვა საათზე, მთლიანად ვეფხიას განკარგულებაში იქნებოდა. ვეფხიამ მაშინვე გადაიხადა ოთხასი მანეთი და დაემშვიდობა დირექტორს.

– ჩემო ამბერკი, რა გვეჩქარება, ხვალ ვნახოთ ეს დასაწვავი სურათი ჩვენს გემოზე და მტრის ჯინაზე! – უთხრა ვეფხიამ ქუჩაში გასვლისას.

"ვეფხიას სეანსზე" ამბერკი კინაღამ სიცილით გაიგუდა. მთელ დარბაზში მხოლოდ ორნი ისხდნენ, ცოტა ხანში დირექტორიც მიემატათ პატივისცემის ნიშნად.

გარეთ აჭიჭყინებულ ხალხს ადმინისტრატორი ბოხი ხმით აშოშმინებდა:

– ჩუმად, ნუ ხმაურობთ! სურათს ცნობილი კინორეჟისორი უყურებს და გთხოვთ, ხელს ნუ შეუშლით!

ჩანჩქერი XII. გირეკავთ მილა!

იმ დილით, როცა ნომერში იყვნენ და რეპროდუქტორში ამინდის ბიუროს პროგნოზს გადასცემდნენ, ვეფხია ხუმრობით აჰყვა დიქტორის ლაპარაკს:

– გასულ კვირას მთელ საქართველოში წვიმდა., ბოდიში – თოვდა. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისთვის მზადება ნორმალურად მიმდინარეობს. ამინდი ხვალისთვის: ალაგ-ალაგ მოსალოდნელია მცირე ან საკმაო ნალექი, ალაგ-ალაგ კი მზიანი ამინდი იქნება... უფრო ზუსტად ხვალინდელ ამინდს მოგახსენებთ ზეგ...

თურმე რა გეხუმრება! უიღბლო დღე გათენდა მათთვის, ფრიად უიღბლო!

ყველაფერი წინა საღამოს დაიწყო ალბათ, როცა ტელეფონის ზარმა გამოაღვიძა ახალჩაძინებული ვეფხია.

ვიღაც უცნობი ქალი რეკავდა.

– ესა და ეს ნომერია?

– დიახ!

– რა კარგი ხმა გაქვთ, გირეკავთ მილა!

შემდეგ შინაურულად შეატყობინა, რომ ოცდაოთხი წლის გახლავარო, სიმაღლით – ერთი მეტრი და სამოცდათორმეტი სანტიმეტრი, წონით – 70-72 კილოგრამი, ლამაზი, ქერათმიანი, ჯანმრთელი და ასე შემდეგ. ვეფხიასაც გამოჰკითხა სადაურობა, წლოვანება, ზომა-წონა. მობრძანდიო, დაპატიჟა ვეფხია, კმაყოფილი დარჩები და არც მეტისმეტი მეძვირე ვარო. ვეფხიამ უთხრა, რომ მეგობარიც ჰყავდა. თუ გინდა, შენი ძმაკაციც წამოიყვანე, მე ჩემს დობილს დაგახვედრებთო... დათქვეს დრო, ქალმა უკარნახა მისამართი, აუხსნა, როგორ უნდა ემგზავრა სასტუმროდან მის სახლამდე, ბოლოს კი დასძინა – კარგი იქნება, თუ არაყსაც წამოიძღვანიებთო...

მაინც რამ ააცუნცრუკათ, სად უნდა ებოდიალათ ქალაქის მეორე კიდეში ამ სიცივეში! არა, ნაღდად თარსი დღე იყო, ეტყობა, დილიდანვე მარცხენა ფეხზე ადგნენ...

ჯერ იყო და, ვიქტორ-შოფერს არ გაუმართლა. როცა "ტელეფონის ქალთან" მიემგზავრებოდნენ, ერთ-ერთ გზაჯვარედინზე დაამუხრუჭეს და მათ მანქანას უკნიდან ოდნავ შეეხო ძვირფასი უცხოური მანქანა, რომელსაც დიპლომატიური ნომერი ჰქონდა. ბევრი კი არაფერი დაუზიანებია – მარცხენა შუქფარის შუშა ჩაამტვრია.

რა თქმა უნდა, ვიქტორი მაშინვე გადმოხტა მანქანიდან, დამრტყმელი მანქანიდანაც გადმოვიდა მაღალი, ლამაზი ზანგი, კოხტად ჩაცმული. ზანგმა ფართოდ გაუღიმა, ბოდიში მოუხადა და დაბოღმილ ვიქტორს ასმანეთიანი მიაწოდა – ამით გავათავოთ ყველაფერიო. ვიქტორმა ხელი აუკრა ფულზე და ისევ ბურტყუნებდა უკმაყოფილოდ, მილიცია გიჩვენებს სეირსო. ზანგს ცოტა გაუკვირდა, – ხუთმაგად გინაზღაურებ ზარალს, მეტი რაღა გინდაო. ვეფხია და ამბერკი ამაოდ არწმუნებდნენ ვიქტორს, რომ ფული აეღო და დროულად მშვიდობით დაემთავრებინა საქმე. როცა ზანგმა შეატყო, მისი გაწვდილი ხელი კარგა ხანს გაჩერდა ჰაერში, ფული ჯიბეში ჩაიდო, ჩაჯდა თავის მანქანაში და მიიჯახუნა კარი; შემდეგ დაქოქა მანქანა, დაძრა, დაძრა კი არა, ღრიალით გააქანა და გემოზე სთხლიშა უკნიდან ვიქტორის "ვოლგას"... მერე უკან დახია მანქანა, მძლავრი ძრავის ბღუილით აუქცია გვერდი გაშტერებულ ვიქტორს, გაოცებულ ვეფხიასა და ამბერკის და მალე თვალს მიეფარა.

პირღიად დარჩენილი ვიქტორი კარგა ხანს ვერ მოვიდა აზრზე, რა მოხდა.

– დავითარსეთ, ჯობს, უკან დავბრუნდეთ! – იხუმრა ვეფხიამ.

თურმე მართლა უკეთესი იქნებოდა, მაშინვე რომ დაბრუნებულიყვნენ სასტუმროში!

ვეფხიამ და ამბერკიმ ტაქსი დაიჭირეს და გზა განაგრძეს.

მითითებულ მისამართზე რომ მივიდნენ, საკმაოდ დააგვიანდათ და სიჩქარეში სართული შეეშალათ. როცა ზარი დარეკეს და კარი გაიღო, 172 სანტიმეტრი სიმაღლის ქერა, ლურჯთვალება ფერიის ნაცვლად გამოვიდა საშინლად დაჯღანული, წელში მოკაკული დედაბერი...

ქერა ფერია კი, რომელსაც მილა ერქვა, მართლაც არაფრით იყო დასაწუნი. უბედურება ის იყო, რომ ამბერკისთვის მის მიერ საგანგებოდ დაპატიჟებული ქალი საკმაოდ ხნიერი გამოდგა, ამბერკის არ მოეწონა და არც ვეფხია მოუხიბლავს. ისხდნენ, საუბრობდნენ, არაყს უფრო ქალები ეტანებოდნენ. მილას მეზობელი, როგორც ჩანს, ლოთი იყო, ადრეულად მომჭკნარი, თორემ ათი-თხუთმეტი წლის წინ სანდომიანიც კი იქნებოდა. ამ ქალს ქმარი ჰყოლია და თექვსმეტი წლის ვაჟიშვილი. ცოლ-ქმარი თურმე მუსიკოსები არიან, დადიან ქორწილ-ქეიფებში ხალხის გასართობად, უკრავენ და დროსაც ატარებენ. მათი ბიჭიც უპატრონობით გალოთებულა და ხელიდან წასულა...

ისხდნენ ასე საათნახევარი, ვეფხიამ და ამბერკიმ წამოსვლა არჩიეს – მერე გამოგივლით აუცილებლადო, მილა დააიმედეს.

დამშვიდობებისას მილას მეზობელმა, ფრიად განაწყენებულმა, განუცხადა სტუმრებს: რომ მცოდნოდა, ასე ცოტა არაყი იქნებოდა, სულ არ მოვიდოდიო...

ეს პატარა ამბავი ასე ჩათავდა თითქოს.

თითქოს ჩათავდა იმიტომ, რომ, როცა საღამოს რესტორანში ისხდნენ, ამბერკიმ დაიჩემა, მილასთან მინდა წასვლაო. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ვეფხიამ ერთი ნაცნობი ლამაზმანი დაითრია – ლიუსია, რომელიც იმჟამად მათ სუფრას ამშვენებდა, ლიუსიას მეგობარი ქალი კი რატომღაც არ გამოჩნდა და ამბერკი აღრენილი იყო.

ჰოდა, ვეფხიამაც დასტური მისცა – თუ შენსას არ იშლი, გზა დამილოცნიაო.

ჩანჩქერი XXIII. გზის ფული მაინც დაეტოვებინა იმ ოხერს!

იმდენად მნიშვნელოვან ამბავზე მინდა გიამბოთ, რომ ახალი კარი-ჩანჩქერი უნდა დავიწყო (ამ თავს "ჩანჩქერის" მაგივრად "მეჩეჩი" უფრო მოუხდებოდა!).

გათენდა კიდევ ერთი დილა უკვე კარგად შეჩვეულ ნომერში, დილა სხივმფინარი, პირმცინარი, მზითა და ხალისიანი გუგუნით სავსე, მანქანებით აზიმზიმებული ქუჩიდან რომ აღწევდა.

ერთი ეს იყო, რაღაც სიცარიელისა თუ უკმარობის გრძნობამ დაუჩრდილა ვეფხიას გუნებაკეთილობა...პ

მიიხედა გვერდზე – ლამაზმანი იქ არ დახვდა.

"აბაზანაში ან საპირფარეშოში თუ არის ლიუსიაო", – გაიფიქრა, მაგრამ ნომერში ჩამიჩუმი არ ისმოდა. ამბერკისთანაც ავიდა მეორე სართულის საძინებელში, არც იქ იყო ვინმე...

მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ აღარსად იყო მისი შარვალი, პიჯაკი, პალტო, ქუდი... და მხოლოდ ეს არ იყო დანაკლისი: აღარც ჩემოდანი ჩანდა, მასთან ერთად – ფული!

დარჩა ნიფხვის ამარა.

ვეფხია იმდენად დაიბნა, რომ ამბერკის მოსვლამდე არავისთვის არაფერი შეუტყობინებია.

მილადან დაბრუნებულმა ამბერკიმ მაშინვე ადმინისტრაციას მიაშურა, ხელად გაჩნდა მილიცია.

ატყდა ჩოჩქოლი და მითქმა-მოთქმა.

– ახია თქვენზე! – აშკარა ნიშნის მოგებით უთხრა დაზარალებულებს სართულის მორიგე ქალმა, თითქოს არავითარი პატივისცემა არ ახსოვდა მათგან. არც ის დაუფასა, რომ ვეფხიამ მილიციას დაუმალა, ლიუსია მთელი ღამე თუ მასთან იყო, – ამგვარი რამ აკრძალული იყო და სართულის მორიგეს პასუხს მოსთხოვდნენ, – საღამოს ალბათ რაღაც საძილე ჩამიწვეთა სასმელში და მხოლოდ დილით გამეღვიძაო.

როცა მილიციის თანამშრომელმა სთხოვა, ჩამოეთვალა მისი გამძარცველი ქალის ნიშნები, ვეფხიამ სახელის გარდა, მხოლოდ ის შეძლო გაეხსენებინა, რომ ლიუსია მამაკაცივით სვამდა არაყსო.

ვეფხია ჯერაც ვერ მოფერიანებულიყო, უცნაურადაც ეცვა – ამბერკის შარვალ-ხალათი ცოტათი ვიწრო და ოდნავ მოკლეც ჰქონდა, ფეხზე კი ამბერკის ნახმარი ფეხსაცმელი უჭერდა; საკვირველი იყო – ადრე ხომ ბოტასები ერთი ნომრისა მოერგოთ! უსინდისო გამოდგა ქურდი: ვეფხიას ახალთახალ ბოტასებს ვინ ჩივის, მისი ძველი ფეხსაცმელებიც კი ხელს გააყოლა... მეორე სართულზე, საძინებელში, რატომღაც არ ასულა და ამბერკის ასანთის კოლოფიც კი არ დაჰკარგვია! ალბათ შეეშინდა იქ ასვლა, ეგონა, ამბერკი იქნებოდა იქ.

ვეფხია ჩაჰყვა ამბერკის რესტორანში, როგორც გამოირკვა, – უკანასკნელად, რადგან თვით ხომ კაპიკი აღარ შერჩა, ამბერკისაც მხოლოდ ხუთი თუმანი აღმოაჩნდა. კიდევ კარგი, წინა დღეს ვეფხიამ, უკვე მეშვიდედ, წინდაწინ გადაიხადა ნომრის საფასური მორიგი ერთი კვირით, მაგრამ ჭამა-სმა?

სხედან რესტორანში უჩვეულოდ ღარიბულ სუფრასთან: აღარც – შემწვარ-მოხრაკული, აღარც – ღვინო-კონიაკი! და ბჭობენ...

ლიუსიას დაჭერის იმედი არ არის, გამოცდილი ქალი ჩანს თავის საქმეში და ალბათ უკვე შორსაა გადაკარგული... ფული რამდენიდა წაიღო? დიდხანს იჭყლიტეს ტვინი, რამდენიმე ფურცელი ტყუილად გადააჭრელეს ნაანგარიშებით, მაგრამ ზუსტად ამის დადგენა ვერაფრით შესძლეს... ერთი რამ კი ვეფხიამ განცვიფრებით აღმოაჩინა – ლიუსიას ნადავლი მაინცდამაინც მსუქანი არ იქნებოდა: მიახლოებითი ანგარიშიდან ჩანდა, რომ თავდაპირველი საკმაოდ მსხვილი თანხიდან მხოლოდ ნამცეცები თუ იყო დარჩენილი! და დღეს თუ ხვალ მაინც მოუწევდათ გუდანაბადის აკვრა და შინ დაბრუნება...

ვეფხია გაგიჟებას იყო – ნუთუ ასე შემოეფცქვნათ ხელში ორი მანქანის საყიდლად განკუთვნილი ფული და თითქმის ერთი იმდენი – კიდევ სხვა? ალბათ ლიუსია სწორედ იმან გააანაწყენა, რომ საკმაო ფული ვერ ნახა, რამდენსაც მოელოდა და ყველაფერი პირწმინდად იმიტომ წაიღო...

გზის ფული მაინც დაეტოვებინა იმ ოხერს!

ორი ბილეთის ფული – რკინიგზით სამგზავროდ, რასაკვირველია! – ახლაც აქვთ, უფრო სწორედ, რესტორანში შემოსვლამდე ჰქონდათ (გზაში ასე თუ ისე საჭმელადაც კი ეყოფოდათ), ახლა კი, ანგარიშის გასწორების შემდეგ, თანხა გაუნახევრდათ – დარჩათ ოცდახუთი მანეთი!

კიდევ დიდხანს ისხდნენ თითქმის ცარიელ სუფრასთან; ხან ასე ჭრეს, ხან ისე კერეს, ბოლოს, ოფიციანტმა ქალმა უკმეხად მოსთხოვა მათ, მაგიდა გამითავისუფლეთ, ხალხი რიგში დგასო (აბა რას მოელოდნენ – ოფიციანტი ქალი განაცვიფრეს, დანახარჯი ზუსტად ანგარიშის მიხედვით გადაიხადეს!).

ზინა იმ დღეს არ მუშაობდა, მისგან ასეთ მოპყრობას ვერც წარმოიდგენდნენ, მაგრამ ეს ოფიციანტი ქალიც საკმაოდ განებივრებული ჰყავდა ვეფხიას და მაინც არაფერი უთხრა – უსიტყვოდ ადგნენ და გაეცალნენ დარბაზს.

შორს არ წასულან – ფოსტა იქვე იყო, სასტუმროში და ვეფხიამ წანწალაურიანთკარში ელვა დეპეშა აფრინა: "ფული დავკარგე სასწრაფოდ გამომიგზავნეთ სასტუმრო "დიადი განთიადის" მისამართზე 400 მანეთი ვეფხია".

ჩანჩქერი XXIV. ეგ ხომ კაცი არ ყოფილა!

ბოდიშს ვიხდი – ეს კარიც "ჩანჩქერის" კი არა, უფრო "მეჩეჩის" სახელს იმსახურებს.

წინათ დღე ხომ უმეტესად სულ სასტუმროში იყვნენ – რესტორანში ისხდნენ, ახლაც იგივეს იმეორებდნენ თითქოს, მაგრამ რამხელა განსხვავება იყო წინანდელ და ახლანდელ მდგომარეობას შორის! ადრე თუ ფულის სიჭარბის გამო შეეძლოთ ასე მოქცეულიყვნენ, ახლა უფულობამ მიაჯაჭვათ სასტუმროს ნომერს. დღეში რამდენჯერმე აკითხავდნენ ფოსტას, ფულადი გზავნილი თუ მოვიდაო. ორ დღეში უბრალოდ წასახემსებელი ფულიც რომ გამოელიათ, რესტორნიდანაც აიკრეს გუდა-ნაბადი და სართულის ბუფეტშიც კი არ მიესვლებოდათ.

ძალიან რომ გაუჭირდათ, ამბერკიმ გინეკოლოგ თენგიზს დაურეკა, იქნებ ცოტაოდენი ფული გვასესხოს ან, უკიდურეს შემთხვევაში, ერთს გემრიელად გვასადილებს მაინცო. ყურმილი მისმა ცოლმა აიღო, თენგიზი მივლინებაში არის რიგაში წასული და ერთ კვირაზე ადრე მის ჩამოსვლას არ ველოდებიო...

ერთი-ორჯერ სასტუმროს რესტორანში შეიჭყიტეს, იქნებ ვინმე ნაცნობი ან თუნდაც ქართველი დავლანდოთო, მაგრამ – ვაგლახ!..

ზინამ ძველი პალტო უშოვა ვეფხიას, წახემსებაზეც არასდროს ეტყოდა მათ უარს, მაგრამ ერიდებოდათ.

ისხდნენ ნომერში და ტვინს იჭყლეტდნენ გამოსავლის ძიებაში. ამბერკიმ ამოიღო თავისი უბნის წიგნაკი, კარგახანს ფურცლავდა წაღმა-უკუღმა, ერთი ღრმად ამოიხვნეშა და ვეფხიას ცერად გახედა:

– არ მინდოდა ამასთან დარეკვა, მაგრამ სხვა გზა რომ არ გვაქვს?

– ვინ არის?

– სკოლაში ათი წელიწადი ვსწავლობდით ერთად, საინტერესო ტიპია. ჯაჯიკა ძაძამიშვილი რომ გერქმევა, იმ კაცს რა გინდა მოსკოვში? სულ ენას იმტვრევენ – "დუადჟიკ ბიდზინოვიჩ დზადზამიშვილი" – რავარია?!.

– მოკლედ მოჭერი, რა კაცია?

– რა კაცია? ჰყავს და აქვს: ორი კატა, თხუთმეტი წლის გაურემონტებელი ერთოთახიანი ბინა, ას სამოცი მანეთი ჯამაგირი, რუსი ცოლი, ერთი ცხრა თუ ათი წლის ბიჭი და ათი წლის დაუცველი დისერტაცია!

ამბერკიმ აკრიფა ნომერი, მაგრამ მაშინვე დადო ყურმილი.

– აქაც თუ ცოლი შემხვდა, ნაღდად მეტყვის, მივლინებაში არის წასულიო... ჯობს, პირდაპირ მივადგეთ შინ, მისამართიც აგერ მიწერია, წავედით!

ტაქსით გამგზავრებაზე ზედმეტი იყო ლაპარაკი, მეტროს სადგურს მიაშურეს.

პიკის საათი უკვე ჩავლილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მაინც ზღვა ხალხი მიედინებოდა დაუსრულებლივ, ერთმანეთი კინაღამ დაკარგეს. ჯერ ყველას გზას უთმობდნენ – "მიბრძანდით!" ერთი მატარებელი ისე წავიდა, რომ შიგ ვერ შევიდნენ, შემდეგ – მეორე, მესამე – რიგს უთმობდნენ დიდ-პატარას... ბოლოს, აუღეს ალღო და როცა მეოთხე მატარებელი ჩამოდგა, ეკვეთნენ კარებიდან გამოვარდნილ მგზავრთა ტალღას, ვეფხიამ ყინულმჭრელივით გაარღვია და ამბერკიც უკან მიჰყვა...

როცა ლიფტით მეშვიდე სართულზე ავიდნენ და ამბერკიმ ზარის ღილაკს თითი მიაჭირა, ბედად კარი თვით ბატონმა ჯაჯიკმა გაუღოთ. მართალი გითხრათ, ჯერ შეეშინდა, ორი წვერგაუპარსავი ჯეელი რომ დაინახა. მის მეუღლეს ეძინა და, ამრიგად, ამბერკი შეცდა, ტელეფონით რომ არ დარეკა: ჯაჯიკი უხეირო მასპინძელი გამოდგა – თვით რომ ვერაფერი იპოვა მაცივარსა და კარადებში, იძულებული გახდა, ცოლი გაეღვიძებინა. ქალმა ბუზღუნ-ბუზღუნით თითო-თითო ბუტერბროდი გააკეთა, დაუდო სტუმრებს თეფშებზე და ისევ საძინებელ ოთახს მიაშურა.

სხედან სამნი დიდ მაგიდასთან და საუბრობენ (ორნი ამავე დროს ენერგიულად იღეჭებიან კიდეც). უნდა ითქვას, რომ საუბარი ძნელად აეწყო, ალბათ ამას ხელი შეუწყო მაგიდის ცალ კიდეზე მიწყობილმა ნაწერმა ქაღალდებმა და წიგნებმა.

– გასუქებულხარ, ჯაჯიკ ჩემო, დამშვენებულხარ! ქუჩაში ალბათ ვერც კი გიცნობდი! – ცდილობდა ამბერკი საუბრის ძაფის გაბმას.

– კატორღელივით მიჯაჭვული ვარ მაგიდას... დღესა და ღამეს ვასწორებ, საკანდიდატო დისერტაციას ჭრიჭინ-ჭრიჭინით მივათრევ წინ...

როცა ჯაჯიკი ვეფხიასა და ამბერკის მოსკოვს ჩაბრძანების მიზეზს გაეცნო, მოიწყინა და ეწყინა კიდეც... მეო, მეცნიერებაზე თავგადაკლული კაცი, საჭმლის ფულს ძლივს ვშოულობ, მანქანებს პატიოსანი შრომით ვერავინ იყიდისო.

– დიდად ვწუხვარ, მაგრამ თითოეული წუთი დათვლილი მაქვს: ერთი მონოგრაფიის წაკითხვა უნდა დავასრულო და ამონაწერების გაკეთებაც მოვასწრო... სტუმარი ღვთისაა, მაგრამ...

ბატონმა ჯაჯიკმა ნელ-ნელა შეტოპა და უფრო და უფრო გაუტია.

– მიკვირს, თითქმის ორი თვე ყოფილხართ მოსკოვში! ბედნიერი ხალხი ხართ (ამბერკიმ და ვეფხიამ ერთმანეთს გადახედეს), დროს გულუხვად ფანტავთ... უფრო სწორედ – ფუჭად ფლანგავთ... ფლანგავთ უაზროდ და უმიზნოდ ძვირფას წუთებს. შენ, ჩემო ამბერკი, ნუკი გეწყინება და პირდაპირ გეტყვი: შენთვის, ისევე, როგორც ბევრი სხვა ქართველისთვის, დამახასიათებელია: უპასუხისმგებლობა (ჯაჯიკმა ერთი თითი მოკეცა მარცხენა ხელისა), თავდაჯერებულობა (მოკეცა მეორე თითი), თვითკმაყოფილება (მოკეცა მესამე თითი), უდარდელობა (მიაყოლა მეოთხე თითიც)!..

– აბა, შენ ვინ ბრძანდები, ამერიკელი? შენც ქართველი არ ხარ? – არ აცალა ამბერკიმ მეხუთე თითის მოკეცვა ჯაჯიკს, რომელიც ნაღდად არ აპირებდა ცალი ხელის თითებით დაკმაყოფილებას და უკვე ცხადად ამზადებდა მეორე ხელის თითებსაც.

ჯაჯიკმა შეტევა ახლა სხვა მიმართულებით განავითარა:

– შენ, ბიძიკო, რამდენი მუზეუმი ნახე უკვე? ჰო, რას ვკითხულობ, ისედაც ნათელია, თქვენ ყოველ საღამოს თეატრში ხართ, ყველა გახმაურებულ სპექტაკლს უკვე მეორე-მესამედ მსახიობთა სხვა შემადგენლობითაც ნახულობთ და ახლა გულის ფანცქალით ელით მორიგ პრემიერებს...

ვეფხია აქამდე არ ერეოდა საუბარში, ახლა კი წამოხტა:

– დიახ, დიახ, ახლაც თეატრში გვეჩქარება და ბოდიში, დიდი ბოდიში შეწუხებისთვის და ძვირფასი დროის წართმევისთვის!

ისე იყვნენ გაცეცხლებულნი, რომ ლიფტს აღარ მოუცადეს და კიბეზე სირბილით დაეშვნენ.

– რას იბრიქება ეგ ტილიანი – "დიდი მეცნიერი"! მიყრუებული სოფლიდან ჯერ ქუთაისში ჩამობრძანდა სასწავლებლად, მერე უმაღლესი თბილისში დაამთავრა, თბილისიც ეპატარავა ასპარეზად და ახლა მოსკოვში ააყვავა მეცნიერება! წუთს არ კარგავს უქმად, წუთს!.. მათხოვარი!..

ამბერკი ვერც მეტროში დაწყნარდა.

– "პროფესორი"! ფუი, მაგის კაცობას! რა ნაგავიც იყო, იგივე დარჩა! ცხვირი სულ წიგნებში ჰქონდა ჩარგული, არაფერში აგვყვებოდა ბიჭებს, სულ უბრალო თამაშში არ გაერეოდა...

– ბინა რომ წიგნებით გამოუტენია, მაცივარი გამოევსო, არ ჯობდა? იცოცხლე, მეცნიერობა კარგია, მაგრამ მშიერ კუჭზე რა ეფილოსოფოსება! – ვეფხია წამოზრდილ წვერზე ისვამდა ხელს; ისე, არ იქნებოდა ურიგო, საერთოდ წვერის მოშვება – საღამოსპირს საკმაოდ ყინავდა.

– "დიდი მეცნიერი"! ეგ ხომ კაცი არ ყოფილა! მე შენ გეტყვი, რაც მოუვა მაგ "დიდ მეცნიერს": ერთ-ორ წელიწადში ან დაიცავს დისერტაციას ან არა, ინფარქტი კი ნაღდად დაარტყამს... ვითომ იმკურნალებს, ცოტას მოიხედავს, შეიძლება, დოქტორიც გახდეს, მაგრამ მეორე ინფარქტი მოუღებს ბოლოს... ძმაკაცი არ ჰყავს მაგ უბედურს და მეგობარი, მის გამოსვენებას რამდენიმე კაცი დაესწრება და გაუჭირდებათ კიდეც კუბოს გამოტანა – მეზობლების დაძახება დასჭირდებათ...

მშიერ კუჭზე ცოტა აღრენილები იყვნენ და შევუნდოთ ჩვენს გმირებს, თუკი მეტისმეტი, კაცთათვის შეუფერებელი, მწარე სიტყვები გამოურიეს.

ჩანჩქერი XXV.

ეს კარიც ჩვენი ამბის მდინარებისა უფრო მეჩეჩს ჰგავს, ვიდრე ჩანჩქერს... სათაურის მოძებნაც გამიჭირდა. საბოლოოდ ეს შევარჩიე:

მილიცია მოვიყვანოთ!

დილაა. დღეს თორმეტ საათზე უნდა დატოვონ სასტუმრო, თავდება ვადა მათი ყოფნისა ამ ნომერში, შეჩვეულ თბილ ბუდეში.

– ერთი თუმანი მოგვცა ახლა, ბუფეტში ბუტერბროდებს მაინც გავკრავდით კბილს! – ამ სიტყვებს ვეფხია ამბობს და იგივე აზრი უტრიალებს გოგრაში ამბერკისაც.

ამბერკი მაინც უფრო "მასშტაბურად" აზროვნებს:

– შენც ერთი, თუმანზე ლაპარაკიც არ ღირს!

– აბა, შენ ასი ათასზე ნაკლებზე არ ხარ თანახმა, ხომ?

ამბერკის გახვრეტილი შაურიანი არ უჭყავის ჯიბეში და მაინც იბრიქება:

– ასი ათასი რა ჩემი ფეხებია! აი, ხუთასი ათასი – უკვე ფულია!

ამოდენა თანხამ დაარეტიანათ თუ უჭმელობამ, კარგა ხანს ჩუმად ისხდნენ. პაპიროსის ფულიც არ ჰქონდათ, რომ ცოტა დარდი გადაეყარათ გულიდან.

შემდეგ ნუგბარ-ნუგბარი კერძების გახსენებაზე გადავიდნენ.

ეს თემა კარგა ხანს ასაზრდოებდა მათ შიმშილისგან გაფაქიზებულ წარმოსახვას.

ყველაფერი ეს მოსალოდნელიც იყო, შიმშილმა ფანტაზიის გაცხოველება იცის; მოულოდნელი მერე მოხდა, – მართალი მოგახსენოთ, ფრიად, ფრიად მოულოდნელი რამ. ბატონი ამბერკი, ხუთას ათასზე ნაკლები რომ ფულად არ მიაჩნდა, ახლა თავისი სტუდენტური მოგონებების ტყვეობაში აღმოჩნდა და ასეთი მონოლოგი გამოიჩეკა მის მეხსიერებაში თხუთმეტი წლის წინ დადებული ოცნებების ერთ-ერთი კვერცხიდან:

– რას შვრებიან ეს ჩვენი მილიონერები, რათ უნდათ ამდენი ფული? რა ინტერესი აქვთ, აქვთ რაიმე სიხარული ცხოვრებაში, თუ მხოლოდ შიშში არიან? აი, მე, მაგალითად, რამდენჯერ გამხარებია სულ უმნიშვნელო რამის გამო: ვცხოვრობ ნაქირავებ ბინაში, დამრჩა მანეთნახევარი ან ორი მანეთი და უნდა გავძლო, თავი გავიტანო სტიპენდიის აღებამდე; არც სახლიდან ფულის გამოგზავნის იმედი მაქვს... მოვაგროვებ ბოთლებს, ჩავაბარებ და აღებულ ერთ-ორ მანეთს ერთი ათჯერ მაინც დავთვლი... ბედნიერი ვარ! მერე მოვხარშავ მონარჩენ ბრინჯს ან მაკარონს; ნაგავი რომაა, – ნაფხვენი დარჩენილი კოლოფში, – იმასაც კი არ გადავყრი... იფ, რა გემრიელი მეჩვენება უბრალოდ მოხარშული მაკარონი, ზედ რომ ცოტა მარილსაც მოვაყრი!

ვეფხიამაც გაიხსენა, ცხვარში ყოფნისას, როგორ გადიოდნენ იოლას ხმელა პურით და ერთი თავი ხახვით.

ამ სასიამოვნო საუბარში თორმეტი საათი შესრულდა და დაბღვერილი სართულის მორიგეც გამოეცხადათ ბედისწერასავით. მის უკან ორი მოსული მამაკაცი იდგა, უზარმაზარი ჩემოდ-

ნებით. ძვირფასი ბეწვის ქუდები რომ ეხურათ, მარტო ამითაც შეატყობდა კაცი, რამ სიმაღლეზე მფრინავი ჩიტებიც იყვნენ.

ქუჩაში გასვლისას მედიდურმა კარისკაცმა-"გენერალმა" ღიმილში გამოაშუქა ოქროს კბილები:

– რაო, ყმაწვილებო, მეჩეჩზე გაირიყეთ?!.

იქნებ თანაგრძნობაც იყო მის სიტყვებში, მაგრამ ვეფხიამ და ამბერკიმ უფრო დაცინვად მიიღეს. ჰაი გიდი, ეს "გენერალი" რამდენჯერ მჯდარა მათ სუფრაზე, ახლა კი აბა აზრად თუ მოუვა, თითო თხელი ბუტერბროდი მიაწოდოს მათ!

უკანასკნელი შესაძლებლობა, უკანასკნელი იმედი – იქნებ ფული მოვიდა?

მიბრუნდნენ და ფოსტას მიაშურეს.

და ამ დროს, მეგობრებო, წარმოიდგინეთ, რომ დიდმა სიმფონიურმა ორკესტრმა დააგუგუნა ლუდვიგ ფან ბეთჰოფენის მეცხრე სიმფონიის ფინალი! ანდა საფეხბურთო შეხვედრის ბოლო წამზე თბილისის დინამოელებმა გაიტანეს გადამწყვეტი ბურთი – არის! სტადიონი მოქმედ ვულკანად იქცა!

დიახ, ვეფხია წანწლაურის სახელზე მოსული იყო ფულადი გზავნილი – 400 მანეთი, გაუმარჯოს თავისუფლებას!

მაგრამ, მოგეხსენებათ, მწვერვალი და უფსკრული გვერდიგვერდ მეზობლობენ... ახლა კი, პატივცემულო მკითხველო, წარმოიდგინე, რომ ის ბოლო წამზე გატანილი ბურთი მსაჯმა არ ჩათვალა! არ ჩათვალა სრულიად დაუმსახურებლად!..

რა მოხდა? რაღა რა მოხდა – ვეფხიას უპასპორტოდ ფულს არ აძლევენ! პასპორტი ლუსიამ გააყოლა ხელს – სამახსოვროდ წაიღო და როდის დააბრუნებს, ვინ იცის!

ვეფხიამ აუხსნა მისი მდგომარეობა ლამაზ გოგონას, ვისაც ფული უნდა გაეცა, მაგრამ ვერაფერს გახდა. მთელი თავისი მამაკაცური მომხიბვლელობა მოიშველია – ამდენი ღიმილი და დათაფლული სიტყვა, ხუმრობა და დაპირება სხვა დროს არასდროს დახარჯავს ვეფხიას და ასეთი ფუჭი შედეგით – გოგოს სახეზე თანაგრძნობის ნატამალიც კი ვერ გამოიწვია. რიგში ვეფხიას შემდეგ მდგომი მოქალაქენი ენერგიულ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ მათი უზომოდ გაჭიანურებული საუბრის გამო და ვეფხია იძულებული გახდა, სარკმელს მოშორებოდა.

იქვე მდგომ ამბერკის ყველაფერი ესმოდა და მხოლოდ იმითღა შეეძლო დახმარებოდა, რომ ღრმად დამწუხრებულის იერი მიეღო.

ერთხანს ჩუმად იყვნენ, მერე ამბერკიმ გენიოსური აზრით გააბედნიერა ვეფხია:

– ფული ჩემს სახელზე უნდა გამოეგზავნათ!

რა თქმა უნდა, ვეფხია ვერ ბრძანდებოდა მხიარულ გუნებაზე და ამიტომ თავი ვერ შეიკავა მკვახე პასუხისგან:

– შენ რა გიშლიდა, ქუთაისში გაგეგზავნა დეპეშა, თუ უპატრონო ხარ?

ამბერკის რაღა ეთქმოდა, მართალი იყო ვეფხია, მხოლოდ ეს უპასუხა:

– მაყუთი შეაძლიე, ნახე, თუ არ გამოვიდეს საქმე!

სხვა რა გზა იყო, ვეფხია ისევ რიგში ჩადგა.

როცა ისევ პატარა სარკმელთან ამოყო თავი, დაიხარა, თითქმის შეძვრა შიგ და თხოვნა–ვედრებით ძველებურად გაუწვრილა გული გოგონას, მერე 50 მანეთი შეაძლია. ქალიშვილი გაანჩხლებული წამოხტა, ჯახუნით მიხურა სარკმელი და უყვირა ვეფხიას:

– მუშაობაში ხელს ნუ მიშლი, ან ახლავე წაეთრიე აქედან, ან მილიციას დავუძახებ!

ნირწამხდარი ვეფხია გაეცალა, ცხვირჩამოშვებული. ამბერკისთვის საყვედურის თქმასაც კი აპირებდა, ეს რა შარში გამხვიეო, მაგრამ ამბერკიმ დაასწრო, რატომღაც გახარებულმა, უთხრა:

– მილიცია, მილიცია!

შემცბარი ვეფხია აქეთ-იქით იყურებოდა, ვერაფერი გაეგო.

– მილიცია მოვიყვანოთ! – მხარზე ხელი დაჰკრა ამბერკიმ. – ისინი დაადასტურებენ შენს პიროვნებას, რომ შენ საბუთები მოგპარეს!

კიდევ ნახევარ საათს აქეთ-იქით სირბილი, რამდენიმე ადამიანის შეწუხება და, ბოლოს, მილიციის ჩარევის შემდგომ, ვეფხიამ ურიგოდ მიიღო მისი კუთვნილი სანუკვარი ფული... და ხუთი თუმანი თითქმის ძალათი აჩუქა ლამაზ გოგონას – ქვევით ჩაუგდო მაგიდაზე და სანამ ქალი გონს მოვიდოდა, საჩქაროდ გაეცალა იქაურობას.

და, რასაკვირველია, ამბერკისთან ერთად, მაშინვე რესტორანში ამოყო თავი! მათ მშველელ მილიციის კაპიტანსაც ეპატიჟებოდნენ, მაგრამ მან უარი განაცხადა, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ვიმყოფებიო. ვეფხიამ ქაღალდში გახვეული ერთი ბოთლი კონიაკი მაინც მისცა.

ამჯერად, სამწუხაროდ, მათი ჩვეული ადგილი და მაგიდა არ ერგოთ, დარბაზის მეორე კუთხეში მოხვდნენ და უცნობი ოფიციანტი ემსახურებოდათ. ოდნავ უხერხულობას გრძნობდნენ, მაგრამ ეს მდგომარეობა ორი-სამი ჭიქა ღვინის შემდეგ სავსებით გაუქრათ, ძველებური გრძნობით და ეშხით "შეუბერეს":

– როცა ფული გაქვს, უნდა მიაწვე!

გონს პირველი ამბერკი მოვიდა, ამაღამ ღამე სად გავათიოთო.

ნომერს მათ ვინდა მიაშავებდა, აღარც სასტუმროს ჰოლში გააჩერეს ისინი.

– ნასვამები ხართ და შენ არც პასპორტი გაქვს; იმაზეც მადლობელი უნდა იყოთ, რომ რესტორანში დაგიშვით, ახლა კი მიბრძანდით აქედან! – ეჭიდავებოდა მათ ადმინისტრატორი.

სწორედ ამ დროს გამოჩნდა მილიციის კაპიტანი, რომელმაც ვეფხიას ფულის გამოტანაში დაეხმარა და უთხრა, შენი პასპორტი ნაპოვნია, ახლა დამირეკეს; ხვალ მიხვალ მილიციის სამმართველოში და იქ მოგცემენ, მეც იქ ვიქნებიო, – მისამართიც ასწავლა. ვეფხიამ ძალათი ჩაუდო ჯიბეში ხუთთუმნიანი, რომლის მიცემასაც რატომღაც ადმინისტრატორისთვის აპირებდა – ადრე, სანამ გარეთ გასაგდებად ექაჩებოდა.

ამასობაში მოსაღამოვდა კიდეც. ხანმოკლე თათბირის შემდეგ, ვეფხია და ამბერკი კურსკის რკინიგზის სადგურს გაემგზავრნენ – მეტროთი! ტაქსის ფული დაზოგეს ვითომ – ვეფხიამ დათვალა და სულ მხოლოდ ას ორმოცდათხუთმეტი მანეთი აღმოაჩნდა; დანარჩენი სად და როგორ დაეხარჯათ, ბოლომდე ვერაფრით გაიხსენეს.

ჩანჩქერი XXVI. ძვირფასო, ათმანეთიანს მოგცემ, ოღონდ ერთხელ მაინც გაიღიმე!

თოვლჭყაპიანი დილაბინდია.

ვეფხია და ამბერკი დგანან სადგურის განიერ კიბეზე და კომკავშირის მოედანს გასცქერიან, – რკინიგზის სამი დიდი ვაგზლის შესაყარს. ადრეული დროის მიუხედავად, მოედანი ზიმზიმებს, ერთმანეთში ირევა უამრავი მანქანა, საქალაქო ტრანსპორტი; ხალხი მიდი-მოდის.

ცოტა ვერ არიან ჩვენი გმირები კეთილ გუნებაზე; თვალი ოდნავ მოატყუეს – ხალხით გატენილ მოსაცდელ დარბაზში ერთი ადგილი გაჭირვებით ჩაიგდეს ხელში და მორიგეობით ჩამოსხდებოდნენ ხოლმე, ამბერკის ჩემოდანს მოიმწყვდევდნენ ფეხებშუა და ჩათვლემდნენ...

ხალხის ყაყან-ხმაური, ხველება, ფეხთა ფლასტუნი, პაპიროსისა და ოფლის სუნით გაჟღენთილი დახუთული ჰაერი, ათასი ჯურისა და შესახედაობის ადამიანი: გამოწკეპილი, ჩამოძონძილი, ბავშვებით დახუნძლული, ჩემოდნებით თუ ფუთებით დატვირთულ-დატყვევებული... და ამ აზელილ ორომტრიალში დინჯად ჩამოივლის მორიგე მილიციონერი, ფრთხილად ადგამს ფეხს იატაკზე, გაშლილ გაზეთებზე წამოწოლილ ან ჩემოდნებზე ჩამომსხდარ მომლოდინე მგზავრებს გადაალაჯებს ზემოდან, ისევე, როგორც მიჯრით მიწყობილ შეკვრებს, ფუთებს, კალათებს, ჩემოდნებს, ტომრებს, ზურგჩანთებს და ასე შემდეგ... არის ბავშვების ღნავილი და გამოსავათებული მგზავრების ლაილაი.

სანამ ამბერკი იჯდა და თვლემდა, ვეფხია დაბოდიალობდა უზარმაზარ დარბაზში, ზამთრის გრძელი ღამით გულგაწყალებული. ხანდახან თვითონაც მზად იყო, სადმე მიგდებულიყო სხვებივით, აი, თუნდაც ამ ორ ჯარისკაცივით, შიშველ იატაკზე რომ მიწოლილან, ერთმანეთს მიკვრიან და ისე დაუძინიათ... ან აი, ეს მოხუცი რომ სანაგვე ურნაზე მოკალათებულა, ვითომც სამეფო ტახტი იყოს, თავი ჩაუქინდრავს და არხეინად ხვრინავს...

ასეთი სურათები ჯერ ამაზრზენი ეჩვენა ვეფხიას და ერთი პირი აღარც მიმოდიოდა, კიდევ რაიმე საშინელება არ ვნახოო, მერე კი მიეჩვიასავით... წყურვილი ახრჩობდა და სანამ ხურდა ფული ჰქონდა, გაზიანი წყლის ავტომატის ხშირი სტუმარი იყო. სამწუხაროდ, ხურდა მალე გაუთავდა და გაუხარდა, როცა გაზეთ-ჟურნალების ჯიხურში მთვლემარე გამყიდველი ქალი დაინახა.

– გეთაყვა, მანეთიანს ვერ დამიხურდავებთ?

ხნიერმა ქალმა თავი ასწია, გაკვირვებით შეხედა, მერე, რატომღაც გაგულისებულმა, შეუბღვირა:

– დახურდავება მოგესურვა? კიდევ რა გინდა? აქ დამხურდავებელი კანტორა არ არის!

არადა, იქვე გვერდზე კოლოფი ედგა – ხურდა ფულით სავსე. ვეფხიამ ისიც კი იფიქრა, მოწყენილობისგან გამოსავათებულია, ცოტას გავესაუბრებიო, მეც გულს გადავაყოლებო – და ასეთი მოპყრობა!

ვეფხია გაბრაზდა, მაგრამ თავს მოერია.

– ძვირფასო, ათმანეთიანს მოგცემ, ოღონდ ერთხელ მაინც გაიღიმე! – დაუგდო მანეთიანი და ჟურნალზე მიუთითა: – აი, ის მომეცით!

ჟურნალი ადამის დროინდელი იყო, თანაც კოოპერაციის საკითხებს ეხებოდა, მაგრამ ვეფხიასთვის ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა – სურათების თვალიერებას გულს გადააყოლებდა და, რაც მთავარია, ხურდა ხომ მაინც ჩაიგდო ხელში...

...განვლილი ღამის ამ შთაბეჭდილებებს იხსენებდა ვეფხია, როცა ადრიანი დილით სადგურის კიბეზე ამბერკისთან ერთად იდგა და კომკავშირის ხმაურიან მოედანს გასცქეროდა. ჯერ არ გათენებულიყო, მაგრამ მძლავრი ლამპიონებით გაჩირაღდნებულ მოედანზე ალაგ-ალაგ უკვე ადამიანები წინდაწინ იდგნენ რიგებში; განსაკუთრებით დიდი რიგები გაიწელა სასურსათო მაღაზიის წინ და სასადილო-სასაუზმეებთან – ჯერ ყველაფერი დაკეტილი იყო.

დგანან ასე ვეფხია და ამბერკი, რაღაც გაურკვეველ მდგომარეობაში არიან და მათ თავშიც, ცხადია, ათასგვარი აზრები ტრიალებენ, მაგრამ გაურკვეველი მიმართულებისა... და ამ დროს მათ წინ გამოეცხადათ ნათრევი ქალი – გაზინზლული პალტო ეცვა და ჭუჭყისგან ფერდაკარგული ქუდიდან ისეთი ბუწუწები ჩამოშლოდა თმების მაგივრად, რომ კაცს გული შეუღონდებოდა.

ქალმა მათ პაპიროსი სთხოვა; როცა მისცეს რამდენიმე ცალი, ახლა ცეცხლის მოკიდება მოისურვა. ლოთობისგან დასივებული სახე ალაგ-ალაგ დალილავებულიც ჰქონდა. ეტყობა, საქმით დიდად დაკავებული არ გახლდათ და საუბრის გაბმას ცდილობდა, ვერაფრით მოიცილეს; ბედად ზორბა მილიციონერი გამოჩნდა.

– შენ კიდევ აქ ხარ? – თვალები დაუბრიალა ქალს.

ქალმა ერთი ლაზათიანად შეაგინა და ბურტყუნ-ბურტყუნით იქაურობას გაეცალა.

როგორც კი მილიციონერი თვალს მიეფარა, ცოტა ხანში ქალი ძველთაძველი ფეხსაცმელების ფლასტუნით დაბარებულივით გამოჩნდა და ვეფხიას პაპიროსი სთხოვა. ამ დროს ისევ მობრუნდა ახმახი მილიციონერი და კინწის კვრით წინ გაიგდო ეს ქალი. ქალმა უწმაწური სიტყვებით უხვად შეამკო წესრიგის დამცველი; მათი დიალოგი კარგა ხანს შორიდანაც აღწევდა.

არ გასულა ნახევარი საათი და, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, მათ წინაშე ძველი ნაცნობი ქალი აისვეტა და პაპიროსი ითხოვა... პაპიროსიც მისცეს, ცეცხლიც მოუკიდეს, მაგრამ მობეზრდათ აქ ასე უსაქმოდ დგომა, დილის ყინვამაც შეაწუხათ და უკვე გაღებულ სასადილოს მიაშურეს მოედნის მეორე მხარეს. ქალი ერთხანს მათ უკან აედევნათ, რაღაცას ლაპარაკობდა ენის ბორძიკით, სანამ ვეფხიამ და ამბერკიმ ფეხს არ აუჩქარეს.

სასადილო სავსე იყო ხალხით, გარეთ შესვლის მომლოდინეთა უგრძესი რიგიც იდგა; რამდენიმე საათს მოუწევდათ დგომა, ამიტომ მაშინვე მეტროში ჩაყვინთეს.

სანამ ვეფხია პასპორტს აიღებდა, შუადღემაც იყივლა. იყივლა იმიტომ, რომ მოულოდნელად მზემ გამოიჭყიტა ღრუბლებიდან და ჩვენს გმირებს გუნება-განწყობილება რამდენადმე გამოუკეთდათ – კეთილი ნიშანი იყო!

ჩანჩქერი XXVII. მომყევით უკან, ცოტა ჩამომრჩით!

ჩვენს ხელთ არ არის ყველაფერი? ჰოდა, გამოვტოვოთ ერთი დღე-ღამის ამბები და პირდაპირ აეროპორტის მოსაცდელ დარბაზში ვისკუპოთ დროის ჩანჩქერით...

ვეფხია უზარმაზარ მოსაცდელ დარბაზში ზის, მარტოა.

გუშინ ამბერკის დაშორდა.

ბევრი იჩალიჩეს, მაგრამ თვითმფრინავის ბილეთი მხოლოდ მეორე დღისთვის გაჩარხეს, თანაც – მხოლოდ ერთი, მეორისთვის ფული აღარ ჰყოფნიდათ.

– ძალიან კარგი, – თქვა ამბერკიმ, – თვითმფრინავით წამომსვლელი მაინც არ ვიყავი; მე რომ სადგურში გავათიო კიდევ ერთი ღამე, ნაღდად გავგიჟდები! მაგას ჯობს, მატარებლით დღესვე გავემგზავრო, თუნდაც უბილეთოდ... სამტრედიამდე რამენაირად ჩავაღწევ და იქიდან ქუთაისი ერთი ფეხის ნაბიჯზეა.

ვეფხიამ თვითმფრინავით წასვლა არჩია; მწყემსობაში ამაზე უარეს პირობებშიც მშვენივრად უძინია და კიდევ ერთი ღამე არ მოკლავდა, – ამბერკის უთხრა, შენსავით ნაზად არ ვარ გაზრდილიო.

ეს ერთი ღამეც გაილია რკინიგზის კურსკის სადგურის მოსაცდელ დარბაზში და, როგორც მოგახსენეთ, ამჟამად ვეფხია აეროპორტშია და უცდის, თბილისის თვითმფრინავში ჩასხდომას როდის გამოაცხადებენ.

იხსენებს: თვითმფრინავის ბილეთის ყიდვის შემდეგ, ყველა ჯიბე გადმოაბრუნა და უმკაცრესი ფინანსური რევიზიის შედეგად აღმოაჩნდა ნაღდი ფული – ოცდაათი მანეთი; აქედან გზის ფულად გადაინახა თუმანი და ორი თუმნის ტკბილეულის ყიდვა განიზრახა ბავშვებისთვის.

დაიარა მაღაზიები, ყველგან იმხელა რიგები იდგა, თვითმფრინავის ბილეთის ასაღებად დგანანო, იფიქრებდი.

ასე იდგა ერთი მაღაზიის დიდი დარბაზის შუაში, ჩაფიქრებული, როცა გვერდზე დაუდგა ვიღაც შუახნის ქალი და ჩასჩურჩულა:

– კარგი კანფეტები ხომ არ გნებავთ? უცხოური!

თქვენობით მიმართვამ იმოქმედა თუ უზარმაზარი რიგის ხილვით გამოწვეულმა სულის დეპრესიამ, ვეფხიამ თავი დაუქნია:

– მინდა!

– მომყევით უკან, ცოტა ჩამორჩით... – ისევ ჩურჩულით უთხრა ქალმა და გასასვლელისკენ გასწია.

ვეფხია უკან მიჰყვა. გულში ეცინებოდა – რაღაც დიდი საიდუმლო ოპერაციის წევრად წარმოიდგინა თავი.

ათიოდე წუთი იარეს. ქალი ერთ-ერთ ეზოში შევიდა, ვეფხია მიჰყვა. ეზოს სიღრმეში ხის სამსართულიანი სახლისკენ გაემართნენ; ვეფხიას ვერც წარმოედგინა, თუ ქალაქის ცენტრში ასეთი, სიძველისგან ჩაშავებული, სახლი კიდევ იქნებოდა შემორჩენილი. ამჯერად ერთად ადიოდნენ კიბეზე, ოღონდ ქალმა უჩურჩულა, ძლიერ ფრთხილად იარე, ხის კიბემ არ დაიჭრაჭუნოსო. ვეფხიას ისევ გაეღიმა. მერე რაღაც გრძელ დერეფანს დაუყვნენ, აქ უკვე ქალმა ტუჩებზე მიიდო თითი, ხმა არ ამოიღოო, ფეხაკრეფით მიდიოდა. ბოლოს, ერთ-ერთი კარი გამოაღო და ორივენი აღმოჩნდნენ მცირე ოთახში, ეტყობა, სასტუმრო ოთახი იყო.

ქალმა ვეფხიას დანჯღრეულ სკამზე დაჯდომა შესთავაზა, თვით კი მეორე ოთახში გავიდა. იქიდან ჩურჩული მოისმა და მალე ქალი დაბრუნდა, ხელში დიდი კოლოფი ეჭირა; დადგა კოლოფი მაგიდაზე და იქიდან ამოაწყო ცელოფანის პარკებით და კოლოფებით ნაირ-ნაირი ტკბილეული. ვეფხიას თვალი დარჩა მათ ლამაზ გაფორმებაზე. ქალი ჩურჩულით ელაპარაკებოდა, სთავაზობდა ხან ერთს, ხან – მეორეს. ვეფხიამ ორი უცხოურწარწერიანი ნატიფი კოლოფი ამოარჩია, შიგ კი რა იყო, ეს აღარ გაურკვევია; ქალს ორი თუმანი მისცა და წამოსვლისას მაინც ჰკითხა, რა თქმა უნდა, ჩურჩულით:

– რა კონსპირაციაა, დაგვიჭერს ვინმე?

შეშინებულმა ქალმა ტუჩებზე მიიდო თითი:

– მეზობლებმა რომ გაიგონ, მიჩივლებენ და დააჭერინებენ ჩემს თავს, მე კი ბავშვები და მოხუცი დედა მყავს სარჩენი!

ვეფხიამ ის დარჩენილი ბოლო თუმანიც კინაღამ მისცა...

ამას იხსენებდა ვეფხია, როცა აეროპორტის მოსაცდელ დარბაზში სკამზე მჯდომი უსაქმობისგან კანფეტების ცელოფანგადაკრულ ლამაზ კოლოფებს დაუსრულებლად ათვალიერებდა და ზედ წარწერილის წაკითხვას ამაოდ ლამობდა. იმას კი მიხვდა, რომ ერთი ალუბლის კანფეტები უნდა ყოფილიყო – სახურავზე ღუდღუდა წითელი ალუბლის კუნწულა იყო ისე ოსტატურად დასურათხატებული, რომ ნაღდად ინატრებდი გაზაფხულის იმ დროს, როცა ალუბლის გემრიელ ნაყოფს მხოლოდ კანფეტის კოლოფზე არ იხილავდი... მეორე კოლოფის სახურავზე მარწყვი ეხატა.

ვეფხიას პირი ნერწყვით აევსო, კოლოფები ამოიიღლიავა და წამოდგა. მისი წამოდგომა ერთი იყო და იმავე წამს რამდენიმე ფეხზე დგომისგან დაღლილი მგზავრი ჩაება პაექრობაში განთავისუფლებული სკამის დასაკავებლად. ვეფხიამ დასაჯდომი ადგილი დაკარგა, მაგრამ მისი სინანული ხანმოკლე გამოდგა: დიქტორმა გამოაცხადა – თბილისისკენ მიმავალ მგზავრთა რეგისტრაცია იწყებაო.

ჩანჩქერი XXVIII. თქვენზე კანონები არ ვრცელდება?

აი, რეგისტრაციაც გავლილია (მე შენ გეტყვი, ბარგი აქვს ულევი!), ჰოდა, ზის ვეფხია სხვა მგზავრების დარად საკმაოდ დიდ ოთახში – "მოსაქუჩებელში" – და ელის, როდის მოუწოდებენ მგზავრებს თვითმფრინავში ჩასასხდომად...

გული მოლოდინით უჩქროლავს – ნუთუ გაივლის სულ მცირე დრო და სამშობლოსკენ გაფრინდება? ნუთუ საღამოსპირს წანწალაურიანთკარისკენ აღმართში მობღუილე ავტობუსიდან არაგვის დათოვლილ ხეობას გახედავს? თუ დიდთოვლობაა, იქნებ ავტობუსებიც არ დადიან... მაშინ ალბათ ნოდარისთან შინ მოუწევს მისვლა...

რაღაც ყველაფერი კარგად აეწყო დღეს და რამე უსიამოვნო მოულოდნელობა არ გამოტყვრეს...

ზის რბილ სავარძელში, – კარგი, ძალიან კარგი, ფრიად მოხერხებული სავარძელია, თანაც მყუდრო ადგილას... რომ შეიძლებოდეს, ცოტას გემრიელად წაიძინებდა კიდეც კაცი... ამდენი ქართული სახეები რა ხანია, არ უნახავს, ქართულად ხმამაღალი ყაყანიც კი არ აღიზიანებს...

აგერ გვერდზე, პაპიროსის ნამწვებით სავსე სანაგვე ურნა რომ დგას, ნუთუ ერთი თვეა, არ მოუვლიათ მისთვის? თანაც იქვე, ცოტა ზევით, კედელზე დაფაც კი მიუკრავთ წარწერით: "მოწევა სასტიკად აკრძალულია!"

რა თქმა უნდა, ამ წარწერისთვის ვეფხიას ყურადღება არ მიუქცევია, კოლოფიდან ერთი ღერი სიგარეტი ამოიღო და გააბოლა. გვერდით სავარძელში ვიღაც შუახნის ულვაშა მოკალათდა და ქართულად უთხრა:

– თუ ძმა ხარ, ერთი მეც მომაწევინე!.. გუშინ ჩემი დაბადების დღე იყო და კაპიკი არ შემრჩა. თბილისში თუ არ დამხვდნენ, ფეხით მომიწევს აეროპორტიდან შინ წაჩანჩალება...

ვეფხიამ გაუწოდა სიგარეტებიანი კოლოფი:

– რამდენიმე ამოიღე!

ულვაშა მხოლოდ ერთით დაკმაყოფილდა, მადლობა მოახსენა, გააბოლა, მერე კედლის წარწერაზე მიუთითა:

– ნახე, აგერ წერია, მოწევა აკრძალულია!

– მით უფრო გემრიელია! ეგ არაფერი, თუ რამეს გვეტყვიან, ჩავაქრობთ და ამით მორჩება ყველაფერი, – უპასუხა ვეფხიამ.

დაიმედებულმა ულვაშამ ხარბად მოქაჩა სიგარეტი.

როცა ვეფხია აპირებდა სიგარეტის ნამწვის გადაგდებას, უცებ თავს დაადგა ვიღაც დაბალ-დაბალი, სქელ-სქელი, უფერული შუახნის ქალი სამი ახალგაზრდა ქალიშვილის თანხლებით (ვეფხიას ერთი მათგანი საკმაოდ მოეწონა!). "პრიმა ბალერინა" კაცების წინ გაიჯგიმა, "კორდებალეტი" – სამი გოგო – იმის უკან სიმეტრიულად განლაგდა.

ხნიერმა წყალწყალა თვალები მიაპყრო კაცებს:

– თუ შეიძლება, თქვენი პასპორტები მანახვეთ!

– ჩვენი პასპორტები რად გინდათ? – უპასუხა ვეფხიამ, – ჩვენ უკვე გავიარეთ გაფრენის წინა რეგისტრაცია.

– არა უშავს, კიდევ საჭიროა, მაინც მანახვეთ! – დაჟინებით მოითხოვა ქალმა.

რაღა უნდა ექნათ, ვეფხიამ და ულვაშამ მიაწოდეს პასპორტები.

ქალმა გაიღიმა, მის თვალებში სიხარულის ცეცხლი აგიზგიზდა:

– ახლა კი გიჩვენებთ სეირს, ორივეს მოგხსნით რეისიდან! – ახარა კაცებს.

– რა მოხდა, რატომ? – შეიცხადეს გაოგნებულმა მგზავრებმა და ფეხზე წამოხტნენ.

– აგერ ადლიანი ასოებით რომ წერია, მოწევა აკრძალულიაო, თქვენზე კანონები არ ვრცელდება?

– შეგვიბრალეთ... მეტს აღარ ვიზამთ... არ ვიცოდით, გვაპატიეთ... – ალუღლუღდნენ გაფითრებული კაცები. – ძვირფასო, შეგვიწყალეთ, შინ ახლობლები გველიან... რა უნდა ვქნათ... აქ რა უნდა ვაკეთოთ...

– ეგ არაა ჩემი საქმე!..

გაიმართა იწილო-ბიწილო – მგზავრები ემუდარებოდნენ, ნუ დაგვღუპავთ, ბოდიშს ვიხდითო, მაგრამ ქალი ქვა და რკინა გამოდგა; პასპორტები ჯიბეში ჩაიდო და კაცებს საკმაოდ უხეშად ექაჩებოდა სახელოებზე, ნებით წამობრძანდით, თორემ ახლავე მილიციას დავუძახებო.

– 50-50 მანეთ ჯარიმას რომ გადაგახდევინებთ, მაშინ ისწავლით ჭკუას!

ნირწამხდარი ვეფხია მაინც ნაძალადევად იღიმება, თუმცა მისი ღიმილი და დათაფლული სიტყვები სრულიად ფუჭია; ქალის თანმხლებ ქალიშვილებსაც სახეების მაგივრად ყინულისგან გამოთლილი ნიღბები აქვთ...

რა უნდა ქნა, რა წყალში ჩავარდე!

– სამშობლო, სამშობლო, ჩემო ლა-მა-ზო-ო-ო!..

სასიამოვნო, ოდნავ ხრინწიანი მძლავრი ბანი დააგუგუნა მათთან მიახლოებულმა მთა კაცმა, გაშალა ხელები და ვეფხიას გადაეხვია.

ვეფხია ხომ მაღალი იყო, მისი ნაცნობი, ოთარ ორშაურაშვილაძე, – თითქმის ერთი თავით უმაღლესი. ფართო, შავმა ულვაშებმა, ვაჟკაცურმა გარეგნობამ, ლამაზად შეჭაღარავებულმა, ტალღოვანმა, ხშირმა თმამ და მოხდენილმა მიხრა-მოხრამ მგზავრებთან მოჭიდავე ქალიც კი შეაჩერა წუთით – შეწყვიტა ჯიკავი და, მოხიბლული, გოლიათს მიაჩერდა; რაღა ითქმის სამ ქალიშვილზე – თვალებად ქცეული "კორდებალეტი" ადგილზე გაშეშდა...

ოთარ ორშაურაშვილაძეს ვეფხია თავისი "კინომსახიობობის" დროს რამდენჯერმე შეხვედრია, უმთავრესად – სუფრაზე. ოთარი სადღაც კაი ფულიან ადგილზე მუშაობდა, – ვეფხიას ზუსტად აღარ ახსოვდა, სად, – ფურნეში თუ ბენზინის ჩამომსხმელ სადგურში "წილი" ჰქონდა; ამავე დროს, პოეტობდა, საკმაოდ ხშირად აქვეყნებდა თავის ლექსებს რაიონულ გაზეთებში. თითო-ოროლა ლექსი რესპუბლიკურ ჟურნალებშიც დაუბეჭდეს დიდი ჯახირით, მერე ერთი თხელ-თხელი კრებულის გამოცემაც მოახერხა რამდენიმე წლის წინათ. იმის შემდეგ ლექსებს ჟურნალებში რატომღაც აღარ უბეჭდავდნენ, რითაც ოთარი ძლიერ განაწყენებული იყო და გაკვირვებულიც – ეგონა, ახლა უკეთეს ლექსებს ვწერო... ფული ყოველთვის ჰქონდა და ნაცნობ-მეგობრებთან უხვად ხარჯავდა კიდეც – იშვიათად ნახავდი ფხიზელს...

– ძმობილო! – ოთარი ყველას, განურჩევლად ასაკისა, სქესისა და სოციალური წარმოშობისა, "ძმობილოს" უწოდებდა, – რა ქარმა გადმოგაგდო აქეთ?.. ამ ჯოჯოხეთის მაშხალას რაღა უნდა?

– აქამდე ჩემს დანჯღრეულ რუსულს ყველას ვაგებინებდი და ამ შობელძაღლს ვერაფერი შევასმინე! – გაშალა ცალი ხელი ვეფხიამ, მეორეში ქალი ისევ ჩაფრენოდა. – ვეუბნები, ჯიბეში გზის ფულის, რამდენიმე საცოდავი მანეთის მეტი არაფერი შემრჩა-მეთქი, მაგას კი დაუჟინია, რეისიდან მოგხსნით და ხუთი თუმნით დაგაჯარიმებთო...

– როგორ მოხდა, არ ვიცი და პირველი შემთხვევაა ჩემს პრაქტიკაში, რომ მოსკოვიდან ვბრუნდებოდე და ჯიბეში ფული შემრჩენოდეს... – ოთარი ნელ-ნელა, სვენებ-სვენებით ლაპარაკობდა, ეტყობა, კარგად იყო შემთვრალი, მაგრამ გარეგნულად არ იმჩნევდა. – მართალი გითხრა, არ ვიცი, რამდენი... ძმობილო, შენ რომ დაგინახე, ვიფიქრე, შევალთ აგერ რესტორანში და თვითმფრინავში ჩასხდომამდე ცოტას ვიჭუკჭუკებთ-მეთქი... იქნებ ოც მანეთს დასჯერდეს?.. დანარჩენი დავამღეროთ... მოსკოვში ჩემი წიგნი გამოდის, ჰონორარიდან შემრჩა...

ვეფხიას რომ ოთარი ფხიზელი შეხვედროდა, ისე არ გაუკვირდებოდა, როგორც მისი წიგნის მოსკოვში გამოცემა, თუმცა, ახლა სხვა რამ უფრო აღელვებდა.

– აგერ მეორე ქართველი რომაა კიდევ უკაპიკოდ? მაგის დაჯარიმებასაც აპირებენ, – მიუთითა ვეფხიამ ულვაშაზე. – რა ვქნათ, დავტოვოთ აქ ყვავ-ყორნის საჯიჯგნად?

ოთარი ორ კაცს ჩაფრენილ ქალს მიუბრუნდა:

– ძვირფასო, შენ ყველაზე უკეთესი ხარ ამ ქვეყანაზე! ეს ორი ვაჟკაცი ქვეყნის დამქცევი ხომ არ არის, გზაზე დგანან, შეიბრალე...

ქალი მაინც ვერ დაითანხმა:

– თქვენ რომ აქ ეწევით, ჩვენ უფროსი პრემიას გვიხსნის. ასი მანეთი მაქვს ხელფასი და მეც მინდა ადამიანური ცხოვრება!

ოთარმა ახლა მეორე მხრიდან მოუარა:

– გასაგებია, ჯარიმიდან თქვენ პროცენტები გერგებათ... დიდი არაფერი იქნება, ხომ ასეა? აჰა თქვენ ოცი მანეთი და ამ კეთილ ხალხს ნუ დააგვიანებთ თვითმფრინავზე, მეგობრულად დავშორდეთ ერთმანეთს!

– მილიცია! – უცებ აკივლდა ქალი და ახლა ოთარს ჩააფრინდა მკლავში, – ჩემი მოქრთამვა უნდათ! აგერ მყავს მოწმეები!

ოთარი უცებ გამოფხიზლდა, ვეფხია და ულვაშაც გაშრნენ მოულოდნელობისგან.

– ძვირფასო! – ოთარი, მთასავით კაცი, წელში თითქმის ორად მოიხარა და მხრებზე ხელი მოხვია ქალს, – ლამაზო!.. ოქრო!.. როგორც კი დაგინახე, მაშინვე მივხვდი, გულიც ოქროსი ექნება-მეთქი! ხომ არ შევმცდარვარ?!.

ქალი ახლა ოთარსაც ექაჩებოდა, რეისიდან შენც მოგხსნი, მოხსნასაც არ გაკმარებ და შენს თავს დავაჭერინებო...

სამმა მამაკაცმა ანგელოზის მოთმინება გამოიჩინა. ქალს წრიულად შემოერტყნენ და იმდენ ხანს ეფერნენ მას, სანამ არ მოტეხეს – რეისიდან მოხსნა გადაათქმევინეს. ახლა ჯარიმის თანხაზე იდავეს. სამივემ გადმოაბრუნა ჯიბეები და, როცა ქალი დარწმუნდა, მართლაც ქესატად იყვნენ (ოთარს აღმოაჩნდა ორმოცდაათი მანეთი), ორი ოცდახუთ-ოიცდახუთმანეთიანი ჯარიმის აქტი გააფორმა.

ეგონათ, გადავრჩითო, თურმე მთავარი საწვალებელი წინ ელოდათ.

დაჯარიმების აქტებზე საჭირო იყო ხუთი თუ ექვსი ხელმოწერა – მთავარი ბრიგადირისა და კიდევ ვიღაც-ვიღაცეებისა... ყველასთან რიგი იდგა განერვიულებული მოქალაქეებისა, ყველგან საჭირო იყო, ორად მოკაკვულიყავი და სამად მოხრილიყავი, მათხოვრად გადაქცეულიყავი, აგეხსნა ერთისთვის, მეორისთვის, მეათისთვის, რომ თვითმფრინავის გაფრენამდე სულ ნახევარი საათი დარჩა და... მოგესმინა რიგში მდგომთა ირონიული შეძახილებიც, მუქარაც "ურიგოდ გამძვრალ თავხედთა" მიმართ... ისევ ვეფხიას ზოგან – ღიმილი და ხუმრობა, ზოგან – მართლაც უბოდიშო გარღვევა რიგისა და... საოცნებო მაგიდასთან მიღწევისას, მუდარით შეღაღადება:

– ჯარიმა მაქვს გადასახდელი, ძალიან ვჩქარობ, თვითმფრინავი სადაცაა აფრინდება, ღვთის გულისთვის, ჩქარა მომიწერეთ ხელი!

მთხოვნელს ეჭვით გიყურებენ, მოითხოვენ დაწვრილებით მოყვე ყველაფერი და აუღელვებლად, მოწყენითაც კი გისმენენ...

როგორც იქნა, ბოლო ხელმოწერაც მოპოვებულია, გარბიხარ ბოლო სარკმლისკენ, აწვდი ფულს და მოუთმენლად თითქმის უყვირი:

– ურიგოდ გამატარეთ, ჯარიმას ვიხდი, თუ ღმერთი გწამთ, ჩქარა აიღეთ ფული!..

როგორც იქნა!

ვეფხია და ულვაშა გარბიან საფრენ მოედანზე გასასვლელისკენ (ოთარი ალბათ უკვე თვითმფრინავში ზის). იქ კარი ჩაუკეტავს გოგონას და მისეულ ხალხს აშოშმინებს:

– თბილისის რეისზე დამთავრებულია ჩასხდომა, აღარავის გაგიშვებთ!

ერთი ვიღაც ჩიკორა, სხარტი ქართველი ქალიშვილს რქებით აწვება – ოცდაათ მანეთს გაძლევ და მეტი რაღა გინდა, გამიშვიო.

გოგონა უარზეა.

ყაყანი, ჯიკავი, მიწევ-მოწევა, ცხარე კამათი...

– შემდეგი რეისით, შემდეგი რეისით! – იჭაჭება გოგონა, იგერიებს ხალხს.

ულვაშამ ხელი ჩაიქნია და მოსაცდელ დარბაზში ისევ იმ სკამზე დაეშვა, სიგარეტების ნამწვებით სავსე ურნასთან რომ იდგა. იქნებ იმიტომ, რათა სხვა ბედოვლათი გაეფრთხილებინა, ამ სავსე ურნას ნუ უყურებ, მისატყუარია, ხაფანგია დაგებული, – აქ მოწევას ცუდი შედეგი მოსდევსო.

კართან ხალხი ნელ-ნელა შეთხელდა.

ვეფხიამ იღლიაში ამოჩრილ ტკბილეულობის ორ კოლოფს დახედა, გაიღიმა (რაც იქნება, იქნება!) და გამშვებ გოგონასთან მიიჭრა:

– ძვირფასო, უდანოდ ნუ დამკლავ, შინ მიმეჩქარება! გთხოვთ, უარს ნუ მეტყვით! – ერთი კოლოფი თითქმის ძალით ჩასჩარა ხელში, – იქნებ მივასწრო ჩემს თვითმფრინავს... ხომ გამიშვებ?!.

გოგონამ, შეტევისგან დაბნეულმა თუ კოლოფის ლამაზი ნახატით მოხიბლულმა, კარი ოდნავ გამოაღო...

ვეფხიამ ხელი შეაშველა, კიდევ უფრო გამოსწია კარი და გარეთ გავარდა, ცივი ჰაერი შეეფეთა.

სულ დაავიწყდა, რომ ამბერკის ფეხსაცმელი უღვთოდ აკოჭლებდა და საოცარი სისწრაფით მიაშურა თბილისის თვითმფრინავს.

უკვე ტრაპის მოცილებას აპირებდნენ.

აქოშინებული ვეფხია მივარდა ფორმიან ქალს, რომელიც წინ გადაუდგა, მეორე, დარჩენილი ტკბილეულის კოლოფი მოწიწებით მიართვა:

– ეს თქვენ!.. – და მუდარით მიაჩერდა, თან ბილეთი გაუწოდა.

მოხდა სასწაული.

– ერთი წუთით, ახლავე! – ქალმა დაუძახა ტრაპის გამომცლელებს, მერე ვეფხიას ტრაპისკენ წაუჯიკავა: – აბა, ცოცხლად!

ვეფხიამ უკან გამოართვა ბილეთი, ფაცხაფუცხით აირბინა ზევით; ქალი დინჯად ელოდა ქვევით. ვეფხია გაღებულ კარში შევიდა და ტრაპიც ნელ-ნელა დაიძრა მოსაცილებლად, კარი დაიხურა.

თვითმფრინავმა ერთხანს იგუგუნა, მერე ნარნარად დაიძრა ადგილიდან.

ჩანჩქერი XXIX. ხუმრობა იქით იყოს და, ძალიან შორს ხომ არ შევტოპე?

...""ცხოვრების ხარისხი" – ბურჟუაზიული კონცეფციების კრიტიკული ანალიზი", – აი, რას ეძღვნება, ჩემო კარგო, საერთაშორისო კონგრესის სხდომები. შენ ფილოსოფოსი არ ხარ? მერე რა, დიდი ამბავი, რაც მთავარია, შესვენების დროს გემრიელ რაღაცეებს გამოიტანენ და იქ უნდა არ დაახანო!.. – ეუბნება ვეფხიას ქუჩაში შემთხვევით შეხვედრილი შორეული ნათესავი (მოსკოვში ვის არ შეხვდები!). – სხდომებზე ლაქლაქებენ, გაზეთებს კითხულობენ... უმრავლესობა სულაც არ ესწრება – მუზეუმებში დარბიან, მაღაზიებში დაძრწიან სიებით ხელში... დარბაზში მყოფნი კი გულის ფანცქალით ზარის დარეკვას ელიან და შესვენება გამოცხადდება თუ არა, მაშინვე, ველური მუსტანგების გაგიჟებულ რემასავით, ყიჟინით აიწყვეტენ და სკამების რახუნით, ერთმანეთის ჯიკავით, მუჯლუგუნების გამასპინძლებით და, ზოგჯერ ჭიდაობის ილეთების აშკარა გამოყენებითაც, გარბიან გაშლილი სუფრებისკენ... წამო, არ გინდა, ცირკი ნახო?

ვეფხია ყაბულსაა, მით უმეტეს, კარგა ხანია, გემრიელად არ უჭამია; ახლაც გულზე უცინცილებს...

გოლამ (ასე ერქვა ნათესავს) გაუკეთა თავისი სამკერდე ნიშანი კონგრესის მონაწილისა და ასე და ამრიგად ბატონი ვეფხია წანწალაური ინტელექტუალური ელიტის ღრმააზროვანი მსჯელობებისა და კონცეფციათა ჭიდილის მოწმე გახდა. მართალია, მათ გემო ვერ გაუგო, სამაგიეროდ, გოლას ანონსით შეპირებულ სანახაობას ელოდა...

და ჭეშმარიტად, მისი მოლოდინი გამართლდა!

შესვენების გამოცხადებისას ორი მეგობარი დარბაისლურად წამოვიდა, რათა ისინი არ გადაეთქერა ადგილიდან მოწყვეტილი და საბანკეტო დარბაზისკენ სირბილით გაჭრილი პატივცემული მეცნიერ-დელეგატების ბრბოს შმაგ მდინარებას. ვეფხიას უკვირდა, რამ გააგიჟა ეს ხალხიო; მხოლოდ დარბაზში როცა შევიდნენ, მთელი საჭმელ-სასმელი დატაცებული რომ დახვდათ, მიხვდა, თვითონაც თავიდანვე უნდა ეჩქარათ...

– რატომ არ გამოვიქეცით ჩვენც სხვებივით? – უსაყვედურა გოლას.

– დაგპირდი – ცირკი ხომ უნდა გენახა! ცოცხალი ილუსტრაციაა ჩვენი კონგრესის თემისა...

იდგნენ ხელმოცარულნი კედელთან – მშივრები, დაბნეულნი; თან ეცინებოდათ კიდეც თავიანთ უხერხემლობაზე თუ მეცნიერ მოღვაწეთა ბაზრულ ქცევაზე...

გამოჩნდა ენერგიული, გულისხმიერი ოფიციანტი ქალი, თანაგრძნობით შეხედა მათ:

– აი, თქვე დოყლაპიებო, წამომყევით!..

თან წაიყვანა ბუფეტში, გამოატანა თეფშებით რაღაც-რაღაცეები და ერთი ბოთლი დიდებული ქართული ღვინოც – "ტიბაანი"!

გახარებულებმა და გახალისებულებმა, სხვებივით ფეხდგომელა ჩამოასხეს ჭიქებში ღვინო, დალოცეს მათი მშველელი ქალი, მოიქნიეს ყბა... და მეორედ რომ აპირებდნენ ჭიქების შევსებას, სადღაა მათი ბოთლი!.. ვიღაცამ აწაპნა!..

– დასწყევლოს ეშმაკმა, მივქარეთ – ხელი არ უნდა გაგვეშვა!..

სიზმარში ამ ამბავს იხსენებს ვეფხია (გუშინ იყო ეს ისტორიული მოვლენა და უკვე თითქოს ერთი წელი გავიდა!); რეაქტიული ლაინერი თანაბრად მიგუგუნებს, მიგუგუნებს... ვეფხია კი ძილს მისცემია – ორი ღამის გატეხას უკვალოდ არ ჩაუვლია. ახლა იღიმება – ამჯერად ალბათ

კეთილ სიზმარს აუტაცია პეპლის ხატულა ფრთებით მომავლის ოცნებებში, ღმერთმა ყველა აუხდინოს!

მე კი, ჩემო მკითხველო, თავს ნებას მივცემ, თუ არ მოგაბეზრე თავი უცნაური ნახტომებით, ერთხელაც გადავხტე – რამდენიმე წლით წინ – და კონსპექტურად მოგახსენოთ ბატონ ვეფხია წანწალაურის მომავალი, ჩემს მიერ წარმოდგენილ-გააზრებული...

მაშ ასე.

...იბორგა, იბორგა წანწალაურიანთკარში ვეფხია ბატონმა, მოიწყინა, ვერ დაეტია მთის უბეში შეყუჟულ ორბის ამ პატარა ბუდეში... კინოში ნამოღვაწარმა, მოსკოვ-ქალაქში ნაგრიალებმა და იქ მსოფლიო გამოჩენილ მეცნიერთა კონგრესზე გამოთქმულ ბრძნულ აზრებს ნაზიარებმა, იწყინა, რომ ვერ სცნობდნენ სხვაგან, არცთუ შორს მდებარე სოფლებშიც კი! როგორია, ჰა? როცა ვინმეს ჰკითხავდა, ვეფხია წანწალაურს თუ იცნობ ან მისი სახელი თუ გაგიგონიაო, ერთი უპასუხებდა, ეგ რომელია, ამას წინათ ნადირას ქორწილში რომ გალახესო? მეორე: მარცხენა ხელზე ექვსი თითი რომ აქვსო?.. და ასე შემდეგ... გაბრაზდები ხელოვანი კაცი, აბა რა! თითქმის ნახევარმა მოსკოვმა და მთელმა თბილისმა გაიცნო და აგერ, გვერდით სოფელში არავინ სცნობს?!.

ბევრი რომ არ გავაჯანჯლო, როგორც მოგახსენეთ, გაბრაზდა, დააღირა თავი და დედაბუდიანად თბილისს გადმოსახლდა. დედაქალაქში ყოფილ კინოვარსკვლავს უბრალო სამუშაოს ხომ ვერ შეჰკადრებდნენ, არადა, განათლება ბევრი არაფერი ჰქონდა, ვერც ცხვრის ფარა უშოვეს თბილისში სამწყემსად... რა ექნათ? აი, რა – ერთ-ერთ საწარმოში პროფკავშირის კომიტეტის განთავისუფლებულ თავმჯდომარედ გაამწესეს.

სასიკეთოდ დაეტყო საქმეს ვეფხია წანწალაურის "არჩევა" ამ საპატიო თანამდებობაზე – ფრიად გახშირდა ქალაქგარეთი ექსკურსიები: ჩარგალში, ანანურში, ქვათახევში, უფლისციხეში, ატენში, ყინწვისში, ერთაწმინდაში... გამოადგა ფრიად ძველი გამოცდილება! ოღონდ ეს კია – არც ერთი ექსკურსია რატომღაც აქვე, მცხეთასთან მდებარე არაგვისპირა ჭალას არ გასცილებია! სამაგიეროდ, იქ ქეიფი იმართებოდა სანაქებო – ღვინითა ქარვისფერითა თუ ლალისფერითა და მწვადებითა ცვრიანებითა... მერე იწერებოდა აქტები, რომ პროფკავშირმა თანამშრომელთათვის შეიძინა კულტურული დასვენებისთვის საჭირო და აუცილებელი მოწყობილობა-თვალსაჩინოებანი და სპორტული ინვენტარი...

ბატონ ვეფხოს უკვე ღიპიკოც შეჰპარვია, ლომის ფაფარი სანახევროდ გასცვენია და ალაგ – მელოტიც უბზინავს... ხასიათით კი ისევ ის ძველი ვეფხიაა!

...ხუმრობა იქით იყოს და, ძალიან შორს ხომ არ შევტოპე?

აგერ თვითმფრინავი უკვე თბილისს დაბზუის თავზე, უფრო სწორედ, გადაუგრიალებს, მერე ძირს ეშვება და რბილად გაგორდება დასაჯდომ ზოლზე...

ჩვენი ამბავიც ასევე რბილად და მშვიდობით, კეთილად მიგორავს დასასრულისკენ...

ვეფხიას კი ისევ ძინავს!..

მხოლოდ როცა ძრავები შეწყვეტენ გუგუნს, რაღაც ახალი, უჩვეულო მდგომარეობა აღვიძებს ბატონ ვეფხიას და თვალებდაჭყეტილი უყურებს წასასვლელად აფუსფუსებულ მგზავრებს.

ჩანჩქერი XXX (და უკანასკნელი). mami ko Camo vi da!

ეს უკანასკნელი, ოცდამეათე კარი ანუ ჩანჩქერი მეტად მოკლე გამომივიდა – კუდმოჭრილი, ყურებშეკრეჭილი, გინდაც – მოკუნტული ან ჩაჩოქილი უწოდეთ (მეტი არ ვიცი, რას შევადარო; თუ არ გეზარებათ, თვით განაგრძეთ!), – იმდენად დაბნეული ვარ... არ მიყვარს ამბის ცუდად დამთავრება და, თუ გინდა, მომკალი! ოღონდ, თუ დამიჯერებთ, ვეფხია ჩემზე დაბნეულია...

დიახ, დასკვნითი აკორდი არ გამომდის მაჟორული.

ისღა დამრჩენია, ჩვენი გმირის შინ მშვიდობით დაბრუნების ამბავი მოგახსენოთ.

მანქანით ვეფხიამ სოფლამდე ვერ მიაღწია – ხუთი კილომეტრის ფეხით დაურჩა გასავლელი მუხლამდე თოვლში.

ერთგან გზიდან გადაუხვია, – მოკლეზე გადავალო, იფიქრა, უფრო კი ამბერკის ვიწრო ფეხსაცმელებმა აფიქრებინა.

ხვავრიელად თოვდა, სიბნელე ჩამოწვა და ისე მოხდა, რომ ვეფხიამ მიმართულება მთლად ზუსტად ვერ განსაზღვრა (აქ განზოგადებას ან სიმბოლოს ნუ იგულისხმებთ, ნუ იფიქრებთ – ცხოვრების გზის გამრუდებაზე მიანიშნებს ავტორიო!). მოკლედ რომ მოვჭრათ, ვეფხიამ მოკლეზე ვერ მოჭრა გზა, პირიქით, გაუგრძელდა კიდეც და ბარე ათი კილომეტრი გაიარა (სამწუხაროდ, ზოგან ფორთხვაც მოუწია); ერთი სამჯერ ფეხიც დაუცურდა და დაგორდა კიდეც ფერდობზე...

როცა ოფლად გახვითქულმა ვეფხიამ სახლის კარი შეაღო, სითბომ დაუარა ძვალ-რბილში... მხოლოდ იმიტომ არა, რომ გახურებული ღუმელი გუგუნებდა, – ღუმელთან მიფიცხებულ ნატოსა და ლადოს მიაჩერდა, კარის მოხურვაც კი დაავიწყდა.

ბავშვებიც უყურებდნენ ახალმოსულს; ჯერ ვერ იცნეს თოვლში ამოგანგლული, ქუდჩამოფ-ხატული ვეფხია, შემდეგ ყიჟინით წამოცვივდნენ და მამისკენ გაექანნენ...

– მამიკო მოვიდა, მამიკო მოვიდა!

ვეფხიამ მკერდში ჩაიკრა შვილები, ხელები მაგრად მოხვია და ორივენი ჰაერში აიტაცა; შემდეგ ძირს დასვა და უნებურად ჯიბისკენ იტაცა ხელი... მერე მეორე ჯიბეშიც მოაფათურა, სხვაგანაც...

ბოლოს, როგორც იქნა, აღმოაჩინა ორი ცალი კოწახურის კანფეტი, თვითმფრინავში რომ მისცეს და ერთი ნატოს გაუწოდა, მეორე – ლადოს...

1988

მოიტაცეს თავისუფლების ქანდაკება

რომანი-პამფლეტი

ვფიცავ: ვილაპარაკო მხოლოდ სიმართლე, სრული ჭეშმარიტება და არაფერი სინამდვილის გარდა!

ავტორი საყოველთაოდ აცხადებს, რომ თუკი ვინმეს ზოგიერთი პერსონაჟის სახელი, ქცევა ან აზრები ეცნაურება, შეიძლება, დარწმუნებული ბრძანდებოდეს, რომ სწორედ მასზეა საუბარი და არავითარ შემთხვევითობას ბრალი არ მიუძღვის – მხოლოდ ავტორს.

კარი I. ცხოვრების კალეიდოსკოპი

როგორ გინდა, თუნდაც ყველაზე პატარა ქვეყნის ყველაზე პატარა ქალაქის ყოვლისმომცველი სურათი შექმნა? ყოველ წუთს, ყოველ წამს უთვალავი მოვლენა იბადება, ახალი ფეხს იდგამს, ძველი იხრწნება და ილევა... ყველაფერი ყურადსაღები ფიქსაციისა და გააზრების ობიექტი ხდება: მრავალზე მრავალი წიგნი იწერება, სიმღერა ითხზვება, რეჟისორები მეგაფონებში ბრძანებებს ჩასძახიან, ოპერატორები აპარატებს ახმიანებენ; მრავალი და მრავალი ტვინის მილიარდობით ტრილიონ უჯრედში აზროვნების რეაქციები ბიოდენებს წარმოშობენ – ნააზრევი გადადის ქაღალდზე, ფოტო, კინო და მაგნიტურ ფირზე, ტილოზე, წარმოითქმის მიკროფონებთან, უწყვეტ ნაკადად მიედინება გაზეთების ფურცლებზე; ათი ათასობით ფანქარი, კალამი, საბეჭდი მანქანა მუქ კვალს ტოვებს თეთრ ფურცლებზე... და მაინც შედარებით სრული სურათის შესაქმნელად იმდენი ტომი დაიწერებოდა მშრალი სტატისტიკური ცხრილებისა, სამეცნიერო გამოკვლევებისა თუ მხატვრული პროზისა, რომ ერთ დღეში მომხდარის აღწერა წასაკითხად ეყოფოდა ადამიანის მოდგმას ცივილიზაციის დასასრულამდე...

მართლაც და, რომ გაიფიქრო, მხოლოდ დოლარეთში რამდენი რამ ხდება... ბეტონის ფართო ავტოსტრადებზე განუწყვეტლივ მისრიალებენ ავტომანქანები (ასი ათასი მანქანიდან ერთი ყოველ წუთს ავარიას განიცდის); ლიანდაგებზე მიგორავენ ვაგონები – ტრამვაის, რკინიგზის, საბვეის, მონორელსის, მაღაროს ტრანსპორტის, საარტილერიო და სარაკეტო ბუნკერების მიმწოდებელი ვაგონები (ყოველი ორასი ათასი ვაგონიდან ერთი რელსებს ასცდება და...); მილიონობით ადამიანი ირევა ქუჩებში, საქმიანობს მინდვრებში, ახმიანებს დაზგა-დანადგარებს; ან ზის რესტორან-კაფეებში, კინოთეატრებში, ტელევიზორების წინ, საკანცელარიო მაგიდებთან, პარკებში... სხედან იმიტომ, რომ შეისწავლონ, გამოიყენონ, დაისვენონ, დანაყრდნენ, გაერთონ, მოიფიქრონ, გადაწყვიტონ; მათ გარშემო კი დანარჩენნი გაფაციცებით უკვე პრაქტიკულად საქმიანობენ – მილიონობით საუბარი ინასკვება ერთმანეთში, მოძრაობა და მოძრაობაა ყველგან... ჭიანჭველების აფორიაქებულ ბუდეებს ჰგავს ქალაქები, მზის სხივებს ხარბად ეფიცხებიან მწვანე მინდვრები და ტყეები, ცისფერი ტბები და მდინარეები, ადამიანნი, ცხოველნი, თევზნი, ფრინველნი და ყოველი სულდგმული – ფუსფუსი და სიცოცხლის დუღილია ყველგან... უხილავი ჯაჭვები და ქსელები გაბმულა მილიონობით ადამიანთა ურთიერთ შორის – ნაცნობობის, მეგობრობის, ნათესაობის, სიყვარულის, მტრობის, სიყვარულის, შიშის, უნდობლობის... საქმიანი, აუცილებელი, გასართობი, მუდმივი, ცვალებადი, მზარდი, კლებადი, მნიშვნელოვანი, უმნიშვნელო, უცაბედი, შემთხვევითი, აწონილ-დაწონილი, ფოლადივით მტკიცე და ობობას ქსელივით დახლართული...

ყველაფერი ყოველ წამს კალეიდოსკოპურად იცვლება, ჩვენ კი გვეჩვენება, რომ მონოტონურობით დამყაყებულ ყოველდღიურობას გონებრივი და ფიზიკური დაქვეითებისკენ მივყავართ.

ზოგჯერ კი დრო თითქოს ყალყზე დგას, მოულოდნელი და ცხარე მოვლენები ცდილობენ, ჩვეული უნაგირიდან ჩამოგაგდონ და, თუ ყოჩაღად არ იქნები, შესაძლოა, კისერიც მოიტეხო.

კარი II. გავერნორის ვილაში რაღაც სამზადისია...

ჩვენთვის არ აქვს დიდი მნიშვნელობა, სად მდებარეობს ნიუ იორკის შტატის გავერნორის ჩარლზ ვილიამ სლამპის ქალაქგარე ვილა – ტექსასში, კოპწია რანჩოს შუაში; კალიფორნიაში, ფორთოხლის ბაღით გარშემორტყმული; აიოვაში, სიმინდის ყანებში, თუ ფლორიდაში, ტროპიკუ-

ლი მცენარეულობის მწვანე ზღვაში ჩაფლული და პატრონი საღამოობით, ჰამაკში ნებიერად გაწოლილი, წამდაუწუმ ირტყამს ხელისგულს კისერზე, – ტკაც! – აბეზარ მოსკიტებს არ ახარებს... მაგრამ სიზუსტისთვის ვიტყვი, რომ ვილა მდებარეობს ლონგ აილენდის ჩრდილო ნაწილში, მით უმეტეს, რომ ნიუ იორკიც აქედან არც ისე შორსაა. არც იმას აქვს დიდი მნიშვნელობა, ეს 17 მილიონ 523 ათასდოლარიანი ვილა მავრული, ძველფრანგული, ჩინური თუ კოლონიური სტილითაა ნაგები. თუ ძალიან გაინტერესებთ, მოგახსენებთ, რომ მისტერ სლამპის ამჟამინდელი ქალაქგარეთი სასახლე ოთხ საუკუნეზე მეტ ხანს იდგა ბებერი ევროპის აპენინის ნახევარკუნძულზე, შემდეგ კი, თითო-თითო ქვად დაშლილმა, გადმოსერა ატლანტის ოკეანე და აღორძინდა ამ დიდებულ მამულში. გარეგნულად XVI საუკუნის იტალიური პალაცოს იერი შეინარჩუნა, შიგნით კი XXI საუკუნის გაფორმებას ვიხილავთ; მთელი შენობა აღჭურვილია უახლესი ხანძარსაწინააღმდეგო და დაცვის სისტემებით, ხუთ საძინებელ ოთახს ჭერში ყველას აქვს ფერადი ტელევიზორი, ორ სამზარეულოს – თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამისი დანადგარები; ძაღლებიც კი კონდიციონერებიან პერსონალურ ბუდრუგანებში ნებივრობენ... სასახლის გარშემო გაშენებულ ძველ პარკს ხე-ბუჩქთა თუ ყვავილთა მრავალფეროვნებით თამამად შეიძლება ვუწოდოთ ბოტანიკური ბაღი! სულ რამდენიმე წელს ითვლის მშვენივრად მოწყობილი ბეტონის მიწისქვეშა თავშესაფარი, დასაჯდომი მოედანი ვერტმფრენებისთვის, გარაჟები, საჯინიბოები ჯიშიანი ცხენებისთვის, მარმარილოთი მოპირკეთებული ღია და გადახურული საცურავი აუზები... ზღაპრებში აღწერილთ ჩვენი (უფრო სწორედ – მისტერ სლამპის) სასახლე იმით ემსგავსება, რომ ძნელად თუ შესძლებთ ყოველივე ამის ხილვას: დღისითა და ღამით მამულის მაღალ ღობეს ყოველი მხრიდან იცავს მრავალრიცხოვანი დაცვა, ხოლო მოსამსახურე პერსონალი მეტია, ვიდრე ბრიტანეთის სამეფო კარზე.

რაც მთავარია, მარტის მშვენიერი საღამოა და აქ გამორჩეული წვეულებისთვის ემზადებიან. არა, ამჯერად არ უნდა იყოს არც გრანდიოზული მეჯლისი, არც კოქტეილ პარტი; უფრო საღამოს ინტიმურ შეხვედრას ჰგავს, რადგან რატომღაც არსად ჩანს და ახლომახლო არც გვეგულება შუახნის სიმპათიური, ენერგიული კაცი, რომელსაც დაკისრებული აქვს პრესასა და საზოგადოებრიობასთან გავერნორ სლამპის ურთიერთობა.

ათამდე დეტექტივი და კორესპონდენტი კი დაბორიალობდა ღობესთან, მაგრამ როგორც კი მეტისმეტად მიუახლოვდნენ მას, ავტომატურად აინთო პროჟექტორები და რამდენიმე წუთში გამოცხადდა პოლიციის პატრული. ცნობისმოყვარე ფათერაკის მაძიებელნი იძულებულნი გახდნენ, მაშინვე გასცლოდნენ იმ არემარეს, თუ არ უნდოდათ, საბუთების გასინჯვის გარდა, უფრო დიდ უსიამოვნებას გადაჰყროდნენ.

ჩვენ მაინც მოვახერხოთ და შევიხედოთ სასახლის სასტუმრო დარბაზში – უკვე საღამოს ბინდი მოიპარება და იგი გაჩირაღდნებულია, თითქოს კინოგადაღებისთვის ემზადებიან. კინოგადაღებაზე რა მოგახსენოთ და, თუ არ ვცდები, ვილაში, ჭამა-სმის გარდა, სხვა, დიდად მნიშვნელოვანი ამბები უნდა მოხდეს...

კარი III. რომ იცოდე, ჩემო ლორდო, რა სტუმრები გეყოლება!

გავამხელ საიდუმლოს: დღეს სადღესასწაულო თარიღია – მისტერ სლამპის ქალიშვილის, მის ლილის, საყვარელ ძაღლს, სახელად ლორდს, შეუსრულდა ზუსტად ათი წელი! და, რასაკვირველია, ეს დღე უნდა შესაბამისად აღინიშნოს! ტყუილად კი არ ისმის სასტუმრო დარბაზის მიმდებარე ერთ-ერთი დარბაზიდან ცუგას მხიარული ყეფა: ზუსტად აქ ლორდი აპირებს გულუხვად გაუმასპინძლდეს თავის ოთხფეხა სტუმრებს (ორფეხა სტუმრები, მათი პატრონები, სასადილო დარბაზში შემოუსხდებიან გრძელ მაგიდას). ძალაუნებურად თავი უნდა შევიკავო მდიდრული დარბაზის დაწვრილებით აღწერისგან, რადგან მხოლოდ უნიკალური სილამაზის ჭაღის დასასიათებაც კი კარგა დიდ დროს წაგვართმევს; იმას კი აუცილებლად აღვნიშნავ, რომ აქ კედლებს ამშვენებს რამდენიმე ათეული სურათი, რომლებზეც სახელგანთქმული წმინდა სისხლის ჯიშიანი ცხენებია გამოსახული, რა თქმა უნდა, ცნობილი მხატვრების ყალმით შესრულებული. ჰარმონიას ერთგვარად არღვევს რამდენიმე აბსტრაქტული ნამუშევარი (რომლებშიც, სხვათა შორის, გვარიანი თანხა გადაიხადეს), ასევე – იუბილარის, ლორდის, სულ ახლახან ძაღლთა სურათებზე დაოსტატებული ერთ-ერთი მხატვრის მიერ საგანგებო შეკვეთით შესრულებული შესანიშნავი პორტრეტი.

აი, ლილიც – მისტერ სლამპის 20 წლის ქალიშვილი, თეთრმაქმანებიან მდიდრულ კაბაში გამოწყობილი – ცეკვა-ცეკვით მივიდა ფანჯრებთან და ჩამოუშვა ფარდები, შემდეგ მიტრიალდა ედნასკენ:

– დედა, ლორდი გამოწყობილია?

ედნა საღამოს ცისფერ კაბაშია გამოწყობილი, ჯერ კიდევ აცხადებს პრეტენზიას მომხიბვლელობასა და ახალგაზრდულ უშუალობაზე, შვილს პასუხობს:

– მატილდას ჰკითხე, წეღან პარკში ასეირნებდა.

სწორედ ამ დროს შემოვიდა დარბაზში ახალგაზრდა ზანგი მოახლე მატილდა, უკან მოჰ-ყვებოდა მოკლე ძეწკვით გამობმული ლორდი და მეორე მოახლე, ისიც ახალგაზრდა ზანგი – რუთი.

– მატილდა, სად იყავით აქამდე? ხომ იცით, დღეს ლორდის დაბადების დღეა, სტუმრებსაც ველით. იატაკზე ფეხშიშველს რად ატარებთ? არ გაცივდეს! – უსაყვედურა ლილიმ, მივარდა ძაღლს, აიყვანა ხელში და დაჰკოცნა.

– მის ლილი, პარკში მთელი დღე დაასეირნებდით და აქ რაღა მოუვა, – უპასუხა მატილ-დამ.

– განა უფეხსაცმლოდ ატარე? – ჰკითხა ედნამ ლილის.

– არა, მისიზ სლამპ, წითელყელიანი ჩავაცვი და მხოლოდ ახლა გავხადე, – ლილის მა-გივრად უპასუხა რუთმა.

– კარგი, კარგი... მატილდა, წადი, ტანსაცმელი მოიტანე, სადაცაა სტუმრები მოვლენ, ლორდი კი ჩაუცმელია.

მატილდა წავიდა ბრძანების შესასრულებლად, ლილი კი გულში ჩახუტებული ძაღლით ვალსს უვლიდა პრიალა ფიგურულ პარკეტზე, შემდეგ დედის წინ გაჩერდა:

– ჩვენი ლორდი ნამდვილი ჯენტლმანივით უნდა გამოვაწყოთ. ლორდო, ჩემო ძვირფასო, მოდი, კიდევ უნდა გაკოცო. დღეს შენი დაბადების დღეა და მრავალი კოცნა გელის.

– გოგო, ნუ დაახრჩვე საბრალო! ვშიშობ, თუ ასე ეფერე, სტუმრების მოსვლისთვის სრუ-ლებით არ ექნება ჯენტლმანის შეხედულება, უფრო ჩვარს დაემსგავსება.

– არავის აქვს უფლება, ჩემს ლორდზე აუგი თქვას! – ეწყინა ლილის. – ძალიან ჭკვიანია, იშვიათი ნიჭის პატრონი, ხანდახან ცოტა ცელქია მხოლოდ.

– სულ შენ გგავს, ერთ წუთს ვერ მოისვენებ, – უსაყვედურა შვილს ედნამ.

– რაც გინდა, თქვით და ასეთი ცუგას მნახველი არ ვარ... შეხედე, დე, რა მეტყველი თვა-ლები აქვს! ყველაფერი ესმის!

მოვიდა მატილდა და მოიტანა ლორდის ტანსაცმელი – ბეწვით გაწყობილი ქურთუკი და წითელი შარვალი..

– დე, იუბილარი სავარძელში უნდა იჯდეს, ხომ?

– აი, აქ მოიყვანე, აქ დავსვათ, – უპასუხა ედნამ, მისი მითითებით რუთმა აიღო კედელთან მდგომი ერთ-ერთი სავარძელი და დარბაზის შუაში დადგა.

– მომეხმარე, რუთ... კარგი, წყნარად იდექი, ლორდო! – დაფაცურდა ლილი. – ჯერ ეს ერ-თი თათი გაუყარე... ჭკვიანი ბიჭი ხარ, ახლა – მეორე... ასე! ეს შინშილას ქურთუკი პირდაპირ შენს ტანზეა შეკერილი, ძალიან გიხდება. ნუ ცელქობ! თორემ არც სტუმრები მოვლენ და საჩუქ-რებზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი.

– მეორე, ათასდოლარიანი ქურთუკი უფრო ხომ არ მოუხდებოდა? – იკითხა ედნამ.

– მერე, რომ იცოდე, ჩემო ლორდო, რა სტუმრები გეყოლება!

– ლორდმა ყველაფერი მშვენივრად იცის, ყველაფერი! პირველად ხომ არ აწყობს წვეულე-ბას! შარშანდელ დღეობაზე იყვნენ მისტერ ჯოგლიც, მისტერ ჰანტერიც, მისტერ კუკიც... – ეტჟ-ობა, ედნაც ხალისობს ძაღლის დღესასწაულით.

– მას შემდეგ იმდენი წვეულება გამართა, რომ... მისტერ ვაილდიც იქნება? – დაინტერესდა ლილი.

– გახსოვს, შარშან ლორდის დაბადების დღეზე როგორი ძვირფასი საჩუქარი მოართვა – კაუბოის მორთულობა: ხუთგალონიანი ქუდი, ხალათი, შარვალი, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი და ოქროს პაწია რევოლვერიც კი არ დავიწყებია! მთელი ანსამბლი ლორდის ტანზე იყო ზედგა-მოჭრილი, – გაახსენა შვილს ედნამ.

– მართლაც და, ასეთი სტუმრები პრეზიდენტსაც იშვიათად ჰყავს! – ტაში შემოჰკრა ლი-ლიმ.

– ჰი! მისტერ ვაილდი დიახაც რამდენჯერმე მიიწვია პრეზიდენტმა თეთრ სახლში, რამდენ-ჯერმე!.. მაგრამ... მაგრამ მიწვევა არასდროს ყოფილა მიღებული! – გაიჯგიმა ედნა.

– არასდროს, მისიზ? – გაუკვირდა მატილდას.

– არასდროს, მატილდა!

– ღმერთო ჩემო, პრეზიდენტის მიწვევა უარყვეს! – წამოიძახა რუთმა.

– დიახ, ჩვენი ლორდის მიღებაზე კი გვეწვევა, მაშ! – კმაყოფილი იღიმებოდა ლილი.

– თვით შეუძლოდ ყოფილა, მისი შვილი, რობერტ ვაილდი, მაინც მოვა, – დააზუსტა ედ-ნამ.

– ეს დიდი პატივია ჩვენთვის, ლორდო. სტუმრად გეყოლება დოლარეთის ყველაზე საქმია-ნი ადამიანები, ყველაზე ნიჭიერები, გაბედულები, მდიდრები! – მიეფერა ძაღლს ლილი.

– დოლარეთის რჩეული საზოგადოების ნაღები! არა, დოლარეთი რას მიქვია, მსოფლიოში სად ნახავ მათ ბადალს! – აღტყინებით წამოიძახა ედნამ.

– მაგალითად, მისტერ ვაილდს ვერავის შეადარებ... პრეზიდენტის მიწვევას არად აგდებს, შენთან კი სიამოვნებით მოდის, ჩემო ლორდო, – ხელს უსვამდა ზურგზე ლორდს ლილი. – ალ-ბათ პრეზიდენტს არ ჰყავს შენსავით ლამაზი ცუგა, ჰა-ჰა-ჰა!

– ახლა სხვა სტუმრებს არ იკითხავ? ფინანსების გენიოსები, საქმიანი სამყაროს კაშკაშა ვარსკვლავები! – სიამოვნებით მარცვლავდა სიტყვებს ედნა.

– შენთან სტუმრად მოვა ოთხი-ხუთი მილიარდი დოლარი, იქნებ მეტიც!

– დამაცადეთ, დამაცადეთ! თქვენ მაშინ ნახეთ, ჩვენს ლორდს რა სტუმრები ეყოლება, როცა დოლარეთის № 1 ცუგა გახდება!

– და შენ, დედი, № 1 ლეიდი, ხომ?

დიახ, ამ ოთახში ქალები შეკრებილან: ნიუ იორკის შტატის გავერნორის მისტერ სლამპის მეუღლე ედნა, ქალიშვილი ლილი და მოახლენი – მატილდა და რუთი.

ამჯერად დედა და შვილი მოახლეებს ვერ ანდობენ ცუგას, – ლორდის, – ჩაცმას, რადგან სწორედ დღეს ყოფილა ამ მეტად პატივსაცემი ოთხფეხის დაბადების დღე. ალბათ მანდილოსნები შემდგომ საკმაოდ იმსჯელებენ საკუთარ ტუალეტებზეც.

ისიც შეიძლება დავასკვნათ, რომ ნიუ იორკის შტატის გავერნორს ჩარლზ სლამპს განზრახული აქვს, დოლარეთის პრეზიდენტი გახდეს, რადგან დოლარეთის №1 ცუგას წოდება სწორედ პრეზიდენტის ძაღლს უპყრია ხელთ.

ბოდიშს ვიხდი, ქალთა ჩვეულებრივ საუბარს, ბევრისთვის არცთუ საინტერესოს, ამდენი ადგილი რომ დავუთმე, მაგრამ მანდილოსნებს ხომ ვერ შევაწყვეტინებდი.

აგერ ამ დარბაზში შემობრძანდა სმოუკინგში გამოწყობილი ჩარლზ სლამპიც – მაღალია, თმა მოკლედ აქვს შეკრეჭილი; მოსული ტანითა და ჩაჭყლეტილი ცხვირით მძიმე წონის მოკრივეს ჰგავს. ჩემი შეხედულებით, მეტისმეტად ხმამაღლა ლაპარაკობს ხოლმე და ახლაც რიხიანად იკითხა:

– აბა, როგორ მიდის საქმე? სადაცაა სტუმრები მოგვადგებიან.

– ყველაფერი მზადაა, ჩარლი, – უპასუხა ცოლმა. – ამჯერად ცუგები ბევრი არ უნდა გვესტუმროს... ყოველი შემთხვევისთვის მათთვის ცალკე აწყობენ სუფრას ათი პერსონისთვის. ყველაფერი მშვენივრად ჩაივლის, მხოლოდ ცოტა საწყენი კია, ცოტა ხალხი იქნება. ჩარლი სლამპს არ უნდა გასჭირვებოდა უფრო ხალხმრავალი სუფრის გაშლაც...

– მატილდა, რუთ, ერთი წუთით მიხედეთ, როგორ გააწყვეს დიდი მაგიდა... – სხვა დარბაზში გაისტუმრა მოახლეები სლამპმა, შემდეგ ედნასთან განაგრძო საუბარი: – ედნა, ირონიისთვის, მე მგონი საფუძველი არ გაქვს, ხომ იცი, რა მიზეზითაც მოხდა ეს...

– მხოლოდ ათამდე ცუგა გვესტუმრება, ასე ცოტა? – გულაცრუებული ლილი სარტყლით სავარძელზე აკრავდა ლორდს. – რატომ აქამდე არაფერი მითხარით? გასაკვირი კი იყო, თითქმის ყველა მოსამსახურე ამ საღამოს დაითხოვეთ...

– მე ვფიქრობ, კაცებიც ათზე მეტი არ იქნება, – ამბობს მისტერ სლამპი. – ვწუხვარ, მაგრამ დღეს ასე იყო საჭირო. მხოლოდ რჩეული საზოგადოება იქნება.

ლილიმ ისევ აუშვა საბრალო ლორდი თასმებისგან, ხელში აიტატა და მიუალერსა:

– საბრალო ლორდ, როგორ მოელოდი ამ დღეს! ვერ გექნება მაინცდამაინც ბრწყინვალე დღეობა...

– გული ნუ დაგწყდება, ამ სეზონში ლორდმა რამდენიმე ბრწყინვალე მიღება გამართა, – ქალიშვილს გული გაუკეთა ედნამ, – სხვებზე ნაკლებ არ გამოჩენილა.

– დღეობა მაინც სულ სხვაა, დე! – შეეპასუხა ლილი, გამოცოცხლდა: – შარშანდელი დღეობა რომ გამახსენდება!.. სულ სხვა იყო, გახსოვს, ლორდ? ხუთასი კაცი დარბაზებში და პარკშიც კი იყო გაშლილი სუფრა, ყველგან მუსიკა, სიცილი და ცეკვა, ცეკვა, ცეკვა! – ლილი ლორდთან ერთად სიცილით დატრიალდა დარბაზში.

– ღმერთო ჩემო, მართლაც რა მხიარულება იყო! – წამოიძახა ედნამ.

– ჰო, ნამდვილად არ მოგვიწყენია, – დაეთანხმა ჩარლზ სლამპი, – ბლომად დავლიეთ!

ლილი აკისკისდა:

– ვიღაცამ ბოთლები ესროლა ფანჯრებს – ლაწ-ლუწ! ბოთლებს მოყვა ქოთნებით ყვავილები – ერთი, მეორე, მესამე!.. რახ-რახ-რახ!.. შემდეგ – თეფშების სროლა სამიზნეში, მოსწრებაზე! მაშინ აქ სხვა ჭაღი ეკიდა, – ლილიმ ცუგა დასვა იატაკზე, ცალი ხელი აიქნია, თითქოს ჭაღს მართლა ესროდა რაღაცას: – ყველა მხრიდან რახ-რახ-რახ!..

– თავი ფრონტზე მეგონა! – გაიცინა მისტერ სლამპმა.

– ბობიმ მაინც ყველას გვაჯობა! – სულ უფრო შედიოდა აზარტში ლილი. – გახსოვთ? სამზარეულოდან ნაჯახი რომ მოარბენინა და დასცხო როიალს! მაგარი მუსიკა იყო!

ლილი მივარდა როიალს და ორივე ხელების თითთა რტყმევით ჟღრიალით გაიარ-გამოიარა კლავიშებზე:

– აქედანაც ბრახ-ბრახ-ბრახ!.. იქიდანაც ბრახ-ბრახ-ბრახ!.. ყველა მხრიდან ნაფოტები ცვივა, მხიარული ხალხი კივის სიამოვნებისგან; მერე მისცვივდნენ სკამებს, მაგიდებს... ამოაყირავეს, დასცხეს!..

– ნამდვილ საღორედ აქციეს სასახლე, შეკეთებას რამდენიმე თვე დასჭირდა, – ღიმილით ამბობს მისტერ სლამპი.

– შენც, ამ ხნის კაცი, სხვებზე არანაკლებ ირჯებოდი, – აგონებს მეუღლეს ედნა. – სამწუხაროდ, ერთი-ორი თავიც გატყდა...

– სამაგიეროდ, მხიარულება იყო! – არ ეთანხმება ლილი, მერე უცებ მოწყენილი აგრძელებს: – დღეს კი... ათ კაცამდეც ვერ მოგროვდებაო, თანაც ალბათ ყველანი ხნიერები, ღიპიანები, სულ ფულზე და პოლიტიკაზე მოლაყბენი... მამიკო, არ შეიძლება, ჩემს მეგობრებს დავურეკო? ალბათ მოასწრებენ მოსვლას. თქვენთვის აწყობთ საღამოს თუ ჩემთვის?

– არა! – მოუჭრა მისტერ სლამპმა, – დღეს ეგ გამორიცხულია, იმდენად სერიოზული საქმე მაქვს!

– სულ ათიოდე კაცი! – თითქმის ტირის ლილი. – ბებერი და უინტერესო!

გაბრაზებულმა ლილიმ მშობლები დატოვა და დარბაზიდან გავიდა, ლორდი მკერდში ჰყავდა ჩახუტებული..

– ხომ იცი, ჩარლი, დადარაჯებულნი არიან, არაფერი გამოეპარებათ, რას იტყვის ხალხი? – მუდარით შეაცქერდა თვალებში მეუღლეს ედნა.

მისტერ სლამპს ქვის სახე აქვს:

– ახლა რას იტყვიან, არ ვიცი და არც მაინტერესებს, შარშან კი ტელევიზიით რაც თქვეს და ილუსტრირებულ ჟურნალ-გაზეთებშიც გამოგვაჭენეს, მშვენივრად მახსოვს! მთელი მსოფლიოს პრესის ფურცლები აჭრელდა ფოტოებით და უზარმაზარი მყვირალა სათაურებით: "გიგანტური ღრეობა!", "ერთ მილიონ დოლარამდე – მხოლოდ დამსხვრეული ჭურჭელი!", "მილიონერები ერთობიან!" და სხვა ამგვარი.

– ჰმ, მილიონერები! – მედიდურად წარმოსთქვამს ედნა. – ბევრი მილიონერი გაკოტრდებოდა ჩვენი შარშანდელი ლხინის გამართვით. საინტერესოა, რაღა მაინცდამაინც ჩვენ მოვხვდით პრესის ფურცლებზე, არანაკლები ღრეობები სხვებსაც მრავალთ გაუმართავთ.

– სულ იმ თავხედ რეპორტერებს უნდა ვუმადლოდეთ ყველაფერს! – გაბრაზებული ამბობს მისტერ სლამპი. – სხვები სათოფეზე არ იკარებენ და არც გაზეთებში არიან გამოჭიმულნი.

– მერე, რატომ დაუშვი ისინი, გამოგეჩინა შენც ჭკუა...

– რას ვიფიქრებდი? – ცოლს პასუხობს მისტერ სლამპი. – ნაცნობი ჟურნალისტები მოვიწვიე, ადრე კარგად ვთანამშრომლობდით. ვერ მოზომეს თუ განზრახ მოქმედებდნენ, არ ვიცი. მერე თავს იმართლებდნენ, ვითომ უნდოდათ ჩემი გულის მოგება და ძაღლის დიდებული დღეობა ცისარტყელას ფერებით შეამკეს... ეგონათ, ძალიან მესიამოვნებოდა, თუ ჩემს მამულს სახელგანთქმული ევროპელი მონარქების რეზიდენციებს შეადარებდნენ, ვიგინდარები! ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ... კოლიბრის ტვინები აქვთ პატივცემულ რეპორტერებს; მაშინ კი გვარიანად მოითბეს ხელი, მაგრამ მომავალზე არ დაფიქრებულან, ვერ გაითვალისწინეს – ჩემი კეთილგანწყობა ძვირად ფასობს, მეგობრებო!

ედნამ კვერი დაუკრა:

– მართლაც მეტისმეტად დაწვრილმანდნენ: სასახლის სააბაზანო ოთახების რაოდენობა, დარბაზების მდიდრული გაფორმება და ანტიკვარული დგამ-ავეჯით მორთულობა ხომ დაწვრილებით აღწერეს, ლორდის სამკაულების ღირებულებაც კი ერთი დოლარის სიზუსტით იანგარიშეს... ახლა, როცა ლორდი სადმე მიმყავს, იძულებული ვარ, ან სამკაულების გარეშე დარჩეს ან საგანგებოდ კიდევ ცალკე მცველი დავიქირავო.

– სახლიდან გასვლას ვერ მოასწრებ, უკვე გაგძარცვავენ, – ეთანხმება მისტერ სლამპი. – მოკლედ, ამიერიდან ჩემს მამულებში არცერთ რეპორტერს აღარ გავაჭაჭანებ. შარშან ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა და არც ვაქცევდი ყურადღებას მათ ლაქლაქს, ბოლოს და ბოლოს, ისევ ჩემთვის უნდოდათ ესიამოვნებინათ, მაგრამ წელს დიდი სიფრთხილე გვმართებს: პრეზიდენტის არჩევნები კარზე მოგვადგა და რეპუტაციას გაფრთხილება სჭირდება. ამიტომაც დღეის საღამოსთვის ცოტა ხალხი დავპატიჟე, ხომ გესმის, ლილი? არაა საჭირო უსაშველო ქეიფის გამართვა, აურზაური, რეპორტერები, ხმაური პრესის ფურცლებზე...

– თუ სერიოზული საქმე გქონდათ, სხვაგანაც შეგეძლოთ შეკრებილიყავით და ლორდის დღეობა არ გაგეფუჭებინათ.

– ისევ ძველი სიმღერა წამოიწყე... ხომ გითხარი, დღეს მეტად მოსახერხებელია, არავის ყურადღებას მიიქცევს. პრეზიდენტის არჩევნები მოახლოვდა და მე მინდა, ჩემს უახლოეს თანამებრძოლებთან ერთად განვიხილო ზოგიერთი საკითხი. ორკუზიანი აქლემის პარტიიდან მისტერ სალოუს აქვს ნაღდი შესაძლებლობა, რომ ამ პარტიიდან საპრეზიდენტო არჩევნებში იგი გავა პრეტენდენტად, ჰოდა, მისი აგენტები უკვე ფრიად გააქტიურდნენ. ყველგან დაძრწიან, ცდილობენ ჩემზე მაკომპრომეტირებელი მასალები გამოჩხრიკონ. საარჩევნო ციებ-ცხელებაში მისტერ სალოუ ყოველგვარ წვრილმანს გამოიყენებს ჩემი სახელის გასატეხად. მას ისედაც ძლიერი კოზირი აქვს – დღევანდელი პრეზიდენტი ორკუზიანი აქლემის პარტიიდანაა და, რასაკვირველია, აქტიურად უჭერს მას მხარს. დღეს მეტად სერიოზული საკითხები უნდა განვიხილოთ, წყნარად, მყუდროდ, ყოველგვარი ხმაურის გარეშე...

– ვერ ვიტან ამ საიდუმლო თათბირებს, საერთოდ – საქმიან საუბრებს...

– აბა რა ვქნა, ძვირფასო? ვიღაცა ხომ უნდა გაუძღვეს საქმეს. შენ ფულის არსებობა მხოლოდ მაშინ გახსენდება, როცა პარიზში უნდა გაფრინდე უკანასკნელი მოდის ქუდის საყიდლად ან მილანოში ოპერის პრემიერას გინდა დაესწრო. აი, სწორედ ასეთ წვრილმანებს გაბერავს მისტერ სალოუ წინასაარჩევნო კამპანიაში. მიკიჟინებს: სლამპის სტუმრები ასდოლარიანში გახვე-

ულ სიგარებს ეწევიანო. წარმოიდგინე, რა სიფრთხილეა საჭირო, რომ სალოუმ ბევრად მნიშვნელოვანი ამბები არ გაიგოს. შენ წარმოიდგინე, ჩემი წინასაარჩევნო შტაბის ხელმძღვანელიც კი არ იქნება ჩვენთან, იმდენად კონფიდენციალური საუბრები გვექნება... ხომ გაიგე, ძვირფასო?

– კარგი, ჩარლი, დღეს როგორმე ჩაივლის ეს დღეობა...

– ჯერ ცოტას გავერთობით შემდეგ მამაკაცები ჩემს კაბინეტში ჩავიკეტებით, თქვენ კი, ქალებს, შეგიძლიათ, მწერალთან ერთად ინტელექტუალური საუბრებით შეიქციოთ თავი.

– მე გირჩევთ, ჯერ ითათბიროთ და შემდეგ გაერთოთ. წინაღმდეგ შემთხვევაში, გართობის შემდეგ, პატივცემული ალკოჰოლი იმდენად ენერგიულ მონაწილეობას მიიღებს თქვენს თათბირში, რომ...

– არა, არა, შეძლებისდაგვარად თავს შევიკავებთ ზედმეტობისგან, ცოტა კი, პირიქით, შეგვახურებს...

– სტუმრები მოდიან, სტუმრები მოდიან!.. – შემოიჭრა დარბაზში ლილი, – ავტომანქანის საყვირი გავიგონე!

– სწორედ კარგ დროს შევგროვდებით, – კმაყოფილია მისტერ სლამპი. – გარეთ ჯერომი შეხვდება სტუმრებს, ჩვენ აქ მოვიცადოთ.

– აბა, ჭკვიანად მოიქეცი, კაბა გაისწორე, პატარა გოგო აღარ ხარ, – ეუბნება ედნა ქალიშვილს, შემდეგ ქმარს მიმართავს: – როგორ გაიზარდა ჩვენი ქალიშვილი, ჩარლი, ჩემზე მთელი თავით მაღალია, ქცევით კი ისევ ანცი და დაუდეგარია...

– რამდენიმე წელიწადში გაგვითხოვდება, ჩემო კარგო., – უპასუხა მისტერ სლამპმა. – მე უკვე შევარჩიე სასიძოდ სამი-ოთხი ყმაწვილი...

– მე არასდროს გავთხოვდები! – უკმეხად წამოიძახა ლილიმ.

– რასაკვირველია! – იცინის მისიზ სლამპი. – შენ შინაბერად დარჩები!

– ყველანი მეტად პატივსაცემი ოჯახებიდან არიან, – აგრძელებს მისტერ სლამპი, ქალიშვილის სიტყვებს ყურადღებას არ აქცევს.

– ჩარლი, სერიოზული სახე მიიღე, სადაცაა პირველი სტუმარიც გამოჩნდება...

კარი IV. გავერნორს ბევრი რამ აღელვებს...

სანამ პირველ სტუმარს ვიხილავდეთ, მანამდე მინდა, წარმოგიდგინოთ მათი მასპინძელი.

მაშ, უპირველესად, ნიუ იორკის შტატის გავერნორი ჩარლზ ვილიამ სლამპი გავიცნოთ, რომელსაც დიდი სურვილი ჰქონია, დაიკავოს სავარძელი თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში.

ასეთ სერიოზულ წამოწყებას დიდი წინასწარი მომზადებაც ესაჭიროება. მეჯლისების სეზონი ჯერ კიდევ თებერვლის ბოლოს დამთავრდა და დღევანდელი წვეულებაც მარტოოდენ საქმიან ინტერესებს ისახავს. მართალია, შეიძლებოდა, ჯენტლმანთა კლუბში შეკრებილიყვნენ, მაგრამ ამჯერად, საიდუმლოების მეტად დასაცავად, გავერნორის ვილაში შეხვედრა არჩიეს.

სანამ გავერნორი გადაწყვეტდა საკუთარი კანდიდატურის წამოყენებას უმაღლესი პოსტის დასაკავებლად, წინასწარ მოსინჯა ნიადაგი: ეს უკანასკნელი საქმიანი წრეების დოლარებით აღმოჩნდა გაპატივებული. გასული წლის შემოდგომაზე ნიუ იორკის სასტუმროში "ვოლდორფ ასტორია" საიდუმლოდ შეიკრიბა ხუთასამდე საქმოსანი და ფინანსური წრეების წარმომადგენელი და გავერნორმა სლამპმა მიიღო დასტური და ფინანსური მხარდაჭერის პირობა. მისი საერთო-ეროვნული პოპულარობა არ იყო "ვოლდორფ ასტორია"-სავით მაღალი, თუმცა გავერნორობამდე ოცი წელი მოღვაწეობდა წარმომადგენელთა პალატაში და სენატში. სამაგიეროდ, მის ბიოგრაფიას საკმაოდ იცნობდნენ ჟურნალისტთა და პოლიტიკურ წრეებში და დიდ გავლენასაც მიაღწია ერთკუზიანი აქლემის პარტიის ხელმძღვანელ აპარატში. შეკრების შემდეგ მეორე დღესვე მისტერ სლამპმა დაიწყო მრჩეველთა ჯგუფის შერჩევა, რომელიც დაეხმარებოდა მისი პოზიციის ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო და ეროვნულ საკითხებში, რომლებიც აღელვებდა დოლარეთის ხალხს.

მას შემდეგ კარგა ხანმა გაიარა და გავერნორს უსიამოვნოდ და შიშითაც კი აღელვებდა ყოველი დღის, კვირის, თვის სულ უფრო სწრაფი სვლა. აი, გაზაფხულდა კიდეც, უკვე ჩატარდა პირველადი არჩევნები მთელ რიგ შტატებში, სადაც ჩარლზ სლამპის მსგავსი პროგრამით გამოდიოდა სენატორი მინესოტიდან ჯონ პრიარეინჯი. საგულდაგულოდ გათვლილი სცენარით გათვალისწინებული იყო, რომ გარკვეულ მომენტში ჯონ პრიარეინჯი მოხსნიდა საკუთარ კანდიდატურას და ოფიციალურად მხარს დაუჭერდა ჩარლზ სლამპის პრეზიდენტის სავარძლისთვის ბრძოლაში. ამრიგად, მას გზა უნდა გაეკვალა გავერნორ სლამპისთვის და, ამასთანავე, მანევრებისა და კომპრომისების საშუალებაც მიეცა მისთვის. მართალია, ჯონ პრიარეინჯის კამპანია თითქოს წარმატებით მიმდინარეობდა – ერთკუზიანთა კიდევ სამი სხვა კანდიდატი – ერთი რადიკალი და ორი მემარჯვენე – ჩამორჩნენ ხმების შეგროვებაში, მაგრამ არც იმდენად, როგორც მოელოდნენ. ერთ-ერთმა მემარჯვენე კანდიდატმა, გადამდგარმა გენერალმა და ამჟამად საშუალო მასშტაბის საქმოსანმა, ანდრიუ რეინმა, საკმაოდ დიდ წარმატებას მიაღწია: გავერნორ სლამპსა და ჯონ პრიარეინჯს მხოლოდ უმნიშვნელოდ ჩამორჩებოდა. წარმოიშვა საფრთხე, რომ

ანდრიუ რეინი საერთო ენას გამონახავდა "თავისუფლების პარტიის" ულტრამემარჯვენე კანდიდატ ვილიამ ჰასლთან. სად უნდა ეძებნა მოკავშირეები გავერნორ სლამპს, მარჯვნივ თუ მარცხნივ? და რა დათმობებზე და კომპრომისებზე შეიძლებოდა წასულიყო "დიდ რბოლაში"? მართალია, გუბერნატორს მრჩეველთა, კონსულტანტთა, სხვადასხვა ჯგუფებთან მოკავშირეთა დიდი შტატი ჰყავდა, მაგრამ დროდადრო იძულებული იყო, დრო გამოენახა, რათა უწყინარი საბაბით შეხვედროდა და უშუალოდ ესაუბრა ფინანსური, სამრეწველო, პარტიული თუ სხვა სფეროების გავლენიანი წრეების წარმომადგენლებთან.

რაც მთავარია, კარზე იყო მომდგარი პირველადი არჩევნები გადამწყვეტ შტატებში დაპგადაწყვეტილებების, სწორი ანუ წარმატებისკენ გზის გამკვალავი გადაწყვეტილებების დროც დადგა.

შემოდგომაზე დაძაბული დღეები მოელის მთელ დოლარეთს: სამხრეთში კრეფენ ბამბას და ემზადებიან ციტრუსების მოსავლის ასაღებად, ჩრდილოეთში კი ავტოქარხანათა კონვეიერებიდან ყოველდღიურად ჩამოდის მომავალი წლის მარკის მბრწყინავი ავტომობილები; დოლარეთის ყველა მხარეში გატაცებით ითვლიან ფულს, თუმცა წლის ბოლომდე ჯერ საკმაოდ შორსაა – აქ ეს უსაყვარლესი, უნეტარესი საქმიანობაა წლის ყოველ დროს: ითვლიან დოლარებს ადამიანებიც გაოფლილი თითებით და უშფოთველი მანქანებიც – განუწყვეტლივ ზუზუნებს კომპიუტერები კორპორაციათა, ბანკთა თუ სხვა საქმიან დაწესებულებათა ოფისებში; ითვლის ხარჯებს, მოგებას, დივიდენდებს...

ამ დროს ზენიტს აღწევს ციებ-ცხელება "საპრეზიდენტო რბოლაში" – პრეტენდენტები უკვე ღალატობენ გამობრძმედილ სახელმწიფო მოღვაწეთა თავშეკავებულ და თავდაჯერებულ ტონს, ასპარეზობის ეშხში შესულ მოქიშპეებს პირზე ქაფი ჩამოსდით პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა შეხედულებებისა და დაპირებების გაბიაბრუებით; არ ერიდებიან პირად შეურაცხყოფასა და ვულგარულ ლანძღვა-გინებას, რაც ხშირად ცილისწამებასა და ყოვლად ფანტაზიურ ბრალდებებში გადაიზრდება.

და სწორედ ახლა, პირველადი არჩევნების დროს, უნდა მომზადდეს ნიადაგი შემოდგომაზე პოლიტიკური მოსავლის მოსაწევად. ბევრ პრეტენდენტს აღარ შერჩება საიმედოობის შარავანდედი და გაუხუნდება პოლიტიკური ვარსკვლავის ბრწყინვალება; მრავალს გაუცრუებს იმედს შემოდგომაზე გასწორებული ანგარიში – უარყოფითი ბალანსი ბევრს გაუფუჭებს პოლიტიკურ კარიერას (ცხადია, ეს გარემოება უშუალო გავლენას იქონიებს საქმეთა ფინანსურ მდგომარეობაზეც).

ამგვარად, გავერნორ სლამპის ლონგ აილენდის ვილაში თავმოყრილ თანამზრახველებს საკმაოდ ექნებათ სასაუბრო თემები.

კარი V. როგორ ცელქობდა რიჩარდ ვ. კუკი დოლარეთის პრეზიდენტის მუხლებზე

ჩვენც რომ ვიყოთ მიპატიჟებული ამ წვეულებაზე, დოლარეთის წეს-ჩვეულების თანახმად, თითოეულ ახალგაცნობილს შეგვიძლია, მაშინვე ვკითხოთ: "რა ღირხარ?" ან "რა ფასიანია თქვენი კოსტიუმი?" და პასუხისდა მიხედვით შევაფასოთ მათი წონა საზოგადოებაში.

ერთხელ კომპოზიტორმა ჯორჯ გერშვინმა ჰოლივუდში გამართა სადილი, სადაც კარისკაცი შემოსული სტუმრების გვარის გამოცხადების მაგივრად მათი შემოსავლის ციფრებს ასახელებდა.

ჩვენც ასევე მოვიქცეთ.

წარმოვიდგინოთ, რომ ღვაწლმოსილი სახელმწიფო მოღვაწის გამომეტყველებით გაჯგიმული ავტორი დგას მისაღები დარბაზის კარებთან და აცვია პოზუმენტებიანი ლივრეა, ახურავს მბრწყინავზოლიანი ქუდი... მოკლედ, ფრიად ინფორმირებული კარისკაცი ვარ და ამიტომ, ცხადია, გარდა იმ ცნობებისა, თუ "რა ღირს" ან რამდენ დოლარს იხვეჭს წლიურად შემოსული სტუმარი, ზოგიერთი სხვა ცნობასაც მივაწვდი მკითხველს. ეს არ იქნება ურიგო, თუმცა მისტერ სლამპის სტუმრებმა საერთო-ეროვნული პრესტიჟის შეძენა შესძლეს – მათი უმრავლესობა ეკუთვნის ადამიანთა იმ წრეს, რომლის წევრთა სახელებიც უმეტესად მთელი დოლარეთისთვისაა ცნობილი.

მაშ ასე, პირველი სტუმარი მობრძანდა და შემობრძანდა სასტუმრო დარბაზში.

kar i skaci *(აცხადებს)*:: მისტერ და მისიზ კუკები – ქალიშვილითა და ძაღლითურთ!..

რიჩარდ ვოშინგტონ კუკი დაიბადა ქალაქ ბოსტონში, 18 მაისს შეუსრულდება 61 წელი და 6 თვე.

კონგრესის ყოველი სესიის დაწყების წინ მას აძლევენ სკივრს და თმის ჯაგრისს (თუმცა სრულიად მელოტია), ანუ ის სენატორი გახლავთ. ორბორტიანი "კონსერვატორული" პიჯაკი და თეთრი ჰალსტუხი ხაზს უსვამს მის "უბრალოებას", ხოლო კარგად დამუშავებული ხავერდოვანი ბარიტონი ადვოკატურასთან ხანგრძლივი ნაცნობობის ნაყოფი გახლავთ. ამ ბარიტონს წარმატებით იყენებს ამჟამადაც, სენატის ბევრ უმნიშვნელოვანეს კომისიასა და ქვეკომისიაში, რომელთა

თავმჯდომარეების ძმაკაცი გახლავთ, ხოლო ერთ კომისიაში თავმჯდომარეობს კიდეც. ბოდიში, მაპატიეთ, უპირველესად მისი შემოსავალი უნდა აღმენიშნა. თვით მისტერ კუკმა შარშანწინ სენატში გადარჩევისას საჯაროდ განაცხადა, რომ, სენატორის ჯამაგირის ჩათვლით, წინა წელს მოიხვეჭა 389 727 დოლარი და 19 სენტი (აბა, რა ექნა, მისმა კონკურენტმა ორკუზიანი აქლემის პარტიიდან მასზე ადრე საზოგადოებრიობას ამცნო საკუთარი შემოსავალ-გასავალი). ფორმალურად სენატორი არ მისდევს დიდ ბიზნესს, ფაქტიურად კი მას მჭიდრო კავშირი აქვს იურიდიულ ფირმათა ხელმძღვანელებთან, ხშირად "მეგობრულად" საუბრობს წამყვან კორპორაციათა პრეზიდენტებთან თუ ვიცე-პრეზიდენტებთან, საქმოსანთა ნდობით აღჭურვილ პირებთან და მრავალ სხვასთანაც, ვისაც კი დასჭირდება სენატორის კვალიფიციური რჩევა და შესძლებს ამ გამოცდილი, უმაღლეს წრეებში თავისიანად მიჩნეული და მიღებული პოლიტიკოსისკენ მისასვლელი "ბილიკის" პოვნას. მისი გავლენა ბევრად სცილდება სენატორის იმ "მემკვიდრეობით" ადგილს, რომელიც აგერ უკვე ოცი წელია უკავია (მამამისიც და პაპაც სენატორები იყვნენ). ბავშვობაშივე სახელი გაითქვა იმით, რომ ერთხელ ჩვილმა გვარიანად მოისაქმა დოლარეთის მაშინდელი პრეზიდენტის თეოდორ პაუჩერის მუხლებზე. როგორც მისტერ კუკის ბიოგრაფები აღნიშნავენ, ის ხშირად მჯდარა და უცუღლუტია კიდევ ორი სხვა პრეზიდენტის მუხლებზეც, მაგრამ ნაკლები წარმატებით. სამაგიეროდ, შემდგომ სწორედ თეოდორ პაუჩერის სიტყვები გახდა მისი საყვარელი გამონათქვამი: "გვინდა ეს ჩვენ თუ არა, დოლარეთს მისი სიძლიერის გამო აკისრია პასუხისმგებლობა მსოფლიოს შემდგომი ხელმძღვანელობისთვის!"

ამრიგად, რიჩარდ ვოშინგტონ კუკი თვალისმომჭრელი პროფესიული ღიმილით უახლოვდება იუბილარს, რასაკვირველია, ოჯახის სხვა წევრებთან ერთად. ჯერ მასპინძლებს მიესალმა, მაგრამ ეს მომენტი არაფრით არის ღირსშესანიშნავი და ამიტომ შემდგომ მოვლენებზე გადავიდეთ.

— ლილი, ვგონებ, ლორდთან ჩვენი წარდგენა ზედმეტია. ხომ კარგად გრძნობს თავს იუბილარი?

— მადლობთ., მისტერ კუკ, არა უშავს რა. მოდით, თქვენი ცუგა წარვუდგინოთ ლორდს! რა მშვენივრად ეხამება თეთრი ლიტლ ბოი (ეს სახელი ჰქვია ხომ თქვენს პუდელს?), დიახ, ქათქათა ლიტლ ბოი და თქვენი მშვენიერი ქალიშვილის თეთრმაქმანიანი სამეჯლისო კაბა! ალის, მოიყვანე ლიტლ ბოი... უფრო ახლოს, გეთაყვა. აი, ლორდ, ეს ჯენტლმანი გახლავთ ლიტლ ბოი, მიესალმე, ხომ ხედავ, ისიც გიკრავს თავს...

— ბედნიერი ვართ, მოგილოცოთ ძვირფასი ლორდის დაბადების ე-ე-ე...

— მეხუთე...

— ...მეხუთე წლისთავი და შემდგომი წარმატებები ვუსურვოთ პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში!

— ჩემო ლორდო, მისტერ და მისიზ კუკები ლიტლ ბოისთან ერთად, აგრეთვე მათი ქალიშვილი ალის, პირველნი მოვიდნენ შენს დღესასწაულზე და გაიზიარეს შენი სიხარული. ეს დიდი პატივია! იმედია, მომავალში საკადრისად გადაუხდი ამ ყურადღებასა და დაფასებას.

კარი VI. მოკლედ იუბილარის პოლიტიკურ შეხედულებებისა და დიპლომატიური მოღვაწეობის შესახებ

ხომ არ გნებავთ თვით იუბილარიც უფრო ახლოს გაგაცნოთ? სიამოვნებით.

ჯერ ფასზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა და ამით თითქმის ყველაფერი იქნება ნათქვამი.

მაშ, რა ღირს ლორდი?

2 449 დოლარი!

თქვენ, შესაძლოა, არც იცოდეთ მისი ღირებულება, მაგრამ მასთან პირველი შეხვედრისთანავე იგრძნობთ, რომ უბრალო მოკვდავთან არ გაქვთ საქმე. გაზეთი "ვოლ სტრიტ ჯორნალი" სავსებით სამართლიანად აღნიშნავდა, რომ თუ თქვენ ქუჩაში შეხვდით ძაღლს, რომელსაც ცივად და ამპარტავნულად უჭირავს თავი, იცოდეთ, რომ ის ინგლისელია!

დიახ, თუმცა ლორდი ჭეშმარიტი ინგლისელი გახლავთ, — მისი ჯიშია კავალიერი კინგ ჩარლზ სპანიელი, — იგი გამოირჩევა სიცელქითა და გაბედულებით; მისტერ ჩარლზს ჭეშმარიტად შეეფერება მეფური ფერითაც — ერთიანად წითელია! ჰოდა, მოდი და ნუ გაიჯგიმები, როცა შენ გიყეფია დოლარეთის პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტისთვის; ასევე — სამი ყოფილი პრეზიდენტისთვის, თხუთმეტი გენერლისა და თითქმის ოცი სხვადასხვა მდივნისთვის; ამგვარი გმირული საქციელის ადრესატ კონგრესმანთა რიცხვი ხომ რამდენიმე ასეულს აღწევს! მისტერ ლორდის საგანგებო მომვლელს სპეციალურ დღიურში აღნიშნული აქვს, რომ ცუგას ასევე "უსაუბრია", ოღონდ ნაკლებ გულთბილად, სხვა მრავალ გამოჩენილ დოლარელთან: გოლფის ჩამპიონთან, №1 ბესტსელერის ავტორთან, პოპულარულ საესტრადო მომღერლებსა და დრამის მსახიობებთან, ფეხბურთისა და ბეიზბოლის ეროვნულ გმირებთან და კიდევ მრავალ, საქვეყნოდ ცნობილ ვარსკვლავთან.

უნდა ითქვას, რომ მისტერ ლორდის საზღვარგარეთული ნაცნობობაც ფრიად ფართოა, მაგრამ ზედმიწევნით რჩეული და ნატიფი. საზღვარგარეთ მისტერ ლორდი ხშირად დაჰყვება თან გავერნორ სლამპს და ბევრი რამ აქვს მოსაგონარი. მას ჰქონდა ბედნიერება გულკეთილად შეეყეფა კანცლერ ჰაინრიხ კაიზერისთვის, ამრეზილად – პრეზიდენტ შარლ ფრანსუასთვის და ქედმაღლურად – პრემიერ-მინისტრ ჰაროლდ ბულისთვის. რასაკვირველია, სრულიადაც არ გახლავთ გასაკვირველი, რომ ლორდს უამრავი მედალი აქვს ხოლმე ჩამოკონწიალებული, როცა პირადი მცველის თანხლებით მომვლელთან ან, უფრო ხშირად, ოჯახის რომელიმე წევრთან ერთად, საღამოს გაისეირნებს ხოლმე. რომელ ბრძოლებში მონაწილეობდა და რით გამოიჩინა იქ თავი, ეს მის ბიოგრაფებს ჯერჯერობით არ აქვთ დაზუსტებული, მაგრამ კაცობრიობისა და დოლარეთის წინაშე ლორდს სხვა დამსახურებაც მიუძღვის. დოლარეთის პრეზიდენტის სპეციალური დავალებით გავერნორ სლამპს ხშირად უხდება ფრიად კონფიდენციალური მისიების შესრულება – ხან ლათინურ ამერიკაში აჭიჭყინდება ნაციონალიზაციის მაცდუნებელ ჰანგზე პერუგვაის პრეზიდენტი, რომელიც თავდაპირველად ეგონათ, "კარგი ბიჭი" იქნებოდა, ხან საჭიროა ინდოეთში არჩევნების წინ ოპოზიციის ზოგიერთ ლიდერთან გასაუბრება, ხან კი აფრიკაში, მოზამგოლაში, აუცილებელი ხდება ადგილობრივი "მთავრობის" რეორგანიზაცია, რადგან დოლარელთ სულ უფრო მზარდი მონაწილეობა საომარ მოქმედებებში მაინც არ იძლევა გარდატეხას წარმატებისკენ.

მისტერ სლამპს ლორდი კეთილ მფარველ ანგელოზად მიაჩნია და, შეძლებისდაგვარად, ყველგან თან დაჰყავს. ცხადია, გავერნორ სლამპს მეტად მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ კარგად ესმოდეს ლორდის შეხედულებანი. პატრონსა და ძაღლს შორის 100%-ანი სულიერი ურთიერთგაგების დასამყარებლად მარტის დასაწყისში ორივემ 10 დღე დაჰყო ძაღლთა ქცევის შესწავლის ინსტიტუტში – ის-ის იყო, უნდა დაწყებულიყო პირველადი არჩევნები ნიუ ჰამპშირის შტატში, რომლის შედეგებითაც ერთგვარად გაირკვეოდა პრეზიდენტობის კანდიდატთა შანსები. რასაკვირველია, მისტერ სლამპს შეეძლო, არ მიეღო მონაწილეობა "პრაიმერიზში" და მთავარი ბრძოლა გაემართა პარტიის კონვენტზე, მაგრამ საერთო-ეროვნული პრესტიჟის მოსახვეჭად პირველად არჩევნებში ჩაბმა დიდად სასარგებლო იქნებოდა.

რაც შეეხება ლორდის პოლიტიკურ შეხედულებებს, ცხადია, რომ იგი ერთკუზიანი აქლემის პარტიის თავგამოდებული მომხრე გახლავთ; ჰოდა, როგორ ფიქრობთ, ასეთ ცუგას ადვილად შეელევა გავერნორი? ამიტომაა, რომ ლორდს ყოველ გასეირნებაზე ქალურად გადაცმული შეიარაღებული მცველი ახლავს.

კარი VII. რის სუნი უდის აყლაყუდა ტექსასელს რობერტ ვაილდს; ზოგი რამ მისი მშობლების შესახებაც

kar i skaci *(აცხადებს):* მისტერ ვაილდი, ჯენტლმანებო!..

უჰ, მაშინვე ცხვირში გვეცა ნავთობის მძაფრი სუნი. გასაგებია, ის ხომ ეული ვარსკვლავის შტატიდან, ტექსასიდან, გახლავთ; იმ შტატიდან, რომელიც ცნობილია თავისი მენავთობე მილიონერებით, კაუბოების მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით, "ხუთგალონიანი" ფართოფარფლიანი ქუდებით და დამახასიათებელი გაბმული გამოთქმით. თუმცა მისტერ ვაილდის მოღვაწეობის ძირითადი სფერო ისევ ნავთობის მომპოვებელი, გადამამუშავებელი და გამსაღებელი კომპანიებია, ამ ბოლო დროს ნავთობის სუნს სულ უფრო შეერია სინთეზური მასალების, ნელსაცხებლების, ტკბილეულისა და სხვა მრავალი სურნელიც – მისტერ ვაილდის კუჭი მაგარი გამოდგა, მადა – სანაქებო და აყლაყუდა ტექსასელის აქტიური მონაწილეობით ახალი ტიპის საწარმოო გაერთიანებები, კონგლომერატები, თავფეხიანად ყლაპავენ სულ სხვადასხვაგვარ ნადავლს: რადიოსა და ტელევიზიის სადგურებს, ნავთობქიმიურ, საკონდიტრო, საგამომცემლო, სამშენებლო, სავაჭრო, საფინანსო, დამკრძალავ და ასე შემდეგ კომპანიებს. აღარას ვამბობთ იმაზე, რომ მისტერ ვაილდის განსაკუთრებული ზრუნვის საგანია მტკიცე პოზიციების დაპყრობა ელექტრონულ, აეროკოსმოსურ, საავიაციო და სამხედრო მრეწველობაში.

ვერ აგიხსნით, როგორ მოხვდა აყლაყუდა სამხრეთელი მისტერ სლამპთან; ვფიქრობ, რომ ფინანსური კავშირ-ურთიერთობის გარდა, აქ პოლიტიკის სუნიც ტრიალებს. ალბათ ტექსასელის მამას, ჯეიკობ ვაილდს, "დიდ" მისტერ ვაილდს, განზრახული აქვს, ენერგიულად შეუწყოს ხელი სამხრეთელთა ერთ-ერთ "კარგ ბიჭს" დაუბევოს თუ პრეზიდენტის არა, ვიცე-პრეზიდენტის ადგილი მაინც. მართალია, ტექსასელ საქმოსანთა ძირითადი ჯგუფი ტრადიციულად ორკუზიან აქლემს უჭერს მხარს ოფიციალურად, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა და რატომ არ უნდა დაიზღვიონ თავი, თუკი ამის საშუალება არსებობს?.. ხოლო თუ ფული საკმარისად გაქვს, გინდა თუ არა, იძულებული ხარ, პოლიტიკით დაინტერესდე!

მაშ, რა ღირს მისტერ რობერტ ვაილდი? გადაწყვეტით არავინ იცის, ყოვლისმცოდნე ჟურნალისტებმაც კი. მართალია, ის ვერ დაიტრაბახებს ბოსტონური გამოთქმით და ნატიფი არისტოკრატიული ქცევის მანერებით, სამაგიეროდ, ცნობილია, რომ მამამისი, ჯეიკობ ვაილდი, ყოფილი "ვაილდ კატ ოპერეიტორ" ("გარეული კატა" – დამოუკიდებელი ნავთობმრეწველი-მომპოვებე-

ლი), ერთადერთ მემკვიდრეს, რობერტს, უზარმაზარ თანხას დაუტოვებს. ზოგიერთი ჟურნალისტის აზრით, მილიარდი დოლარი "დიდმა" მისტერ ვაილდმა ამ ხუთი-ექვსი წლის წინ დაამრგვალა. დიდი ფული კი დიდი პოლიტიკაა. შვილს, ვაილდ-უმცროსს, ხშირად ნახავთ არა მხოლოდ ჰიუსტონსა და დალასში, არამედ სხვა შტატებშიც, ვოშინგტონსა და ნიუ იორკშიც. ფული მის მფლობელს პოლიტიკისკენ უბიძგებს.

"დიდ" ვაილდს მრავალი და მრავალი მილიონი დოლარის ფლობამ აფიქრებინა, რომ ამდენი ფულის მოხვეტა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია – გონებით, ხასიათით, განათლებით, საქმიანი ფანტაზიით გამორჩეულთა წილია; რაღა გასაკვირია, რომ მისტერ ჯეიკობ ვაილდი შეუპყრია აკვიატებულ ფიქრს: მან უნდა იხსნას დოლარეთი! ეს იდეა ფიქს ახალი მესიისა, რასაკვირველია, უნდა გაეცნოს თითოეულ დოლარელს, ქადაგებამ უნდა მიაღწიოს ყოველ დოლარელამდე. ამ მიზნით ჯეიკობ ვაილდი წერს წერილებს, გამოსცა სქელტანიანი რომანი "წითელი ბაფალო", რომელშიც ის ოცნებობს ისეთ სანეტარო დროების შესახებ, როცა ხსენებაც არ იქნება საშემოსავლო გადასახადისა, პროფკავშირებსა და "რადიკალებს" ლაგამს ამოსდებენ, ხოლო ხმის უფლება მიეცემა მის აღმატებულება ფულს: 1000 დოლარი – 1 ხმა! თუ გაქვს მილიონი დოლარი, გექნება 1000 ხმა... მაგრამ ამჯერად მოთამაშის "ინსტინქტმა", რომელმაც, როგორც ამბობენ, შეაძლებინა მას მილიარდის მოქუჩება, უღალატა "დიდ" მისტერ ვაილდს. "ყველაფერს, რასაც ვაკეთებ, მე ვაკეთებ მოგების მიღების გულისთვის", – აი მისი დევიზი, ხოლო რომანი "წითელი ბაფალო" ვერ გასაღდა და "განმანათლებელმა", რომელსაც სურდა, დოლარეთისთვის ეჩვენებინა "სწორი არჩევანი", საკმაოდ იზარალა... მაგრამ რას ნიშნავდა მისტერ ჯეიკობ ვაილდისთვის 15 702 დოლარი ზარალი, როცა თავისი იდეების გასავრცელებლად ყოველწლიურად ყიდულობს სამი მილიონი დოლარის დროს რადიოსა და ტელევიზიაში?

დავუბრუნდეთ ისევ შვილს, რომელიც წარუდგინა იუბილარს მის ლილიმ:

– ჩემო ლორდო, ეს გახლავს მისტერ ვაილდი... რობერტ ვაილდი.

– დამიძახე მე ბობი, უბრალოდ – ბობი, რა საჭიროა ცერემონიები! – სამხრეთელის უშუალობითა და ფართო ღიმილით ასევე ფართო სახეზე ამბობს მისტერ ვაილდი უმცროსი.

– თქვენი ცუგა რატომ არ წამოიყვანეთ? ლორდი თქვენზე ნაწყენია... – ვითომ წყენით, კეკლუცად ეკითხება ლილი.

– ბოდიში, მის ლილი, სამწუხაროდ, ჩემი ძაღლები რანჩოში დავტოვე.

– რატომ?

– ჩვენთან, ტექსასში, დღეში თითო ძაღლს თითო ძროხა უნდა საკვებად, თითო კატას კი – თითო ცხვარი ძლივს ჰყოფნის. ჩვენთან, სამხრეთში, ძაღლები აიოვის ძროხების ტოლია. ჩემს ერთ ძაღლს არ ეყოფოდა მთელი თქვენი ხორციანი კერძები და სტუმრები მშივრები დარჩებოდნენ, გარდა, რასაკვირველია, ვეგეტარიანელებისა.

– მართლა? მაშ თქვენთან ძროხები და ცხვრებიც გიგანტური ზომის უნდა იყვნენ!

– დიახ, მის ლილი, ჩვენთან კანარის ჩიტებიც იმოდენები არიან, ბანით გალობენ, რწყილებს კი სათაგურებით ვიჭერთ და მერე ვწვრთნით. ტექსასურ რწყილებს შეუძლიათ სან ანტონიოდან პირდაპირ ოკლაჰომა სიტიში ისკუპონ.

რწყილებზე ვერაფერს მოგახსენებთ და ადგილობრივ მენავთობე-პოლიტიკანებს კი თუ დავუკვირდებით, ზღვარგადასული ტრაბახის გარდა, ადვილად შევამჩნევთ მათ მისწრაფებას, თავიანთი გაწვრთნილი "ბიჭები" ახტუნონ ტექსასიდან, პროვინციული სარბიელიდან, პირდაპირ ვოშინგტონში, კაპიტოლიუმის ბორცვზე; ხოლო ერთმა, განსაკუთრებით დახელოვნებულმა, თეთრ სახლშიც კი მოადინა ტყაპანი!

კარი VIII. ჯარისკაცი ყოველთვის ჯარისკაცია!

kariskaci *(აცხადებს):* ჩესტერ ვილსონ ჰანტერი!.. *(ცხვირს აცემინებს)* ა-აფცხი!...

დიახ, ეს ჯენტლმანი საოცრად მაგარ სიგარებს უნდა ეწეოდეს. უჰ, ბოდიში, შევცდი – მისგან ასი იარდის მანძილზე იგრძნობა დენთის სუნი. ამ ვაჟკაცური სუნით არის გაჟღენთილი მისტერ ჰანტერი – ყოფილი ხუთვარსკვლავიანი გენერალი, ყოფილი დოლარეთის №1 ჯარისკაცი ანუ ყოფილი შტაბების უფროსთა გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე.

თუმცა ახლა ჩვეულებრივი შავი სმოუკინგი აცვია, მისი სამხედრო წარსული დაუკვირვებელი თვალისთვისაც კი ნათელია. თითქმის სამოცდაათი წლისაა და შეხედეთ, როგორ გამართულად, მეტიც – გაჯგიმულად, რა მტკიცე ნაბიჯებით მიემართება მასპინძლებისა და სტუმრებისკენ! სამხედრო კარიერა არა მარტო გარეგნულად ტოვებს კვალს და სტანდარტულ იერს გამოიმუშავებს – მაგრად მოკუმულ პირს, მტკიცე, მაღლა აწეულ ნიკაპსა და ცივ, უაპელაციო მზერას, არამედ ადამიანს სტანდარტულ პიროვნებადაც ჩამოაყალიბებს. მისტერ ჰანტერის ორმოცწლიანმა სამხედრო კარიერამ წარმატებით გაართვა თავი ამ პროცესს – ახლაც კი ადამიანები მისტერ ჰანტერისთვის იყოფიან მარსის ქვეშევრდომებად და არასამხედროვალდებულებად, საერთაშორისო ურთიერთობებში არჩევს პერიოდებს – როცა ნერვების მომშლელი ხანგრძლივი თუ ხანმოკლე დაზავებაა და როცა ომია; მრეწველობას განიხილავს, როგორც სამოქალაქო და სამ-

ხედრო წარმოებებს და მიაჩნია, რომ ეს უკანასკნელნი საკმაო ყურადღებით არ სარგებლობენ. ყოველგვარ მოვლენას სამხედროს თვალით უყურებს და სხვადასხვა სიტუაციის შეფასებისას სამხედრო კრიტერიუმებს ეყრდნობა. მისი აზროვნება გამოირჩევა მიდრეკილებით რთული და წინააღმდეგობრივი მოვლენების გამარტივებულად და გაუბრალოებულად აღქმისა და გააზრებისადმი, ხოლო განცდილ-განსჯილის სიტყვიერ გამოხატულებაში თავს იჩენს ენერგიული ლაკონიურობის შეხამება უხეშ პირდაპირობასთან.

– აი, ჩვენი ლორდიც, მისტერ ჰანტერ!

– ო, შესანიშნავი ცუგაა, აფრიკის ჯუნგლებში პარტიზანებთან საბრძოლველად შესანიშნავი იქნება.

– რას ბრძანებთ, მისტერ ჰანტერ, ალბათ ხუმრობთ, ერთი ციცქნა ლორდს ჯუნგლებში რა უნდა! ლორდ, შენ ახლა უყურებ ყოფილ გენერალს, სამი ომის მონაწილეს...

– სრულ გენერალს, მის ლილი, ხუთვარსკვლავიანს! სხვათა შორის, შვიდი უცხო სახელმწიფოს ორდენებით ვარ დაჯილდოებული.

– ახლოს მოიწი, ლორდ, თავზე ხელს გადაგისვამს, მოგეფერება. წყნარად იდექი...

– ცხოველთათვის ხელის ხლება არაჰიგიენურია, დიახ!

– ლილი, საკმარისად იანცე, ნუ აწუხებ დამსახურებულ გენერალს.

– ბავშვებს არ უნდა მივცეთ ნება, განსაზღვრულ ჩარჩოებს გასცდნენ.

– დიახ მისტერ ჰანტერ, მართალი ბრძანდებით, მხოლოდ უნდა შევნიშნო, რომ ლილი უკვე ჩვიდმეტი წლის გახლავთ.

– მე თექვსმეტი წლისა ვიყავი, ყაზარმის სუნი რომ ვიყნოსე. მაღალი, მაგრამ პირხმელი ბიჭი ვირყევი, ვიცრუე – ორი წელი მოვიმატე, გენერალმა მამამ წამაქეზა. მაინც რომელი, თუნდაც ჩემზე უხნესი, დამიდგებოდა წინ?!. დათვივით დავტორავდი!

კარი IX. მისიზ ნიუსანზი გიღიმით თქვენ

სტუმართა რიცხვი კი მატულობს და მატულობს! ერთ დროს პოპულარული მხატვრის ოსკარ ფის მიერ გაფორმებული დარბაზი გაჩირაღდნებულია. კონდიციონერი ისრუტავს თამბაქოს ბოლს, სპეციალური მასალებით მოპირკეთებული კედლები ნთქავენ სტუმართა ყაყანს.

kar i skaci *(აცხადებს):* მისიზ ნიუსანზი, ქალბატონებო და ბატონებო!.. მისტერ ფოლტი!

მაპატიეთ, თავდაპირველად კინაღამ შევცდი, კარისკაცს კინაღამ კატრინ კრიპი გამოვაცხადებინე – ეს ენერგიული მოხუცები ისე ჰგვანან ერთმანეთს, და მით უფრო, რაც უფრო ენერგიულად ცდილობენ, როგორმე მოისპოს მსგავსება მათ შორის. ერთხელ კიდევ ვთხოვ მკითხველს პატიებას, ამ ქალბატონის ასაკზე კინაღამ დამცდა სიტყვა. მეტისმეტად მოკლე, ნახევრად გამჭვირვალე იისფერი ჰაეროვანი კაბა აცვია, ზედ რაღაც ბრწყინავს, ჩემი მამაკაცის თვალისთვის ამოუცნობი რამ. რადგან თვალებზე მიდგა საქმე., იმასაც მოგახსენებთ, რომ ვაიოლეტ ნიუსანზს, როგორც ფრანგები იტყვიან ხოლმე, **dernier cri** – ბოლო მოდის მიხედვით, – ხელოვნური თვალები გაუკეთებია. საშიში და საზარელი რამ არაფერი იფიქროთ, მისიზ ნიუსანზს თვალთა ქუთუთოებზე მიმაგრებული აქვს დიდი ხელოვნებით დახატული ყალბი თვალები, როგორც ზოგიერთებს აქვთ, მაგალითად, ხელოვნური კულულები, ხელოვნური კბილები, ხელოვნური რეპუტაციაც კი და მაინც მშვენიერი იერი აქვთ საზოგადოების თვალში. ეს მოწყობილობა მისიზ ნიუსანზს საშუალებას აძლევს, გაჭიანურებული საუბრისას ან მოსაწყენ წვეულებაზე ცოტა წასთვლიმოს ეტიკეტის დაურღვევლად – ხელოვნურ თვალებს, როგორც მიხვდით ალბათ, დაღლილობა არ ეწვევა ხოლმე (სამწუხაროდ, ლორდის დღეობაზე მოვლენები შემდგომ იმგვარად განვითარდა, რომ მისიზ ნიუსანზს ორი დღე-ღამის განმავლობაში წამლების დახმარებითაც კი ვერაფრით დაეძინა). რაც შეეხება ქალბატონის ქუდს, ისიც ფრიად მოდური გახლავთ – "იმპერატორის ხასას ღიმილი", ალბათ ფურორს მოახდენს დამსწრე ქალთა საზოგადოებაში. უნდა გამოგიტყდეთ, რომ თვით ვაიოლეტ ნიუსანზს, ბევრი საღიმილოც რომ ჰქონდეს, მაინც ვერას გახდება – ხუთი თუ ექვსი პლასტიკური ოპერაცია გმირულად გადაიტანა და ვეღარ იცინის, კანი აღარ ჰყოფნის; ის კი არა – თვალებდაჭყეტილი დარჩა... სამაგიეროდ, ეს უკანასკნელი გარემოება მის სახეს მიამიტობასა და ქალწულებრივ უშუალობას ანიჭებს.

აი, ახლა თქვენს წინაშეა ქალბატონი მისიზ ნიუსანზი, ჯენტლმანებო. მისი თანამგზავრი კინაღამ დაგვავიწყდა: მისიზ ნიუსანზმა ხელჩანთიდან (ხელოვნების ნამდვილი შედევრია, მაგრამ ახლა მისი აღწერისთვის არ გვცალია) ამოიყვანა ერთი ბეწო ფინია, იქიდანვე ამოიღო ძვირფასი ბეწვის ხალიჩა, დააფინა სკამზე და ზედ ფინია დაასკუპა. (მისიზ ნიუსანზის მეორე, ჩია ტანის სათვალიან თანამგზავრზე, მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ პროფესიით მწერალია – გასული წლის ერთ-ერთი გახმაურებული ბესტსელერის ავტორი). ორიოდე სიტყვა ფასზეც უნდა ვთქვა. ამჟამად ღირს არანაკლებ 600 მილიონი დოლარი (ქალბატონი და არა ძაღლი); ოთხი ქმარი გამოიცვალა: ზოგი – კეთილად გააცილა საიქიოს, ზოგსაც – ხმაურიანი სკანდალური სასამართლო პროცესების შედეგად გაშორდა; თითოეული ამ საქმიანი აქციის თუ გარიგების შედეგად მის საბანკო ანგარიშს საკმაო თანხა ემატებოდა... მისიზ ნიუსანზი გამოჩენილი საზოგადო მოღ-

ვაწეც გახლავთ, არის "უიღბლო სიყვარულისგან დატანჯულთა ასოციაციის" პრეზიდენტი; ერთგული და გამობრძმედილი წევრია კონსერვატორული ორგანიზაციისა "დოლარეთის რევოლუციის ქალიშვილები", გახლავთ აგრეთვე "უსახლკარო კატათა საშობაო საზოგადოების" საპატიო თავმჯდომარე. ალბათ გაინტერესებთ და იმასაც მოგახსენებთ, რომ ამჟამად არ გახლავთ გათხოვილი. შვილები არ აწუხებენ, ცალ-ცალკე არიან დაბინავებულნი, ამასთანავე, ოსტატურად ახერხებს "ახალგაზრდობის" შენარჩუნებას. თუ თქვენ ხართ თვრამეტიდან ორმოც წლამდე ასაკისა და საშუალოზე მაღალი, ამასთანავე თქვენი მგრძნობიარე და ერთგული გული ვერ ეგუება მარტოობას, შეგიძლიათ, სცადოთ ბედი – მისიზ ნიუსანზიც ეძებს ცხოვრების პატიოსან და გამგებ თანამგზავრს. დროის მდინარებასთან ერთად, დიდად ლმობიერი და ლიბერალური შეხედულებისა გახდა: ამისთვის უკვე აღარ არის საჭირო, თქვენი საბანკო ანგარიში რამდენიმე ასეულ მილიონ დოლარს მაინც უტოლდებოდეს. ოღონდ გაფრთხილებთ: თუ სიმაღლით ექვს ფუტზე ნაკლები ხართ ან ყოველდღიურ ცხოვრებაში მომჭირნეობას არ გაიხდით დევიზად, ნურც შეეცდებით მისი გულის მოგებას. უკვე სამმა ყმაწვილმა მეტისმეტად დიდი მადა გამოიჩინა, ორმა კი ცუღლუტობასაც მიჰყო ხელი – ახალგაზრდა საყვარელი გაიჩინა. ცხადია, მისიზ ნიუსანზის დეტექტივებს არაფერი გამოეპარებოდათ და ქალბატონმა ხუთივე პრეტენდენტი კინწის კვრით ჩამოიცილა. მანქანას თვით მართავს, მაგრამ ნუ გგონიათ, რომ მისიზ ნიუსანზი "ვეტერანით" ან "ედუარდით" დაჩანჩალებს! ისე კი ძველი მარკის მანქანების იშვიათი კოლექციაც შეაგროვა, რომელსაც სპეციალისტები სამ მილიონ დოლარად აფასებენ; უახლეს "კადილაკს" კი ისე დააქროლებს, რომ სამოც წელზე მეტს არაფრით მისცემთ...

კარი X. ვიზრუნოთ ჩვენს მეგობრებზე!

მისტერ სლამპი და ედნა წესითა და რიგით უნდა მიეგებინ მისიზ ნიუსანზს, მაგრამ ქმარი, მოულოდნელობისგან გაოგნებული, გაოცებული მიაჩერდა მეუღლეს:

– ედნა, ეს ჭოტი საიდან გამოტყვრა აქ?

– არ ვიცი, ძვირფასო, მისიზ ნიუსანზისთვის არაფერი შეგვიტყობინებია, მაგრამ მას გაუგებელი რა დარჩება.

– სულ არ მინდა მისი დანახვაც კი... ფოლტიც რომ მოუთრევია, მწერალი გვაკლდა სწორედ... – უკმაყოფილებას ვერ მალავდა მისტერ სლამპი.

– ნუ ღელავ, ძვირფასო, – ცდილობდა მის დამშვიდებას ედნა, – ხელს არაფერში შეგვიშლის; პირიქით, მისტერ ფოლტი ხომ შენს ბიოგრაფიას წერს და მისთვის სასარგებლო იქნება აქ ხშირი სტუმრობა.

– ჩემთვის? ჩემთვის თუ იქნება სასარგებლო?!. – წამოიძახა მისტერ სლამპმა და დაცინვით განაგრძო: – მწერალი!.. დიდი აპლომბით ლაქლაქებს მსოფლიო პრობლემებზე, თითქოს რომელიმე სოლიდურ კომპანიაში სულ ცოტა პრეზიდენტის პოსტი ეჭიროს, საკუთარი პრობლემების გადასაჭრელად კი უბადრუკ წიგნაკებს თხზავს. შიმშილით სული გასძვრებოდა, რომ სამადლოდ ხან ვინ და ხან ვინ მის ნაცოდვილარს არ გამოსცემდეს.

– ნუ ღელავ, რამეს მოვახერხებთ. როცა მამაკაცები სათათბირო ოთახს მიაშურებთ, ის ქალებთან დარჩება, ცოტას გაგვართობს. ერთ-ორ ანეკდოტს მოგვიყვება, გაგვაცინებს, გაგვაცნობს, რა არის ახალი საღამოს გაზეთებში...

– გაზეთებში? ყოველივე მნიშვნელოვანს მე სამი დღით ადრე ვგებულობ... რა ჩემი საქმეა მიმომხილველთა უნიჭო მკითხაობა, ფელეტონისტთა უკბილო ბუზღუნი, კომენტატორთა ღრმააზროვანი სისულელეები... ახალი ამბების ქაოსურ მასაში ჩემი "კვერცხისთავა" რეფერენტები, თუ კი მოვინდომე, ნახევარ საათში კეთილსინდისიერად მომიმზადებენ მსოფლიოსა და დოლარეთში მომხდარი ამბების მკაფიო და სხარტ მიმოხილვას. რა ჯანდაბად ჩამეჩხირნენ მისიზ ნიუსანზი და ეგ შარახვეტია ფოლტი! – არ ცხრებოდა მისტერ სლამპი.

– ყოველ შემთხვევაში, შენს მეგობრებსა და თანამებრძოლებს მაგათ ვამჯობინებ. კი მეუხერხულება ამის თქმა, მაგრამ უნდა გულახდილად გამოგიტყდე: ჩარლი, შენი მეგობრები საოცრად უინტერესო ხალხია. გამართავენ საქმეებზე გაუთავებელ ლაილაის, თითქოს აქ საფონდო ბირჟაზე იყვნენ. რა თქმა უნდა, საქმე საქმეა, მაგრამ ადამიანს სხვა რამეზეც უნდა შეეძლოს საუბარი, მით უმეტეს – წვეულებაზე, ქალთა საზოგადოებაში.

– სრულიად მართალი ხარ, ჩემო ძვირფასო, ეგ საყვედური მეც მეხება, – დაეთანხმა მისტერ სლამპი ცოლს. – ჩვენი დროება ისეთია, რომ ძალაუნებურად სულ საქმეებზე ფიქრობ და საუბრის თემაც თითქმის ყოველთვის შენს ფინანსურ ინტერესებს ეხება.

– მათ საზოგადოებაში ზოგჯერ თავს ვერ ვიკავებ და მთქნარება ამიტყდება ხოლმე, შეიძლება, ვინმემ უზრდელობაშიც ჩამომართვას.

– ზერელე მზერით მართლაც შეიძლება, მიიჩნიო ჩვენი ბიზნესმანები მოსაწყენ ხალხად, მაგრამ ეს შეხედულება არაა მართებული. მათში ძლიერაა განვითარებული პასუხისმგებლობის გრძნობა საზოგადოების წინაშე და მათი მოღვაწეობაც განუყოფელია საზოგადოების კეთილდღეობისგან. აბა, ერთი წუთით წარმოიდგინე: საქმიანი ხალხი გაერთო განყენებულ თემებზე გა-

უთავებელი ლაპარაკით... ქვეყნის საქმიანი ცხოვრება მოიშლებოდა, მეურნეობა ჩაკვდებოდა; რადა დაემართებოდა მოსახლეობის კეთილდღეობას?

– სულ არ მაინტერესებს შენი ეკონომიკური თეორიები, მე სხვა რამეზე ვლაპარაკობ, ჩარლი. ვინ უშლით, მოუარონ საკუთარ საქმეებს, მაგრამ მხოლოდ კანტორებში, სტუმრად კი სულ სხვა რამ მოეთხოვებათ. როგორც ჩანს, კულტურასთან მწყრალად გახლავან.

– საქმიანი საკითხები უმეტესწილად სუფრასთან წყდება ხოლმე, უშუალო, გულითად გარემოში, ეს უნდა გაითვალისწინო, ჩემო ძვირფასო. გარდა ამისა, იმასაც მოგახსენებ, რომ ბევრ ჩემს მეგობარს ყველაზე პრესტიჟულ პრივილეგირებულ სასწავლებლებში აქვთ ცოდნა შეძენილი, შემდეგ საკმაო გამოცდილებაც დაგროვილი პრაქტიკული საქმიანობით და, თუ საჭირო იქნება, მრავალ კულტურულ და განათლებულ ადამიანს მისცემენ ძვირფას რჩევას, დამიჯერე.

– სასარგებლო რჩევას? რჩევისა რა გითხრა და შენც კარგად იცი, რაც დაუჯდათ და სინამდვილეში რა ფასი აქვთ ბევრი მათგანის ნაყიდ დიპლომებს. რა ეშველებოდათ, მათ მამიკოებს სქელი საფულეები რომ არ ჰქონოდათ, უბრალო კლერკადაც არავინ მიიღებდა სამსახურში. არ მეთანხმები?

– როგორ, შენ უარყოფ ჩემი მეგობრების ნიჭსა და საქმის ცოდნას? – ეწყინა მისტერ სლამპს.

– მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ, მაგალითად, მისტერ ვინტროპ ბეილი, მრავალი ასეული მილიონი დოლარისა და, ვგონებ, რამდენიმე მილიარდის პატრონიც კი, ვერაფრით გაარჩევს, რა განსხვავებაა აპენდიქსსა და აპენინებს შორის, თუმცა პრინსტონიც დაამთავრა და მსოფლიოც მოიარა.

– მისტერ ბეილი არ გახლავს ჩემი პირადი მეგობარი, მხოლოდ საერთო საქმიანი და პოლიტიკური ინტერესები გვაკავშირებს.

– შენი მეგობრები დიდად არ განსხვავდებიან მისგან. თუნდაც დღეს, ვნახავ ერთი, რაზე ისაუბრებენ. დარწმუნებული ვარ, ძველი ისტორია განმეორდება, ქალებს კი ერთი ინტელიგენტი მაინც გვეყოლება – მისტერ ფოლტი.

– ედნა, ძვირფასო, დაგვითმია ინტელიგენტი და ამასთანავე მწერალი თქვენი ბრწყინვალე ქალთა საზოგადოებისთვის – თუ არ ვცდები, მისი აუდიტორია ამჯერად შემოიფარგლება რამდენიმე ქალბატონით და აბა, თქვენ იცით, რა მაღალ მატერიებზე ისაუბრებთ!..

– კარგი, ჩარლი... გვიახლოვდებიან... საღამო მშვიდობისა, მისიზ ნიუსანზ, სალამი მისტერ ფოლტ! – მიესალმა მისიზ ედნა დარბაზში შემოსულებს. – რარიგ გაგვახარეთ, ფრიად ბედნიერი ვართ თქვენი სტუმრობით!

– ო, სადაც კი მისიზ ნიუსანზი გამოჩნდება, საზოგადოების ნამდვილი სამკაული ხდება! – გაიღიმა მისტერ სლამპმა და მისიზ ნიუსანზს ხელზე ემთხვია. – ხომ კარგად იმგზავრეთ, რა ამინდია ნიუ იორკში?

– ლილი, გთხოვ, წაიყვანო მისიზ ნიუსანზის ცუგა დანარჩენებთან, ნუ უშლი ხელს უფროსთა საუბარს, – მიმართა მისიზ ედნამ ქალიშვილს.

მისიზ ნიუსანზი კი სულმოუთქმელად ფქვავდა:

– ოჰ, ლილი, ეს შენა ხარ, შე ეშმაკო! საღამო მშვიდობისა, საღამო მშვიდობისა, ჩარლი, როგორ ბრძანდებით, მისიზ სლამპ, მე ვერ ვარ მთლად კარგად, ესენი ვინღა არიან, ამას ვის ვხედავ, მისტერ ვაილდ, როგორი მშვენიერი ამინდია, მისტერ კუკ, თქვენი ლიტლ ბოი... აჰა, ძაღლთა დარბაზშია? ჩემი ოფელიაც იქ უნდა წაიყვანონ?

– მისიზ ნიუსანზ, ოფელიას ცუგების საზოგადოება უფრო აინტერესებს ალბათ, მით უმეტეს, რომ იქ რამდენიმე ფრიად ღირსშესანიშნავი ჯენტლმანი ეგულება, – სცადა მისი დამშვიდება მისიზ ედნამ.

ლილიმ ფრთხილად ჩამოართვა მარცხენა ხელით მისიზ ნიუსანზს ფინია, მარჯვენაში მისტერ ლორდი ეჭირა:

– ნახე, ლორდ, რა ძვირფასი სტუმარი მოგიყვანა მისიზ ნიუსანზმა! მას ოფელია ჰქვია, მშვენიერი ოფელია. მოგწონს? ნუ დამიმალავ, მოგწონს?

– ოჰ, ჩემი ოფელია, ჩემი ცუგა, ისეთი ნაზია, ძალიან სათუთად მყავს გაზრდილი, – განაგრძობდა ლაქლაქს მისიზ ნიუსანზი. – ბეწვის მანტო კი ჩავაცვი, 2299 დოლარად შევიძინე, მაგრამ მაინც ვშიშობ – გრილი ნიავიც კი რომ მოხვდეს...

– დარდი ნუ გაქვთ, იქ კონდიციონერია, თბილა.

– თბილა? ვინ მიხედავს? ჩემი ოფელია ისეთი მგრძნობიარეა და საგანგებო ყურადღება სჭირდება. აფსუს, მაგის გამდელიც წამომეყვანა.

– ნუ სწუხართ, მისიზ ნიუსანზ, ცუგებს სუფრაზე ოთხი მომვლელი ადგიათ თავს.

– ჩემი ოფელიას ხასიათი არ იციან... რამე თუ აწყენინეს, ვერ გადავიტან, ბავშვივით მყავს გაზრდილი...

– მისიზ ნიუსანზ, ოფელიას ნუგბარი საჭმელები როცა მოსწყინდება, თანამეინახეთ გაესაუბრება; მერე შეუძლია ოთახში მწვანე ბალახზე გაისეირნოს. იქვეა სვეტები და ღობე "ბუნებრივი აქტებისთვის". თუ გართობა მოენატრება, რამდენიმე კატას გამოუშვებენ, ცუგები მათ ხეზე

ააგდებენ და ყეფით გულს მოიფხანენ. ყველაფერი გათვალისწინებულია, მათი სანეტაროდ მოსალხენად ყველა პირობაა შექმნილი.

– მისიზ ნიუსანზ, ოფელიას ხომ კარგი ხასიათი აქვს, ლორდს გავურიგოთ, – ეუბნება ედნა.

– რასაკვირველია, ჩემი ოფელიას ბედნიერებას წინ როგორ გადავეღობები, უნდა ვიზრუნოთ ძაღლთა რასული სიწმინდის გაუმჯობესებაზე.

– ქორწინების რეგისტრაციისთვის დაგჭირდებათ ორი მოწმე და ერთ-ერთად მე მიგულეთ, გთხოვთ, პატივი დამდოთ, – ამბობს მისიზ კუკი.

– წარმოგიდგენიათ? კატრინ კრიპმა თავისი ცუგა შეაუღლა ვიღაც უნიფხვოს მურტუკ ძაღლს – არც ქონება აქვს იმ უჯიშოს, არც მაღალი წრის ძაღლის მანერები! – აღშფოთებულია მისიზ ედნა.

– წახდა ქვეყანა და თუ უახლეს დროს არ დაარსდა "ძაღლთა ელიტის უფლებათა დამცველი ასოციაცია", საქმე სულ წავა ხელიდან! – მხარს უბამს მისიზ გლადისი.

– აქაოდა მეც ვყეფო, ყველა კუდქიცინას ვერ გავათანასწორებთ. ასე ყოფილა ღვთის მიერ დაწესებული, ასე არის და უცილობლად უნდა ასევე დარჩეს კიდეც! – არ ცხრება მისიზ ედნა.

– ლორდს რამდენი აქვს ანგარიშზე? – აინტერესებს მისიზ კუკს.

– ოფელიას კი ალბათ კარგა მოზრდილი თანხა ექნება! – თავის მხრივ, ცნობისმოყვარეობას ვერ მალავს მისიზ სლამპი.

– ალბათ სულ ცოტა ნახევარი მილიონი დოლარი მაინც! – წამოიძახა ლილიმ.

– არა, საყვარელო, 2 000 418! – თავმომწონედ ჩიფჩიფებს მისიზ ნიუსანზი. – ასე იყო პირველი იანვრისთვის და მას მერე პროცენტებიც ხომ დაერიცხებოდა! კარგად მოგეხსენებათ, რა არეული დროა; ვინ იცის, რა მომივა და საცოდავ ოფელიას უსახსროდ ხომ ვერ დავტოვებ. ამ მცირე თანხით კი ოფელია შეძლებს, საკადრისად შეინახოს თავი, როგორც მისი წრის ძაღლს შეეფერება.

– ძალიან კეთილი ნაბიჯი გადაგიდგამთ, – გული აუჩუყდა ედნას.

– ლიტლ ბოის საყვარელ ძაღლთა სასაფლაოზე – "ედემის ბაღი" – უკვე დავუბეეთ მშვენიერი ადგილი; მარმარილოს ქანდაკება და შესაბამისი წარწერაც წინასწარ დავუკვეთეთ: "ჩვენ ძალიან გვიყვარდი და ძალიან გვაკლიხარ". როგორ მოგწონთ? – ამბობს გლადის კუკი.

– "უსახლკარო კუდქიცინათა ფონდში" 381 დოლარი შევიტანე! – თავმომწონედ აცხადებს ედნა.

– ჩვენს ფინიას ბრილიანტის ყელსაბამი შევუკვეთეთ – ვნახოთ, როგორ მოეწონება. სულ – 3 307 დოლარი! – იკვეხნის მისიზ კუკი.

– ჰმ, კარგი თვალიც ეგ ყოფილა, წმინდა წყლისა! – ათვალწუნებით ამბობს მისიზ ნიუსანზი. – მე ჩემს ოფელიას ნაყალბევს არ ვაკადრებ – ძეწკვი 7 779 დოლარი და 99 სენტი დაგვიჯდა.

– მისიზ ნიუსანზ, ძეწკვი არ უნდა ბღალავდეს ჩვენი ოთხფეხა მეგობრების თავმოყვარეობას; რასაკვირველია, შეიძლება, ძვირფასი ძეწკვი-ყელსაბამი გამოვიყენოთ, მაგრამ მხოლოდ შესამკობად, – ამბობს ედნა.

– ჩემი ოფელიას გასაყეყეჩებელი პერმანენტი კვირაში 149 დოლარი ჯდება. ამას წინათ ვოშინგტონში ერთ მიღებაზე მყავდა და ფურორი მოახდინა!

– გაიგეთ? დაარსებულა "მეგობარ ოთხფეხთა უხილავი ძეწკვის საზოგადოება", რომელიც იბრძოლებს ჩვენი უტყვი მეგობრების უფლებათა დასაცავად, – დამსწრე საზოგადოებას ანათლებს ედნა. – წესდების პირველსავე პარაგრაფში წამოყენებულია დევიზი: "ძირს ძეწკვები!" დიახ, დასაშვებად მიგვაჩნია მხოლოდ უხილავი ძეწკვები, რომლებიც დააკავშირებენ ადამიანსა და მის მეგობარ ძაღლს – სიყვარულის, მფარველობის, მზრუნველობის, ერთგულების ძეწკვები.

– ცუგების სილამაზის რომელ სალონში დაგყავთ ოფელია? – აინტერესებს მისიზ კუკს.

– ეგღა მაკლია! ოსტატი ბინაზე გვაკითხავს თვეში ერთხელ – 199 დოლარი.

– ჩვენთან კი ყოველ კვირა დღეს დადის იტალიელი ფოტოგრაფი, ცუგას თითო სურათი 19 დოლარი გვიჯდება, – ამბობს მისიზ კუკი.

– ასე ძვირი? ჩვენთან 14 დოლარად და 99 სენტად იღებს ლორდს და მშვენივრადაც გამოსდის, წუნს ვერ დასდებ...

– ო, რომ იცოდეთ, მაესტრო ეტორე ნამდვილი მხატვარია, – უფროსების საუბარში ერთვება ლილი. – პირველად ვერაფერს მივაღწიეთ, ჭირვეულ ლორდს არაფრით უნდოდა, წყნარად მჯდარიყო და ობიექტივში ეცქირა. წინა დღით წვიმდა და მიღებაზე არ წავიყვანეთ, ალბათ ამიტომ გვემდუროდა. მაესტრო ეტორემ ხერხს მიმართა: დაოთხდა, ორჯერ მოკვეთილად დაიყეფა და შემდეგ მკაცრად შეაცქერდა ძაღლს თვალებში. ლორდიც გაკვირვებული მისჩერებოდა, ჩემზე უკეთ როგორ დაიყეფაო, და მაესტრო ეტორემაც არ დააყოვნა – მაშინვე დააჩხაკუნა!

– ძაღლთა რესტორანში სიარული წლიურად 20 000 დოლარზე მეტი მიჯდება, – თავმომწონედ აცხადებს მისიზ ნიუსანზი.

– ჩვენი ცუგას ოთახში ტელევიზორისა და მაგნიტოფონის დადგმა 1999 დოლარი დაგვიჯდა, სასიამოვნო ატმოსფერო შევუქმენით, – იკვეხნის მისიზ კუკიც.

– ამ ზაფხულს აკაპულკოში გავატარებთ, – აცხადებს მისიზ ნიუსანზი.

– არც ჩვენი ცუგაა სხვებზე ნაკლები, ზამთარში ფლორიდას ესტუმრება, – არ ჩამორჩა მისიზ გლადის კუკი.

– ოფელიას სამასკარადო კოსტიუმი 179 დოლარი ღირდა.

– ლიტლ ბოის პიჟამოებსა და ხალათებში 999 დოლარი მივეცით, – არ ჩამორჩება მისიზ კუკი.

– ლორდს შალის კოსტიუმის, ფეხსაცმლისა და წინდების კომპლექტი ვუშოვეთ და სულ 189 დოლარად!

– რატომ გაქვთ დღეს იისფერი თმა? – ეკითხება მისიზ ნიუსანზს მისიზ კუკი. – სამი დღის წინ ხომ ცისფერი გქონდათ?

– ცისფერი ძალიან გიხდებოდათ, ძალიან! – ადასტურებს მისიზ ედნა.

– მაშინ ცისფერი კაბა მეცვა, დღეისთვის კი იისფერი კაბა შევარჩიე – მხოლოდ 1 999 დოლარი!

– ვატყობ, სუნამოსაც ახალს ხმარობთ! – ეუბნება ედნა.

– ოფელიას სუნამო და ბრჭყალების იისფერი ლაქი 49 დოლარი და 99 სენტი დამიჯდა; შამპუნში 19 დოლარი და 99 სენტი მივეცი, ხელოვნურ წამწამებში – 29 დოლარი. ხომ კოხტად მყავს ოფელია გამოპრანჭული?.. უი, დავბერდი, სულ გამოვჩერჩეტდი ამ ბოლო ხანს, საჩუქარი როგორ დამავიწყდა! – უცებ წამოიძახა მისიზ ნიუსანზმა. – ლილი, ჩემო კარგო, რომ შემოვედი, სადღაც დავდე ცისფერი პარკი...

ლილიმ მალე მოძებნა მცირე პარკი და მისიზ ნიუსანზის თხოვნით, გახსნა. მისიზ ნიუსანზმა პარკიდან ამოიღო ქაღალდში შეხვეული რაღაც საგანი და ლილის მიაწოდა.

– მაქმანით შემკული ღამის პიჟამოა ლორდისთვის, ოფელიას საჩუქარია! – მხიარულად გამოაჩინა მშვენიერი ხელოვნური კბილები მისიზ ნიუსანზმა. – კიდევ არის პარკში სუნამოს ფლაკონი, ალბათ ლორდს მოეწონება მისი სურნელი; აგრეთვე – ხელოვნური წამწამებიც უმაღლესი ხარისხის მასალისგან..

– ლორდი ჯენტლმანია, მისიზ ნიუსანზ, – მორიდებით შეახსენა ლილიმ, – სუნამო და წამწამები უფრო ლეიდისთვის არის შესაფერი...

მისიზ ნიუსანზმა ხალისიანად უპასუხა:

– არ გცოდნია, ძვირფასო, ახალი სუნამო "წითელი ვარდი" საგანგებოდ ჯენტლმანი ძაღლებითვისაა განკუთვნილი.

ლილიმ დახედა ფლაკონს:

– დიახ, მისიზ ნიუსანზ, ასე აწერია ძაღლის თავის გამოსახულების ქვეშ, მშვენიერი სურნელიც აქვს... – ცხვირთან მიიტანა ფლაკონი ლილიმ. – აი, ამ ხელოვნურ წამწამებზე კი რა ვთქვა, არ ვიცი...

– რა გაფიქრებს, ჩემო კარგო, – ისევ შეეპასუხა მისიზ ნიუსანზი. – სხვა ძაღლებზე ხშირად მინახავს, უკანასკნელი მოდაა. ახალ, მნიშვნელოვან და ღრმა გამომეტყველებას შესძენს ლორდის მშვენიერ თვალებს.

ედნა დაეთანხმა:

– იშვიათი სილამაზის იქნება, ლილი, ლეიდი ძაღლების არშიყობისგან თავი ექნება გაბეზრებული, ნამდვილ ფურორს მოახდენს!

– ვნახოთ, – თქვა ლილიმ, – თუმცა ჩვენი ლორდი ისედაც მშვენიერია; თუმცა, თუკი სხვა ძაღლებს აქვთ, ლორდმა რა დააშავა? ერთი კვირაა ნიუ იორკში არ ვართ და ლორდი უკვე მოდას ჩამორჩა!

– მისიზ კუკ, თქვენი აბრეშუმის ანსამბლი გრანდიოზულია! – კაბებზე საუბარს აგრძელებს ედნა.

– ერთი კვირის წინ ჩავიცვი პირველად, როცა "ბოჰემას" დავესწარი, მხოლოდ 2399 დოლარი – საოცარია!

– წინა შაბათს ლილის იცით, რა ეცვა? – მხიარულად ჭიკჭიკებს ედნა. – გრძელი ყვითელი კაბა, მარგალიტებით და ნაქარგით გაწყობილი; 9 499 დოლარი მივეცით – დიორისაა!

– დღისით მოკლე, შიფონის სადღესასწაულო კაბა მეცვა, 19 999 დოლარი და 99 სენტი, – კიდევ უფრო კმაყოფილია მისიზ კუკი, ოღონდ აღარ აზუსტებს, რომელი ბრწყინვალე ხელოვანის მიერ არის ის საგანგებო შეკვეთით შექმნილი.

კარი XI. მათიუ ფოლტი ძაღლებისა და საკუთარი ბოლო რომანის შესახებ

როგორც ჩანს, ქალთა საკრებულოში მოვხვდით, თუ არ ჩავთვლით მისტერ ფოლტს, რომელიც გარიყულია საერთო საუბრიდან და მხოლოდ აკვირდება იქ მყოფ ქალბატონებს; შემდგომ კი მისთვის მოულოდნელად პატივი დასდეს და მისიზ ედნამ, როგორც დიასახლისმა, საჭიროდ ჩათვალა, მდუმარე სტუმარს გასაუბრებოდა:

– მისტერ ფოლტ, თქვენ რას გვეტყოდით ჩვენს ლორდზე?

სანამ მისტერ ფოლტი შეკითხვაზე პასუხს გასცემდა, ლილიმ წამოიძახა:

– მისტერ ფოლტ, თქვენ რამდენჯერმე ხართ ნამყოფი მამაჩემთან, მაგრამ ლორდი ჯერ არ გინახავთ! ლორდს ჯერ არცერთი მწერალი არ გაუცვნია და თქვენ გერგოთ პატივი, პირველი ყოფილიყავით... – შემდეგ ფინია მიიყვანა მისტერ ფოლტთან: – ლორდ, უყურე, ეს გახლავს მწერალი მისტერ ფოლტი, ესე იგი, ის წიგნებს წერს... თუ შეეხვეწები, შენს ცხოვრებაზეც დაწერს და საქვეყნოდ ცნობილი გახდები!

მისტერ ფოლტი მოწიწებით მოიხარა წელში:

– დიდი სიამოვნებით!.. რა სიმპათიური ცუგაა! უნდა მოგახსენოთ, მის, რომ ძაღლებზე ბევრ გამოჩენილ მწერალს აქვს დაწერილი და ეს არცაა გასაკვირი: ძაღლი ხომ ჩვენი უახლოესი მეგობარია.

ედნამ საჭიროდ ჩათვალა, გამოეჩინა საკუთარი ერუდიცია:

– სწორედ ის მოაშინაურა პირველად ადამიანმა.

– სავსებით სწორი ბრძანდებით, მისიზ! – დაუდასტურა მისტერ ფოლტმა. – ასე რომ, ძაღლმა სრულიად სამართლიანად დაიმსახურა, ლიტერატურაში შესაფერისი ძეგლი ავუგოთ.

ლილიმ ტაში შემოჰკრა:

– განსაკუთრებით კი ჩვენმა იუბილარმა! ლორდის სახელი მთელ მსოფლიოს მოეფინება!

მისტერ სლამპი რამოდენიმე წუთის წინ შემოუერთდათ, აქამდე მხოლოდ ისმენდა, რომ საუბრის მდინარებაში გარკვეულიყო, ახლა კი მასში ჩაერთო:

– მისტერ ფოლტ, მე რაღაც არ შემხვედრია რომანი ძაღლთა ცხოვრებიდან. მე მგონი, შესანიშნავი ნაწარმოები შეიძლება შეიქმნას ამ თემაზე; რა თქმა უნდა, ჯერ ჩემი ავტობიოგრაფიის დაწერაში თანამშრომლობის შემდეგ.

– უთუოდ, უთუოდ! – კმაყოფილებით დაეთანხმა მისტერ ფოლტი, ახალი დაკვეთის სუნი იგრძნო. – თუმცა, ერთია შესაძლებლობა და მეორე – განხორციელება. როგორც სავსებით სამართლიანად მიანიშნეთ მისტერ სლამპ, ჩვენი ლიტერატურა დიდ ვალშია თანამედროვეობის წინაშე, ვერ ასახავს ცხოვრებას მთელი მრავალფეროვნებით და ასეთი მშვენიერი თემა ჯერ ჯეროვნად აუთვისებელია. ძაღლთა ჟურნალებში მხოლოდ მოთხრობებს თუ შეხვდებით ჩვენი ოთხფეხი მეგობრების ცხოვრებიდან, ისიც კანტიკუნტად.

მისტერ სლამპმა მწიგნობარი კაცის იერით აიტაცა მისტერ ფოლტის მიერ ნათქვამი:

– დიდი ხანია, კრიტიკოსები ერთხმად აღნიშნავენ ლიტერატურის დაცემას და, მე ვიტყოდი, აქვთ კიდევაც ამის საფუძველი. მისტერ ფოლტ, თქვენ ნამდვილად ტიტანური შრომა მოგელით ლიტერატურის რეაბილიტაციისთვის.

– მოხარული ვიქნები, თუკი გავამართლებ თქვენს ნდობას, – თავი დაუკრა მისტერ ფოლტმა.

მისიზ ედნაც ჩართო მაღალინტელექტუალურ საუბარში:

– რატომღაც ბევრს დიდ სიამოვნებას ანიჭებს ცხოვრების ბნელ მხარეებში ქექვა... რატომ არ შეიძლება, ჩვენი ოთხფეხა მეგობრების შესახებ მიმზიდველი, მაღალმხატვრული ნაწარმოებების შექმნა, ეს ხომ ყველას დიდ სიამოვნებას მოგვანიჭებს! მისტერ ფოლტ, თუ ამ საქმეს ითავებთ, შთამომავლობა არასდროს დაივიწყებს ჩვენი ლიტერატურის რეფორმატორის სახელს, ახალი გზების მაძიებელ მწერალს.

მისტერ ფოლტი სიამოვნებით დაეთანხმა:

– ხელოვანისთვის მთავარია, მისმა ნამუშევარმა საზოგადოებაში გამოძახილი ჰპოვოს; ხალხს იზიდავს უჩვეულო, ორიგინალური თემები, როდესაც რამდენიმე საათით ადამიანს შეუძლია, იპოვოს ის სულიერი საზრდო, რასაც ელის, გაერთოს და დაისვენოს. შევეცდები, რამდენადაც უნარი შემწევს, გავამართლო ჩემზე დამყარებული იმედები. თუ თქვენც მოგეწონებათ, მე მზად ვარ...

მისტერ სლამპმა მეგობრულად მოუთათუნა მხარზე ხელი:

– მისტერ ფოლტ, მეტისმეტად ნუ თავმდაბლობთ. თქვენი უნარი კარგადაა ცნობილი და კიდევ მეტად დაფასდება, როცა ჩვენი საერთო ნამუშევარი გამოქვეყნდება. რაც შეეხება საზოგადოებრიობის გამოძახილს, ეგ ნუ გადარდებთ. მე ვკისრულობ თქვენი წიგნის გამოცემას და გასაღებასაც. დარწმუნებული ვარ, დაიტაცებენ. ისეთ რეკლამას გავუკეთებთ, წერა-კითხვის უცოდინარიც კი შეიძენს, არნახული ბესტსელერი იქნება!

ედნას ერთი სული ჰქონდა, მასაც ეთქვა რამე და, როცა მისმა მეუღლემ დაასრულა წინადადება, მაშინვე აკაკანდა:

– რა ხართ კაცები, მაშინვე ყველაფერს საქმიან ლიანდაგზე გადაიყვანთ ხოლმე!.. მისტერ ფოლტ, ამჟამად რაზე მუშაობთ? ალბათ ჯერ დაწყებულს დაამთავრებთ და შემდეგ შეუდგებით ჩარლის წიგნზე მუშაობას, შემდეგ კი – რომანზე ლორდის ცხოვრებიდან...

მისტერ ფოლტს პასუხის გაცემა არ დააცალა მისიზ ნიუსანზმა:

– დარწმუნებული ვარ, რომანი ლორდზე ბრწყინვალე იქნება, მაგრამ გარანტიას გაძლევთ, ჩემს ოფელიაზე კიდევ უკეთესი ნაწარმოების შექმნა შეიძლება. ჩემი ოფელია ისეთი ნაზი, ისეთი

მგრძნობიარეა... – მერე უცებ გაახსენდა: – მის ლილი, ჩემი ოფელია სად არის? მომიყვანეთ, რამე არ მოუვიდეს!..

– ნუ სწუხხართ, მისიზ ნიუსანზ, ოფელია ალბათ უკვე მეორე კერძს უმკლავდება. ძალიან მოსწონს ამხანაგების საზოგადოება და მთხოვა, გადმოგცეთ, რომ ძალიან უყვარხართ და ცოტათი მოენატრეთ.

– ძლიერ ვდელავ, კუჭი არ აეშალოს, ოფელია ისეთი სუსტია...

ედნამ მიმართა ქმარს:

– ჩარლი, არ იქნებოდა ურიგო, ჩვენც გადასულიყავით სასადილო დარბაზში, კარგა დრო გავიდა.

მისტერ სლამპმა მაჯის საათს დახედა:

– ნახევარი საათი კიდევ შევიცადოთ, სამი-ოთხი კაცის მოსვლას კიდევ ველი.

ედნა ახლა მწერალს მიუბრუნდა:

– მისტერ ფოლტ, თვენს ნაწარმოებზე გინდოდათ გეთქვათ...

– მაპატიეთ, მისიზ სლამპ, ახლავე მოგახსენებთ... დღეს კაცობრიობას ბევრი პრობლემა აღელვებს, მაგრამ ერთ-ერთ პირველ ადგილზე უნდა დავსვათ კოსმოსთან დაკავშირებული საკითხები. სწორედ მას ვუძღვენი ჩემი ბოლო ორი რომანი; საკითხს ვუდგები საკაცობრიო-ფილოსოფიური ასპექტით...

– უჰ, რა კარგია! – ტაში შემოჰკრა ლილიმ. – რა ხდება კოსმოსში? ალბათ გაქცეული შეყვარებული ქალ-ვაჟი მშობლებს მთვარეზე დაემალებიან...

მისიზ ედნამ შვილი დატუქსა:

– ლილი, ხელს ნუ უშლი!.. აცალე უფროსებს საუბარი... – შემდეგ მწერალს მიმართა: – განაგრძეთ, მისტერ ფოლტ.

– ჩემს მეთხუთმეტე რომანში ავსახე სამი დოლარელი ასტრონავტის გაფრენა დედამიწიდან მარსზე. როდესაც საფრენი აპარატი დაეშვება ამ პლანეტაზე, გაკვირვებული დოლარელნი აღმოაჩენენ მხოლოდ ექვს მარსელს, გაყოფილს ორ ურთიერთ საწინააღმდეგო ბანაკად – თითოეულში სამ-სამი კაცი. დოლარელნი იკითხავენ ამ უცნაურობის მიზეზს და გაიგებენ, რომ თავის დროზე მარსზე ცხოვრობდა რამდენიმე მილიარდი მარსელი, არსებობდა ორასამდე სახელმწიფო. ეს სახელმწიფოები ხშირად ომობდნენ ერთმანეთთან და საბოლოოდ ჩამოყალიბდა ურთიერთ მტრული სახელმწიფოების ორი დაპირისპირებული ბანაკი. მარსი ყანების მაგივრად დაიფარა სამხედრო პოლიგონებით და სხვა სამხედრო დანიშნულების ნაგებობებით; წარმოიშვა ეგრეთწოდებული სამხედრო არხების სისტემა, რომელიც განუწყვეტლივ უმჯობესდებოდა. ატომგულური ენერგიის აღმოჩენამ განაპირობა ატომისა და წყალბადის ბომბების დაგროვება. დაიწყო თერმოატომგულური ომი, რის შედეგადაც საბოლოოდ მარსზე ორივე მხრიდან გადარჩა მხოლოდ სამ-სამი მარსელი, ისინიც დაუძლურებულნი და დათრგუნულნი. დოლარელნი დაიმორჩილებენ ექვსივე მარსელს და საფუძველს ჩაუყრიან ახალ ცივილიზაციას... აი, ამგვარად გამოიყურება ჩემი ბოლო რომანის მეტად გამარტივებულად გადმოცემული სიუჟეტური ქარგა.

– რა დაარქვით რომანს? – დაინტერესდა მისტერ სლამპი.

– "მარსი – ომის ღმერთი", სირ.

მისტერ სლამპი რატომღაც უკმაყოფილო ჩანს:

– მართალი მოგახსენოთ, არ ვარ მაინცდამაინც აღფრთოვანებული თქვენი ოპუსის ჩანაფიქრით – მეტისმეტად პესიმისტური კონცეფცია უდევს საფუძვლად... და წესიერად ვერც კი გაიგებ, რისი თქმა სურს ავტორს. მე მგონი, აჯობებდა, ასტრონავტ დოლარელებს დროზე ჩაესწროთ მარსზე და მათი ჩარევით ორივე მხარეს დაედო მუდმივი ზავი; შემდეგ კი ზედგამოჭრილი იქნებოდა ახალი ცივილიზაციის დაწყება დოლარელთა მეთაურობით. ჩვენ ვიკისრეთ მისია მთელი მსოფლიოს წინაშე და პასუხისმგებლები ვართ საქმეთა მდგომარეობისთვის ყველგან, კოსმოსის ჩათვლით. ეს იდეა რელიეფურად უნდა იყოს ნაჩვენები რომანში, ასტრონავტების როლი კი პასიურია. დიდი ვაუკაცობაა, თუკი რამდენიმე დაბეჩავებულ მარსელს დაიმორჩილებენ! მოკლედ, რომანს ფრიად კარდინალური გადაკეთება არ აწყენს, მეტისმეტად უსიამოვნო ასოციაციებს გამოიწვევს მკითხველში. ჩვენ, დოლარელები, ბუნებით ოპტიმისტები ვართ! აი, ეს განწყობა უნდა კიდევ უფრო გავაძლიეროთ!

მისტერ ფოლტი გაუბედავად აბუტბუტდა:

– დიახ, მართალს ბრძანებთ... შევეცდები, სირ... აუცილებლად გავითვალისწინებ...

– ფინალი რამდენადმე უკეთესი უჩანს რომანს, მაგრამ ეს საქმეს ვერ შველის. დოლარელი ასტრონავტები უფრო ქმედით მონაწილეობას რომ მიიღებდნენ სიუჟეტში, განა ჩვენი ხასიათის საუკეთესო თვისებებს არ გამოამჟღავნებენ?

– სავსებით გეთანხმებით, სირ...

აქ საუბარში მისიზ ნიუსანზი ჩაერთო:

– მისტერ ფოლტ, ხომ არ იცნობთ იმ ასტრონავტთაგან რომელიმეს, ერთ-ერთს მაინც? რაკი მარსზე თავისუფალი მიწები ყოფილა, არ იქნებოდა ურიგო, მიწის ნაკვეთი მეყიდა ჩემთვის და ჩემი ოფელიასთვის... მიშუამდგომლეთ, გეთაყვა!

მისტერ ფოლტმა მისიზ ნიუსანზისთვის მოულოდნელი სიმტკიცე გამოამჟღავნა:

– მისიზ ნიუსანზ, ეს ყოვლად შეუძლებელია!

– რატომ? ფასი არ დამაკავებს, არც თქვენ და ის ასტრონავტი დარჩებით წაგებულნი.

– მისიზ ნიუსანზ, მთელი ეს ამბავი ხომ ჩემი ფანტაზიის ნაყოფია! როგორ უნდა გიშუამდგომლოთ ადამიანთან, რომელიც სინამდვილეში არ არსებობს?

მისიზ ნიუსანზი საკმაოდ განაწყენებული ჩანს:

– თავისუფალი მიწები არის მარსზე, ამას ხომ ვერ უარყოფთ? ვინმემ ხომ უნდა შეიძინოს ისინი?

მისტერ ფოლტი დაბნეულია, არ იცის, რა უპასუხოს. მშველელად მისტერ სლამპი გამოუჩნდა:

– მისიზ ნიუსანზ, მისტერ ფოლტი ვერ გიშველით, ჯობს, მიაკითხოთ ნიუ იორკში კომპანიას, რომელიც სწორედ ასეთ საქმეებს განაგებს. ამოარჩევთ ნაკვეთს რომელზედაც გნებავთ პლანეტაზე – მარსზე, ვენერაზე, მთვარეზე...

– მისამართს ვერ მიბოძებთ? – გახარებულია მისიზ ნიუსანზი.

– სიამოვნებით, ჩემს მდივანს აქვს. ოღონდ ისიც გაითვალისწინეთ, რომ ამ საქმეში დაბანდებული თქვენი ფული შეიძლება წყალში გადაყრილი აღმოჩნდეს, მისიზ ნიუსანზ. ჩემს მოვალეობად ვთვლი, გაგაფრთხილოთ...

– რატომ, ყალთაბანდების ხელში ხომ არ არის ეს საქმე?

– პლანეტების ათვისებამდე ჯერ ძალიან შორს არის, მისიზ ნიუსანზ, თორემ აქამდე ერთი ნაკვეთიც არ დარჩებოდა გაუყიდველი.

– არა უშავს, ყოველი შემთხვევისთვის, მაინც შევიძენ ერთ ნაკვეთს, ვინ იცის, რა მოხდება...

მისტერ ფოლტმა მოუბოდიშა მისიზ ნიუსანზს:

– ფრიად ვწუხვარ, რომ მე ვერაფრით დაგეხმარებით, გთხოვთ, მაპატიოთ...

მისიზ ნიუსანზს გული მოულბა, მიმართავს მისტერ ფოლტს:

– მისტერ ფოლტ! ერთი თხოვნა უნდა შემისრულოთ...

– თქვენს მსახურად მიგულეთ, რაც ჩემს ძალ-ღონეს არ აღემატება...

– თუკი ლორდზე რომანის შექმნას აპირებთ, ჩემი ოფელიაც არ უნდა დავივიწყოთ... დაწერეთ თქვენს კოსმოსურ რომანში, რომ ასტრონავტებმა ჩემი ოფელია თან წაიყვანეს რაკეტით მარსზე! ეს თქვენ არ გაგიჭირდებათ, ჩემი ოფელია კი ისტორიაში შევა, როგორც პირველი ცუგა, რომელმაც ფეხი დაადგა სხვა პლანეტაზე!

– მისიზ, არ ვიცი, რა გიპასუხოთ, მეტად უხერხულად ვგრძნობ თავს... წმინდა წყლის ფანტასტიკაა!

– ნუ მოგერიდებათ, გეთაყვა, მითხარით, რა ეღირება? ახლავე გამოგიწერთ ჩეკს!

– თუმცა... კაცმა რომ თქვას, რა არის აქ შეუძლებელი? – მცირე პაუზის შემდეგ გამოეხმაურა მისიზ ნიუსანზს მისტერ ფოლტი. – მეორე, მასობრივ გამოცემაში აუცილებლად შევიტან კორექტივებს და ოფელიას დავაკისრებ ფრიად მნიშვნელოვან როლს... მოგეხსენებათ, ადამიანზე ადრე კოსმოსში რამდენიმე ძაღლი გაფრინდა! სხვა შესაძლებლობაც არსებობს: მისიზ ნიუსანზ, თუ თანახმა იქნებით, თქვენს ოფელიას ერთ-ერთ მოქმედ პერსონაჟად ვაქცევ ჩემს ახალ, ასევე კოსმოსისადმი მიძღვნილ რომანში, რომელსაც ახლა ვწერ... ტექნიკურად ეს უფრო იოლი იქნება ჩემთვის, ამასთანავე, უფრო მოზრდილი როლის გათვალისწინებასაც შევძლებ...

– გეთაყვა, დიდად გავიხარებ, თუკი ჩემს ოფელიას ორივე რომანში მიუჩენთ შესაბამის ადგილს!

კარი XIV. დაუკვირდით ქალთა კაბების სიგრძეს!

ახლა კი დროა, მამაკაცებსაც მივხედოთ.

რამდენიმე კაცი, რომელთაც ხელში ჭიქები უპყრიათ და ნელ-ნელა წრუპავენ სასმელს, ზანტად საუბრობენ, აქაც ყველაზე ხშირად წარმოითქმის სიტყვა "დოლარი" – ცხადია, რომელიმე მოზრდილი ციფრის შემდეგ. მუქ სმოუკინგებს ზევით თამბაქოს ბოლი ასევე ზანტად მიიზლაზნება, კაცები ისვენებენ, საუბრობენ სულ სხვადასხვა თემებზე, წამდაუწუმ ისმის საყვარელი სიტყვები: "ფული", "დაგროვება", "პროცენტი", "მოგება", "ანგარიში", "ამდენი დოლარი", "იმდენი დოლარი", "პირველადი არჩევნები", "გარანტია"... ისევ – "რამდენიმე მილიონი დოლარი", ისევ – "მოგება" და ასე დაუსრულებლად. დროდადრო გამოერევა: "ბირჟა", "კრედიტი", "დივიდენდი"...

– ცოტა ხანში ბირჟაზე აღმავლობას უნდა მოველოდეთ, – აცხადებს მისტერ ვაილდი.

– ნუ გვაცინებთ თქვენი სასაცილო, უსაფუძვლო ოპტიმიზმით, – არ ეთანხმება მისტერ კუკი. – პრეზიდენტის ბოლო მიმართვას ხომ არ უმოქმედია თქვენზე?

– არა გჯერათ? მისიზ ნიუსანზის კაბას დააკვირდით, – ურჩევს მისტერ ვაილდი.

– რა არის შესახედავი, დიდი-დიდი 1200-დოლარიანია.

– ერთი ბოსტონელი მაკლერი ირწმუნება, რომ საჭიროა, დაჟინებით ვადევნოთ თვალყური ქალთა კაბების სიგრძეს, რადგან ესაა ბირჟის ტენდენციების უტყუარი მაჩვენებელიო.

– კი, სირ, ვადევნებ, – ერთვება საკითხის განხილვაში მისტერ ჯოგლი. – მისიზ ნიუსანზის კაბა, მართალია, კოსმოსურ სივრცეებს ვერ უახლოვდება, მაგრამ მუხლების სტრატოსფეროს კი საკმაოდ დიდი სიმაღლიდან დასცქერის. ჰოდა, ოცდაათიანი წლების დასაწყისში დიდი დეპრესიის დროს კაბები დაგრძელდა კოჭებამდე, ხოლო 7-8 წლის შემდეგ კი დამოკლდა და ბირჟაზეც აღმავლობა შეიმჩნეოდა.

ო, უნდა მოგახსენოთ, რომ ავტორის თუ კარისკაცის მოვალეობას ვერ ვასრულებ ჯეროვნად: აგერ რამდენიმე პატივსაცემი გვამი შემატებია დარბაზს (მათი საერთო ღირებულება ალბათ არაერთ მილიარდ დოლარს აღწევს), თავიანთი მეუღლეებით, შვილებითა და ცუგებით, – მათზე კი არაფერი გვითქვამს. საკმაოდ დიდი ხმაურია, თუმცა თითოეული ცდილობს, როგორც 100%-იან ჯენტლმანს შეეფერება, ხმადაბლა ილაპარაკოს. აი ის, სქელი და მელოტი, პირმრგვალი მამაკაცი სარჯენტ ჯოგლი გახლავთ; ასევე ტანსრული, ოღონდ ბევრად მაღალი, ედვარდ შრაივერია... სხვათა შორის, ედვარდ შრაივერს სარჯენტ ჯოგლის პირველი ცოლი ჰყავს თანამეცხედრედ, ხოლო ჯოგლის ახლანდელი ცოლი კუკის მეუღლე გახლდათ ერთ დროს... რიჩარდ კუკის ახლანდელი ცოლი კი პირველად ედვარდ შრაივერზე გათხოვდა. ბოდიში, ვგონებ შევცდი: შრაივერამდე მისი ქმარი იყო ჩესტერ ვილსონ ჰანტერი, ჰანტერს კი, თუ მეხსიერება არ მღალატობს, მისტერ ჩარლზ სლამპის ცოლისდა უნდა ჰყოლოდა უკანასკნელის გარდაცვალებამდე... ახლა კი ჰანტერს მისიზ ნიუსანზის უმცროსი და ჰყავს ცოლად; ეს უკანასკნელი კი თავის დროზე გასცილდა ანდრიუ მათიუზს, თუმცა არ შეუწყვეტია ყოფილ მეუღლესთან მეგობრულ-ფინანსური ურთიერთობა...

ყურადღება! სწორედ ანდრიუ მათიუზის ძმა, ჯონი, შემობრძანდა დარბაზში თავისი ძვირფასი მეორე ნახევრით – ჯეინი ტექსასელი რობერტ ბეინზ ვაილდის ღვიძლი და უნდა ბრძანდებოდეს; მისტერ ვაილდმა კი მეორედ იქორწინა მისტერ ჰანტერის ცოლისდაზე, რომელიც (და), თავის მხრივ, ედნა სლამპის მამიდაშვილი უნდა ბრძანდებოდეს. თუ მისიზ ნიუსანზის და? ეშმაკმა დალახვროს, ამერია დავთრები...

კარი XIII. კოსმოსური დეტექტივი აფორიაქებს წვეულებას...

კვლავ ახალ სტუმრებს – მისტერ და მისიზ მათიუზებს – მისტერ და მისიზ სლამპები შეეგებნენ, შემდეგ ყველანი გაჩირაღდნებული სასტუმრო დარბაზის ერთ კუთხეში ერთ-ერთ ჯგუფს შეუერთდნენ.

მის ლილი მიიჭრა მისტერ და მისიზ მათუიზებთან (ცოლს ხელში ეჭირა თოვლივით ქათქათა ფინია):

– მობრძანდით, მობრძანდით, ლორდი ძლიერ მოხარულია! – ლილიმ ჩამოართვა მისიზ მათუიზს ძაღლი, მიუალერსა: – რა მშვენიერია თქვენი თოვლა!

მისიზ მათიუზმაც არ დააყოვნა მობერებულ, რაღაც საცხით დაფარულ სახეზე თვალისმომჭრელი ღიმილის გამოსახვა:

– პატარა თოვლა გულითადად ულოცავს დაბადების დღეს იუბილარს და უსურვებს მას ჯანმრთელობასა და ბედნიერებას! მისი სახელით, პატივი გვაქვს, მივიწვიოთ ლორდი ფლორიდაში, ზღვის სანაპიროზე დასასვენებლად. ნურაფრის დარდი გექნებათ: ისინი დაისვენებენ ერთ-ერთ საუკეთესო პანსიონში; არაფერი მოაკლდებათ: ძაღლთა მოდების მაღაზია, მუსიკალური სალონი, სათამაშო მოედნები, სილამაზის სალონი...

– ლორდი უღრმეს მადლობას გწირავთ! თქვენს თოვლას არ მოვაწყენთ, ლორდთან და მის სხვა სტუმრებთან მივიყვან. იმედია, მისტერ ფოლტი შემდგომ აგვიწერს თოვლასა და ლორდის ცხოვრებას აგარაკზე, თუკი მასაც მივიწვევთ აგარაკზე... თანახმა ხართ, მისტერ ფოლტ?

მწერალი კმაყოფილი ღიმილით მიეფერა თოვლას, ზურგზე ხელი გადაუსვა:

– ო, მის ლილი, ამ მშფოთვარე კოსმოსური ომების შემდეგ დიდად სასიამოვნო და ჯანმრთელობისთვის სასარგებლო იქნება ჩემთვის სრულიად ახალ სფეროს შევეხო და ახალი ფურცელი გადავშალო ჩემს შემოქმედებაში. რა თქმა უნდა, დიდად საპატიოც იქნება ჩემთვის და უკვე ახლა საუცხოო სიუჟეტი იბადება! მართლაც, რა გულის ამაჩუყებელი იქნება ლორდისა ერთის მხრივ და თოვლასა და ოფელიას შორის მეორე მხრივ... მათი ფლირტი, ეჭვიანობა, გაბუტვები, შემდეგ – შერიგება... დიდებული იდეაა! წიგნს სახელად დავარქმევ "ლორდი ორ ცეცხლშუა"!

აქ მისიზ ნიუსანზმა ენერგიულად გამოთქვა უკმაყოფილება:

– მისტერ ფოლტ, თქვენგან ასეთ უყურადღებობას თუ უმადურობას არ მოველოდი! როგორ გაიფიქრეთ, რომ სათაურში ოფელიას სახელი არც ახსენოთ!

მისტერ ფოლტი მაშინვე დაეთანხმა:

– ბოდიშს ვიხდი, ამ საქმეს ადვილად მოევლება... გთხოვთ, თქვენი ვარიანტი შემოგვთავაზოთ.

– “ოფელია და ლორდი” მშვენიერი იქნება!

მისიზ მათიუზს უნდოდა, რაღაც ეთქვა, მისი სახის გამომეტყველებით თუ ვიმსჯელებთ, საკუთარი ცუგას დაცვას აპირებდა, პრიორიტეტი თოვლას ეკუთვნისო, მაგრამ მისიზ ნიუსანზმა ცხარედ გააგრძელა:

– მის ლილი, ჩემი ოფელია რა უყავით? მომიყვანეთ ახლავე, უიმისოდ თითქოს დავობლდი, ბავშვივით მყავს გაზრდილი, ახლავე მინდა მისი ნახვა...

– ოფელია, მისიზ ნიუსანზ, უკვე დესერტს მიირთმევს, მშვენიერ ხასიათზეა და სალამსაც გითვლით. წავალ და ერთხელ კიდევ დავხედავ, თან თოვლასაც მივუერთებ მათ კომპანიას.

– ჩარლი, ვგონებ, დროა, საბანკეტო დარბაზში გადავიდეთ., – უთხრა მისიზ სლამპმა მეუღლეს.

– ხვალ კვირადღეა, რა გვეჩქარება. ხომ გითხარი, კიდევ ორი-სამი საჭირო კაცი უნდა შემოგვემატოს, მათი აზრი ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანია.

– რა მოხდა, ორი-სამი ცუგა თუ არ გვეწვევა.

– ედნა, ხუმრობ თუ ჩემი გაბრაზება გინდა? – უპასუხა მისტერ სლამპმა ხმადაბლა, მაგრამ საყვედურით. მათი ძაღლები ეშმაკსაც წაუღია. პარტიის კონვენტი კარზეა მომდგარი და სულ მცირედი წინდაუხედაობა ძვირად დამიჯდება. ძალიან გთხოვ, ყოველი შემთხვევისთვის თვალყური გეჭიროს, – ხომ იცი, თათბირის დროს კარი დაკეტილი გვექნება, – ვინმე საეჭვო არ იყოს გარეული სტუმრებში და არ ჩამიფლავდეს თათბირი.

– მისიზ ნიუსანზი? თუ მისტერ ფოლტი? ჰა-ჰა-ჰა!..

– არ ვიცი. შესაძლოა, შენც კი... მხოლოდ ნოემბერში გავიგებ ყველაფერს, რაც კულისებს მიღმა ხდება ახლა.

– ჩვენსკენ მოდიან, ფრთხილად...

მისტერ და მისიზ სლამპები ისევ მოსაუბრეთა ერთ-ერთ ჯგუფს შეუერთდნენ, სადაც მამაკაცები ჭარბობდნენ.

– მაინც, როგორი პერსპექტივებია? ეს საკითხი ყველას გვაღელვებს, – თქვა მისტერ კუკმა..

– დიახ, თუ ნიუიორკელი ბანკირი ფაუდლინგი ლოზანასა და ციურიხს ესტუმრა, თანაც ფრიად საიდუმლოდ, კარგს არაფერს ველი, – ფიქრიანად მოჭუტა თვალები მისტერ ვაილდმა.

– თუ დევალვაცია მოხდა, წინასწარ რთული ოპერაციების ჩატარება მოგვიწევს, – დაამატა მისტერ კუკმა.

– პრეზიდენტი, დარწმუნებული ვარ, ამ დღეებში მხარს დაუჭერს ჩარლის კანდიდატურას და ეს ბევრისთვის არცთუ სასიამოვნო მოულოდნელობა იქნება, – ვარაუდი გამოთქვა მისტერ მათიუზმა..

– ჩვენთვის კი დიდი იმედის მომცემი, – დაეთანხმა მას მისტერ კუკი..

– წაიკითხეთ სტეინლის ბოლო რომანი? ბესტსელერებში ამჟამად პირველი მიდის, – სხვა თემას მიმართა მისტერ შრაივერმა..

– ისევ პოლიტიკური დეტექტივია? მისი წინა რომანი “პრეზიდენტის არჩევნები” საზარელ შთაბეჭდილებას ახდენს, – დაემანჭა სახე მისტერ სლამპს.

– თუ დეტექტივია, მეც წავიკითხავ, სხვას არაფერს ვკითხულობ; ჰო, კიდევ – მხოლოდ ფინანსისტთათვის განკუთვნილ ჟურნალ-გაზეთებს, – განაცხადა მისტერ ვაილდმა.

– მისტერ ფოლტ, თქვენც რომანებს წერთ, ხომ ასეა? წელს რით გაგვახარებთ? – იკითხა მისტერ კუკმა.

– ჩემი მეთექვსმეტე რომანი “კოსმოსური დუელი”, რომელსაც ახლა ვწერ, მიეძღვნება თანამედროვეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თემას, რომელიც უკვე საკმაო ხანია, დოლარელი სამხედრო ფუტუროლოგების ყურადღებას იქცევს, – უპასუხა მისტერ ფოლტმა. – ყველას კარგად მოგეხსენებათ: კოსმოსში არსებობს სტრატეგიული მნიშვნელობის რაიონები, რომლებიც ფრიად მნიშვნელოვანია დოლარეთის კომერციული, სამხედრო თუ სამეცნიერო პროგრამებისთვის. მათი ხელში ჩაგდება პირველხარისხოვანი სტრატეგიული ამოცანაა, თუ არ გვინდა, მეორე ან მესამეხარისხოვან სახელმწიფოდ დავკნინდეთ. ამ მისიის შესრულება ევალება ხუთ დოლარელს, რომლებიც არ არიან დაავადებული საერთო სკეფსისით და ლიბერალური სისუსტის რაიმე გამოვლინებით. მართული ორბიტული ლაბორატორიიდან ისინი უნდა გაემართონ კოსმოსური ხომალდით “გოლდენ სიტი” ჯერ ვენერაზე, შემდეგ კი – მარსზე, რათა მტერს არ მისცენ საშუალება, დაიკავონ ხელსაყრელი სტრატეგიული პუნქტები...

– მთვარე? – იკითხა მისტერ ჰანტერმა.

– მთვარე კარგა ხანია, დანაწილებულია გავლენის სფეროებად, – არ დაუხანებია პასუხი მისტერ ფოლტს. – დიახ, ამ დროს თავდაცვის სამინისტროს კოსმოჯარების სარდალი დოლარეთის პრეზიდენტს ატყობინებს, რომ იმავე მისიით მარსისკენ უნდა გაემართოს მტრის კოსმოსური ჯგუფი... პრეზიდენტი გადაწყვეტს, უბრძანოს “გოლდენ სიტის” ეკიპაჟს, გაანადგუროს მოწინააღმდეგის მართული ორბიტული ლაბორატორია, რათა არ დაუშვას იქიდან რაკეტის სტარტი... მაგრამ თავდაცვის სამინისტროში აღმოჩნდება კარგად შენიღბული მოღალატე-პაციფისტი, რომელიც წინ აღუდგება თავდაცვის მინისტრისა და პრეზიდენტის ბრძანებებს...

– რა მოტივით? – გაფაციცებული ელის პასუხს მისტერ ჰანტერი, ყოფილი გენერალი.

– კონგრესს არ მიუცია ასეთი უფლებამოსილება პრეზიდენტისთვისო, ეს ომის დაწყებაოო... – მისტერ ფოლტი დიდად კმაყოფილია, რომ დაინტერესებულნი არიან მისი შემოქმედებითი ნაღვაწით. – მოკლედ, მტერი ამ შეყოვნების შედეგად თვით მოასწრებს მოსპოს "გოლდენ სიტი". იწყება გიგანტური კოსმოსური ღუელი მართულ ორბიტულ ქვეგანაყოფებს შორისაც, შემდგომ კი ომის ხანძარი დედამიწასაც მოედება... რომანის ბოლო ფურცლებზე საზარელი სურათი აღვბეჭდე: ოკეანის მძვინვარე ტალღებით სანახევროდ დატბორილი ნიუ იორკი, მკვდარი ნიუ იორკი... აფეთქებათა მგრგვინავი გამოძახილი – და ოკეანის ტალღებში ინთქმება ყველაფერი – საყოველთაო ისტერიაც, მსოფლიო კატაკლიზმის წინათგრძნობებიც; მიამიტ ურწმუნოთა გვამები არეულია უხერხემლო ლიბერალთა მძორებთან... სიცოცხლე, მისი ყოველი გამოვლინება, ჩაკვდა, ისევ და ისევ ისმის გრუხუნი, აფეთქებათა გიგანტური ბათქები მტვრად და ფერფლად აქცევს ყველაფერს...

– მეშინია, მეშინია... მართლაც, ხომ შეიძლება, ასე მოხდეს? – იკითხა მისიზ ნიუსანზმა, რომელიც ყოველთვის იმ ჯგუფთან მივიდოდა, სადაც მისტერ ფოლტი იყო ხოლმე; უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, რომ მისტერ ფოლტი გადაინაცვლებდა ხოლმე მისიზ ნიუსანზის გადაადგილების კვალობაზე.

– ცხადზე უცხადესია, მისიზ ნიუსანზ, – უპასუხა მისტერ ფოლტმა.

– სწორედ ამიტომ არის საჭირო სიფრთხილე – არ უნდა ვიყოთ სუსტნი, რათა არ გაგვსრისონ, – თავდაჯერებით გამოაცხადა მისტერ ჰანტერმა.

– მომიყვანეთ ჩემი ოფელია, შინ მივდივარ... – აწრიალდა მისიზ ნიუსანზი.

– ლიბერალთა ჭკუამოკლე ლაყბობას თუ ავყევით, დამარცხება გარდუვალია! – აგრძელებდა საკუთარი შეხედულების გადმოცემას მისტერ ჰანტერი..

– ჩემი საბრალო ოფელია! – არ ჩერდებოდა მისიზ ნიუსანზი.

– რაო, მართლა ხომ არ მომხდარა რამე? – ჯგუფს შემოუერთდა მისიზ სლამპი. – რამ აგაღელვათ, მისიზ ნიუსანზ?

– მადლობა ღმერთს, ბაღში კარგა ხანია, ატომსაწინააღმდეგო თავშესაფარი გავმართე, – კმაყოფილი აბოლებს კუბურ სიგარას მისტერ ვაილდი.

– სწორედ დროული წიგნი დაგიწერიათ, სიფხიზლე არ უნდა მოვადუნოთ, – ამბობს მისტერ კუკი. – ეს ფანტაზია ფრიად ახლოსაა რეალურ შესაძლებლობასთან; არ არის გამორიცხული, რომ...

– ჩვენ სიმტკიცე და სიძლიერე უნდა გამოვიჩინოთ! – მტკიცედ აცხადებს მისტერ ჰანტერი.

– მისტერ კუკს ტელეფონთან სთხოვენ!

საკმაოდ ხმამაღლა, მაგრამ მშვიდად წარმოთქმულმა ბოლო სიტყვებმა ერთგვარად რეალობის წიაღში დააბრუნა დარბაზში მყოფნი.

კარი XIV. სოდომი და გომორა

დარბაზში შემოსულმა გავერნორის მდივანმა ბობი ტეილორმა ისევ გაიმეორა:

– მისტერ კუკს ტელეფონთან სთხოვენ.

მისტერ კუკი:

– მაპატიეთ, ერთი წუთით... გისმენთ... დიახ, კუკი გახლავართ... ჰა?.. გაიმეორეთ, გეთაყვა... რა?.. – მისტერ კუკმა თვალები გადმოკარკლა და წამოიძახა: – შეუძლებელია, შეუძლებელია!..

მისტერ კუკის ხმის უჩვეულო ნირმა უნებურად ყველა მისკენ მიახედა. სიჩუმე ჩამოვარდა.

– დიახ, სი დაბლიუ აქ ბრძანდება... – გაუწოდა ყურმილი ჩესტერ ჰანტერს.

– ვინ არის, ასე ფამილარულად რომ მახსენებს?.. დიახ, დიახ... რა ქანდაკება?

სტუმრები აჩოჩქოლდნენ.

– ქანდაკებაო? გუგენჰაიმის დირექციაში ხომ არ შევეშალეთ? – იკითხა მისტერ კუკმა.

ფიცხი გენერალი ჩესტერ ჰანტერი კი თითქოს დამუნჯდა. ბოლოს ამოღერღა:

– არა, ეს სისულელეა, გაუგებრობაა... სლამპი?

ბოლოს, მასპინძელმაც ვერ გაუძლო დაძაბულ გაურკვევლობას და ჰანტერთან მივიდა. მისტერ სლამპს ყურმილი არც ჰქონდა წესიერად ხელში აღებული, რომ უკვე შეტევაზე გადავიდა:

– სისულელეებს თავი ანებეთ... რას ჩმახავთ?.. ქანდაკება?.. რომელი ქანდაკება?.. შევამოწმო? ჰმ!.. – და მისტერ სლამპმა ხმაურით დაახეთქა ყურმილი აპარატზე.

– ჩარლი... – მხოლოდ ამის თქმა მოასწრო მისიზ ედნა სლამპმა, რომ მისიზ ნიუსანზმა შეაწყვეტინა:

– რა მოხდა?

მისტერ სლამპმა, გაბრაზებისგან გაწითლებულმა, დაიგრგვინა:

– ვიღაც რეგვენი და ვიგინდარა დიდ პატივს მდებს და მატყობინებს, რომ ნიუ იორკში თავისუფლების ქანდაკება მოიტაცეს!.. როგორ მოგწონთ ხუმრობა? საინტერესოა, ვინ მირევს...

– ხუმრობა? აბა, ტელევიზიით სწორედ ამაზე გადმოსცემენო? – თქვა მისტერ ჰანტერმა.

ყველა აპირებდა რაღაცის თქმას, მაგრამ თითქოს დაიბნენ მოულოდნელობისგან და ვერ გადაეწყვიტათ, როგორ გამოხმაურებოდნენ – სასაცილო ამბავი იყო თუ ტრაგიკული, უშნო ხუმრობის მსხვერპლნი გახდნენ თუ ქანდაკების მოპარვა ნამდვილად მოხდა.

– მომიყვანეთ ჩემი ოფელია, შინ მივდივარ! სასწრაფოდ მომგვარეთ! – ისტერიულად აყვირდა მისიზ ნიუსანზი.

– ნუ ღელავთ, აქ რაღაც გაუგებრობაა... – ცდილობდა მის დაწყნარებას მისტერ სლამპი.

– ტელევიზორი ჩავრთოთ და გაირკვევა ყველაფერი, – თქვა მისტერ მათიუზმა.

– ბობი, ტელევიზორი! – იყვირა მისტერ სლამპმა.

ბობი ტეილორმა მოარბენინა საგზაო ბრტყელი ტელევიზორი და სანამ სახელურებს დაატრიალებდა, მისტერ ჩარლზ სლამპმა მოუთმენლად გამოსტაცა ხელიდან.

მალე დარბაზს მოეფინა სროლისა და ყვირილის ხმები – კაუბოური ფილმი... შემდეგი არხით – ძაღლთა კონსერვების რეკლამა; ცუგები ისე მადიანად მიირთმევენ, რომ შენც მოგინდება... ეს კი დეტექტივი უნდა იყოს... შემდეგი არხი – ისევ კაუბოები... მერე ისევ პოლიციური ფილმი – პოლიციელთა მანქანები სირენების ღრიალით მისდევენ რომელიღაც მანქანას... აჰა, საჭირო არხიც... გავერნორის გარშემო შემოჯარულნი ხედავენ ერთ-ერთ პოპულარულ ტელედიქტორს ვოლტერ დისერვს, რომელიც აღელვებული გადმოსცემს ცნობას:

– ავაზაკები უთუოდ უმოკლეს ვადაში პოლიციის ხელთ იქნებიან და საკადრის სასჯელსაც მიიღებენ... მაგრამ თავისუფლების ქანდაკება? სად გადამალეს ის? პოლიცია შეუდგა ენერგიულ ძებნას. უეჭველია, რომ საქმე გვაქვს უაღრესად საიდუმლო და კარგად ორგანიზებულ შეთქმულებასთან. აი, რა მოგვიტანა სიფხიზლის მოდუნებამ! სიფხიზლე და ისევ სიფხიზლე! ჩვენს თავისუფლებასა და უშიშროებას საფრთხე მოელის, თითოეული წუთი ძვირფასია! მტრის ვერაგობას არ აქვს საზღვარი. ეს თავხედური აქცია მხოლოდ დასაწყისია და უნდა მოველოდეთ მეტ გართულებებს... არ არის გამორიცხული მტრის ფართო ფრონტით შემოტევა. ქალაქში არეულობაა. უკვე არის პირველი მსხვერპლი. ისმის აფეთქებათა ხმა... რამდენიმე კვარტალში ხანძარი მძვინვარებს, ცეცხლი სულ უფრო ძლიერდება...

ეკრანს ავსებს აფეთქებათა, აალებულ სახლთა, აღგზნებული ბრბოს სახეთა კალეიდოსკოპი...

ამ დროს მეზობელი დარბაზიდან ისმის გრუხუნი და თეფშების ლაწალუწი, რასაც ემატება ძაღლთა გაავებული წკავწკავი და ყეფა. ეს ხმები დანასავით ესობა ტელევიზორთან შეჯგუფულ ადამიანთა დაძაბულ ნერვებს.

– ა-ა-ა!.. – ავსებს დარბაზს ქალის უიმედობით აღსავსე გაბმული კივილი. მისიზ ნიუსანზი ჭაბუკური სიმკვირცხლით მიცუხცუხებს გარეთ გასავარდნად და უკან ქშენით მისდევს მწერალი მათიუ ფოლტი – ისიც ქალბატონის მანქანითაა მოსული.

მეზობელ დარბაზში მსახურთა ყვირილსა და ურთიერთ შებმული ძაღლების ღრენა-წკავწკავს აღარავინ აქცევს ყურადღებას – სტუმრები ერთმანეთს ასწრებენ დარბაზიდან გავარდნას და კარებში შექმნილი პატარა ჭედვა უფრო აგიჟებს მათ; თავგანწირვით იქნევენ ხელებს ადამიანთა მჭიდრო მასის გასაკვეთად, ცდილობენ მუჯლუგუნებით გაიკვალონ გზა; შემდეგ კიბეებზე ტოვებენ ძეწკვებს, ღილებს, ფეხსაცმელებს, პარიკებს, ხელოვნურ კბილებს...

– რა ამბავია, ტომ? – ეკითხება მსახურს დარბაზში დარჩენილი მისტერ სლამპი.

– მაპატიეთ, სირ, ჩემი ბრალი არ გახლავთ...

– მოკლედ!

– ძაღლებმა სუფრა ამოატრიალეს, სირ...

მისტერ სლამპმა მაშინვე ძაღლთა დარბაზს მიაშურა.

– ეშმაკმა დალახვროს მაგათი თავი, როგორ წაუბილწავთ აქაურობა!

შემოვიდა მისიზ სლამპიც და გულს შემოეყარა:

– ჩარლი, ლორდის საყვარელი სერვიზი!

– დიახ, მამ, ყველაფერი დაიმსხვრა... – მორიდებულად ამბობს მატილდა. – იმ ქეციანმა ოფელიამ წამოიწყო ჩხუბი.

– ედნა, სერვიზის სატირლად მცალია? – გაბრაზებით წამოიძახა მისტერ სლამპმა. – ნიუ იორკს მივდივარ.

– მერე, თათბირი?

ნიუ იორკის გავერნორს ჩარლზ სლამპს ცოლის კითხვა აღარ ესმის, უკვე კიბეზე ჩარბის.

სამწუხაროდ, ვერ მოვესწარით იმ დროს, როცა სუფრაზე გამოიტანდნენ უზარმაზარ ტორტს, რომელსაც ამშვენებდა განთქმული მხატვრის ოსკარ ფის მიერ გამოქანდაკებული ლორდის მშვენიერი თავი. დიახ, ეს დიდი დანაკლისია, რადგან ცუგას ბიუსტი ხელოვნების იშვიათ ნიმუშს წარმოადგენდა და, ეჭვს გარეშეა, მშვენიერ მოგონებას დასტოვებდა არა მხოლოდ მნახველთა გულებში, არამედ პირის გემოს დამფასებელთა ხსოვნაშიც.

კარი XV. რკინაბეტონის ჯუნგლებში სიბნელეა...

ნიუ იორკის ნარინჯისფერ-ოქროსფერი დაისი რა ხანია, დაიფერფლა.

ბროდვეი – "დიადი კაშკაშა გზა" – განსაკუთრებით გაბრწყინებულია ტაიმს სკვერის ახლომახლო. ცეცხლოვანი რეკლამების ფერად-ფერადი მანათობელი ასოები და სხვადასხვა ფიგურები წამდაუწუმ ინთებიან და ქრებიან, კლებულობენ და იზრდებიან, ციებიანივით ცახცახებენ, დაბნეულად ხტიან და ნერვიულად ტრიალებენ...

ნიუ იორკში პანიკა ძლიერდება.

ასობით ათასი ტელეფონი ერთდროულად რეკავს, შეშფოთებული მოქალაქენი ერთმანეთს უზიარებენ საშინელ ამბავს. უცნობ პირთა ჯგუფებმა ხელი მიჰყვეს მაღაზიათა რბევასა და ძარცვას. პოლიცია ფეხზე დადგა. ყველა შინისკენ გარბის, მანქანათა ნიაღვრებით გაჭედილია ქუჩებიც და ქალაქგარეთ მიმავალი ავტომაგისტრალებიც.

მთელ ქალაქში შუქი ჩაქრა.

ჯერ დაბნელდა ქალაქის რამდენიმე განაპირა უბანი, შემდეგ – ბრუკლინი, კვინსი, ბრონქსი, ჰარლემი, ქვემო მანჰატანი და ბოლოს – მთლიანად ქალაქი.

წყვდიადმა მოიცვა ნორთ რივერის მეორე სანაპიროც – ნიუ ჯერზის შტატი.

ხალხი აღმოჩნდა სართულებს შორის გაჭედილ ლიფტებში, მეტროს გვირაბებში გაჩერებულ მატარებლებში.

ქუჩებში ღრიალებს პოლიციის, სანიტარულ და სახანძრო მანქანათა სირენები. მანქანათა ფარების შუქი თითქოს კიდევ უფრო აბნელებს გარემოს; სახლთა კედლებზე კოშმარული ჩრდილები ხტის.

რამდენიმე უბანში დიდმა ხანძრებმა იფეთქა.

ისმის კანტიკუნტი სროლის ხმა. გიგანტურ სახლებს შორის მომწყვდეული ქუჩათა "კედლები" თითოეულ გასროლას ექოთი უბრუნებენ ერთმანეთს; ხმები ირევა და საყოველთაო ქაოსს აძლიერებს...

კარი XVI. მიწის ქვეშაც კი ვერ მოისვენებს კაცი!

– მეტის ცდა პირდაპირ წარმოუდგენელია! სად არიან ამდენ ხანს? თითო წამი ოქროს ფასად ღირს... – გალიაში დამწყვდეული მგელივით მიმოდის ოთახში მისტერ სლამპი. – ვინტროპიც სად ჯანდაბაში დაიკარგა?

– ჩემთან ერთი საათის წინ იყო, უკვე მოვდიოდი კიდეც, – ამბობს სენატორი კუკი.

– მერე? ბეილისა და ჯოგლს ნუთუ არ ესმით – ქანდაკების დაკარგვა საფრთხეს უქმნის დოლარეთის ეროვნულ უშიშროებას? ხომ გვაქვს დათქმული – საგანგებო შემთხვევაში აქ უნდა შევიკრიბოთ, – გაანჩხლებულია მისტერ სლამპი.

– საგანგებო? ნუთუ არსებობს შესაძლებლობა... არა, არა, ღმერთმა დაგვიფაროს... თუ ატომური ომი ატყდა... – შეფიქრიანებულია მისტერ შრაივერი.

– ახლაც იტყვიან, მტკიცეხელიანი კაცი არ გვჭირდებაო? – ტუჩებს მტკიცედ კუმშავს მისტერ ჰანტერი.

საუბარი მიმდინარეობს უზარმაზარ საიდუმლო ატომსაწინააღმდეგო თავშესაფარში "მაუნტ სილვერ", რომელიც გამოჭრილია კუნძულ მანჰატანის გრანიტის სიღრმეებში. ზედაპირზე მას ორი გამოსასვლელი აქვს – სიტი ჰოლისა და ქალაქის მუნიციპალიტეტის რაიონებში. მოსაუბრეებს შეეძლოთ, შეკრებილიყვნენ ერთკუზიანი აქლემის პარტიის შტაბ-ბინაში მეხუთე ავენიუზე, მაგრამ უსაფრთხოების თვალსაზრისმა სიღრმეში ჩაიყვანა ჩვენი გმირები.

"მაუნტ სილვერ" აგებულია რამდენიმე სამრეწველო მონოპოლიის სახსრებით. აქ ინახება საიდუმლო საბუთები, სხვადასხვა დანიშნულების უამრავი მატერიალური ფასეულობა და ხუთი წლის განმავლობაში ავტონომიური არსებობისთვის საკმარისი სურსათ-სანოვაგის, წყლისა და საწვავის მარაგი.

– რა ვიღონოთ? დიდი საფრთხე გველის? – კითხულობს მისტერ კუკი.

– ჰმ, რა ვიღონოთ? ეგ რომ ვიცოდე!.. – ამოოხვრით ამბობს მისტერ სლამპი.

– ამის გადასაწყვეტად არ შევიკრიბეთ აქ? – დაბნეულია მისტერ შრაივერი.

– თუ თავის გადასარჩენად? აქ ვლაყბობთ და ზევით კი ვინ იცის, რა ხდება! – კიდევ უფრო ანჩხლობს მისტერ სლამპი. – შესაძლოა, ქანდაკების გაქრობა ნიშანი იყო და მტერი უკვე თავს დაესხა დოლარეთს!..

– მტკიცე, ურყევი ნებისყოფის კაცი თუ გვიშველის! – ბეჭედს არტყამს მისტერ ჰანტერი.

კარი XVII. დოლარეთის პრეზიდენტი ჩაება თამაშში!

ზევით მართლა საკვირველი ამბები ხდებოდა.

პირველი შემაძრწუნებელი რეაქცია მოხდა "საგუშაგო კომიტეტში" – დოლარეთის ცხრა სადაზვერვო ორგანიზაციის თანასაზოგადოებაში, რომელიც დღე-ღამის განმავლობაში განუწყვეტლივ მოქმედებდა, რათა დროულად გამოეცნო დოლარეთისთვის საშიშ გარემოებათა აღმოცენება მსოფლიოს ნებისმიერ ნაწილში პოლიტიკურ, ეკონომიკურ ან სამხედრო სფეროებში.

დოლარეთის პრეზიდენტს შუაღამისას შეატყობინეს შემაშფოთებელი ამბავი – ქანდაკების დაკარგვა და არეულობა ნიუ იორკში. მღელვარებას სხვა ქალაქებსაც ედებოდა, მაგრამ ნაკლები სიმძაფრით, დილით კი ალბათ საყოველთაო პანიკა დაისადგურებდა ქვეყანაში.

რამდენიმე დღის წინათ პრეზიდენტისთვის წარდგენილ "ეროვნული უსაფრთხოების სადაზვერვო შეფასებაში", რომელიც დოლარეთის სადაზვერვო საბჭომ შეადგინა ლანგლიში (ვირჯინია), არაფერი იყო ნათქვამი ქანდაკების შესახებ, თუმცა მსოფლიოში მოპოვებული საიდუმლო ინფორმაციის ამომწურავ რეზიუმეში რაზე არ იყო საუბარი – აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში სეპარატისტულად განწყობილი ტომთა ბელადებიდან დაწყებული და ინდოეთის სამხრეთ რაიონებში მღელვარებით დამთავრებული.

პრეზიდენტმა უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგა: შუაღამესვე მოიწვია უშიშროების ეროვნული საბჭოს სხდომა, თუმცა ამ საბჭოს რეგულარული სხდომა სულ ორი დღის წინ ჩატარდა.

დოლარეთის ეროვნული უშიშროების სააგენტოს დაევალა ერთხელ კიდევ გულდასმით გაეანალიზებინა ბოლო დროის სადაზვერვო მონაცემები თავისუფლების ქანდაკების მოტაცების გათვალისწინებით.

საჩქაროდ შეიკრიბნენ ყველა სადაზვერვო ორგანოს ხელმძღვანელნი თათბირის ჩასატარებლად პრეზიდენტის თავმჯდომარეობით. განიხილეს უკვე დიდი ხნის წინათ შედგენილი გეგმები დედამიწის ყველა რაიონისთვის (ანტარქტიდის ჩათვლით) შესაბამისი სამხედრო ღონისძიებების ჩატარებისა (პრევენციული ატომური დარტყმების მიყენების ჩათვლით).

დოლარეთს მსოფლიოში გაფანტული ბაზებისა და ფლოტების მეთაურებს მიეცათ დაშიფრული ბრძანება: გამოეცხადებინათ საბრძოლო განგაში და მომზადებულიყვნენ ტაქტიკური საბრძოლო მოქმედებების დასაწყებად ინდივიდუალური გეგმების მიხედვით, ატომური იარაღის გამოყენების შესაძლებლობის გათვალისწინებით.

კარი XVIII. ვინტროპ ბეილი იძლევა წარმოსახვით ინტერვიუს

ვინ შეიკრიბნენ "მაუნტ სილვერის" ერთ-ერთ რკინაბეტონის ბუნკერში?

ნიუ იორკის გავერნორი სლამპი, ექს-გენერალი ჩესტერ ჰანტერი, ტექსასელი აყლაყუდა რობერტ ვაილდი, სენატორი რიჩარდ კუკი, ედვარდ შრაივერი და სხვები – "დიდი ბიზნესის კაპიტნები", "ქვეყნის კეთილისმყოფლები, "ძლიერნი ამა ქვეყნისა" და ასე შემდეგ (როგორც მათ შესახებ წერენ პრესაში და ბიოგრაფიულ წიგნებში).

ამ კაზინოსავით უფანჯრებო ბუნკერში არაფერია ზედმეტი: დგას ლითონის დიდი მაგიდა, ზევიდან მოპირკეთებული ძვირფასი ჯიშის ხით, სკამები, კარადა – საცნობარო ლიტერატურის მინიმუმით; კუთხეში დგას კიდევ ერთი, უფრო მცირე მაგიდა, რომელზედაც ტელეფონები, ტელევიზორები და კიდევ რაღაც აპარატურა აწყვია. აქედან შეიძლება დაუკავშირდეთ ბირჟას, თეთრ სახლს, პენტაგონს, ოპერაციული მართვის ცენტრს, პარიზს, ლონდონს და ასე შემდეგ. იქვე თავისუფლების ქანდაკების ასჯერ შემცირებული ზომის თაბაშირის სტატუეტი მოუთავსებიათ. კედელზე დოლარეთის და მსოფლიოს დიდი რუკებია გაკრული, ასევე – დოლარეთის გაშლილი დროშაც.

ბუნკერის ერთ-ერთი ნახევარი მეტრის სისქის ჯავშნის კარი ავტომატურად გაიღო და შემოვიდნენ კიდევ ორნი: მისტერ ვინტროპ ბეილი და მისი პირადი ექიმი (და შეთავსებით – პირადი მდივანი) გრეიამ პანჩენი.

ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ ისინი. მაგრამ არა, ჯობს, ჯერ ჩამოვართვათ წარმოსახვითი ინტერვიუ მისტერ ვინტროპ ბეილის – მაღალ, გამხდარ, კუშტსახიან მოხუცს:

– რამდენი წელია, რაც მუშაობთ?

– ვშრომობ ათი წლის ასაკიდან.

– რით დაიწყეთ მოღვაწეობა?

– თავდაპირველად ფეხსაცმელებს ვწმენდდი. კვირაში 3 დოლარს და 50 სენტს ვაკეთებდი, ამჟამად კი მილიარდნახევარზე მეტი ვღირვარ! ასე ამბობენ ჟურნალისტები, თორემ ჩემი ქონების ზუსტი ფასი საიდუმლოს წარმოადგენს. მართალი მოგახსენოთ, მეც კი გამიჭირდებოდა მისი ზუსტი გამოანგარიშება, ჩემს "ყულაბაში" ხომ ყოველ წუთს რამდენიმე ათეული ათასი დოლარი ჩაედინება... ისიც გაითვალისწინეთ, რომ პიროვნების სიძლიერე, მისი წონა საზოგადოებაში, განა მხოლოდ ფულის რაოდენობაზეა დამოკიდებული...

– ამისთვის სახსრებიც საკმაოდ გაქვთ.

– რასაკვირველია... მაგრამ ჩემი ძირითადი სიმდიდრე და სიძლიერის წყაროა ჩემი პოზიციები საქმიან სამყაროში, ჩემი გავლენა, პრესტიჟი, ნაცნობობა და ასე შემდეგ. მთავარია, გქონდეს გადამწყვეტი სიტყვის უფლება, რაც ფულზე ბევრად მნიშვნელოვანია.

– ბრწყინვალე კარიერაა! მაინტერესებს, ნუთუ არ შეგეძლოთ, თქვენი კარიერის დასაწყისში სამ დოლარსა და 50 სენტზე მეტი შემოსავალი გქონოდათ?

– რა უნდა მექნა, მამაჩემი მტკიცე პრინციპების კაცი გახლდათ და მეტს არ მაძლევდა – ჩემი ფეხსაცმლის გაკრიალება მეტი არ ღირსო.

– ვინ იყო მამათქვენი?

– ო, ის მხოლოდ მილიონნახევარი დოლარი ღირდა. უმთავრესად აინტერესებდა ნავთობი, შემდგომ გაიტაცა აგრეთვე ნავთობქიმიამ, საბანკო საქმემ, მანქანათმშენებლობამ, მშენებლობამ...

– რას ბრძანებთ, სამი დოლარი და 50 სენტი კვირაში?

– დიახ, დიახ, ნუ გიკვირთ. წარმოიდგინეთ, ბავშვობიდანვე ისე შევეჩვიე ფეხსაცმელების წმენდას, სანამ ჩემი ბიჭი საკმარისად არ წამოიზარდა, მე ვუკრიალებდი მთელ ოჯახს ფეხსაცმელს – წლიურად რამდენიმე ასეული დოლარის ეკონომიას მივაღწიე.

– დიდად გმადლობთ ინტერვიუსთვის.

– ნახვამდის, სასიამოვნო იყო თქვენთან საუბარი. გეთაყვა, არ დაგავიწყდეთ ინტერვიუსთვის ასორმოცდაორდოლარიანი ჩეკის გამოგზავნა – შედავათი გაგიწიეთ, ჩემი დრო ძვირად ფასობს. მე რომ ყოველ სენტს არ ვუფრთხილდებოდე, ახლა მათხოვარი ვიქნებოდი.

კარი XIX. “ ო’ს ჰო?”: ვინტროპ ბეილი

ახლა კი უფრო ახლოს გაგაცნობთ ვინტროპ ბეილის...

გადავფურცლოთ სქელი საცნობარო წიგნი “Ho’s ho?” – “ვინ არის ვინ?”, რომელშიც ყოველ ცნობილ დოლარელზეა ცნობები შეკრებილი. თუმცა, რომც მოვძებნოთ ჩვენი გმირის გვარი, იქ ძალზე მშრალად და მოკლედ არის მოტანილი ისეთი მონაცემები, რომელიც ყოველმა დოლარელმა ისედაც კარგად იცის. ჩვენ უფრო წვრილად მოგიყვებით მის შესახებ, თანაც ზოგიერთ საინტერესო დეტალსაც მოგახსენებთ...

მაშ ასე: vi nt r o p hamf r i bei l i II – ნიუიორკელი ბანკირი და მრეწველი, მილიარდერი, 87 წლის, იწონის არანაკლებ 375 000 კარატს; თვით უძღვება ყველა საქმეს, მაგრამ ბოლო ხანს უფრო მეტად ანდობს მათ ნაწილს თავის ერთადერთ, 61 წლის ვაჟს. უბრალოდ აცვია; ასეთი ნახმარი პიჯაკის ხმარების უფლებას საკუთარ თავს მხოლოდ ძალიან მდიდარი ადამიანი აძლევს ან – სრულიად უქონელი. სამჯერ იყო დაქორწინებული, ამჟამად უცოლოა. მისი პირველი სიყვარული იყო ნავთობი, ბოლო გატაცებაა – რაკეტები და ატომური წყალქვეშა ნავები, ელექტრონული მოწყობილობა და კომპიუტერები. ახლო მეგობრობა აკავშირებდა და აკავშირებს დოლარეთის პრეზიდენტებთან როგორც ერთკუზიანი, ისე ორკუზიანი აქლემების პარტიებიდან – ისინი რეგულარულად იწვევდნენ მისტერ ვინტროპ ბეილი II-ს “ჯენტლმანურ” სადილებზე; ის ითვლებოდა მრავალი პრეზიდენტის “გულითად მეგობრად” გოლფისა და ბრიჯის სფეროში.

კიდევ სპორტის რა სახეობებითაა გატაცებული და რა არის მისი საყვარელი “ჰობი”? უპირატესობას ანიჭებს თამაშს ბირჟაზე, უყვარს ტენისის მატჩების ყურება და ყველაფერს ურჩევნია კონკურენტთა ნოკაუტირება. იყიდა ფეხბურთის პოპულარული გუნდები: “შიკაგოელი დათვები” და “დეტროიტელი ლომები”, შემოსავალსაც არა უშავს – კარგად თამაშობენ ბიჭები. ეს გუნდები უფრო პრესტიჟისთვის შეიძინა, თორემ ფულის დაბანდება უფრო სარფიან საქმეშიც შეეძლო.

გამოაქვეყნა მრავალთათვის საინტერესო წიგნი “საქმოსნის ჰორიზონტები”, რომელშიც საბანკო ოპერაციები განხილულია, როგორც ადამიანის ნიჭისა და ინტელექტის გამოვლინების უმაღლესი საფეხური, ხოლო ბანკირი აღიარებულია პატარა ღმერთად, რომლის დინამიზმი და ენერგია, ინტერესების მრავალფეროვნება და შემოქმედებითი ფანტაზია, საქმიანი წარმოსახვა და ნაყოფიერება – უსაზღვროა.

მართლაც, ვინტროპ ბეილი II-ის ბანკების ფული აქტიურად უძღვება საქმეს პიტსბურგის ფოლადსასხმელ ქარხნებში, კალიფორნიის საავიაციო-სარაკეტო კორპორაციებსა და კინოსტუდიებში, ნევადის კაზინოებსა და ტექსასის ნავთობის კომპანიებში, ინგლისის ელექტრონულ მრეწველობაში და ჩილეს სპილენძის მაღაროებში, აფრიკაში – მოზამგოლის სამხედრო ობიექტების მშენებლობაზე და აზიაში – არაბეთის ნავთობსარეწებსა და ინდონეზიის კაუჩუკის პლანტაციებში... ხოლო აეროკოსმოსურ მრეწველობაში მოზრდილი “წილი” ვინტროპ ბეილის საშუალებას მისცემს, აქტიური მონაწილეობა მიიღოს მთვარეზე პირველი სამთომომპოვებელი კომპანიების მოღვაწეობაში.

მისტერ ბეილის საყვარელი პრინციპია: არასდროს გააკეთოს ის, რაც შეიძლება მის მაგივრად სხვას გააკეთებინოს.

საყვარელი ფერია: დოლარის მწვანე ფერი, აგრეთვე – ოქროსფერი.

საყვარელი გამონათქვამი: “ამ ფირმაში, როგორც ჩვენ ვუწოდებთ მსოფლიოს, დოლარეთმა უნდა აიღოს ხელთ მთავარი აქციონერის საპასუხისმგებლო როლი”.

ლიტერატურა: მისტერ ვინტროპ ჰამფრი ბეილი II-ზე დაწერილია უამრავი წიგნი და ბროშურა, შედგენილია მრავალი ბიოგრაფია, რომლებშიც მოთხრობილია მისი უბრალოებისა და თავმდაბლობის შესახებ, ზომიერებაზე ყოველდღიურ ცხოვრებაში – ჩაცმა-დახურვაში, ჭამაში, გართობაში; მის გულისხმიერებასა და უანგარობაზე, ზღაპრული შრომისუნარიანობისა და ფანტაზიური შრომისმოყვარეობის შესახებ... მართალია, თვით წიგნების დიდი მოყვარული არასდროს ყოფილა (საბუღალტრო წიგნთა გამოკლებით), რადგან მიაჩნია, რომ ყველა რომანზე უფრო ამაღელვებელი და საინტერესო ამბები შეიძლება შეიტყო “ბიზნეს ვიკში”, “ფორჩუნში”, “ვოლ სტრიტ ჯორნალში”, აგრეთვე სახელმძღვანელოებში ბიზნესმენთათვის საწარმოთა მართვის საკითხებზე; ფინანსური ოპერაციები მისთვის შეიცავს ქვეყნიერებაზე ყველაზე უფრო ამაღელვებელ საიდუმლოებებსა და მოულოდნელობებს, ყველაზე ამაღლებულ რომანტიკასა და წარმტაც თავგადასავალს, სევდიან მელანქოლიას, მძაფრ გულისტკივილსა და შმაგ სიხარულსაც...

მისტერ ბეილის გავლენა ყოველთვის იგრძნობა დოლარეთის დედაქალაქში; პოლიტიკური ჰავის ცვალებადობა ვერ არყევს მის იმედიან გუნება-განწყობილებას – პრეზიდენტები და სამთავრობო კაბინეტები მიდიან და მოდიან, ბეილის “ბიჭები” კი ყოველთვის აღმოჩნდებიან ხოლმე ხელმძღვანელ პოსტებზე.

მისტერ ბეილი გახლავთ “ოქროს ღერძის” და მრავალი ქალაქის არისტოკრატიული კლუბების საპატიო და სასურველი წევრი.

ქეციან გრაფებს, გაღატაკებულ ვიკონტებსა და უიღბლო ბარონებს აქვთ ღერბები და ვინტროპ ჰამფრი ბეილი II-ს, დოლარეთის ეროვნულ გმირს, დიად ბიზნესმენს, რომლის ერთმა წარმოთქმულმა სიტყვამ, შესაძლოა, მილიონობით ადამიანის ბედ-იღბალზე იქონიოს უდიდესი გავლენა, ისტორიის ასეთ მამოძრავებელ ძალას და შემოქმედს – არ ეკუთვნის ღერბი?

მე პირადად მისთვის ასეთ ღერბს შევარჩევდი: ვერცხლის ერთდოლარიანის გამოსახულება – ფარად, ფარზე კი გადაჯვარედინებული ნავთობის კოშკურა და ბალისტიკური რაკეტა; ქვევით წარწერილია დევიზი: ”ფულს ფული უყვარს!”.

კარი XX. როგორ დაამყარა ვინტროპ ბეილი III-მ მსოფლიო რეკორდი

თვალი რომ გადავავლოთ მისტერ ვინტროპ ჰამფრი ბეილი II-ის ნეკროლოგებს, რომლებიც ყოველი შემთხვევისთვის უკვე წინასწარ აქვთ შედგენილი დოლარეთის ამ გამოჩენილ ადამიანზე ჟურნალ-გაზეთებისა და რადიო-ტელევიზიის საინფორმაციო სამსახურის რედაქციებს (გამოყენების აუცილებლობის შემთხვევაში სულ რამდენიმე ფრაზის დამატება იქნება საჭირო), ჩვენთვის ნათელი გახდება, თუ რა ფართოა მისი ნაცნობობა როგორც საქმიან წრეებში, ასევე უმაღლეს სამხედრო, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წრეებში.

მისმა ვაჟმაც, ვინტროპ ბეილი III-მ, ჰარვარდის უნივერსიტეტი დაამთავრა. სხვათა შორის, მასთან ერთდროულად ამავე უნივერსიტეტში სწავლობდა ნიუ იორკის ახლანდელი გავერნორი ჩარლზ სლამპი. მათ მეგობრობას ჯერ კიდევ მაშინ ჩაეყარა საფუძველი, როცა “პორსელაინის” წრის სტუდენტები შეეჯიბრნენ პრინსტონის უნივერსიტეტის “ტაიჩერის” წრის წარმომადგენლებს და ვინტროპ ბეილი III-მ ჭეშმარიტი სპორტული გმირობა გამოიჩინა – ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა კბილების უსწრაფესად დაძრობაში. ერთ-ერთ იმ ბედნიერთა შორის, ვისაც 32 ჯანმრთელი კბილი აღმოაჩნდა და ვინც მკაცრმა მსაჯთა კოლეგიამ შეჯიბრებაზე დაუშვა, გახლდათ ახალგაზრდა ჩარლზ სლამპიც და სწორედ მასზე ჩაატარა ექსპერიმენტი ვინტროპ ბეილი III-მ: სამ წუთში შესძლო ჩარლზ სლამპისთვის 15 კბილის დაძრობა, მაშინ, როცა მისმა უახლოესმა კონკურენტმა მხოლოდ 13 კბილის მოთხრა მოახერხა თავისი “პაციენტისთვის”. ამ შემთხვევის წყალობით ჩარლზ სლამპის სახელი გაზეთების ფურცლებზე მოხვდა (რასაკვირველია, ვინტროპ ბეილი III-ის სახელის ჩრდილში), ჩარლზმა სახელი გაითქვა, მაღალ, ელიტარულ წრეებშიც გაიჩინა ნაცნობობა. სწორედ ასეთი მოხერხებულობის, გამჭრიახობისა და წინდახედულობის მეოხებით ჩარლზ სლამპი ჰარვარდის დასრულების შემდგომ გახდა ვინტროპ ბეილი II-ის პირადი მდივანი; მალე გაიწაფა პოლიტიკურ თამაშში, საქმიანი კარიერისთვის მტკიცე საფუძველი შეიქმნა. დიდი უნარი და მოხერხება გამოიჩინა დაკისრებულ ფრიად საპასუხისმგებლო ახალ საქმეში: ახლა უკვე თვით დაეძრო კბილები ვინტროპ ბეილი II-ის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთათვის (სამწუხაროდ, ვინტროპ ბეილი II-ს საკუთარმა ვაჟმა ვერ გაუმართლა იმედი – ჩარლზ სლამპზე ნაკლები ხელის სიმარდე და თვალის სიზუსტე, გულქვაობა და უშფოთველობა აღმოაჩნდა, როცა სხვის – და საკუთარ – ბედს წყვეტდა). ამიერიდან ვინტროპ ბეილი II განუხრელად ადევნებდა თვალყურს ჩარლზ სლამპის კარიერას და მისი მეცადინეობით ჩარლიმ დიდი წარმატებები მოიპოვა – იმსახურა კონგრესში, ერთკუზიანი აქლემის პარტიის სენატის ფრაქციის ლიდერთან პირად მდივნად, ერთხანს იმოღვაწა დიპლომატიურ სარბიელზე, იმუშავა მთელ

რიგ საადვოკატო ფირმებში და, ბოლოს, კომპანიონიც გახდა მსხვილი საადვოკატო კანტორისა. შემდეგ ისევ პოლიტიკურ სარბიელზე მოღვაწეობამ გაიტაცა – აირჩიეს კონგრესში: ჯერ წარმომადგენელთა პალატაში, შემდეგ – სენატში და, ბოლოს, ნიუ იორკის შტატის გავერნორი გახდა...

ამის შემდეგ? დოლარეთის პრეზიდენტი? ვნახოთ...

მისტერ ვინტროპ ბეილი II-ის ფულის წყალობით დოლარელნი დაეშვნენ მთვარის ზედაპირზე, გზას გაიკვლევენ ვენერასა და მარსის გარშემო ორბიტებზე და აქ, დედამიწაზე, გაუჭირდება მას პრეზიდენტად გაიყვანოს თავისი კაცი?

კარი XXI. როგორ მოიტაცეს თავისუფლების ქანდაკება?

– მისტერ ბეილი, თქვენ ლონგ აილანდის ვილაში გელოდით... – ეუბნება მისტერ სლამპი.

– სად მაქვს აქეთ-იქით წოწიალის თავი! დიახ, ექიმმა ამიკრძალა. ვინც ექიმს არ უჯერებს – იდიოტია! ჰო, ეს კარგად ვთქვი, – კმაყოფილია მისტერ ბეილი; ვგონებ, საკუთარი თავის გარდა, ქვეყნიერებაზე სხვა არაფერი არ იზიდავს მის ყურადღებას.

– დიახ... – კვერს უკრავს მისტერ ბეილის მისი პირადი ექიმი (და შეთავსებით – მდივანიც) გრეიამ პანჩენი – სათვალიანი, გრძელთმიანი ახალგაზრდა, მაღალი, გამხდარი და ერთგვარად მელანქოლიური შესახედაობისა.

– ჰოდა, გრეიამ, რაღას უცდით, ჩაიწერეთ!

მისტერ ვინტროპ ბეილი II-ის მოთხოვნა ზედმეტი გახლდათ, რადგან მისი პირადი მდივანი უკვე ამთავრებდა შეფის ბრძნული აზრის წიგნაკში სტენოგრაფირებას. უნდა ითქვას, რომ მისტერ ბეილი პირადი ექიმის გარეშე ერთ ნაბიჯსაც არ დგამს, საპირფარეშოშიც კი გაიყოლიებს თან, რადგან საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა მის ცხოვრებაში ერთ-ერთ პირველ ადგილზე დგას (ამ საზრუნავს კონკურენციას უწევს და, არცთუ წარუმატებლად, მხოლოდ ფულის მოხვეჭის სურვილი). ამასთანავე, მისტერ ვინტროპ ბეილი II ღრმად გახლავთ დარწმუნებული, რომ ყოველი მისი აზრი გენიალურია და ექიმს ჯიბეში ათასგვარ წამლებთან ერთად უბის წიგნაკიც თან დააქვს (მისტერ ბეილი მაგნიტოფონს არ ენდობა), რათა განსაკუთრებული ყურადღებით ჩაიწეროს და შთამომავლობას შემოუნახოს იმ ადამიანის ყოველი სიტყვა, რომლის გიგანტური ნიჭი არავითარ ეჭვს არ იწვევს – აბა, თუკი სხვები მასზე ტვინიანები არიან, რატომღა არ არიან მასზე მდიდრები?

– აქ გაჭირვების მეტი რა მომიყვანდა... – ამბობს მისტერ ბეილი. – ხომ საიმედო თავშესაფარია? ტყუილად არ ჩაგვიყრია ფული. გაჭირვების ჟამს კარგი თავშესაფარი – ყველაფერია! გრეიამ, ჩაიწერეთ?

– როგორ გამოაცხადეს ტელევიზორში? – კითხულობს მისტერ შრაივერი.

– მოსალოდნელია შეტევა ფართო ფრონტითო... – პასუხობს გენერალი ჰანტერი.

– იქნებ დიდი არაფერი მომხდარა? თუ მტერს თავდასხმა უნდოდა, ქანდაკებას რაღას ერჩოდა, – უკვირს მისტერ სლამპს.

– მაცვიფრებს თანამედროვე ახალგაზრდების სიბეცე პოლიტიკასა და ფსიქოლოგიაში; – უბოდიშოდ აწყვეტინებს ნიუ იორკის გავერნორს ბეილი II. – განა სულ ერთია ერთიან, მტკიცე მუშტად შეკრულ ხალხზე მიიტან იერიშს, თუ დეზორგანიზებულ, პანიკით მოცულ ბრბოზე? გრეიამ, ჩაიწერეთ!

– ჩვენი პრესტიჟიც რომ სასიკვდილოდ ილახება! არა, ქანდაკება უეჭველად უნდა მოიძებნოს, თუ გვინდა, ჩვენი სახელი არ შეიბღალოს, – ვერ ბედავს პირდაპირ უპასუხოს მისტერ ბეილის მისტერ სლამპი.

– თავდაცვის ყველა ღონისძიება ჩვენს სახელს რას უშველის, ქანდაკების მომტაცებლები თუ არ აღმოაჩინე!.. – განაგრძობს ბუზღუნს მისტერ ვინტროპ ბეილი, მისი მდივანი კი ფეხდაფეხ დაჰყვება და ბოსის ყოველ ფრაზას იწერს.

– ჩვენთან, სამხრეთში, ამგვარი შემთხვევა წარმოუდგენელია! – წამოიძახა მისტერ ვაილდმა. – ჩემს რომელიმე ჯოგში ერთი ძროხა კი არა, ხბოც კი არასდროს დაკარგულა! ტექსასში სხვა ყაიდის ხალხი ცხოვრობს, იქ პოლიციამაც იცის თავისი საქმე. არც დანარჩენები ვართ დოყლაპიები. მისტერ ჰანტერს სავსებით ვეთანხმები და ვუჭერ მხარს – არამზადებს მტკიცე კაცის ხელი თუ მოუვლის!

– მე მაინც ჩემს აზრს ვიცავ... – ამბობს მისტერ სლამპი.

– მაინც რომელს? – ეკითხება მისტერ ჰანტერი.

– გარეშე მტრის ფართო ფრონტით შემოტევა? შესაძლოა, მაგრამ უფრო დასაშვებად მიმაჩნია, მაგალითად, ქანდაკება ნიუ იორკის ნავსადგურში ვეძიოთ – მიყრუებულ საწყობებში, ბნელ კუნჭულებში... – თავდაჯერებით აცხადებს მისტერ სლამპი.

– ვითომ? – ირონიულად ეღიმება მისტერ ჰანტერს.

– დოკერები მესამე თვეა, გაფიცულნი არიან... – ამბობს გავერნორი სლამპი.

– პრეზიდენტმა ხომ ამ დღეებში აკრძალა ეს გაფიცვა 80 დღით! – უკვირს სენატორ კუკს.

– იქნებ პროტესტის ნიშნად უნდათ, მიიპყრონ საზოგადოებრიობის ყურადღება? – განაგრძობს ხმამაღლა ფიქრს მისტერ სლამპი.

– უკმაყოფილოებს ქვეყანაზე რა გამოლევს, იმათზეც ვიეჭვიანოთ? – კითხულობს მისტერ შრაივერი.

– კოლამბიის უნივერსიტეტში სტუდენტებმა ბარიკადები აღმართეს, ნამდვილი ომი აქვთ პოლიციასთან, – ამბობს სენატორი კუკი.

– იქნებ ჰარლემელთა ოინებია? – ახალ ვარაუდს გამოთქვამს მისტერ სლამპი.

– ზანგთა დიდი აჯანყების ნიშანი? – პასუხობს მისტერ კუკი. – იმით ხომ არ იყვნენ უკმაყოფილო, რომ თავისუფლების ქანდაკება ზანგის ქალი არ იყო? მაშინ არაფერი გვიჭირს – ქანდაკებას შავად შეღებავენ და ისევ ძველ ადგილას დააბრუნებენ.

– ხუმრობის ხასიათზე ბრძანდებით? – გაღიზიანებულია ნიუ იორკის შტატის გავერნორი მისტერ სლამპი.

– რატომ გიკვირთ? არ გახსოვთ, შობის წინა დღეებში შავი სანტა კლაუსი – თოვლის პაპა – იყიდებოდა, და საახალწლო ნაძვის ხეებზეც კი შავი ფერის "თოვლი" იდო, – პასუხობს სენატორი კუკი.

– საშობაო ღია ბარათებიც დაიბეჭდა, სადაც წმიდა მარიამი და ყრმა იესო შავკანიანები არიან, – მისტერ კუკის ნათქვამს ამატებს მისტერ შრაივერი.

– "შავი" ნაციონალიზმი... მისი უკიდურესი გამოვლინება! – წამოიძახა ექს-გენერალმა მისტერ ჰანტერმა.

– ისევ ზანგთა აჯანყება? მარტიდანვე ხომ არ დაიწყო "ცხელი ზაფხული"?.. – ეტყობა, ვინტროპ ბეილის ადრინდელი მსგავსი ამბები გაახსენდა.

– მე კი თქვენ გეუბნებით, რომ ღალატია! ყველგან ღალატია – წამოიძახა ტექსასელმა აყლაყუდამ მისტერ ვაილდმა. – მთავრობაშიც ვარდისფერებმა და წითლებმა შეაღწიეს! ჩვენთან, სამხრეთში, წარმოუდგენელია ასეთი ქაოსი და უპასუხისმგებლობა! შეთქმულთა პარპაში!

– ყველაფერი ერთმანეთს როგორ დაემთხვა... – დაღონებულია მისტერ სლამპი, – რკინიგზელთა და მეტალურგთა საყოველთაო გაფიცვები, მავნე ტენდენციები პროფკავშირებში, ფერმერთა უკმაყოფილება...

– ახალგაზრდობას რაღა ეშველება? ყველაფრით უკმაყოფილება შეიძლება? – თვითონაც უკმაყოფილოა მისტერ შრაივერი. – ბოლოს, როგორც წესია, ყველაფერი უნდა დაგვირგვინდეს ყველაზე უარესით – ამჯერად თავისუფლების ქანდაკება გაიტაცეს...

– და თქვენ ფიქრობთ, რომ ქანდაკების დაკარგვა დიდი ამბავი არ არის? – მღელვარება არ უცხრება ნიუ იორკის გავერნორს მისტერ სლამპს. – ჰმ!.. შეთქმულთა ჯგუფმა ციმციმ აიტაცა ოცდაათმეტრიანი ბრინჯაოს ქალბატონი, რომლის მხოლოდ თავში ორმოცი კაცი ეტევა... ეტეოდა – ვინ იცის, იქნებ უკვე მოსპეს კიდეც – დაანაწევრეს, გადაადნეს... გჯერათ, რომ ეს ხუმრობაა? ან რომ შეთქმულთა მცირე ჯგუფის ნამოქმედარია ეს ავკაცობა?

– რა მცირე ჯგუფზეა საუბარი? – ბანს აგუგუნებს ექს გენერალი მისტერ ჰანტერი. – ღრმად ვარ დარწმუნებული: ეს აქცია შინაგან და გარეგან შეთქმულებათა ჯაჭვის მხოლოდ ერთი რგოლია!

– გეთანხმებით, სამწუხაროდ, სწორი ვარაუდია... – ამბობს მისტერ სლამპი. – არ შეიძლება იმის გამორიცხვა, რომ მტრის ატომური წყალქვეშა ნავები შემოიჭრნენ ნიუ იორკის ნავსადგურშიც კი...

– და რაკეტებს დაუმიზნებენ ფინანსურ ცენტრს, შუა და ზემო მანჰატანს... – აგრძელებს მისტერ ჰანტერი, ისედაც დაძაბულ გარემოს კიდევ უფრო ამძაფრებს..

– ნუთუ შეუმჩნევლად მდინარე ჰადსონსაც აუყვებიან ზევით? – კითხულობს მისტერ შრაივერი.

– მხოლოდ ჰადსონს? – გაკვირვებულია მისტერ შრაივერის გულუბრყვილო კითხვით ექს-გენერალი მისტერ ჰანტერი. – ისინი პოტომაკის მღვრიე წყალშიც მშვენივრად გაიკვლევენ გზას, ოქროს ჭიშკარშიც გაძვრებიან, სანტა მონიკას ყურის ფსკერსაც კარგად შეისწავლიან და ლონგ ბიჩის პლაჟებიც დაზვერეს ალბათ უკვე დესანტის გადმოსასხმელად...

– ქვეყანა რომ არ იყოს ასე გათიშული, ვერაფერი შეგვაშინებდა... არა, ეს არ ჩაწეროთ, გრეიამ.

– ქვესკნელისკენ მივექანებით, საყოველთაო კრახისკენ...

– ამ საყოველთაო შეთქმულებას, ღალატს შინ და გარეთ, მხოლოდ გადამწყვეტი ღონისძიებებით თუ ვუშველით. – ამბობს მისტერ ვაილდი და მუშტებშეკრული აგრძელებს: – აი, სად გვაკლია ძლიერი სახელმწიფო მოღვაწის მტკიცე ხელი!.. ჩვენთან, სამხრეთში, დიდი ხანია ამაზე ვლაპარაკობთ, აქ კი ყურებში ბამბა გაქვთ დაცობილი!

კარი XXII. აფორიაქების ბორბალი სიჩქარეს უმატებს...

დოლარეთის მთელი რიგი გავლენიანი წრეები ამ ბოლო ხანს დაჟინებით ცდილობდნენ, დაეყოლიებინათ პრეზიდენტი, რათა მას ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოეცხადებინა. პირადი მრჩევლები ურთიერთსაწინააღმდეგო რეკომენდაციებს იძლეოდნენ.

ახლა კი პრეზიდენტიც აღარ ყოყმანობდა.

სულ ნახევარი საათი გავიდა უშიშროების ეროვნული საბჭოს სხდომიდან და...

ელექტრონული გამომთვლელი მანქანები თავდაცვის სამდივნოში შეუდგნენ სამხედრო სიტუაციის შეფასებას, ასეთივე ელექტრონული "ტვინები" დაძაბულად ცდილობდნენ პოლიტიკური სიტუაციის გარკვევას სახელმწიფო სამდივნოში.

სამხედრო სარდლობის ცენტრში, დოლარეთის ყველაზე საიდუმლო დაწესებულებაში, რომელიც აკონტროლებს ყველა სამხედრო ორგანიზაციის საქმიანობას, დაშიფვრისა და გაშიფვრის განყოფილება მოზღვავებულ სამუშაოს ვერ აუდიოდა.

სტრატეგიული ავიაციის შტაბს ომაჰაში ებრძანა ჰაერში აეყვანა მაქსიმალურად შესაძლო რაოდენობა ატომურმუხტიანი ბომბდამშენებისა, თუმცა შეიარაღების ეს სახეობა უკვე მოძველებულად ითვლებოდა.

დოლარეთის რაკეტსაწინააღმდეგო დაცვის სისტემა ისედაც ყოველთვის წკიპზე იყო შეყენებული.

თავდაცვის სამდივნოში გულდასმით გადახედეს თავდაცვით გამოკვლევათა ინსტიტუტის ნამოღვაწარს.

გამოძიების ფედერაციული ბიუროსა და იუსტიციის სამდივნოში გადაშალეს საიდუმლო ანგარიშები მეცნიერთა, რომლებმაც დაამუშავეს შინაგანი მღელვარების დაშოშმინების მათემატიკური თეორია და, რაც მთავარია, წამოაყენეს დასაბუთებული რეკომენდაციები ღონისძიებათა მთელი კომპლექსისა.

იუსტიციის სამდივნომ და დოლარეთის გამოძიების ფედერაციულმა ბიურომ მიიღეს პრეზიდენტის მითითება – ეწარმოებინათ თავისუფლების ქანდაკების დაკარგვის ყველა გარემოებათა სწრაფი და გულდასმითი გამოძიება.

ზოგიერთი ექსპერტის აზრით, შესაძლო იყო, უზარმაზარი ქანდაკება ტივზე დაედოთ და ბუქსირით გაშლილ ზღვაში გაეტანათ. დაზვერვის მთავარმა სამმართველომ სანაპირო დაცვის საპატრულო გემები და თვითმფრინავები გაგზავნა ატლანტის ოკეანის ფართო რაიონში, ამასთანავე, სამმართველოში სასწრაფოდ გადაათვალიერეს ინფორმაციის საიმედოობის ყველა კატეგორიის აგენტთა მონაცემები, დაწყებული A-1-დან (უმაღლესი შეფასება, აბსოლუტურად საიმედო აგენტი) და დამთავრებული E-5-ით (ცრუპენტელა, ყოველმხრივ საეჭვო). გაირკვა: აგენტთა პატაკებში ბოლო სამი თვის განმავლობაში ერთხელაც არ ყოფილა ნახსენები თავისუფლების ქანდაკების სახელი.

თავდაცვის სამდივნომ პრეზიდენტისგან მიიღო ბრძანება – გადასულიყო დოლარეთის საერთო-ეროვნული მზადყოფნის ნომერაციულ სკალაზე. რამდენიმე წუთში №5-დან ("ნორმალური მდგომარეობა") საბრძოლო მზადყოფნამ მიაღწია №2-მდე და ყოველ წუთს შეიძლებოდა, კიდევ უფრო ქვევით ჩასულიყო – №1-მდე ("საომარი მდგომარეობა").

აფორიაქება დოლარეთსაც გასცდა.

"NATALI"-ს სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციის გაფრთხილებისა და ადრეული შეტყობინების სადგურების მთელი ძეწკვი ევროპაში შპიცბერგენიდან მალტამდე, ატლანტის ოკეანეში მცურავ ხომალდებზე, ინდოეთისა და წყნარი ოკეანეების წვრილ კუნძულებზე, სადღეღამისო თვალთვალის ცენტრები კოსმოსურ თანამგზავრებზე – ყველა ეს ობიექტი ერთიორად დაძაბულ რეჟიმში ამუშავდა; დაშიფრული ბრძანებები გადაეცათ საოპერაციო ცენტრებს, სარაკეტო და საავიაციო შენაერთებმა განგაშით სრული საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობა მიიღეს.

დოლარეთის ჯარების უმაღლეს მთავარსარდალს ევროპაში ჰერბერტ იანგს დაშიფრული ბრძანება გადაეცა, მხოლოდ რამდენიმე ციფრი – "00-15-17-238" (საქმეში ჩაუხედავს ალბათ ტელეფონის ნომერი ეგონებოდა!).

კარი XXIII. აიან შუმპეტერი თუ ანდრიუ რეინი?

ვინ იცის, რა ფიქრებს შეუპყრია გავერნორი... იქნებ გულში ისიც კი გაივლო, რომ თავისუფლების ქანდაკების ასე მარჯვედ გაქრობის მოთავეები თავიანთი საქმის დიდ ოსტატებად უნდა მივიჩნიოთ. ამ "დიდი გატაცების" ან "საუკუნის გატაცების" (ეს აქცია ალბათ ამ სახელებით შევა ისტორიაში) ორგანიზატორებს უთუოდ პატივს დასდებენ და ლონდონში, მადამ ტიუსოს ცვილის ფიგურების გალერეაში ყველა დროის უდიდეს განგსტერთა და გამტაცებელთა გვერ-

დით მათი სახელგანთქმული პიროვნებების ქანდაკებებიც დაიდგმება. (ცხადია, თუ მათ აღმოაჩენენ და დაიჭერენ). არ იქნებოდა ურიგო, ასეთი საქმიანი თვისებებისა და გაქანების ჯენტლმანები არჩევნების დროს "სლამპის გუნდის" წევრები ყოფილიყვნენ – მათი მოხერხება ბევრ რამეში გამოადგებოდათ. მაგრამ... მაგრამ ამ დროს, როგორც ჩანს, ნიუ იორკის შტატის გავერნორს ფრიად არასასიამოვნო აზრმა გაუელვა თავში და ხმამაღლა წამოაყვირებინა:

– აიან შუმპეტერი! ან... ანდრიუ რეინი!..

ამ ერთი შეხედვით უაზრო წამოძახილმა სლამპის ყურებჩამოყრილ პარტნერებში თავდაპირველად დიდი გამოძახილი ვერ ჰპოვა. მხოლოდ მისტერ ედვარდ შრაივერი გამოცოცხლდა:

– აიან შუმპეტერი? არა, ასეთ სისულელეს ის არ ჩაიდენდა.

უნდა მოგახსენოთ, რომ ილინოისის შტატის გავერნორი, ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი აიან შუმპეტერი გახლავთ ორკუზიანი აქლემის პარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე და, გალაპის საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებული ბოლო მონაცემებით, ყველაზე მეტი შანსი ჰქონდა, გამხდარიყო პრეზიდენტობის კანდიდატი ამ პარტიისგან.

– რატომ? – მაშინვე მიუტრიალდა მისტერ სლამპი. – რატომ გამორიცხავთ შუმპეტერს?

მისტერ შრაივერი პასუხობს:

– ის არც ისეთი ჭკუამოკლეა, რომ არ იცოდეს: შესაძლოა, ქანდაკების გაქრობით კვანტი დაუდო შენს მთავარ მეტოქეს, მაგრამ არც თვით დაგადგება კარგი დღე – არა მხოლოდ ნიუ იორკის შტატის გავერნორმა ვერ დაიცვა მისი შტატის საკანონმდებლო კრების მიერ "შტატის ოფიციალურ ქანდაკებად" გამოცხადებული ქალბატონი; საქმე ეხება დოლარეთის საერთო ავტორიტეტს და ჩვენი დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტების სიმტკიცესა და ქმედითობას.

– არა, არა, თუ დოლარეთს არ ეყოლება მტკიცე ხელმძღვანელობა, ასეთ სიტუაციებს შეეწირება კიდეც მთელი ქვეყანა და მისი მოსახლეობაც! – ამჯერადაც რადიკალურია მისტერ ვაილდი. – ლიბერალები დაღუპავენ დოლარეთს!

– აიან შუმპეტერი... მართლაც, საფიქრებელია, რომ არც მას ეპიტნავება საყოველთაო ქაოსის აგორება და გამძაფრება ისედაც გათიშული ქვეყნის დაძაბულ სიტუაციაში... – ეთანხმება მისტერ შრაივერს სენატორი კუკი.

– არა, აიან შუმპეტერი გაქნილი პოლიტიკური მელაა, ასეთ საკითხებში არ შეცდება – იცის გათვალისწინება, ყოველი ნაბიჯის გადადგმას რა დადებითი თუ უარყოფითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს... ჩემი თავდაპირველი შეფასება თუ ვარაუდი კარგად არ ავწონ-დავწონე... – ეს სიტყვები მისტერ სლამპს ეკუთვნოდა. მართალია, გავერნორს არ უხსენებია ფარული ჯენტლმანური შეთანხმება აიან შუმპეტერის საარჩევნო შტაბთან, მაგრამ ალბათ მას გულისხმობდა ყოველი ნაბიჯის გათვალისწინებაში.

ცხადია, წინასაარჩევნო ბრძოლის ბოლო დღეებში მეტოქეები არ დაინდობდნენ ერთმანეთს – პოლიტიკურ რინგზე პრეზიდენტის სავარძლისთვის შერკინებულთა ურთიერთ ბრალდებები პოლიტიკურ სიბეცესა და დაპირებათა სპეკულაციურ ხასიათში გადაიზრდება კანდიდატთა პირად თვისებათა მეტად ფერადოვან და ექსპრესიულ დახასიათებაში – კონკურენტის გასაცამტვერებლად საჯაროდ მხოლოდ უცენზურო სიტყვებს ვერ გამოიყენებ... და კიდევ: მიზნის მისაღწევად, პოლიტიკური მოწინააღმდეგის რეპუტაციის შესაბღალავად, ზემოხსენებული საიდუმლო შეთანხმებით არ გამოიყენება, აგრეთვე, გარკვეული სახის ფაქტები... მაგალითად, ის რომ აიან შუმპეტერის პოლიტიკური ბიოგრაფია მჭიდროდ არის დაკავშირებული შიკაგოს განგსტერულ სინდიკატთან; სწორედ მათი მხარდაჭერით დასძლია პოლიტიკური კიბის მრავალი საფეხური: მდივანი სენატში, შტატის კონგრესმანი, შიკაგოს მერი, დოლარეთის ვიცე-პრეზიდენტი... ჩარლზ სლამპი კი, თავის მხრივ, ნიუ იორკის განგსტერთა თავკაცებთან საქმიან და მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფებოდა. რენოსა და ლას ვეგასში, აზარტული თამაშების ინდუსტრიის ცენტრებში, მისტერ სლამპსა და მისტერ შუმპეტერს ბევრი საერთო ნაცნობ-მეგობარი ჰყავდათ, საერთო ფინანსური ინტერესებიც ჰქონდათ; ასე რომ, მათ შორის შეთანხმება არ გაძნელებულა...

– ანდრიუ რეინი? მასზე რა აზრის ბრძანდებით? – აინტერესებს თანამოსაუბრეთა პოზიციების დაზუსტება მისტერ სლამპს.

– ვფიქრობ, წარმატებას ვერ მიაღწევს, – ამბობს მისტერ ბეილი. – სამაგიეროდ, როცა იძულებულნი ვიქნებით, მასთან კომპრომისი ვეძიოთ, ბევრი რამის დათმობა მოგვიხდება.

– ჰოდა, როცა იცის, რომ პრეზიდენტობის კანდიდატად ვერ გავა... – მისტერ სლამპი დაძაბული ელოდება, რა მოსაზრებას გამოთქვამენ მის ამ რეპლიკაზე.

– ჰარისის სამსახური ვარაუდობს, რომ პარტიულ ყრილობაზე დელეგატთა ხმების 17-20%-ს შეაგროვებს, – ამბობს მისტერ შრაივერი. – კალიფორნიაში ბევრი უჭერს მხარს.

– ჩვენთან, სამხრეთში, კიდევ მეტი მომხრე ჰყავს, – უმატებს მისტერ ვაილდი..

– მისგან ყველაფერია მოსალოდნელი! – თავი ვერ შეიკავა ემოციური წამოძახილისგან მისტერ სლამპმა.

ბოლო ფრაზით ბევრი რამ ითქვა. მისტერ ანდრიუ რეინი მართლაც უხეშად ცდილობდა, გაეკვლია გზა თეთრი სახლისკენ. ყოფილ გენერალს, ამჟამად კი საშუალო გაქანების საქმოსანს, მისი მეგობრები და დამქაშები მომაბეზრებელი ხმურით უწევდნენ რეკლამირებას, როგორც "დიად კონსერვატორს", "ერთკუზიანთა ჩემპიონს", "100%-იან დოლარელს", "მტკიცე ხელს"

და ასე შემდეგ. მართალია, არც ისი მდიდარი იყო, სულ 17-18 მილიონი დოლარი ღირდა, მაგრამ მას მხარს უჭერდნენ სამხრეთელი მენავთობე-მულტიმილიონერები და, დიდი ფინანსური დახმარების მეოხებით, შედარებით მნიშვნელოვან წარმატებასაც მიაღწია. თავდაპირველად ვარაუდობდა ცალკე ულტრაკონსერვატორული პარტია შეექმნა, მაგრამ აქ უკვე ჰყავდა კონკურენტი "თავისუფლების პარტიის" სახით; მაშინ ანდრიუ რეინმა ერთკუზიანთა პარტიულ აპარატზე მიიტანა იერიში მის დასამორჩილებლად. შეტევა ყოფილი გენერლის დამარცხებით დამთავრდა – პარტიული აპარატი ჩარლზ სლამპის ხელთ იყო; დოლარეთის "ერთკუზიან" გუბერნატორთა უმრავლესობაც სლამპს მიემხრო. ყველა ეს მომენტი წინასწარ გულდასმით იყო გათვალისწინებული და გაანგარიშებული კომპიუტერთა დახმარებით და მისტერ სლამპის მომავალს დამაიმედებლი იერი უჩანდა. მისტერ რეინმა უეცარი, გაუთვალისწინებელი დარტყმა ხომ არ აგემა მოწინააღმდეგეს? მას ხომ გულითადი კავშირ-ურთიერთობა ჰქონდა გაბმული უკიდურესად მემარჯვენე ფანატიკურ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებთან. პროგრამა მისტერ რეინს კი მარტივი ჰქონდა – ყველას ყველაფერს ჰპირდებოდა: მუშებსა და მოსამსახურეებს – მუდმივ სამუშაოს, ფერმერებს – გარანტირებულ ფასებს მათ მიერ წარმოებულ სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე, მრეწველებს – სამხედრო დაკვეთების ზრდასა და გადასახადების შემცირებას, პროფკავშირებს – საქმოსანთა შეტევისგან დაცვას, ქვეყანას – სტაბილურობასა და სიმტკიცეს, საყოველთაო კეთილდღეობასა და აყვავებას... საგარეო და საშინაო საქმეებში ლიბერალიზმის გამხრწნელი მოქმედების აღსაკვეთად საჭიროდ თვლიდა, ჩამოეღოთ პოლიტიკური თაროდან მოზრდილი კომბალი, რომლისგანაც, მისი აზრით, დრო იყო, მტვერი ჩამოეფერთხათ.

კარი XXVI. თუ ფული დააბანდე, მოგებასაც უნდა ელოდე...

– ასეა თუ ისე, ჩვენი გეგმები იფუშება... – უიმედოა რატომღაც მისტერ შრაივერი.

– და იმედებიც...

მართალია, სენატორ რიჩარდ კუკს არ დაუმთავრებია, თუ რა დაემართება იმედებს (ეტყობა, რომ პროფესიით ადვოკატია), მაგრამ ალბათ გონებით წარმოიდგინა შესაძლო ჯაჭვური რეაქცია (სამწუხაროდ, ფრიად ნეგატიური ხასიათისა): ქანდაკება დაიკარგა, დოლარეთში არეულობაა, ნიუ იორკის შტატის გავერნორის რეპუტაცია შეიბღალა, საარჩევნო კამპანიას ჩაფლავება მოელის... მრავალ და მრავალ ადამიანს სლამპის არჩევასთან დაკავშირებული იმედები გაუცრუვდება: სენატორ რიჩარდ კუკს სახელმწიფო მდივნის სავარძელი დაეკარგება, რობერტ ვაილდს – მთელი რიგი შეღავათებისა და პრივილეგიებისა ნავთობმრეწველთათვის, ედვარდ შრაივერს იმედი ჰქონდა, გამხდარიყო დოლარეთის ელჩი საფრანგეთში ან ინგლისში, ჩესტერ ჰანტერს უნდოდა, ახალი დიდი გარიგებისთვის მიეღწია იმ უზარმაზარი კორპორაციისთვის, რომელიც სამხედრო დაკვეთებით მშვენიერ მოგებას ღებულობდა... არც ის იყო გამორიცხული, რომ ყოფილი გენერალი პრეზიდენტის უახლოესი მრჩეველი გახდებოდა სამხედრო საკითხებში და ამ საქმიანობაში დიდ დახმარებას გაუწევდა მჭიდრო ურთიერთობა როგორც "ძველ ნაცად მეგობრებთან" სამხედრო სამდივნოდან, ისევე იმ კორპორაციის წამყვან საქმოსნებთან, რომლის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტს ამშვენებდა ამჟამად საკუთარი პიროვნებით.

ამ ბუნკერში შეკრებილთათვის და კიდევ მრავალი პიროვნებისა და მთელი ჯგუფისთვის მისტერ სლამპის საარჩევნო კამპანია წარმოადგენდა უპირველეს ყოვლისა საქმიან გარიგებას თუ წამოწყებას, ხანგრძლივვადიან სარფიან კაპიტალდაბანდებას და თუკი მასში კაპიტალი უნდა ჩადო (პოლიტიკური თუ ფინანსური), ცხადია, შესაბამისი დივიდენდების იმედიც უნდა გქონდეს. გავერნორმა თავის დროზე შესძლო ეჩვენებინა მათთვის "სტაფილო" ანუ დააინტერესა მისთვის საჭირო ხალხი მოგების მიღების შესაძლებლობით... რასაკვირველია, როცა ის "ფირმის დირექტორი" – პრეზიდენტი – გახდებოდა, არ დაივიწყებდა მათ, ვინც მის პოლიტიკურ მომავალს ენდო და ხელი გაუმართა.

მისტერ სლამპის საარჩევნო კამპანიის ჩაფლავებით მისტერ ვინტროპ ბეილი II-ც საკმაოდ იზარალებდა. კიდევ კარგი, პროფილაქტიკური ზომები ადრევე მიიღო – ვაჟი, ვინტროპ ბეილი III, ორკუზიანი აქლემის პარტიის წევრი და ქომაგი გახლდათ და დაახლოებული იყო ამ პარტიის ხელმძღვანელობასთან...

ზუსტად არავინ იცის, თუ რა ღირდა გავერნორი სლამპი, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატი. მხოლოდ სენატორ ჯონ პრიარეინჯის პირველადი არჩევნები – ჩარლზ სლამპის საარჩევნო კამპანიის პირველი საფეხური – ნიუ ჰამპშირში 600 000 დოლარი დაჯდა, ორეგონში – 3 მილიონი დოლარი, ხოლო კალიფორნიაში, როცა ჯონ პრიარეინჯის მარიონეტული ფიგურა გათვალისწინებული იყო, შეცვლილიყო ჩარლზ სლამპის კანდიდატურით, ხარჯები 5 მილიონ დოლარს ბევრად გადააჭარბებდა. საერთოდ კი, ძირითადი საარჩევნო კამპანიის ხარჯები ნოემბრისთვის 300 მილიონ დოლარს მიაღწევს და შესაძლოა, გადააჭარბოს ამ თანხას კიდეც. თუმცა, მოუხდება კი ჩარლზ სლამპს ოფიციალურად წამოაყენოს საკუთარი კანდიდატურა ნოემბრის "დიდი წარმოდგენისთვის"? არჩევნებამდე ჯერ დიდი დროა, დამარცხების აჩრდილი კი უკვე გონებას უმღვრევს ბუნკერში მყოფთ... დაუჯერე ამის შემდეგ საზოგადოებრივი აზრის სპეციალის-

ტებს და ელექტრონულ გამომთვლელ მანქანებს – კომპიუტერებს, ნიუ იორკის შტატის გავერნორს გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი აქვსო...

კარი XXV. კომპიუტერის დასკვნა: საქონელი უმაღლესი ხარისხისაა!

კომპიუტერები, კომპიუტერები... ყველგან მათ იყენებენ, მცირე საკითხთა გადასაწყვეტადაც კი.

ცხადია, გავერნორ ჩარლზ სლამპის საარჩევნო კამპანია კომპიუტერების – ელექტრონული გამომთვლელი მანქანების გამოყენებით იყო დაგეგმილი.

უნდა ვაღიაროთ, რომ თვით ჩარლზ სლამპის კანდიდატურის შეფასება და პოლიტიკურ ბაზარზე მისი დიდი კონკურენციისუნარიანობის დადგენა კომპიუტერების დახმარებით მოხდა, როცა მთელმა რიგმა სამრეწველო კომპანიებმა და ფინანსურმა დაჯგუფებებმა გაიღეს სახსრები ერთკუზიანი აქლემის პარტიისგან პრეზიდენტობის კანდიდატთა საგულდაგულო შეფასებისთვის. ამისთვის მიმართეს "სრული მომსახურების" სარეკლამო სააგენტოს მადისონ ავენიუზე, რომელიც საქმოსანთათვის კისრულობდა მთელ რიგ კომპლექსურ ღონისძიებათა დამუშავებასა და განხორციელებას: კლიენტის საქონლის შესწავლას და შეფასებას, ბაზარზე პირობების გამოკვლევას (ბალანსი საქონლის არსებობასა და მასზე მოთხოვნილებას შორის,) საქონლის გასაღების საუკეთესო გზების გამოძებნას და სხვადასხვა სარეკლამო ღონისძიებათა გეგმების შედგენასა და შესრულება-განხორციელებას. ეს სააგენტო წარმატებით ასაღებინებდა კლიენტებს სულ სხვადასხვანაირ პროდუქციას – უახლესი მარკის ავტომობილებითა და კოსმოსური სკაფანდრებით დაწყებული და ლუდითა და ძაღლთა კონსერვებით დამთავრებული.

პარტიას ჰყავდა მთელი ხროვა ფართო სპექტრის პოტენციური კანდიდატებისა: უაღრესად მემარჯვენე შეხედულებებითა და უკიდურესად მემარცხენე პროგრამით, მულტიმილიონერებიცა და უქონელნიც, საქვეყნოდ სახელგანთქმულნიცა და ყველასთვის უცნობნიც. კომპიუტერმა ფსიქოლოგიური განჭვრეტის დიდი უნარი და წინდახედულება გამოიჩინა და არცთუ უსაფუძვლოდ ოქროს შუალედი არჩია – კომპრომისული კანდიდატი – ჩარლზ სლამპი.

ეს კანდიდატი არც იმდენად მდიდარი იყო, რომ მოსახლეობის ფართო ფენების და ზოგიერთი ფინანსური დაჯგუფების ეჭვი და უნდობლობა გამოეწვია; არც იმდენად ცნობილი, რომ თავისი გამოჩენით ახლისკენ, უკეთესისკენ ცვლილების მოლოდინი გაეცრუებინა.

კომპიუტერული კვლევით დადგინდა, რომ შემოთავაზებული საქონლის ნიმუშებიდან ჩარლზ სლამპი ყველაზე მეტად ამჟღავნებს კონკურენციის უნარს და შედარებით სრულად პასუხობს პრეზიდენტობის კანდიდატისთვის წაყენებულ ტექნიკურ პირობებს, რომელიც საჭიროა უწუნოდ, უავარიოდ და შეუფერხებლად მუშაობისთვის:

ფერი: სავსებით ჯანსაღი (ოდნავ ყვითელი დაჰკრავს ხანგრძლივ თათბირებსა და სხდომებზე თამბაქოს ბოლით გაჯერებულ ოთახებში ჯდომისგან);

სახის გამომეტყველება: პატიოსანი, სავსებით სანდო, საქმიანი კაცისთვის დამახასიათებელი (ტყუილად კი არ გაატარა კარგა ხანი და გაიარა სრული კურსი შიკაგოს საქმიანი კაცის მიმიკის ინსტიტუტში!);

გარეგნობა: ტელევიზორის ეკრანზე ფრიად სიმპათიური იერი აქვს (თუ შესაფერის გრიმს შევურჩევთ); ეს უდიდესი პლუსია. თავისუფლად უჭირავს თავი და არ გაურბის ობიექტივში პირდაპირ ცქერას, რაც ტელემაყურებლებში მათთან გულითადი საუბრის ილუზიას ქმნის;

პედიგრი ანუ წარმომავლობა: წმინდა სისხლის – მამაც და პაპაც წვრილი ბიზნესმენები, ანგლიკანები; მამა ოცნებობდა შვილის დიდ პოლიტიკურ კარიერაზე და მისი ფეხმძიმე ცოლი წინდახედულად გააგზავნა თავისი მეგობრის ფერმაში, რათა შვილს შემდგომ შესძლებოდა საქვეყნოდ განეცხადებინა, რომ ის "უბრალო ფერმერულ სახლში დაიბადა და ამაყობს ამით!";

საქმიანი ჩვევები: ენერგიულობა, წინდახედულობა, გამჭრიახობა; წმინდად იცავს დოლარელი ბიზნესმენის სამ ძირითად წესს: გააანალიზე, გაანაწილე ფუნქციები (მოვალეობანი) და უზედამხედველე, შეამოწმე შესრულება;

წარმადობა ანუ ფულის მოხვეჭის სიჩქარე: საკმაოდ მაღალი – 520-650 ათასი დოლარი წლიურად;

პოლიტიკური შეხედულებანი: 100%-იანი დოლარელი, სანდო, როგორც მილიონი დოლარი; ამასთანავე ამჟღავნებს სიახლის გრძნობასაც, რაც აუცილებელია პროგრესისთვის...

რასაკვირველია, აქ გამარტივებულად და მხოლოდ ნაწილობრივ არის მოტანილი ჩარლზ სლამპის დოსიეს ნაწილი, რომელიც, ზემოაღნიშნულის გარდა, უამრავ სხვა მონაცემსაც შეიცავს – დაწყებული სიმაღლით, წონით, თვალების ფერით და დამთავრებული საყვარელი კერძებით, მიდრეკილებებით, მეგობარ-ნაცნობთა წრით, ინტიმური ცხოვრების დეტალებით და თავისუფალი დროის გამოყენების ხასიათით.

მისტერ სლამპის საარჩევნო პლატფორმაც კომპიუტერის დახმარებით შედგა. ეს იყო "ნაღდი", წაუგებელი, 100%-იანი წარმატების პლატფორმა. ზუსტად იყო გაანგარიშებული საარჩევნო კამპანიის ღირებულება და მისი ჩატარების ყველაზე სარფიანი და შედეგიანი ვადები და გზები.

კომპიუტერისთვის პროგრამის შედგენისას გაითვალისწინეს ათასი და ერთი წვრილმანი და, რასაკვირველია, გამომკვლევმა კომპანიამ ექსპერტებად და კონსულტანტებად მიიწვია უნივერსიტეტებისა და კორპორაციების ყველაზე გამოჩენილი იურისტები, ფსიქოლოგები, სოციოლოგები, ფილოსოფოსები, ეკონომისტები, რეკლამის სპეციალისტები და ასე შემდეგ; მათ შორის: დემოკრატიული დაწესებულებების შესწავლის ცენტრიდან, ადამიანთა შორის ურთიერთდამოკიდებულების საკითხთა კომისიიდან, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისა და გამოკითხვის ინსტიტუტებიდან, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებიდან, ერთკუზიანი აქლემის პარტიის პარტიული აპარატიდან და მრჩეველთა გუნდიდან და სხვა მრავალი.

არ დავიწყებიათ, აგრეთვე, სამძებრო სააგენტოების გამოცდილ დეტექტივთათვის რჩევა-დარიგების კითხვა და პირადი დაცვის სისტემის დახვეწა.

კარი XXVI. სარჯენტ ჯოგლს ემღერება, ეცეკვება და არც თამაშზე იტყვის უარს!

— სალამი პატივცემულ საზოგადოებას!..

ო, რა მშვენიერია ეს დილა!
ო, რა მშვენიერია ეს დღე!
მშვენიერ ხასიათზე გახლავარ:
საქმეები ისე მიდის, როგორც მე მინდა!..

— ხმა ჩაიკმინდეთ, სარჯენტ! თქვენც მონახეთ დრო გასასკდომად... სწორედ სიმღერის ხასიათზე ვართ!

ეს სიბრაზით გაჟღენთილი რეპლიკა გავერნორ სლამპს ეკუთვნოდა, წინა სიმღერა კი, შესრულებული სასიამოვნო, მაგრამ უკვე ხრინწშეპარული ბარიტონით, — ჩასუქებულ დაბალ კაცს, სარჯენტ ჯოგლს. ბოდიშს ვიხდი, რომ ეს უკანასკნელი ადრე ხეირიანად არ გაგაცანით, თუმცა მისტერ ლორდის წვეულებაზე იმყოფებოდა. როგორც ჩანს, საკმაოდ მხიარულ ხასიათზეა, თორემ თავს არ წარმოიდგენდა დოლარეთის საქმოსანთა რომელიმე კლუბში. სწორედ ამ პატივსაცემ დაწესებულებებში ბიზნესმანები საქმიან შეხვედრებს ტრადიციულად ამთავრებენ ზემომოყვანილი ოპტიმისტური სიმღერით.

საინტერესოა, მისტერ ჯოგლი ფეხზე ძლივს დგას და როგორ არ დაავიწყდა რამდენიმე რთული შიფრი, რომლის საშუალებითაც ელექტრულმა რობოტმა სამ "ფილტრში" გაატარა, სანამ ოთახში შემოუშვებდა. აჰა, გასაგებია, მას უკან შემოჰყვა გავერნორის მდივანი ბობი ტეილორი. მისტერ ჯოგლმა კი რევერანსი გააკეთა, თავი ძლივს შეიმაგრა და ისევ გაიმართა წელში:

— ბოდიში... მაპატიეთ... თუ არ მოგწონთ... ახალ სიმღერას მოგართმევთ... — და მისტერ ჯოგლი აღრიალდა:

— ო, რა ბნელია ეს ღამე!
აჩრდილები დაძრწიან ბნელ ქუჩებში...
მაინც მშვენივრად ვგრძნობ თავს —
ჭირსაც წაუღია საქმეები!

როცა ბუნკერში მყოფთაგან მხარდაჭერა ვერ მიიღო, მისტერ ჯოგლმა ესტრადის მომღერლის ჟესტით დანარჩენებს მოუწოდა, რაღას უცდით, ამყევითო:

— დიახ, მშვენივრად, მშვენივრად ვგრძნობ თა-ა-ავს!..

— გაჩუმდით! ახლავე ხმა ჩაიწყვიტეთ! —უყვირა მისტერ სლამპმა; მასზე გამაღიზიანებლად მოქმედებდა ასეთ დაძაბულ სიტუაციაში მისტერ ჯოგლის ტუტუცური გამოხდომა.

— რა უნდა მოჰკითხო, მიღებული ჰყავს უფალს, — აიჩეჩა მხრები მისტერ შრაივერმა.

— მისტერ ტეილორ, რა ჯანდაბად მოიყვანეთ აქ?

— რატომ? ქალბატონებო და ბატონებო, ღმერთმანი, არავის შევუშლი ხელს... — ალუღლუღდა მისტერ ჯოგლი.

— ყველგან ქალები ელანდება, — ამბობს სენატორი კაბოტი.

— ...ცოტა გადავკარი, რა მოხდა მერე?.. ცოტა ვიცეკვე... — აგრძელებს დარდიმანდულად მისტერ ჯოგლი და რაღაც ცეკვის ილეთების მცდელობასაც არ აკლებს.

— იცით თუ არა, თქვენ, მოწყალეო ბატონო, რომ თავისუფლების ქანდაკება არცთუ კეთილი განზრახვით გაიტაცეს? — უყვირა მისტერ სლამპმა.

— მაგაზე დაგდგომიათ ჯავრი? — გაჩერდა მისტერ ჯოგლი, წონასწორობას ძლივს ინარჩუნებს. — ალბათ ვიღაცამ იხუმრა... მოდი, დავნაძლევდეთ, რომ ქანდაკებას ორ საათში იპოვნიან!

— რა ქარაფშუტა და უტვინო პიროვნება ბრძანდებით! — ამჯერად სენატორმა კუკმა შეუტია მისტერ ჯოგლს. — თავისუფლების ქანდაკება სიგარეტის კოლოფი ხომ არ გგონიათ? ორ

დღეზე ადრე ვერაფრით მიაგნებენ მის კვალს, ისიც მაშინ, თუ ბედმა გაუღიმათ და სწორ კვალს დაადგნენ!

– მაშინ დავნაძლევდეთ, რომ ორ თვეზე ადრე ვერ მიაკვლევენ! – თავისას გაიძახის მისტერ ჯოგლი. – არავინ რისკავს? მაშინ დავნაძლევდეთ, რომ ორი წელიც გავა და ქანდაკება არ გამოჩნდება!

– რა უბედურებაა, რატომ ორი წელი? – გაკვირვებულია მისტერ კუკი.

– იმიტომ, ჩემო ძვირფასო, რომ იმ შენს ძვირფას ქალბატონს ტყუილად ხომ არ წაიღებდნენ, გადაადნობდნენ... – ისევ ყურადღების ცენტრშია მისტერ ჯოგლი, ფართოდ იღიმება: – კარგი, დავნაძლევდეთ, რომ ქანდაკებას ორმოცდაათი წლის შემდეგ აღმოაჩენენ ვინმე მილიარდერის საკუთარ მამულში – მის მშვენიერ ბაღში! კერძო კოლექციის მარგალიტი – ყველაზე ახლობელი მეგობრების გასართობად! თუ როდისმე ფინანსური პრობლემები შეექმნა, ცნობისმოყვარე ტურისტებისთვის ფასიან სანახაობად გახდის!

– რას ბოდავს ეს ჭკუათხელი!.. – აღშფოთებულია მისტერ სლამპი.

– მთვრალი ადამიანი... ერთი წუთით... ე-ე-ე... აღარ არის ადამიანი! გრეიამ, ჩაიწერეთ?

– ასეთ დროს გართობაზე როგორ იფიქრა?.. – გრგვინავს ექს-გენერალი ჰანტერი. – ციხე ცოტაა მაგისთვის! არავითარი დისციპლინა, პასუხისმგებლობის ელემენტარული გრძნობა... სწორედ ამ საერთო აპათიამ და უზრუნველობამ აფრიკის ჯუნგლებში ლამის არის წაგვაგებინოს ბრძოლა.

– საკვირველია, საკვირველი: ჩვენთან, სამხრეთში, ფუთობით სვამენ "ჯონი ვოკერს" და აქაურ ფხიზლებზე უკეთ არიან და საღად აზროვნებენ, – თავდაჯერებით აცხადებს ტექსასელი აყლაყუდა მისტერ ვაილდი. – დიახ, ჩვენთან სულ სხვა ყაიდის ხალხია, ვიცით სმა. ნაძლევს ჩამოვდივარ: სამ ჭიქა ლუდზე მეტი არ ექნება დალეული.

– ლუდი დავლიე თუ უფრო მაგარი რაღაცა, ახლავე დაინახავთ... – მისტერ ჯოგლმა ხელი ჩაიყო პიჯაკის ჯიბეში და ბრტყელი ბოთლი ამოიღო. – აბა, ვის უნდა, პირველმა მოიყუდოს! ყველას გვეყოფა, თითქმის სავსეა!

– ოჰ, ეს ღორობაა, ძვირფასო სარჯენტ! – ზრდილობიანად მიმართავს მისტერ ჯოგლს სენატორი კუკი. – ნუ დაივიწყებთ, სად და ვისთან იმყოფებით!..

– ამას რიჩარდ კუკი მეუბნება? ჰა-ჰა-ჰა!.. – ლამის გადაფიჩინდა მისტერ ჯოგლი. – დიკ, სენატის ეთიკის კომისიის ხომ არ გეშინია?.. გინდა, გავაგებინო, რამდენჯერ ერთობოდი ჩემთან ერთად, ჰა?.. ღამის დახურულ კლუბებში... თუ გახსოვს, ერთი მულატი გოგოსთვის რომ გიყდებოდი... მწუ!!! ახლა უკეთესებს გაჩვენებ... დასურათებული ფერადი კატალოგი გინდა?.. აი, ნახე!..

– 42-ე სტრიტზე უკეთესი ვერაფერი იშოვე? – ცოტა არ იყოს, შეფიქრიანდა სენატორი კუკი.

– ყეყეჩო! იქ იყიდი, როგორ არა, მოგართმევენ! – უბოდიშოდ უყვირის სენატორს მისტერ ჯოგლი. – დაგავიწყდა? ასეთი ალბომები მხოლოდ რჩეული კლიენტებისთვისაა. ამოირჩიე, რომელიც მოგეწონება... გინდა – იაპონელი მინიატურული გოგონები, გინდა – ტაიტის ეგზოტიკური ლამაზმანები... აგერ ქერა, წარმოსადეგი სკანდინავები... ვნებიანი შავგვრემანი იტალიელი და ბერძენი ქალები... ნატიფი, სიყვარულის ხელოვნებაში დაოსტატებული ფრანგები...

– ძვირფასო სარჯენტ, "ჯოუნზიც" გახდი? – სარკაზმი გაურია ხმაში მისტერ შრაივერმა, თან ერთი სული ჰქონდა, საკუთრივ ჩაეჭვრიტა ალბომში.

– ამოირჩიე, რომლის აღნაგობა უფრო მოგწონს... – ფურცლავს ალბომის მისტერ ჯოგლი. – აი, ეს მომღერალიცაა, ძველებურ ინგლისურ ბალადებს ჩინებულად ასრულებს... ამოირჩიეთ, ბიჭებო... თუ გნებავთ, ტელეფონითაც შემიძლია გამოძახება, მე მენდობიან. ვინტროპ, ხომ არ დავურეკოთ, ჰა?

– წარმოუდგენელი თავხედობაა! ვულგარობასაც თავისი საზღვარი აქვს! – გამხდარი მოხუცი ვინტროპ ბეილი აკანკალდა აღშფოთებისგან, ალბათ დაავიწყდა, რომ ათიოდე წლის წინათ თვითონაც მისტერ ჯოგლს არ დაუდებდა ტოლს საეჭვო გართობების მხრივ და იქნებ სჯობნიდა კიდეც.

– სიმდიდრემაც კი ვერაფერი გიშველათ... – საყვედურობს მისტერ შრაივერიც.

– რაო?!. რითაა ჩემი ფული თქვენსაზე ნაკლები, ჰა? – თითქოს გაუხარდაო, ისეთნაირად წამოიძახა მისტერ ჯოგლმა, რადგან საბაბი მიეცა, კონტრშეტევაზე გადასულიყო. – მე მეცნიერებს ვუჯერებ... ფსიქოლოგებმა დაადგინეს: მნიშვნელოვანი ფინანსური გარიგების წინ ქალიშვილებთან უნდა შეიარო... დიახ!.. რადგან საქმიანი კაცის განწყობილებისთვის "სქესობრივ ფაქტორს" გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება!.. ეს მეცნიერულად დამტკიცებულია!.. 500 თუ 1000 დოლარს როგორ არ ვანაცვალებ საქმის წარმატებას... ამ სისტემას ჩემთვის არც ერთხელ არ უღალატია!..

დიახ, სარჯენტ ჯოგლი დიდი მოყვარულია კვეხნისა, დალევისა, გართობისა და... ბიზნესსაც არ ივიწყებს! მისი საქმეები ბოლო წლებში უდავოდ ბრწყინვალედ წარიმართა. და არ გეგონოთ, რომ ის მხოლოდ "ბიფშტექსის მოყვარულთა კლუბის", "ღვეზლის მოყვარულთა ასოციაციის" და სხვათა წევრია, არა; თუმცა ის დიდ დროს უთმობს "ღორმუცელათა კლუბში" ორგანიზაციულ საქმიანობას, როგორც მისი ვიცე-პრეზიდენტი, მაგრამ არანაკლებ ენერგიულად მოღვა-

წეობს ათობით კომპანიასა და კორპორაციაში, სინდიკატსა და ტრესტში: ზოგში პრეზიდენტი ან ვიცე-პრეზიდენტია, სხვებში – დირექტორთა საბჭოს წევრი, საპატიო თავმჯდომარე და ასე შემდეგ. მისი მშობლები საშუალო შემძლებისანი იყვნენ და ახლა სარჯენტ ჯოგლს დიდ სიამოვნებას ჰგვრის, როცა შეუძლია, ძმაკაცურად, ფამილარულად და ზოგჯერ – საკმაოდ უტიფრადაც მიმართოს ძლიერთ ამა ქვეყნისა უბრალოდ სახელით, არცთუ იშვიათად ჭკუაც დაარიგოს მათ ან დატუქსოს საქმოსანთა "არისტოკრატიული", საყოველთაოდ ცნობილი გვარების წარმომადგენელნი. ასეთი გამოხდომები მას დიდ და ღრმა კმაყოფილებას ჰგვრის და მით უფრო ხშირად მიმართავს სხვათა თანდასწრებით საკუთარი ხელით მოხვეჭილი დოლარების ძალისა და გავლენის ამგვარ გამოვლინებას, რაც უფრო მწვავედ გრძნობს თავის "ჩვეულებრივ", რიგით წარმომავლობას, უბრალო, არაფრით გამორჩეულ გენეალოგიას.

– გამარჯობა, ჩარლი! – მისტერ ჯოგლი შემრიგებლური ღიმილით მივიდა მისტერ სლამპთან. – რაზე იბღუზებით? შენმა მდივანმა, პატივცემულმა ბობი ტეილორმა შემატყობინა, სერიოზული საქმეაო, ძალზე სასწრაფოო... იმიტომ წამოვყევი, თქვენ კი სალამიც არ მაღირსეთ... ახია ჩემზე, რას მოვჩერჩეტობდი, უკეთეს ადგილას ვიყავი, გოგონებთან ჩინებულად ვერთობოდი...

– ქვეყანა ანარქიის ჭაობში ეფლობა, თქვენ კი შუაღამისას ცეკვა მოგინდათ?! – შეუვალი ტონით უპასუხა მისტერ სლამპი.

– სწორედ შუაღამისას აქვს ცეკვას გემო... – ისევ იღიმება მისტერ ჯოგლი. – აქამდე არ გაგიგიათ? საყვარელო ჩარლი, ეს თქვენ სხვებზე უკეთ მოგეხსენებათ!..

სარჯენტ ჯოგლის ნართაულად ნათქვამს ერთგვარი საფუძველი ჰქონდა. ამ ორი წლის წინ სწორედ ცეკვის პრობლემა გახლდათ ცენტრალური საკითხი ნიუ იორკის შტატის გავერნორის არჩევნების დროს, წინანდელ გავერნორს, მულტიმილიონერ დეივიდ ვანდერველდეს, იდეა დაებადა, რომ ღამის კლუბებში ცეკვა-გართობა ღამის 4 საათამდე კი არ უნდა იყოს ნებადართული, არამედ მხოლოდ ღამის 2 საათამდე. ამით, როგორც ჩანს, მას უნდოდა ნიუიორკელთა გული მოეგო – გამოეჩინა ზრუნვა მოქალაქეთა განგსტერებისგან დაცვაში. ჩარლზ სლამპმა შესანიშნავად გამოიყენა მეტოქის წინდაუხედავი ნაბიჯი – გადაჭრით აღუდგა წინ მოქალაქეთა წმიდათა წმიდა უფლებების ხელყოფას: საქვეყნოდ განაცხადა, რომ ყოველგვარი შეზღუდვები და აკრძალვები ძირს უთხრის დოლარეთის მოქალაქეთა თავისუფლებას, ეწინააღმდეგება კონსტიტუციურ უფლებებს და ლახვარს სცემს კერძო ინიციატივის გამოვლინებას – გართობა და დასვენება უნდა ნებადართული იყოს დღე-ღამის ნებისმიერ დროს!

პრესა, რადიო და ტელევიზია მაშინვე ჩაება გააფთრებულ დისკუსიაში არჩევნების ამ ფრიად საჭირბოროტო, საკვანძო საკითხის გარშემო; მიტინგებსა და ხალხმრავალ შეკრებებზე დაქირავებული ორატორები ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვიროდნენ ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან, ცხოველ პრობლემაზე; სხვა თემები, ცხადია, ჩრდილში მოექცა.

დეივიდ ვანდერველდე მიხვდა, რომ საბედისწეროდ შეცდა, გავერნორის სასახლეს ოლბანიში უნდა გამომშვიდობებოდა. ასეც მოხდა. ჩარლზ სლამპის წარმატებაში საკმაო წვლილი მიუძღვოდათ ღამის კლუბების მეპატრონეებს და მათ მფარველ განგსტერულ დაჯგუფებებსაც.

– ჩემო ძვირფასო ჩარლი, ისე ვერ გავკადნიერდები, რომ გთხოვოთ, მეცეკვოთ... ხელი მაინც ჩამომართვით...

ხელგაწვდილი ჯოგლი მიუახლოვდა გავერნორს, სლამპმაც უხალისოდ შეაგება მარჯვენა. უცებ ჯოგლი, ხელის ჩამორთმევის მაგივრად, გაექანა, დაეჯახა დიდი მუცლით ჩარლზ სლამპს და კარგა შორს გასტყორცნა; შემდეგ თვალის დახამხამებაში შეტრიალდა და ახლა გეზი მორიგი მსხვერპლისკენ აიღო.

– ო, აგერ ედვარდსაც ვხედავ... არც თქვენ გინდათ, მომესალმოთ, ძვირფასო ედ?

– სარჯენტ, სარჯენტ, გონს მოეგეთ!.. რას სჩადიხართ! – ედვარდ შრაივერი, მაღალი, საკმაოდ ჩასუქებული ჯენტლმანი, შესაშური სიმკვირცხლით დარბოდა მაგიდის გარშემო.

– მოიცათ, ედ!.. – ქშინავდა ჯოგლი. – ასე უნდა მეგობრის მიტოვება?

– გეყოფათ, სარჯენტ!

– მოდი აქ, შე მუცლიანო! შეგეშინდა? მოდი, შევაჯიბროთ... შენი ღიპი – ჩემი ღიპი!

– მისტერ ჯოგლ, სამასხროდ არ გვცალია! ნუ გავიწყდებათ, ვისთან გაქვთ საქმე!.. – დაუყვირა სენატორმა კუკმა.

– ამას ახლავე შევიტყობ... უფრო ახლოს მოცუნცულდი, ჩემო კარგო... – მძიმედ მობაჯბაჯე, აწითლებული ჯოგლი წამით შეჩერდა, შეტრიალდა და კედელთან ატუზულებისკენ გაექანა. მათ აქამდეც არ ჰქონდათ კარგი ფერი, ახლა ხომ სულ გაიცრიცნენ და, გულგახეთქილნი, ერთმანეთს ასწრებდნენ. გასწრებულებს ჩამორჩენილნი უკნიდან ებღაუჭებოდნენ, ეკონწიალებოდნენ, ერთმანეთს ხელს უშლიდნენ; თითოეული ცდილობდა, საკუთარი ტყავი გადაერჩინა, სხვისი დარდი სულ არ აწუხებდა. წაქცეულებს ფეხს ადგამდნენ, ახტებოდნენ ზევიდან...

სანამ ჩვენს გმირებს მისტერ ჯოგლი მაგიდის გარშემო სირბილში ავარჯიშებს (აქვე შევნიშნავ, რომ წინ გავარდნენ უშიშარი ექს-გენერალი მისტერ ჰანტერი და გრძელფეხება "მტკიცეკაცი" – ტექსასელი "კაუბოი" ვაილდი), მინდა, ბოდიში მოვიხადო, რომ ჩვენს დრამატულ კა-

ლეიდოსკოპში სრულიად მოულოდნელად სასეირო ეპიზოდი გამოერია. იმედია, კრიტიკოსები ამას გვაპატიებენ. რას იზამ, ცხოვრებაში ასეც ხდება!

მხოლოდ ერთი, დამამთავრებელი შტრიხი ამ სიტუაციის ასახვისა და ისევ სერიოზულ ამ-ებებზე განვაგრძობთ საუბარს.

უკანასკნელად სარჯენტ ჯოგლი რატომღაც ვინტროპ ბეილის გამოენთო (ალბათ რაიმე ძველი ანგარიშები თუ გაახსენდა), მაგრამ მოხუცის განწირულ ღაღადისზე ღმერთის მაგივრად მისი პირადი მდივანი გრეიამ პანჩენი გამოჩნდა და ჩამოეფარა მსხვერპლს... თუმცაღა, გამოსავა-თებული ჯოგლი უკვე ძლივს ადგამდა ნაბიჯებს. გაჩერდა, ტირანის შიშით ხელფეხშებორკილ ექიმს ზრდილობიანად ჩამოართვა ხელი, შეტრიალდა (დანარჩენებს ისევ ელეთმელეთი დაემარ-თათ) და ღრმა კმაყოფილებით ჩაილაპარაკა:

– ხომ აგაკუნტრუშეთ კენტაკის კვიცებივით!.. უჰ!.. აქაც კარგად გავერთე!.. მშვენიერი სირ-ბილი გცოდნიათ... – და კუთხეში მდგარი მომცრო მაგიდისკენ წაბანცალდა. თვითონაც არ იცო-და, აქეთ რატომ წამოვიდა. ერთხანს უაზროდ აჭყეტდა თვალებს, შემდეგ თვალი შეავლო თაბა-შირის სტატუეტს თავისუფლების ქანდაკებისა და ხელი წაავლო. ქანდაკება გადაქანდა, გადაყი-რავებას აღარაფერი უკლდა... ყველას გული შეეკუმშა მსხვრევის ხმის მოლოდინში... ჯოგლი უფრო ახლოს მივიდა მაგიდასთან, ორივე ხელი მოხვია სტატუეტს და გულში ჩაიხუტა; შემდეგ ქანდაკებიანად გაემართა კუთხეში მდგარი სავარძლისკენ, მძიმედ დაეგდო ზედ და სულ მალე ფშვინვაც ამოუშვა...

კარი XXVII. ღიმილი რთული ხელოვნებაა!

სანამ ექიმი აკანკალებული ხელით ვინტროპ ბეილის ასმევდა რაღაც წამალს, სხვები კი, სკამებზე მსხდომნი, სულს ითქვამდნენ, გავერნორის ტენისით ნავარჯიშევი გული უკვე დამშვიდ-და (მხოლოდ ის არ დამჯდარა სკამზე და თუ რატომ, ამას მოგვიანებით გაიგებთ). ჩარლზ სლამპი მივიდა მის პირად მდივანთან ბობი ტეილორთან და ხმადაბლა, თავშეკავებული ბოღმით აღსავსე ხმით უთხრა (მისტერ ტეილორი არ მონაწილეობდა მაგიდის გარშემო სირბილში და ახლაც წყნარად იდგა კედელთან):

– ღმერთმანი, დღეს ყველანი და ყველაფერი გადაირივნენ! თქვენ რაღა დაგემართათ?

– ძალიან ვწუხვარ, სირ, მაგრამ თქვენ ასე მითხარით – ცოცხალი ან მკვდარი ჯოგლი აქ უნდა მომგვაროო.

გავერნორმა არაფერი უპასუხა, აშკარად არ იყო საუბრის ხასიათზე. მდივანიც გრძნობდა მდგომარეობის დაძაბულობას და არ უკვირდა ორატორული ნიჭით განთქმული ბოსის სიჩუმე. ისე კი, კაცმა რომ თქვას, სლამპის მჭერმეტყველება უპირატესად გამოცდილ რეჟისორებთან და კონსულტანტებთან გულმოდგინე ვარჯიშისა და დახელოვნებულ სიტყვათა შემდგენლების დამ-სახურება უფრო იყო. მათივე დიდი მეცადინეობის წყალობით ისე დაოსტატდა, რომ ალაგ-ალაგ წარმატებით ურევდა "მდაბიურ" მეტყველებას დახვეწილი ლიტერატურული სტილის გამოსვლებ-ში, რაც დაეხმარებოდა "უბრალო ხალხთან", ჩვეულებრივ რიგით დოლარელთან "ახლოს მდგა-რიყო". ტეილორთან მისი საუბრის ნირი უდაოდ მოწმობს, რომ წვრთნას ურიგო შედეგი არ მოუ-ცია.

გასაკვირი კი ის არის, რომ ყოველთვის უშფოთველ, მტკიცე და შეუპოვარ გავერნორს ახ-ლა ვეღარ იცნობთ – ნერვიულად მიმოდის ბუნკერში და მის სახეზე სახელგანთქმული ღიმი-ლის კვალიც არ ჩანს. ღიმილი კი უაღრეს სრულყოფილებამდე ჰქონდა დამუშავებული – უკვა-ლოდ არ ჩაუვლია მრავალსაათიან რეპეტიციებს გამოცდილ სპეციალისტებთან; შესანიშნავად დაეუფლა "ღიმილის" რთულ ხელოვნებას: თვალების მოწკურვას, ტუჩების კუთხეთა მეტყველ მოძრაობას, მძივებივით ჩაწიკწიკებული კბილების გამოჩენას (კარგი სამსახური გაუწია სტუდენ-ტობისას კბილების დაძრობაში შეჯიბრმა – კინომსახიობივით ახალი კბილები ჰქონდა). აითვისა მთელი გამა ღიმილის სპექტრისა:

თავის ღირსეული დახრა ოდნავ მორცხვი ღიმილითურთ (როცა საჯაროდ აქებენ);

ირონიული და ამავე დროს ზიზღნარევი დაცინვით აღსავსე ღიმილი (როცა მოწინააღმდე-გეებს ახასიათებს);

მისთვის სრულიად მოულოდნელი საზიზღარი ცილისწამებით დაბნეული და სამართლია-ნად აღშფოთებული კაცის უმწეო ღიმილი (როცა წაყენებულ ბრალდებებს უარყოფს);

ნდობით გულაჩუყებული კაცის ღიმილი (როცა არჩევნებზეა საუბარი – თითქოს უკვე უეჭ-ველია მისი გამარჯვება);

თანაგრძნობისა და "წუხილის" ღიმილი (როცა სიღატაკეს, ჯურღმულებს, უმუშევრობას ეხება);

ფართო, ოპტიმისტური, "ათასვატიანი სიკაშკაშის" ღიმილი (როცა მომავალზე ლაპარა-კობს)...

პროფესიულად დამუშავებული გამომსახველი ხმით, უაღრესად მეტყველი ჟესტებით (დიაპა-ზონი: არისტოკრატიული თავშეკავებიდან – "დემოკრატიულ", ვულგარულ ქცევამდე), მდიდარი

მიმიკის თავისუფალი და ჰარმონიული ცვალებადობით, უპრეტენზიო, მაგრამ ელეგანტური ჩაცმულობით სლამპს იმედი ჰქონდა მსმენელთა და მხილველთა ფართო ფენებში გამოეწვია გრძნობათა და აზრთა ნაკადი, რომ: სავსებით აქვს გაცნობიერებული და სრულად გათვალისწინებული დოლარელთა წინაშე მდგარი რთული პრობლემები; მთლიანად იზიარებს ადამიანთა მწუხარებასა და გაჭირვებას, თანაუგრძნობს ხელმოკლე დოლარელთ და სურს, მათ გულებში კარგი, ხალასი ღიმილით შთაბეროს ცვლილებებისა და უკეთესი მომავლის იმედი; კიდევ მეტი – ის ღრმადაა დარწმუნებული დოლარეთისა და მისი ხალხის დიად მომავალში, და თავისთავად იგულისხმება, რომ ყველაფერი ეს დაკავშირებული იქნება მის, ჩარლზ სლამპის, სახელთან; რასაკვირველია, თუ მას აირჩევენ პრეზიდენტის პოსტზე და, ცხადია, უნდა აირჩიონ და უეჭველად აირჩევენ კიდეც, რადგან არ შეიძლება, ხმა არ მისცე ასეთი ალალი ღიმილის პატრონს, არ შეიძლება, არ ენდო მის გულითადობას, ენერგიულობას, სახელმწიფო საქმეებში ღრმა განსწავლულობას – საერთო-ეროვნულ მძიმე და მნიშვნელოვანწილად უმადურ ტვირთს ის უანგაროდ და წრფელი გულით კისრულობს და დანაშაული იქნებოდა არა მხოლოდ ცალკეული დოლარელის, არამედ იმედით, მოლოდინით ზეაღტაცებული მასების, მთელი საზოგადოების წინაშე, თუკი თითოეული მსმენელი უყოყმანოდ არ მიენდობა მას, მის მაღალ იდეალებს და ხელმძღვანელის გამოცდილებასა და სიბრძნეს...

პოპულარობის მისაღწევად იყო აგრეთვე გამიზნული წინდაწინ საგულდაგულოდ მომარაგებული "ექსპრომტული" ხუმრობები და ანეკდოტები, კარგად დამუშავებული პათეტიკური ინტონაციები და დრამატული ელემენტები, გარდასახვისა და ბრბოს "მოთვინიერებისთვის" გათვალისწინებული მთელი არსენალი. დოლარეთის გამოჩენილი თეატრალური რეცენზენტები აღფრთოვანებულნი აფასებდნენ და აღტაცებით წერდნენ მისი "თამაშის" ფსიქოლოგიურ სიმართლესა და ჭეშმარიტად კეთილშობილ უბრალოებაზე...

ახლა კი? საღიმილოდ სულ არ აქვს საქმე... პიჯაკი გაუხდია და სადღაც მიუგდია, ჰალსტუხიც გვერდზე მოქცევია... სადღაა მისი "რკინის" წესები: ივლისის თაკარა დღეებშიც კი – მჭიდროდ მოჭერილი ჰალსტუხი, ყველა ღილით საგულდაგულოდ შეკრული მუქი პიჯაკი, სახეზე – ენერგიულობისა და, ამასთანავე, თავდაჭერილობის მტკიცე გამომეტყველება, შეხამებული კეთილმოსურნე და მომთმენი ჯენტლმანის რბილ ქცევასთან, – სად გაქრა ძველი თავდაჭერილობა და იმედიანი ენერგიულობა?

სამაგიეროდ, ბობი ტეილორი მშვენივრად გრძნობს თავს; როგორც ყოველთვის, მისი თაგვისფერი პიჯაკის ყველა ღილი შეკრულია, სახეზე კი სტანდარტულად უკრთის დაინტერესებულობისა და ყურადღების გამომხატველი ძლივს შესამჩნევი ღიმილი – ეტყობა, კარგად შეუთვისებია თავისი ბოსისგან, რომ კარიერის გაკეთებაში მთავარი იარაღია ადამიანებთან ურთიერთობაში სწორი ტონის აღება; უნდა აგრძნობინო თანამოსაუბრეს (განსაკუთრებით – შენს ზევით მდგომს!), რომ კარგად გესმის მისი და ჩინებულად ერკვევი მისთვის საინტერესო მთელ რიგ საკითხებში... უნდა იცოდე, როდისაა საჭირო კვერი დაუკრა, როდის კი მასზე უფრო კეთილად იმოქმედებს შენი შეპაექრება, იმის ჩვენება, რომ შენც გაქვს საკუთარი აზროვნების უნარი (განსაკუთრებით მაშინ, თუ შეატყვე, რომ შენი გამოცდა სურთ!); უნდა იგრძნო, როდის სჯობს რჩევის კითხვა და როდის – რჩევის მიცემა (ყველა შემთხვევაში – შესაბამისი ტონის შერჩევაა მთავარი!).

დიახ, ბობი ტეილორი კარგი მწვრთნელის ხელში მოხვდა; მოწაფეც არ ჩანს უნიჭო – ბობი ტეილორმა დაივიწყა გოლფის ტრფიალი, როცა გაიგო ბოსის ტენისით გატაცება. კომედია ის იყო, რომ ჩარლზ სლამპმაც ერთ დროს მსგავსი მეტამორფოზა განიცადა: ვინტროპ ბეილი III-სთან მდივნობის დროს მზად იყო მთელი თავისუფალი დრო გოლფის თამაშისთვის შეეწირა, ხოლო როგორც კი ტენისის მოყვარულთან, სენატის ერთკუზიანი აქლემის პარტიის ფრაქციის ლიდერთან დაიწყო მუშაობა – მაშინვე ტენისის ჩოგანი შეიძინა და პარტიაც გამოიცვალა.

ახლა კი გავერნორი ცუდ მაგალითს აძლევს ბობი ტეილორს – ისევ განწირული კაცის ნაბიჯებით ზომავს წინ და უკან ბუნკერის მუხის იატაკზე დაფენილ ხალიჩას, ხანდახან ოდნავ შეანელებს სვლას, გაშლის ხელებს და ბრეცს ტუჩებს. როგორც ჩანს, მშვენივრად გრძნობს, რომ სულელური შემთხვევითობისა თუ წინასწარ განზრახული დანაშაულის წყალობით მისი პოლიტიკური კარიერა შეიძლება ჩაესვენოს, დასრულდეს სამუდამოდ – დოლარეთში არ უყვართ უიღბლოები და არ ენდობიან ხელმოცარულთ...

მშვიდობით, ცისფერო ოცნებავ: საზეიმო შესახლება მისამართით – პენსილვანია ავენიუ № 1600! "ძლიერი პრეზიდენტის" ენერგიული მოღვაწეობით მოპოვებული რეპუტაცია! ხანდახან ირონიული ღიმილით გადათვალიერება მტრულად განწყობილი კარიკატურისტების ნაცოდვილარისა! ალბათ რომელიმე დამახასიათებელ ნიშანს ამოიჩემებდნენ, თავისებურად გააზვიადებდნენ და შემდეგ გაუთავებლად გადაიტანდნენ ერთი კარიკატურიდან მეორეში... მაინც რომელს? რამდენჯერ მდგარა სარკის წინ და ცდილობდა გამოეცნო: ცხვირის ფორმას? არაფერი გამოუვიდოდათ – კარგა ხანია, წინდახედულად გაიკეთა პლასტიკური ოპერაცია, საერთოდ, დიდი ყურადღებით ეკიდებოდა სერიოზულ მკვლევართა რეკომენდაციებს, რომლებიც (მკვლევარნი) გულმოდგინედ იკვლევდნენ ხერხებს – როგორ მოვაცილოთ ნაოჭები პოლიტიკოსთა სახეებს ტელეგადაცემების დროს, რადგან ისინი (ნაოჭები და არა სახეები) უარყოფითად მოქმედებენ საზოგადოებრიობის

სიმპათიებზე, როგორი გრიმი გაუკეთონ და ასე შემდეგ... იქნებ ტენისის ჩოგანს გახდიდნენ კარიკატურისტები მის განუყრელ ატრიბუტად? მართლაც ფანატიკური გულმოდგინებით ვარჯიშობდა, მაგრამ სიყვარულის ან სიამოვნების გამო კი არა – აუცილებლად თვლიდა, მუდამ "ფორმაში" ყოფილიყო, განსაკუთრებით – ბოლო ხანს, როცა საერთო-ეროვნულ პოლიტიკურ "რინგზე" გავიდა და გადამწყვეტი ბრძოლებისთვის ემზადებოდა... უფრო კი საფიქრებელი იყო, რომ ფელეტონისტები და კარიკატურისტები მისტერ სლამპის განუყრელ და განუმეორებელ ღიმილს დაადგამდნენ კბილს: ყველაზე უმნიშვნელო წარუმატებულობასაც სარკაზმულად ხაზს გაუსვამდნენ – პრეზიდენტის უფართოესი ღიმილით და დაახლოებით ასეთი წარწერებით შეამკობდნენ: "ჩვენ ისევ საბოლოოდ გავიმარჯვეთ აფრიკის ჯუნგლებში!", "დოლარის საერთაშორისო სავალუტო კურსი და რეპუტაცია დღეს ისე მაღალია, როგორც არასდროს", "დოლარეთის გულითადი მეგობრების რიცხვი სულ უფრო მრავლდება მთელ მსოფლიოში" და მისთანანი... მაგრამ ვაგლახ!

შესაძლოა, საკუთარ ოცნებებში მისტერ ჩარლზ სლამპი უფრო შორეულ დროსაც გადასწვდა და წარმოიდგინა: საუთ დაკოტის შტატში მაუნთ რაშმორის გრანიტის კლდესთან, რომელშიც უკვე გამოკვეთილია დოლარეთის ოთხი დიადი პრეზიდენტის გიგანტური თავი, ზღვა ხალხი შეკრებილა... კორესპონდენტთა ჯარი ეხვევა გრანიტის მონოლითის ჩამოფარებულ ნაწილს – თითოეულს უნდა, პირველმა გადასცეს რედაქციას მეხუთე "ძლიერი" პრეზიდენტის სკულპტურული პორტრეტისგან მიღებული შთაბეჭდილება და საზოგადოებრიობის პირველი რეაქცია... ბრეზენტი ძირს ეშვება და გამოჩნდება უზარმაზარ მასიურ კლდეში გამოკვეთილი პრეზიდენტ სლამპის ღიმილით გასხივოსნებული სახე!.. აღტაცებული ბრბოს შეძახილებს ფარავს საზეიმო სალუტის ქუხილი...

და განა ბედი ირონია არ არის, რომ ყოველგვარი უსიამოვნება ჩარლზ სლამპს მეორე ქანდაკებამ – გიგანტურმა ქალმა დამართა, რომელსაც მაღლა აღუმართავს იმედის ჩირაღდანი...

კარი XXVIII. ოპერაცია "ბლაკ დეი" ფართოვდება

მხოლოდ ერთი წუთით დავტოვოთ "მაუნტ სილვერის" ქვეშეთი და მანჰატანის ზედაპირზეც ამოვიხედოთ – რა შედეგები მოგვცა საერთო-ეროვნული განგაშის გამოცხადებამ...

მდინარეების – ჰადსონისა და ისტ რივერის – სანაპიროები იქ მდგომი ტანკებისა და ჯავშანტრანსპორტერების ფარების შუქით არის განათებული. ბრუკლინის, მანჰატანის, ჯორჯ ვოშინგტონის ხიდები, ტრაიბარო ბრიჯი, სხვა უფრო მცირე ხიდები ჰარლემსა და ისტ რივერზე; ჰოლანდის, ლინკოლნის და სხვა მდინარისქვეშა გვირაბები – ყველა სამხედრო საგუშაგოებითაა გადაკეტილი. ციდან განუწყვეტლივ ისმის შვეულმფრენების ზუზუნი – ისინი საკმაო სიმაღლეზე დაკიდებულან, ჩაბნელებული ქალაქის კანიონებივით ვიწრო და ღრმა ქუჩებში დაშვებას ვერ ბედავენ.

სირენები ავის მომასწავებლად გამოსცემენ წყვეტილ ხმოვან ნიშნებს – აცხადებენ "წითელ" საჰაერო განგაშს; თითქოს მოწინააღმდეგის ავიაცია უკვე უშუალოდ უახლოვდებოდეს ქალაქს.

ნიუ იორკის შტატის გავერნორს საგანგებო უფლებამოსილება დოლარეთის პრეზიდენტმა ჯერ კიდევ ორი კვირის წინ მისცა, როცა ნიუ იორკში რასობრივმა არეულობამ და სტუდენტთა მღელვარებამ საშიში სიდიდე მიიღო. შტატის ეროვნული გვარდიის რაზმებიც მაშინ შეიყვანეს ქალაქში – პოლიცია ვერ აუდიოდა მოზღვავებულ საქმეს; შემდეგ მათ სპეციალური დანიშნულების რაზმებიც მიაშველეს.

ახლაც ჰარლემში, – ლენოქს ავენიუსა და პარკ ავენიუს მთელ გაყოლებაზე, – დგანან შაშხანებით, ხელის გრანატმტყორცნებითა და ნერვულ- პარალიზური გაზის ბალონებით შეიარაღებულ ჯარისკაცთა მწვანე ფიგურები, რომლებიც კანტიკუნტი პროჟექტორების შუქზე მარსიდან ჩამოფრენილ არსებებს ჰგვანან.

ჯავშანტრანსპორტერები და ჯიპები სენტრალ პარკის ჩრდილო ნაწილიდან ჩაბნელებული ქუჩებით საპატრულოდ დაიძრა ქვემო მანჰატანისკენ ჰადსონისა და ისტ რივერის სანაპიროების გავლით. სადესანტო ნაწილების ჯარისკაცები გამოჩნდნენ ბრუკლინში, ბრონქსში, კვინზში, ჰადსონის მარჯვენა სანაპიროზე და სხვა ადგილებში.

ხანძრები, სროლა და ქუჩის შეტაკებები მაინც არ დამცხრალა. ვისაც შეეძლო, თხუნელასავით მიწაში ჩაძვრა – ატომსაწინააღმდეგო თავშესაფრებს მიაშურა (ეს ერთი რამ მაინც შეეძლო, დაეტრაბახა გავერნორს: მისი ინიციატივით ქალაქი და შტატი ბომბსაფარების ქსელით დაიფარა).

ჯარისა და ეროვნული გვარდიის მთელი მოქმედება ნიუ იორკის "დასაშოშმინებლად", აგრეთვე პოლიციასთან მისი კოორდინაცია, მიმდინარეობდა მთავრობის მიერ სამოქალაქო არეულობის ჩახშობის წინასწარ შედგენილი გეგმების შესაბამისად.

ოპერაცია "ბლაკ დეი"-ს განხორციელება მხოლოდ ნიუ იორკით არ შემოიფარგლებოდა და დოლარეთის 357 ქალაქს მოედო.

კარი XXIX. "ღამურა" ვეღარ გვიშველის...

– ნახეთ ჯოვანინო? – ხმადაბლა ჰკითხა მისტერ სლამპმა ბობი ტეილორს.

– არაფერი იცის, სირ, – უპასუხა პირადმა მდივანმა.

– ნამდვილად?

– ასე მგონია, სირ. რომ იცოდეს – უეჭველად დაგეხმარებოდათ, ისეთი ბიჭია.

– კარგად დამეხმარნენ!..

– რას იზამ, სირ... მათ თავიანთი ანგარიშები აქვთ.

საქმეში ჩაუხედავი პირი ბევრს ვერაფერს მიხვდებოდა ამ დიალოგიდან. გავერნორი და მისი მდივანი განგსტერთა ცნობილ ბოსზე საუბრობდნენ. როგორც ჩანს, ჩარლზ სლამპს ერთგვარი ეჭვი აღეძრა, რომ ამ საქმეში შესაძლო იყო ჯოვანინოს მეტსახელით ცნობილი განგსტერის ჯგუფი იღებდა მონაწილეობას. მით უმეტეს, რომ ერთი თვის წინ სლამპის ძველი ნაცნობი და მეგობარი, ამავე ჯგუფის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, კოლეგებმა "გაასაღეს" რაღაც ძველი ანგარიშების გამო.

– აიდლერი? – იკითხა მისტერ სლამპმა.

– ვერ დავუკავშირდი, სირ... ტელეფონი არ მუშაობს. სამხედროთა რადიოსადგურიდან მინდოდა, დავკავშირებოდი ვოშინგტონს, მაგრამ დაპატიმრებას ძლივს გადავურჩი. ჯგუფ-ჯგუფად იჭერენ გამვლელთ და პოლიციის მანქანებში ყრიან. ნერვული გაზით აბრუებენ და მორებივით აგდებენ ძარაში...

მისტერ აიდლერი, ვგონებ, ბევრით ვერაფრით დაეხმარებოდა ჩარლზ სლამპს. თუ გავერნორს იმედი ჰქონდა, რომ მისი ყოფილი მდივანი (სენატორად ყოფნის პერიოდში) ნიუ იორკის ამბებს ვოშინგტონში გაიგებდა? მართალია, ჯიმ აიდლერი ხელმძღვანელობს ლობისტთა ყოვლისშემძლე "აიდლერის ჯგუფს", საჯარო გამოსვლათა ტექსტებს უწერს ორ ათეულ კონგრესმანს; მუდმივად ტრიალებს მაღალი წრის სალონებში, ყველაფერი იცის, ყოველგვარი საქმის მოკვარახჭინება შეუძლია, ყველას იცნობს, ვისთან არ აქვს კავშირი: ლიბერალებთან და კონსერვატორებთან, პროფკავშირულ ხელმძღვანელობასთან და ბიზნესმანებსა და ბანკირებთან, უმაღლეს სასამართლოში და საადვოკატო ფირმებში, ინტელექტუალთა წრეებში და მთავრობის წევრებთან, ნაირფერ საზოგადოებასთან – საქველმოქმედო, "პატრიოტულ", ქალთა, ახალგაზრდულ, რელიგიურ, სპორტულ და ასე შემდეგ... მოკლედ, მიწაზე, წყალში და ჰაერში! თუ დაგჭირდებათ, მიიღოთ პოლიტიკური მოწინააღმდეგის დოსიე ან მიაღწიოთ გადასახადთა სახელმწიფო კომისიის გადაწყვეტილების ხელახლა გარჩევას – უნდა მიმართოთ ადამიანს, მეტსახელად "მისტერ კალიფორნია"; თუ პოლიციელმა დაგაჯარიმათ სიმთვრალეში მანქანის მართვისთვის, ან დაგებადათ სურვილი, დოლარეთის ელჩის პოსტი დაიკავოთ ბელგიაში, ან გსურთ, თქვენმა კორპორაციამ "დაითრიოს" ხელსაყრელი შეკვეთა – მისტერ აიდლერზე უკეთეს "საქმის კაცს" ვერ მოძებნით.

მისტერ აიდლერს შეხვდებით ყველა მიღებაზე, რომლის შესახებაც კი მაღალი წრის ქრონიკერი საჭიროდ თვლის ანგარიში მოათავსოს "ვოშინგტონ ივნინგ სტარში" (სწორედ ამიტომ უწოდა მისი ტიპის ლობისტებს ერთმა ჟურნალისტმა "ღამურა"). ეს მაღალი, ჭაღარათმიანი, ლამაზი მამაკაცი აქტიური წევრია ვოშინგტონის რამდენიმე ათეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სპორტული, კულტურულ-საგანმანათებლო, პატრიოტული აღზრდის და ასე შემდეგ გაერთიანებისა, იახტკლუბისა, პრესის ეროვნული კლუბისა, ასევე – ჯენტლმანთა უთვალავი კლუბებისა სხვადასხვა ქალაქებში და სხვა მრავალი პრივილიგირებული ორგანიზაციისა თუ საზოგადოებისა.

სამწუხაროდ, ამჯერად ვეჭვობ, რომ ამ ერთ-ერთმა ყველაზე ინფორმირებულმა "კულუარების პოლიტიკოსმა" რაიმე იცოდეს თავისუფლების ქანდაკების ასავალ-დასავალისა...

კარი XXX. რა გაცინებთ ხმამაღლა?

"მის ლიბერტი" – თავისუფლების ქანდაკება...

– მთელი მსოფლიოს კარიკატურისტების მსხვერპლი გავხდებით; ევროპაში აუცილებლად იკითხავენ: "კი მაგრამ, თავისუფლების ქანდაკება რაღა უყავით? თუ თქვენში აღარ იკმარეს ცოცხალ პოლიტიკურ მოღვაწეებზე ნადირობა და ახლა ნაჩუქარ ქანდაკებასაც დაადგეს თვალი და დაასვეს კბილი?"

სენატორ რიჩარდ კუკს ამ სიტყვებს კარგა ხანს არავინ გამოხმაურებია... ან რა უნდა ეთქვათ? ჩარლზ სლამპის საარჩევნო კომიტეტში, რასაკვირველია, ჰქონდათ გათვალისწინებული სხვადასხვა სახის გართულებები, სხვათა შორის, გულდასმით გაეცნენ ამას წინათ კოლამბიისა და შიკაგოს უნივერსიტეტებში ფსიქიატრთა და ფსიქოლოგთა სიმპოზიუმის მასალებს თემაზე: "რატომ ხდება თავდასხმები და როგორ ავიცილოთ ისინი". ახალი პრეცედენტის გამო ალბათ

სპეციალისტები ახალ თემას შეარჩევენ და ახალ სიმპოზიუმსაც ჩაატარებენ წამოჭრილი პრობლემის განსახილველად. მართალია, აქამდეც იყო მსგავსი შემთხვევები: ევროპის ხან ერთ, ხან მეორე ქვეყანაში იტაცებდნენ ქანდაკებებს, მაგრამ ამ აქტებს არ ჰქონიათ პოლიტიკური ხასიათი; საგანგებო დაკვეთით მოტაცებულ ქანდაკებათა დიდი ნაწილი დოლარელ მულტიმილიონერთა ქალაქგარეთ ვილებსა და პარკებს ამშვენებს ამჟამად. "მის ლიბერტი" კი ვის აინტერესებდა ნეტავ ან რომელი თუნდაც ყველაზე მდიდარი და ექსტრავაგანტური გემოვნების მქონე მულტიმილიონერის პარკს დაამშვენებს იგი შეუმჩნევლად?

– რა დაჯდებოდა ნეტავი მისი მოტაცების ორგანიზება და განხორციელება? ქანდაკება დაზღვეული თუ იყო? საინტერესოა, რამდენად? – მისტერ ვაილდი ტექსასელის პრაგმატულ ბუნებას არც ამ მწვავე გარემოების დროს ღალატობს.

სრულიად გასაგებია ჩარლი სლამპის აღშფოთებაც:

– ფულზეა აქ საქმე? ჩვენს პრესტიჟს წყალი შეუდგა, ქვეყანაც იქცევა...

– რატომ გაცხარდით? – უკვირს მისტერ ვაილდს. – ბუნებრივი კითხვაა: თუ წინდახედულება გამოიჩინეს და ქანდაკება სათანადოდ დაზღვეული იყო, საკმაოდ სოლიდური თანხა ანაზღაურდება. თუკი ლოიდის სადაზღვევო კომპანიის სიებში ირიცხება განთქმული მასხარას ცხვირი, მეორე პროფესიონალ ხუმარას დაუზღვევია საკუთარ წინა კბილებს შორის ღრიჭო, ქანდაკებამ რაღა დააშავა? მისი დაკარგვა სულ არ გახლავთ სახუმარო საქმე! ისიც უნდა უეჭველად დაეზღვიათ.

– **Habeas corpus act** ქანდაკებაზე არ ვრცელდება? – იკითხა რიჩარდ კუკმა; ცხადია, პიროვნების ხელშეუხებლობის ძველთაძველ კანონს მხოლოდ პროფესიით იურისტი დაასახელებდა.

– ძველ საბერძნეთში, ეფესოში არსებულ არტემიდეს ტაძარში, იდგა ჩირაღდნიანი ქალის ქანდაკება, – თხელ ტუჩებს აცმაცუნებს ვინტროპ ბეილი (ხოლო მისი მდივანი გრეიამ პანჩენი გამალებული აწრიპინებს პარკერის კალმს). – არტემიდე ნადირობის ქალღმერთი იყო და საუკეთესო მონადირედ ითვლებოდა, ახლა კი ინადირეს ჩვენს თავისუფლების ქანდაკებაზე, მის ლიბერტიზე!..

– მაინც, საინტერესოა, რა დაჯდებოდა ქალიშვილის მოტაცება? ალბათ კარგა დიდ მოგებას ნახავდნენ, თუ, რასაკვირველია, თავს არ წააგებენ – ფრიად სარისკო წამოწყებაა! – ისევ დაუბრუნდა მისთვის საინტერესო თემას მისტერ ვაილდი.

– ოჰ, ეს ბუღალტერია: მოგება, წაგება... მაშინ, როცა მთელი დოლარეთის ბედ-იღბალი ბეწვზე ჰკიდია, ჩემს თავს რით ვუშველო, არ ვიცი და გამტაცებელთა მოგება-წაგება ვიანგარიშო? – ხმაზე ეტყობოდა, მისტერ სლამპი თავშეკავების ზღვარს მიუახლოვდა.

– რა დროს გაიტაცეს ქალბატონი! რა დროს გვიღალატა დედაკაცმა... – წამოიძახა ედვარდ შრაივერმა და დანარჩენებმა გაკვირვებულებმა შეხედეს – აქამდე ის მეტწილად ჩუმად იყო, თითქოს წარმოდგენას ესწრებოდა.

– პი-პი-პი, დაშავებულები არიან?..

ყველანი წამოხტნენ, რადგან ქანდაკებაჩახუტებულმა მისტერ ჯოგლმა ისევ დააჭყიტა თვალები, ზემოთ მოტანილი ბოლო რეპლიკაც მას ეკუთვნოდა. არ ვიცით, ვის გულისხმობდა ის დაშავებულებში, იქ მყოფთ (რომელთაც ბილიარდის ბურთულებივით როლი დააკისრა ამას წინათ), თუ თავისუფლების ქანდაკების თავს მომხდარ კატასტროფას – დოლარეთში წესად აქვთ: როცა დოლარელი მანქანით ნელა და ფრთხილად გაივლის ახლად მომხდარი ავარიის ადგილას, იკითხავს ხოლმე: "დაშავებულნი არიან?"

დიახ, არიან... არიან დაშავებულნი, გულგატეხილნი, აფორიაქებულნი და ერთიც – ძალადობის მსხვერპლი: მოტაცებულია ქალიშვილი; მას ჩირაღდანი უპყრია ხელთ და მაინც წყვდიადითაა მოცული მისი ადგილსამყოფელი...

– რა ცხვირები ჩამოგიშვიათ! გინდათ, სეანსი კიდევ ჩაგიტაროთ? ჰა-ჰა-ჰა!.. – ხარხარით ჩაბჟირდა ფეხზე წამომდგარი მისტერ ჯოგლი; ყოველ წამს შესაძლო იყო, წონასწორობა დაეკარგა და იატაკზე გაგორებულიყო სტატუეტთან ერთად.

– რა გაცინებთ? რა გაცინებთ ხმამაღლა?..

ო, ეს კითხვა არ უნდა დაესვა ვინტროპ ბეილის, ზომიერი ცხოვრების მოყვარულს. დოლარეთის ჩვევებით ხმამაღალი სიცილი მოწმობს ადამიანის სულიერ წონასწორობას, კარგ ჯანმრთელობას და საქმეებში წარმატებასა და სრულ წესრიგს. ამიტომაც დოლარეთში ყველგან – დაწესებულებებში, ავტოსტრადების გასწვრივ, საწარმოებსა და სავაჭროებში, გასართობ თუ დასასვენებელ ადგილებში, – მოკლედ, ყოველ ფეხის ნაბიჯზე, სასაფლაოების ჩათვლით, – თვალში გეჩხირებათ პლაკატები, მოწოდებები: "გაიღიმეთ! გაიღიმეთ! გაიღიმეთ!"

ღიმილი მეფობს დოლარეთის ყოველ კუთხესა და კუნჭულში, ყოველგვარი გარემოების დროს: როცა თქვენი გამჩანაგებელი ხელს გართმევთ და თავაზიანად კითხულობს თქვენი ოჯახის წევრების ძვირფასი ჯანმრთელობის ამბავს; როცა ნოტარიუსი გულთბილად გიხსნით, რომ თქვენმა მარტოხელა მილიონერმა მამიდამ მთელი ქონება უანდერძა საკუთარ საყვარელ ძაღლს; მაშინაც, როცა სიმპათიური გულღია მამაკაცი რომელიმე წვეულებაზე გაცნობისას გამოგიწვდით სავიზიტო ბარათს, რომელშიც წერია: "რასაც უნდა აკეთებდეთ, ადრე თუ გვიან, სამწუხაროდ, მაინც მოგიწევთ საიქიოს გამგზავრება. და მაშინ გულითადად გთხოვთ, მობრძანდეთ ჩვენ-

თან. მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო გაცილება! ვერავინ ისე სრულყოფილად ვერ დაგკრძალავთ, როგორც ჩვენ! დამკრძალავი კომპანია "სამოთხის ბაღი"".

მისტერ ჯოგლს, როგორც ჩანს, გუნება-განწყობილებას ვერაფერი გაუფუჭებს; მისტერ ბეილის ბუზღუნი ოდნავადაც ვერ მოქმედებს მასზე:

– რატომაც არ ვიცინებ? თავს ვგრძნობ, როგორც მილიონი დოლარი!

"მე კი, როგორც გახვრეტილი სენტი..." – შეეძლო ეთქვა მისტერ ჩარლზ სლამპს, მაგრამ გაჩუმება ამჯობინა.

– თავს ვგრძნობ, როგორც... არა, პირიქით... – სარჯენტ ჯოგლი ერთ წამს გაყუჩდა და შემდეგ განაგრძო დამცინავად სასოწარკვეთილი ხმით: – მოინანიეთ, ცოდვილნო! ახლოვდება სააქაოს ბოლო, დგება დღე აღსასრულისა!

მისტერ ჯოგლი საკმაოდ კარგად ბაძავდა წინასწარმეტყველთ, მქადაგებელთ, მესიებს, რომლებიც თავიანთ აკვიატებულ პესიმიზმს მომაბეზრებლად თავს ახვევდნენ ბროდვეიზე გამვლელ-გამომვლელთ.

– მე ლოთი ვარ! – მოჭარბებული გულახდილობით გამოაცხადა შემდეგ სარჯენტ ჯოგლმა, თითქოს "ანონიმური ლოთების" ეროვნული ასოციაციის ადგილობრივი სექციის კრებაზე საზოგადოების წინაშე მონანიებით გამოდიოდა; პიჯაკის ჯიბიდან ამოიღო ბრტყელი ბოთლი, ისე მოხსნა საცობი, რომ მეორე ხელი სტატუეტისთვის არ გაუშვია, მოიყუდა და რამდენიმე ყლუპი ყარყარით გადაუშვა ყელში. – აი, ბრანდიც ამას ჰქვია! ღვთიურია! აქ ბარი არ გაქვთ? ეი, თქვენ, უცოდველნო! არც ლოკოკინები გაქვთ, არც ჩხრიალა გველის ხორცი დასაყოლებლად? აცტეკური დელიკატესებიც მომენატრა: იგუანის კვერცხები, ტკბილი ჭიები... არც ხრამუნა შემწვარ კალიებს დავიწუნებდი...

– აქ მხოლოდ დაკონსერვებული სურსათი და წყალია თავდაცულ ქილებში, – ამბობს მისტერ სლამპი.

– ასეც ვიცოდი... – თვალები ებლიტება მისტერ ჯოგლს. – აბა, ვინ გამეგზავნება ჯულია ბრინიოლის მაღაზიაში? ას დოლარს გადავუხდი... შენ, ეი, ჩერჩეტო ვინტროპ! სძინავს, უყურეთ ერთი! ეგ სიკვდილის მოსაყვანად უნდა გაგზავნოს კაცმა, შიში არაფრის გექნება... ჩარლი! შენ კარგი ბიჭი ხარ, "ბიჭი, რომელიც რჩევას უჯერებს", ეს ყველამ იცის... ხომ მომიტან, რასაც გთხოვ? არ დაგავიწყდეს ჭიანჭველები შოკოლადში... გაისეირნე, ვინძლო გუნება გამოგიკეთდეს...

სარჯენტ ჯოგლი ისევ სავარძელს დაუბრუნდა განუყრელი სტატუეტითურთ და მაშინვე ძილის უფალს ჩაბარდა.

კარი XXXI. მოდით, ვითამაშოთ "პრეზიდენტის არჩევნობანა"!

– დრაიკლინი სადღა ჯანდაბაში დაიკარგა?! ჰმ, რა მშვენივრად გაითვალისწინა ყველაფერი! – მისტერ სლამპი კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ამჯობინა, ბოლომდე არ გაემჟღავნებინა თავისი ვარაუდი. ის ეჭვობდა, რომ მისტერ ჰამფრი დრაიკლინი, მანიჯერი მისი საარჩევნო კომიტეტისა "სლამპი – პრეზიდენტად!", ნიუიორკელი ადვოკატი, ღალატობდა მას. აბა, რით უნდა ავხსნათ ამგვარი ჩაფლავება? ჩარლზ სლამპი ნანობდა, რომ შემოიფარგლა მხოლოდ ფარული თვალთვალით, რათა კომიტეტის წევრებს საარჩევნო კამპანიისთვის შემოწირული თანხები არ მიეთვისებინათ; თურმე ურიგო არ იქნებოდა დეტექტივების დაქირავება, აგრეთვე, საარჩევნო კომიტეტის წევრთა ლოიალობის გასარკვევადაც...

შესაძლოა, გავერნორის ასეთი აზრები შექმნილმა გაუთვალისწინებელმა გარემოებამ განაპირობა, მაგრამ, ასეა თუ ისე, გარდაუვალი იყო მისტერ სლამპის რეპუტაციის მნიშვნელოვანი დევალვაცია... მისტერ სლამპს ისიც უხეთქავდა გულს, რომ თუკი მისმა მეტოქეებმა ასე ბრწყინვალედ ჩამოიშორეს გზიდან მეტოქე, რატომ საკუთარმა შტაბმა მსგავსი სვლა ვერ გაითვალისწინა? თავდაპირველად კი ყველა დარწმუნებული იყო, რომ საარჩევნო ბატალიებისთვის ურიგოდ არ მოემზადნენ.

სწორედ "მაუნტ სილვერის" ერთ-ერთ ბუნკერში ჩატარდა გასული წლის ბოლოს საარჩევნო ბრძოლების მრავალი ინსცენირებიდან ყველაზე მთავარი, შემაჯამებელი. კედელზე ეკიდა დოლარეთის უზარმაზარი რელიეფური რუკა, ხოლო ელექტრული კალენდარი-საათი უჩვენებდა ნოემბრის პირველ სამშაბათს, როცა გაიმართებოდა "დიდი ატრაქციონი", "დიდი რბოლა" – დოლარეთის პრეზიდენტის მორიგი არჩევნები. ოდნავ ზუზუნებდა კომპიუტერი, რელიეფურ რუკაზე ინთებოდა და ქრებოდა ნაირფერი ნათურები, რომლებიც აჩვენებდნენ მოდელირებული "არჩევნების" მსვლელობას შტატებისა და ოლქების მიხედვით. განუწყვეტლივ იცვლებოდა ციფრები შემაჯამებელ ტაბლოზე, ოთახში კი სულგანაბული ადამიანები გაფაციცებით აკვირდებოდნენ ყოველივეს. თანამშრომლთა სპეციალური ჯგუფი იყო გამოყოფილი ამ ინსცენირების დროს "კონკურენტის" საარჩევნო კამპანიის დამგეგმავი და განმახორციელებელი ცენტრის კონტრმოქმედების განსახილველად. "ბრძოლა" საგრძნობი უპირატესობით მოიგო ნიუ იორკის შტატის გავერნორმა...

მაგრამ, ღმერთო ჩემო, რაოდენ დიდი და რთული მოვლენები უნდა გათამაშებულიყო მანამდე, ამ ინსცენირების მოწყობამდე, რამდენი სიტყვა, აზრი და ფული უნდა დახარჯულიყო, რომ ეს ადამიანები დეკემბრის იმ ცივ და ქარიან საღამოს ბუნკერში შეკრებილიყვნენ და თვალყური ედევნებინათ მომავალი არჩევნების დღის იმიტაციისთვის, თამაშობის დამთავრების შემდეგ კი ერთხმად მიელოცათ ერთმანეთისთვის და უპირველესად – მისტერ სლამპისთვის, რომ "მათ შორის იმყოფება დოლარეთის მომავალი პრეზიდენტი!"

დიახ, ეს "წინაისტორია" უაღრესად ხანგრძლივი და რთულია და მისი მასალა მრავალტომიან რომანს ეყოფოდა.

თუკი ერთი გმირის თავგადასავლით შემოვიფარგლებოდით, შეიძლებოდა ამბის დაწყება მისტერ სლამპის დაბადებით, როგორც ეს ბიოგრაფიულ რომანებშია მიღებული, შემდეგ მოჰყვებოდა ბავშვობა, განსწავლის წლები, კარიერის ეკლით მოსილი გზა – გამოჩენილი ფინანსისტის პირადი მდივნობიდან სენატორის სავარძლამდე, საქმიანი ნაცნობობისა და ინტერესების ქსელის გაბმა, შემდგომი აღზევება – ნიუ იორკის შტატის გავერნორის პოსტი, და, ბოლოს, კარიერის დაგვირგვინება – ბრძოლა თეთრი სახლის საშვისთვის... ამ ისტორიას თავის დროზე ექნებოდა (ექნებოდა კი?) ჯერ დაუწერელი ნაწილიც: პრეზიდენტობის წლები, შემდგომ – "ყოფილის" არცთუ საინტერესო ცხოვრების გზა დამკრძალავი კომპანიის კლიენტამდე...

კარი XXXII. როგორ გავხდეთ პრეზიდენტი?

ჩვენ ამ დაძაბული ცხოვრებისეული გზის აღწერაში განსაკუთრებით დაგვაინტერესებს ის ნაწილი, რომელიც მიეძღვნება საარჩევნო ბრძოლისთვის სამზადისს. სქემატურად მაინც გადმოვცეთ არჩევნების წინა "სამზარეულოს" უმთავრესი მომენტები.

ამბავი ალბათ დაიწყება დაინტერესებული ჯგუფების წარმომადგენელთა – უმთავრესად ბიზნესმანთა და ფინანსისტთა – შეხვედრით გავერნორთან, სადაც ეს უკანასკნელი მიიღებს ფინანსური, პოლიტიკური და სხვა ყოველგვარი მხარდაჭერის გარანტიებს (როგორც გახსოვთ, საზოგადოდ ამას წინ უსწრებს საქმიანი წრეების გარკვეული ჯგუფების მიერ შესაფერის კანდიდატთა შერჩევა). ფაქტიურად კი მისტერ სლამპის საარჩევნო კამპანია ამ შეხვედრაზე ადრე დაიწყო, როცა ერთი წლის წინ მისტერ სლამპი გამოვიდა მთელ დოლარეთში ტრანსლირებულ ტელეპროგრამაში "ჩვენი გზა"; შემდგომ მის კანდიდატურაზეც იყო საუბარი "ერთკუზიან" გავერნერთა შეხვედრის დროს კოლორადო სპრინგსში, ასევე – პარტიის ფუნქციონერების თათბირზე მაიამიში გასული წლის ნოემბერში.

ამრიგად, ოფიციალურად შეიქმნა საარჩევნო კომიტეტი "სლამპი – პრეზიდენტად!" საპატიო თავმჯდომარე – დოლარეთის ყოფილი პრეზიდენტი ჰორას ნაჯი, მანიჯერი ანუ ხელმძღვანელი – ჰამფრი დრაიკლინი, ვოლსტრიტელი ადვოკატი. ამ კომიტეტის შექმნის ინიციატორები არიან და აქტიურად მონაწილეობენ მის მუშაობაში ერთკუზიანი აქლემის პარტიის ეროვნული კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე გილბერტ რიალტორი, მთელი რიგი შტატების გავერნორები, კონგრესმანები, მსხვილი მეწარმეები და ბანკირები, პროფკავშირული ლიდერები, გავლენიანი ჟურნალისტები და პოლიტიკური მიმომხილველები, ცნობილი მეცნიერი პოლიტოლოგები და კულტურისა და სპორტის გამოჩენილი მოღვაწენი.

მეორე ეტაპი – შეკვეთების მიცემა კომპანიისთვის, რომელიც იძლევა კონსულტაციებს მართვის საკითხებზე, თუ როგორ მოებას თავი საარჩევნო კამპანიის დაგეგმვას, ორგანიზაციასა და ჩატარებას.

კომპანიამ გამოიყენა კვლევათა უახლესი მეთოდები: სისტემათა ანალიზი – საარჩევნო კამპანიის ყველაზე ეფექტური გზების შერჩევა და გამოკვლევა, დაფუძნებული ობიექტური და რაოდენობრივი კრიტერიუმების დადგენაზე; და ღირებულების ანალიზი – შერჩეული სისტემისთვის სარფიანობის გამადიდებელი მეთოდების დამუშავება მათი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გამოყენების გათვალისწინებით.

განიხილეს, აგრეთვე, მისტერ სლამპის პირადი მომზადების კურსი – სპეციალური წვრთნა: გრიმი, პლასტიკა, დიქცია, ორატორული ხელოვნება, კვირაში სამჯერ საუბრები საგანგებოდ მოწვეულ გამოჩენილ მეცნიერებთან და პოლიტიკოსებთან დოლარეთის საერთაშორისო და საშინაო პრობლემებში გათვითცნობიერებისთვის.

შეიქმნა:

ა)*პრეს-ბიურო.* მდივანთა და თანაშემწეთა მთელი შტატი; სპეციალურად დაქირავებული ექსპერტები უმზადებენ მისტერ სლამპს სიტყვებს, რადიოსა და ტელევიზიაში გამოსვლების ტექსტებს, უწერენ წერილებს გაზეთებისა და ჟურნალებისთვის (უმთავრესად ზოგადი ხასიათის განცხადებები, გაურკვეველი დაპირებები, საერთო თემებზე ლაყბობა...) განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გამოსვლებისთვის გავერნორის სიტყვის დასაწერად მოიწვიეს ცნობილი იურისტი, რომელიც წარმატებით აკეთებდა ამასვე შიკაგოელ განგსტერთა ბოსებისთვის და თქვენ თვით მიხვდებით, რა მოზრდილი თანხაც დაჯდებოდა ესოდენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომსახურება.

ბ) ეგრეთწოდებული *"ჩრდილის კაბინეტი",* – "ტვინის ტრესტის" ელიტი. საარჩევნო პროგრამის შედგენა, არჩევნებისწინა სტრატეგია და ტაქტიკა, მომავალი მთავრობის წევრთა შერჩევა, საჭირბოროტო შინაგანი და საგარეო საკითხების დამუშავება, ახალი იდეები და კონცეფციები, ხელმძღვანელობა მისტერ სლამპის ანალოგიური კომიტეტებისა ყველა შტატში და ასე შემდეგ.

გ) *საანგარიშო-გამომთვლელი ცენტრი.* ნიუ იორკის საარჩევნო კომიტეტის შტაბ-ბინაში დადგეს კომპიუტერი "ABM 2701", მეტსახელად "ჩარლი" (მისტერ სლამპის პატივსაცემად). "ჩარლიმაც" არ გაუცრუა იმედები დიდ ჩარლის და მთელ საარჩევნო კომიტეტს: საიმედოდ შეინახა თავისი ელექტრონული "ტვინის" მეხსიერებაში 156 მილიონი დოლარელის სახელი და მისამართი და ყოველ წამს მზად იყო თვალის დახამხამებაში დაებეჭდა "პერსონალური" წერილი ყოველი მათგანისთვის მისტერ სლამპის სახელით და ფაქსიმილე ხელმოწერით. პირადი ხასიათის ეს წერილები ამჟღავნებდა კომპიუტერის უაღრეს განსწავლულობას ფსიქოლოგიასა და პერსონოლოგიაში (პიროვნებისდა მიხედვით მიმართვათა ვარიაციები: ჩვეულებრივი – "ძვირფასო მეგობარო!", ნახევრად ოფიციალური – "ძვირფასო მისტერ მაკკარტნი!", ან სრულიად მეგობრული და ძმაკაცურიც კი – "ძვირფასო დიკ!"); ზრდილობისა და გულითადობის საკვირველ შეხამებას ("ვერ წარმოიდგენ, რაოდენ სიხარულსა და აღფრთოვანებას ვგრძნობთ, როცა წერილს ვწერთ ჩვენი სახელოვანი პარტიის ასეთ ერთგულ მომხრეს!"), ლიტერატურული სტილის სინატიფეს ("თქვენ, როგორც დოლარეთის ჭეშმარიტი მამულიშვილი და ერთკუზიანთა პარტიის თავგამოდებული გულშემატკივარი, ყოველთვის წმინდად ასრულებდით თქვენს პატრიოტულ ვალს და დარწმუნებული ვართ, რომ ამჟამადაც თქვენი თავისუფალი არჩევანით ღირსეულად დააფასებთ მთელი დოლარელი ხალხის უანგარო მოჭირნახულესა და ერთგულ მსახურს, სახელმწიფო მოღვაწეს, რომლისთვისაც ხალხის ფართო ფენების, მთელი საზოგადოების სამსახური ცხოვრების საწუკვარი მიზანია") და აზროვნების ლოგიკურ დამაჯერებლობასა და ლაპიდარობას ("მე და თქვენ – ერთად გავიმარჯვებთ!").

გარდა ამისა, მანქანამ ჭეშმარიტი ფინანსური გენიოსობაც გამოამჟღავნა – გამოთვალა და ეკონომიკურად შეაფასა უამრავი ვარიანტი პრეზიდენტის პოსტის დაკავებისას გასაწევი ხარჯებისა. ზოგი ამ ვარიანტთაგან სრულიად ფანტაზიური იყო, ზოგიც – მრავალგზის გამოყენებული მანამდეც. აი, რამდენიმე მათგანი:

ა) აჯანყება პრეზიდენტის წინააღმდეგ, კონგრესის დათხოვნა, ყველა ორგანიზებული მოწინააღმდეგე ჯგუფის დარბევა, უმთავრესად – ექსტრემისტული წრეების მიერ, რომელთაც თანამზრახველები გაიჩინეს თავდაცვის სამინისტროსა და პოლიციაში. კომპიუტერის დასკვნით, ეს ხერხი იძლეოდა დიდ გართულებებს ქვეყნის პოლიტიკურსა და ეკონომიკურ სფეროებში, აგრეთვე იწვევდა დოლარეთის პრესტიჟის მკვეთრ დაცემას საზღვარგარეთ – ძნელი იყო შეეთავსებინათ ერთმანეთთან ამგვარი "ქირურგიული" ოპერაცია და საზღვარგარეთ მრავალწლიანი პროპაგანდა, რომელსაც დოლარეთი ცამდე აჰყავდა, როგორც თავისუფლებისა და დემოკრატიის ბურჯი და სიმბოლო. ამგვარი ანტიკონსტიტუციური ღონისძიების ჩასატარებლად ხელშემწყობი პირობების შექმნა ფრიად მნიშვნელოვანი სახსრების გაღებასთანაც იყო დაკავშირებული, თანაც დიდი რისკის ფასად.

ბ) ახალი პარტიის შექმნა – ძალიან ძვირია და ხანგრძლივი დროც გაივლის ხელშესახები შედეგების მიღებამდე.

გ) გამარჯვება საპრეზიდენტო არჩევნებში – გაკვალული ტრადიციული გზა, დაახლოებით 250-300 მილიონი დოლარით მოკირწყლული.

დ) ყველაზე იაფი ჯდება ორსაფეხურიანი ნახტომი – ჯერ ვიცე-პრეზიდენტობა (უკეთუ გაერნორი დამარცხდება პარტიის კონვენტზე პირველ ტურში კენჭისყრის დროს, მისტერ სლამპს წამოაყენებენ "რუხ ჯაგლაგად" – კომპრომისულ კანდიდატად და გავერნორიც დათანხმდება, "რათა თავიდან აიცილონ პარტიის გათიშვა"), შემდგომ პრეზიდენტის ჩამოშორება და მისი ადგილის დაკავება. აქ რამდენიმე ქვევარიანტია: შეიძლება, პრეზიდენტი გადააყენოს კონგრესმა უნდობლობის გამოცხადებით, პრეზიდენტის ჩამოცილება თვითმფრინავის "კატასტროფის", ტერორისტის თავდასხმის ან მსგავსი ხერხის გამოყენებით... უკიდურეს შემთხვევაში, შეიძლება, ვიცე–პრეზიდენტმა მოიცადოს რვა წელიწადი, სანამ პრეზიდენტის კანონიერი "მეფობის" ვადა ამოიწურება, და ახლა საკუთარი კანდიდატურა წამოაყენოს შემდგომი ვადისთვის – ფართო კავშირნაცნობობა და მხარდაჭერა უმაღლეს მმართველ სფეროებში, პარტიულ აპარატსა და საქმიან წრეებში მოპოვებულია – უკვე "თავისიანი" ხარ!

მანქანამ ისიც კი გამოიანგარიშა, თუ რაოდენ გაიზრდება მოთხოვნილება არჩევნების წინა კვირის განმავლობაში დამპალ ვაშლებზე, ლაყე კვერცხებზე და სოფლის მეურნეობის სხვა ჩაწოლილი პროდუქტების გასაღებაზე, რათა ღირსეულად გაუმასპინძლდნენ კონკურენტთა თავგამოდებულ ორატორებს.

არც ის გამორჩენია, თუ რა დაჯდება თეატრალიზებული მსვლელობები, ფერადი ბაფთები და კონფეტი, შუშხუნები და სათამაშოები, მსახიობთა გამოსვლები, აგრეთვე პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა დარბევა, მათი შეკრებების, მიტინგების ჩაშლა და სერიოზული პოლიტიკური ბრძოლის სხვა აქტები.

აქედან დასკვნა: ყველაფერი ფული ღირს და უდიდესი, შეიძლება ითქვას – გადამწყვეტი, მნიშვნელობა ენიჭება *შეწირულობათა ორგანიზაციას.*

განსაკუთრებით სარფიანია სპეციალური სადილების ჩატარება – მოსაწვევი ბილეთების ფასი ასიდან რამდენიმე ათას დოლარამდე მერყეობს. თითო ასეთი სადილი – ერთი მილიონი და მეტიც შემოსავალი! გარდა ამისა, მისტერ სლამპს დიდი იმედი ჰქონდა, და არცთუ უსაფუძვლოდ, დოლარეთის ახლანდელი პრეზიდენტის მხარდაჭერისა, ასე რომ, "პრეზიდენტის კლუბის" გამოყენებაც შეწირულობათა მნიშვნელოვან ზრდას ჰპირდებოდა.

დოლარების საკმაო რაოდენობა საშუალებას იძლეოდა, ფართოდ გაეშალათ სარეკლამო კამპანია. ამ საქმეს ხელმძღვანელობდა ცნობილი სარეკლამო სააგენტო მადისონ ავენიუდან. გამოსვლები რადიოთი და ტელევიზიით, წერილები პრეტენდენტის შესახებ გაზეთებში, ჟურნალებში, ფურცლებში; სარეკლამო დოლარიანების დაბეჭდვა, რომელზეც დოლარეთის პირველი პრეზიდენტის ნაცვლად მისტერ სლამპის სახელმწიფოებრივი სიბრძნით აღსავსე პორტრეტია გამოსახული; ქუდები, ქამრები, ბალთები, ჩანთები, ასანთის კოლოფები, სავარცხლები, კალმისტრები, სამკერდე ნიშნები, ლუდისა და ვაჟინიანი წყლების ბოთლთა ეტიკეტები, სუვენირები და მრავალი სხვა საგანი წარწერებით: "ჩარლი გაიმარჯვებს!", "ჩარლისთან ერთად – ბოლომდე!", "ჩვენ ჩარლის ვუჭერთ მხარს!", "ხმა მიეცით ჩვენს ჩარლის!" და ასე შემდეგ. დაგეგმილი იყო ჩარლის მოგზაურობა მთელ დოლარეთში, რათა მან "რაც შეიძლება მეტ ამომრჩეველს პირადად ჩამოართვას ხელი", რაც შეიძლება მეტ ბავშვს მიეფეროს, რაც შეიძლება მეტ მუშას და ფერმერს გამოჰკითხოს მეგობრულად, რა უჭირს და რა ულხინს...

იმავე სააგენტომ მადისონ ავენიუდან შეკრიბა კონკურენტთა დაწვრილებითი დოსიე, კარტოთეკებში აღრიცხა მოწინააღმდეგეთა შესწავლის შედეგები – ხელმძღვანელთა და მათ მთავარ თანაშემწეთა საქმიანი თვისებები, სუსტი და ძლიერი მხარეები, ქცევა პირად ცხოვრებაში, საქმიანი კვალიფიკაცია, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ურთიერთობა ოჯახის წევრებთან, ნათესავებთან, კოლეგებთან, კავშირი საზოგადოებრივი და ფინანსური წრეების წარმომადგენლებთან და მისთანანი.

სარეკლამო სააგენტოს სპეციალისტებმა დაამუშავეს, აგრეთვე, გეგმა, რომლის თანახმადაც გათვალისწინებულია ოპერაციის მთელი მსვლელობა ფართოდ გადაიცეს მთელ დოლარეთში წამყვანი სატელევიზიო კომპანიების მიერ. ჩვენ აქ არ ვგულისხმობთ პოლიტიკურ ოპერაციას (რაც, ცხადია, უკიდურესი საიდუმლოებით უნდა ყოფილიყო მოსილი გარეშეთათვის), მხედველობაში გვაქვს ქირურგიული ოპერაცია – მისტერ სლამპისთვის აპენდიქსი უნდა ამოეჭრათ (თუმცა აპენდიციტი არ აწუხებდა). მალე მისტერ სლამპს ბედმა გაუღიმა: საბედნიეროდ, საჯდომზე ძირმაგარის მსგავსმა წარმონაქმნმა იჩინა თავი და შეიძლებოდა, გავერნორისთვის შიშის მომგვრელი ჭიანაწლავის ოპერაციაზე უარის თქმა. თუმცა, ამ შემთხვევაშიც ოპერაციისთვის უნდა მიემართათ, მაგრამ ყველაფერი ბევრად იოლად ჩაივლიდა და ოპერაციის ტრანსლაციაც უფრო იაფი დაჯდებოდა – ნაკლებ დროში მოხდებოდა. ამ ეკონომიის ხარჯზე შეიძლებოდა, დამატებით კიდევ რამდენიმე სეანსის ჩატარება და ჭრილობის მდგომარეობის რეგულარული ჩვენება ფართო საზოგადოებრიობისთვის, რათა დოლარეთს დროულად შეეტყო "მისი მომავალი პრეზიდენტის" ჯანმრთელობის მდგომარეობა...

არც გავერნორის მოქიშპენი ისხდნენ გულხელდაკრეფილნი, მათ საარჩევნო შტაბებში ათასგვარ ხრიკებს იგონებდნენ. მაგალითად, ანდრიუ რეინმა პირადი პოპულარობის გასაზრდელად მოაწყო თავისი საყვარელი ძაღლის ქორწინების ცერემონიის ერთსაათიანი ტელეგადაცემა. ერთ-ერთმა სარეკლამო სააგენტომ მადისონ ავენიუდან (შესაბამის ფასად, რასაკვირველია) ფრიად პომპეზურად ჩაატარა როგორც "ხელის მოწერის" ცერემონიალი (მოწმეებიც ცუგები იყვნენ – ძვირფასი თვლებით დამძიმებული თათებით ანაბეჭდი დასტოვეს "ქორწინების კონტრაქტზე"), ისე საზეიმო სუფრაც, რომელსაც უსხდნენ ანდრიუ რეინის მფარველ საქმოსანთა ცუგები, გამოწკეპილნი საგანგებოდ ამ საზეიმო შემთხვევისთვის შეკერილ XVII საუკუნის ინგლისის არისტოკრატიული სტილის ტანსაცმელში. სუფრას ხომ ჩიტის რძეც არ აკლდა და ლივრეიანი მსახურნი სულ თვალებში შესციცინებდნენ კეთილშობილი სისხლის სტუმრებს – ცდილობდნენ, ამოეკითხათ მომლხენთა თვალებში უმცირესი სურვილები.

ამჟამად კი ქირურგები ბევრ ძალ-ღონეს ხარჯავდნენ, რათა მისტერ სლამპის ძირმაგარას არ მოესწრო დროზე ადრე მორჩენა – ფერადი ტელევიზიით ოპერაციის გადაცემის დრო დაგეგმილი იყო სწორედ ორი კვირით ადრე, სანამ პრეზიდენტობის კანდიდატობის პრეტენდენტები დაიწყებდნენ თვითმფრინავებით, მატარებლებით, ავტომანქანებით განუწყვეტელ მოგზაურობას დოლარეთში ამომრჩეველთა ხმებზე სანადიროდ – შეჯიბრი, ვინ მეტ შეხვედრას გამართავდა და მეტ ამომრჩეველს ჩამოართმევდა ხელს.

თუ მაინცდამაინც საჭიროება მოითხოვდა, გათვალისწინებული იყო, აგრეთვე, დამატებით აპენდიქსის ამოჭრის ოპერაციის ტელეტრასლაციაც, რათა მისტერ სლამპის სახელის გარშემო შეექმნათ "გმირული" ატმოსფერო და ამავე დროს დოლარელთა ფართო ფენებში გამოეწვიათ სიბრალულისა და სიმპათიის გრძნობები მრავალტანჯული, "შინაგან (ზედიზედ ორი ოპერაცია!) და გარეგან (ოთხი-ხუთი პოლიტიკური მოწინააღმდეგე!) მტერთაგან გაწამებული", მაგრამ "გმირული მოთმინებითა და უსაზღვრო კეთილი იმედებით აღსავსე" პრეტენდენტის მიმართ...

კარი XXXV. დოლარეთში არეულობა მატულობს, შფოთის ტალღები სხვა ქვეყნებსა და კონტინენტებსაც წვდება!

მისტერ სლამპის საარჩევნო შტაბს კი არა, "რესიპი კორპორეიშნის" "აზროვნების ბუნკერსაც" კი არ ჰქონდა გათვალისწინებული თავისუფლების ქანდაკების გატაცება და ამით შექმნილი დაძაბული სიტუაცია. ისე კი "რესიპის" მიწისქვეშა "წითელ" და "ლურჯ" ოთახებში ოპერაციული სისტემების განყოფილების ფილოსოფოსებმა და სამხედრო ექსპერტებმა რა მოსალოდნელი სიტუაციები არ ჩამოაყალიბეს, გაითამაშეს და შეაფასეს, დაწყებული წარმოსახვითი დიპლომატიური კონფლიქტებით მსოფლიოს ასზე მეტ ქვეყანასთან და დასრულებული მსოფლიო ატომური ომის შესაძლო ვარიანტებით.

მართალია, დოლარეთის პრეზიდენტი თავს იკავებდა უკიდურესი ზომებისგან, რომლებსაც შეეძლო დიდი მსოფლიო ომის გაჩაღება – ატომის საუკუნეში ასეთი ნაბიჯი საკმაოდ სახიფათო იყო ყველასთვის, დიდად დააზარალებდა კაპიტალდაბანდებებსა და მოგებას.

ამის მიუხედავად, დოლარეთის თავდაცვის სამდივნოს შენობის მიწისქვეშა ღრმა თავშესაფარში ისხდნენ ტელეეკრანებსა და ხელსაწყოთა მაჩვენებლებს მიჩერებული სამხედროფორმიანი ადამიანები, რომლებიც ყოველ წამს მზად იყვნენ ბრძანების მიღებისთანავე სიკვდილის მოციქულები – ბირთვული, ბაქტერიული და ქიმიური იარაღით აღჭურვილი რაკეტები – გაეგზავნათ წინასწარ დასახული მიზნებისკენ სახმელეთო ბაზებიდან, მოდარაჯე გემებიდან, კოსმოსური პილოტირებული ორბიტული სადგურებიდან.

მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა "ამბოხების" საბაბით საგანგებო წესები შემოიღო, შუაღამის მიუხედავად, დოლარეთის მთელი ტერიტორია დიდმა მოვლენებმა მოიცვა.

სასწრაფოდ დამუშავდა ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ითვალისწინებდა სამხედრო მობილიზაციის მთელი პროცესის დაჩქარებას, სავალდებულო სამსახურში რეზერვისტთა მთელი რიგი კატეგორიების გაწვევას, კონგრესისთვის დასამტკიცებლად ახალი კანონების წარდგენას (ხელფასებსა და ფასებზე სახელმწიფო კონტროლის დაწესება, სურსათის მოხმარების ნორმების დადგენა, ორი წლით გაფიცვების აკრძალვა, მიტინგებისა და კრებების აკრძალვა; საკომენდანტო საათი საღამოს 8 საათიდან დილის 7 საათამდე უკვე მოქმედებდა). პოლიციასა და სასამართლოებს მიენიჭათ ფართო უფლებამოსილებანი "კანონიერებისა და წესრიგის დასაცავად".

იუსტიციის სამდივნომ უბრძანა დოლარეთის გამოძიების ბიუროს, დაუყონებლივ დაეწყო ოპერაცია "ბადე": კრიზისის პერიოდში, პოტენციურად ძირგამომთხრელი ელემენტების და მესაბოტაჟეთა იზოლაციის მიზნით, ერთ საათში უნდა დაეპატიმრებინათ ეჭვმიტანილნი წინასწარ შედგენილი "შავი სიების" მიხედვით. გეგმა წარმატებით სრულდებოდა – სულ მალე დოლარეთის დიდი ქალაქების ახლოს განლაგებული რამდენიმე ათეული საკონცენტრაციო ბანაკი 50 ათასზე მეტმა "ურჩმა" პირთამდე გაავსო. აზარტში შესული პოლიციელები და აგენტები უდიდეს ენთუზიაზმს იჩენდნენ. შედეგი: ბანაკებში შერეკილი აღმოჩნდნენ სულ სხვადასხვა ჯურის ადამიანები – უპარტიოები და სხვადასხვა პარტიების აქტიური თუ პასიური წევრები, ლიბერალები და კონსერვატორები, მაწანწალები და მაღაზიათა მფლობელები, დიდი და პატარა, მაღალი თუ დაბალი, ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა... ამ ბანაკებში მრავლად მოხვდა ისეთიც, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ ცხოვრობდა მსოფლიოში ყველაზე უკეთეს ქვეყანაში, მშვიდობისა და დემოკრატიის ბასტიონში, "თავისუფლების ბურჯში"...

დოლარეთის სადაზვერვო ორგანიზაციათა თანასაზოგადოების "საგუშაგო კომიტეტში" დაძაბული ატმოსფერო სუფევდა – ქვეყანაში მომხდარი ამბები დიდ გავლენას მოახდენდნენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში არსებულ მდგომარეობაზე.

ცოდვილი ბებერი ევროპა საღამოს სიბნელის დადგომისას ფრიად გაკვირვებული დარჩებოდა – "ოპლან № 1008-5" გეგმის შესაბამისად, დოლარეთის ჯარები და საზღვაო ფლოტი "მათი მისიის ფარგლებში და უშიშროების განსახორციელებლად" აქტიურად ჩაერეოდნენ მთელი რიგი ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში, განსაკუთრებით კი – სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციის "NATALI" წევრი ქვეყნების შინაურ საქმეებში: მათი მხარდაჭერით ძალაუფლებას ხელთ იგდებდნენ დოლარეთის ერთგული წრეების წარმომადგენლები. სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტების ხელში ჩაგდებას დაუყონებლივ მოჰყვებოდა შავი სიების მიხედვით "ძირგამომთხრელ ელემენტთა" დაპატიმრება, რათა ამ უკანასკნელთ არ შესძლებოდათ საპასუხო ღონისძიებათა ჩატარება ან იატაკქვეშეთში თავის შეფარება. სხვა ქვეყნებში გაშლიდნენ "უჩვეულო ომის" სცენარის მიხედვით ოპერაციებს დივერსიული ჯგუფები.

დოლარეთის ფლოტი შეუდგა საზღვაო ქვეითი ჯარის გადასხმას აფრიკის ატლანტის სანაპიროს მთელ რიგ პუნქტებში; ასეთივე აქცია ოდნავ მოგვიანებით დაიწყო აფრიკის აღმოსავლეთ სანაპიროს ზოგიერთ "საეჭვო" თუ "ცხელ" რაიონში.

ინდოეთის უმსხვილეს შტატებში უკიდურეს მემარჯვენე პარტიათა და ექსტრემისტულ ფანატიკურ ორგანიზაციათა წევრებმა დაიწყეს კარგად მომზადებული ამბოხება ცენტრალური

მთავრობის წინააღმდეგ. აჯანყებულთ იარაღს პარაშუტებით უყრიდა ქვეყნის საჰაერო სივრცეში შეჭრილი "უცნობი" თვითმფრინავები.

რამდენიმე საგანგაშო ცნობა მოვიდა ლათინური ამერიკიდანაც: სამ ქვეყანაში პროდოლარული სამხედრო დიქტატურები დაეცა, დილისთვის მოელოდნენ დამატებით ცნობებს გადატრიალებათა ხასიათისა და მოვლენების შემდგომი განვითარების ტენდენციების შესახებ.

თვით დოლარეთში, მის უმეტეს შტატებში, ექსტრემისტული შეიარაღებული ჯგუფები და ორგანიზაციები იატაკქვეშეთიდან გამოვიდნენ – ორგანიზებულად თავს ესხმოდნენ სამხედრო საწყობებს, ფიზიკურად უსწორდებოდნენ "დამპალ ლიბერალებს", არ ინდობდნენ პოლიციასაც, თუკი იგი ჩაერეოდა მათ მოქმედებაში.

დოლარეთის დედაქალაქიც აფორიაქებული იყო ამ ღამით.

მთელი ღამე განათებული იყო თეთრი სახლის ფანჯრები, ფუსფუსებდნენ მოსამსახურენი ბევრ სამდივნოსა და სახელმწიფო დაწესებულებაში; ღამის მყუდროება განდევნა ტელეფონთა განუწყვეტელმა ზარებმა, დაძაბულმა კამათებმა, სახანძრო, სამედიცინო და პოლიციის მანქანათა სირენების კივილმა, მოტორიზებული ჯარისა და სპეციალური დანიშნულების რაზმების გადაადგილებამ ქუჩებში.

ვოშინგტონში ეს დაძაბული ღამე მრავალმა ადამიანმა ფეხზე მდგომმა გაატარა.

გათენებას კი აღარ დაადგა საშველი...

კარი XXXIV. სოციოგრაფიული ექსპერიმენტი

ჩვენც მოუთმენლად ველით გათენებას, რათა დღის სინათლეზე მეტი სიცხადით გავარკვიოთ ყველაფერი, მოვუყაროთ თავი ინფორმაციას გადამწყვეტი მოვლენების შესახებ და შემდგომი მსვლელობა მივცეთ ჩვენს მიერ მოთხრობილ ამბებს.

გათენებას კი თითქმის აღარაფერი უკლია.

"მაუნტ სილვერის" ბუნკერში ტელეფონის უჩვეულოდ გრძელმა ზარმა დაიწკრიალა. იქ მყოფთა ნერვებზე ამ უწყინარმა, მაგრამ მოულოდნელმა ხმამ მტკივნეულად და ავადმყოფურად აღმგზნებად იმოქმედა – ფსიქიკურად დაძაბულ და ამავე დროს ყრუ სიჩუმესა და განმარტოებულობას შეჩვეულ ადამიანებს შოკი დამართა: მისტერ ვინტროპ ბეილის გული წაუვიდა, დანარჩენები – ვინ გაოგნებული წამოხტა და უაზროდ თვალებდაჭყეტილი და პირდაღებული გაშეშდა, ზოგიერთებს სურვილი დაებადათ, გაქანებულიყვნენ და ბეტონის (მუხის ფილებით მოპირკეთებულ) კედლისთვის მიეხეთქებინათ თავი, ზოგმა კი არაადამიანური ხმით დაიღრიალა და ხალიჩებით დაფენილ იატაკზე გაგორდა, რათა საკუთარ თავში დაეთრგუნა სურვილი – ვინმეს მივარდნოდა და ყელში წაეჭირა თითები...

დიახ, ისეთ საუკუნეში ვცხოვრობთ, რომ ტელეფონის ზარის უწყინარ წკრიალს ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანთა ბედისთვის, როგორც ღმერთების ნებას ძველ ბერძნულ დრამებში.

ზარი განუწყვეტლივ რეკავდა.

მისტერ სლამპი პირველი მოვიდა გონს და აპარატს მიაშურა.

აკანკალებული ხელით ყურმილს დასწვდა.

ოდნავ გულს მოეშვა, როცა ყურმილში ჰამფრი დრაიკლინის ხმა იცნო.

მისი საარჩევნო კომიტეტის მანიჯერი ატყობინებდა შეფს, რომ ნიუ იორკში ელექტროენერგიის მიწოდება აღდგა და საერთოდ "ყველაფერი წესრიგზეა". გავერნორს უნდოდა, გამოეკითხა მდგომარეობა, მაგრამ მანიჯერს ეჩქარებოდა ბუნკერში მოსვლა, ნახევარ საათში აქ გაჩნდებოდა და ყოველივეს დაწვრილებით მოახსენებდა.

რას უნდა ნიშნავდეს ეს "ყველაფერი რიგზეა"? ნერვიულობით გადაღლილი ტვინი უკვე ვეღარ სძლევდა იმ სამუშაოს, რომელიც საჭირო იყო, რათა გავერნორს გაეაზრებინა, თუ რა შეიძლებოდა ეგულისხმა დრაიკლინს ამ სიტყვებში. ტვინს თითქოს ძილის ბურანი მოეფინა, მისტერ სლამპს არც ხალისი და არც უნარი ჰქონდა აზროვნებისა და იმითაც კმაყოფილი იყო, რომ, მადლობა ღმერთს, კიდევ ერთი შემაშფოთებელი ამბავი არ უთხრეს. გავერნორმა ხელი ჩაიქნია და სავარძელში ჩაჯდა, მაგრამ მაშინვე გიჟივით წამოხტა და დაეჯღანა სახე – ძირმაგარამ თავი შეახსენა!

ფსიქოლოგი უეჭველად ბევრ საინტერესოს აღმოაჩენდა ამ იზოლირებულ ბუნკერში გამოკეტილ პერსონებში, შესძლებდა, დაედგინა სულიერი აფორიაქების, შიშის, უიმედობის განწყობილების, იმედგაცრუების გამოვლინებანი სხვადასხვა ინდივიდუალურ ტიპში. ასეთი რთული და სავსებით მოულოდნელი სიტუაციები ასტრონავტთა შესარჩევ ტესტებშიც კი არ იყო გათვალისწინებული და მათ ხელოვნურად ვერც შექმნიდი. ერთი რამ კი ცხადი გახდა: ვერც ერთმა ბუნკერში მყოფთაგან ვერ გამოამჟღავნა ის თვისებები, რომლებიც საჭიროა ასტრონავტისთვის (ისევე, როგორც პოლიტიკური ლიდერისთვის, სამხედრო მეთაურისთვის, წარმოებაში ადამიანთა კოლექტივის ორგანიზატორისთვის და ასე შემდეგ) – უნარი გაურკვეველ, მოულოდნელად წარმოშობილ, სახიფათო სიტუაციაში სწრაფად გარკვევისა, სწორი გადაწყვეტილების მიღებისა და მი-

სი განხორციელებისთვის კოლექტივის დარაზმვისა. პოლიტიკური ლიდერობისა და მასობრივი მოძრაობების დოლარელ სპეციალისტთა აზრით, კარგ ორგანიზატორებს აგრეთვე აუცილებლად უნდა ჰქონდეთ... ჰუმორის გრძნობა!

დიახ, ჩვენს გმირებს მართლაც აკლიათ სპეციალისტი-ფსიქიატრისა და ექიმი-ფსიქოლოგის დახმარება, თუმცა "ტვინის ტრესტში" ჩარლზ სლამპს ჰყავდა მთელი ჯგუფი სოციალური ფსიქოლოგიის და მასების (ბრბოს) ფსიქოლოგიის მცოდნეებისა, ფსიქიატრებისა და ფსიქოანალიზის სპეციალისტებისა. როგორც ერთი ცნობილი ფილოსოფოსი წერდა, უკვე დღეს ფსიქოლოგია, განსაკუთრებით კი – მასების ფსიქოლოგია, სულ უფრო მეტად მიიჩნევა მეცნიერებათა შორის ყველზე მნიშვნელოვნად კაცობრიობის კეთილდღეობის თვალსაზრისით. ექსპერტთა საყოველთაო აზრითაც, არ არის და არც შეიძლება იყოს პროპაგანდა (და რეკლამა), დაფუძნებული მეცნიერულ მონაცემებზე, ფსიქოლოგიის გარეშე. ამიტომ, ცხადია, საარჩევნო კამპანიის დაგეგმვისა და წარმართვისას გავერნორის საარჩევნო კომიტეტი ფართოდ სარგებლობდა ფსიქოლოგი ექსპერტებისა და კონსულტანტების მომსახურებით – ანთროპოლოგებთან, სოციოლოგებთან, პოლიტოლოგებთან, ეკონომისტებთან, იურისტებთან, საერთაშორისო ურთიერთობათა სამართლის მცოდნეებთან და სხვა სპეციალობის მაღალი კვალიფიკაციის მეცნიერებთან ერთად.

საინტერესოა, რას იტყოდნენ "სოციალური მექანიკის", "საზოგადოებრივი ურთიერთობის", "ქცევის გამომწვევი მოტივების" მკვლევარები იმ "დისფუნქციაზე", "სოციალურ პათოლოგიაზე", ანუ მდაბიური ენით რომ ვთქვათ, იმ არეულობაზე, რომელმაც ამჟამად მოიცვა დოლარეთი?

კარი XXXVII. წარმოსახვითი საუბარი: გავერნორის პრეტენზიები

გავერნორი რაღაცას ბუტბუტებს თავისთვის, მიმოდის ოთახში და ანაზდეულად დროდადრო ხელებსაც იქნევს, თითქოს აბეზარ ბუზს იგერიებს. ალბათ ჰამფრი დრაიკლინის მოსვლას ელის და მოუთმენლობისგან უკვე წინასწარ ეპაექრება, კიცხავს; უნდა, როგორმე მოინელოს მარცხი, ნაწილობრივ ზოგი რამ სხვასაც გადააბრალოს, ზოგი კი – თვით გაიგოს, გაერკვეს ვითარებაში... ცოტაც მოითმინოს მისტერ სლამპმა და მისი საარჩევნო კომიტეტის მანიჯერიც აქ იქნება, ბუნკერში...

ჩვენ კი რაღა ვიღონოთ? ჰამფრი დრაიკლინის მოსვლამდე დრო კიდევ გვაქვს. მოდით, წარმოვიდგინოთ, რომ იგი უკვე "მაუნტ სილვერშია" და გავერნორთან მისი კითხვა-პასუხი მძაფრ ფორმებს იღებს. არ არის გამორიცხული, რომ ეს წარმოსახვითი საუბარი ასე წარიმართებოდა:

გავერნორი: ნუთუ ყველაფერი წყალში ჩაიყარა? ტყუილად შეიქმნა "ტვინის ტრესტი", დაიხარჯა უამრავი თანხა?.. ვინ არის დამნაშავე?

მანიჯერი: სირ, რაც ჩვენზე იყო დამოკიდებული, კომიტეტს ცდა არ დაუკლია... დაგეგმილია და ხორციელდება კოლოსალური სარეკლამო კამპანია. აიდაჰოს შტატში სელექციონერებთან კონტრაქტიც კი დავდეთ კარტოფილის ახალი ჯიშის გამოყვანაზე, რომლის ბოლქვებს ექნებათ თქვენი თავის ფორმა. სელექციონერები ირწმუნებიან, რომ სულ მოკლე დროში წარმატების იმედი აქვთ და კარტოფილის ახალი ჯიშის – "ჩარლის" – ბოლქვები ზუსტად გაიმეორებენ თქვენი ნიკაპისა და ცხვირის მოყვანილობას...

გავერნორი: თქვენი ტრაბახით ფონს ვერ გახვალთ! თავბრუ დამახვიეთ ყოყლოჩინობით – იმდენი ფული ჩავყარეთ, რომ ქვეყნის წამყვანი პოლიტოლოგები, პოლიტიკური ფსიქოანალიზისა და სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალისტები, გამოჩენილი ფუტუროლოგები ზუსტად გამოიკვლევენ დოლარეთის ცალკეული საზოგადოებრივი ჯგუფებისა და ფენების განწყობილებასა და პოლიტიკურ აქტივობასო; პრეზიდენტობის კანდიდატების შანსების პროგნოზიც უახლესი და უზუსტესი მეცნიერული მეთოდებით გამოვიკვლიეთო... მე არ მჭირდება არც თქვენი პულსის სიხშირის ცვლის, არც ოფლის გამოყოფის ინტენსივობის გამოკვლევა, ისედაც ცხადია, რომ ღალატის ცხადი ნიშნები დავადგინოთ...

მანიჯერი: ნუთუ ჩემზეც რაიმე ეჭვი გაქვთ?

გავერნორი: ეჭვი ერთ რამეში სრულიადაც არ მეპარება: თქვენი პროგნოზისტების "მეცნიერული" აბდაუბდა ერთ გახვრეტილ სენტად არ ღირს.

მანიჯერი: როგორ გეკადრებათ... უახლესი, აპრობირებული მეთოდებია გამოყენებული: ინტერვიუ, სტატისტიკა, დაკვირვება, გამოკითხვა, ექსპერიმენტი, თამაშობათა მათემატიკური თეორია, ბლოკების თეორია, კიბერნეტიკული მოდელირების მეთოდები...

გავერნორი (სარკაზმით): და ყველა მონაცემის ანალიზით დაასკვენით, რომ ჩემი კანდიდატურის შანსები საუცხოოა... თქვენი ექსპერიმენტების მსხვერპლი გავხდი! ქაოსს გავატანეთ უდიდესი სახსრები, რეპუტაციაც და იმედიც... ჯობდა, ცნობილი მკითხავებისა და ჰოროსკოპის სპეციალისტებისთვის მიგვემართა: ბევრად იაფი დაჯდებოდა და შედეგებიც უფრო სანდო იქნებოდა.

მანიჯერი: არ ღირს გულის ასე გატეხვა, იმედს ნუ დავკარგავთ... მდგომარეობა გამოსწორდება. ჩვენი მეგობარი ექიმები და ქიმიკოსები გვპირდებიან ახალ პრეპარატებს...

გავერნორი (ირონიით): დოლარეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ამ პრეპარატებით ვაქციოთ მისტიკური ექსტაზის მატარებელ სათამაშო თოჯინებად, რომლებიც ჩვენს ყოველ ნება-სურვილს უდრტვინველად მყისვე შეასრულებენ... მოვუსპოთ მათ შეგნებული არჩევანის უნარი და მოთხოვნილებაც კი დამოუკიდებელი აზროვნებისა... ეფექტური ბიოლოგიური კონტროლით მორჩილებაში გვყავდეს ადამიანთა მასები... საკმარისია ერთი აბი გადავაყლაპოთ და ობიექტი იქცევა ინტელექტუალურ მონად განსაზღვრული დროის განმავლობაში... ან ლაზერული დასხივებით ადამიანთა ქცევის მანიპულირება სჯობს?

მანიჯერი: დიახ... დიახ... დიახ...

გავერნორი (გაანჩხლებული): მერედა, სად არის ეს ბიოფიზიკური და ბიოქიმიური მეთოდები? როცა მე მჭირდება, რატომ არ ვიყენებთ? სად ჯანდაბაში გადაიკარგნენ ყველანი, რატომ არ მშველიან? თუ მცირე თანხაა ამაზე დახარჯული? ან რას აკეთებენ ის მეცნიერები, დიდის ამბით რომ გვპირდებოდნენ – ისეთ ელექტრონულ მოწყობილობას გამოვიგონებთ, რომ სახლთა კედლების უკანაც კი შევძლებთ, დავინახოთ საგნები და სხვათა აზრებიც კი გამოვიცნოთო... ჰოდა, რატომ ვერ აღმოაჩინეს აქამდე გადამალული ქანდაკება? თუ მეტისმეტად პატარაა, ქინძისთავის ხელა, და ამიტომ გაუჭირდათ მისი პოვნა? ან რატომ არ გამოავლინეს და არ მოსპეს მაშინვე ის გარეწრები, რომლებმაც გატაცება ჩაიფიქრეს? რატომ, რატომ, რატომ?..

კარი XXXVI. მადლობა ღმერთს!..

უჰ!.. ვგონებ, ამდენ ცდასა და ლოდინს ბოლო ეღება... ისმის ჩხაკუნი და ყველას გულს უხეთქავს.

ბუნკერში შემოსასვლელი კარი თითქმის უხმაუროდ გაიღო (რაც უეცარ გრიალად ჩაესმათ იქ მყოფთ) და... და შემოვიდა ჰამფრი დრაიკლინი, მანიჯერი საარჩევნო კომიტეტისა "სლამპი – პრეზიდენტად!", მას უკან სხვა პირებიც შემოყვნენ.

დამხვდურნი, თითქოს მათ ყველას ზურგში უბიძგესო, მისცვივდნენ დრაიკლინს და კითხვების სეტყვა დააყარეს.

უეცარი შეტევით დაბნეული დრაიკლინი შეცბა, უმწეოდ აცეცებდა თვალებს აქეთ-იქით და ამაოდ აღებდა პირს – ვერ გადაეწყვიტა, პირველად რომელ კითხვაზე გაეცა პასუხი.

როცა კითხვების ნიაღვარი შენელდა, ჰამფრი დრაიკლინმა, თითქოს ირგვლივ შემოხვეულთა ციებ-ცხელება გადაედოო, სხაპასხუპით გადმოაფრქვია:

– არა, ნიუ იორკში ჰაერი არაა მოწამლული, ქალაქი ჯარით და დემონსტრანტთა საწინააღმდეგო ქაფით არის გავსებული, თავდასხმა არ მომხდარა, გამტაცებლები ვერ ნახეს, ქანდაკება თავის ჩვეულ ადგილზეა...

– რაო?.. – იკითხა მისტერ შრაივერმა.

– სად არისო?.. – წამოიძახა მისტერ ბეილიმ.

– ვინ გაიტაცა?.. – იყვირა გენერალმა ჰანტერმა.

– ვინ დააბრუნა?.. – დაინტერესდა სენატორი კუკი.

– როგორ მოხდა?.. – ვერ მოითმინა და ხმა ამოიღო გრეიამ პანჩენმა.

აქამდე ჰამფრი დრაიკლინი ერთი ხუთ კაცს მაინც ეჭირა, თითქოს ეშინოდათ – არ გაგვექცესო, ახლა კი ხელი უშვეს მისი პიჯაკის სახელოებსა და კალთებს.

ჰამფრი დრაიკლინმა ღრმად ჩაისუნთქა და იმის შიშით, რომ ამ ყაყანში ხმის ამოღებას არ აცლიდნენ, მხიარულად დაიღრიალა:

– ქანდაკება არავის მოუტაცია! – დაარტყა ხელი შრაივერს, – გაიგეთ?!. – მეგობრულად ჰკრა იდაყვი ბობი ტეილორს, – შეისმინეთ და შეიგნეთ: ქანდაკება იყო და არის, სადაც იდგა და არავინ მას არ შეხებია!.. – გაუღიმა ვინტროპ ბეილის: – "მის ლიბერტის" სირცხვილ-ნამუსი საფრთხეში არ ჩავარდნილა! – თვალი ჩაუკრა ჩესტერ ჰანტერს.

– აბა, როგორ?.. – გაუკვირდა გრეიამ პანჩენს, მისტერ ბეილის პირად ექიმსა და მდივანს..

– ვეღარავის ენდობი... – აღშფოთდა გავერნორი სლამპი.

– ყველა ჭკუაზე შეიშალა... თუ მე გავაფრინე?.. – ხელები გაშალა მისტერ ბეილიმ.

– რა ხდება, ვერ გამიგია, ღმერთმანი... – დაბნეულია მისტერ შრაივერი.

– მაშ, რამ გამოიწვია ალიაქოთი?.. – დაინტერესდა გრეიამ პანჩენი (უკვე წინასწარ გუნებაში ანგარიშობს, როგორ აღწერს ამ მოვლენებს მისტერ ბეილისადმი მიძღვნილ ბიოგრაფიულ წიგნში).

– არ მჯერა, ვერ დავიჯერებ... – აცხადებს მისტერ ბეილი.

– მადლობა ღმერთს, კიდევ კარგი... – შვებით ამოისუნთქა გავერნორმა სლამპმა.

– აბა ტელევიზიით... – სურს, წვრილმანებში გაერკვეს გრეიამ პანჩენს.

– დიახ, ტელევიზიით რომ ცნობა გადმოსცა ვოლტერ დისერვმა... – ამბობს მისტერ შრაივერი.

– დაწყნარდით, დამშვიდდით... – ხელებს შლის ჰამფრი დრაიკლინი. – ჰა-ჰა-ჰა!.. მაშინ გადმოსცემდნენ ინსცენირებას მათიუ ფოლტის ბესტსელერისა "ჩვენზე ნადირობა დაიწყო!" ხალხი გაბრიყვდა, ზოგიერთებს სინამდვილე ეგონა და პანიკამ არა მხოლოდ ნიუ იორკი...

– მაშ, რა იქნება, ყოველდღე ასეთ საშიშროებაზეა ლაპარაკი გაუთავებლად ჟურნალ-გაზეთებშიც და რადიო-ტელევიზიაშიც... – ამბობს მისტერ შრაივერი. – მტრის შემოსევით და ომის ფანტაზიური საშინელებებით აღვსილი კინოსურათები ახლაც გადის ბროდვეიზე.

– საკვირველია, რაღა ამ ტელეგადაცემამ იმოქმედა ასე? – კითხულობს მისტერ ბეილი. – ცოტაა სხვა სულელური, ბრიყვული გადაცემები?

– მათიუ ფოლტიც ხომ ვილაში იყო ჩვენთან ერთად? – გაკვირვებულია მისტერ შრაივერი. – ის რაღამ გააგიჟა? საკუთარი ნაწარმოები ვეღარ იცნო?

– ჰა-ჰა-ჰა, საკუთარმა მონაჩმახმა გადარია! – რატომღაც უხარია მისტერ ვაილდს.

– რა გიკვირთ? – როგორც იქნა, შვება იგრძნო მისტერ სლამპმა და საუბრის ხასიათზეც კი დადგა. – ერთი მწერლის ნათქვამისა არ იყოს, ძნელად მოიძებნება მსოფლიოში მეორე ისეთი ქვეყანა, რომელიც ასე ადვილად აჰყვება ისტერიას...

მისტერ ბეილი დასტურის ნიშნად თავს აკანტურებს:

– აბა. რა იქნება, ქუჩაში გამვლელთა ნახევარი გიჟია, მეორე ნახევარი ფსიქიატრების მუდმივი პაციენტია!

– მადლობა ღმერთს, ქანდაკება ნაპოვნია... – ჯერ კიდევ გადატანილი განცდებისგან საბოლოოდ მაინც ვერ განთავისუფლდა მისტერ სლამპი, – ძლივს არ ამოვისუნთქე თავისუფლად!..

– შენც კარგად ხარ – რაც არ დაკარგულა, იმას რა პოვნა უნდოდა! – გახალისებულია სენატორი კუკი.

– არ გამიკვირდა? – აშკარა დაცინვით ამბობს მისტერ ვაილდი. – აქაურ ცხვირმოუხოცლებს სად აქვთ უნარი, რაიმე ვაუკაცური გამოავლინონ! ჰმ, ქანდაკება მოიტაცეს! კარგად მოუტაციათ, მომილოცავს! ჩვენთან, სამხრეთში, ასეთი სულელური ისტორია ბაბუაჩემისგანაც კი არ გამიგონია, ცხონებულმა კი იცოდა ზღაპრების მოყოლა: ვისაც გინდათ, ჰკითხეთ, ტექსასში ბადალი არ ჰყავდა ცოცხალი ტყუილის მოგონებით!

– პოლიციითა და ჯარით რომ გაივსო ნიუ იორკი, ის ვეღარ მოისაზრეს – ჯერ შეემოწმებინათ, ქანდაკება თუ იდგა ადგილზე? – ბრძნულად მსჯელობს მისტერ ბეილი. – აი, დაბნევაც ასეთი უნდა!

– ვის ეცალა მაგისთვის? – წარბებს მაღლა ძგიბავს სენატორი კუკი.. – როგორც ახლა გადმოსცეს ტელევიზიით, ყველა მომტაცებლებისა და ძირგამომთხრელი ელემენტების დაჭერით იყო გართული. ორ ათასამდე მარტო მაწანწალაა ნიუ იორკში დაკავებული.

– მივესალმები! – იჯგიმება ექს-გენერალი ჩესტერ ჰანტერი. – ზოგი ჭირი მარგებელია: მაგარი შიში ვჭამეთ, მაგრამ ბოლოს კარგი შედეგი გამოიღო; პერიოდულად უნდა ჩატარდეს ამგვარი წმენდა, თუ არა და – ანარქიის ჭაობში ჩავეფლობით!

– ეს ნამდვილად აუცილებელია! – ეთანხმება მისტერ ბეილი.

– ამ წინადადებაში ჭეშმარიტად არის რაციონალური მარცვალი... თუ ჩვენი კაცი გავიყვანეთ პრეზიდენტად, ის შეძლებს, დაამყაროს წესრიგი ქვეყანაში! – ამბობს სენატორი კუკი.

– მაშინ, შესაძლოა, მართლაც დაგვჭირდეს თავისუფლების ქანდაკების მოტაცება! – კიდევ უფრო მკაცრი ტონით აცხადებს მისტერ ჰანტერი.

– კიდევ უნდა გადავიტანოთ ასეთი საშინელება? – შეშინებულია მისტერ შრაივერი.

– და მაშინ კი ვიპოვით, ვის დავაბრალოთ ქანდაკების მოტაცება!.. – საზეიმო ხმით აგრძელებს საკუთარი აზრის გამოთქმას მისტერ ჰანტერი.

– მისტერ სლამპ, – ნიუ იორკის შტატის გავერნერს მიუახლოვდა მისი საარჩევნი კომიტეტის მანიჯერი ჰამფრი დრაიკლინი, – ახლა გამახსენდა, ჩვენ უკვე დავგზავნეთ გაზეთებისა და რადიო-ტელევიზიის რედაქციებში თქვენი სახელით წერილები, რომლებშიც თქვენ აბრალებთ ქანდაკების მოტაცებას...

– ვის?!. საერთაშორისო შეთქმულებას თუ ქვეყნის შიგნით ამრევებს? – კითხულობს მისტერ სლამპი.

– ანდრიუ რეინს!.. – ნირწამხდარი პასუხობს მისტერ ჰამფრი დრაიკლინი.

– და ეს ხვალინდელ გაზეთებში გამოქვეყნდება?

– დღეს, სირ, უკვე თენდება...

– ო-ო-ო!.. ეს რა ჩაიდინეთ, – ლამის გაგიჟდეს მისტერ სლამპი, – ქანდაკება ხომ ადგილზეა! ვინ გამოიჩინა ასეთი "წინდახედულობა", ვინ დამიდო კვანტი?

– სირ, ასე გვიკარნახა "ჩარლიმ"...

– ვინ ჩარლიმ? ვინ დამღუპა?..

– კომპიუტერმა, სირ, რომელიც ჩვენს საარჩევნო შტაბ-ბინაში დგას. ასეთი პასუხი გაგვცა, როცა შევეკითხეთ... მომგებიან სვლად ჩათვალა... როგორც კი დენი მოვიდა, მაშინვე ჩავრთეთ... წერილებიც მაშინ გამოვაცხვეთ...

– კი მაგრამ, საკუთარი ტვინები სადღა გქონდათ? – თავში ხელი წაიშინა მისტერ სლამპმა. – ო-ო-ო!.. მე ვაბრალებ ქანდაკების მზაკვრულ წინასწარგანზრახულ მოტაცებას რეინს, ქან-

დაკება კი ლამის გადაფიჩინდეს სიცილით! მთელი ქვეყანაც დაიხოცება სიცილით... კიდევ რაო, რა ბრძანა თქვენმა ბრძენმა მანქანამ?

– ქვეყანაში წესრიგის აღსადგენად, კეთილდღეობისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად კომპიუტერი თვლის: განსაკუთრებულ შემთხვევებში – კრიზისულ სიტუაციებში – აუცილებელია ძლიერი პიროვნების გამოსვლა პოლიტიკური ცხოვრების ავანსცენაზე... პიროვნებისა, რომელიც შესძლებს ბოლო მოუღოს ანარქიას, გაფიცვებს, ტურტლიანთა საპროტესტო გამოსვლებს...

– ყოჩაღ, ეგ მანქანა მთლად სულელიც არ ყოფილა! – ამბობს მისტერ ჰანტერი. – სწორედ მაშინ დაგეჭირდება "ქანდაკების გაქრობა უცნობ ბოროტმოქმედთა მიერ"!

– კაცმა რომ თქვას, კარგი რეპეტიცია გამოგვივიდა! – კმაყოფილებით იფშვნეტს ხელებს მისტერ ვაილდი. – თუ "იქს დღე" დადგა...

– არა, მე მეორედ ვეღარ ავიტან ამდენ ვნებათაღელვას! – წამოიძახა მისტერ შრაივერმა.

– შეხედეთ, სარჯენტს რა ტკბილად სძინავს, – ამბობს მისტერ ვაილდი. – ისე იღიმება, ალბათ კარგად ერთობა! ნეტავ რომელ ღამის კლუბში ჰგონია თავი?

– ჰა? მე სულაც არ მძინავს... – უეცრად დააჭყიტა თვალები სარჯენტ ჯოგლმა და მოულოდნელი სიმკვირცხლით წამოხტა ზეზე. – ვინ მეძახდა?

– სარჯენტ, სარჯენტ, ქანდაკება არ მოუტაციათ! – ახარა ჯოგლს მისტერ შრაივერმა.

– რომელი ქანდაკება? – გაკვირვებულმა ჯოგლმა შეათვალიერა მის მკლავებში მისვენებული თაბაშირის სტატუეტი, რომელიც შემდეგ მაგიდაზე დადგა. – ხუმრობის ხასიათზე ხართ?

– თავისუფლების ქანდაკება, "მის ლიბერტი"... – განუმარტა მისტერ შრაივერმა.

– ეს? – მიუთითა ჯოგლმა სტატუეტზე.

– არა, დიდი, ნამდვილი!

– გადაირიეთ ყველა? თუ მე შევცდი ჭკუაზე? – ჯერ ძილ-ბურანიდან ბოლომდე არაა გამოსული მისტერ ჯოგლი, მაგრამ იმას კი ხვდება, რომ რაღაც უცხოს და უჩვეულოს ეუბნებიან. – იმას ვინ მოიტაცებდა... უნდა დავლიო... – ჯიბიდან ბოთლი ამოიღო და ბრანდი რამდენიმე ყლუპით ჩაათავა. – მემკვიდრეებმა საგიჟეთში ხომ არ გამომამწყვდიეს? ჩემი ქონების შეტყაპუნება განიზრახეს? მაგრამ მე მტრებს ასე იოლად არ დავნებდები! აი, ახლა კი გაჩვენებთ სეირს!

ჯოგლი გაექანა ჩარლზ სლამპისკენ, გავერნორი კი გაქცევის მაგივრად თვით გაეშურა მისკენ და გაოცებული სარჯენტი მკერდში ჩაიკრა:

– სარჯენტ, ქანდაკება ადგილზეა და ჩემი რეპუტაციაც ადგილზეა! ნიუ იორკის შტატის გავერნორის სახელი არ შებღალულა!

– ეგ ჯერ გამოსარკვევია, ჩემო ძვირფასო! – კუშტად აცხადებს მისტერ ბეილი. – თუ სახელმწიფო მოღვაწე ვერ ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას, მას ახლით ცვლიან! ჩაიწერე, გრეიამ? დიახ, დოლარეთის ხალხი ამ პრინციპის ერთგულია!

– მეც პირადად დიდად მაეჭვებს... – დაფიქრებით ამბობს სენატორი კუკი, თავს აქნევს, ალბათ რაღაც ახალ სვლებს თუ ანგარიშობს. – რაკი საქონელს სახელი შეელანძღა, გაჭირდება მისი გასაღება...

– სად ვარ? გამიშვით გარეთ! – აყვირდა სარჯენტ ჯოგლი, ხელის კვრით მოიცილა გზიდან სლამპი და პირველი გაემართა გასასვლელისკენ.

დანარჩენებიც, თითქოსდა უეცრივ ყველას საჩქარო საქმე მოაგონდაო, ჯოგლს მიჰყვნენ უკან. თითოეულს სურდა, რაც შეიძლებოდა სწრაფად დაეტოვებინა ის სადგომი, სადაც ესოდენ მძიმე, წუთები კი არა, საათები გადაიტანეს...

კარში გასვლისას ჭედვა შეიქმნა. ყველას სურდა, სხვაზე ადრე დაეღწია თავი ბუნკერიდან, ერთმანეთი კინაღამ გადათელეს.

მგონი ყველაფერი გაირკვა... კვანძი გაიხსნა და ჩვენი მისიაც – პირუთვნელად გადმოგვეცა საქმის მსვლელობა – შეძლებისდაგვარად შევასრულეთ.

კარი XXXVII. დასკვნები და რეკომენდაციები

უკანასკნელად შევაბრუნოთ ამბის კალეიდოსკოპი.

შესაძლოა, ჩვენ კიდევ შევხვდეთ ერთმანეთს, რადგან არ არის გამორიცხული, რომ ამ ისტორიას ოდესმე გაგრძელება ექნება: ქანდაკების მოტაცება – ფსიქოლოგიური გამბიტი – მართლაც განახორციელონ.

"Well-made play"-ს ანუ "კარგად გაკეთებული პიესის" თვალსაზრისით, რასაკვირველია, შეიძლებოდა, უფრო მკაცრი და ნატიფი ყოფილიყო ჩვენი მონათხრობის კომპოზიცია, უფრო მიმზიდველი – ფაბულა და უფრო ბუნებრივი – თხრობა, მაგრამ ავტორის ერთი დამსახურება უეჭველია: ყველაფერი კეთილად დაასრულა!

მართალია, ზოგიერთ პერსონაჟზე უარყოფითად იმოქმედა გადატანილმა მღელვარებამ, ზოგს იმედები გაუცრუვდა და ფრიად ძლიერადაც... რას იზამ, ჩვენ აქ არაფერ შუაში ვართ; მათ ავტორი ურჩევს, მოინახულონ ფსიქოლოგიური სტუდია 57-ე სტრიტზე. იქ ყოველს, ვისაც კი გუ-

ლი მოაყვანინეს, ან ააღელვეს, შეურაცხყვეს, აბუჩად აიგდეს, გაამასხარავეს, დაამცირეს, მოატყუეს და ასე შემდეგ – დიახ, ყოველ გაბოროტებულს, გაგულისებულს, დაბოღმილს, აგრესიულად განწყობილს, შეუძლია, ამ სტუდიაში ამოირჩიოს გემოვნებით და სრულყოფილი სამედიცინო მეთოდებით შექმნილი ფიტული ან ტიკინა ადამიანის ნატურალური ზომისა და გული გემოზე მოიოხოს: ეცეს მტერს, მტარვალს, უნამუსოს, უპიროს, მოღალატეს, მამაძაღლს, მოძალადეს, მუტრუკს, სინდისგარეცხილს და სთხლიშოს, ლეწოს, ურტყას, უბრაგუნოს, ფეხებით შედგეს, ძვალი და რბილი გაუერთიანოს, გაფხრიწოს ნაკერავზე, სილა გააწნას, წიხლი ჩააზილოს, შეაფურთხოს, შეაგინოს, კბილებით დაგლიჯოს... ფსიქოლოგიური განტვირთვის თითო სეანსი საკმაოდ იაფია, სავსებით უსაფრთხო და ჯანმრთელობისთვის დიდად სასარგებლო.

ცხადია, მსურველს შეუძლია, საკუთარ შესაძლებლობათა არსენალი გამოსცადოს უშუალოდ პირად მტერზე, პოლიტიკურ მოწინააღმდეგეზე ან სხვა "კეთილმოსურნეზე", მაგრამ ეს საქმე უფრო სახლაფორთოა და დიდად საფრთხილოც. თუ მაინცდამაინც აგეშალათ საღერღელი, მტრის "გასაფუჭებლად" გამოიყენეთ მოსყიდული მჯღაბნელი, მოსყიდული განგსტერი ან მოსყიდული პოლიტიკანი...

კარი XXXVIII. ბედნიერი დასასრული

ისღა დამრჩენია, კიდევ ერთი ფრაზა დავწერო:

The Happy End

ანუ

ბედნიერი დასასრული.

მადლობას გწირავთ ყურადღებისთვის, ნახვამდის.

P.S. ერთსაც დავამატებ: ზემოხსენებნულ ფსიქოლოგიურ სტუდიაში 57-ე სტრიტზე ჩემი ფიტულიც გახლავთ ნატურალური ზომისა და ჩემი კალმის ნაჯახირევით უკმაყოფილო მკითხველს შესაძლებლობა აქვს, მიბრძანდეს იქ და ავტორის ჯავრი სრულად იყაროს...

P. P. S. ხარჯისა ნუ მოგერიდებათ, ფული წინასწარ გადახდილია!

1963 წ., 2005 წ.

პეპლებზე მონადირე

ამერიკული კინორომანი

1.

მარად კუშტად მზირალი 70 წლის ქალბატონი მარია, მისი შინაბერა, დედასავით მჟავესახიანი, დიდცხვირა ქალიშვილები – 50 წლის ჯინა და 45 წლის ლინა – ლოცულობენ კათოლიკურ ეკლესიაში; შესთხოვენ ღმერთს და წმინდა მარიამს, რომ შეისმინონ მათი ვედრება, მოწყალე თვალით გადმოხედონ და უშველონ მათ ყველაზე დიდ საფიქრალს – ნიკი მოეგოს გონს, უცოლოდ ბერდება... მხურვალედ შესთხოვენ, შეიცოდონ ისინი, გააბედნიერონ მათი შვილი და ძმა, დროულად მოესწრონ შვილიშვილებსა და ძმიშვილებს...

ამ დროს კი ნიკ ესპოზიტო – 40 წლის დაბალ-დაბალი, შავტუხა, დიდცხვირა, სათვალიანი მამაკაცი – პეპლების საჭერით დარბის ეკლესიის წინ მწვანე მდელოზე; შორიახლო ბავშვები გუნდად დასდევენ და უსტვენენ, ხმამაღლა დასცინიან უცნაურ ძიას, საქმე რომ დაჰლევია და პეპლებს დასდევს. ნიკი გაჩერდება, ამოიხვნეშებს; შლაპას მოიხდის, დიდი ცხვირსახოცით ოფლს იწმენდს მელოტ თავზე; მერე მოხედავს ბავშვებს, თვალებს დაუბრიალებს – ბრაზობს, ხელს უშლიან პეპლებზე ნადირობაში. ამ დროს ბიჭები სახეებზე ხელს იფარებენ ან ხის თუ კედლის უკან იმალებიან – თავგადაკლული ენტომოლოგი ნიკი მათი ბიოლოგიის მასწავლებელია და რომ იცნოს ონავრები, კარგ დღეს არ დააყრის...

ნიკის ძალისხმევამ ნაყოფი გამოიღო, მორიგი მცდელობა წარმატებული აღმოჩნდა – გულის ფანცქალით გამოიყვანა დაჭერილი პეპელა დაფარებული დოლბანდის საჭერიდან, ფრთხილად ჩასვა ქილაში, მერე გიჟივით შეჰყვირა და სახეგაბრწყინებული გარბის ეკლესიისკენ, რომ დედასა და დებს ახაროს: როგორც იქნა, ასრულდა მისი სანუკვარი ოცნება – იშვიათი და მეტად ძვირფასი პეპელა დაიჭირა!..

2.

ესპოზიტოები შინ არიან.

მათი საცხოვრისი მონასტერი გეგონება: წესრიგი, სისუფთავე, ასკეტიზმი; სასტუმრო ოთახის კედლებზე რამდენიმე რელიგიური სურათია, ხოლო ყველაზე საპატიო ადგილზე – კარგა ხნის წინ გარდაცვლილი ოჯახის თავის კარლო ესპოზიტოს დიდი ფოტოპორტრეტი ჰკიდია; აუცილებლად აღნიშვნის ღირსია, რომ გარეგნულად უფროსი ესპოზიტო საოცრად ჰგავს ვაჟიშვილს: ისიც მელოტია, პირმრგვალი, გრძელცხვირა; ჭაღარა, კოხტად შეკრეჭილი ულვაშები რომ არ ამშვენებდეს, ნაღდი ნიკი იქნებოდა. მამას დარდიმანდის, მოქეიფის იერი აქვს; სინიორ კარლო გულღიად იღიმება, ალბათ უხარია, რომ დროზე გაასწრო ამ ოჯახიდან, სადაც სიცილი და ხუმრობა უცხო ხილია...

ოთახში ამჟამად მხოლოდ მარიაა, "ელაპარაკება" ქმრის პორტრეტს, ჩვეულებისამებრ ჯიჯღინებს:

– ქალების დევნას და ქეიფს გადაჰყევი, შე გაოხრებულო... ნეტავ რამ მოგკლა, რა გეჩქარებოდა საიქიოს, მე კი დარდით ჩამომახმე, ქალების მუსუსო... ნიკი ოდნავ მაინც დაგმსგავსებოდა... (კედელზე ფოტოპორტრეტი დასერიოზულდება) რა ვქნა, თავში რა ქვა ვიხალო, ნიკოლო სულ არ ფიქრობს ცოლის მოყვანას... ბედოვლათი... გადაყოლილია პეპლების სულელურ დევნას... ამოუჩემებია, რაღაც ძალიან იშვიათი და ძვირფასი სახეობის პეპელა უნდა დავიჭირო, ამით გავითქვამ სახელსო... მაგას ხომ სჯობდა, ერთი პატიოსანი, ღვთისა და ოჯახის მოყვარული ქალიშვილი დაეჭირა და მოეყვანა შინ... გაიხედ-გამოიხედე, შე ბედოვლათო, თვალები რამ დაგივსო? რამდენი წესიერი, ჩვენთვის და შენთვის შესაფერი მშვენიერი გოგოა თუნდაც ან ჩვენს ქალაქში: ანჯელა, პაოლა, ჯოვანა, ვიტორია, სტელა...

ქალების სახელთა ჩამოთვლაზე პორტრეტზე სინიორ კარლო კვლავ გაიღიმებს და კმაყოფილებით აუჟუჟუნდება თვალები...

3.

ჯინა და ლინა ამ დროს სამზარეულოში ფუსფუსებენ, ისინიც ნიკის შესახებ საუბრობენ.

– ნეტა გამაგებინა და მერე თუნდა მომკლა, რას ფიქრობს ის ჩემი ცოდვით სავსე, სადამდე უნდა, კერძები ვუკეთოთ და დავურეცხოთ-დავუუთავოთ? – დედასავით ჯიჯღინებს ჯინა და ქვაბში გამეტებით ურევს კოვზს, თითქოს უნდა, საწყალ შეჭამანდზე იყაროს ძმის ჯავრი.

– ჯანდაბა მაგის თავს, მაგის მოვლა კი არ გვიჭირს: სრულებით არ არის მომთხოვნი, არც ჩაცმა-დახურვას დაგიდევს და ჭამაშიც უპრეტენზიოა, რაც გინდა მიართვა, ყველაფერს მიირთმევს... მეცოდება ეგ საწყალი... – ჯინაზე შემწყალეა ლინა. – დედა უფრო მეცოდება, ძალიან განიცდის – დააყენოს საშველი, დაოჯახდეს, მაგის დარდს საფლავში ნუ ჩამატანსო.

– შტერია ეგ უბედური... – ჯინა შეისვენებს და შემდეგ მეტი შემართებით განაგრძობს კერძის მორევას. – ქალების მეტი რაა ქვეყანაზე! ეჰ, ნეტა კაცი ვყოფილიყავი!..

თითქოს ჯინას სიტყვები მოისმინაო, მეორე, სასტუმრო ოთახში პორტრეტზე სინიორ კარლო თვალს გვიკრავს და საჩვენებელ თითს გადაისვამს ულვაშზე.

4.

ამ საუბრების გმირი ნიკი კი თავის ოთახში საქმიანობს.

ყველაფერი საგულდაგულოდ დალაგებულია, ეტყობა, ქალების წვრთნის სკოლას უკვალოდ არ ჩაუვლია. კედლებზე პეპლების კოლექციებია შუშის ქვეშ, თაროებზე და კარადაში – ბიოლოგიის წიგნები, ატლასები, პეპელათა სარკვევები.

ნიკი იხდის საგარეო ტანსაცმელს; უნდა, შეჰკიდოს კარადაში, მაგრამ გადაიფიქრებს: შარვალ-ხალათი საკმაოდ დამტვერილია და დაჭმუჭვნილი – რამდენჯერმე წაიქცა პეპლების დევნაში, გაოფლიანდა კიდეც – და არ აწყენდა თუ გარეცხვა არა, საფუძვლიანად დაფერთხვა– გაწმენდა მაინც... იცვამს საშინაო ტანსაცმელს, კედლის სარკესთან საგულდაგულოდ დაივარცხნის ყურებთან და კეფაზე შერჩენილ თმებს, შემდეგ მიდის დიდ მაგიდასთან. სიამით დასცქერის დღევანდელ ნადავლს – პეპელას, ჯდება, მოიმარჯვებს პინცეტსა და ლუპას, ფრთხილად უსწორებს ფრთებს... მერე მეასედ ჩასცქერის გვერდზე დადებულ პეპლების ფერადსურათებიან სარკვევს და კითხულობს განმარტების ტექსტს...

უძახის უფროსი და ჯინა:

– შეეშვი მაგ პეპლების ალბომებს, აქ მოდი, მე უფრო ლამაზ სურათებს გაჩვენებ! დროზე გამოადგი ფეხი, არ მომიყვანო მანდ!

ნიკი უხალისოდ წამოიზლაზნება, გადის სასტუმრო ოთახში; დაბნეული და თან საწყალი თვალებით შესცქერის დას, შემდეგ მის გვერდით ჯდება.

5.

ოჯახის წევრები ყველანი მაგიდასთან სხედან: დედა – სუფრის თავში, ნიკი – ბოლოში, ნიკის დები – მის გვერდით, ხელმარჯვნივ და ხელმარცხნივ.

ნიკი პეპლების დიდ ატლასს ვერ შეელია, თან წამოუღია; დროს უქმად არ კარგავს, დაიდებს წინ და გადაშლის.

– ღმერთო დიდებულო, – პირჯვარს გადაიწერს ჯინა, – ნეტა რა დავაშავეთ ისეთი! გამოთიშულია, საწყალი, აღარაფერი ეშველება... ბიჭო, პეპლები იქ არ გეყოფოდა, აქ რომ გვჩრი ცხვირში? გადააგდე ეგ საზიზღრობა იქით, თორემ ვისვრი ფანჯარაში და შენც თან მიგაყოლებ! – ძალით დაუხურავს ალბომს.

მარია თვალს ჩაუკრავს ქალიშვილებს., უფროსი და ააცლის ნიკს პეპლების ალბომს.

– მაგ ხოჭოებს ეს გოგოები არ სჯობს? – უმცროსი და იღებს ქალთა ფერადი ფოტოების დასტას და ძმას წინ გაუშლის ბანქოსავით.

– ხოჭოები კი არა, პეპლებია, – უსწორებს ნიკი, მოწყენილი უყურებს, როგორ გადადეს მაგიდის შორეულ კუთხეში მისი ალბომი. შემდეგ უგულოდ ათვალიერებს ფოტოებს. სახე სულ უფრო უმუავდება, სკეპტიკურად ჭუტავს თვალებს, ბრეცს ტუჩებს, გრძელი ცხვირი კი კიდევ უფრო უგრძელდება...

ქალებსაც სახეები უგრძელდებათ, უგრძელდებათ...

– ბიჭო, ნახე, რა მზეთუნახავებია, შენ ქერები უფრო მოგწონს თუ შავგვრემანები? – ეკითხება ძმას ლინა.

– მაგას რა კითხვა უნდა, რა თქმა უნდა შავგვრემან ქალებს არავინ აჯობებს! – თავდაჯერებით აცხადებს ჯინა. – ხომ ასეა, ნიკ?

ნიკი შეშინებული უდასტურებს, თან ყოველ წუთს მოელის რომ ან ერთი და ან მეორე მელოტში ჩაუტყაპუნებს და ცდილობს მიხვდეს, რომელი მხრიდან მოელის მეტი საშიშროება; დიდ მექანიკურ თოჯინასავით ატრიალებს თავს, ხან ერთ დას შეხედავს, ხან – მეორეს.

– ნიკოლო, ქენი სიკეთე და გაეცი კითხვას პასუხი, გაგვაგებინე, ბოლოს და ბოლოს, როგორი ქალიშვილი მოგწონს? – საწვიმრად გამზადებული ღრუბელივით მოქუფრული, წარბებს ჭმუხნის მარია.

დამფრთხალი ნიკი ახლა დედას შეხედავს, ტუჩებს აცმაცუნებს, მაგრამ ვერაფერს ამბობს.

– თვალებში ვეღარ იყურები? – ლამის არის, მართლა ჩასთხლიშოს ნიკს კოსროში ხელისგული ჯინამ. – სად ეშმაკებისკენ იყურები, აგერ დააკვირდი სურათებს... დააკვირდი, მე რომ გეუბნები!.. ჰა, რას გვეტყვი?

– ყველანი კარგებია, ჩემი დასაწუნი რა სჭირთ... – ბურტყუნებს ნიკი.

– მაინც, რომელს გამოარჩევდი? – არ ეშვება ჯინა.

– რა ვიცი...

– ბიჭო, პეპლებში ერკვევი, მათი სილამაზის ფასი იცი, ქალების მიმართ რა ლიბრი გეფარება თვალებზე? – სიბრაზის მატება იგრძნობა ჯინას ხმაში. – დავიჯერო, ამ სურათებში ყველა ქალიშვილი ლამაზია?

– ასეთი რამ ბუნებაში არ ხდება, – დას მხარს უბამს ლინა. – დახედე, ნიკ, მეტს რას გთხოვთ, და გვითხარი, რომელი გოგო ყველაზე მეტად მოგდის თვალში... ამაზე ადვილი რა უნდა იყოს, მართლა დებილი ხომ არ ხარ?

– დებილია აბა რა, თან უზრდელიც, სულ არ გვცემს პატივს, ჩვენი თხოვნა ჩალის ფასადაც არ უღირს! – ამბობს მარია და, სასოწარკვეთილი, თვალებზე ხელს მიიფარებს.

– რა დავაშავე, რა გინდათ ჩემგან? – ნიკი თავს მხრებში ჩარგავს, მისი სათვალის შუშებიდან არეკლილი სხივებიც კი დათრგუნულად ციმციმებენ.

– ჭირი და ოხრობა! – ბობოქრობს ჯინა.

– არ ყოფილა შენი საშველი! – წამოხტება სკამიდან ლინა. – რეგვენი რეგვენად რჩება, გინდაც სკოლის მასწავლებელი იყოს! ბიოლოგიის შენ იმდენი გაგეგება, რამდენიც მე ჩინურში! წაბრძანდი და შენს საყვარელ პეპლებს ჩაეკონე!..

ნიკი ჯერ გაყუჩებულია, შემდეგ შვებით ამოისუნთქავს, წამოიზლაზნება სკამიდან, თვალებდახრილი მიბაჯბაჯდება მაგიდის მეორე ბოლოსთან, აიღებს პეპლების ალბომს და საჩქაროდ დატოვებს ოთახს.

ქალები ბჭობენ – რა ქნან?

ლინა შლის ბანქოს, მარჩიელობს.

– რაღაც არეული ქაღალდი მოდის, ვერაფერი დავაწყვე...

მარია სთხოვს:

– ერთხელ კიდევ სინჯე, ნუთუ საშველი არ ჩანს?

ლინა სკეპტიკურად აქნევს თავს.

– ღმერთო დიდებულო, ნეტავ რა დავაშავე ისეთი, რომ ასე მწარედ დამსაჯე? – მოსთქვამს მარია. – ვეღარ უნდა მოვესწრო შვილიშვილებს?

– იქნებ... იქნებ... – ვეღარ ამთავრებს ლინა.

– ჰო, ნუ მოგვკალი, რა იქნებ? – უტევს ლინას ჯინა.

– თქვი, შვილო... – გული მისდის მარიასაც.

– რა და... იქნებ საერთოდ არ უნდა ცოლის მოყვანა? – კითხულობს ლინა.

– რატომ? – წამოიძახა მარიამ.

– რატომ? – წამოიძახა ჯინამაც.

– რა ვიცი, რატომ! – ცხარედ პასუხობს ლინა. – იქნებ არც აქვს ქალის თავი!

მარია და ჯინა ენაჩავარდნილები მისჩერებიან ლინას.

– რა ეშველება ამ საქმეს? – სასოწარკვეთილია მარია.

– წინდაწინ რას იკლავ თავს, – საყვედურობს დედას ჯინა, – ჯერ გავიგოთ დანამდვილებით...

– ვუშოვოთ ვინმე ქალი და... – ავითარებს დის აზრს ლინა, ბოლომდე აღარ ამბობს, მაგრამ დედა და და ისედაც ხვდებიან ყველაფერს.

– პატარა ქალაქია, ყველა ყველას იცნობს... – შეფიქრიანებულია მარია. – როგორ მოვახლაფორთოთ ეგ საქმე, რომ არაფერი გახმაურდეს?

ჯინას მაშინვე აქვს პასუხი:

– გავიარ-გამოვიაროთ, ქალაქში უამრავი ნაცნობი გვყავს და შეფარვით შეიძლება ყველაფრის გაგება.

– ჯერ ადგილობრივი გაზეთი ვნახოთ, ათასგვარი განცხადებაა, – ამბობს ლინა. – როგორც მახსოვს, მე შემხვედრია ჩვენთვის საჭირო ინფორმაცია, მაგრამ მაშინ ყურადღება არასდროს მიმიქცევია – სტრიპტიზ-ბარების და ღამის კლუბების მისამართები...

– ახლავე, ახლავე… – მარია მისი ასაკისთვის შეუფერებელი სიმკვირცხლით წამოხტა და გაცუხცუხდა მეორე ოთახში, საიდანაც დაბრუნდა გაზეთით ხელში. მასთან მიცვივდნენ დები, გამოღლიტეს ხელიდან გაზეთი და საჩქაროდ გაშალეს და გაფინეს მაგიდაზე.

– კალამი, ჩქარა! – ამბობს ჯინა.

– ახლავე, ახლავე… – ცუხცუხით გადის მეორე ოთახში მარია და კალამი მოაქვს.

ჯინამ ჩამოართვა კალამი და ისევ გასცა ბრძანება:

– ქაღალდი!

– ახლავე, ახლავე… – ისევ გარბის მეორე ოთახში მარია, დები კი, თავებით მიტყუპებულნი, გაზეთის განცხადებების გვერდზე დაატარებენ თითებს.

დაბრუნებული მარია ჯინას აწვდის ქაღალდის ფურცელს და პირჯვარს იწერს.

– აგერ! – წამოიძახა ჯინამ.

მარიამ პირჯვარი გადაიწერა.

– აი კიდევ! – წამოიძახა ლინამაც.

მარიამ ისევ გადაიწერა პირჯვარი.

მას კიდევ რამდენჯერმე მოუწია პირჯვარის გადაწერა.

– ჯერ აქ მივალ, ჩვენთან ყველაზე ახლოსაა! – ენერგიულად ამბობს ჯინა.

– მეც წამოვალ! – ამბობს ლინა.

– მეც! – ისევ იწერს პირჯვარს მარია.

კედლის ფოტოპორტრეტზე კი გაღიმებული, ულვაშებგაფხორილი სინიორი კარლო ესპოზიტო კმაყოფილი იფშვნეტს ხელებს…

6.

საღამოა.

ქალაქის ერთ-ერთი ვიწრო შესახვევი.

სამი ქალი ეძებს მათთვის საჭირო სახლს, აქეთ-იქით დამფრთხალნი იყურებიან – ამ უბანში წინათ არასდროს ყოფილან, თან მეტად საეჭვოდ ეჩვენებათ აქაურობა.

ერთი სახლის შესასვლელთან ნახევრად შიშველი მეძავები დგანან, გაკვირვებით უყურებენ მარიასა და მის ქალიშვილებს, რომლებიც გაჩერდნენ, იქაურობას აკვირდებიან და ერთ ადგილზე ტრიალებენ… სახლს მიაგნეს, დაბნეულნი არიან და ვერ გადაუწყვეტიათ, როგორ მოიქცნენ…

– ეს ყვავები აქ საიდან მოფრინდნენ? – ამბობს ერთი მეძავი, მერე მარიას მიმართავს: – დეიდა, მისამართი ხომ არ შეგეშალათ?

– მისიზ, გოგოები ხომ არ გჭირდებათ? – ეხუმრება მეორე.

– ქალები თვითონ მოუყვანია, ჰგონია, კარგ ფულს გააკეთებს! – იცინის მესამე.

– ოცდაათი წლით დააგვიანა და მაშინაც მაინცდამაინც დიდი გასავალი არ ექნებოდათ ამ ხოჭოებს! – ამბობს პირველი მეძავი.

– მოდით, მოდით, ლამაზებო, თქვენი მუშტარიც გამოჩნდება! – ხელით იწვევს მეორე მეძავი. – მოდით, გვრიტებო, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!..

შეცბუნებული და კიდევ უფრო დაბნეული მარია და მისი ქალიშვილები იწყევლებიან, და პირჯვარის წერით საჩქაროდ ტოვებენ იქაურობას, თითქმის გარბიან.

მათ მიაცილებს მეძავთა მოუთოკავი ხარხარი…

7.

სასტუმრო ოთახში ქალთა ახალი სხდომა იმართება.

სამივეს სახეჩამუავებული იერი აქვს, კედელზე კი სინიორ კარლო ესპოზიტო ნიშნის მოგებით იღიმება.

ჯინა ამბობს:

– ჩვენ ამ საქმეს ვერ მოვუვლით…

– კაცის დახმარების გარეშე არაფერი გამოგვივა, – უდასტურებს მარია და კედელს წყრომით შეუბღვერს.

კარლო ცოლის შეხედვაზე შეფიქრიანდება, თვალებს დახრის.

– ევრიკა!.. არის გამოსავალი! – გახარებული წამოიძახებს უცებ ლინა და ფეხზე წამოიჭრება.

დედა და და მოუთმენლად მიაჩერდებიან – მათ მზერაში სიხარული და იმედგაცრუების მოლოდინი ერთდროულად არეკლილა.

– ჯორჯი გვიშველის! – საზეიმოდ აცხადებს ლინა.

– რომელი ჯორჯი? – დაეჭვებული კითხულობს მარია.

ჯინა მიხვდა დის ჩანაფიქრს:

– ჩვენი ბიძაშვილი – ჯორჯ ესპოზიტო!

8.

ხალხით სავსე ბარი. საკინძეგაღეღილი ჯორჯ ესპოზიტო ბარმენის სადგართან ქერად თმაშეღებილ ლამაზმანთან ერთად ზის, ორივენი ლუდს სვამენ ბოთლებიდან. ჯორჯი ქალს კისერში ჰკოცნის, მერე ბოთლიდან მოსვამს, ისევ ჰკოცნის და მოსვამს. ქალი კაცის მუხლებზე გადაცოცდება და მის ბოთლს მოიყუდებს. ჯორჯი იცინის, ჰკოცნის ქალს და ქალის ბოთლიდან სვამს.

მიუახლოვდებათ კარისკაცი, ჯორჯისკენ დაიხრება:

– სირ, თქვენთან მოვიდნენ, გთხოვენ...

ბარის შუშის ვიტრინის იქიდან მოჩანს შავ სამოსში გამოწყობილ ჯინასა და ლინას შეშინებული სახეები.

ჯორჯი განცვიფრებული და დაბნეულია – რა უნდათ მის ბიძაშვილებს და რაღა ბარში მოაკითხეს?

ჯინა ხელს დაუქნევს – რაღას უცდი, გამოდი, საჩქარო საქმე გვაქვს შენთანო.

ჯორჯი მუხლებიდან ჩამომხტარ ქალს ალერსიანად მიუტყაპუნებს საჯდომზე ხელს:

– ბოდიში ძვირფასო, ცოტა ხნით დაგტოვებ...

9.

ესპოზიტოების სასტუმრო ოთახი; ამჯერად მშვენიერი სუფრაა გაშლილი, ღვინის დიდი ბოთლიც კი დგას.

პროკურორივით მკაცრი მარია თავის ჩვეულ ადგილზე ზის, აქეთ-იქიდან დები სხედან, მაგიდის მეორე ბოლოზე, მარიას პირდაპირ – ჯორჯი.

ჯორჯი უხერხულად გრძნობს თავს, უკვირს, რას უნდა უმადლოდეს წუწურაქი ქალების ესოდენ ხელგაშლილობას? ცხოვრებისეულ კითხვებზე პასუხების ძებნით არასდროს იწუხებს თავს და ახლაც, თავის მტვრევას ურჩევნია, გემრიელად მოილხინოს...

ქალები ჩუმად სხედან, მხოლოდ ხანდახან, როცა ჯორჯი ჭიქას მოსვამს, ხან ლინა წამოხტება და მაშინვე შეუვსებს, ხან – ჯინა.

კედლიდან კარლო ცერს მაღლა წევს – კარგი ღვინოა, ღმერთმა შეგარგოსო, მერე სინანულით გააქნევს თავს: აბა, მე კი არასდროს მღირსებია საკუთარ ოჯახში ამგვარი პატივიო.

ჯორჯი ცდილობს, დამალოს თავისი ჭუჭყიანი ფეხსაცმელები სკამის ქვეშ – იატაკი ისეა გაპრიალებულ-გაკრიალებული. როცა ჯინა წამოდგება ჭიქის მორიგი შევსების დროს, ჩახედავს ჯორჯს ხალათის დაღეჭილ საყელოში, წარბებს შეჭმუხნის.

ჯორჯს სახე ჩარგული აქვს თეფშში...

მარია თავის გარდაცვლილ ქმარზე იწყებს ლაპარაკს – მკაცრი სახით, დინჯად:

– ეჰ, რა ბრწყინვალე მეუღლე იყო, ნამდვილი ვაჟკაცი, მტერ-მოყვარეს ყოველთვის საკადრის პასუხს სცემდა! (კედელზე სინიორ კარლო გაიჯგიმება, ულვაშებს გაფხორავს). მართალია, სისუსტეც ჰქონდა, – ქალების დევნას გადაყვა, – მაგრამ ეს ერთი ცოდვა საპატიებელია: კაცი კაცი უნდა იყოს!..

სინიორ კარლოს თვალები სიამით აუჟუჟუნდება, გაიღიმებს, ულვაშებზე კმაყოფილებით გადაისვამს ხელს.

რა უფრო იცლება ბოთლი, მით უფრო თავისუფლად გრძნობს თავს ჯორჯო.

მარია ჩაახველებს, ამით ქალიშვილებს ანიშნებს, აბა, თქვენ იციოთ, წამოდგება და სასტუმრო ოთახიდან გადის.

უხერხული სიჩუმე ჩამოწვება. დებმა არ იციან, ჯორჯს მათთვის საინტერესო საქმეზე როგორ გაუბან საუბარი, ერთმანეთს მუდარით შესცქერიან – შენ დაიწყეო.

ჯორჯი უკვე კბილებში იჩიჩქნება, კმაყოფილი აბოყინებს. დაძაბული, გაქვავებული დებისგან განსხვავებით, უზრუნველად, თავისუფლად მიესვენება სკამის საზურგეზე, სიგარეტს ნეტარებით გააბოლებს; ყურადღებით ათვალიერებს ოთახს, მოწონებით თავს აქნევს – ირგვლივ ყველაფერი კრიალებს...

– კიდევ ხომ არ მიირთმევ?.. დაგისხა?.. – ეკითხება ლინა; ბოთლს წამოავლებს ხელს, შეანჯღრევს, ფეხზე წამოდგება. – ცარიელია, მეორეს ახლავე მოგიტან...

ჯორჯი უარის ნიშნად თავს აქნევს, ლინა ჯდება.

– როგორა ხარ, ჯორჯ? როგორ მიდის საქმეები, როგორ ცხოვრობ? – ეკითხება ჯინა.

– რა ვიცი... კარგად, მშვენივრად! – მართლაც კარგ გუნებაზეა ჯორჯი.

– მეგობარი ქალიშვილი ბევრი გყავს? – აინტერესებს ლინას.

– რა ვიცი... საკმაოდ... მოწყენილი არ ვარ.

— ეგ ძალიან კარგია... — ამბობს ჯინა. — ცოლის თხოვნას ხომ არ აპირებ?

— ჰო, ჯერ რა გეჩქარება, მხოლოდ ოცდაათი წლისა ხარ... — ამბობს ლინა — აი, ჩვენი ნიკი კი...

— სად არის ნიკოლო? — გვიან მოუწია ბიძაშვილის მოკითხვა ჯორჯს.

— სად და ჯანდაბაში! — თავს ვერ იკავებს ჯინა. — ერთ მის მსგავს უსაქმურთან წაჩერჩეტდა, უნდა ვახარო ჩემი დღევანდელი წარმატების ამბავი და პეპელაც ვანახოო.

— წარმოგიდგენია, ორმოცს გადაცილებული კაცი მთელი დღე პეპლებს დასდევდეს? — აღრენილია ლინაც. — მთელი ქალაქის დასაცინი გახდა!..

— პეპლებს დასდევს? — იცინის ჯორჯი. — მერე, რამ გაასუქა ასე? ამას წინათ შემხვდა და შემომჩივლა, შარვლებში ვეღარ ვეტევიო...

— არ ვიცით, რა გვეშველება! — მოსთქვამს ჯინა. ორმოცს გადასცილდა და ცოლის მოყვანას არ ფიქრობს... ვეჩიჩინებით, დროზე დააყენოს საშველი; დედამისი უკვე სამოცდაათი წლისაა, მაგრამ არაფრად გვაგდებს, შეგვიკლა ხელში...

— ქალებისკენ არც იხედება, — ჩივის ლინა, — ეს ძალიან გვაწუხებს...

— მიზეზი გვაინტერესებს, ჯორჯო... — მუდარით შესცქერის თვალებში ბიძაშვილს ჯინა.

ჯორჯი შეცბუნებულია, ხველა აუტყდება, სასულეში გადასცდება რაღაც, მერე ჯინას შეხედავს, ეშმაკურად გაიღიმებს — უკვე რაღაცას ხვდება.

ჯინას უკვე აღარ ერიდება, ჯორჯს პირდაპირ, ჯიქურ აყრის სიტყვებს:

— ყოველდღე ვეჯიჯღინებით, არაფერი ჭრის... ვნერვიულობთ... სახლი აქვს, კარი, ბიოლოგიის მასწავლებლად მუშაობს... რა უშლის, ვერ გაგვიგია... რამე სხვა მიზეზი ხომ არ არის?.. შენ ხომ არაფერი იცი?.. არაფერი უთქვამს?

ჯორჯი მშვიდად პასუხობს:

— რა უნდა ეთქვა. ალბათ ვერ იპოვა ჯერ მისი შესაფერი... ეგ იქნება სულ, რა განერვიულებთ, ყველაფერი მოგვარდება.

— შენს პირს შაქარი, მაგრამ ნამეტანი აგვიანებს... — ოდნავ მოეშვა გულს ჯინას. — ქალთან გავლილი არავის გვინახავს, არც საყვარელი ჰყავს... მხოლოდ პეპლების დევნას უნდა გადაჰყვეს?.. ბუნებრივი ეჭვი გვღრღნის... ჩვენო ჯორჯო, გვიჭირს და გვიშველე, შენი იმედიღა გვაქვს!.. გაგვიგე... ხომ მიხვდი, რაც გვაინტერესებს...

— რა გინდათ? აცალეთ კაცს, თავისი საქმისა თვითონ იცის, — ამბობს ჯორჯი.

— კი, სწორი ხარ, მაგრამ ჩვენი სიმშვიდისთვის... — ეხვეწება ჯინა. — რამენაირად უნდა გაგვიგო, ქალი საერთოდ აინტერესებს თუ არა... ქალის თავი თუ აქვს... ხომ გამიგე?

ჯორჯომ არ იცის, რა უპასუხოს, მხოლოდ დაბნეული იჩეჩავს მხრებს.

ჯინა მის სიჩუმეს დასტურად მიიჩნევს, უფრო ახლოს მიაჩოჩებს სკამს ჯორჯოსთან:

— ჩემო საყვარელო... ვიცოდი, შენი იმედი უნდა მქონოდა... აქ არ გამოვა, პატარა ქალაქია და არ გვინდა, გახმაურდეს... წადით ერთად ნიუ იორკში... გამოარკვიე, ქალი თუ აინტერესებს თუ არა... მოკლედ, კაცად თუ ვარგა... ხომ გამიგე?.. ერთად წადით, გაერთეთ, ქალებში გაისეირნეთ... თან ჩვენი თხოვნაც არ დაგავიწყდეს... შენ ამას მოახერხებ!

— რას გაჩუმებულხარ, არ გინდა, ნიუ იორკში იგრიალო? — ეკითხება ჯორჯს ლინა, იმანაც ახლოს მოსწია სკამი და დაძაბული უცდის კაცის პასუხს.

— ნიუ იორკში გასეირნებას რა სჯობს, — გაიცინა ჯორჯმა. — ამაზე დიდი ხანია, ვოცნებობ, მაგრამ... ფული?

— მაშ, შენ უშველი ჩვენს გაჭირვებას?!. — გახარებული წამოვარდა სკამიდან ჯინა და ჯორჯს აკოცა. — ფული ნუ გადარდებს, საჭიროზე მეტსაც მოგცემთ!..

ჯორჯი ერთხანს ფიქრობს, მერე ამბობს:

— ვნახოთ... შევეცდები... რაც ჩემზე იქნება დამოკიდებული, ცდას არ დავაკლებ...

მარია, ეტყობა, კარებთან იყო დადარაჯებული, გახარებული, მისი ასაკისთვის საკვირველი სიცქვიტით შემოცქრიალდა, თან მოტანილი მოზრდილი ყულაბა მაგიდაზე დადგა.

ქალიშვილებმა თავი ახადეს ყულაბას და ამოალაგეს დასტა-დასტად დაწყობილი ფული და მაგიდაზე გაშალეს.

განცვიფრებული და გახარებული ჯორჯი ფეხზე წამოხტა.

კედელზე სინიორ კარლო გაოგნებული თვალებს გადმოკარკლავს — მის ოჯახში ამდენი ფული!..

10.

ტიმოთი ესპოზიტოს საჯინიბოს ფართო, მზით ავსებული ეზო.

საჯინიბოს მეპატრონე მოსამსახურეებს დავალებებს აძლევს; ცინცხალთვალებიანი, მოძრავი მოხუცია, ძალიან ჰგავს ფოტოპორტრეტზე გამოსახულ მის ძმას, კარლოს, ოღონდ ულვაშები არ აქვს.

გამოჩნდება მისი შვილი, ჯორჯი, მამას მოეხვევა, შემდეგ გვერდზე გაიყვანს:

– ნიუ იორკში მივდივარ!

ტიმოთი გაბრაზებული ეჯიჯღინება:

– რა დაგრჩენია იქ, აქ გაკლია ქალები და ლოთობა? ათასი საქმე მაქვს და შენ კიდევ გა-რე-გარე დაწოწიალობ... შენი ხნის რომ ვიყავი, სამი შვილი მყავდა უკვე და დღე-ღამეს ვასწო-რებდი... სულ ქალაქში გდიხარ... ახლა კიდევ, ნიუ იორკი გაკლდა სწორედ! შენგან კაცი არ დადგება!.. რა ჯანდაბა გინდა ნიუ იორკში... ფულს არ მოგცემ!

ჯორჯი სულ არ გაბრაზებულა, წყნარად ეუბნება მამას:

– ნუ მეჩხუბები, ფულის სათხოვნელად არ მოვსულვარ, ფულს ბიცოლა მარია მაძლევს...

– მარია?!. – ფრიად გაკვირვებულია ტიმოთი., – ეგ წუწურაქი?.. არ გამაგიჟო!.. ვერ დავიჯე-რებ, რა ხდება?..

ჯორჯი მოცინარ სახეს მიიტანს მამის ყურთან (ამისთვის დახრა მოუწევს, მამაზე ბევრად მაღალია) და კარგა ხანს რაღაცას ჩასჩურჩულებს. გარშემო სხვა მსმენელი არავინაა, მაგრამ, ეტყობა, ისეთ ამბავს უყვება, ხმამაღლა რცხვენია თქმისა.

როცა ჯორჯი ბოლომდე გაანათლებს, აღშფოთებული ტიმოთი ყვირილით შეიცხადებს:

– ბიჭო, რა სჭირს ესპოზიტოს გვარს გასასინჯი! – უყურებს ულაყს, რომელიც ფაშატს დასდევს.

უყურებს ჯორჯიც. მამა-შვილი კარგა ხანს ჩუმად არიან, მერე ტიმოთი ამოიხვნეშებს, გა-აქნევს თავს და ჯორჯს ეუბნება:

– აქ მომიცადე! – და ოფისისკენ მიაბიჯებს.

ჯორჯი ისევ ადევნებს თვალს ულაყისა და ფაშატის რბოლას.

ოფისიდან გამოდის ტიმოთი, მიდის შვილთან და აწვდის ჩეკს.

ჯორჯი გამოართმევს ჩეკს და რომ დახედავს, თვალები გადმოუცვივა – 10 000 დოლარი!

ჯორჯი გადაეხვევა მამას, ზურგში ხელს უტყაპუნებს.

– მოიცა, კიდევ რაღაც უნდა მოგცე... – ტიმოთი ახლა ქაღალდის ნაგლეჯს აწვდის შვილს. – აჰა, აიღე, მე რაღაში დამჭირდება...

– რა არის ეს? – დასქერის ქაღალდს ჯორჯი.

– ვერ ხედავ? ქალთა სახელები და ტელეფონებია, – ტიმოთი ჩაახველებს და ღიმილით აგ-რძელებს: – ბიჭო, მეც ვიყავი ახალგაზრდა და ნიუ იორკში მეც მიგრიალია...

11.

ნიკი მორიგი ნადირობიდან დაბრუნდა. გახარებული, შინაურებს ცხვირში აჩრის:

– ნახე, კიდევ ერთი პეპელა მოვიპოვე! თხუთმეტი წელია, ვეძებდი! ჩემს გარდა, მთელს ქვე-ყანაში მხოლოდ სამ კაცს აქვს! პირველად რომ ვნახე ფილდის მუზეუმის კოლექციაში შიკაგო-ში, კინაღამ ჭკუიდან გადავცდი! საგანგებოდ გავემგზავრე!

– შვილო, შენ მართლა ხომ არ გაგიჟდი? – ჩვეულებისამებრ ეჯიჯღინება მარია. – ამ შუა ზაფხულში შუადღეზე რომ საათობით დასდევ პეპლებს, არც დასვენება გახსენდება, არც ჭამა, შეხედე შენს თავს, ჩაიხედე სარკეში! ნახე, როგორ გახდი!

– გავხდი კი არა, შარვლებში ვეღარ ვეტევი, – პასუხობს ნიკი.

– არა, გახდი, თუ გინდა, ჯინას ეკითხოთ! შენი სახის ფერიც არ მომწონს... დასვენება ხომ არ გინდა? ახლა სკოლაში არდადეგებია, ჯორჯი ნიუ იორკში მიდის გასართობად და შენც ხომ არ გაჰყვები? იქ ახალ შარვლებსაც იყიდი, ფულს მე მოგცემ...

– შარვლის გულისთვის წავიდე, აქ ვერ ვიშოვი თუ? – გაკვირვებულია დედის ლოგიკით ნიკი, ცოტას დაფიქრდება და აგრძელებს: – თუმცა... ბუნების ისტორიის მუზეუმში შევივლიდი, ჩემს პეპლებს სპეციალისტებს ვანახვებდი... იქაური კოლექციების დათვალიერება – ჩემი დიდი ხნის ნატვრა იყო... ფულს რამდენს გამატან?

– კმაყოფილი იქნები, ჩემო ძვირფასო!..

12.

დიდი ფუსფუსია – ნიკს ამზადებენ ნიუ იორკში გასამგზავრებლად.

სასტუმრო ოთახში დიდ მაგიდაზე უზარმაზარ ჩემოდანს დაუღია ხახა, რომელშიც მარია საგულდაგულოდ ულაგებს გამოსაცვლელ ტანსაცმელს, საცვლებს, თან ჯიჯღინით ჭკუას არი-გებს.

ნიკი ყველაფერზე თანახმაა, უფრო სწორედ, არც უსმენს დედას, ისე უქნევს ყველაფერზე თავს, – მიმჯდარა კუთხეში და დიდ წიგნს ჩაჰკირკიტებს.

მარია მიდის შვილთან და ცხვირწინ უფრიალებს გრძელტოტებიან ღამის საცვალს:

– აი, შვილო, საგანგებოდ შენთვის ვიყიდე, ორი წყვილი ხომ გეყოფა?

ნიკი ასწევს თავს და უცებ მტკიცე უარს აცხადებს:

– არ მინდა! რა დროს ეგ არის, ზაფხულია!

– მერე რა? – არ ეშვება მარია, – შენს ასაკში მამაშენი ამ დროსაც იცვამდა!

კედლის პორტრეტიდან თანხმობის ნიშნად თავს უქნევს ცოლს სინიორ კარლო, მერე ვაჟზე გადააქვს მზერა და თან მხრებს იჩეჩავს – რას იზამ, შვილო, ქალებთან დავაში ვერ გაიმარჯვებ, გინდა თუ არა, უნდა დაყაბულდეო.

13.

ალაგებს თავის პატარა სპორტულ ჩემოდანს ჯორჯიც. გამოაღებს კარადას და რაც ხელში მოხვდება, დაუდევრად ყრის ჩემოდანში. ოთახში წარმოუდგენელი ქაოსი სუფევს.

14.

ისევ სასტუმრო ოთახის დიდი მაგიდა და ძველებური, უზარმაზარი სამგზავრო ჩემოდანი, უფრო რომ სკივრის სახელი ეკადრება – ნელ-ნელა ივსება. მარია ალაგებს შიგ ტანსაცმელს, თან განუწყვეტლივ ქაქანებს – შვილს ჭკუას არიგებს.

– მამაშენი ჭკვიანი კაცი იყო, ყოველთვის მიჯერებდა...

პორტრეტზე სინიორ კარლო თანხმობის ნიშნად ნაღვლიანად აქნევს თავს, ღრმად ამოიხვნეშებს.

ნიკი არ უსმენს დედას, ცხვირი ჩაურგავს წიგნში და გარშემო ვერაფერს ამჩნევს.

– თბილ საცვლებს ტყუილად კი არ გატან, ნიუ იორკის ქვის ჯუნგლებში ისეთი სასტიკი ორპირი ქარი იცის... დღე და ღამე, დღე და ღამე... ჭკუით იყავი, დიდი ქალაქები არამზადებითა და ყაჩაღებითაა სავსე... ნურავის ენდობი, ჯორჯოს დაუჯერე, შენზე მეტი გამოცდილება აქვს...

ოთახში შემოდიან ჯინა და ლინა, მაგიდაზე ალაგებენ რამდენიმე შარვალსა და ორ პიჯაკს.

– ნახე, ნიკ, რა მშვენიერი რამ მოგიტანეთ! – ჯინა აიღებს ერთ პიჯაკს და ძმას აჩვენებს.

ნიკი თავს არ სწევს.

– ბიჭო, შეხედე, მამაშენის ნაქონი პიჯაკებია, უმაღლესი ხარისხის! – ხმას უწევს მარია. – არ გადამაგდებინო ეგ წიგნი ფანჯრიდან, მოიხედე აქეთ! წმინდა შალისაა, ახლა ასეთებს კი აღარ კერავენ!

– ფუი! – ცხვირს იბზუებს ნიკი და სათვალეს იხსნის, რითაც დემონსტრაციულად აცხადებს, რომ არც შეხედავს ნაქებ პიჯაკებს. – რა საზიზღრობა ჰქონდა დაყრილი, როგორ ყარს!

სინიორი კარლოც პორტრეტზე ცხვირს ჭმუხნის და სახეს გვერდზე აბრუნებს – აშკარად ეთანხმება შვილს, მერე თვალსაც ჩაუკრავს.

– ასეთი გამოწკეპილი შენს მეტი იქ არავინ იქნება! – ტყავიდან ძვრება ჯინა, რომ როგორმე მოაწონოს ძმას ადმისდროინდელი კოსტიუმები, მაგრამ ამაოდ.

– თუ დამჭირდება, ნიუ იორკში ვიყიდი, – გადაჭრით აცხადებს ნიკი. – ხომ ხედავთ, ჩემოდანში აღარ ეტევა! თუ ფულს გამატანთ, კაბებს თქვენც ჩამოგიტანთ...

– გაგატანთ, გაგატანთ, – მაშინვე თანხმდება მარია, – ოღონდ შენ იყავი კმაყოფილი და ჩვენ მეტი არაფერი გვინდა... მოდი, ახლა ჰალსტუხი გაიკეთე...

– ხომ იცი, ვერ ვიტან ჰალსტუხებს! – აცხადებს ნიკი.

– შვილო, პროფესორი კაცი ხარ, კოლეჯის პედაგოგი, ჩვენს მიყრუებულ ქალაქში კი არ იქნები, ნიუ იორკში მიემგზავრები, რას იტყვის ხალხი, უჰალსტუხოდ რომ დაგინახავს?

ნიკი ღრმად ამოიხვნეშებს, იცის, დედასთან კამათი უაზროა, მარია თავისას აუცილებლად გაიტანს და ამიტომ მორჩილად შეუშვერს კისერს, როცა ქალი მუქ ჰალსტუხს შემოახვევს კისერზე.

– ჩვეულებრივი ჰალსტუხი არ გეგონოს, შვილო, მამაშენის საყვარელი ჰალსტუხია და მხოლოდ საგანგებოდ, საზეიმო შემთხვევებში იკეთებდა ხოლმე...

კედელზე სინიორ კარლო დასტურის ნიშნად თავს აკანტურებს, თან თითით უჩვენებს – ამ სურათზეც ეგ ჰალსტუხი მიკეთიაო.

– ნიკოლო, იცოდე, ამ ჰალსტუხის ტარება დიდი პატივია, მამაშენისგან შენზე გადმოეცემა, როგორც საოჯახო რელიკვია და იცოდე, თვალის ჩინივით გაუფრთხილდი! – აგრძელებს ნიკის დამოძღვრას მარია. – ჩაიხედე სარკეში... როდის იყო, დედა შენ ცუდ რჩევას გაძლევდა? – მერე ქალიშვილებს უხმობს: – ნახეთ, როგორ უხდება, ხომ ასეა?

ლინა და ჯინა მაშინვე უდასტურებენ...

15.

ჯორჯი რაღაცას ეძებს კარადაში, უჯრებიდან იატაკზე ყრის სხვადასხვა საგნებს – ისე-დაც არეულ-დარეულ ოთახს კიდევ უფრო აქოთებს.

შემოდის ჯორჯის დედა – ჩეჩილია, სქელი, ზორბა ქალი; შვილი ტანით მას დაემსგავსა.

– ნიუ იორკში მივდივარ! – დედის კითხვას დაასწრო ჯორჯმა, თან ისევ გამწარებული გა-ნაგრძობდა რაღაცის ძებნას.

– ნეტავ რა დაგრჩენია იქ? –კაცური ხმით ეუბნება დედა. – აქ არ უქნიხარ ღმერთს და იქ გინდა, ააშენო ქვეყანა? წინათაც რამდენჯერ წაბრძანდი და სასირცხო ავადმყოფობის მეტი რა ჩამოიტანე? ჯობს, ჭკუას მოუხმო და მამაშენს მიეხმარო, ხანში შევიდა უკვე, არ გეცოდება?

ზარის რეკვაზე ჩეჩილია გადის და მალე ოთახში შემოდის ნიკის მეგობარი პოლი – ჯორჯზე კიდევ უფრო მაღალი და ჯანიანი, – ორ მეტრზე მეტი სიმაღლისაა და უცებ თითქოს მთელ ოთახს ავსებს; ერთ დროს ისინი ერთად თამაშობდნენ კოლეჯის საკალათბურთო გუნდში.

– სალამი!.. სად მიდიხარ? – დაინტერესდა პოლი, თან კედელზე გაკრული ნახევრადშიშვე-ლი, კეკლუცად მომღიმარე ცნობილი ტოპმოდელის დიდ ფერად ფოტოს ათვალიერებს.

– ნიუ იორკში... – ცალყბად პასუხობს ჯორჯი, ისევ რაღაცეებში იქექება.

– იქ რა გინდა? ამასთან მიდიხარ? – პოლი ხუმრობით მიუთითებს ქალის ფოტოზე.

– უნდა გავისეირნო, აქ მომწყინდა.

– ვაჰ, რა კარგია! რამდენი ხნით?

– რა ვიცი... ალბათ ერთი-ორი კვირით... – უხალისოდ პასუხობს ჯორჯი, ეშინია, რომ აბე-ზარი მეგობარი აეკიდება.

– ბიჭო, მეც წამოვალ! – გაახარა მეგობარი პოლმა; უბოდიშოა, თავხედიც კი.

ჯორჯი წაუყრუებს, არაფერს პასუხობს.

– მარტოს რა გინდა, როგორ უნდა გაერთო? – ისევ მომაბეზრებელ კრაზანასავით დაბზუ-ის პოლი.

– ბიძაშვილი მიდის და მივყვები.

– რომელი ბიძაშვილი?

– ნიკი...

– ფუი, ეგ ნეხვის ჭია... უკეთესი ვერაფერი მოიფიქრე? ჩემთან არ გირჩევნია?

ჯორჯი მაინც არ ყაბულდება:

– შენთან როგორღა, ხომ გითხარი, ბიძაშვილთან ერთად მივდივარ... უფრო სწორედ, მე მივყვები, გაიგე?

– ნიკს მე დაველაპარაკები. ახლა თავისუფალი დრო მაქვს და ცოტა ფულიც...

– ფული? საიდან?

– ლატარიაში მოვიგე! – იცინის პოლი, ჩანს, რომ იტყუება. – არა, ახლა არაფრით გამოვა, სხვა დროს იყოს... ბოდიში, მეჩქარება, ჩალაგება უნდა მოვასწრო...

– კარგი, რას მიხდი ბოდიშს... ლუდი გაქვს? არა, შენ საქმეს ნუ მოცდები, ვიცი, სადაც დგას მაცივარი... შენც მოგიტანო?

16.

რკინიგზის სადგურზე ნიკს აცილებენ დედა და დები. ნიკს აცვია მუქი ორბორტიანი პიჯა-კი და შარვალი, ქათქათა თეთრი ხალათი, უკეთია შავი მსხვილი ჰალსტუხი, ახურავს შავი შლაპა; ორი ჩემოდანი აქვს – ერთი დიდი და მეორე მომცრო – და მოზრდილი გატიკნილი ზურ-გჩანთა.

მატარებელი სადაცაა შემოვა სადგურში, აქ ცოტა ხანს ჩერდება.

მარია და მისი ქალიშვილები ძალიან ღელავენ – ჯორჯი იგვიანებს! წამდაუწუმ იხედებიან იმ მხარეს, საიდანაც ჯორჯი უნდა გამოჩნდეს.

– ნიკოლო, კარგად დაფიქრდი, რამე ხომ არ გრჩება? – ეკითხება შვილს მარია. – თბილი საცვლები ოთხი ჩაგიდე, ხუთი წყვილი – შალის წინდები... თუ არ გეყოფა, ახლები იყიდე...

– ნიუ იორკში გასართობი ადგილის მეტი რა არის, – მოძღვრავს ძმას ჯინა. – პირველად მიდიხარ მსოფლიოს დედაქალაქში და არაფერი დაიკლო...

– ამბობენ, ყველაზე ლამაზი ქალიშვილები ლოს ანჯელესში იყრიან თავსო, მაგრამ ნიუ იორკიც სავსეა მომხიბლავი გოგოებით, – ამბობს ლინა. – გაიხედ-გამოიხედე, კარგად დააკვირ-დი და მერე ჩვენ მოგვიყევი შენი შთაბეჭდილებები.

ნიკი დაბნეულია, მისი სათვალის შუშებიც კი რაღაცნაირად ბჟუტავენ... ხან ერთ ჩემოდანს წაატანს ხელს, ხან – მეორეს; ამ დროს ხან ერთ დას წაარტყამს ზურგზე მოგდებულ ზურგჩან-თას, ხან – მეორეს... ქალები ყველანი ერთდროულად რაღაცას ეჩიჩინებიან, ემუდარებიან, ჭკუას არიგებენ, ტანსაცმელს უსწორებენ თავგზააბნეულ ნიკს... ოთხივენი ერთმანეთს ფეხებში ებლან-

დებიან, თან, ჯორჯის დაგვიანებით კიდევ უფრო აღგზნებულნი, წამდაუწუმ საათებზე იცქირებიან.

– ფრთხილად იყავი, ათასი თავზეხელაღებული და გამომძალველი დაძრწის... – მეასედ ეუბნება ნიკს დედა. – ჯორჯოს არ მოსცილდე, ყველაფერი დაუჯერე... ჩემს გაკეთებულ კერძებს ხარ შეჩვეული, იქ რას ჭამ და სვამ – ეს მაშფოთებს... რომელიმე წესიერი იტალიური რესტორანი შეარჩიეთ...

შემოდის მატარებელი, ჩერდება. ნიკი და მისი გამცილებელნი აწრიალდნენ, მაგრამ ჯორჯი რომ ჯერ არ ჩანს?

– სად დაიკარგა ჯორჯი.. – ბურტყუნებს ჯინა. – პატარა საქმეში ვერ ენდობი... სხვა გზა არ გვაქვს, თორემ მასთან დავიჭერდით საქმეს? უსაქმური...

– ჭამა-სმისა და ქალებში თრევის მეტი არაფერი ადარდებს... – ბრაზობს ლინაც. – ალბათ გუშინაც გაილეშა და სძინავს. სამ წუთში მატარებელიც დაიძვრება!..

ამ დროს გამოჩნდება ჯორჯიც. ყვავილებიანი, მოკლესახელოებიანი გაღეღილი ხალათი აცვია, უდარდელად მოაბიჯებს და დარდიმანდულად მოაქანავებს პატარა სპორტულ ჩანთას.

გამცილებლები აჩოჩქოლდნენ.

დედა და დები ისე ჩაეხუტნენ საწყალ ნიკს, თითქოს იგი სადღაც აფრიკაში მიემგზავრებოდეს სისხლისმღვრელ საომარ მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად.

– ეს ნოეს კიდობანი ვაგონში არ დაეტევა! – მისალმების მაგივრად ამბობს ჯორჯი. – სულ ფულითაა გატენილი? არა, ვგონებ ფული მეორეში უნდა იყოს... – დასწვდა მცირე ჩემოდანს ჯორჯი, – დროზე, მატარებელი ერთ წუთში გადის!

– ფრთხილად! – ეცა ხელში ნიკი. – შიგ პეპლებია!..

ჯორჯი დიდ ჩემოდანს ადვილად სწევს და ვაგონის საფეხურზე ფეხს შედგამს.

შემდეგ ნიკი ძლივს აბობღდება, მცირე ჩემოდანი უშნოდ გაეხირება – ჯინა უკნიდან აწვება ზურგჩანთას...

ვაგონის ღია კარებში გამოჩნდება ჯორჯი – წიწილასავით აიტაცებს ნიკს მის ჩემოდნიანზურგჩანთიანად და ტამბურში შეათრევს.

17.

ნიკი და ჯორჯი შედიან ვაგონის კუპეში, ესალმებიან უკვე იქ მყოფ ორ ქალიშვილს; იატაკზე აწყობენ ჩემოდნებს, ნიკი მოიხსნის ზურგჩანთას.

მატარებელი დაიძვრის, ნიკი და ჯორჯი ფანჯრიდან ემშვიდობებიან მარიას, ჯინასა და ლინას. შემდეგ შეაწყობენ მაღლა თაროებზე ბარგს და დასხდებიან. ცალ მხარეს ნიკი და ჯორჯი სხედან, მეორე მხარეს – ქალიშვილები. ქალიშვილები მზეთუნახავები არ არიან, მაგრამ არც არა უშავთ რა.

ჯორჯი წამოდგება და, გაღიმებული, პირდაპირ მარჯვენა ხელს უწვდის ქალიშვილებს:

– მე ჯორჯი მქვია, ეს კი ნიკია!

ქალიშვილებიც გაიღიმებენ და ჯორჯს ხელს ართმევენ:

– ძალიან სასიამოვნოა – ნანსი!

– ჯულია!

ჯორჯი ნიკს იდაყვს წაჰკრავს:

– ნიკ, რა დროს პეპლებია! – მერე ყურში ჩასჩურჩულებს: – ნიკ, რომელი უფრო მოგწონს? ამოირჩიე...

ნიკს დაჯდომისთანავე ცხვირი აქვს ჩაყოფილი პეპლების ატლასში; ჯორჯის სიტყვებს ყურადღებას არ მიაქცევს.

– ბიჭო, შეეშვი მაგ წიგნს, – უჩურჩულებს ჯორჯი ისევ, – სხვა დროსაც მოესწრები მაგის ნახვას... იმათ გვერდზე გადაჯექი, არ გინდა? დაელაპარაკე ქალიშვილებს...

გაბრაზებული ნიკი წამოიყვირებს (მაგრამ ისევ ატლასში იყურება!):

– დამანებე თავი!

ჯორჯი მომხიბვლელად გაუღიმებს ქალიშვილებს, ხელებს გაშლის – რა ვუყო, აი, ასეთი ბაიყუში გახლავთ ეს ვაუბატონიო, თან, გაბრაზებული, მეორედ, უკვე საკმაოდ ძლიერ მოუნაცვლებს იდაყვს ფერდში ბიძაშვილს... ნიკი ახლა კი ასწევს თავს და სათვალის ზემოდან ბეც თვალებს მიაპყრობს ჯორჯს:

– რა მოხდა?

– ნიკ, ნახე, რა მშვენიერი ქალიშვილებია: ეს ჯულიაა, ეს კი – ნანსი! რა ლამაზი სახელები რქმევიათ, ხომ ასეა? – ჯორჯმა ისევ წაჰკრა იდაყვი ნიკს, ამჯერად – მსუბუქად.

– ჰო, დიახ, ფრიად სასიამოვნოა თქვენი გაცნობა! – ამოღერღა ნიკმა, ქალიშვილებმა თავი დაუკრეს.

ჯორჯი ვერ ისვენებს:

– ჰოდა, თუ სასიამოვნოა, მაშინ, ჩვენო ძვირფასებო, – მიმართა ჯორჯმა ქალიშვილებს, – ხომ არ იქნებით წინააღმდეგი, რომ ერთ-ერთმა თქვენგანმა ადგილი შემიცვალოს?

ქალიშვილები შეყოყმანდნენ; ჯორჯი წამოხტა ფეხზე, ჯულიას სთხოვს:

– თუ არ შეწუხდებით, თქვენ აქ, ჩემს ადგილზე დაბრძანდით, მე კი თქვენს ადგილს დავიკავებ!

ახლა ცალ მხარეს ნანსი და ჯორჯი სხედან, მეორე მხარეს – ჯულია და ნიკი. ნიკი მოქუფრულია – პეპლების ალბომის თვალიერებას მოსწყვიტეს.

– რას საქმიანობთ, სტუდენტები ხართ? – საუბრის ძაფს აბამს ჯორჯი.

– არა, ვმუშაობთ... – პასუხობს ჯულია.

– ალბათ საინტერესო სამუშაო გაქვთ, – აგრძელებს აქტიურობას ჯორჯი, ნიკს თვალს უკრავს, ჩაერთე საუბარშიო.

ნიკი მობღუზული ზის, ნანსისა და ჯულიას არც შეხედავს, ჯორჯს კი სათვალეების ცივ ბრჭყვიალს მიაპყრობს – რა ლაქლაქის იშტაზე ხარო.

– ჩვენ გამყიდველები ვართ ბარნზისა და ნოუბლის მაღაზიაში... – ამბობს ნანსი.

– მეხუთე ავენიუზე? ახალი ენტომოლოგიური ლიტერატურა და სარკვევები თუ იყიდება თქვენთან? – გამოცოცხლდა ნიკი.

– დიახ, როგორ არა...

– პეპლებისაც?

– ჩვენ ტექნიკური ლიტერატურის განყოფილებაში ვმუშაობთ, – პასუხობს ნანსი, – მაგრამ შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ ჩვენს მაღაზიაში ყოველგვარ საცნობარო და სამეცნიერო ლიტერატურას ნახავთ...

ჯორჯი უკმაყოფილოდ ოხრავს, საუბარმა მისთვის მოსაწყენ კალაპოტში გადაინაცვლა.

– გეთაყვა, ხომ ვერ გამიცვლი ადგილს? – ამჯერად ფეხზე წამომდგარი ნიკი მიმართავს ჯორჯს; ნიკის აქტიურობით გაკვირვებული ჯორჯი წამოდგება და კაცები ადგილებს ცვლიან.

ნიკი ნანსის გვერდით ჯდება და გადაშლილი ატლასის გვერდზე საჩვენებელ თითს აყოლებს, ქალიშვილს აჩვენებს:

– აი, ეს ძალზე იშვიათი პეპელა ორი დღის წინ დავიჭირე! თუ გაინტერესებთ, ლათინურ სახელსაც გეტყვით...

ჯორჯი ჩუმად ფეხს ფეხში წაჰკრავს ჯორჯს, მოეშვი აბდაუბდას, თავი სკოლაში ხომ არ გგონია ბიოლოგიის გაკვეთილზეო.

– რა ბედნიერი შეხვედრაა! – ამ დროს სრულიად მოულოდნელად თავს შემოჰყოფს კუპეში გაღიმებული პოლი. – მე ნიუ იორკში მივდივარ, თქვენ საით გაგიწევიათ?

პოლის გამოჩენით გაკვირვებული და გაღიზიანებული ჯორჯი ხმას არ სცემს, ნიკი კი მხოლოდ წამით ასწევს თავს, ხელის აწევით ესალმება პოლს და ისევ ატლასს უბრუნდება.

– ოჰ, რა ბრწყინვალე საზოგადოებაა შეკრებილა! – ორმეტრიანი პოლი მოიხარა, რომ კუპეში შემოტეულიყო, – ნება მიბოძეთ, შემოგიერთდეთ! – უბოდიშოდ შემოალაჯა, მომცრო ჩემოდანი თაროზე უნდა შემოდოს.

ნიკი მოულოდნელი სიმკვირცხლით წამოხტა, ხელში ეცა, გამოღლიტა ჩემოდანი:

– ჩემსას ზევიდან ნუ ადებ, პეპლებია შიგ!

– კარგი, კარგი...

დაბალი ნიკი ვერ წვდება თაროს, პოლი ნიკს თავის ჩემოდნიანად ხელში აიტაცებს, მაღლა, ჭერამდე ასწევს:

– აჰა, შენ თვითონ მოათავსე, სადაც გენებოს! – მერე იატაკზე აბრუნებს და მაშინვე ნანსის გვერდით ჯდება: – წინააღმდეგი ხომ არ იქნებით? მე პოლი ვარ...

ქალიშვილი ღიმილით პასუხობს:

– ნანსი! ეს კი ჯულიაა!

ყველა კმაყოფილი იღიმება, გარდა ჯორჯისა, თვით ნიკიც კი – კუთხეში მიმჯდარს პეპლების ატლასის თვალიერებაში აღარაფერი შეუშლის ხელს!

– რა ბედნიერ ფეხზე შემოვიხედე აქ! – ამბობს პოლი, – არ მიყვარს მარტო მგზავრობა და ვიფიქრე, ვინმე ნაცნობ თანამგზავრს ვიპოვი-მეთქი... ასე უფრო სწრაფად გაივლის ნიუ იორკამდე მგზავრობის დრო, ხომ მართალია? – ენად გაიკრიფა პოლი.

– რა თქმა უნდა! – უდასტურებენ ქალიშვილები.

– განსაკუთრებით, თუ ასეთ კეკლუც ქალბატონებთან ერთად იმგზავრებ! – აგრძელებს პოლი ლაქლაქს. – დროის მსვლელობას ვერც კი შევიტყობთ!

ნიკი ატლასის თვალიერებაშია თავფეხიანად ჩაფლული, ჯორჯი დაბღვერილია, პოლის აქტიურობა არ მოსწონს, გაბრაზებული, ფეხში ფეხს წაჰკრავს – რა უტვინო ქაქანი აგიტყდაო.

პოლი გაკვირვებულია ჯორჯის მოქმედებით, მაგრამ ნირს არ იცვლის.

– ბანქო ხომ არ გვეთამაშა? – ამოაძვრინა ქაღალდის დასტა პოლმა. – დროს მოვკლავთ, თან ვისაუბრებთ.

– რაზე ვითამაშოთ? – ამბობს ნანსი; ეტყობა უფრო თამამია, თვალებს უჟუჟუნებს პოლს.

პოლიც მისჩერებია, ღიმილით პასუხობს:

– რაზეც ჩვენი მშვენიერი ქალბატონები ისურვებენ! მე პირადად კოცნაზე არ ვიტყოდი უარს!

ქალიშვილები ხითხითებენ, თითქოს დაიმორცხვეს, არც ჰოს ამბობენ, არც არას.

ჯორჯი გამოცოცხლდა, ნიკთან მიიჭრა, ატლასი გამოსტაცა ხელიდან:

– ახლა კი ვედარ იტყვი უარს, ჩემს ადგილს გითმობ და აბა, შენ იცი, როგორ იყოჩაღებ! მიდი, მეცნიერი კაცი ხარ, ბანქოში ვერავინ გაჯობებს! ნანსი და პოლი ითამაშებენ ჯულიასა და შენს წინააღმდეგ; მოგებულები წაგებულებს ჰკოცნიან!

– რას გადამეკიდე, საქმე არ გაქვს?! – ეურჩება ჯორჯს ნიკი; ამ უკანასკნელს სურს, როგორმე ძალით დასვას ჯულიას გვერდით პეპლების მოყვარული. – არ მსურს ბანქოს თამაში და არც ვიცი!

– გაანებე თავი, – ეუბნება ჯორჯს პოლი, ნიკს იცავს, – გაერთოს თავისთვის, რას ერჩი! – მერე სიგარეტის კოლოფს ამოიღებს და ქალიშვილებს სთავაზობს.

– ვერ ვიტან თამბაქოს ბოლს!.. ვისაც მოწევა სურს, ვთხოვ, დერეფანში გაბრძანდეს! – აცხადებს ნიკი და ცხვირზე ცხვირსახოცს იფარებს.

– პოლ, შენ გადი ცოტა ხნით... – ამბობს ჯორჯი. – სანამ სიგარეტს მოსწევ, მე ნიკს ბანქოს თამაშს ვასწავლი; როცა დაბრუნდები, ჩემს ადგილს დაგითმობ, – ჯორჯი თავისი ხელით უღებს კუპეს კარებს პოლს, შემდეგ შიგნიდან საგულდაგულოდ დაკეტავს; მერე ჰკიდებს ნიკს პიჯაკის სახელოზე ხელს და თითქმის ძალათი სვამს ჯულიას გვერდით. – ნიკ, ჯერ ხომ არ დაბერებულხარ?!. სიცოცხლით სავსე, ჯან-ღონით სავსე კაცი ხარ! ჰა, რას იტყვით, გოგონებო, როგორი ბიჭია ნიკი?!. საიდუმლოდ უნდა მოგახსენოთ, რომ ჯერაც დაუქორწინებელია და... ხომ მიმიხვდით? თქვენ თუ ხართ გათხოვილები ან საქმროები თუ გყავთ?

გოგონები იცინიან.

– ძალიან, ძალიან სიმპათიური მამაკაცია, – ამბობს ნიკის მისამართით ნანსი. – საკვირველია, ამდენ ხანს რომ ვერ შეარჩია მისთვის მოსაწონი ქალი, ალბათ ძალიან წუნიაა.

– მაინც, როგორი ქალები მოსწონს, – ღიმილით ამბობს ჯულია, – გაგვიმხილოს და იქნებ ჩვენ დავეხმაროთ...

– გაიხადე, ნიკ, ეგ შენი პიჯაკი, არ გცხელა? – ეუბნება ჯორჯი. – ჰალსტუხიც მიაყოლე, დიპლომატიურ მიღებაზე კი არ ხარ!.. ახლა დაჯექი და შინაურულად იყავი, ვითამაშოთ და ვიმხიარულოთ! ნანსისთან ერთად გინდა თამაში თუ ჯულიასთან?

– არ ვიცი ბანქოს თამაში, არასდროს მითამაშია! – თითქმის ყვირის ნიკი და სურს, ჯორჯს გამოსტაცოს ხელიდან პეპლების ატლასი.

– ნიკ, ქალიშვილებს პატივი ეცი, რა ზრდილობაა, ყურადღების ღირსად რომ არ აგდებ!.. – მაღლა აწეულ ხელში უჭირავს ატლასი ჯორჯს, ნიკი ამაოდ ცდილობს მისწვდეს.

– გასწავლით, გასწავლით! – კისკისებენ ქალიშვილები.

ამ დროს გარედან დაკეტილ კარს ეჯაჯგურება პოლი.

ნიკს სურს, კარი გაუღოს, ჯორჯი წინ გადაეღობება, ეწინააღმდეგება, ახლა ამაზე იწყებენ ჭიდაობას.

თუმცა ნიკი ბევრად დაბალია, სამაგიეროდ, ჩასკვნილია; მოულოდნელად ბუღასავით დაეტაკება ჯორჯს და გვერდზე მიაგდებს, კართან მივა და გააღებს.

შემოვარდება პოლი, სულ არ არის გაბრაზებული, ხუმრობს:

– რა ამბავია, მატარებელი უნდა გადააბრუნოთ? რას ჩაკეტილხართ, ხომ არ ცუღლუტობდით აქა, ჰა? ასე უნდა ჩემს გარჯას დაფასება? წავიდეთ, მე რესტორანში უკვე დავიბევე მაგიდა!

აღტაცებული ქალიშვილები ტაშს შემოჰკრავენ.

ჯორჯიც არ არის წინააღმდეგი:

– მაგიდასთან გავაგრძელოთ ნაცნობობის გაღრმავება, აჰა, ნიკ, შენი წიგნი, კარგად შეინახე, ჩვენს მოსვლამდე პეპლები არსად გაგიფრინდნენ!

– მე აქ დავრჩები, – აცხადებს ნიკი.

– შენ რა, ჭკუიდან შეიშალე? – ეუბნება ჯორჯი. – მარტოს აქ რა გინდა...

– დედაჩემმა საგზალი გამომატანა... – ამბობს ნიკი. – აქ მირჩევნია!

– კარგი ერთი, თუ ერთად წამოვედით, ერთადვე უნდა გავერთოთ, ერთად წავიდ-წამოვიდეთ... წამოდი, მე ვპატიჟებ ყველას!..

– არ მინდა! – ჯიუტობს ნიკი.

– რატომ? შენ რომელი კერძი გიყვარს ყველაზე უფრო? რასაც მოისურვებ, ყველაფერს შევუკვეთავ! ცოტა იტალიური ღვინოც დავლიოთ... თუ ფრანგული უფრო გიყვარს?..

– რას გადამეკიდე, დამანებე თავი! – თითქმის ყვირის ნიკი. – ჯერ არ მშია და ძალათი გინდა, ვჭამო?.. დამანებე თავი!

გაბრაზებული ჯორჯი ჩუმად იწყევლება, გარეთ გადის დერეფანში იქ მომლოდინე ქალიშვილებსა და პოლთან და ხმაურით მიაჯახუნებს კუპეს კარს.

თითქოს ამ მიჯახუნებას ელოდაო, კუპეში დარჩენილი ნიკი მაშინვე ამოიღებს დედის გამოგზავნილ შეკვრას, რომელშიც საგზალია – მრგვლად მოხარშული ქათამი, მოხარშული კვერცხები, ყველი და კიდევ რაღაც-რაღაცეები, გაშლილ გაზეთზე დააწყობს ყველაფერს და ხარბად იწყებს ჭამას.

18.

მატარებელი ჩამოდგა მხიარულების ქალაქის რკინიგზის ვაგზალში.

ჯორჯი, პოლი და ნიკი ემშვიდობებიან თანამგზავრ ქალიშვილებს.

ნიკი გვერდზე დგას თავისი ორი ჩემოდნითა და ზურგჩანთით (განსაკუთრებით უფრთხილდება პეპლებიან ჩემოდანს), ჯორჯი და პოლი უთანხმდებიან ქალიშვილებს მომავალ შეხვედრაზე, ართმევენ ტელეფონის ნომრებს...

ტაქსში უნდა ჩასხდნენ. ჯორჯი ეუბნება პოლს:

– შური მჭამს – მაგრად დააბი ნანსი, ხომ იცი!

პოლი იცინის:

– მასეთები გამიფორმებია!

– მერე, ტაქსით გააცილე, ყველაფერი კარგად მიგდის! – ჯორჯს უნდა, როგორმე ჩამოიცილოს პოლი.

– მაგისთვის მერე მოვიცლი, ახლა თქვენ ხომ ვერ მიგატოვებთ... – პოლი ანკესზე არ წამოეგება.

– ჩვენ არაფერი გვიჭირს, პატარა ბავშვები კი არ ვართ; ჯულიას მივიყვანთ შინ და მერე სასტუმროში წავალთ... – აგრძელებს თავის ხაზს ჯორჯი, თუმცა უშედეგოდ.

– ეს, ძმაო, ნიუ იორკია, სად უნდა გეძებოთ? – ეჭვით შესცქერის ჯორჯს პოლი.

– პარკ ავენიუს ბოლოში ხომ არ ვიქნებით, მალბერი სტრიტს მივაშურებთ... შენ ის გვითხარი, თვითონ სად აპირებ გაჩერებას და ჩვენ თვითონ შეგეხმიანებით...

– რას ამბობ, ჯორჯ?!. მე თქვენი გულისთვის წამოვედი და ახლა გინდა, თავიდან მომიცილო? – უკმაყოფილოა პოლი.

– მე თავიდანვე გითხარი, მე და ნიკი მივდივართ, ისეთი საქმე გვაქვს, სხვას ვერ გავრევთ-მეთქი... ხომ გაგაფრთხილე?

– ეგ რა პრობლემაა, ნიკი აგერ არ არის? შენ ხომ ხარ თანახმა, ნიკს მე მოველაპარაკები! – თავდაჯერებით აცხადებს პოლი.

– ბიჭებო, თქვენ გაარკვიეთ თქვენი პრობლემები, ჩვენ კი დაგემშვიდობებით! – ამბობს ჯულია. ის და ნანსი ტაქსში სხდებიან და მიდიან, ჯორჯი და პოლი მათ ხელის ქნევით ემშვიდობებიან.

– მაღაზიაში შევხვდებით! – დაადევნებს ღიმილით ნიკი და მოხდილ შლაპას უქნევს, მისი მელოტი მზეზე ბრწყინავს.

ჯორჯი ღრმად ამოიხვნეშებს, პოლი უდარდელად მდგომ ნიკთან მიდის და ეკითხება:

– ნიკ, როგორ ხარ? – მზრუნველი იერით ეკითხება პოლი.

– კარგად, მშვენივრად! – პასუხობს ნიკი.

– მისმინე, ნიკ... შენთვის რამე ხომ არ დამიშავებია?

– არა, არაფერი...

– მაშ, წინააღმდეგი ხომ არ იქნები, ჩვენ სამივემ ერთად რომ გავიარ-გამოვიაროთ ნიუ იორკში?

– ჩემთვის სულ ერთია... – გაურკვევლად ამბობს ნიკი, ვერ ხვდება, რა აწუხებს პოლს და არც სურს ჩასწვდეს.

ჯორჯმა ხელი მოჰკიდა პოლს, გვერდზე გაიყვანა:

– მოდი, აქ მოგელაპარაკო... არ მინდა, ამ საქმეში შენც გაგრიო...

– რა ხდება? – ეკითხება პოლი.

– ახლა წვრილმანების მოყოლის დრო არ არის... – ჩურჩულით ესაუბრება ჯორჯი, თან აქეთ-იქით იხედება, თითქოს დიდად საიდუმლოს რასმე ეუბნებოდეს: – მისმინე... ერთი სახათაბალო საქმე უნდა მოვაგვაროთ, გესმის? უცხო კაცის გარევა ამაში არ მინდა, ამიტომ გთხოვ, შენს გზაზე წახვიდე...

– ჩემთან რა გაქვს დასამალი? – ეუბნება პოლი. – მითხარი, რა პრობლემა გაწუხებს, იქნებ ჩემი დახმარება დაგჭირდეს...

– ჰო, თუ დამჭირდები, შეგეხმიანები...

– ხომ იცი, პროფესიულ რინგზე ვაპირებდი მოღვაწეობას და...

– არა, არა, იმედი მაქვს, ჩხუბამდე და ყბების გალამაზების საჭიროებამდე არ მივა საქმე...

– მით უმეტეს, მე რას შეგიშლით? – თავისას გაიძახის პოლი.

ჯორჯმა უიმედოდ გააქნია თავი, დაბნეულია, აღარ იცის, მეტი რა უთხრას, როგორ მოიცილოს აბეზარი... გახედა ნიკს, ის კი ქუჩას გაჰყურებს – ხედავს: მანქანების ორომტრიალში საიდანღაც შემოხეტებულა პეპელა, ზევით-ქვევით დაფარფატებს ძრავათა გამონაბოლქვში...

პოლი ჯორჯის მზერას მიჰყვება, მანაც ნიკის პეპლის ცქერაში გარინდებული ფიგურა დაინახა, ეუბნება:

– მოგეწონა? ხომ არ აპირებ, პეპლის დაჭერის გულისთვის რომელიმე გადარეულ მანქანას შეუვარდე ქვეშ?

– პეპლების საჭერი არ წამომიღია... – პასუხობს ნიკი.

– ეგ ჯავრი დაგდგომია? – მხარზე ხელს ურტყამს პოლი. – თუ გინდა, ათ წუთში გაგიჩენ!

გაბრაზებული ჯორჯი ყვირის:

– ორივე არანორმალურები ხართ, ამათ ვის გადავეყარე! მივქარე, რომ წამოვედი!

პოლმა გაიცინა, ნიკმა კი, გაკვირვებულმა, შეხედა ჯორჯს – ასე რამ გააწიწმატაო.

ჯორჯმა ტაქსის მანქანას ხელი აუწია და გააჩერა.

19.

ნიკი, ჯორჯი და პოლი ტაქსით მიდიან. პოლს თავი აქვს გაყოფილი ფანჯრიდან, როგორც კი ლამაზ ქალიშვილს დაინახავს, მაშინვე რამე უნდა უთხრას:

– ლამაზო, ხომ არ მოიწყინე?

– ვაჰ, რა მშვენიერი ხარ!

– გამარჯობა, მარწყვისტუჩავ!

ჯორჯი მძღოლს ელაპარაკება:

– თქვენი რადიომიმღები იტალიურ სადგურს იჭერს?

მძღოლმა მაშინვე დაბლიუ-ოუ-ვის რადიოსადგურზე გადართო რადიომიმღები, პასუხის მაგივრად ეკითხება:

– საით მიბრძანდებით?

– რა თქმა უნდა, სასტუმროში! – პასუხობს ჯორჯი.

– თქვენ იტალიელები ჩანხართ და მეგონა, ნათესავებთან მიდიოდით... ნიუ იორკში მილიონზე მეტი იტალიელია, ნათესავი როგორ არ გყავთ? რომელ უბანში გირჩევნიათ, ტაიმს სკვერის, ისტ საიდისა თუ ვესტ საიდისა? ყველაზე ძვირფასი სასტუმროები აქაც, პენსილვანიის სადგურის უბანშიც ბევრია...

– რომელია ყველაზე ახლოს? – კითხულობს ჯორჯი.

– "გავერნორი კლინტონი"...

– ძვირია? – დაინტერესდა ნიკი.

– საკმაოდ...

– არ გვინდა! – წამოიძახა ნიკმა.

– კარგი სასტუმრო კიდევ ბევრია, თანაც – ზომიერი ფასებით: "შერატონ-მაკალპინი", "ნიუ იორკერი", "სტეიტლერ-ჰილტონი"... დროზე მითხარით, რომელში წაგიყვანოთ?

– ყველაზე იაფი რომელია? – ჰკითხა მძღოლს ნიკმა.

– ნიკ, შენ რა გინდა, მე გადავიხდი... – ეუბნება ჯორჯი.

– მაგარი ხარ! რაში უნდა გადაყარო ფული? – ცხარობს ნიკი.

– ბიჭო, აქ კარგი ღამის კლუბებია, ბევრი გასართობი ადგილია... – ცდილობს ნიკის დარწმუნებას ჯორჯი.

– არ მინდა! – იძახის ნიკი.

– დროზე მორიგდით, უკვე ორმოცდამეორე სტრიტი გადავკვეთეთ... ბრონქსში, ბრუკლინში და სხვაგანაც არის იაფი სასტუმროები, მაგრამ ამისთვის უკან დაბრუნება მოგვიწევს, – აცხადებს მძღოლი.

– ჩვენ გასართობად ჩამოვედით, დროის გასატარებლად, – ეუბნება მძღოლს ჯორჯი.

– მაშინ ტაიმს სკვერის უბანში წაგიყვანთ, "შერატონ-ასტორში"; მშვენიერი სამზარეულო აქვთ, ფასებიც შედარებით ზომიერია.

– ზომიერი, ზომიერი! – წამოიყვირა ნიკმა, – ვიცით ჩვენ ეს ზომიერი!.. იაფ სასტუმროში წავიდეთ, გამომივიდა აქ როკფელერი!..

– მოკეტე, თორემ გისვრი მანქანიდან! – შეუბღვირა ნიკს ჯორჯმა, შემდეგ მძღოლს უთხრა: – "შერატონ-ასტორი"!

20.

სასტუმროსთან ჩვენი გმირების ტაქსი მისრიალდა.

გადმოდიან.

მუშა ურიკაზე დებს მგზავრთა ბარგს – ნიკის ორ ჩემოდანსა და ზურგჩანთას, ჯორჯის პატარა სპორტულ ჩანთასა და პოლის მომცრო ჩემოდანს.

ნიკი იქაჩება:

– რად მინდა ურიკა, ჩემს ბარგს თვითონ მივხედავ! – გადმოიღებს თავის ორ ჩემოდანსა და ზურგჩანთას.

მუშა განცვიფრებული უყურებს ნიკის ქიჩმაჩს.

ჯორჯი ცდილობს, ნიკი დააწყნაროს:

– ნიკ, თავს ნუ გვჭრი, დადე ბარგი უკან!

– ჭკუას ნუ მასწავლი! – იფოფრება ნიკი. – შენ თუ მილიონერი ხარ, არ ვიცი, მე კი დედიკომ სხვაგვარად გამზარდა, ფულის ფანტვა ჩემი ხელობა არ არის!

– ნიკ, მე ვიხდი, დააბრუნე ბარგი ურიკაზე!

– არა, მე ჩემს პეპლებიან ჩემოდანს ვერავის ვანდობ!

– კარგი, ეგ შენ თვითონ წამოიღე, დანარჩენს თავი დაანებე... – ამაოდ ეხვეწება ჯორჯი.

მუშა ცდილობს, გამოართვას ნიკს დიდი ჩემოდანი, ნიკი არ უთმობს...

ჭიდაობა კარგა ხანს გრძელდება; ნიკი გამარჯვებული გამოდის ამ შერკინებიდან – მუშას მხოლოდ ჯორჯის ჩანთა და პოლის ჩემოდანი მიაქვს; უკან ქოშინით მისდევს ნიკი, აქეთ-იქით ხელებში ორი ჩემოდნითა და ზურგზე კი ზურგჩანთით დატვირთული.

ჯორჯმა გადააფურთხა, ხელი ჩაიქნია.

ჯორჯი და პოლი მათ წინ მიდიან; პოლი იცინის, ჯორჯი კი გაბრაზებულია.

ჰოლში შედიან, მივლენ ადმინისტრატორთან, ირჩევენ ნომერს.

ნიკი აქაც არ ისვენებს, შეშინებული ათვალიერებს გაჩახჩახებული ინტერიერის მდიდრულ მორთულობას, ჯორჯს ექაჩება სახელოში:

– ჯორჯ, უფრო იაფ სასტუმროში წავიდეთ, აქ ცხრა ტყავს გაგვაძრობენ!

ჯორჯმა ხმა არ გასცა, სახელო გააშვებინა და ისე ჰკრა ხელი, რომ საწყალი ნიკი ლამის წაიქცა...

სანამ ნომერს გააფორმებენ, რეგისტრატორ ქალს ჯორჯის გვერდით მოკალათებული პოლიც ელაპარაკება.

– ძვირფასო, ძალიან მარტოები და დაბნეულები ვართ ამ უზარმაზარ ქალაქში... პირველად ვართ ჩამოსულები, თქვენ ხომ არ გვირჩევდით რაიმეს?

რეგისტრატორმა ქალმა პოლს ახედა, გაუღიმა:

– მაინც რა გნებავთ, გაიგოთ?

– უპირველეს ყოვლისა, ამ საღამოს თქვენ თუ ხართ თავისუფალი? – ღიმილად დნება პოლი. – მაგიდასთან უფრო შევძლებთ დალაგებულად საუბარს, ხელს არაფერი შეგვიშლის...

– თქვენ პაემანს მინიშნავთ?

– დიახ, ძალიან მომწონხართ, ეს ხომ დანაშაული არ არის?

– მე თქვენი მეგობარი უფრო მომწონს! – დასცინის ქალი. – ნახეთ, რა სერიოზულია.

– კარგი, თანახმა ვართ... – ცოტა არ იყოს, დაბნეულია პოლი.

– რაზე ხართ თანახმა? – ეღიმება ქალს.

– იმაზე, რომ... – სათქმელს ეძებს პოლი. – თუ არის შესაძლებელი, რომ თქვენი დობილიც წამოიყვანოთ?

– ეგ არ იქნება რთული საქმე, მაგრამ თქვენს მეგობარს იქნებ სხვა გეგმები აქვს, რატომ არ ეკითხებით? – იცინის ქალი.

21.

შედიან ლიფტში, ნიკი ყველას ფეხებში ებლანდება, ეჯახება თავისი ზურგჩანთით...

ნომერში ჯორჯი მუშას გაუსწორდა, მადლობა მოახსენა.

ნიკი მაშინვე ჯორჯს მივარდა:

– გაგიჟდი? რა ამბავია 10 დოლარი!

– გიჟი შენა ხარ! ნაღდად მენთალ ბლოკში ხარ წასაყვანი, შენ ფსიქიატრი თუ გიშველის!

ჯორჯი ისევ აპირებდა ხელის კვრას ნიკისთვის, მაგრამ მათ შორის სიცილით ჩადგა პოლი:

– ბიძაშვილები აღარ ხუმრობენ!.. ბედად მე ვარ აქ, თორემ დაჭამდით ერთმანეთს!.. და კიდევ ჩემი წამოყვანა არ გინდოდათ!.. ორივენი ფსიქიატრიულ დახმარებას საჭიროებთ!

– შეხედე, პოლ, ეს საჩვენო ნომერია? – ირგვლივ გაოგნებული მზერა მიმოატარა ნიკმა.

– ჰო, დიდი ლუქსია, საგანგებოდ...

ნიკი არ აცლის დამთავრებას:

– საწყალი ბიძაჩემი დღედაღამ ცხენებს დასდევს, რომ უსაქმურს შიმშილით სული არ გაგძვრეს, შენ კი, დიდი დუკას შთამომავალმა, მომინდომე აქ აპარტამენტებში გამოჭიმვა!.. გლახაკი!

– შენ რა განერვიულებს, მე ვიხდი!

– "მე ვიხდი, მე ვიხდი!" – გამოაჯავრა ნიკმა. – მე მგონი, თუთიყუშად გადაიქეცი, ესეც დიდი მიღწევაა შენისთანასთვის.

– შენი დასაცინიც გავხდი? – ისევ ფიცხობს ჯორჯი.

– ჯორჯ, ალბათ ურჩევნია, რომ პეპლად გადაიქცე! – იცინის პოლი.

22.

ნიკი და პოლი სასტუმრო ოთახს ათვალიერებენ.

– ნიკ, რით ხარ უკმაყოფილო... – მხარზე ხელს მოხვევს პოლი. – სიცოცხლეში ერთხელ გელირსა ამგვარ აპარტამენტებში ცხოვრება და შეირგე!

– ნამდვილად გიუებთან მოვხვდი... გიუების მეტი ვინ გადაყრიდა ამდენ ფულს... – ბურტყუნებს ნიკი, მაგრამ სახე ნელ-ნელა უნათდება, აშკარად ეტყობა, რომ მოხიბლულია ოთახების ბრწყინვალებით.

– რა გიკვირს, ნიკ, ამაზე ორჯერ და სამჯერ ძვირი სასტუმროებიც ბევრია, – ეუბნება ჯორჯი.

– აი, იქ უნდა მივსულიყავით! – იცინის პოლი.

გავიდნენ საძინებელ ოთახში და პოლი მაშინვე მოურიდებლად ყველაზე უკეთეს საწოლზე წამოგორდა ჩაცმული; იმ სიგრძეა, ვერ ეტევა და ფეხები საწოლს გარეთ ეჩრება.

პოლი სიგარეტს უკიდებს, ნიკი ვეფხვივით მივარდება:

– ვერ ვიტან თამბაქოს ბოლს და ვერც სუნს, ვეღარ გაიგე?

ნიკი უცებ გავარდა ჰოლში, თავისი პეპლებიანი ჩემოდანი აიღო და მაშინვე საძინებელში დაბრუნდა; მაგიდაზე დადო, ფრთხილად გახსნა და რომ დარწმუნდა, მის საყვარელ პეპლების კოლექციას არაფერი დაშავებოდა, ჩემოდანი ისევ სათუთად დახურა...

მერე დაბორიალობს საძინებელში, თან პეპლებიანი ჩემოდანი დააქვს, არ იცის, სად შეუძლია, უსაფრთხოდ შეინახოს, ათვალიერებს ყოველ კუთხე-კუნჭულს... ბოლოს, თავისთვის საწოლი შეარჩია, მის ქვეშ შეიხედა და ჩემოდანი იქ შეაცურა. დაბრუნდა ჰოლში, მეორე ჩემოდანიც მოათრია, იქიდან საშინაო ტანსაცმელი ამოიღო, ტანზე გამოიცვალა და მხოლოდ ამის შემდეგ წამოგორდა საწოლზე, სხვა სათვალე გაიკეთა და წიგნი გადაშალა.

საძინებელში შემოსული ჯორჯი მესამე საწოლზე გაუხდელად წამოწვება, ხედავს: მის პირდაპირ მშვენიერი სურათი ჰკიდია – ნახევრად შიშველი ტურფა ქალი ნაზად იღიმება და პირდაპირ მას შესცქერის...

ჯორჯი მაშინვე ფეხზე წამოხტა:

– ნიკ, მოდი, საწოლები გავცვალოთ!

– რატომ? მე უკვე მოვეწყვე... – პეპლების ალბომის თვალიერებას არ ანებებს თავს ლოგინზე წამოწოლილი ნიკი.

– იცი, რა? მე უკეთეს ადგილს გთავაზობ...

– არ მინდა, აქაც მშვენივრად ვგრძნობ თავს.

– ჯერ ნახე, მოსინჯე და მერე თქვი უარი... – ჯორჯი ნიკის საწოლთან მივიდა და ჩამოჯდა, ხმადაბლა გააგრძელა: – შეხედე, რა გოგოს სურათი ჰკიდია იმ საწოლის პირდაპირ! თუ საწოლის ქვეშ შეძრომა გეზარება, შენს საყვარელ ჩემოდანს ჩემი ხელით გადაგიტან...

– რას გადამეკიდე, ხელს მიშლი! – აყვირდა ნიკი. – არ მინდა ეგ შენი მზეთუნახავი, ძალაზე ხარ?!.

– ჯერ ნახე...

– გამანებე თავი! – კედლისკენ გადაბრუნდა ნიკი.

– რომელი მზეთუნახავი? – იკითხა პოლმა, წამოჯდა, ყურადღებით მოათვალიერა კედლები და ლამაზმანის სურათს დაადგა თვალი: – ჯორჯ, მე გიცვლი!

გაბრაზებულმა ჯორჯმა ხმა არ გასცა, საწოლზე წამოწვა. სურათზე ლამაზმანმა თვალი ჩაუპაჭუნა.

23.

ჯორჯი ამოიოხრებს, რაღაც გაახსენდება, წამოდგება; გადის მეორე ოთახში, მალულად მიდის ტელეფონთან, ამოიღებს მამის მიერ მიცემულ ქაღალდის ნაგლეჯს და აკრეფს ნომერს.

– ალო, ალო!.. მის მერის თხოვეთ, გეთაყვა!

მას პასუხობს პატარა გოგონა:

– მისტერ, ძლიერ ვწუხვარ, მაგრამ ბებია შარშან გარდაიცვალა...

– ბოდიში, ბოდიში... – ჯორჯი ელდანაკრავივით დებს ყურმილს.

ტუჩებს დაბნეული წინ გამოწევს, ჰაერს გამოუშვებს ქშუტუნით და ისევ დასცქერის ქაღალდის ნაგლეჯს. ერთხანს ყოყმანობს, მერე ისევ იღებს ტელეფონის ყურმილს.

– ალო!.. ალო!.. თუ შეიძლება, მის სარას თხოვეთ!.. ო, დიდად სასიამოვნოა, მის! მე მისტერ ტიმოთი ესპოზიტოს ახლო მეგობარი გახლავართ, ჯორჯ ესპოზიტო... დიახ, დიახ, გულითადი მოკითხვა შემოგითვალათ... როგორ ბრძანდებით?.. გეთაყვა, ჩემთვის დიდად სასიამოვნო იქნებოდა თქვენთან შეხვედრა, თქვენ რას იტყვით?.. ძალიან კარგი, ახლავე შეგიძლიათ? სად? ერთი სული მაქვს, როდის შევხვდებით!.. მოვფრინავ!

ჯორჯი დადებს ტელეფონის ყურმილს.

გადის საძინებელში, სასწრაფოდ გამოეწყობა.
– ბიჭო, სად გარბიხარ ასე დამდუღრულივით? – ეკითხება ნიკი.
– პაემანზე ეჩქარება, ვერ ხედავ? ჩვენც წაგვიყვანე! – იცინის პოლი.
ჯორჯი გაიჯახუნებს კარებს.

24.

ტროტუარის კიდესთან ჩერდება ტაქსი და გადმოდის ჯორჯი, მიდის რესტორნის შესასვლელთან და ჩერდება. ეტყობა, სარა იგვიანებს და ჯორჯი მიმოდის, მოუთმენლად დასცქერის ხოლმე მაჯის საათს.
კარგა ხნის შემდეგ შეამჩნევს, რომ მასავით უცდის ვიღაცას გამოპრანჭული ხნიერი ქალბატონი, რომლის ყოფილი მშვენიერებისგან ამჟამად მხოლოდ კვალიღა შემორჩენილა.
ბოლოს, ქალბატონი მიუახლოვდა ჯორჯს და გაუბედავად ჰკითხა:
– დიდი ბოდიში... თქვენ მისტერ ჯორჯ ესპოზიტო ხომ არ ბრძანდებით?
ჯორჯი შეკრთა, გამწარებით გააქნია თავი:
– არა, არა ქალბატონო, მე სულ სხვას ველოდები!
ქალბატონი ნირწამდარი გატრიალდა.
ჯორჯმა კი მაშინვე ტაქსს დაუწყო ძებნა.

25.

ჯორჯი ტაქსით ბრუნდება სასტუმროში. ამოიღებს მობილურ ტელეფონს, აკრეფს ნომერს.
ირეკება ჯორჯის მეგობრის, გინეკოლოგ გუიდო კურჩის კაბინეტში. ექიმი ამ დროს მანიპულაციებისთვის ემზადება – ქალბატონია გადაწოლილი გინეკოლოგიურ სავარძელში.
ექთანი მიაწვდის ყურმილს, იმართება ხანმოკლე საუბარი.
– გუიდო, სალამი, ჯორჯ ესპოზიტო ვარ!
– გამარჯობა, როგორაა საქმეები?
– კარგად! საქმეებზე მერე ვილაპარაკოთ, შენთან საჩქაროდ მინდა შეხვედრა!
– რამ შეგაწუხა?
– ახლა წვრილად ახსნის დრო არ მაქვს, შევხვდეთ და ყველაფერს აგიხსნი...
– ახლა მე არ მცალია...
– როდის განთავისუფლდები?
– ერთ საათში.
– საღამოს შეძლებ მოსვლას?
– კი...
– ღამის კლუბში შეგიძლია?
– ღამის კლუბში რა გვინდა?
– ხომ გითხარი, მერე აგიხსნი ყველაფერს. საღამოს ათ საათზე გელი ტაიმს სკვერის უბანში, რომელიმე ღამის კლუბში... შენ უფრო გეცოდინება, რომელში ჯობს?..

26.

ჯორჯი ნომერში შედის.
– ყოჩაღ, ნამდვილი კაუბოი ყოფილარ, ასე სწრაფად რომ მოგითავებია საქმე! – დასცინის პოლი.
ჯორჯი არ პასუხობს, ლოგინზე წამოგორდება.
პოლი ისევ წიგნის კითხვითაა გართული.

27.

ჯორჯი შესცქერის ჭერს, რაღაცას ფიქრობს, შემდეგ ამოიოხრებს და წამოჯდება:
– ნიკ, რესტორანში ჩავიდეთ, მერე ცოტა გავიარ-გამოვიაროთ...
ნიკი არ პასუხობს, რაღაცას კითხულობს.
– ჰო, დროა უკვე, მაგრად მომშივდა! – წამოდგა პოლი, სიგარეტი ამოიღო, პირში ჩაიდო, მერე ნიკს შეხედა და აღარ მოუკიდა.
– ნიკ, ტანზე რატომ გამოიცვალე, რესტორანში ჩავიდეთ... აქვეა, სასტუმროში... – ისევ ეპატიჟება ჯორჯი.

– არა, მე აქ დავრჩები, დედიკომ საჭმელი გამომატანა, – უარობს ნიკი.

– აღარ გაგითავდა? ბიცოლაჩემმა ალბათ ერთი კვირის სამყოფი გამოგატანა... – მერე პოლს გადაულაპარაკა: – წუწურაქების ერთია და მიკვირს, ეგ როგორ დაემართა...

– დაანებე თავი, ჯორჯ, ხომ ხედავ, კაცს მარტო დარჩენა ურჩევნია, – ეუბნება პოლი. – რად გვინდა ეგ უჟმური, ჩვენს თავს მივხედოთ...

– მოიცა, კაცო, ბიცოლაჩემმა მისი თავი ჩამაბარა... – უპასუხა ჯორჯმა, მერე ნიკთან მივიდა: – ნიკ, წამოდი, აქ კარგი ფრანგული კერძებია, მერე, თუ გინდა, წიგნების მაღაზიაში შევიაროთ...

ნიკმა სათვალე მოიხსნა:

– დავიღალე, თქვენ ახალგაზრდები ხართ...

– კარგი, მაშინ დაისვენე და მოგვიანებით ღამის კლუბში წავიდეთ... მე გპატიჟებ, ხომ წამოხვალ?

– არა!..

– კარგი ერთი!

– არ ვიცი!..

– ნიკ, ნიუ იორკში დროის გასატარებლად ჩამოვედით და...

– ჰო, კარგი, ვნახოთ!.. – წაიბურტყუნა ნიკმა და კედლისკენ გადაბრუნდა. – ოღონდ ახლა მომეშვი!..

ჯორჯმა ამოიხვნეშა, თავი გააქნია:

– კარგი, წავედით...

პოლმა სიგარეტს მოუკიდა, ზურგშექცეული ნიკისკენ დაიხარა და თამბაქოს ბოლი შეაფრქვია:

– დაიძინე, პატარა ბიჭიკო, სიზმარში ბევრი ლამაზი პეპლის ნახვა არ დაგავიწყდეს!..

28.

საღამოც დადგა.

– ნიკ, ღამის ბარში მივდივართ, – ახსენებს ჯორჯი.

– რა დამრჩენია იქ! – უგუნებოდ პასუხობს ნიკი და კედლისკენ გადაბრუნდება.

– ლოგინზე კოტრიალს და წიგნებით თვალების ამოღამებას შინაც მშვენივრად შეძლებდი, აქ ნიუ იორკია, საღამოს მაინც გავერთოთ! – არ ეშვება ჯორჯი. – ხომ თქვი, წავიდეთო, აგერ რამდენიმე საათის წინ არ იყო?

ნიკი ხმას არ სცემს.

– პოლ, ტყუილს ხომ არ ვამბობ? – ჯორჯმა პოლს შეხედა.

– ვერ ხედავ, მძორია, – ეუბნება პოლი.

– არა, კაცმა სიტყვა არ უნდა გატეხოს! – გადაჭრით ამბობს ჯორჯი და პოლს თვალს ჩაუკრავს...

ჯორჯი მივარდება ნიკს, წამოაგდებს ზეზე, პოლიც ეხმარება ამ კეთილშობილურ საქველმოქმედო აქციაში. კოლეჯის პროფესორი შეძლებისდაგვარად უძალიანდება, გაუვარდებათ მისტერ ნიკ ესპოზიტო ხელთაგან და დაეძნეყვება იატაკზე; იატაკი თუმცა ხალიჩითაა დაფარული, ფრიად შეაზანზარა ქვევით სართულის ჭერი...

იქაური მაცხოვრებლები მიიჭრებიან ფანჯარასთან – მიწისძვრა ხომ არ მოხდაო...

– გამიშვით, მოვდივარ, მოვდივარ!.. – ყვირის შეშინებული ნიკ ესპოზიტო, იმის თუ შეეშინდა, მეოცე სართულის ფანჯრიდან არ გადამაფრინონ ქვევითო, მე კი, სამწუხაროდ, პეპელა არ გახლავარო...

29.

ჩვენი გმირები გამოდიან სასტუმროდან, კარისკაცი ტაქსს გამოიძახებს.

– ტაქსი, ტაქსი! – გაგულისებულია ნიკი, – მთელ ფულს ტაქსში მივახარჯავთ! მეტროთი წავიდეთ, უფრო მალეც მივალთ და უსაფრთხოდაც!

– ნიკ, ნუ ჭიჭყინებ სამი წლის ჭირვეული ბავშვივით!

– ბავშვს რა მიგავს! – სწყინს ნიკს და მელოტზე ხელს გადაისვამს.

– შენ დიდი ბავშვი ხარ, თანაც ჭირვეული! თუ ბავშვი არ ხარ, დედაშენმა შენი თავი მე რატომ ჩამაბარა?

მოგრიალდა ტაქსი, კარისკაცმა კარი გამოაღო.

– არ მოვდივარ! – მართლაც თავნება ბავშვივით გაფშიკა ფეხი ნიკმა.

ჯორჯმა პოლს თვალი უყო, აქეთ-იქიდან ამოუდგნენ ნიკს, შებოჭეს ნიკი და ტომარასავით შეტენეს მანქანაში...

ზანგი კარისკაცი გაკვირვებული გააყოლებს მზერას წასულ მანქანას, შემდეგ ჯორჯის მიერ მიცემულ ათდოლარიანს დახედავს და ერთხელ კიდევ გააქნევს თავს.

30.

ჯორჯი, პოლი და ნიკი ღამის ბარში სხედან.

თამბაქოს ბოლით, ხმამაღალი მუსიკითა და ყაყანით გაჯერებული ატმოსფერო.

ნიკი გაბრუებული და გაოგნებულია ხმაურით, ფერადოვნებით, თითქმის შიშველი ლამაზი ქალიშვილების პოდიუმზე ვნებიანად კლაკვნით...

ჯორჯი და პოლი უკვეთავენ ძვირფას საჭმელებს და ბლომად, ნიკი უარის ნიშნად ხელებს იქნევს, არაფერი მინდაო.

– ნუ გერიდება, მე გპატიჟებ! – ეუბნება ჯორჯი, მაგრამ ვერაფრით დაიყოლიებს.

პოლი იცინის, ნიკს ჭიქაში თითქმის ძალათი ჩაუსხამს ვისკის.

მოვიდა ჯორჯის მეგობარი, ექიმი-გინეკოლოგი გუიდო. გადაეხვევა ჯორჯს, ჯორჯი აცნობს მას ნიკსა და პოლს, შემდეგ მიიპატიჟებს სუფრასთან, გვერდით მოისვამს.

პოლი ადგება, მაშინვე ვიღაც ქალიშვილს გაიწვევს საცეკვაოდ, ელაზღანდარება და მკერდზე იკრავს.

ჯორჯი კარგა ხანს რაღაცას ეჩურჩულება გუიდოს, მერე ნიკს ეუბნება:

– ნიკ, შეხედე, რამდენი ლამაზი ქალიშვილია, იცეკვე, გაერთე!

ნიკი არაფერს პასუხობს; დაბნეულია, არ არის მიჩვეული ასეთ გარემოს, თვალებგაფართოებული შესცქერის დარბაზის ორომტრიალს...

ჯორჯი ისევ ეჩურჩულება გუიდოს, გუიდო დროდადრო ნიკს გადახედავს, შემდეგ ჯორჯს ეუბნება:

– მე მგონი, ადექვატური რეაქცია აქვს, ნორმალური და ისღა დაგვრჩენია, საქმეში პრაქტიკულად გამოვცადოთ...

– როგორ? – ეკითხება ჯორჯი.

გუიდო მთელ დასტას ამოიღებს ქალების ფერადი ფოტოებისა, ჩუმად თითო-თითოს აჩვენებს ჯორჯს.

– სანდო გოგოებია, წესიერი, ეჭვი ნუ გექნება... ეს ჯეინია, "ჯადოქარი"...

ჯორჯი დასცქერის ფოტოს – ჯეინი: შავგვრემანი, მუქთვალება, გრძელი, მხრებზე ჩამოშლილი თმებით; ღიმილში უბრწყინავს ქათქათა კბილები...

– მართლა კარგია! – ამბობს ჯორჯი.

– ჰო, კარგია, მაგრამ ხუშტურები აქვს, მამაკაცი მკაცრად უნდა მოეპყრას, საკუთარი სიძლიერე უნდა აგრძნობინოს, ისე – აბუჩად აიგდებს... – პასუხობს გუიდო.

– არა, ნიკისთვის შეუფერებელი მეჩვენება... – ეჩურჩულება გუიდოს ჯორჯი. – ძალიან ბლაყვია, თორემ ასეთ დღეში ხომ არ ჩაგვაგდებდა. თუმცა, რა ვიცი... იქნებ სწორედ ასეთი გამოგვადგეს... ხუშტურები ნიკსაც თავზე საყრელი აქვს.

– ეს ქეითია – ცისფერთვალა. ძალიან მიმზიდველია, მაგრამ...

– ასეთ ქალს ყველაფერს ვაპატიებდი! – აღტაცებულია ჯორჯი. – ვგიჟდები ამგვარი ქერა ქალებისთვის!

– არა, სხვა რამე არ იფიქრო... – აგრძელებს გუიდო. – მეტისმეტად ფიცხია, კენტაკის გაუხედნავი კვიცივით! ამიტომაა, რომ უკვე სამი ქმარი გამოიცვალა. იცი, ერთხელ რა დღე დამაწია რაღაც წვრილმანისთვის! შეეწყობა ნიკს?

– ნიკი ლოქოს კი ჰგავს, მაგრამ ისიც საკმაოდ ფიცხია. ის გავიგოთ, რაც ჩვენ გვაინტერესებს და მერე თუნდაც სამუდამოდ დაშორდნენ, აღარ ვინაღვლებთ...

– სხვათა შორის, ნიკი საკმაო ინტერესით ათვალიერებს ქალებს, მე მგონი, სტრიპტიზის ნახვაზეც არ იტყვის უარს. ამ სურათზე აღბეჭდილ ქალბატონს, მილდრედს, რა შეფასებას მისცემ?

– არა უშავს, მეც არ დავიწუნებდი...

– ორმოცი წლისაა ეგ "ბებრუხუნა", მაგრამ, დამიჯერე, ბევრ მასზე ბევრად ახალგაზრდას აჯობებს. მიმზიდველი ქალია, შესანიშნავი მოსაუბრე, ერთი ნაკლი კი მაინც აქვს – მდიდრული ცხოვრების ტრფიალია: ძვირი რესტორანები, ძვირფასი საჩუქრები...

– ნიკი ხომ გაგიჟდა! – საკმაოდ ხმამაღლა წამოიძახა ჯორჯმა. – თუმცა არა, ოღონდ ჩვენ გამოგვადგეს და უკან არ დავიხევ, ერთ კარგ საჩუქარს მეც მივართმევ...

– რომ დაინტერესდეს ნიკი და გადმოგვხედოს, არ იფიქრებს, რა საიდუმლო საუბარი აქვთ, ალბათ ჩემზე ლაპარაკობენო... ბუნჩულა კაცს ჰგავს, ზის წყნარად თავისთვის... შენ რა მითხარი, ბიოლოგიას ასწავლის კოლეჯშიო?

– ჰო, პეპლებისა და ხოჭოების დევნამ გამოაშტერა, თორემ უჭკუო კაცი კი არ არის. – მერე ჯორჯი ნიკს მიუბრუნდა: – გაგიმარჯოს, ნიკ, მომიჭახუნე ჭიქა!

– ძალიან ხმაურია... – დაღლილი ხმით პასუხობს ნიკი.

– ხომ არ ნანობ, რომ წამოხვედი?

– არა...

– მაშინ მომიჭახუნე! – ასწია ჭიქა ჯორჯმა.

– მეც! – ჭიქას უჭახუნებს ნიკს გუიდოც. – ჩვენი გაცნობისა იყოს!

ნიკი მოწრუპავს ჭიქიდან ვისკის, თან სახეს დამანჭავს.

– ეგრე კი არა, ერთბაშად უნდა გადაუშვა! – მაგალითს აძლევს გუიდო.

ნიკის სათვალის შუშებიც კი დაბნეულად ირეკლავენ სხივებს, ხან ჯორჯს მიაჩერდება, ხან – გუიდოს.

– მიდი, მიდი! ჯერ ჩაისუნთქე! – ამხნევებს ჯორჯიც და ისიც გადაჰკრავს ვისკის.

ნიკი ერთს ამოიხვნეშებს და ჭიქას მოიყუდებს; შემდეგ ხველით დაოსდება, თითქოს იხრჩობაო.

ჯორჯი მივარდება, ზურგში ურტყამს ხელისგულს...

ნიკი მოსულიერდება, მძიმედ სუნთქავს; ამოიღო ცხვირსახოცი და თვალები ცრემლთაგან შეიმშრალა.

– ეგ არაფერი, – ამშვიდებს ჯორჯი, – აი, ეს მინერალური წყალი დააყოლე...

ნიკი უარის ნიშნად თავს აქნევს.

– მაშინ კიდევ დაგისხამ! – უვსებს ჭიქას ვისკით ჯორჯი.

– გაგიუდი?!.. – თვალები ლამის გადმოუცვივდეს ნიკს; მერე ნელ-ნელა მოეშვება და დიმილით იწყებს ყურებას ირგვლივ – ეტყობა, კუჭში სითბო იგრძნო და სასიამოვნო გაბრუებამ თავშიც ააღწია.

– როგორ ხარ? – ეკითხება ჯორჯი.

– კარგად! – პასუხობს ნიკი და მოულოდნელად ვისკის გადაჰკრავს.

გაკვირვებული ჯორჯი მაშინვე საჭმელს აწვდის:

– დააყოლე! გაამოს!

– ცოტა ხანში, ნახე, თუ პოლს პარტნერი არ წაართვას! – იცინის გუიდო.

– რომელი? – პასუხობს ჯორჯი. – უკვე მეოთხესთან ცეკვავს. მოდი, ჩვენს საქმეს დავუბრუნდეთ...

– კეთილი... – ყაბულსაა გუიდო და მორიგ სურათს აწვდის ჯორჯს: – სეიდი... თაფლივით გოგოა, დამყოლი. ეჰ, ჩემო სეიდი, ნეტავ ახლა აქ იყო, შენთან ურთიერთობა რა ადვილია და სასიამოვნო!

ჯორჯი დასცქერის ფოტოს, ტუჩებს აწკლაპუნებს:

– ანგელოზს ჰგავს!

– ჭეშმარიტად!.. – კვერს უკრავს გუიდო. – მხიარული გოგოცაა. სინამდვილეში რომ ნახავ, ბევრად უკეთესია, ოღონდ... ოღონდ ცოტა ქარაფშუტაა, კაჭკაჭივით კაკანებს, ერთ წამს არ გაჩერდება... ყოველ წუთს ახალი სისულელე უნდა წამოროშოს და ნიკი ამას აიტანს? სერიოზული კაცია, შენ თქვი, კოლეჯის პროფესორიაო...

– ნიკს სამეცნიერო დისპუტების გასამართავად კი არ გავაცნობთ! – პასუხობს ჯორჯი. – მთავარია, ლოგინში გაუგონ ერთმანეთს...

– კარგია! დიდი არჩევანის საშუალება გვაქვს, მოვსინჯოთ თითო-თითო... სანამ არ გავიგებთ პასუხს შენთვის საინტერესო კითხვაზე.

– მე კი არა, ბიცოლაჩემსა და ჩემს შინაბერა ბიძაშვილებს აინტერესებთ ეგ ამბავი... სამი კანდიდატი გვყავს და ერთმა რომ მაინც გაამართლოს... – ამბობს ჯორჯი.

– აგერ მეოთხეც ნახე... არა, შევცდი, ეს მეხუთეა – ანტუანეტ!

– მშვენიერია! სად იშოვე ასე უცებ ამდენი ტურფა? შენი პროფესიით ხომ არ სარგებლობ? – თვალს უკრავს ეშმაკურად ჯორჯი.

– მოიცა, კაცო... ანტუანეტ – პარიზიან! ფრანგული სახელიც ჰქვია და თვითონაც, მგონი, წინაპრები ფრანგები ჰყავდა. ნახე, რა დახვეწილი სახე აქვს!

– ეს სათვალეც უხდება, გაწონასწორებული ქალი ჩანს, ნამდვილი ინტელიგენტი – აი, ეს კი ნამდვილად შეეფერება! – აღტაცებულია ჯორჯი.

– დახვეწილი მანერები აქვს, პარიზულ თოჯინას ჰგავს!

– აქედან ხომ არ დაგვეწყო?

– შემიძლია, ახლავე დავურეკო...

– მართლა? აქ მოიყვან? – გახარებულია ჯორჯი.

– მომიცადე... – გუიდო მობილურ ტელეფონს ამოიღებს, ადგება და განზე გავა, თან ნომერს კრეფს.

31.

ანტუანეტ ლოგინში ნებივრობს კაცთან, ამ დროს ჩაირთვება მობილური ტელეფონის მუსიკა – ფრანგული მელოდია.

ანტუანეტ ყურადღებას არ აქცევს.

ფრანგული მელოდია ისევ და ისევ მეორდება.

ანტუანეტ უკმაყოფილოდ წასწვდება ტელეფონს, ჩართავს, ყურთან მიიდებს (თან საქმესაც არ ივიწყებს):

– ალო!

პოდიუმთან მისული გვიდო შიშველი ქალის კვანწვა-გრეხვას უყურებს, თან მობილური ტელეფონით ანტუანეტს ელაპარაკება:

– გუიდო ვარ, ჩემო საყვარელო!

– გისმენ, გუიდო!

– დამის კლუბში ვარ და ხომ არ მოხვიდოდი? კარგ დროს გავატარებდით!

– სასწრაფო საქმე მაქვს, სამწუხაროდ, ახლა ვერ შევძლებ... ვერაფრით...

– კარგი, მაშინ ხვალ?

– კარგი, ამ დროს დაგირეკავ...

32.

მეორე საღამოს სასტუმროს ნომერში ჯორჯი და პოლი ემზადებიან პაემანზე წასასვლელად, არიან ერთ ამბავში – კოხტაობენ, სარკის წინ ირჩევენ პერანგებს, ჰალსტუხებს; მხოლოდ ნიკი ზის მუდოსავით და ცხვირი წიგნში აქვს ჩაყოფილი.

– ნიკ, გვაგვიანდება! – მეათედ ეუბნება ჯორჯი და საათზე იხედება. – გუიდოს დავპირდი...

– დაანებე თავი, იყოს მის გემოზე, – აწყვეტინებს პოლი, – მის გარეშე უკეთეს დროს გავატარებთ...

– გუიდოს შენ არ დაუპატიჟიხარ! – საკმაოდ მკვახედ მიახლის ჯორჯი.

– მერე რა? – უდარდელად პასუხობს პოლი. – თუ ძალიან შეგაწუხებთ, ცალკე მაგიდასთან დავჯდები...

– მე მირჩევნია, გუშინ რომ ხუთ-ექვს გოგოს ეცეკვე და ეჭვიც არ მაქვს, ტელეფონის ნომრებიც გამოართვი, ერთ-ერთთან პაემანზე წაბრძანდე...

– რას გიშავებ? ძმაკაცობა ასეთი უნდა? – პოლი მუქ ჰალსტუხს ინასკვავს.

– სხვა დროს აგიხსნი... ახლა თუ ფული არ გაქვს, მითხარი და მოგცემ.

– კალათბურთელივით მოზვერია, თუ ფული არ აქვს, რა ჩვენი თავის სამტვრევია? – წამოხტება უცებ საწოლიდან ნიკი და პოლს მივარდება: – ეგ ჰალსტუხი საიდან გაქვს?

– მოგწონს? – კმაყოფილი იკრიჭება პოლი.

ნიკი ახლა ჯორჯთან მივიდა:

– ხედავ, ჯორჯ?

ჯორჯი თმას ივარცხნის, სარკეში იყურება:

– რა მოხდა?

– ჯორჯ, პოლმა ჰალსტუხი მომპარა!

– რომელი ჰალსტუხი? მეტი არ გაქვს? თუ გინდა, ჩემსას მოგცემ...

– არა, რას ამბობ, ჯორჯ, მამაჩემის ნაქონი ჰალსტუხია, ოჯახის რელიკვიაა! დედიკომ სასოებით ჩამაბარა, გაუფრთხილდიო... – ლამის ტირის ნიკი.

– გამოვართმევ, ოღონდ თუ დროულად გაემზადები!

– ახლავე ჩავიცმევ! – დაფაცურდა ნიკი. – ჰალსტუხის შეკვრა რომ არ ვიცი?

– პოლ, მორჩი მასხარაობას!.. – მიუბრუნდა ჯორჯი პოლს.

– მოვისინჯე, რა მოხდა ისეთი! – პასუხობს პოლი. – ეგ მაჩვი მაინც არ მოდის...

ჯორჯი უბღვერს:

– რა ორივე ჩემი თავის ტკივილი ხართ!

– ჰო, კარგი, ჩემი ხელით გავუკეთებ ნიკს, თუკი წამიყვანთ... – იკრიჭება პოლი.

– წაგიყვანთ, წაგიყვანთ, ოღონდ ქრისტიანულად ქენი საქმე, – ჩაიქნია ხელი ჯორჯმა. – მოვრჩეთ კინკლაობას, ნუ დავაგვიანებთ.

– ამ ადამის დროინდელ მოჟამულ ჰალსტუხს, ძალიანაც რომ მეხვეწო, მაინც არ გავიკეთებ... – ამბობს პოლი და ნიკს მიმართავს: – მოდი, ლამაზო, სწორედ რომ საშენოა!

– არა, არ მინდა, პოლს არ გავანასკვინებ! – აყვირდა ნიკი.

– აჰა, ერთ ადგილას გამოისვი! – მოიხსნის პოლი ჰალსტუხს და ნიკს ესვრის; ჰალსტუხს ჰაერში იჭერს ჯორჯი.

– რა შინაბერა ქალივით მიზეზიანობ!.. – პატარა ბავშვივით ტუქსავს ნიკს ჯორჯი. – სარკესთან მოდი და წყნარად დადექი! უყურე და ისწავლე, პროფესორო!

ჯორჯი ნიკს ჰალსტუხს უკეთებს, კმაყოფილი ნიკი სარკეში კოხტაობს, მელოტზე ხელს გადაისვამს, გამარჯვებული იერით გადახედავს პოლს..

– გიხდება ხომ იცი! – ატრიზავებს სარკესთან მისული პოლი, შემდეგ უცებ მაკრატლით ჰალსტუხს სანახევროდ შეაჭრის: – ასე კი უფრო ლამაზი იქნები!..

ლამის გაგიჟებული ნიკის გაფართოებული თვალები... ლოქოსავით უხმოდ აღებს პირს, მერე პოლისკენ გაექანება, მაგრამ ჯორჯი ჩადგება მათ შორის. ნიკი ისე მძლავრად დაეძგერება ჯორჯს, რომ მასაც და პოლსაც ორივეს იატაკზე გააგორებს. ისმის გრუხუნი – ამოყირავებული ავეჯი ზევიდან ემხობათ...

ქვემო სართულის ნომერში მდგმურნი შეშინებულნი შესცქერიან ჭერს...

33.

სამივენი ქუჩაში გამოდიან, ჯორჯი ტაქსს ეძებს.

– როგორ გაგიჟებული კამეჩივით დაგვეტაკე, შემთხვევით ახალგაზრდობაში ფეხბურთს ხომ არ თამაშობდი? – ექილიკება ნიკს პოლი.

– სათვალის დამტვრევის მაინც არ შეგეშინდა? – ამატებს ჯორჯი.

ნიკი ახედავს აყლაყუდა პოლს, მის ყოველთვის მოღუშულ სახეს მოულოდნელი ღიმილი ანათებს, – პოლს მარცხენა თვალთან ყვრიმალი ჩალურჯებული აქვს, – მერე ჯორჯს მიუბრუნდება:

– მეტროთი ჯობს, მილიონერი ხომ არ ხარ! – ეუბნება უკვე გაზეპირებულ ფრაზას.

ჯორჯი ხმას არ სცემს, ცდილობს, ყოველთვის ნიკსა და პოლს შორის იდგეს.

– რაში ფლანგავ მამაშენის ოფლით ნაშოვნ ფულს? – ეჯიჯღინება ისევ ნიკი.

– შენ რა გადარდებს, მე ვიხდი! – ასევე ჩვეულად იგერიებს ნიკს ჯორჯი.

– ხომ ხედავ, როგორი გადაჭედილია ქუჩა, მეტროთი უფრო ადრე მივალთ... – არ ეშვება ნიკი.

ჯორჯი ტაქსს აჩერებს, კარს გამოაღებს.

– არ მოვდივარ! – აცხადებს ნიკი.

ჯორჯი პოლს თვალს ჩაუკრავს.

– არა, არა! – ასავსავებს ხელებს ნიკი, – აქაც ჭიდაობას დაგვიწყებს!

– არ ჩაჯდები, ნიკ? – შეფიქრიანებულია ჯორჯი, მერე ტაქსის კარს მიაჯახუნებს: – კარგი, ჯანდაბას შენი თავი, მეტროთი წავიდეთ...

34.

მეტროთი მიემგზავრებიან.

ნიკი გვერდზე მჯდომ პატარა ბიჭს გაუღიმებს, ჯიბიდან პეპლების საველე სარკვევს ამოიღებს, გადაშლის და აჩვენებს.

ბიჭი დაინტერესებულია:

– რამდენნაირი პეპელაა!..

– მოგწონს? მოიცა, ლამაზ პეპელას გაჩვენებ... აი, მაგალითად, ამ ნახატზე ხედავ პეპელას, რომელსაც ლათინურად უწოდებენ ვანესა ატალანტას...

– ძალიან ლამაზია!

– თუ გინდა, გაჩუქებ!

ბიჭი უხერხულად შეიშმუშნება.

– აიღე, აიღე, ნუ გრცხვენია! – აწვდის წიგნს ნიკი.

ბიჭი გამოართმევს, ნიკი თავზე გადაუსვამს ხელს:

– ჭკვიანი ბიჭი ჩანხარ!

უცებ ბავშვის დედა გამოღლეტს შვილს წიგნს და, გაბრაზებული, ნიკს დაუბრუნებს, ხელზე დაარტყამს:

– გასწი იქით ხელი, შე გაფუჭებულო!

დაბნეული ნიკი წამოდგება ფეხზე:

– ბოდიშს ვიხდი, მისიზ... – მხრებს იჩეჩს ნიკი.

ქალი ხელს მოჰკიდებს ბავშვს, წამოაყენებს და თვითონაც წამოდგება.

ნიკი განცვიფრებული უყურებს ქალბატონს – წამოიმართება, წამოიმართება და ნიკზე ორი თავით მაღალი აღმოჩნდება! პეპლების სპეციალისტს – ლეპიდოპტეროლოგს – არ უნდა გაკვირვებოდა ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ქალბატონის მეტამორფოზა!

– მაპატიეთ! – წამოხტა სკამიდან ესოდენ ახოვანი ბანოვანით მოხიბლული პოლი. – მისიზ, გარწმუნებთ, ჩემს მეგობარს ცუდი განზრახვა არ ჰქონია!

ქალმა პოლს შეხედა, მისი სახე ოდნავ მოლბა, – პოლი მასზე ოდნავ მაღალი იყო, – ეტყობა, მოეწონა.

ეს გარემოება არ გამოჰპარვია პოლის გავარჯიშებულ მზერას, მაშინვე შემდეგი სვლა გააკეთა:

– თქვენი შვილი გონიერი ბიჭუნა ჩანს, მისტერ ნიკ ესპოზიტოს მიერ ნაჩუქარი წიგნი მოეწონა... ნება მიეცით, დაიტოვოს...

– ჩემს ვაჟიშვილსაც ნიკი ჰქვია, – კიდევ უფრო დაწყნარდა ქალი. – დიდი სიამოვნებით... ბოდიშს გიხდით, მისტერ ესპოზიტო!.. ბავშვს მამა არ ჰყავს და სულ მეშინია, ვინმემ არ დაჩაგროს...

– არაფერია, არაფერი... – ბურტყუნებს ნიკი და ქალს აწვდის წიგნს. – კარგს იზამთ, თუ თქვენს შვილს ბუნების ისტორიის მუზეუმში წაიყვანთ... იქ ბევრ საინტერესოს რასმე ნახავთ...

– აუცილებლად, ახლა არდადეგები აქვს... თქვენ ხომ არ აპირებთ მუზეუმის მონახულებას? ჩვენ ახლა ჩავდივართ, აი ჩემი სავიზიტო ბარათი...

– მისიზ სუზანა გრინი, – წაიკითხა ნიკმა ჩამორთმეულ ბარათზე.

– დამიძახეთ უბრალოდ სიუ... დამირეკეთ... მადლობთ... – გამომშვიდობებისას უღიმის ნიკს ქალბატონი.

35.

ჯორჯი, პოლი და ნიკი ერთ-ერთ იტალიურ რესტორანში სუფრასთან სხედან.

ჯორჯი მოუთმენლად წამდაუწუმ იცქირება საათზე, პოლი აქეთ-იქით იხედება – ლამაზ ქალბატონებს ათვალიერებს, ნიკი მოქუფრული დასცქერის მაგიდას.

ჯორჯი მენიუს წიგნაკს აწვდის ნიკს:

– ამოირჩიე, ნახე, რა ძვირფასი კერძებია!

ნიკი ცხვირს იბზუებს:

– ჩემი დედიკო რომ იტალიურ კერძებს აკეთებს, აქ არც დაესიზმრებათ!

– მერე, ახლა აქ სად მოგიყვანო ბიცოლაჩემი? – ებურდღუნება ჯორჯი; უკვე ნანობს, სახათაბალო საქმეს რომ დათანხმდა.

– ნიკ, მართალია, იტალიელი არ ვარ, მაგრამ თქვენებური კერძები მეც ძალიან მიყვარს; თუ დედაშენი ასეთი სანაქებო მზარეულია, რატომ ერთხელ მაინც არ დამპატიჟე შენთან შინ? – ლაქლაქებს პოლი.

ნიკი ამრეზით შეხედავს, არაფერს ეტყვის.

– ნეტავ რატომ აგვიანებს გუიდო? – წუხს ჯორჯი. – ერთ ინტელექტუალ ქალბატონთან ერთად უნდა მოვიდეს...

– ნამეტანი ჭკვიანი და განათლებული ქალბატონი ნიკისთვის დაგვითმია! – იცინის პოლი. – მე სავსებით მაკმაყოფილებს, თუკი ქალს დახვეწილი და სავსე ფორმები ექნება! თუმცა, ნიკმა დღეს მეტროში მაგრად ივაჟკაცა, არ ველოდი! ალბათ წინათგრძნობა ჰქონდა, რომ ბედაურ ქალს გადაეყრებოდა და იმიტომ აიჩემა – მეტროთი წავიდეთო... ნიკ, იმ დინოზავრივით ქალს რა ჰქვია? იცოდე, კიბის მიდგმა დაგჭირდება, ჯობს, მე დამითმო! კარგად შეინახე მისი სავიზიტო ბარათი, თორემ მოგპარავ!

– შენგან მოპარვა არ გამიკვირდება, – ბურტყუნებს ნიკი და მკერდზე ხელს მიიდებს – ჰალსტუხი არ უკეთია.

როგორც იქნა, მოვიდა გუიდოც, თან მოიყვანა სათვალიანი, ქერა, ტანკენარი მზეთუნახავი.

ჯორჯი და პოლი ფიცხლად წამოხტნენ ფეხზე, ნიკი ზანტად წამოიზლაზნა.

– ანტუანეტ! – სათითაოდ ჩამოართვა კაცებს ხელი ქალბატონმა. ყურადღებით მიმოატარა მზერა კაცებზე, შემდეგ უბოდიშოდ დასკუპდა პოლის გვერდით.

გვიდომ და ჯორჯმა ერთმანეთს გადახედეს.

გახალისებულმა პოლმა მაშინვე შუშხუნა ღვინის ბოთლი გახსნა:

– მის ანტუანეტს ფრანგული შამპანური უფრო მოუხდებოდა, მაგრამ ამჯერად იტალიურ რესტორანში ვართ და ეგ სასიამოვნო პროცედურა შემდეგისთვის გადავდოთ...

– როგორ მიხვდით, პოლ, მე მართლაც ვგიჟდები ფრანგულ სამზარეულოზე!

– რომელი ფრანგული რესტორანები მიგაჩნიათ ყველაზე უკეთესად? – დიდი ფინანსისტივით იჭიმება პოლი.

– ყველა კარგია, მაგრამ რამდენიმე მაინც გამოირჩევა: “ბაროკ”, “შამბორ”, “შატობრიან”, “პავიიონ”, “ქუო ვადის”... კიდევ სამი-ოთხია, მაგრამ საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა იქ სტუმრობა.

– იცით, მის, “ქუო ვადის” რას ნიშნავს? – ეკითხება ანტუანეტს ნიკი.

– ძალიან საინტერესოა, მაგრამ მე, სამწუხაროდ, არ ვიცი! – უმიზეზოდ კისკისებს ანტუანეტ, ეტყობა, სასიამოვნო სასმელმა უკვე საკმაოდ შეუღიტინა თავში.

– ვიდრე ჰხვალ! – საზეიმოდ აცხადებს ნიკი. – საინტერესოა, რატომ დაარქვეს ფრანგულ რესტორანს ამგვარი სახელი?

ჯორჯი წამიერი აღტყინებით ავანტიურულ გადაწყვეტილებას იღებს და ქალბატონისკენ ღიმილით დაიხრება:

– მის ანტუანეტ, აქ მყოფთაგან თითოეული დიდ ბედნიერებად ჩათვლიდა, თუკი ეღირსებოდა, თქვენთან ერთად მყუდრო გარემოში ერთ-ერთ ამ ძვირფას რესტორანში გაეტარებინა დრო...

– დიდი სიამოვნებით... – კეკლუცად ამბობს ანტუანეტ, თან ჯორჯს უჟუჟუნებს თვალებს – კაცმა რომ თქვას, არც ეს შავგვრემანი ელეგანტური მამაკაცი არის რაიმეთი პოლზე ნაკლები.

– მადლობას მოგახსენებთ, მის ანტუანეტ, ჩვენში ყველაზე განათლებული მისტერ ნიკია, რაშიც თვალნათლივ დარწმუნდით, – მიუთითა ნიკზე ჯორჯმა, – და მასთან ინტელექტუალური საუბრებით ჭეშმარიტად ნასიამოვნები დარჩებით. შესაძლოა, ცოტა იტალიური და ლათინურიც კი ისწავლოთ... ამასთანავე, იგი სხვა, არანაკლებ ძვირფასი ადამიანური თვისებებითაა შემკული, რაშიც თქვენ, იმედია, პირადად დარწმუნდებით...

– დიდად დავალებული ვიქნები... – თავი დახარა ანტუანეტმა, თუმცა მისი ხმის კილოში ცუდად შენიღბული გულაცრუება იგრძნობოდა; გუიდოსგან კი იყო გაფრთხილებული, მაგრამ ნიკი რომ ახლოსაც ვერ მივიდოდა ჯორჯთანაც და პოლთანაც, ცხადი იყო.

ნიკმა განცვიფრებისგან პირი დააღო, აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო; ჯორჯმა ფეხზე ფეხი დაადგა და კბილებში წაუსისინა:

– უთხარი რაიმე კომპლიმენტი, შე რეგვენო...

– შენ უთხარი... – ნიკი აშკარად დამფრთხალი ჩანს.

– რესტორანის და ტაქსის ფულს მე მოგცემ, ოღონდ ნუ ჩამაგდებ უხერხულ მდგომარეობაში... – ახლა უკვე საკმაოდ მტკივნეულად თითქმის დაარტყა ნიკს ფეხზე ფეხი.

– მე გაგდებ უხერხულ მდგომარეობაში თუ შენ მე?!. – ლამის იყვირა ნიკმა.

– ო, მომწონს იტალიური ტემპერამენტი! – სცადა დაძაბული მდგომარეობის განმუხტვა ანტუანეტმა.

– დიახ, მის! – ღიმილში ლამის დადნა ჯორჯი, თან ისე გამეტებით კვლავ დააბიჯა ფეხი ნიკს, რომ გამწარებულმა ნიკმა წამოიყვირა:

– ვაი! – შემდეგ მარცხენა ფეხსაცმელი მარჯვენის დახმარებით გაიძრო, დაიხარა და დაიწყო ხელით ტერფის დაზელა.

– რა დაგემართა, ნიკ? – ეკითხება მზრუნველი ხმით ჯორჯი, მერე ნიკისკენ დაიხრება და სულ სხვა სახის გამომეტყველებით, გაბრაზებული, უჩურჩულებს: – მე შენ ხელს გიწყობ, შენ კი რას შვრები?

– წადი შენი... – შეუკურთხებს ნიკი.

ჯორჯი განცვიფრებისგან თვალებს დააჭყეტს, მერე, ბიძაშვილისთვის მოულოდნელად, გაეცინება: ყოჩაღ, ნიკი მამაკაცურ თვისებებს ამჟღავნებს! და ხელს მეგობრულად მოუთათუნებს მხარზე.

ნიკი გახდილ ფეხსაცმელს ეძებს – ფეხით მოაფათურებს, კიდევ უფრო შორს მიდენის ფეხსაცმელს და მერე საერთოდ ჰკარგავს; იძულებულია, დაიხაროს, თითქმის შეძვრეს მაგიდის ქვეშ... იპოვის ფეხსაცმელს, იცმევს და, ძალაუნებურად, მეორე აღმოჩენასაც აკეთებს: პოლი გვერდით მჯდომი ანტუანეტის ბარძაყს ნაზად ეალერსება...

ნიკი გაიმართა, მზერა მიაჯაჭვა საკუთარ თეფშს, აწვალებს ჩანგალს...

– ნიკ, შეხედე, ანტუანეტ შენგან მოელის, რომ საცეკვაოდ გაიწვევ! – ეუბნება ჯორჯი.

– ვხედავ! – პასუხობს ნიკი და კიდევ უფრო ხრის თავს.

– მერე, რაღას უცდი?!.

– ცეკვა არ ვიცი... – აწითლებული, გაოფლიანებული ნიკი დიდ ცხვირსახოცს ამოიღებს და სახესა და მელოტზე ისვამს.

– ადექი, ქალს ნუ გააწბილებ, ვერ ხედავ...

– დამანებე თავი! – უღრენს ნიკი.

სანამ ნიკი და ჯორჯი ერთმანეთში კამათობდნენ, პოლმა ანტუანეტ საცეკვაოდ გაიწვია:

– ერთი ტური ხომ არ დავტრიალებულიყავით?

ანტუანეტ მაშინვე წამოხტა:

– დიდი სიამოვნებით!

გუიდო თვალებს უბრიალებს ანტუანეტს, მაგრამ სულ ტყუილად – ქალი მხოლოდ დამცინავად გაუღიმებს.

ანტუანეტ და პოლი ცეკვავენ და თან მხიარულად საუბრობენ.

ჯორჯი კბილებს აღრჭიალებს, გუიდოს საყვედურობს:

– "დიდი სიამოვნებით!" ეს ვინ მოიყვანე ჩემი ნერვების მოსაშლელად...

გუიდო არ რჩება ვალში:

– შენ შენი მეგობრისთვის ვერ მოგივლია და მე რა ვქნა?..

ჯორჯი ვერაფერს პასუხობს, სიძულვილით გასცქერის მხიარულების მორევში მოტრიალე პოლს.

– ქალების ამბავი ხომ იცი... – ცდილობს ჯორჯის დამშვიდებას გუიდო. – ცოტა მოიცადე, ანტუანეტ გაერთობა და ცეკვის შემდეგ ჭკუას დავარიგებ... ყველაფერი მოგვარდება. შენ ოღონდ შენს ბიძაშვილს მიხედე, ცხვირი მეტისმეტად ჩამოუშვია.

– რა დაგემართა, ნიკ, ხომ არ ეჭვიანობ? – ეკითხება ჯორჯი ნიკს. – პეპელა კი გაგიფრინდა, მაგრამ არა უშავს, მალე ისევ უკან მოფრინდება, დარდი ნუ გაქვს.

ნიკის მჟავე სიფათზე მოულოდნელად სარკაზმული ღიმილი გაიშლება:

– რომელ პეპელაზე მეუბნები, ჯორჯ?

ჯორჯი გაიხედავს – სადღაა ანტუანეტ! არც პოლი ჩანს – ერთად აორთქლდნენ დარბაზიდან!

ჯორჯი გუიდოს ეჩურჩულება:

– ახლა რაღა ვქნათ?

გვიდო საჭმელ-სასმელს მიაგებს ღირსეულ პატივს – ასეთი დონის რესტორანში სხვა დროს როდის მოუწევს ლხინი, თანაც სხვის ხარჯზე! პირგამოტენილი თავს აქნევს, კითხულობს:

– რამ შეგაწუხა?

– შენი კახპა და ჩემი ძვირფასი მეგობარი ერთად გაიპარნენ! – ამოიხვნეშებს ჯორჯი და იმეორებს: – ახლა რაღა ვქნათ?

– მოიცა, რაღაცას მოვიფიქრებ... – ენერგიულად ამუშავებს ყბებს გუიდო, ღვინოს მოსვამს და ჯორჯისკენ გადაიხრება: – მარაგში სხვა ქალბატონებიც ხომ გვყავს... ერთ-ერთს ხომ არ დავურეკო?

ჯორჯი ხელს უიმედოდ ჩაიქნევს – რაც გინდა, ის ქენიო.

გუიდო მობილურ ტელეფონს იღებს, რეკავს.

კარგა ხანს ვიღაცას ელაპარაკება, ბოლოს, ეტყობა, დაარწმუნებს მოსაუბრეს, გამორთავს ტელეფონს და ჯორჯს თვალს ჩაუკრავს – მოვაგვარე საქმეო; შემდეგ გაცხარებული ისევ შეიჭრება სუფრის საბრძოლო ველზე.

ჯორჯი ცდილობს, გაართოს ნიკი, ღვინოს დაუსხამს:

– დალიე, ნიკ, ცოტა ხანში ფრთები გამოგებმება და შენი საყვარელი პეპლებივით აფარფატდები ჰაერში – დიდი, შავი პეპელა, დიდი, მბრწყინავი მელოტით, ჰა-ჰა-ჰა! – ჯორჯი წარუმატებლობას თვითონაც ღვინოში ახრჩობს და უკვე საკმაოდ შემთვრალი ჩანს.

– ჩვენს საქმეს გაუმარჯოს, ყველა წამოწყება კეთილად დასრულებულიყოს! – ნიკისკენ სავსე ჭიქას იწვდის გუიდოც.

– აბა, ნიკ, გვაჩვენე შენი ვაჟკაცური ხასიათი! – ჯორჯი ასწევს ჭიქას.

ნიკი მიუჭახუნებს ორივეს თავის ჭიქას, მოსვამს, ესიამოვნება, ბოლომდე გადაჰკრავს.

დადარაჯებული ჯორჯი კვლავ შეუვსებს ჭიქას.

უცებ გუიდო წამოიჭრება და რესტორანის შესასვლელისკენ გარბის.

მოკლე ხანში უკანვე ბრუნდება, გვერდით უდგას მომხიბლავი ნორჩი ქალბატონი.

– ეს სეიდია, ჩემი მეგობარი, იგი ჩვენს სუფრას დაამშვენებს, წინააღმდეგი ხომ არ იქნებით? – წარადგინა გვიდომ ქალიშვილი.

ჯორჯი წამოხტა, სეიდის ხელი ჩამოართვა.

ნიკი წამოიზლაზნა, ქალიშვილს მოწიწებით ემთხვია ხელზე:

– ფრიად მოხარული ვარ!

ჯორჯი და გუიდო პირდაღებულნი მისჩერებიან ამ სცენას.

გუიდო სეიდის ანიშნებს, მაგ თავმოტვლეპილის გვერდზე დაჯექიო.

– ყოჩაღ, ნიკ! – გახარებულია ჯორჯი, – მოდი, ამ მომხიბლავი სტუმრის სადღეგრძელო დავლიოთ! – მიუჭახუნებს ჭიქას ნიკსა და გუიდოს.

– სიამოვნებით! – ამბობს ნიკი, ჭიქის აწევით გაუღიმებს სეიდის და უცებ გადაჰკრავს.

ყველანი დალევენ, მათ შორის – სეიდიც.

– მომეწონა, შეიძლება კიდევ დავისხა? – მომხიბლავი ღიმილით კითხულობს სეიდი.

ჯორჯი ნიკს იდაყვს წაჰკრავს:

– რაღას უყურებ, ქალბატონს მოემსახურე!

ნიკი სეიდის ჭიქას შეავსებს, შემდეგ – საკუთარს.

სულ უფრო უტკბება აქ ყოფნა, ერთთავად ღიმილი დასთამაშებს სახეზე; ხალისით სვამს, არც ჭამას იკლებს.

ჯორჯი და გუიდო ერთმანეთს თვალებით და მიმიკით ანიშნებენ, მშვენივრად მიდის საქმეო. გუიდო სეიდის მიანიშნებს, არ მოგვიწყინო შენს გვერდით მჯდომი ნიკიო.

სეიდიც სულ უფრო მხიარულად გრძნობს თავს, ნიკს ეტიკეტიკებს:

– ნიკ, თქვენ იტალიელი ბრძანდებით, მე კი ძალიან მიყვარს იტალიური სიმღერები...

– სამწუხაროდ, მე მომღერალი კი არა, ბიოლოგი, უკეთ რომ ვთქვა, ლეპიდოპტეროლოგი გახლავართ... – პასუხობს ნიკი. – თუმცა, სიმღერა მეც ძალიან მიყვარს.

– ამტკიცებენ, მსოფლიოში იტალიელების ბადალი ხმები არ მოიპოვებაო, – აგრძელებს საუბარს სეიდი. – როგორ შეიძლება, საერთოდ არ შეგეძლოთ სიმღერა? გთხოვთ, წაიღიღინოთ მაინც, სამაგიეროდ, დაგასაჩუქრებთ...

ნიკი გაიბადრება, სეიდის ჭიქას მიუჭახუნებს:

– რით?

– კოცნით! – სეიდის მაგივრად წამოიძახებს ჯორჯი.

ნიკი ჭიქას გამოსცლის, ტუჩებს ხელსახოცით მოიწმენდს, წამოდგება, საგანგებოდ ჩაახვევლებს და მოულოდნელად ძლიერი, გამყივანი ხმით დასჭექს:

– **O, sole mio!..**

დარბაზში მყოფთა თავები ნიკისგან მოტრიალდება.

ნიკი თვალებდახუჭული მღერის, მართალია, სახელგანთქმულ მომღერლებს ვერ შეეჯიბრება, მაგრამ მოყვარულისთვის საკმაოდ დამაკმაყოფილებლად სძლევს ვოკალურად.

ჯორჯი განცვიფრებულია, გუიდოს ეუბნება:

– ნიკის სიმღერა პირველად მესმის! ნახე, სეიდიც როგორ უყურებს!

– ჯორჯ, საქმე გაჩარხულია, ახლა დროზე გავაცილებინოთ ნიკს სეიდი. ჩვენ რაც შევძელით, გავაკეთეთ და აწი ნიკზეა ყველაფერი დამოკიდებული, სეიდის იმედი მაქვს.

– გადასარევი გოგოა, ლამის მე დავითრიო... – ჩურჩულით ეუბნება ჯორჯი, შემდეგ ფეხზე დგება და სხვებთან ერთად ჭიქის მიჭახუნებით მადლობას უხდის ნიკს: – დააგვიანე, ძმაო, შენ მომღერალი უნდა გამოსულიყავი!

– ჭეშმარიტად! – კვერს უკრავენ სეიდი და გუიდო და ყველანი ერთად სვამენ.

– შენ ცეკვაც ცეცხლოვანი გეცოდინება! – ეუბნება სეიდი ნიკს და დარბაზის შუაგულისკენ ეპატიჟება.

ნიკი წამოდგება, მთლად მყარად ვერ დგას ფეხზე, მაგრამ სეიდის მაინც ჩაჰკიდებს ხელს და საცეკვაოდ გაჰყავს.

რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ ნიკი დაბანცალდება და რომ ჯორჯი არა, რომელიც ფხიზლად ადევნებს თვალს და დროულად შეაშველებს ხელს, წაიქცეოდა კიდეც.

ჯორჯმა ნიკი სუფრასთან დააბრუნა, ასევე დროულად გამოართვა სავსე ჭიქა, რომელიც ნიკს უკვე პირთან მიჰქონდა და გუიდოს თვალი ჩაუპაჭუნა.

გუიდო სეიდის მიმართავს:

– ჩემო კარგო, დრო ხომ არ არის, შინ დაბრუნდე? მისტერ ესპოზიტო ალბათ არ დაზარდება და მიგაცილებს...

ნიკი ძალიან კარგ გუნებაზეა; ხელში სავსე ჭიქა უჭირავს, უნდა, ახალი სიმღერა წამოიწყოს, მაგრამ ჯორჯი გააჩერებს:

– ნიკ, საკმარისად ვიმხიარულეთ, ახლა ერთი, მე მგონი, ძალიან სასიამოვნო მისია უნდა შეასრულო...

– ვიმღერო?.. – პასუხობს ნიკი, – თუ ვიცეკვო? მე ორივესთვის მზად ვარ!

– არა, ნიკ, ბევრად უკეთესი რამ... ქალბატონს ერთი თხოვნა უნდა შეუსრულო...

– დიახ, ნიკ, ჩემი წასვლის დროა და ხომ ვერ გამაცილებდით? – უღიმის სეიდი.

– დიდი, დიდი სიამოვნებით.. – პასუხობს ნიკი.

ყველანი წამოიშლებიან, ჯორჯი ნიკს ჯიბეში უკუჭავს ფულს:

– აბა, შენ იცი, არ შემარცხვინო!

ნიკი ხელს ხვევს ჯორჯს, აკოცებს და ეუბნება:

– ძვირფასო, ხომ იცი, რა მაგარი ვარ!..

36.

გუიდოს ჯორჯი თავისი მანქანით მიჰყავს სასტუმროში.

ჯორჯი კმაყოფილია:

– მადლობელი ვარ, მე მგონი, ყველაფერი ბრწყინვალედ გამოვიდა.

– მადლობის თქმა ჯერ ადრეა, ცოტა მოვიცადოთ და მერე გექნება მოსალოცად საქმე, – პასუხობს გუიდო.

– უკვე ეჭვი არ მეპარება წარმატებაში! – აღფრთოვანებულია ჯორჯი. – ეგ პეპლების მადევარი ბებერი მაიმუნი შინ დავაბრუნოთ, ჩვენ კი აქ ვიგრიალოთ, სანამ ფული გვეყოფა!.. არა, სეიდი სად იშოვე, კაცო!.. ანგელოზსაც შეაცდენს! შენც რა მაგარი ხარ! პოლი კი გადაგვეღობა გზაზე, მაგრამ, მგონი, საბოლოოდ უკეთესი ვარიანტი გათამაშდა.

– სეიდი ძალიან მხიარულია და კეთილი. ცოტა ცერცეტი რომ არ იყოს, ცოტა ჭკუაც რომ გაემეტებინა მისთვის ღმერთს, ცოლადაც არ დაიწუნებდა კაცი.

მივიდნენ სასტუმროსთან.

– ავიდეთ ნომერში, საბოლოოდ დავრწმუნდეთ, რომ ოპერაცია წარმატებით დასრულდა, – ეპატიჟება ჯორჯი.

– კარგი, ოღონდ სასმელი არ დამანახო. ძალიან ვიკავებდი თავს, მაგრამ მაინც ზედმეტი მომივიდა.

– შენზე ბევრად მეტი მიირთვა ნიკმა, მაგრამ მაინც ტახივით იყო. ვინ ყოფილა ეს პეპლებზე მონადირე, ჰა? თურმე კარგად არ ვიცნობდი!

– მართლა მაგარი ბიჭი ჩანს!..

37.

ჯორჯი და გუიდო ნომერში სავარძლებში სხედან და ტელევიზორს უყურებენ.
– სად არიან ამდენ ხანს? – წუხს ჯორჯი.
– არც პოლი ჩანს...
– პოლი ჯანდაბაშიც წასულა, ნიკი კარგა ხნის მოსული უნდა იყოს.
– უკეთეს ადგილას სად წავა, გვერდით სეიდი უწევს!
რეკავს გუიდოს მობილური ტელეფონი.
– ალო!
– მისტერ კურჩი, სად ხართ? – კითხულობს შეწუხებული ხმით სეიდი.
– სასტუმროს ნომერში ვარ ჯორჯთან, ნიკს ველით... შენ სად ხარ?
– აქვე ვართ სასტუმროს შესასვლელში... ტაქსის შოფრის დახმარებით კი მოვახერხე და გადმოვათრიე მანქანიდან, მაგრამ...
– ნიკი?.. რა მოუვიდა? ხომ კარგადაა?
– ისეთი გალეწილი მთვრალია, თვითონ არ იცის, რას შვრება... კარისკაცს ჩხუბი აუტეხა... სადაცაა პოლიციას გამოუძახებენ, დროზე მიშველეთ!
– მოვდივართ! – გამორთავს ტელეფონს გუიდო, შემდეგ ჯორჯს ეუბნება: – სასწრაფოდ ქვევით ჩავიდეთ, ნიკს კარისკაცი უცემია!..

38.

შემდეგი დღის დილა.
ჯორჯი გაიღვიძებს; მეორე საწოლზე ნიკი ისე ბარაქიანად ხვრინავს, რომ ჯორჯს სახე ემანჭება.
ადგება, გაივლის-გამოივლის, ხედავს – პოლის საწოლი ცარიელია.
კეფას მოიფხანს, შემდეგ ტელეფონზე დარეკავს.
– გუიდო, დილა მშვიდობისა!
– გამარჯობა, ჯორჯ, როგორ ხარ?
– არც ისე კარგად...
– ჰო, ალბათ თავი გტკივა გუშინდლის შემდეგ... – იცინის გუიდო.
– ღვინომ კი არ მაწყინა, ჩემი თავის სატკივარი აგერ საწოლში ხვრინავს... სეიდის ხომ არაფერი უთქვამს შენთვის?
– არა, რა უნდა ეთქვა?
– რა და...
– ჰო, მივხვდი! როგორც ჩანს, საკითხი გადაუწყვეტელი დარჩა... ეტყობა, ნიკი საერთოდ არ სვამს და გუშინ კი ზედმეტი დოზა მიიღო, საერთოდ გამოითიშა. შენ მაინც გამოჰკითხე ნიკს, იქნებ მე ვცდები.
– არა მგონია... ახლა რა ვქნათ? ისევ რესტორანში შევხვდეთ?
– ნიკი ღვინოს ერთი კვირა მაინც აღარ გაეკარება, რაღაც ახალი უნდა მოვიგონოთ... რა პრობლემაა ისეთი, ქალაქში გაიარ-გამოიარეთ, შენ რომ გინდა, იმნაირ ქალებს ათასობით იშოვი... ნებისმიერ სურვილს დაგიკმაყოფილებენ.
– ქუჩის მეძავს როგორ ვენდო? მერე შენ იძლევი გარანტიას, რომ არცთუ სასიამოვნო სიურპრიზით დასაჩუქრებული არ დავრჩებით?
– კარგი, სხვა რამე მოვიფიქროთ... ერთ საათში დაგირეკავ.
– მანამდე მე ნიკს დაველაპარაკები, – ისევ კეფას იფხანს ჯორჯი.
– პოლს ჩემი მოკითხვა გადაეცი და წარმატება მიულოცე... ჰო, როგორ არის?
– ხუმრობის გუნებაზე ხარ? ნეტავი შენ, სულ ფეხებზე გკიდია ყველაფერი... ჯერ არ მოსულა ის ნაბიჭვარი. კარგი, შენს ზარს ველი.

39.

– მოიფიქრე რამე? – ეკითხება ტელეფონით ჯორჯი გუიდოს.
– ჯერ არაფერი, სხვა საქმე მაქვს. ნიკს ელაპარაკე?
– ჰო, მაგრამ ვერაფერს იხსენებს... ცხადია ყველაფერი...
– გულს ნუ გაიტეხავ, ყველაფერი მოგვარდება.
– იცი, რა გამიკვირდა? მშვენიერ გუნებაზეა, არც თავი სტკივა.
– იქნებ ისევ რესტორანის ვარიანტი დავაბრუნოთ?

– სხვა მაინც არაფერი გვაქვს... ამ პოლს რა ვუყო, არ ვიცი... ვერაფრით ვიცილებ და მეშინია, ისევ არ გაგვიფუჭოს საქმე.

– ეგ პრობლემა ადვილი მოსავლელია! – იცინის გუიდო.

– როგორ?

– ელემენტარულად. ბოლოს და ბოლოს, ორ ქალს მოვიყვან! ერთს თუ პოლი დაითრევს, მეორე ხომ დარჩება...

– ჰო, გენიოსი ხარ, გუიდო!

– ოღონდ ის მეორე შენ არ უნდა დაითრიო!

– მაგარი ხუმარა ხარ, გვიდო, იქნებ მესამე გოგოც მოგეძებნა! – იცინის ჯორჯიც.

– ვატყობ, გუნება გამოგიკეთდა, ახლა მთავარია, ნიკი დაიყოლიო, ნამდვილად დათანხმდება ისევ რესტორანში წამოსვლას?

– მაგას დროზე შეგატყობინებ, შენ ორი ქალის გამონახვა არ დაგავიწყდეს!

– ეგ ნუ გადარდებს, უკვე მზად მყავს!

40.

ისევ იტალიური რესტორანი, ამჯერად – სხვა...

სუფრას უსხედან: ჯორჯი, ნიკი და პოლი.

ჯორჯი დაძაბულია, წამდაუწუმ დარბაზის შესასვლელისკენ იყურება, პოლი და ნიკი გემრიელად მიირთმევენ და ღვინოსაც აყოლებენ.

გამოჩნდა გაღიმებული გუიდო, თან მოიყვანა ორი მშვენიერი ქალბატონი.

– ქეით და ჯეინ! – წარადგინა გვიდომ ქალები.

კაცები წამოდგნენ და ქალებს ხელი ჩამოართვეს:

– პოლი! სულ თქვენისთანა ტურფას გაცნობაზე ვოცნებობდი!

– ჯორჯი!

– ნიკი!

– პოლი! თქვენს მონად მიგულეთ! შეგხედეთ თუ არა, მაშინვე ვიფიქრე: ჩვენს შორის რაღაცა მოხდება!

– ჯორჯი!

– ნიკი!

ჯორჯმა ისე მოახერხა, რომ ქეითი და ჯეინი ნიკის გვერდით დასვა აქეთ-იქიდან.

პოლმა ჯორჯს ჩუმად უსაყვედურა:

– რით დაიმსახურა მაგ ყვავმა, რომ ორივე ქალბატონი მის გვერდით დასვი?

– ეგ ყვავი, ჩემო კარგო, კოლეჯის პროფესორია, სადაცაა მის სახელს მსოფლიო შეიტყობს, შენ კი ვინ ბრძანდები?

ნიკმა ჯერ ქეითი შეათვალიერა – ცისფერთვალაა, ქერა, მერე ჯეინი – შავგვრემანია, მის მუქ თვალებში ეშმაკები დახტიან...

– ჰა, რომელი უფრო მოსწონს? – დაიხარა ჯორჯის ყურისკენ გუიდო.

– ორივე! ისე ვატყობ, გაუჭირდება არჩევანის გაკეთება ბურიდანის ვირივით და დავიღუპები! – სიცილით პასუხობს ჯორჯი.

– იქნებ ორივე გავატანოთ? – იცინის გუიდოც.

– ოღონდ ერთს მოუაროს...

– ყველაფერი კარგად იქნება!

– მე კი გავთავდი კაცი... ჩამშხამდა ნიუ იორკში გამოსეირნება.

ამასობაში პოლმა ქეითი გაიწვია საცეკვაოდ.

გუიდომ ჯორჯს თვალი უყო – ჩვენი გეგმის მიხედვით მიდის ყველაფერიო.

ჯორჯი ჯეინს და ნიკს უვსებს ჭიქებს, თვითონაც ასწევს ჭიქას:

– ყოველივეს კეთილს გისურვებთ!

ჯორჯი, ჯეინი და ნიკი სვამენ.

გუიდო გამალებული ჭამს და ჭამს, აქეთ-იქით არ იხედება.

პოლი და ქეითი ცეკვავენ, პოლი რაღაცას ეუბნება, ქეითი კისკისებს.

ჯორჯი ისევ უვსებს ჭიქებს ნიკსა და ჯეინს, ნიკის გვერდით გადაჯდება:

– ნიკ, როგორ მოგწონს ჯეინი? ხომ მართლა მომხიბლავია?

– ჭეშმარიტად! – პასუხობს ნიკი და ჯეინს ჭიქას მიუჭახუნებს.

ჯეინი თამამი ქალბატონი ჩანს, გადაჰკრავს და ახლა თვითონ შეავსებს ჭიქებს.

ჯორჯი განცვიფრებით უყურებს, გახარებულია და გუიდოს ეუბნება:

– რა ქალი მოგვიყვანე, რა ქალი! მე მგონი, მაგან მოიტაცოს საწყალი ნიკი! ყოჩაღ, გუიდო, არაფერი შეგეშლება!

– შეხედე, შეხედე, – პასუხობს გუიდო, – პოლმა თავისი ნაცადი ხერხი იხმარა... სულელია, ეგ უბედური, რა ეჩქარებოდა, ჯერ ეჭამა, ესვა... – და გუიდო ისევ ახალი შემართებით უტევს საჭმელ-სასმელს.

მართლაც, პოლი და ქეითი გაუჩინარდნენ, თუმცა ამ ამბავს ჯორჯის განაწყენება აღარ გამოუწვევია. საკუთარი ჭიქა ისევ შეავსო, დაუსხა ნიკსა და ჯეინსაც.

ჯეინი მაშინვე გადაჰკრავს, გაკვირვებული ჯორჯი გუიდოს შეხედავს, ისევ შეუვსებს ჭიქას ჯეინს.

ჯეინი ისევ გადაჰკრავს.

ჯორჯი უკვე შეშფოთებულია, გუიდოს გადაულაპარაკებს:

– ხომ გააფრთხილე, როგორ უნდა მოიქცეს?

– ნუ სწუხარ, ყველაფერი კარგად იქნება! – პასუხობს გუიდო, ახალ კერძს გადაიღებს.

ჯორჯი ახლა ნიკს მიუბრუნდება:

– ნიკ, როგორ ხარ?

– მშვენივრად, ჯორჯ, უკეთესი არ შეიძლება!

– ჯეინი როგორ მოგწონს?

– ჩემი დასაწუნი რა სჭირს!

– კმაყოფილი ხარ?

– ძალიან! მშვენიერი სამზარეულოა და საერთოდაც...

– შენი დედიკოს გაკეთებული კერძები ხომ არ გაგახსენა? – ეხუმრება ჯორჯი. – ძალიან სასიამოვნოა... შეხედე, გუიდო ღორივით გაძღა და ღვინოც იმდენი დალია, ხელით გახდება წასაყვანი. მაგას მე მოვახერხებ და შენთან ერთი თხოვნა მაქვს: ჯეინს ხომ გააცილებ?

– რა თქმა უნდა! – უღიმის შემთვრალი ნიკი.

– აჰა შენ! – ნიკს ჯიბეში უკუჭავს ფულს ჯორჯი. – ტაქსის ფულადაც გეყოფა და, თუ დაგჭირდა, სხვა რამისთვისაც...

– კარგი, მადლობელი გახლავარ... – ბურტყუნებს ნიკი.

– მაშ, უკვე დროა...

– ახლავე, ახლავე... – ლუღლუღებს ნიკი, წამოდგება და ჯეინს მიმართავს: – თქვენთან ცეკვა ვერ მოვახერხე, რისთვისაც ბოდიშს გიხდით...

ჯეინი არაფერს პასუხობს, გაშტერებული ზის.

– მის ჯეინ, მისტერ ესპოზიტო შინ მიგაცილებთ... – ეუბნება ჯორჯი, შემდეგ გუიდოს მიმართავს: – ხომ კარგად არის?

– ერთი მაგის... – სულელურად იღრიჭება გუიდო და კმაყოფილი აბოყინებს. – კარგი დრო გავატარეთ, დიდი ხანია, ასე არ მომილხენია!..

– გუიდო, გუიდო, რას მიშვრები? – ანჯღრევს ჯორჯი.

– რა მოხდა?

– ჯეინი ისეთი მთვრალი ჩანს, სულ გაითიშა!

– ერთი მაგის... ნიკი გააცილებს... ერთიც დამისხი! კარგი ღვინოა!..

41.

ახალი დილაა.

ჯორჯი მიმოდის ნომრის ოთახებში, შემდეგ ერთ-ერთ სააბაზანოში შედის.

გააღებს კარს – იქ სინათლე ანთია. წყლით სავსე აბაზანაში წევს პოლი, ხელში სოსისი უჭირავს და პირდაღებული ხვრინავს. იქვე, გვერდზე, იატაკზე ფრანგული შამპანურის ნახევრად დაცლილი ბოთლი დგას.

ჯორჯი შამპანურის ბოთლს მოიყუდებს, ბოლომდე გამოცლის, შემდეგ პოლს თმებში ჩაავლებს თითებს და წყალში ჩააყურყუმელავებს.

როცა ჯორჯი პოლის თავს მაღლა ამოსწევს, ნახევრად დამხრჩვალი პოლი თვალებდაჭყეტილი ფართხალებს, ყვირის:

– მიშველეთ!..

ჯორჯი ერთხელ კიდევ ჩააყურყუმელავებს პოლს, მაშინვე ამოსწევს და გამოვა სააბაზანოდან.

42.

– გაგიჟდი? – შემოდის ოთახში პოლი, თმაგაჩეჩილი და აღგზნებული. – ჩემი დახრჩობა გინდოდა?

– რა იყო, ცოტა გამოგაფხიზლე, – უგუნებოდ პასუხობს ჯორჯი.

– ჰო, როგორ არა, კინაღამ საიქიოს გამომეღვიძა.

– ნუ დალევ იმდენს, რომ აბაზანაში დაგეძინოს და ნურც სხვა რაიმეს იზამ ისეთს, რაც შენს მეგობრებს გაანაწყენებს.

– რა ქარაგმებით მელაპარაკები, პირდაპირ მითხარი, რა დავაშავე? – გაკვირვებულია პოლი. – მეგობრებს ეგრე ექცევიან? ან ასე ელაპარაკებიან?

– ახლავე აგიხსნი... მეორე ოთახში გავიდეთ, ნიკი არ გავაღვიძოთ...

გადიან მეზობელ ოთახში, იქ ჯორჯი საგულდაგულოდ მოხურავს კარებს და პოლს ხმადაბლა ეუბნება:

– ახლა ყურადღებით მისმინე... ნიკი საგანგებოდ წამოვიყვანე ნიუ იორკში...

– რა, აქ რაღაც განსაკუთრებულ პეპლებს დაიჭერს თუ? – ხუმრობს პოლი.

– ჰო, სწორედ ეგ უნდა გავარკვიო... დიახ, პეპლების მიმართ საერთოდ როგორი დამოკიდებულება აქვს... კაცის თვალით უყურებს თუ გულგრილი არის... ოღონდ სხვაგვარ პეპლებს ვგულისხმობ: მაგალითად, შენ რომ ცხვირწინიდან აგვაცალე – ანტუანეტ... მერე – ქეით...

– მოიცა, კაცობაზე მართლა უნდა გამოსცადო? მერე, რატომ დროზე არ გამაფრთხილე?..

– ახლა ხომ იცი, ფეხებში ნუღარ გვებლანდები!

– მაგდებ? მე ხომ არაფერი ვიცოდი!

– მაცალე, ჯერ შენთვის არ მცხელა, საკუთარი პრობლემები მაქვს გადასაჭრელი... – პასუხობს ჯორჯი და გუიდოს ტელეფონის ნომერს კრეფს. – ალო!

გუიდოს მისი საყვარელი მარიპოსა უზის მუხლებზე, ტელეფონისთვის სად სცალია, მაგრამ როცა გაბმული ზარი აღარ მოასვენებს, ყურმილს დასწვდება:

– ჰო, გუიდო ვარ!

– გამარჯობა, ჯორჯი ვარ, როგორ ხარ?

– ყველაფერი რიგზეა, შენ რომ შინ მიმიყვანე, მას მერე მეძინა და სულ ნახევარი საათის წინ ავდექი. ნიკის ამბავი როგორ დასრულდა?

– ნიკს ახლაც სძინავს და ჯერ არ მილაპარაკია მასთან. დარწმუნებული ვარ, არც არაფერი მოხდებოდა. ის ჯეინი თუ ნამდვილი ლოთი იყო, ვერ გამაფრთხილე?

– შენი ბრალია, – იცინის გუიდო, – რომ უვსებდი და უვსებდი ჭიქას, აბა, რა გეგონა?

– შენც კაი მსმელი ყოფილხარ და მეგობრებიც მასეთი გყოლია. შენი იმედი მქონდა, ახლა აღარ ვიცი, რა ვიღონო...

– ყველაფერი კარგად იქნება.

– სულ მაგას გაიძახი...

– კარგი, რაღაცას მოვიფიქრებ... ნახევარ საათში დაგირეკავ, ახლა არ მცალია...

43.

ცოტა ხანში სასტუმროს მისაღებ ოთახში შემობრძანდა მისტერ ნიკ ესპოზიტო – ნახევრად ჩაცმული, ნამძინარევი, მაგრამ ფრიად კმაყოფილი.

ჯორჯი, პირიქით – დაღვრემილია. შეხედავს ჯერ ნიკს, მერე – პოლს და ირონიით ეკითხება ნიკს:

– სირ, ხომ კარგად გამოიძინეთ?

– დიახ, სირ, მადლობელი გახლავარ! – პასუხობს ნიკი და ტკბილად იზმორება.

– სირ, სიზმარში რომ პეპლებთან პაემანი გექნებოდათ, ეჭვი არ მეპარება; ერთი ის გვიბრძანეთ, ერთ-ერთი მათგანი ხომ არ დაგიჭერიათ?

– ხომ არ შეასკუპდით ზედ და ერთად გაფრინდით ღვთაებრივი ექსტაზის საუფლოში? – ღიმილით ამატებს პოლი.

ნიკს ერთგვარად საფიქრელი მიეცა:

– რას გულისხმობთ, სირ? – მიმართა ნიკმა ორივეს.

– გუშინ საღამოს, თუ არ ვცდები, ფრიად სანდომიანი ქალბატონი გააცილე... – შემპარავი ღიმილით პასუხობს ჯორჯი. – მისიზ ჯეინი ნამდვილად მომხიბლავი ქალბატონია... ორივენი მშვენიერ გუნებაზე ბრძანდებოდით და ცოტა ზედმეტი გრადუსითაც იყავით შეხურებულნი... სერ, შემდგომ კიდევ ხომ არ აიწია ორივეს გუნების შკალაზე გრადუსმა? თუ... ქალბატონმა ერთგვარად გამოგაფხიზლა?..

– შედეგი, შედეგი გვაინტერესებს! – ამატებს პოლი.

– რის შედეგი? – გაკვირვებული კითხულობს ნიკი. – რაღაც გადაკრულად რომ მელაპარაკებით, უბრალო ენით გამაგებინეთ, რა გაინტერესებთ?

– მის იყო თუ მისიზ ოლკოტი, ხომ გააცილე? – ეკითხება ჯორჯი.

– დიახ, ჯეინ მართლაც გავაცილე... მხიარულად ვიყავით და საერთოდ, ძალიან კარგი დრო გავატარეთ გუშინ, ხომ მართალია?

– მართალია! – დაუმოწმა პოლმა.

– ხომ მართალია? – ახლა ჯორჯს მიუბრუნდა ნიკი.

– ეგ გააჩნია იმას, შენ როგორი დრო გაატარე... – პასუხობს ჯორჯი.

– მშვენიერი! – კარგ გუნებაზეა ნიკი.

– მაინც, მაინც? – არ ეშვება ჯორჯი.

– რა მაინც?

– ბოლო როგორი ჰქონდა შენს კარგ დროსტარებას...
– მშვენიერი!
– "მშვენიერი, მშვენიერი!" – იმეორებს ჯორჯი. – სხვა სიტყვა არ იცი?
– თქვენ დღეს მარცხენა ფეხზე ხომ არ ამდგარხართ? თუ გუშინ მაგრად დათვერით და დღეს ჯეროვნად ვეღარ აზროვნებთ? – ნიკი გადის ხელ-პირის დასაბანად.

44.

გუიდო და მისი საყვარელი, მარიპოსა, საწოლში წვანან.
– გუიდო, წეღან რომ ვიღაცამ დაგირეკა, რა უნდოდა? – ეკითხება გუიდოს ქალი.
– არაფერი, არაფერი, მარიპოსა... ერთი პატარა საქმე ვერაფრით მოუგვარებია და ჩემი დახმარება სჭირდება.
– ეგ საქმე გინეკოლოგიას ხომ არ ეხება?
– საიდან მოგდის თავში ასეთი უცნაური ფანტაზიები?
– ვგრძნობ, ქალური გუმანი მკარნახობს, რომ ეგ საქმე ქალთან არის რაღაცნაირად დაკავშირებული...
– მერე, შენ ეგ გაწუხებს?
– არა, დაუფარავად მითხარი – ასეა თუ არა?
– მარიპოსა, გინდაც ასე იყოს, ის შენი საქმე არ არის.
– აი, ხომ არ შევმცდარვარ!.. მითხარი რა!
– რა გითხრა?
– თუკი ეგ საქმე მე არაფრით მეხება, რა მოხდება, რომ ჩემი ცნობისმოყვარეობა დააკმაყოფილო?
– კარგი, შენ რომ გადამეკიდები... შეცდი: საქმე ქალს კი არა, კაცს შეეხება. ერთ ჩემს მეგობარს ბიძაშვილი ჰყავს ჩამოყვანილი და უნდა გაარკვიოს, მამაკაცური უნარი თუ შესწევს...
– ჰა-ჰა-ჰა!.. – იცინის მარიპოსა, – მერე შენ?
– რამდენიმე ქალბატონი შევთავაზეთ, მაგრამ ისე აეწყო საქმეები, რომ...
– ვერაფერი გაარკვიეთ?
– სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერა, ყოველთვის ჩაგვიფლავდა.
– ნიუ იორკში მაგის გაგება რა პრობლემაა! ექიმები...
– არა, ჩემს მეგობარს სურს, დელიკატურად მოაგვაროს საქმე... მის ბიძაშვილს ექიმთან მისვლა რომ შესთავაზოს, შესაძლოა, დიდ უსიამოვნებას გადაეყაროს... ხომ იცი ჩვენი ამბავი...
– ჰო, იტალიელებს უცნაური წარმოდგენები გაქვთ.
– როგორ არა, პუერტირიკოელებისგან განსხვავებით...
– ნუ ბრაზობ, ყველას ჩვენ-ჩვენი ოფოფები გვყავს... ის შენი იტალიელი რამდენი წლისაა?
– ვინ?
– აი, შენი მეგობრის ბიძაშვილი.
– არ ვიცი ზუსტად, ორმოცის თუ მეტის...
– რა ჰქვია?
– მისი სახელი რაღად გინდა?
– ჯერ შენ მითხარი...
– ნიკოლო... ნიკი.
– ნიკი... კარგი სახელია. თვითონ როგორია?
– ჩვეულებრივი.
– მაინც?
– დაბალი, ჩასკვნილი, მელოტი, სათვალიანი...
– ჰა-ჰა-ჰა!..
– მარიპოსა, რა გაცინებს? უბრალო კაცი არ გეგონოს, კოლეჯის პროფესორია!
– პროფესორთან საქმე ჯერ არ მქონია!
– შენ ხომ არ გაგიჟდი? რას აპირებ?
– თუ ამ საქმეში დაგეხმარები...
– არა, არა, გინდა, გადამრიო?
– ნუ გეშინია, ყოველივეს ისე მოვაგვარებ, შენც კმაყოფილი დარჩები.
– არა, არა! რას ეჩრები ამ საქმეში, თუ რამე არ მომეწონა, ხომ იცი იტალიელების ამბავი!
– ხომ გეუბნები, შიში ნურაფრის გაქვს, უბრალოდ გავეთამაშები!
– უკვე ჩემს მაგივრად გადაწყვიტე? თანაც იმ კაცს სრულებით არ იცნობ! არც გინახავს!
– ძვირფასო, ამას შენი გულისთვის ვაკეთებ, შენ კი არ აფასებ...
– ამ ქალური ახირებებისა ვერაფერი გამიგია... შენ სერიოზულად მთავაზობ, რომ...
– დიად, შენ მხოლოდ გამაცანი, დანარჩენი ჩემზე იყოს.
– მაგარი ეშმაკი ხარ...

– დამეთანხმე, გუიდო, ცხოვრების ამ ნაცრისფერ მდინარებაში პატარა გასართობი ვიპოვეთ და ნუ გაჯიუტდები... რას იტყვი?

– ჯანდაბას შენი თავი... არ დამაღალატიანო! შენ მხოლოდ ის გაიგე, რამის შნო თუ აქვს, შორს შეტოპვა არ გაბედო!.. თანაც... თანაც, ნიანგსა ჰგავს!

– მით უმეტეს, რა გაღელვებს?

45.

გუიდო ტელეფონით ელაპარაკება ჯორჯს.

– ჰო, ერთი უცნაური ქალბატონია, მარიპოსა, ის კისრულობს...

– ლოთი ან მეძავი არ დამანახო! – აწყვეტინებს ჯორჯი.

– არა, რას ამბობ, ჩემი მეგობარია. თუ რამე შეეშალა, ჩემი ხელით დავახრჩობ!

– ძალიან კარგი! ლამაზი ქალია?

– შენ რა პოლივით მელაპარაკები!

– ბოდიში, ვერ მოვზომე... ხომ იცი, როგორი განერვიულებული ვარ... იმის თქმა მინდოდა, თავის საქმე იცის? გაქვს მისი იმედი?

– მე ჩემი თავის იმედი არ მაქვს და ქალზე მოგცემ გარანტიას?

– ჰო, კარგი, რა უნდა ვქნათ?

– უპირველეს ყოვლისა, უნდა შევახვედროთ ერთმანეთს...

– ეგ ადვილი გასაკეთებელია, ოღონდ, ღვთის გულისთვის, რესტორანი არ გამაგონო!

– რატომ, რესტორანმა რა დაგიშავა? გასაცნობად და დასაახლოებლად უკეთესი ადგილი არ არსებობს.

– გეთანხმები, მაგრამ მე ცუდი ასოციაციები მებადება... რესტორანი და წარუმატებლობა ჩემთვის ერთი და იგივეა. ან ერთი დათვრება, ან მეორე, ან პოლი ჩაგვიშლის, ან ჩხუბი და აყალმაყალი მოხდება...

– მიწისძვრა, ცუნამი, ქარბორბალა...

– სულ არ მეხუმრება, გუიდო...

– კარგი, მაშინ სად?

– თავში არაფერი მომდის... აქაური შენ ხარ და უკეთ შეარჩევ ადგილს.

– მოიცა, მარიპოსას ვკითხო...

გვიდო ქალს ესაუბრება:

– ძვირფასო, სად გინდა წავიდეთ?

– იმ შენს მეგობართან დაკავშირებით? – ეკითხება ქალი.

– ჰო, ნიკი უნდა გაგაცნოთ...

– მე მეგონა, ამის კითხვა ზედმეტიც კია, რა თქმა უნდა, რესტორანში. შენ დიდი ხანია, იტალიურ რესტორანში წაყვანას მპირდები...

– ძვირფასო, მაგის დროც მოვა... გულახდილად უნდა გითხრა: ნიკი ლოთი არ გახლავს, მაგრამ ჯობს, სხვა ადგილი შევარჩიოთ... ერთხელ სწორედ მაგის გამო... ზედმეტი მოუვიდა და...

– ჰა-ჰა-ჰა!.. მაშინ საბავშვო კაფეში წავიდეთ!

– ხუმრობისთვის არ მცალია, კაცი მიცდის...

– მაშინ – კაზინოში!

– კაზინოში?

– ჰო, კაზინოში ჯერ არ ვყოფილვარ! ვაშა!

გუიდო ისევ ჯორჯთან ტელეფონით საუბარს უბრუნდება:

– ჯორჯ, კაზინოში წასვლაზე რას იტყვი?

– გადასაყრელი ფული სად მაქვს!..

– მარიპოსა...

– ჰო, კარგი, თანახმა ვარ... რომელში?

– მაგას სატელეფონო ცნობარში ავარჩევთ და მოგვიანებით დაგირეკავ...

46.

საღამოა, ნომერში რეკავს ტელეფონი.

– ალო! – ყურმილს იღებს ჯორჯი.

– გუიდო ვარ! ხომ მოდიხართ, როგორც შევთანხმდით?

– კი, მაგრამ ნიკი დაიკარგა...

– სად დაიკარგა, ქალებმა ხომ არ მოიტაცეს? ნიუ იორკში ათასგვარი ქალია...

– ეგ შენ ჩემზე უკეთ მოგეხსენება, გინეკოლოგი ტყუილად ხარ? მუზეუმში წავიდა და აქამდე არ მოსულა...

– როდის წავიდა?
– დილის ათი საათი იქნებოდა... შეფიქრიანებული ვარ...
– ჰო, წესით დიდი ხნის მოსული უნდა იყოს.
– რა ვქნათ?
– რა ვიცი... კაზინოები კი მუშაობენ მთელი ღამე...
– კარგი, თუ ძალიან არ დააგვიანა, დაგირეკავ...

47.

მარიპოსა ესაუბრება გუიდოს.
– რა გითხრა?
– ნიკი დილით მუზეუმში წასულა და აქამდე არ დაბრუნებულა.
– მაშ, იგი ხელოვნების მოყვარულიც გახლავს? მაშინ, კაზინომდე ერთ გამოფენაზე წავიყვანოთ, გაზეთები აჭრელებულია რეცენზიებით, მსგავსი სენსაცია არ გვინახავსო.
– გასაცნობად და სასაუბროდ გამოფენა მართლაც მშვენიერი ადგილია. რა გამოფენაა ისეთი, რომ ქვეყანა აალაპარაკა?
– "სექს-ავანგარდი"!
– მართლა ჭკვიანი ქალი ყოფილხარ, ზუსტად შეარჩიე!
– შენ კი კინაღამ მეჩხუბე, უჭკუო ნაბიჯი არ გადადგაო!
– ხვალ დღისით წავიდეთ გამოფენაზე, იქიდან – კაზინოში! ახლავე დავურეკავ ჯორჯს.
– არა, კაზინომდე რესტორანში მისვლა ჯობს!

48.

ერთ-ერთი გალერეის შესასვლელთან ჯორჯი და ნიკი დგანან. შესასვლელის აქეთ-იქით მაღლა აშვერილი თაბაშირის ფალოსის ორი უზარმაზარი გამოსახულება დგას; თითოეულზე ფერადი სურათებია წრიულად შესრულებული – შიშველი ქალები სხვადასხვა რაკურსში.
– გუიდოს ვინ ქალბატონი მოჰყვება? – კითხულობს ნიკი.
– ხომ გითხარი, ძალიან განათლებული ქალი ყოფილა, ხელოვნების მცოდნე და სილამაზის დამფასებელი... მე მგონი, პეპლების ალბომი რომ წამოგეღო, დააინტერესებდა.
– მერე, რაღა აქ დავთქვით შეხვედრა? – სკეპტიკურად ათვალიერებს შესასვლელს ნიკი. – წესიერ ქალს აქ რა უნდა?
– რატომ? შენ პროფესორი კი ხარ, მაგრამ მაგარი პროვინციელიც ბრძანდები... აქ ნიუ იორკია, ჩემო კარგო, სხვაგვარი წესები და გაგება აქვთ. იმ ქალბატონს არ აგრძნობინო, რომ ჩამორჩენილი ხარ, მიყრუებული პატარა ქალაქიდან ფეხი აქამდე არსად გაგიდგამს და თანამედროვე ხელოვნებისა არაფერი გაგეგება...
ნიკი სახეს დამანჭავს, მაგრამ არაფერს უპასუხებს; დემონსტრაციულად შეაქცევს ზურგს ქანდაკებებს.
ტაქსით მოვლენ გუიდო და მარიპოსა.
გუიდო ქალს აცნობს დამხდურებს.
– მარიპოსა! – ხელს ჩამოართმევს ქალი ნიკსა და ჯორჯს.
– ჯორჯი! ფრიად სასიამოვნოა!
– ნიკი!.. ბოდიში... თქვენი სახელი რამეს ხომ არ ნიშნავს? სპეციალურ ლიტერატურაში თითქოს სადღაც შემხვედრია...
– მარიპოსა ესპანური სახელია და პეპელას ნიშნავს, – ღიმილში აჩენს თეთრ კბილებს მარიპოსა.
– მოგწონს? – ამბობს გუიდო. – მარიპოსა პუერტორიკოელია.
– იტალიურად პეპელა არის ფარფალა, მაგრამ ქალის სახელად არ შემხვედრია, – ამბობს ნიკი.
– მოგწონს? – იმეორებს გუიდო. – სახელიც ლამაზია და...
– ქალბატონიც! – ამატებს ჯორჯი.
გუიდო, კმაყოფილი, იცინის.
მარიპოსა ხელებს გაშლის, თითქოს დაფრინავს და შემოუვლის ერთ ქანდაკებას...
კაცები ღიმილით უცქერიან მარიპოსას ცეკვას, ნიკიც კი; მერე მარიპოსა მეორე ქანდაკებასთან გადაინაცვლებს, იქ უკვე განსხვავებულად როკავს...
– მარიპოსა ღამის კლუბში ცეკვავდა, ხომ მაგარია? – კითხულობს გუიდო. – ხელოვნების სკოლაში სწავლობს და ჩემთან შეხვედრამდე ასე შოულობდა სწავლის ფულს. ვნახოთ ახლა, როგორ გაგვანათლებს, რას გვეტყვის თანამედროვე ხელოვნების ახალი სენსაციური გამოფენის შესახებ.

შედიან გრძელ დარბაზში, რომლის კედლებზე გამოფენილია ფერწერული ტილოები, კოლაჟები, ხოლო შუაში – ქანდაკებები, ასამბლაჟები, სივრცული კომპოზიციები და სხვა. ყველა ნამუშევრის თემა ერთია – ქალისა თუ კაცის სასქესო ორგანოების სხვადასხვა მხრივ ასახვა – ნატურალისტურად, მეტაფორულად თუ "მხატვრული" გარდასახვით...

გუიდო და ჯორჯი ნიკს აკვირდებიან – როგორ აღიქვამს? აღიქვამს სარკაზმით – სკეპტიკურად მოჭუტული თვალებით დაიარება, აღშფოთების თუ გაოგნების ნიშნად აქნევს თავს, ბრეცს ტუჩებს... ლამის არის, გადააფურთხოს.

– ხომ შესანიშნავია?!. – უზრუნველად ჭიკჭიკებს მარიპოსა, სრულებით არ ეხამუშება ზოგიერთი ექსპონატის ფრიად გამომწვევი ფორმა.

– რით არის შესანიშნავი? – ბურტყუნებს ნიკი.

– აი, შეხედეთ, რამდენი გამბედაობაა, პროვინციული საღი აზრის წინააღმდეგ მიმართული ჯანყია, – ანათლებს ნიკს მარიპოსა. – ჩვენ თავისუფალ ქვეყანაში ვცხოვრობთ და ადამიანი უნდა იყოს თავისუფალი საკუთარი ესთეტიკური იდეალების გამოხატვაში! ხომ ორიგინალური ჩანაფიქრია?

ყველანი დგანან დახრილ სტენდთან, რომელზეც დალაგებულია ორი დიდი, წითელი პომიდორი, ხოლო მათ შორის მოთავსებულიდა უჩვეულოდ გრძელი მწვანე კიტრი.

– გადასარევია, გადასარევი! – ერთხმად ეთანხმებიან გუიდო და ჯორჯი, თან ერთმანეთს გადახედავენ და სკეპტიკურად ჩაიცინებენ.

– საზიზღრობაა!.. – ბურტყუნებს ნიკი, მის ფაქიზ გემოვნებას პეპლების ნატიფი სილამაზის შემდეგ ეს ექსპონატები შოკში აგდებენ და მასში აგრესიულობასაც კი იწვევენ. – ვინც ეს საზიზღრობა მოაწყო, უნდა სასამართლოს განჩინებით აიძულო, ყველაზე ამაზრზენი ექსპონატები შინ წაიღოს და იქ ყოველდღიურად დატკბეს რამდენიმე წლით...

– მაინც რამდენით? – ეკითხება მარიპოსა.

– ალბათ სამი წლით... – ფრიად სერიოზულად პასუხობს ნიკი.

– სამი წლით რატომ? – ღიმილით ეკითხება გუიდო.

– მეტით ცოდვაა! გარეთ გავიდეთ, თორემ საკუთარი თავი შემძულდება!

– რესტორანში წავიდეთ! – წამოიძახა მარიპოსამ. – კიტრმა და პომიდორებმა ნერწყვი მომგვარა.

– არა, არა, კარგა ხანს ყელში ლუკმა არ გადამივა! – გადაწყვეტილ უარზეა ნიკი.

– მაშინ, ჯერ ერთ ადგილს ვესტუმროთ, დარწმუნებული ვარ, ნიკ, მსგავს დაწესებულებაში არასდროს ყოფილხარ, – სთავაზობს გუიდო. – აქვეა, ახლოს, ფეხით გავიაროთ.

– მუზეუმის სტუმრობა ყველაფერს აჯობებდა... – ამბობს ნიკი, თან მორჩილად მისდევს უკან დანარჩენებს.

– იქაც დიდად საინტერესო ექსპონატებს ნახავს ცნობისმოყვარე დამკვირვებელი, – ეუბნება ნიკს გუიდო, – თანაც ცოცხლებს, თანაც მოქმედებაში!

49.

გუიდო, მარიპოსა, ჯორჯი და ნიკი შედიან კაზინოში.

ნიკი გაკვირვებული და გაოგნებულია: ამდენი აზარტით აღტყინებული, აცეტებული ხალხი ჯერ არ უნახავს...

ნიკს მეგზურობას გუიდო უწევს.

ჯერ "ცალხელა ბანდიტთან" მიიყვანენ.

– ნიკ, აბა, აქედან დავიწყოთ, ჩააგდეთ ხურდა და ჩამოჰკარით ხელი! – აქეზებს გუიდო მარიპოსასა და ნიკს.

მარიპოსა მაშინვე ასრულებს გუიდოს მითითებას, ნიკი კი ეჭვიანად ათვალიერებს სათამაშო ავტომატს.

– მიდი, ნიკ, რაღას უყურებ! – მხარში დაჰკრავს ხელს ჯორჯი.

– რომ ჩაყლაპოს? – მიაშუქებს სათვალეებს ნიკი.

– კიდევ ჩააგდებ!

– ისევ რომ ჩაყლაპოს?

– სინჯე, წინასწარ რას ტირიხარ! – დასცინის ჯორჯი.

– თუ ხურდა არ გაქვთ, მე მოგცემთ! – უწვდის ფულს მარიპოსა.

ნიკი შეხედავს, ფულს არ გამოართმევს; თავისას ჩააგდებს, მოქაჩავს სახელურს და... არაფერი!

მარიპოსა ისევ გაუწვდის ხურდას, ფართოდ იღიმება:

– გამომართვით, ადრე თუ გვიან უეჭველად გაგიმართლებთ!

– არა, ეს ყალთაბანდობაა! – უარზეა ნიკი.

მაშინ მარიპოსა ჩააგდებს, მოქაჩავს... სულ ტყუილად.

– აი, ხომ სიმართლე ვთქვი! – რატომღაც გახარებულია ნიკი.

– შენ ყოველთვის მართალი ხარ! – დაცინვით ეუბნება ჯორჯი.

– ახლა ბანქოს სათამაშო მაგიდას ვეწვიოთ... – ამბობს გუიდო.

მივლენ, გუიდო დაჯდება, სწრაფად წააგებს.

– შენ ხომ არ სინჯავ? – ეკითხება ნიკს ჯორჯი.

– წავიდეთ აქედან! – ეჭაჩება ჯორჯს ნიკი, – სად გვაქვს გადასაყრელი ფული!

– ჯერ რულეტის სათამაშო ადგილები მოვინახულოთ! – ამბობს გუიდო, – თორემ კაზინოს მონახულებად არ ჩაგვეთვლება.

მივლენ.

ახლა ჯორჯი დაჯდება სათამაშოდ, დებს ფსონს.

რულეტის ტრიალებს, მრავალი დაძაბული მზერა აკვირდება ბურთულის ხტომა-ტრიალს...

კრუპიე თავისკენ მიხვეტავს ჟეტონებს.

ჯორჯი ჩადის ფსონს, ისევ აგებს.

ნიკი ნერვიულობს, მიდი-მოდის, დაიხრება ჯორჯის ყურისკენ:

– გეყოფა, ხომ ხედავ, არაფერი გამოგდის...

ჯორჯი არაფერს ეუბნება, განაგრძობს თამაშს.

ისევ არ გაუმართლებს.

– უკვე რამდენჯერ წააგე? – მოსაბეზრებლად ეჯიჯღინება ნიკი.

ნიკი აუქნევს ხელს, თავს ნუ დამჩხავი ყვავივითო.

– აქ სულ აფერისტები და ყალთაბანდები არიან, სად გაქვს გადასაყრელი ფული! – ვერ ჩერდება ნიკი.

მარიპოსა აკვირდება ნიკს, ღიმილით გადახედავს გუიდოს.

ჯორჯი წამოდგება, მოულოდნელად დაეჯაჯგურება ნიკს და თითქმის ძალად დასვამს თავის ადგილზე:

– მოდი, შენ ითამაშე! ნათქვამია, ბედი რეგვენებს სწყალობსო...

ნიკი ჭირვეულობს, ჯორჯის ხელს იცილებს, ადგომა უნდა, თან აზარტი იზიდავს...

მარიპოსა დაიხრება მისკენ, ყურში ჩასჩურჩულებს:

– გარისკეთ! პირველად ვინც თამაშობს, უმართლებს! თუ ფულს მოიგებთ, ხომ გაიხარებთ, თუ ვერა – ნათქვამია: ვისაც თამაშში არ უმართლებს, გაუმართლებს სიყვარულში!

ნიკი გაკვირვებული ახედავს, მარიპოსა დაამატებს:

– დამიჯერეთ! – თან ისე გაუღიმებს, რომ ნიკი მორჩილად დებს ფსონს – ჯორჯის მიერ შეჩეჩებულ ჟეტონებს.

ახლა ჯორჯია დახრილი მისკენ და კარნახობს.

რულეტის პირველ დატრიალებაზე ნიკი წააგებს, წამოდგომა უნდა, მაგრამ ჯორჯი ისევ სჩრის ხელში ჟეტონებს ახალი ფსონის დასადებად და მხარზე ხელს ადებს, წამოდგომას უშლის.

ისევ ტრიალებს რულეტის ბორბალი, გავარდება ბურთულა, დატრიალდება და... ნიკის ნომერზე ჯდება!

გახარებული მარიპოსა ტაშს შემოჰკრავს, ჯორჯი და გუიდო კმაყოფილნი იღიმებიან, ნიკი კი გაოგნებულია და, პირდაღებული, ხმას ვერ იღებს, მზერას აქეთ-იქით მიმოატარებს... მერე ფიცხლად წამოხტება:

– მეტს აღარ ვთამაშობ! – ჟეტონებს მოხვეტავს და გავარდება სალაროსკენ ფულის გამოსატანად.

ჯორჯი ცდილობს დაარწმუნოს, რომ ბედი ნაღდად უღიმის, თამაშის გაგრძელებაა საჭირო, მაგრამ ამაოდ...

დანარჩენნი მხოლოდ მხრებს იჩეჩავენ.

გახარებული ნიკი ფულს ითვლის.

– აბა, ნიკ, მილიონერი გახდი, ახლა ერთი კვირის განმავლობაში ყოველდღე რესტორანში დაგვპატიჟე! – მხარზე ხელს უტყაპუნებს გუიდო.

– მეხუმრები? – აფორიაქების მიუხედავად, ცდილობს დინჯი და აუღელვებელი იერი შეინარჩუნოს ნიკმა. – მილიონამდე ბევრი უკლია.

– მერე, რას მორბოდი, ხომ ხედავდი, ფორტუნა შენსკენ იყო! – საყვედურობს ჯორჯი.

ნიკმა არაფერი უპასუხა, მხოლოდ ერთი ახედა დამცინავად, აგრძნობინა, შენს ჭკუაზე მე არ დავდივარო.

– ნიკ, რესტორანში ხვალ წაგვიყვანე, დღეს კი, ჩვენი გაცნობის აღსანიშნავად, ჩემთან წამობრძანდი! ჩემი კულინარული ხელოვნება შეაფასე! – ნიკისთვის მოულოდნელად სთავაზობს მარიპოსა.

– მერე ჯორჯი და გუიდო? – გაკვირვებული კითხულობს ნიკი.

– ჩვენ... ჩვენ პოლს უნდა შევხვდეთ, ასე ვართ შეთანხმებულები! – პასუხობს გუიდო.

– ჰო, გუშინ დავთქვით... შენ არ იყავი, დაგაგვიანდა. – ჯორჯი მხარზე მიუტყაპუნებს ხელს დამშვიდობების ნიშნად: – წადი, ოღონდ გუშინდებურად აღარ დაიკარგო!..

– თუ დააგვიანდება, ნურც ამის შეგეშინდებათ, მე გავართობ! – მომხიბლავად იღიმება მარიპოსა და ნიკს ხელკავს გამოსდებს. – ცოტას ფეხით გავივლით...

გვიდო და ჯორჯი ტაქსში სხდებიან და გუიდოს სახლისკენ მიემგზავრებიან.

– ყველაფერი გაამზადე? – ეკითხება ჯორჯი.

– მართალი მოგახსენო, ასეთი ექსპერიმენტი ჯერ არასდროს ჩამიტარებია, – ამბობს გუიდო, – ჩემს გინეკოლოგიურ პრაქტიკაში კი რა არ მინახავს! საინტერესო ტიპი ჩანს შენი ბიძაშვილი, აქამდე რატომ არ ჩამოიყვანე?

– მაგისმა უცნაურობებმა ლამის გააგიჟოს ბიცოლაჩემი! – პასუხობს ჯორჯი. – მაგის გადამკიდე, მეც უცნაურად ვიქცევი ამ ბოლო დროს... ნეტა მალე დამთავრდეს ყველაფერი და ერთ ლხინს კი ნამდვილად ვკისრულობ! ნაღდად გაქვს წარმატების იმედი?

– რა უწოდებ შენ წარმატებას?

– შენ?

– ჩემთვის წარმატებული ექსპერიმენტი იქნება, თუ დასმულ შეკითხვაზე მივიღებთ ერთნიშნა პასუხს...

– რას ნიშნავს ერთნიშნა პასუხი?

– რას და, ან დადებითი იქნება, ესე იგი, ან ნიკი, ასე ვთქვათ, ნორმალური მამაკაცის სტანდარტებს შეესაბამება, ან...

– ან არაფრის თავი აქვს?

– დიახ... მთავარია, ცდის შედეგი მივიღოთ...

– კარგად მოაწყვე ყველაფერი? ხომ არ ჩაიშლება?

– მარიპოსას დაწვრილებითი ინსტრუქტაჟი ჩავუტარე, ასე რომ, იმედი გქონდეს...

– ასე შორს ცხოვრობ?

– უკვე მივედით... შენ განაგრძე გზა და მე შეგატყობინებ შედეგს.

– არა, რას ამბობ, მე თვითონ უნდა დავრწმუნდე! ბიცოლაჩემი და შინაბერა ბიძაშვილები სულს ამომხდიან, თუ ამომწურავი ინფორმაცია არ მივაწოდე!

– კარგი, მაშინ დროზე ავიდეთ ჩემს ბინაში, მარიპოსა და ნიკი ალბათ წუთი წუთზე მოვლენ და მანამდე სათვალთვალო პოზიციის დაკავება უნდა მოვასწროთ!..

50.

მარიპოზა და ნიკი ტაქსით მოდიან გვიდოს სახლთან, გადმოდიან მანქანიდან.

მესამე სართულიდან ფარდის უკნიდან ჩუმად იყურებიან გუიდო და ჯორჯი.

ნიკი გაუსწორდება ტაქსის მძღოლს.

– არის პროგრესი! – წამოიძახებს ჯორჯი.

– რაზე ატყობ? – ეკითხება გვიდო.

– ნიკმა ფული გადაიხადა! მე მგონი, მის ორმოცწლიან თუ მეტ ცხოვრების გზაზე ეს პირველი შემთხვევაა!

– ჩვენ სიამოვნებით განვაგრძობთ კლინიკურ დაკვირვებას წარმატებისკენ მიმავალ გზაზე და, საბოლოო გამარჯვების დაფიქსირებისას, სიამოვნებით დავუკრავთ დამსახურებულ ტაშს! ახლა კი გავიდეთ, სადაცაა აქ იქნებიან!

გუიდო და ჯორჯი დაიმალებიან მეორე ოთახში.

მარიპოსა აღებს ბინის კარებს, შემოუძღვება ნიკს.

მარიპოსა აქ შინაურულად გრძნობს თავს. შირმის უკან იხდის ნელ-ნელა... თან ნიკს ელაპარაკება. გამოვა გაღიმებული, შილიფად აცვია.

– ნიკ, როგორ მოგწონს? ეს კაბა ორი ათასი დოლარი დამიჯდა! – ეუბნება ნიკს.

– ორი ათასი! – გაკვირვებულ ნიკს თვალები ლამის გადმოუცვივდეს. – რა ამბავია!

– ათასი დოლარი მხოლოდ, აი, ეს ბრიუსელური მაქმანი ღირს! – ეუბნება მარიპოსა და კაბის კალთას საკმაოდ მაღლა აიწევს, ფეხს გამომწვევად მიუტანს თითქმის ზედ ცხვირთან..

გუიდო და ჯორჯი ჭუჭრუტანიდან რიგრიგობით ჩუმად უთვალთვალებენ მეორე ოთახში მყოფთ. ერთმანეთს ეჯიკავებიან, ორივე ცდილობს, არ გამორჩეს საინტერესო მომენტი.

ჯორჯი ნერვიულობს, ჩურჩულებს:

– ღმერთო, შენ მიშველე... მიდი, ნიკ, არ შეარცხვინო ესპოზიტოების გვარი...

არანაკლებ დაძაბულია გუიდოც, ეშინია, მარიპოსამ არ მისცეს ნიკს უფლება, დათქმული მიჯნა გადალახოს... წაჰკრავს იდაყვს ფერდში ჯორჯს:

– რა ჯანდაბად შემაცდინე! ესპოზიტოებს კაცი ენდობა? თქვენსას გაინაღდებთ, სულ ფეხებზე გკიდიათ სხვები!

– გაიწიე იქით, თორემ განახვებ, როგორ უნდა ჭიდაობა და მუშტებით ქიმუნჯი! – არ უთმობს ჯორჯი; სარგებლობს თავისი ღონით და უბოდიშოდ გვერდით მისწევს ჭუჭრუტანიდან გუიდოს.

– დიდი თავხედი ვიღაც ყოფილხარ! – აღშფოთებულია გუიდო. – ჩემს საკუთარ სახლში ლამის გამლახო!

ხმაურზე ნიკი მოიხედავს, ყურებს დაცქვეტს..

– ვინ გყავთ მეზობლები? – ეკითხება მარიპოზას.

– ნუ მიაქცევთ ყურადღებას! – აწყნარებს ქალი. – შფოთისთავები არიან... ცოლი აშარია, დღენიადაგ ჩხუბობს. ამას წინათ გამძვინვარებულმა ქმარმა მთელი საოჯახო ავეჯი მესამე სართულიდან გადაყარა ცოლის ჯინაზე, პოლიციის გამოძახება გახდა საჭირო... თქვენ რატომღა არ თხოულობთ ცოლს? თუ გგონიათ, ყველა ქალი მაგგვარია?

– არა, რას ბრძანებთ, დედაჩემი ნამდვილი მადონაა... ჩემი დები...

– მე მომწონს თქვენისთანა წესიერი, სერიოზული კაცები... – ხელს ნაზად მოუთათუნებს მარიპოზა ნიკს ლოყაზე.

– შემახედე ერთი წამით, თორემ გისვრი მესამე სართულიდან! – ეჯიკავება ჯორჯს გუიდო.

– რა მოგივიდა, მაცალე! – არ უთმობს პოზიციას ჯორჯი. – ჯერ არაფერი მომხდარა... სუფრას მიუსხდნენ, სვამენ, ჭამენ...

– მიმიშვი! ჩემი ქალია, შენი კი არა!

– რის გეშინია, შენი რა ხარჯია! ცოტას გაეთამაშება და ეგ არი! ნახე, ნახე, როგორ აბამს! ყოჩაღ, გუიდო, მაგარი პეპელა მიუშვი, პირდაპირ მელოტზე დააჯდა ნიკს!

– აბა, აბა! – ცდილობს ჯორჯის გვერდზე გაწევას გუიდო, – მანახვე, თავხედო!

– რა გინდა, ჩემს საქმეზე მე არ უნდა ვუყურო? გაგეკეთებინა შენთვის ცალკე ჭუჭრუტანა!

– მიმიშვი, თავხედო! – გუიდომ სტრატეგიული ადგილი რომ ვერ მოიპოვა, ხელისგული დააფარა ჭუჭრუტანას.

– კი, როგორ არა! – იცილებს გუიდოს ხელს ჯორჯი...

ჯორჯი არ უთმობს და ამ ძიძგილაობაში ვეღარ ახერხებენ უშუალო დაკვირვებას, თუ როგორ ახერხებს მარიპოზა გუიდოს დავალების შესრულებას...

ამ დროს ჭუჭრუტანას ჩამოეფარება რაღაც და გამარჯვებული ჯორჯი ხელს უშვებს გუიდოს;

– მგონი, ნიკი გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდა!

გუიდო მიახტება კარის ჭუჭრუტანას, მაგრამ. ვერაფერს ხედავს..

ჯორჯისა და დაბნეული გუიდოს ერთმანეთისკენ მიმართული სახეები...

სიჩუმე...

ესმით ვნებიანი კვნესა, კრუსუნი...

გახარებული ჯორჯის სახეზე ფართო ღიმილი იფურჩქნება, ლამის არის, აღტაცებისგან ტაში შემოჰკრას...

გაფითრებული გუიდო ამაოდ ცდილობს, რაიმე დაინახოს ჭუჭრუტანაში...

ისევ ვნებიანი ჩურჩული ისმის...

აღელვებულ გუიდოს სურს, შეაღოს კარები და შეიჭრას ბინაში, ჯორჯი კი არ უშვებს:

– მოიცა, აცალე, ძლივს მივაღწიეთ მიზანს და...

– რა უნდა ვაცალო, შენი...

და გააფთრებულმა გუიდომ ძალა მოიკრიბა, ჯორჯი გზიდან მოიცილა და შეანგრია კარები...

ნიკი და მარიპოსა წყნარად სხედან დივანზე, სვამენ ვისკის, შეექცევიან ნამცხვარს და ტელევიზორში უყურებენ ეროტიკულ ფილმს...

51.

ჯორჯი და ნიკი ტაქსით მიდიან სასტუმროში.

ნიკი კარგ გუნებაზეა, ჯორჯი დაბოღმილია.

როლები გასცვალეს – ნიკი მთელი გზა ლაპარაკობს, ჯორჯი ჩუმად არის.

მანქანიდან გადმოსვლისას ფულის გადახდა ნიკმა დაასწრო.

განცვიფრებული ჯორჯი პირს დააღებს და ხელი ჯიბეში გაუშეშდება.

შედიან ვესტიბიულში და ნიკი კიდევ უფრო აცვიფრებს ჯორჯს – ხელს ჰკიდებს და რესტორანისკენ ექაჩება:

– შენ და გუიდომ მშვენიერი გაშლილი სუფრა დამატოვებინეს... კარგი, ჰო, ნუ ინაზები, მე გპატიჟებ...

52.

სასტუმროს ნომერში რეკავს ტელეფონის ზარი.

ხაზზეა ნიკისა და ჯორჯის მშობლიური ქალაქი.

– ალო!

– გისმენთ! – პასუხობს ჯორჯი.

– ჯინა გელაპარაკება! ჯორჯო, შენ ხარ? როგორ ხართ?

– კარგად, კარგად!

– ნიკი?

– ნიკიც, ვერ დაგელაპარაკება, ახლა სააბაზანოშია...

– გააკეთე ჩვენი საქმე?

– ვაკეთებ ნელ-ნელა...

– იშოვე საქონელი?

– კი, რამდენიმე, მაგრამ ვერ გავასაღე...

– რატომ?

– ყველაფერი უცებ არ ხერხდება... მაცალე, დრო მინდა.

– რა დრო, ერთ კვირაზე მეტია, დასეირნობთ!

– აქ პატარ-პატარა პრობლემები გვიჩნდება...

– იცოდე, ფულს ვერ გამოგიგზავნი! დროზე გაარკვიე ყველაფერი და დროზე ჩამობრძანდით!

– კარგი, კარგი... ნიკი გამოვიდა სააბაზანოდან, ხომ არ დაელაპარაკები?

– ლაქლაქს ჯობს, საქმეს მიხედოთ, ბედოვლათებო!..

და ჯინამ დაჰკიდა ყურმილი.

– ვინ დარეკა? – კითხულობს ოთახში შემოსული ნიკი, ფუმფულა პირსახოცით კეფაზე შერჩენილ თმებს იმშრალებს.

– აბა, თუ მიხვდები!

– რა ვიცი... რამდენიმე ზარს ველოდები.

– რას მელაპარაკები! რამდენჯერმე დაგვეკარგე, რაღაცას ხომ არ ცუღლუტობ? მეგობრები გაიჩინე?

– მეცნიერული კვლევა შენ თუ ცუღლუტობა გგონია...

– გვიან ღამემდე გაერთობი ხოლმე დისკუსიებში? – ღიმილით ეკითხება ჯორჯი, თან ნიკის სახეს აკვირდება, რა გამოძახილი ექნება მის კითხვას. – თუ ღამის პეპლებს დასდევდი?..

53.

ჯორჯი, ნიკი და პოლი სასტუმროს ნომერში ემზადებიან შინ გამოსამგზავრებლად, ალაგებენ ბარგს.

– ის-ის იყო ეშხში შევედით და უკან უნდა დავბრუნდეთ... – წუწუნებს პოლი.

– შენ ძალიან გაგიტკბა აქაური ქალბატონების ალერსი... – პასუხობს ჯორჯი. – სხვა გზა არ ჩანს, ფული გამოგველია... შენ შეგიძლია, გააგრძელო დროსტარება, აქამდე თითქმის სულ ჩემს ხარჯზე გრიალებდი... დრო ხომ არ არის, საკუთარ ჯიბეშიც ჩაიყო ხელი?

– ჯორჯ, შენ სხვისი სასაყვედურო რა გაქვს? – ჩაერთო დავაში ნიკი. – შენ რომ კაზინოში მეტი თავშეკავება გამოგეჩინა... იქ რა, ფული აკლდათ, შენი საცოდავი გროშებიც რომ მიართვი?

ჯორჯი აშკარად უკმაყოფილო ჩანს, გაღიზიანებული პასუხობს:

– შენც გეხება, ვაუბატონო: კარგად გაატარე დრო და ყველგან მე ვიხდიდი... ნუთუ შენმა დედიკომ არაფერი გამოგატანა? ან პროფესორი კაცი სხვისი ხელის შემყურე რამდენ ხანს უნდა იყო?

– მე არ ვიცი, შენ ფული საიდან იშოვე, მაგრამ იმაში კი ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ შენი შრომით დღემდე არაფერი დაგიმსახურებია, – პასუხობს ნიკი.

– შენ ხომ დიდი შრომა ჩადე კაზინოში! – პასუხობს ჯორჯი. – ახლა ხომ გაქვს ფული, ერთი-ორი დღე დავრჩენილიყავით კიდევ, ამაზე რას გვეტყვი? თუ იქ მოგებულ ფულს შინ წაიღებ და ბალიშში შეინახავ, რომ ღამე კარგად გეძინოს და ტკბილი სიზმრები ნახო?

– მაგას ნუ დარდობ, მე ბევრი აუცილებელი ხარჯი მელის...

– ჰო, ბრაზილიაში გაემგზავრები, რომ იქაური გიგანტური პეპლების კოლექცია შეაგროვო, ბრავო! – ტაში დაუკრა ჯორჯმა.

– უსაქმურისგან უკეთეს ხუმრობას ველოდი, დრო საკმაოზე მეტიც გაქვს და ენის მოფხანის მეტი რა დაგრჩენია, – ბურტყუნებს ნიკი. – მე უკვე ჩემოდნებს ვალაგებ და შენ, თუ გინდა, თუნდაც ერთი თვე გააგრძელე აქ შენი სანაქებო მოღვაწეობა.

– უყავი ასეთ კაცს სიკეთე... – პასუხობს ჯორჯი. – შენი გულისთვის...

– რა სიკეთეს მაყვედრი! – აწყვეტინებს ნიკი. – რესტორანებში უაზრო წოწიალს მერჩივნა, მუზეუმები დამეთვალიერებინა, უნივერსიტეტებში სპეციალისტებს შევხვედროდი... რამდენი დრო დავკარგე ტყუილად... თუმცა, ზოგი რამ მართლაც მოვასწარი. ბარგიც დროზე ჩავალაგე...

– ჰო, დიდი მეცნიერის დრო დიდად ფასობს, – ატრიზავებს ჯორჯი.

ამ დროს კარებზე კაკუნი ისმის და შემოდის... მარიპოსა.

– გამარჯობათ, ბიჭებო! – დაიჟღურტულებს და პირდაპირ ნიკს მიაშურებს, ტუჩებში ჰკოცნის: – მტოვებ, ძვირფასო?

ჯორჯი და პოლი გაშტერებულნი უყურებენ ამ სცენას.

– ნიკ, ვერ მითხარი? – ამბობს ჯორჯი და სახე უნათდება.

– რა უნდა მეთქვა? – გაკვირვებულია ნიკი.

– რა ვიცი... – დაიბნა ჯორჯი.

პოლი კი მძლავრად დაჰკრავს მარჯვენას ნიკს მხარზე:

– ძმაო, ძალიან მიხარია!

– რა გიხარია? – კიდევ უფრო გაკვირვებულია ნიკი.

– აი ის... – ბურტყუნებს დაბნეული პოლი, – შენ რომ იცი...

– მე არაფერი ვიცი... – დაიბნა ნიკიც. – გამაგებინეთ, რა ხდება?

– არაფერი, არაფერი, ყველაფერი მშვენივრადაა! – მხარზე ხელს უტყაპუნებს ჯორჯიც.

კვლავ ისმის კარებზე კაკუნი და შემოდის... სეიდი.

გახარებული პირდაპირ მიაფრინდება ნიკს, მხურვალედ ჰკოცნის და კისერზე ჩამოეკიდება:

– შე საზიზღარო, რა გეჩქარება, ცოტა ხანს კიდევ დარჩენილიყავი!

ჯორჯი და პოლი გაოგნებულები არიან.

– ნიკ, თუ აქეთ-იქით დაძვრებოდი, რატომ არაფერი მითხარი! – საყვედურობს ჯორჯი.

– ძრომიალით შენ და პოლი დაძვრებოდით, მე სამაგისო რა მჭირდა, – პასუხობს ღიმილით ნიკი.

კარებზე ამჯერად ძლიერი ბრახუნი ატეხა ვიდაცამ, შემდეგ კარები გაიღო და ოთახში შემოვარდა... ჯეინ!

ხელები დაკავებული აქვს – შამპანურის ბოთლები უჭირავს – და ამიტომ ჯერ ნიკს აკოცებს, შემდეგ ბოთლებს მაგიდაზე დგამს, მივარდება ნიკს და ამჯერად ხანგრძლივი კოცნით აჯილდოვებს:

– ბიჭებო, ეს მოვლენა მოკრძალებულად მაინც უნდა აღვნიშნოთ!

– რა მოვლენაზეა საუბარი, მშვენიერო ჯეინ? – კითხულობს პოლი.

– თქვენი გამგზავრება ფრიად დამაღონებელია პირადად ჩემთვის... – აქეთ-იქით იხედება, რაღაცას ეძებს ჯეინ, – ნიკ, ძვირფასო, ჭიქები თუ მოგეძევებათ ამ თქვენს ბუნგალოში? მაცივარშიც შეიჭვრიტეთ, ლიმონი და შოკოლადი თუ აღმოჩნდება, ავშენდებით...

მაშინვე მცირე სუფრა გაიწყო, ყველანი გარშემო შემოერტყნენ და რამდენიმე სადღეგრძელო ფეხდგომელა დალიეს.

ქალები ნიკს არ სცილდებიან; ჯორჯი და პოლი შესცქერიან გამხიარულებულ ნიკს, გაკვირვებისგან აქნევენ თავებს, ისევ და ისევ მიმოატრებენ მზერას ქალებიდან ნიკზე და ნიკიდან ქალებზე – თითქოს არ სჯერათ იმისა, რასაც ხედავენ...

ნიკი ხან მარიპოსას მოეხვევა, ხან ჯეინს ჰკოცნის, ხან ქეითს ჩაეხუტება.

– ნიკ, ისე ვატყობ, მე და პოლი აქ ზედმეტნი ვართ... – ამბობს ჯორჯი. – პოლ, მატარებლის გასვლამდე დიდი დროა დარჩენილი და ხომ არ გავისეირნოთ?

– იცი, რას გეტყვი, ჩემო ლამაზო? – ჯორჯს ეუბნება ნიკი. – პირიქით, მე ვარ წასასვლელი... აქ ყველაფერი ჩავაწყვე და დამდე პატივი, ბარგი დათქმულ დროს გამოიტანეთ რკინიგზის სადგურში...

– შენ?

– მე პატარა საქმე დამრჩა მოსაგვარებელი და პირდაპირ იქ მოვალ... ოღონდ სიურპრიზს გიმზადებთ და პირი არ დააღოთ გაკვირვებისგან!..

– ნიკ, შენ უკვე ისეთი სიურპრიზი შემოგვთავაზე, აწი აღარაფერი გაგვიკვირდება! – მხარზე ხელს უტყაპუნებს ჯორჯი.

– ნიკ, პეპლებიან ჩემოდანს გვანდობ? – ნიკს უღიმის პოლი.

– სხვა პეპლები ახვევია, პოლ, შეხედე, რა ტურფებია!

54.

რკინიგზის სადგური.

ნიკის შესახვედრად მოვიდნენ: დედა – სინიორა მარია, დები – სინიორა ჯინა და სინიორა ლინა. ყველანი – მუქ კაბებში, ყველანი – დაბღვერილები და განერვიულებულები.

ნიკს და ჯორჯს ხვდებიან: სინიორ ტიმოთი ესპოზიტო – კოხტა ჩექმებში გამოწყობილი, პირში სიგარეტგაჩრილი – და მისი მეუღლე სინიორა ჩეჩილია.

პოლს, როგორც ჩანს, არავინ დახვდება.

ქალები ღელავენ.

– დროზე ვერ ჩამოვლენ ეგ ბედოვლათები? – წუხს მარია. – აფსუს, იმდენი ფული რა ტყუილად გადავყარე!

– მეც მაგას ვწუხვარ, მარია, ათი ათასით რამდენიმე მშვენიერ ბედაურს შევიძენდი!

– შენც გაატანე ფული, ტიმოთი? – გაკვირვებულია მარია. – იმიტომაც ასე დააგვიანეს ჩამოსვლა, ორი კვირა რად უნდოდა უბრალო საქმის გარკვევას...

– ერთი დღეც საკმარისი იყო, – ეთანხმება ტიმოთი, – ქალების მეტი რაა ნიუ იორკში, მაგრამ ულაყებმა აიწყვიტეს, ალბათ მაგარი დოღი გამართეს!

– ღმერთო, შენ მიშველე! – პირჯვარს იწერს მარია და ჯიჯღინით განაგრძობს: – საწყალი ნიკი ალბათ მიაგდეს, ვის ეცალა მისი პრობლემებისთვის... ვნახოთ ერთი, რა პირით შემხედავს ჯორჯი...

– გამოჩნდა, გამოჩნდა! – ეს შეძახილები იწვევენ საუბრის შეწყვეტას, ყველა თავები ცალ მხარეს მიტრიალდება.

რამდენიმე წუთში ბაქანთან ჩამოდგება მატარებელი.

იღება ვაგონის კარი და გამოჩნდება ორმეტრიანი გაღიმებული პოლი, მის გვერდით კი – ჯორჯი; ორივენი მხიარულად იქნევენ ხელებს, ესალმებიან დამხვდურთ.

– ვაიმე, შვილო, ნიკი სადღაა? – ფერი ეცვალა მარიას.

ამ დროს პოლი უკან დასწია თითქმის მისივე სიმაღლის ქალმა – თეთრ საქორწინო კაბაში გამოწყობილმა, პირბადეჩამოფარებულმა; შემდეგ ქალბატონმა ასევე უკან დასწია ჯორჯიც და სადღაც უკნიდან წინ გამოაძვრინა... ნიკი!

ნიკმა შლაპა მოიხადა და მისალმების ნიშნად მაღლა ასწია – მშვენიერი ხუჭუჭა თმა გამოუჩნდა.

ქალმა პირბადე აიწია და ხელის აწევით ისიც ყველას ესალმება – ეს მისიზ გრინი გახლავთ, სუზანა გრინი, ნიკმა რომ მის ვაჟს, პატარა ნიკს, პეპლების ალბომი აჩუქა ნიუ იორკის მეტროში...

პატარა ნიკი სადღაა? აჰა, ისიც – დედამისმა წინ დაიყენა, შემდეგ დაიხარა და ნიკ ესპოზიტოს ტუჩებში აკოცა.

ჯორჯიც დაიხარა და ნიკს მელოტში აკოცა, შემდეგ მას პოლმაც მიბაძა, თუმცა სადღაა მელოტი!

მისტერ ესპოზიტომ პარიკის მშვენიერ ხუჭუჭ თმაზე მარცხენა ხელი გადაისვა, შემდეგ პატარა ნიკს თავზე დაადო, მარჯვენით კი, რომელსაც საქორწინო ბეჭედი უმშვენებს, სიგარა ამოიღო, ბოლო მოაკვნიტა, პირში გაირჭო და პოლს, რომელმაც ანთებული სანთებელა მიუტანა სიგარის ბოლოსთან, თავის დაკვრით მადლობა გადაუხადა; შემდეგ ღრმა ნაფაზი დაარტყა და ბოლი ულვაშში გამოუშვა... დიახ, ნიკ ესპოზიტოს ულვაში მოუშვია და საოცრად ჰგავს მამამისს, კარლო ესპოზიტოს! თუ გვაქვს საშუალება, თუნდაც წარმოსახვით, ვნახოთ სინიორ კარლოს პორტრეტი მისი სახლის სასტუმრო ოთახში, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ფრიად კმაყოფილი სახე ექნება და იქნებ თვალსაც ჩაუკრავს ნიშნის მოგებით... ვის? ალბათ, ცოლს...

ამასობაში გაოგნებულმა და დაბნეულმა სინიორა მარიამ ნიკს დაუყვირა:

– შვილო, მამაშენის ნაქონი ჰალსტუხი რა უყავი?

ნიკს პეპელა-ჰალსტუხი უკეთია – თეთრი, შავკოპლებიანი.

– არ მოგწონთ? – სუზანამ ფართოდ გაიღიმა, ხელის მძლავრი გაქნევით ნიკს ყელიდან მოაძრო პეპელა-ჰალსტუხი. – მაშინ ბევრად უკეთესს შემოგთავაზებთ!

მისიზ სუზანა ესპოზიტომ საქორწინო თეთრი კაბა აიწია – გამოჩნდა გრძელი ნატიფი ფეხი; შემდეგ ცალი ხელით ქმარს დაეყრდნო, მეორეთი წაიძრო შავი წინდა, გაიმართა, ნიკს კისერზე შემოახვია და წინ კოხტად გაუნასკვა...

შემდეგ ნიკის პირიდან სიგარა გამოაძრო და თვითონ გაირჭო.

ბაქანზე მყოფნი ერთსულოვნად ტაშს უკრავენ...

ნიკ ესპოზიტომ კი ჯორჯს ჩემოდანი გამოართვა, გახსნა და იქიდან გამოაძვრინა... ბიუსტჰალტერი!.. ის მაშინვე ბაქანზე მდგომი ქალებისკენ ისროლა, შემდეგ – მეორე გასტყორცნა, მესამე, მეოთხე... პატარა გროვა შეიქმნა!

ქალების მოჟამულ სახეებზე ღიმილის მსგავსი რაღაც გამოკრთა. ჯინა და ლინა ტაშს უკრავენ, მარია კი ამბობს:

– შე ცელქო, კოლექციონერობას ამაშიც არ იშლი!

ნიკმა ესეც არ იკმარა, ახლა ჯიბიდან ამოიღო ფერადი ფოტოსურათების დასტა, მოიქნია და გადმოისროლა...

ფოტოები ჰაერში აფარფატდნენ, გაიშალნენ, ბიუსტჰალტერების გროვის გარშემო დაეშვნენ და გულის ფორმა მიიღეს...

ფოტოებზე იღიმებიან: ნანსი, ჯულია, ანტუანეტ, მარიპოსა, ჯეინ, ქეით, სუზანა...

ნიკი კიბეზე ჩამოდის, პატარა ნიკს ჩამოსვამს, მერე ეხმარება ცოლს კიბეზე ჩამოსვლაში; შუა გზაზე ვითომ დააპირებს სიუს ხელში აყვანას, მაგრამ... ვერ ზიდავს, გაუვარდება და ქალი ძლივს გადაურჩება წაქცევას.

ვაგონის კარებში მდგომი პოლი და ჯორჯი იცინიან, ტიმოთი ესპოზიტო წარბებს ჭმუხნის, ქალები წამოიკივლებენ.

სიუ იცინის, შემდეგ დაიხრება, ქმარს მსუბუქად აიტაცებს ხელში პატარა ბავშვივით და წინ მიდის, ფოტოებით შექმნილ გულის შუაში ბიუსტჰალტერების გროვაზე ჩერდება.

სუზანთან პირველი ჯინა მიიჭრება და გადაეხვევა... მერე სხვა ქალებიც.

სიუ ნიკს მიწაზე აბრუნებს და ისიც ქალებს ეხვევა.

შეცბუნებული ნიკი ქეჩოს მოიფხანს, შემდეგ შლაპას მოიხდის, პარიკსაც მოიძრობს და პატარა ნიკთან მიდის...

მზეზე მხიარულად პრიალებს მისი მელოტი თავი.

უცებ საიდანღაც მოფრინდება დიდი, ლამაზი პეპელა და ნიკს მელოტზე დააჯდება...

ნიკის სიგარისგან მაღლა წასული ბოლით იწერება:

ი.

ლ

უ

რ

ს

ა

ს

ა

დ

2000 წ., 2005 წ.